ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალაფი

№ 1

1928

სახელმწიფო გამომცემლობა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# № 1

## წელიწადი მეხუთე

ეროვნულ-თვიური სალიტერატურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

ი ა ნ ვ ა რ ი

ტფილისი: სახელგამი. 1928.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიული
ტრესტის მე-3
სტამბა.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვ. 663. მთავ. № 76. ტირაჟი—2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მხატვრული ლიტერატურა

## საქართველო
## რ უ ს ე თ ი
## დასავლეთი

ხ. ეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ულენინოთ

პირველი წელი დაობლების და მწუხარების
ჩვენ გავატარეთ კომუნარსა შემჭიდროებით,
შრომის უბნებში ამოვაშვრეთ ცრემლთა ღვარები
და წინ ვილტოდით ბრძოლით, შრომით, შემოქმედებით..
თავს დაგვჩხაოდენ: „დათვლილია თქვენი დღეები
და ულენინოთ გამარჯვების დროშა ჩვენია,
ლენინი არის შემომტანი ამ ქაოსების
და მზე ჩაუქრა ბოროტ ხალხის ბოროტ გენიას“.
დაიწყო მტერმა ბნელ ზრახვებით შემოტევები
და გახარებით დაითვლიდა ჩვენს ყოფნის დღეებს,
ბრძოლის დღეებში მოგვესმოდა იმათი ხმები:
„და დაკარით მაგრათ, სასიკვდილოთ მაგ კომუნარებს!“
მაგრამ ბრძოლაში არ გვჩვევია უკან დახევა
და ყველა ჩვენგანს სიხალისით ბრძოლა სწყუროდა,
ჩვენგან ელოდა დახავსებულ ქვეყანას ნგრევა
და მტერს ჩვენგანი გამარჯვებას არ დაუთმობდა.
ბრძოლის პირველ წელს მიემატა კვლავ ორი წელი,
მეოთხე წელში გავიმაგრეთ ჩვენ ხერხემალი,
ოთხი წელი ვართ უბელადოთ და ულენინოთ,
მაგრამ ბრძოლისთვის მუდამ მზათ ვართ შიშველი ხმალით.
იყო ამ ქვეყნად ერთათ-ერთი დიდი გენია,
უპირველესი და უკვდავი გენიოსებში,
მის მაგიერათ ლენინელნი დაუთვლელია,
რომ ხედავთ ყველგან, რომ იბრძვიან ყველა ქვეყნებში.
მილიონები ასრულებენ ლენინის ანდერძს,
და გაუჩნდება ძველ სამყაროს ხანძარი მალე!
მივდივართ ჩვენ წინ—გამარჯვება გვწამს ლენინელებს,
ვინც ჩვენი არ ხარ—ჩამოდექი, ჩამოგვეცალე.

კარლო კალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამხანაგი ლენინი

ამხანაგ ლენინს
მე თვალით ერთხელ არ შევხვედრივარ,
მაგრამ დევნილი, —
როცა მებრძოლი შესაფარებლად ჩრდილში მოხრილა! —
აქ მასთან ერთად იდგა ლენინი.

მაშინ შვიდი წლის თუ ვიქნებოდი, —
და თითისხელა.

ეგ ყველაფერი შემდეგ ბრძოლებით არი შექმნილი;
და რომ ქალაქს ქუჩებს მოედო გუგუნით ყველა, —
მათ სიმღერებში და მათ დროშებზე იყო ლენინი...

ეს კაცი ეხლა, — ყოველ უბრალო ნივთში თუ არი,
რომელიც ჩვენგან
ოქტომბრის შემდეგ გაკეთებულა!
„— სხვა ნომაკვდავი ასე უეცრივ და დიდებულათ
მთელი სხეულით არ გადასულა ხალხში“ — (ბუხარინ).

მაგ ამხანაგის შესახებ მსურდა მელაპარაკა —
და თუ ფიქრობენ, მალალი კრემლის წინ ასვენია,
მიყუჩდა მისი ნაბიჯი გზებზე და დაგვეკარგა, —
ამაზე მუდამ ყველა მკოსნების უარი გსმენიათ.

ჩვენ ლენინს ვხვდებით.
ლენინი ეხლა მშენებელია! —
გასაბჭოებულ მდინარეებზე რკინას ალაგებს.

მეც, მეგობრებო, ათასებ შორის, ამის მთქმელი ვარ:
ერთი მებრძოლი და მოქალაქე.

28 წლის
იანვარი.

ტიციან ტაბიძე

# მონანიება კი არის სადა

ნუ გაიკვირვებ, როცა გეტყვიან,
რომ ასე ჩუმათ იყო ტიციან!..
პოეტი დღეს სხვა ოცნების ტყვეა
ამის შესახებ მათ არ იციან!..
რა საჭიროა აქ პირფერობა—
მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“.
მტანჯავი იყო ეს გაორება —
მონანიება კი არის სადა.
ეშაფოტივით იდგა ქალდეა,
ეს ცა აქამდე თავზე დამტირის.
გული ყოველთვის პიტალო კლდეა?
— და გავხდი ერთხელ მეც დეზერტირი...
მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი,
და ახალ ომში თავით დავეშვი.
სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი,
ისე როგორც ზღვას ვერ დაცლის პეშვი!..

დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს—
ცარცით კი არა სისხლით რომ ვწერდი.
სამშობლო მიწავ გრკოცნი ფესვებს,
ახალ სიცოცხლის ვარ ალაეერდი.

კონსტანტინე ლოლათიშვილი

# პროვინციალური ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

დილით რო დაადგე ამ გზას, სალამის
მიხვალ სალორიის გაჩეხილ ტყესთან.
აქ შემოლამებულ მგზავრის საამოთ
ბოძებზე ელამი ფარნები სხედან.
—აქედან იწყება მწვანე ქუთაისი—
ქალაქი ქარის და ტყემლების;
ცხოვრობს ქართველი 40 ათასი
და ხუთასს კომლამდე ებრაელები.
ყველას აქვს თვისი წესი და ადათი
და ებრაელებსაც ასეთი ჰქონდათ—
გათენდებოდა თუ არა შაბათი,
ღარიბი ქრისტიანი მათთან მიდიოდა.
ბატს გაუპუტავდა, კერიას უნთებდა,
თავფეხს და ბუმბულს იღებდა საჩუქრათ.
დღეს არვინ არ მიდის და თვითვე უხდებათ,
ბატის დაკვლაც და გაპუტვაც.
ვაჭრობდენ მდიდრათ. დილით დარაბას
დააგრიალებდენ რკინის გასაღებით.
დღესაც ვაჭრობენ—მხოლოთ ყაფანთან
შაურიან გოზინაყებით.

2

ჯაჭვის ხიდიდან შეხედავთ, გზას, ამაღლებულს ფერდობათ,
იმ გზას აიართ, შეგხვდებათ ბაგრატის ტაძრის შენობა.
კედლები უზარმაზარი დგანან მოცულნი ხავსითა
და მთელი ეზო ტაძარის შაშვის ღღურტულით სავსეა.
ყოველ ქალაქში მრავალი არის რამ სანახავები,
ჩვენთან იყო ეს ტაძარი ჩამონგრეული თაღებით.
მართლაც სადგურზე თუ ვინმეს ნახავდენ ლამაზ ჩემოდნით,
ეტყოდენ:—ხომ არ ინებებთ ნახვას ტაძრისა შენობის?
დრო მიდის შეუჩერებლივ, ზოგს ცუდს, ზოგს კეთილს არგუნებს,
მე ამას წინეთ შევჩერდი ცოტა ხნით ამავ სადგურზე.
არ გამოცვლილა სადგური, ძველია ხალხის დინებაც,
მხოლოთ... გაყოლას დამხვდური დღეს რიონჰესში მპირდება.

ვარლამ რუხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიწავ, დაგვნეგდი!

გადმოიშალა
ღამე თმებივით,
ვარსკვლავის თვალით
დაიწყო ცქერა,
ადგნენ ლანდები
მალალ მთებივით
და მტკვარმა გულზე
ცა დაიკერა,
სიზმარეთს მოჰგავს
ახლა თბილისი...
რუსთველის გამზირს
შვენის ქანდაკი,
თითქო მზიური
ღიმთა თილისმით
შეუკრავს იგი
უკვდავ აკაკის!
მთაწმინდის სერით
მოჰქრის ნიავი
და აშრიალებს
ჭადრებს და ალვებს.
ებრძვის ელექტრო
ღამის სიავეს
და ესვრის ქალაქს
უთვალავ ქარვებს.
ხმაურობს ქუჩა...
და დარბაზების
გრძელი ჩრდილები
ნაპირებს წვდება.
მთვარე ღრუბლებში
ზის განაზებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ნისლიც სადღაც
ნაპრალში წვება.
დგანან ტაძრები,
მაგრამ ზარების
გუგუნი ჰაერს
არ აღღვევს ეხლა;
სამაგიეროდ
კომუნარების
ისმის სიმღერა,
ვით კლდეთა შეხლა:
„როდემდე უნდა
იზიდო ცოდვები
შენ, დედამიწავ,
სივრცეში მსრბოლო:
სავსე ხარ სისხლით,
ცრემლით, გოდებით
და შხამიან წლებს
არ უჩანს ბოლო.
მაგრამ შენ, მიწავ,
უბედურთ ქვნესა
ისე მოგესმის,
როგორც ყრმას ნანა.
თოფის წამალთან
ტალსა რომ ჰკვესავ,
რომ აფეთქდება
არ იცი განა?!
მაგ შენ სივრცეზე
არაა კუთხე,
სადმე ყოველ წუთს
არ ჰქუხდეს ომი.
მიწავ! დაჭლექდი:
ტყვიებს აფურთხებ
და გელის ბედი
უთუოდ რომის!
ვერ ხედავ განა,
რომ არ გასვენებს
ნიალვარები
და მიწის ძვრები?
მიწავ! შენ წყევლა
გადაგასვენებს,
როცა დაგაბრჩობს

ლეში და ძვლები!
რომ სერავ ჰაერს
ასე თავხედათ
და ისვრი დღეებს,—
ყოფის შავ ქულებს,
ნუ თუ სიზმარში
მაინც არ ხედავ
მილიონობით
დაფლეთილ გულებს?!
არ ვიცით, მიწავ,
შენ ყრუ ხარ მართლა,
თუ იხმობ სმენას
განგებ თითებით,
როცა სიკვდილი
ზარბაზნებს მართავს,
საწინალმდეგოთ
რომ არ იხთები?!
არ გვინდა ომი!
ჩვენ, შრომის შვილებს,
გვიყვარს შრომა და
შემოქმედება:
ახალ ქვეყანას
ზაჰესის ღილებს
ვავლებთ და წინსვლის
ცეცხლი გვედება!
მაგრამ შენ, მიწავ,
მოცულო ნისლით,
არ გესმის, ალბათ,
ჩვენი სურვილი:
გახელებულხარ
და გინდა სისხლით,
რომ გაანელო
ნდომა წყურვილის...
შენი ამბავი,
მიწავ, გვაოცებს:
სანამ მკვლელები
შენს გულზე ზიან,
ნუთუ არ იცი,
რომ არ გაკოცებს
ჩვენი ალერსი
და პოეზია?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწავ! დაგვნებდი!
ახალმა ძველი
უნდა დამარხოს—
ეს ხომ ცხადია?
ვიკისრეთ საქმე
დიდი და ძნელი
და გამარჯვებაც
გულით გვწადია!
ვერ შეგვაშინებს
ტანკი და გაზი,
გვფარავს სიმტკიცე—
ფოლადი, რკინა;
გავყურებთ რწმენით
მომავლის გამზირს
და ჩვენი სული
მზესავით ბრწყინავს!
მიწავ! შენ ცეცხლი
მოგედვა მაშინ,
როცა შიმშილი
ტანჯვის მთებს შობდა,
იყო ვაება
და გლოვის მარში
სიკვდილი ცელით
დათარეშობდა;
ერთმანეთს ელეტდა
სხვა და სხვა ერი:
რუსი, ნემეცი,
ფრანგი, თათარი...
ცვივოდა ლეში,
ვით მიწის მტვერი
და მით ძლებოდა
სვავი, აფთარი;
ქვეყანას ცეცხლი
აწვიმდა თავზე
და ზარბაზანი
ძალლივით ჰყეფდა...
ვინ იფიქრებდა
უეცარ ზავზე,
როდესაც სისხლი
ზღვასავით სჩქეფდა?
მოვარდა კაცი

ნაამაგარი,
და ერთი დაკვრით
შემურა შური;
ისროლა სიტყვა,
კლდეზე მაგარი:
„არ გვინდა ომი!
მოგვეცით პური!
რევოლიუციის
არის ბრძანება:
მიწები — გლეხებს!
ქარხნები — მუშებს!“
და ცეცხლის სიტყვას
ყველა დანებდა,
და ამბოხება,
მოედვა ქუჩებს.
ყველას მალამოთ
მოეცხო წყლულზე
სიტყვა ახალი,
მხსნელად ვლენილი,
და დადის, მიწავ,
ახლა შენს გულზე:
ოქტომბერი და
დიდი ლენინი!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბეხკირია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოხუცი

წინად ყვებოდა მდინარის ამბავს
(მეწისქვილეთა სწამდა ნუგეში)
ლრუბლები მთვარის სხივს რათ ამბავდენ
საირმისა და მუხრანის ტყეში.

მისგან ამნაირ ამბავს ისმენდენ:
(ეხლა ამ ზღაპარს არვინ არ სწყალობს)
ნუკრებმა მთვარის სხივი რათ მოსვეს
ან რათ გაფითრდა ვერხვებთან წყარო.

დროგამოშვებით დააფრთხობს სევდა
და კვლავ ჩამოდის ქვებთან მოხუცი!..
მაგრამ ხედავს რომ მას მოსასმენად
უკვე ლოდებთან არავინ უცდის.

თვალებს მიაპყრობს ნისლიან ოდას
და ასე ამბობს: შემრჩა იარა—
ნოკვდა ზღაპარი მაშინ ოდესაც
ქვეყნად გრიგალმა გადაიარა.

მიხეილ ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გივი შადური დაგრუნეგული

## I

ოცდახუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ.

ორი ღვიძლი ძმა—ორივენი ჩემი ბიძაშვილები—სტუდენტებად იყვნენ ადესაში. უმფროსმა, პეტრემ, სწავლა დაასრულა. უმცროსი, დათიკო, კვალდაკვალ მისდევდა. მეც იქ ვიყავი, ბიძაშვილების კალთებზე მიკერებული.

ზაფხული მოდიოდა. სწავლა თავდებოდა. ყველანი შინისკენ ვემზადებოდით. პეტრე უცბად მოსხლტა და ჩვენზე ადრე წამოვიდა—ახლად გაცნობილ ოჯახს გამოჰყა სტუმრად ყირიმში, და ჩვენ დაგვიბარა: წამოსვლა ადრევე შემატყობინეთ წერილით, იალტაში დაგიხვდებით და იქიდან ერთად წავალთო.

ორი კვირის შემდეგ დათიკო და მე გემით მივადექით პატარა ქალაქს. პეტრეს ნაცვლად გემზე ვილაც ამოვიდა, მოგვძებნა და დათიკოს წერილი ჩაბარა. „თქვენ გზა განაგრძეთ—გვწერდა პეტრე—და ჩვენები დაამშვიდეთ. მაროც. არხეინად იყოს მეც მალე წამოვალ“.

დავლონდით და ჩავფიქრდით.

— აქ რაღაც ამბავია—მითხრა დათიკომ.

— რაღაც ამბავია. —დავუდასტურე. —იქნება ახლოს არის „ზეფირი“? გამოვიკითხოთ.

აგარაკი „ზეფირი“, სადაც პეტრე სტუმრობდა, თურმე სამეფო მამულის მასსანდრას გვერდით ყოფილიყო. ორივეს ხიფათი გვკბენდა. გაგვახსენდა პეტრეს მასპინძლები სრული, მაღალი, მედიდური დედაკაცი და მისი ლამაზი ქალიშვილი სტეპანიდა. ისიც ვიცოდით, რომ იმ აგარაკში, და მთელ ქვეყანაზედაც, სხვა ნათესავი არავინ ჰყავდათ, მაშასადამე—დავადგინეთ—მოტაცებულს უნდა მივეშველოთ და პატრონებს დავუბრუნოთ: დედ-მამას, ოჯახს, მაბულსა და, ყველაზე მეტად, დანიშნულს მაროს, რომელიც აქ, საქართველოში, უკვე მზითევს იმზადებდა.

ხუთი წამის შემდეგ დაწნული ეტლი გურზუფის გზით ორ თეთრ სტუდენტს მიაქანებდა, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ორივენი ნათალ ქვის სკამზე ვისხედით და მღელვარე ზღვას გადავსცქეროდით.

მოვლილ და ჯიშიან ბალში ვისხედით.

კვიპაროსები მწვანე კელაპტრებივით ასვეტილიყვნენ.

ჩვენებური ფიჭვები ზღაპრულ წეროებივით ცალ ფეხზე შემდგარიყვნენ. ნაძვები ნაბდიან მწყემსებს ჰგავდნენ.

იტალიური ფიჭვი უუზარმაზარ მწვანე ქოლგასავით გაშლილიყო ჩვენს თავებზე.

აქაიქ ათფერ ყვავილებით მოქარგული მწვანე ფარდაგები გაეშალნათ.

სუფთად შეკრეჭილი ევონიმუს, დაფნა და ჩვენებურ[illegible] ფერ გზებისა და ბილიკების გვერდით ორლობად ჩაერიგებინათ.

იქვე, მწვანეულში, ორსართულიანი სახლი სდგას, რენესანსის სტილზე ნაშენი და იმ ქალივით თეთრი, სუფთა, ლამაზი და მხიარული, რომელმაც განიერ აივანზე ორჯერ თუ სამჯერ გაირბინა.

პეტრეც იქ არის, იმ თეთრ სასახლეში. იმ ქალსა და იმის დედას ტყვეთ ჰყავთ წაყვანილი. ჩვენ, უმცროსებმა, უმფროსი უნდა ვიხსნათ და წამოვიყვანოთ. ჯერჯეროობით სტუმრად ითვლება. ალბად ამიტომ ვერ შეგვიყვანა სხვის სახლში, ალბად ამიტომ გვალოდინებს ამ ბაღში.

— თუმცა... ვბუტბუტებ მე.

— რაღა თუმცა!—მაწყვეტინებს დათიკო.—დავიჯერო, იმოდენა სახლში ოთახი ვერ იპოვნეს, რომ ძმას ძმისთვის ორი სიტყვა ეთქვა? ვილაც კაცის გამოგზავნა რაღა იყო გემზედ? თვითონ ვეღარ ჩამოვიდა? აქ რაღაც ამბავია.

— მართალი ხარ, რაღაც ამბავია.

მწვანეულში ვილაც კაცი მოდის, თავით-ფეხებამდე წელანდელ ქალივით თეთრი. შორიდანვე ვიცანით, პეტრეა.

დათიკო წამოდგა ფიჭვის ქოლგის ქვეშ დაიწყო სიარული და ფეხის წვერით კენჭებს აწვალებდა.

— გამარჯვება, დათიკო! გამარჯვება, გივი!

გუშინდელი გაცვეთილი სტუდენტი დღეს დენდის ჰგავს—სწორედ ისეთს, რომელნიც ოდესაში მრავლად დაბორიალებდნენ დერიბასისა და რიშელიეს ბულვარებზე და ფანკონის ყავახანაში.

— დაჯექი. ალბად გზის ფული დაგაკლდათ. —უთხრა დათიკოს და ისევ ქვის სკამზე დასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— არა, მაგისთვის არ მოვსულვარ. პასუხი მინდა: ვის ირთავ, მაროს თუ ამ ქალს?—პირდაპირ მიახალა უმცროსმა.

— ბიჭოს!—გაოცდა პეტრე. —ეგ რაღად დაგჭირდა?

— როგორ თუ რად დამჭირდა! —გაფიცხდა დათიკოც. —ძმა ვარ, უნდა ვიცოდე. ამბავი უნდა ჩავუტანო დედასაც და მაროსაც.

პეტრეს არასოდეს ენახა თავისი ძმა ესოდენ მტკიცე და დარბაისელი. შეყოყმანდა. მერე ჩაიცინა და სთქვა:

— ეს ქალი რომ შეეირთო?

— ხუმრობ თუ... —წამოვარდა უმცროსი.

— რა დროს ხუმრობაა, დათიკო!

მართლაც რა დროს ხუმრობა იყო! სეფისკვერა ქალი თითქმის მარტოხელა, გვარიანი და ლამაზი, მდიდარი და განათლებული.

— გადაჰხედე ამ ვენახებს. —ამბობს პეტრე.

ხუმრობა ხომ არ არის! ყირიმში ოცი დღიური ვენახი ოცი ათასი თუმანი ჰღირს. ქვითკირის მარანში ათი ათასი ჩაფი ეტევა.

— დააფასე ეს ბაღი და ეს სახლიც.

ესეც ათი ათასი თუმანი მაინც ეღირება. გარდა ამისა, ორენბურგის გუბერნიაში ქალს მეორე მამულიც აქვს—ათი ათას დღიურამდე, ერთი სახლკარი, დიდი საჯიხიბო, ერთი ქარხანა და ისეთი ღორის ჯოგი, რომ ინგლისშიც კი არ მოიძოება.

— ხუმრობ, თუ...—ხელახლად ბუტბუტებს უმცროსი.

— რა დროს ხუმრობაა!—უკვირს უმფროსს.

არა, ხუმრობის გუნებაზედ აღარ არის პეტრე. საქმე გათავებულია. სიდედრი მზითევის დაბაზადებას გადაჰყვა. სწორედ კვირის თავზედ ქორწილსაც გადაიხდიან.

— დარჩი, დათიკო. ერთი ნათესავი მაინც მეყოლები, თორემ უგვარო კაცს ვემგვანები. შენც დარჩი, გივი.

დარჩეს.?! დათიკო დარჩეს?! დასცინის თუ მართალს ეუბნება?!

— ხუმრობ თუ...

— რას აგიჩემებია ხუმრობა! რა მეხუმრება, კაცი ავშენდი და გეხუმრე ბოდე?! ყური მიგდე... დაჯექი.

დაჯექი და ყური უგდე, უმცროსო. ჭკუას ისწავლი და რაღაცას შენც მოიგებ. არა, საქართველოში რომ მიდიხარ, რის იმედით მიდიხარ? სამოსამართლო კანდიდატად ჩაგრიცხავენ, ან თანაშენწედ მიეწერები ვინმე ვექილს, ან საზოგადოებრივ ჭაობში გაებმები და დაიხრჩობი.

— როგორ თუ საზოგადოებრივ ჭაობში!—სცხარობს დათიკო.

ნუ სცხარობ, ყური უგდე შეთქი. პეტრე შენზე უმფროსია სულ ერთის წლით, მაგრამ მაინც უმფროსია. შენზე მეტიც უელია და მეტიც უნახავს. აქამდე რომ ჩვენსავით რაღაც ლანდებს დასდევდა, ეხლა გაიზარდა—დიახ, დიახ, ორ თვეში გაიზარდა—და თვალებიც აეხილა. საზოგადო საქმეს აქედანაც გააკეთებს. ფული რომ ექნება, იმ საქმეს ასჯერ მეტს ასარგებლებს, ვიდრე მშიერი ფაფხურით და უმწეო თავის ხეთქით. ოჯახი? საგვარეულო?

— ნუ ხარ რომანტიკოსი.

მართლაც, განა რომანტიზმი არ არის ჩვენი ბოდვა?! წინაპრების საფლავებსა და მამულებს რომ ვსდიოთ, მესოპატამიაში უნდა გადავიდეთ.

— სადაც მე ვარ, ჩემი საამშობლოც იქ არის,—ასწავლის პეტრე.

— ეგ ხომ სოლოლაკის ანდაზაა!—ფიცხობს უმცროსი.

— თუნდაც აგრე იყოს.—ამშვიდებს უმფროსი.—განა გარეთ გასვლა მშობლის დავიწყებას უდრის? ოღონდ ენა შეინარჩუნოს, მშობლიური ახსოვდეს, თორემ ქართველი აფრიკაშიც ქართველია. აი მაგალითიც:

— სად არ არიან ინგლისელები!

მაგრამ ინგლისელი ყველგან ინგლისელია, რაო? რა სთქვა დათიკომ? ჩვენ ინგლისელის გამძლეობა და შეგნება არა გვაქვსო? ტყუილია, ტყუილი! პეტრე-

სთანა გამძლე კლდეც არ იქნება, ხოლო მისი შეგნების ძალა ინგლისელსაც შეჰშურდება. ამიტომ—თუ ჩემებურად წავიყვანე საქმე, შენც დაგიბარებ და დედასაც. იცხოვრეთ ჩემთან არხეინად. თუ გინდა, ამ მამულის მოურავადაც დაგნიშნავ.

ამაზე მეტს რას ელოდები, ჭაბუკო? დაანებე თავი დანგრეულ ქოხს, გაჭყიდე ბალ-ვენახი, გადმოსახლდი ყირიმში და გულმშვიდად [illegible] რაკი არ მოგიშლია, დედაც გვერდით გეყოლება. ერთი აქაური [illegible] და.—

— ცოტანი კი არ არიან აქ ჩემი დანიშნულივით მდიდარი და ლამაზი ქალები!

— მარო? მაროს რალას უთვლი?—არ ეშვება უმცროსი.

— მარო! მარო! აი ეგ არის რომ მაფიქრებს!

ყოველივე დანარჩენი გადაჭრილია. მხოლოდ პირველი დანიშნული აფიქრიანებს მდიდარი ქვრივის სიძეს. თუმცა—

— თუმცა რას მერჩიან? სამოდე სამარხვო კოცნა, ისიც საქვეყნოდ—ეს იყო და ეს!.. მეტი ხომ არაფერი მომხდარა.

მართალია, მეტი არაფერი მომხდარა, მაგრამ რომ მომხდარიყო კიდევაც, ის ბაასი მაინც ისე გათავდებოდა როგორც გათავდა:

— მაშ ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა?—ჰკითხა დათიკომ.

— ეს არის. რაც მოხდა—მოხდა. ბედს გარეთ ვერ გავაგდებ.

ფიცხი და კერპი ჭაბუკი იყო დათიკო. აღარა სთქვარა. მობრუნდა და წამოვიდა. მეც გამოვყევი. პეტრე ეტლამდე მოგვყვა. მოგვდევდა და თავს იმარილებდა. ბოლოს, ეტლში რომ ჩავსხედით, ცალის ყბით დაუმატა:

— სადილად მაინც დარჩებოდი, შე კაი კაცო.

ეს კი მეტისმეტია: დახვედრის მაგიერ ძმას მსახური მიუგზავნა და მარტოდ წასვლა ურჩია, სახლში შეპატიჟების ნაცვლად ბაღში ალოდინა და იქ ესაუბრა, ეხლა კი ისე ჰპატიჟობს, თითქო ჰაერს ეუბნებაო. მოურავობაც შესთავაზა!

— გარეკე!—პასუხის ნაცვლად მიაძახა დათიკომ მეეტლეს.

ეს ერთი სიტყვა—„გარეკე"—ორივეს დაახსოვდათ, ორივეს ლურსმანივით ჩაუჯდათ: უკანასკნელი იყო ის სიტყვა. ოცდახუთ წელიწადში აღარც ერთმანეთი უნახავთ, არც წერილი მიუწერიათ, არც ამბავი შეუთვლიათ.

— ორი სიტყვა მაინც მისწერე.—რამდენჯერმე ვუთხარი დათიკოს იმ ხანებში.

— აღარ გამიხსენო,—მოვიჭრა ბიძაშვილმა,—მაროს თავს არ ვაპატიებ, არც ოჯახის შერცხვენას. ვითომც ძმა არა მყოლია, ან მომიკვდა, მორჩა და გათავდა!

მას აქეთ მართლაც ყოველივე მორჩა და გათავდა.

2

ოცდახუთი წელიწადი გავიდა. დათიკო და მე ცამის ტვირთმა მოგვდრიკა, დაგვჭმუჭნა, თითქმის დაგვაბერა. ორივემ თითო ბუდე ავიშენეთ და ბლარტებიც გამოვჩიკეთ.

პეტრესი აღარაფერი ვიცით. არც ვეძებთ. სადღაც ურალის იქით იყო გადაკარგული. მოკვდა? ცოცხალია? ვინ იცის, არ უყვარს უმცროსს მისი გახსენება.

ყირიმიდან რომ დავბრუნდით, დედამ და მამამ წყევლა-ლანძღვის წერილი მისწერეს, თანაც ემუდარებოდნენ: პირი მოიბრუნე, შენი თავი დაიბრალე, დაბრუნდი და სირცხვილი აგვაშორეო. მას შემდეგ საუკუნო დუმილი ჩაწვა უძღებ შვილსა და გულდამწვარ ოჯახის შორის. ორივენი ურთერთისადმი დაეხეცნენ და გაჰქრნენ.

ერთხელ დათიკოსთან ვატარებ დრრს. ვსხედვართ თბილ ოთახში, ხილსა ვჭამთ და თამბაქოს ვაბოლებთ. საღამო ქამია. პატარა ბიჭმა შემოირბინა, მამას წერილი ჩაუგდო მუხლებში და გაიქცა.

დათიკო წერილს კითხულობს. შუბლი ეჭმუხვნება, თვალები უხამხამებს და მოუსვენრად სტოკავს. ჩაიკითხა, უცნაურად გაიღიმა, წერილი ხელში ჩამიდო და ყრუდ მომიგდო:

— წაიკითხე.

თვითონ კი წამოდგა და შუბლით სარკმელს მიადგა.

„ჩემო ძვირფასო დედა!

დიდხანს ვიყოყმანე, სანამ კალამს ავიღებდი. ჯერ მინდოდა გაუფრთხილებლად წამოვსულიყავი და გაცოცხლებული მკვდარივით დაგდგომოდით თავთ. მაგრამ მერე ვიფიქრე: მოციქულად ჯერ წერილს წავიმძღვარებ მეთქი.

სათქმელი ულეველი მაქვს, მაგრამ ბევრს არაფერს მოგწერ. უმთავრესს პირადათ გეტყვი. ღვთის შეწევნით, ცოცხალი ყოფილხარ. ამ წერილს კი იმისთვის გწერ, რომ ჩემი დაბრუნება ადრევე შეგატყობინო და პატიება გთხოვო, თუ ჩემთვის კიდევ მოგეპოება დედური სულგრძელობა და თუ სამუდამოდ არ ამოიგდე ოქროს გულიდან შენი უბედური შვილი.

დიახ, ჩემო უუკეთილესო, შენი შვილი, შენი პეტრე უბედურია უბედურთა შორის, ამიტომ უნდა გამოიჩინო მისთვის დიდსულოვანება და გაიმეტო ორადორი სიტყვა: „მიპატიებია: დამივიწყნია“.

ვიცი, თითქმის მჯერა, ორივე სიტყვას დამახვედრებ. მაგრამ მარტო შენ არა მყეეხარ გამკითხველი. შენზე მეტად მეშინია ჩემი ძმის დავითისა, ხოლო დავითზე მეტად—ოდესლაც „ჩემი“—თუ ნახევრად ჩემი—მარიამისა.

დათიკო რომ ცოცხალია, შარშანაც გავიგე. მაგრამ რა დაემართა მაროს—არ ვიცი, ვერავის ვკითხე. ვერ გავბედე. ცოცხალია თუ... ვის მისთხოვდა, თუ კი გათხოვდა? დაქვრივდა თუ სრული ოჯახი ჰყავს? მე თვითონაც არ მესმის, რათ გეკითხები. სულ ერთია, პასუხს აქ ვერ მივიღებ.

წერილს დღესა ვგზავნი, მაზეგ კი მე თვითონაც გამოვყვები. მანდ გავიგებ, მანდ შევხვდები—თუ გავბედე თვალის გასწორება და ხმის გაცემა. ნუ, დედილო, ნურაფერს ეტყვი. ნურც მოიკითხავ, ნურც ბოდიშს მოიხდი. გზა დიდი მაქვს. ორი დღე უნდა ვიარო. მერე მოვიფიქრებ და სათქმელსაც დავაწყობ. ეხლა კი მარტო შენა გთხოვ, მხოლოდ შენ გეხვეწები: ძალლონე მოიკრიფე და ორად-ორი სიტყვა დამახვედრე: „მიპატიებია, დამივიწყნია“.

დათიკოც შემიმზადე. ჩემ მაგიერ გადაეხვიე, აკოცე და ეცადე მაგანაც გული გაიწმინდოს და შენსავით ორი სიტყვა დამიმზადოს. დანარჩენი თვითონვე მოვა: შავი წარსული წაიშლება, ჩემი უმადურება გაჰქრება და ახალი ცხოვრება დაიწყება—დედაშვილური, ბშვიდობიანი, შრომიანი და სიტკბოებით სავსე.

ოჰ, რომ იცოდე როგორ მომწყურდა, როგორ მოვმშივდა, დედაშვილობა, ბშვიდობა შრომა და ტკბილი სიტყვა! უბედური ვარ, დედი, უბედურთა უბედური. მაგრამ... ისევ დუმილი სჯობს... მერე იყოს, როცა ჩამოვალ, მაშინაც გვერდით მოგიჯდები, როგორც ოდესღაც, თავს მუხლებზე დაგიდებ და გიამბობ.

მაგონდება შორეული, თითქმის დავიწყებული: ქოჩორა თავი შენს მუხლზე მედო და სულგანაბული ყურს ვუგდებდი შენს ჭრელ ზღაპრებს. ახლაც იმავე თავს დაგიდებ—უკვე გათეთრებულს—მაგავე მუხლზე და უკვე მე გიამბობ ჩემი ცხოვრების ზღაპარს. ბუხლზე თავს დაგიდებ მეთქი, მაგრამ ვაი ამ თავს! ნაადრევად დაითოვლა, დაიბეჟა, დაჭკნა, დაობდა.

მაგრამ—ნუ, ნუ! ისევ დუმილი სჯობია. მერე იყოს, მერე. ეხლა კი, ამ წერილს რომ მიიღებ, შენი კურთხევა გამოგზავნე და დედაშვილურად გზა დამილოცე.

ამიერიდან მარად შენი და მხოლოდ შენი პეტრე".

წერილი რუსულად იყო დაწერილი და სულ ბოლოს მიწერილი ჰქონდა: „აქამდე პეტრე სოკოლოვი, ამიერიდან კი—ისევ შავარდენიძე".

ჩავიკითხე და მაგიდაზე დავდე. ოთახი დუმილით გაივსო. მე ჭერს შევსცქეროდი, დათიკო კი ისევ ქუჩას ათვალიერებდა. მერე უცებ მოტრიალდა.

— რას იტყვი?

— წერილი დაგვიანებით მოვიდა. შეიძლება თვითონაც აქ იყოს. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩამოვა.

— მაგას არ გეკითხები.

ვიცოდი რასაც მეკითხებოდა, მაგრამ თქმა მეძნელებოდა. სათქმელს გვერდი ავუხვიე და წამოვიწიე.

უცებ ვიღაცამ მომეშველა: კარები დააკაკუნეს—ფრთხილად, მოკრძალებით, აკანკალებული თითით.

ის არის,—შეკრთა დავითი—ალბად ის არის. მიშველე. გაულე.—მითხრა და მოუსვენრად დაბორიალდა.

მივეშველე. კარი გავაღე და ღრმა მოხუცი შემოვუშვი, თანაც დავასწარი:

— მობრძანდით. მოგელიან.

ბინდში ვერ მიცნო. გვერდით გამიარა. კარი ჩაეკეტე, დავბრუნდი და... გავხევდი. იმ ოთახში უკვე სამნი იდგნენ ჩემსავით გახევებულნი, დარცხვენილნი, თავჩაქინდრულნი. მესამე, დათას ცოლი, პეტრეს პირველი დანიშნული მარო მეორე კარით შემოსულიყო.

მაგონდება ჩემი თავი და უწინდელი მაროც. ნათესავად მერგებოდა. საქმროს ღალატი რომ გაიგო, თვრამეტისა იქნებოდა. ხმაც არ ამოუღია. ოღონდ

დადუმდა, შუბლი შეიკრა, განდეგილდა, თითქოს სიჩუმის სამოსელში ჩაძვრაო. დრო გავიდა, ერთხელ დამიბარა და მითხრა:

— მეჯვარედ გამომყე, გივი.

როგორ მოხდა, ან რა მოხდა—არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე. ერთი რამე მაინც გავიგე: დათიკო რომ დაბრუნდა, დედას უთხრა: ეგ ქალი არ გაუშვა. შვილივით მოუარე. მე შევირთავ. ორივე ოჯახს სირცხვილს [illegible] და მეც გავბედნიერდებიო.

ბიბლიოთეკა

დაქორწინდნენ, ერთმანეთი ბედნიერებით გაავსეს და ოთხი შვილიც გამოზარდეს.

და ეხლა, ოცდახუთი წლის შემდეგ, ერთმანეთს მოულოდნელად აესვეტნენ პირისპირ. მე ჯერ მაროს გადავხედე. პეტრეს ისე შესცქეროდა, თითქოს მკვდარი მოელანდაო. ტუჩები უთრთოდა, თითქოს დალაპარაკებას აპირებდაო. მერე უცებ გაბრუნდა და ისევ იმ კარით გავიდა საიდანაც შემოსულიყო

პეტრემ მთრთოლვარე ხელი შუბლზე გადაივლო, მტკივნეულად გაიღიმა და იქვე ჩამოჯდა. დათა მოკლე წვერს იწიწკნიდა, იატაკს დასცქეროდა. ეხლაღა შეეხედე ჩემს დაბრუნებულ ბიძაშვილს.

ორმოცდაათისა ძლივს იქნებოდა. სამოცდაათსაც მისცემდით. გამხდარი, დალეული; მიწისფერი სახე; აჩეჩილი თეთრი წვერ-ულვაში; მიმქრალი თვალები; ყავისფერი კბილები და გამჭვირვალე ყურები. ტანზე—გახუნებული ხალათი, დაკერებული შალვარი და დაგლეჯილი ფეხსაცმელი. რუსულ ქუდს ორივე ხელით სჭმუჭნიდა და იმ ქუდს ბრალიანი ღიმილით უღიმოდა.

— Та...а...а...к.—ამოიოხრა ბოლოს და ქვევიდან ძმას აჰხედა.

— გამარჯვება, პეტრე.—მოაგონდა უმცროსს და ძმას ხელი გაუწოდა.

უმფროსმა უნდილად ჩამოართვა ხელი და ისევ ქუდს ჩაუღიმა, თანაც ჩაულაპარაკა:

— აი, დავბრუნდი. Вернулся таки, брат.

— რასა იქმ, როგორა ხარ?—მიაწოდა დათამ, და პასუხი რომ ვერ მიიღო, დაუმატა:—ქართული ხომ არ დაგავიწყდა?

— Забыл, брат, забыл совсем.

და იმ დღიდან იმ სახლში რუსული დასახლდა.

— დედა სადღაა?—იკითხა უცებ დაბრუნებულმა და მიიხედ-მოიხედა.

— დედა?—დათა გვერდით მიუჯდა, თავი ჩაჰქინდრა და დუმილის შემდეგ თითქოს თავის მუხლებს უპასუხა:—გარდაიცვალა... მარშან გარდაიცვალა.

პეტრემ გაოცებით მოავლო თვალი ოთახს, თითქოს გარდაცვალებულს ეძებდაო, მერე წამწამები აახამხამა და წაიჩურჩულა:

— Странно... очень странно.

ისევ დუმილი ჩამოწვა—ხანგრძლივი, ცივი და უხერხული.

— ეს ქალი—წაილაპარაკა ბოლოს დაბრუნებულმა—მარო... მარო რაღას აკეთებს ამ ოჯახში?

— მარო?—გაოცდა დათიკოც.—მარო ჩემი ცოლია.

— შენი ცოლია?.. არ ვიცოდი, აქამდის არ ვიცოდი... მართალს ამბობ?

— ოც-და სამი წელიწადია შევირთე.

— ოცდასამი... ოცდასამი. - და ისე მოიზილა მელოტი თავი, თითქოს ამ მანძილის გაზომვას ლამობდაო.

— შვილებიცა მყავს, ოთხი შვილი.

— ოთხი შვილი... О Боже!— და უცებ ხელის [illegible] ქვითინა— უმწეო, ბებრული ქვითინით.

ფეხაკრეფით გამოვედი მეორე ოთახში. მარო გულალმა იწვა საწოლზე. ორივე ხელი თვალებზე ჰქონდა აფარებული. მოვბრუნდი და ისევ ფეხაკრეფით წამოვედი.

ჩემს ბიძაშვილს არ გავახსენდი, ან ვერ მიცნო.

3

პეტრე სოკოლოვი ისევ შევარდენიძეთ გადაიქცა. დადის და ადგილს ეძებს. დილით რომ გადის, ბინდისას ბრუნდება. მთელი დღე გარეთ დაბორიალებს. ალბად ერიდება, სხვისი ოჯახი არ შევაწუხოო.

ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ხან სადმე კარებთან ატუზულა და მდივნის პასუხს ელოდება. ხან ტალანში დაბარბაცებს და ვილაც მოხელეს ეძებს. ზოგჯერ რუსთაველის ქუჩაში გრძელ სკამზე ზის და მომპალ ვაშლით ილოლნება, ან კიდევ თავისთანა ნაკაცარს ესაუბრება.

საოცარია, როგორ მალე პოულობენ ერთმანეთს ნათავადარნი, ნაგენერალევნი და ნაკაცარნი! სხედან, თბებიან, ჩურჩულობენ და მავალებს ათვალიერებენ.

თვალს რომ მომკრავს, სალდათივით წამოდგება, მოწიწებით თავს დამიკრავს და ხელს არ მომცემს, სანამ მე თვითონ არ გაუწოდებ.

-- როგორ ბრძანდებით, ბატონო პეტრე?—ვეკითხები.

ეხლაც მიკვირს, რათ ან როგორ ჩამოვარდა ჩვენ შორის თქვენობითი ლაპარაკი და მორიდების კილო?

— გმადლობთ. თქვენ როგორ გიკითხოთ?

— მადლობელი. როგორ მიდის თქვენი საქმე?

პეტრეს საქმე—სამსახურის შოვნა გახლავთ. განათლების კომისარი დაჰპირდა. სახელგამმაც დააიმედა. პროფკავშირებშიც თავაზიანად დაუხვდნენ. ვინმე დალმატოვი, უწინდელი ვენერალი და თითონაც საქმის მძებნელი, ხვალ თუ ზეგ სამსახურს იშოვნის და პეტრესაც მიიღებს. გარდა ამ გენერლისა, ჩემმა ბიძაშვილმა ათიოდე ნაცნობისგან და ოციოდე უცნობისაგანაც მიიღო დაპირება. ან ერთთან გამიმართლდება იმედი, ან მეხუთესთან, ან კიდევ მეცამეტესთან.

— თქვენ ნუ შესწუხდებით.—მაფრთხილებს ბიძაშვილი და ჩემს წასვლას ელოდება. ჩემზე ადრე ადგილიდან არ დაიძვრება.

მე ჩემის გზით მივდივარ. ზოგჯერ ვწუხდები და სხვასაც ვაწუხებ.

— რა იცის? რა შეუძლიან? სად უმსახურნია?—მეკითხებიან.

ჩვენი დროისათვის არაფერიც არ იცის. იურისტია, მაგრამ ეს ხელობა მოკვდა.

— რა შეუძლიან?

ხელობა არა აქვს.

— სად უმსახურია?

რომელიღაც ვოლოსტის კანცელარიაში, მაგრამ მთავარი, უბედურება ის არის, რომ ჩემმა ბიძაშვილმა ქართული არ იცის, რომ ის უფრო სრულიად ვიდრე შავარდენიძე.

— ბატონო პეტრე, როგორ მიდის თქვენი ქართული?— ვკითხავ ზოგჯერ.

— გმადლობთ ბატონო ჩემო. ნელნელა ვსწავლობ.

სწავლობს, უფრო კი ეწამება.

ზოგჯერ საღამო ჟამზე დათიკოსთან შევივლი. პეტრე კაცისმკვლელივით სადმე კუთხეში დაბორიალებს და თავისთვის ბუტბუტებს—ქართულ წიგნს კითხულობს.

— ნახეს უცხო მოკმე ვინმე სჯდა მტირალი წკლისა პირსა...

გამოთქმა ნელნელა უბრუნდება. ლექსიკონს არ იშორებს და ქუჩაშიაც კი ღლიით დაათრევს.

— ვერაფერი ვუშოვნე.— ხშირად მეუბნება დათიკო.

— ვერც მე.—ვუპასუხებ.

პეტრე კი ისევ იმედს დაათრევს და დაპირებით იკვებება. მე კი ხშირად შევსცქერი ბიძაშვილის ნაადრევ ჭაღარას, გაცვეთილ პირისახეს, მოზნექილ ზურგს, გახუნებულ ძონძებს, და მაგონდება კოხტა ბალი და ზღვის პირი. მოქარგული მწვანე ფარდაგები და ქოლგა-ფიქვი, შეკრეჭილი დაფნა და ნაბდიანი ნაძვი, ხშირი მწვანეული და შიგ თეთრი ვეფხი ვაჟკაცი. ეხლა კი ის ვეფხი ძეციან ტურად გადაიქცა, რომელიც სხვათა ჯოგში შეერია და აღარ იცის, ვის მიეკედლოს, როგორ იძლეროს, რას მიუდგეს.

— მებრალება,—ხშირად ამბობს მისი ძმა.—არ ვიცი როგორღა შევიჩვიო. მარტო დასაძინებლად მოდის და მაშინაც არაფერსა სჭამს.

— საბრალოა. არც მე მეკარება.

მრავალჯერ დავპატიჟე, მაგრამ ვერ დავითანხმე.

ერთხელ ხაბაზთან წავაწყდი. გამხმარ პურს ევაჭრებოდა. იყიდა, ყრუ ქუჩაში შეუხვია, უცხოთა კიბეზე ჩამოჯდა, პური წყალში დაასველა და მეავე ყური შეატანა.

ძია პეტრე, დილა მშვიდობისა!

დაფრთხა და შერცხვა, თითქოს ნაქურდალის ჭამაში დაიჭირესო. წამოდგა, დაჯდა, ისევ წამოდგა და სავსე პირით წაიფორხილა:

— საუზმეს გეახლებით.

— რატომ ძმის სახლში არ მიირთმევთ?

ჩაფიქრდა, მოიღუშა და მიპასუხა:

— მაროს ლუკმა დავაკლო?—და მტკიცედ დაუმატა:—არასოდეს.

— სხვა ნათესავებიცა გყავთ, მაგალითად მე.

— რა საჭიროა! თქვენ თქვენთვის, მეც ჩემთვის.

ბიძაშვილი ველარ ვიცანი: მისი მორჩილი ხმა გარდაიქმნა, რიდიან კილოში ბრაზი და ბოლმა მომესმა.

— დასაძინებლად მაინც მობრძანდით ხოლმე.—გავანახევრე ძასპინძლობა.

— ვნახოთ... შეიძლება მოვიდე.—და ისევ ძველებურად გარდაიქმნა—გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, ღმერთი გადაგიხდით.—

და მის ხმაში ცრემლი მომელანდა.

წამოვედი და დავფიქრდი: ვის უწყრება, მე თუ თავის თავს? საწყენი ჩემგან ან დათასაგან არაფერი ჰქონია. თავს ვევლებით, ვპატიჟობთ, ვთავაზობთ დავცდილობთ მწარე დღენი შეუნელოთ. ნათესავისთვის არაფერი დაგვიშავებია.

მარო ახსენა. მაგრამ არც იმას ჩაუდენია ცოდვა. არც საყვედური უთქვამს, არც წარსული გაუხსენებია. მშრალად და გულცივად ეპყრობა, როგორც ახალ ნაცნობს, მაგრამ ერთხელაც არ გასცდენია ზრდილობის საზღვარს და უთავაზო არაფერი შეუკადრებია. მაშ ცხადია: ჩემი ბიძაშვილი თავის თავს ემდურის, საკუთარ წარსულს უბღვერის, ისევ თავას ბედს ეშურლება.

სალამოზე მეწვია. ერთი ჭიქა ჩაი ძლივს დავალევინე, ჩემს ოთახში დავაწვინე და ვკითხე:

— თქვენი საქმე როგორ მიდის, ბიძიავ?

მისი საქმე, ისევ ადგილის შოვნის საქმე, მშვენივრად მიდის. ეხლა შინაგან საქმეთა კომისარიც დაჰპირდა. პოლიგრაფტრესტში ზრდილობიანად მიიღეს. საპნის ქარხანაშიაც იმედი მისცეს. მისი ნაცნობი ნაგენერლევი დალმატოვი ფუნჩულებს ჰყიდის. სამაგიეროდ ახალი ათიოდე ნაცნობი გაიჩინა და ბევრი უცნობიც ეხმარება, ერთი სიტყვით, ხვალ თუ ზეგ ადგილში ჩადგება და მოსულიერდება: ოთახს იშოვნის, საცვლებს იყიდის, ტანისამოსსაც გამოიცვლის და—

— ცოლსაც დავიბარებ.

— სად არის ეხლა თქვენი მეუღლე, ბიძიავ?

— არ ვიცი.—ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ წაილუღლუღა სიბნელეში.—მგონი სამარაში წავიდა... იქნება იქიდან სარატოვშიც გადავიდა; ან სხვა რომელიმე ქალაქში დამეძებს.

— დაგეძებსთ?

სიბნელეში მისი ოხვრა მესმის. მინდა ცოტა რამ გამოვკითხო, მაგრამ მერიდება. თვითონაც არაფერს ამბობს. მეც მეძინება.

იმ ღამეს ორჯერ თუ სამჯერ მეღვიძება. ჩემი ბიძაშვილი კრუსუნებს, ოხრავს, ჭრაჭუნებს და უცნაურს იძახის.

რიჟრაჟზე გამეპარა. ორი კვირის შემდეგ სადღაც კოოპერატივში წავაწყდი.

— რათ მემალებით, ბიძიავ?

არა, ბიძაშვილი არ მემალება.

— ხეირიანა ვცხოვრობ, არაფერიც არ მაკლია.

არაფერიც არ აკლია, გარდა—როგორც ზედვე ეტყობა—ჭამა-სმის, საცვალისა და ზედსაცმელის. რომ არ ვიცნობდე, ხელს ჯიბისკენ წავიღებდი და შავ ფულს მივაწოდებდი.

— საქმე როგორ მიდის, ბიძიავ?

ძალიან კარგად. აღარაფერი გადარჩა—არც კოპერატივი, არც დაწესებულება—რომ არ დაჰპირებოდნენ, თავაზიანად არ დახვედროდნენ, ფულს არ მიეცათ.

ხელი მაინც თავისთავად წამოვიდა ჯიბისკენ.

— ეს მაინც მიიღეთ. როცა გექნებათ, დამიბრუნებეთ.

— არა, არ შემიძლიან.— და მის ხმაში სიცივეა ჩაღვრილი.—დიდათ გმადლობთ. ნახვამდის.—თავი დაღუნა და წავიდა.

თუმნიანი ხელში შემრჩა. გულნატკენი წამოვედი. ორი თვე გავიდა. ზამთარიც მოვიდა. ნათესავი დამეკარგა.

— ალბად უკანვე წავიდა.—მითხრა დათიკომ.

— ალბად.—დავეთანხმე მეც.

დაგვივიწყა და ჩვენც დავივიწყეთ.

ერთხელ საღამო ჟამზე პეტრესთან შევიხედე. ბალღები დაწვნენ. სამნი ვისხედით და ვსაუბრობდით. მაროსთან პეტრეს სახელს არ ვახსენებდით. მაგრამ მე და დათიკოს ენაზე ჩვენი ხელახლად დაკარგული ბიძაშვილის სახელი გვიტრიალებდა. ვიღაც ბიჭმა წერილი შემოიტანა და გაიქცა.

დავხედე და წავიკითხე: „მაროს, დათიკოს და გივის“.

ცხადია, მეც წამეკითხებოდა.

— გახსენი და წაიკითხე.—მითხრა დათიკომ.

მარო დამაშტერდა. გულის ფანცქალით გავხსენი სქელი წერილი და ხმამაღლა დავიწყე კითხვა.

„ჩემო ძვირფასებო, ერთად-ერთო შეგობრებო და ნათესავებო—
მარო, დათიკო და გივი!“

უცებ კარები შეანჯღრიეს, ააბრახუნეს, თითქოს ვიღაცას მოსაკლავად მოს. დევდნენო. კითხვა შევწყვიტე და კარი გავაღე. ვიღაც დედაკაცი გრიგალივით შემოვარდა.

— Здесь он? У вас спрятался?—უმალ მომახალა და დოინჯი შემოიყარა.

ავხედე და გავშტერდი. ჩემს წინ უწვერულვაშო და ქალაბიჭურად ჩაცმული ვინმე იდგა. მეტად განიერი, მრგვალი და მსუქანი პირისახე, ყაყაჩოს ფერად შეღებილი ფუნთუშა ტუჩები, კისრამდე მოკრეჭილი ქერა თმაც შავად შეღებილი და უკვე გახუნებული, ზედ—განიერი კეპი, ზედატანზე—ვაჟური ხალათი, ქვერთ—კაბა მუხლებამდე და სულ დაბლა—ისეთი წვივები, რომ მოჭიდავესაც შეეშურდებოდა. ხალათის ქვეშ რომ ორი ცური არა ჰქონოდა ჩამოკიდული, სამასხროდ გადაცმულ მამაკაცად მივიღებდი.

— აქ არის, აქა! აქ იმალება, მაგრამ ვერ დამემალება.

და მდევარივით სასადილოში შევარდა. მერე საწოლი ოთახიც გაირბინა და მეორე კარით სასტუმროში გამოხტა, სადაც მარო და დათა ისხდნენ.

მეც მოვბრუნდი და შევედი. უცნობი აფხორილ ინდაურივით მისდგომოდა დათას და მრისხანედ ეკითხებოდა, თან წითელსა და მსუქან თითს ცხვირწინ უქნევდა:

— სთქვით მეთქი, სად დამალეთ? Говорите, говорите!

— ქალბატონო, ვინა ბრძანდებით?

— რა დროს ქალბატონია! ველარ დაივიწყეთ ეგ სიტყვა?

— ამხანაგო, ვინა ბრძანდებით?

— ვითომ არ მიცნობს!—გაოცდა ქალა-ბიჭა, თან დოინჯი შემოიყარა და გადიხარხარა. და იმ სიცილმა ხაშხაში და საგიჟეთი გამახსენა.—ხა-ხა-ხა! სტეპანიდა ვარ, სტეპანიდა—თქვენი რძალი, თქვენი ნათესავი. ეხლა ხომ მიცანი? ხა-ხა-ხა, ნათესავები ვართ, ნათესავები მეთქი!

— ქალბატონო, კეთილი იყოს თქვენი გაცნობა, მაგრამ... რადგან... —აირია დათა—თქვენი ქმარი ორი კვირა არ გვინახავს.

— როგორ არა. დაგიჯერეთ!—მიახალა სტეპანიდამ.—აქ არის მეთქი, აქა! ეხლავე მომგვარეთ! მომიყვანეთ!—და ისევ ოთახების შემოსარბენად მოემზადა.

— ქალბატონო, აქ არ არის მეთქი!—შეუტია დათიკომ და ხელგაშლილი გადაეღობა.—დაიჯერეთ და დამშვიდდით, თორემ...

დედაკაცი ჯერ შეკრთა, გაოცდა, თითქოს მაზლის მტკიცე კილო ჩაქუჩივით მოხვდაო. მერე უცებ მოტყდა, მოლბა, ალუღლუღდა:

— მჯერა... რა თქმა უნდა მჯერა... თქვენ ჩემთვის ავს არაფერს იკადრებთ... ჩვენ ხომ ნათესავები ვართ. . მე და თქვენ... თქვენ და მე... О, господи!

და უცებ ორივე მკლავი მოჰხვია, თავი მკერდზე მიუგდო და გულაჩუყებით ატირდა.

სამივენი ერთმანეთს შევსცქეროდით. დათა თვალებით შველას მთხოვდა. მე ძლივს ვიმაგრებდი სიცილს. ბოლოს მივეშველე: სტეპანიდას მხრებში ხელები დავავლე და ლბილად ვურჩიე:

— დამშვიდდით, ქალბატონო!

ანაზდათ დათიკოს მოსწყდა და მღვრიე, მშრალი თვალები მე მომაშტერა.

— არ მოგეწონათ, განა, ჩემი ცრემლი! ვიცი, ცრემლის დრო აღარ არის. ეხლა ცეცხლით და მახვილით ღა შეიძლება ლაპარაკი.—და უცებ ირონიული გესლით აიპრანჭა.—ბოდიშს ვიხდი, ნათესავებო. შეგაწუხეთ, შეგაშფოთეთ, ბურჟუაზიული მშვიდობა დაგირღვიეთ. მაგრამ—და ისევ მრისხანე კილოს დასწვდა—მაგრამ ფრთხილად! თქვენი ბედი, რომ შვიდიოდე წლის წინათ არსად შემხვდით, თორემ... ერთი! ორი! სამი, და...

და ჩვენმა რძალმა ხელებით და პირისახით ისეთი რამ გვაჩვენა, რამაც ერთხელ კიდევ გაგვახსენა შორეული ლანდები. Да, счастлив ваш бог, счастлив, иначе... ეს ვიღა არის?—მიაჩერდა მაროს, თითქოს ეხლა დაინახაო.—ეს ვიღა არის მეთქი? თუმცა... ვიცანი! მივხვდი, მივხვდი! შენ ჩემი მული უნდა იყო, ჩემი მაზლის ცოლი და... და ჩემი ბედნიერი მეტოქე, პეტრეს დანიშნული—О господи! მარო!.. მარუსია—და მაროსაც მკერდში ჩაუქვითინა!—

— ქალბატონო, დამშვიდდით.—ისევ ვოვაგონე.

— Ах да!—გაახსენდა ჩვენს რძალს და მოგვიბრუნდა.—ცრემლის ხანა ალარ არის მეთქი. წავიდა, დიდი ხანია. წავიდა-—უცრემლო თვალები მოისრისა და განაგრძო:—მაშ არ მოსულა? არ გინახავთ? Ну и чорт с ним! Пойду искать.—კარებში მოტრიალდა და მოგვაყარა: А вы не чванитесь! Неча куражиться! Не таких еще видала, под ногами у меня валялись да мои туфли целавали. Буржуи проклятые!—და კარი ისე გაიჯახუნა, ოთახ სახლი შეზანზარდა.

ერთმანეთს გადავხედეთ. მერე სიცილი აგვიტყდა.

— მართლა —გამახსენდა—პეტრეს წერილი?

—მართლა, წაიკითხე —მითხრა დათიკომ.

— წაიკითხე. აქ რაღაც ამბავია.—შემკრთალი ხმით სთქვა მარომაც და დაჯდა.

მეც დავჯექი და დავიწყე. ეს წერილიც რუსულად იყო დაწერილი:

„ჩემო ძვირფასებო, ერთად-ერთო მეგობრებო და ნათესავებო—

—მარო, დათიკო და გივი!

პირადათ ვერ გავბედე. წერილით მაინც გეტყვით ჩემს ამბავს.

სათქმელი ბევრი მაქვს. თუ დალაგებით ვერ დავწერე, ჩემი ბრალი ნუ იქნება. თუმცა, ესეც სათქმელია, რა დროს დალაგებაა, რა დროს ფორმა და სტილია! ვწერ სადღაც სარდაფში. ცივა. ბნელა. ვკანკალებ. ნესტი მკრუნჩხავს.

ვილაცამ თუ რაღაცამ უკან მიმახედა. ამბობენ: კაცი რომ კვდება, მთელი მისი წარსული, თუნდაც ასი წლის სიცოცხლე, დამარხულიდა დავიწყებულიც ერთ წამში თვალწინ გაურბენსო.

მე ჯერ არა ვკვდები, მაგრამ ვილაცამ მძლავრი წყურვილი აღმიძრა ჩემი წარსულის გადასინჯვისა. ვზივარ და ჩემს თავს კინო-სურათივით ვსინჯავ. ავტორიც მე ვარ, მომქმედიც და მსაჯულიც. კადრი კადრს მოსდევს, სურათი სურათსა სცვლის, აქტი აქტს მოერეკება. მე კი ვზივარ, ჩემივე თავს ვწონავ, ვზომავ, ვაფასებ, ვიწუნებ და ვიწონებ.

ვხედავ ჩემს ყრმობას და ჭაბუკობას. დაუსრულებელი სწავლა—წვალება, უთვალავი ნაცნობ-მეგობრები, ამდენივე ნათესავი, პატარა მწუხარება ნემსის ოდენა სისულელისათვის და დიდი სიხარული ამოდენივე საბაბის გამო (უფრო ხშირად კი—უსაბაბოდაც), რთველი და თევზაობა, ნადირობა და ქორწილები, დუდუკი და არგანი, მარო და პირველი სიყვარული—ახ, ღმერთო ჩემო, რა უცნაურად მოგიმართავს ჩემი თუ საერთოდ ადამიანის ბუნება: ერთი კურცხალი ცრემლი ზღვად ეჩვენება, ზღვა-სიხარული კი—ერთ წვეთად ელანდება.

ეხლა მეც ასე მემართება. პირველმა ნახევარმა ოცდახუთი წლის ბედნიერმა ცხოვრებამ ისარივით გამისრიალა თვალწინ, მეორე ნახევარი კი მატლივით მიიზლაზნება.

ეს მეორე ნახევარი იმ დღეს დაიწყო, როცა მე, უგუნური, ეშმაკს ავედევნე—საკუთრს მოვწყდი და უცხოს ავეკიდე.

ალბად გეხსომებათ (დათიკო და გივი შენც გიამბობდნენ, მარო), — ალბად გეხსომებათ ის დღე, როცა უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი „ზეფირ“-ში, ზღვის ნაპირზე, ზაფხულის დასაწყისში. ოჰ, ნეტა შენს მაგიერ, ძმაო დათა, სხვა ვინმე ყოფილიყო მაშინ, შენზე მძლავრი, შეუპოვარი და მოურიდებელი! კისერში ხელს დამავლებდა, იმ ქალს მომაშორებდა, დამაბრუნებდა. შენ კი, ჩემო უმცროსო ეინიანობდი, კაპასობდი, ამიტომ ვერ იმძლავრეს შენი სისუსტე სამუდამო სინანულის წყაროდ დამიტოვე.

თქვენ რომ წახვედით, მეც ნაწყენი გავბრუნდი. „ბავშვია, ცელქობს“. — ვუთხარი ჩემს ახალ საცოლეს და სიდედრს. რაღაც მღრღნიდა, მაწვალებდა, მაგრამ ვსძლიე, ჩავკალი და კვირა საღამოს იმ ქალ-დედაკაცს ზედსიძედ ჩავუსახლდი.

მეორე თუ მესამე დღიდანვე შემიყვანეს თავიანთ ქვეყანაში. ერთი კვირა დავდიოდით და ჩემი ცოლ-სიდედრის მეგობრებს ვეცნობოდი. ზაფხულის მიწურულში მეფის სახლიც ჩამოვიდა და იქვე ლივადიაში დასახლდა. მას მოჰყვა მრავალი ნათესავი, დიდებული, კარის კაცი და ბედის მაძიებელი.

მანამდისაც გასაოცარს ვიყავი: მაკვირვებდა ჩემი ცოლ-სიდედრის ნაცნობ-მეგობართა სიუხვე. ზღვის სანაპიროზე ყველგან ჰყავდა რამდენიმე ახლობელი — იალტას, გურზუფს, ალუშტას, ალუპკაში და მათ შორის უხვად გაფანტულ სასახლე-აგარაკებზედაც. ეხლა კი, როცა დიდებულნი და ზემოურნი ჩამოვიდნენ, ჩემი ახალი სახლი თერძების, პარიკმახერებისა და მკერვალების ბინად გადაიქცა. დილით-დილამდე გვაცმევდნენ, გვარცხნიდნენ, გვაჭმევდნენ, გვასმევდნენ, გვხდიდნენ და ისევ გვაცმევდნენ.

ჩემი სიმამრი, რომელიც ვერ გავაბედნიერე, რადგან ორი წლით ადრე მომკვდარიყო, ურალელი ყაზახი იყო და მეფის ამალაში მსახურებდა. იქიდან იცნობდნენ ერთმანეთს ჩემი ცოლ-სიდედრი და კარის ხალხი.

დილიდანვე იწყებოდა ფორიაქი, აქოთება, სამზადისი. მერე ან ჩვენ მივდიოდით სადმე, ან სხვები მოდიოდნენ ჩვენთან, ან კიდევ ისინიც მოდიოდნენ და ჩვენც მივდიოდით.

რიგრიგად ჰქუხდა მუსიკა ხან ლივადიის სასახლეში, ხან ალუპკაში, ზოგჯერ მასანდრაში და ზოგჯერაც აიპეტრის მაღლობზედ. ჩვენი და სხვების მოტორიანი ან იალქნიანი ნავები ხშირად ზოლავდნენ იალტის ყურეს. კურზალში სიარულს არ ვკადრულობდით, იქ მცირე მოხელე და ვიგინდარა ხალხი დადიოდა.

სიდედრი ჩემს თავს მუდამ ხელში სჩრიდა კარისკაცებს. გამაცნო ვიტტე, ერმოლოვი, ნარიშკინი, კუროპატკინი და ოციოდე დიდებული. დაჟინებით თხოულობდა, რომ სამსახურში შევსულიყავი და ოჯახი პეტერბურგში გადამეყვანა. მაგრამ მე მოხელედ არ ვიყავი დაბადებული. ხელთ მქონდა მრავალი ფული, დიდი მამული, სიცოცხლის ხალისი, ულეველი ძალღონე და უზღვარბლო თავისუფლება; მყავდა ფუნჩულა ცოლი, ახალი მეგობრები და მოურავ-მოჯამაგირენი — მეტი რაღა მინდოდა!

ატავიზმის ძალით წინაპართა უნარი და სიყვარულიც გამეღვიძა ბალში ტრიალის, მარანში ცოდვილობის, ვაზის გასხვლისა და მუდამ ბუნების კალთებზე გორაობისა. ვერ ვიტყვი, რომ შრომა შემყვარებოდეს, მაგრამ შეხამუშებოდა მუდმივი ტლინკაობაც, გარეცხილ ბოძივით პარკეტზე დარბოლაც და გაუთავებელი ჩაცმა, ვარცხნა ბ ნაჭარბევი ზრდილობის სადარაჯოზე დგომაც. მეჩოთირებოდა ჩინოსან-გვაროსანებისათვის წარამარად გუნდრუკ[illegible] ერთი სიტყვით, მე მიწისაკენ მოვიწევდი, სიდედრი კარ-სასახლისაკენ [illegible] ალებისაკენ მიმათრევდა. ჩემი ცოლი კი განზედ იდგა და გვეუბნებოდა:

„ჩემთვის სულ ერთია, როგორც გინდათ, გადასჭერით, თუნდ აქვე დავრჩეთ, თუნდ პეტერბურგში გადავსახლდეთ.“

არც მწვადი დავწვით, არც შამფური. ზაფხულ-შემოდგომას ყირიმში ვცხოვრობდით, ზამთარ-გაზაფხულს კი პეტერბურგში ვატარებდით.

წელიწადი წელიწადს მოსდევდა. მე ვსიძობდი. ცოლი ცოლობდა, სიდედრი სიდედრობდა. ჩემი სიძობის მთავარი ზოლი ეხლა უფრო ნათლად მოსჩანს, ვიდრე მაშინ ვხედავდი. ყველაფერი წაიშალა და მიჰქრა—გარდა ერთისა: უფრო დაქირავებული ულაყი ვიყავი ვიდრე ოჯახის თავი. ზერჩეული საჭმელი და სასმელი, გამოცდილი მზარეული, მრავალი მოსამსახურე, მშვენიერი ბინა, ძვირფასი ავეჯი, ფაქიზი საცვალი, ფაფუკი ლოგინი და ათასი ფუფუნების ნივთი თუ საგანი მისთვის იყო მოგონილი და მოგროვილი, რომ აზიზად შეენახათ ჩემი ტანი და უხვად დაეგროვნათ ენერგია სტეპანიდასათვის.

ჩემი სიდედრი მთავარი მეჯინიბე იყო, რომელიც ინგლისურ კვიცივით მივლიდა და მზრდიდა. თუ წიგნი გამიტაცებდა, ხელიდან მტაცებდნენ — გაწყენსო. თუ სპორტს გავყვებოდი, თავის დროზე გამაწყვეტინებდნენ — ნუ აჭარბებ, გაწყენსო. ზოგჯერ ერთ ჭიქა კახურს მეტს დავლევდი — სიდედრი შხამად ამომადენდა. ყოველი ჩემი ნაბიჯი გაზომილი იყო, ყოველი ლუკმა — აწონილი, ამოსუნთქვა — ნაანგარიშევი. ისიც კი ვიცი, რომ სიდედრი სტეპანიდას დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე ჩვენს ინტიმურ ცხოვრებას და ათასნაირ დარიგებას აძლევდა.

ზოგჯერ მე და სტეპანიდას მცირე კამათი მოგვივიდოდა. სიდედრი სიდედრობდა: მრისხანე ჟანდარმივით უმალ ჩემს წინ გაიჭიმებოდა და ფელდფებელივით შემომიტევდა. რა თქმა უნდა, ბრალიანი მუდამ მე გამოვდიოდი.

სიდედრი დამიბერდა და მოკვდა. ვისარგებლე და სამუდამოდ ხლვის ნაპირზე „ზეფირ“-ში დავსახლდი. შვილი არა გვყვანდა. ბრალი სტეპანიდასი იყო.

ასე გავიდა თხუთმეტი წელიწადი. მოვიდა დიდი ომი. მობრძანდა წითელი დედოფალიც. ცხოვრება იმ ზღვაზე მეტად აიფურთნა, აიშალა. და იმ რევოლიუციასთან ერთად ჩემი ცოლიც აირია, აიბურძნა.

„გაიმარჯვებენ“. — ჩამკირკიტებს სტეპანიდა.

„ნუ სულელობ!“ — ვამშვიდებ დედაკაცს.

მაგრამ ვერ დავამშვიდე. აზრი სურვილად გადაექცა, სურვილი წყურვილად მოედო.

ერთხელ ნორმაზე მეტი დალია და ამიხირდა:

„გეუბნები, ჩვენები გაიმარჯვებენ მეთქი! — და მაგიდა მუშტით ააბზრიალა. — ჩვენები მოდიან!.. ჩვენები მოვლენ!.. მაშინ აგლაგმავთ!.. მოგლუნავთ! დაგამსხვრევთ!“ — და მოჰყვა: გაწითლდა, გამწარდა, აჯანყდა, მუშა მებაღეს დაუძახა, ჩაჰკოცნა და მიაძახა:

„თქვენი ვარ, თქვენი!“

მეჯინიბესაც გადაეხვია და დაუბეჭდა:

„ჩვენი ხარ, ჩვენი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ყველა მსახურ-მუშებს მოუყარა თავი, სკამზე შესდგა და დაიწყო:

„ამხანაგებო! მუშები და გლეხები იბრძვიან... თეთრების ტირანია თავდება... შრომის სამეფო მოდის... ძირს ჯალათები! დაჰკარით! მისცხეთ!“

და იმ დღიდან სახლში მტერი ჩამისახლდა. ვეკითხები:

„რა გახარებს, სტეპანიდა? მოვლენ და ყოველივეს წაგვართმევენ“.

— „Наплевать!“—აიჩემა—მომბეზრდა ფუფუნება. სხვებმაც უნდა იცხოვრონ“.

და დილით დილამდე დარბის, მიიპარება, სხვებსაც მალავს, თვითონაც იმალება, ძალებს აგროვებს, აგიტაციას ეწევა, აუმღვრევს და გაიძახის:

„თეთრების ტირანია თავდება! შრომის სამეფო მოდის! ძირს ჯალათები! დაჰკარით! შემუსრეთ! მისცხეთ!“.

ცოლის წარსულს ვიგონებ. სანამ დედა ჰყავდა გვერდით და დინჯებში სცხოვრობდა, თვითონაც დინჯად იყო. მხოლოდ ზოგჯერ იფეთქებდა ხოლმე. ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა გაწეწილი სტეპანიდა გრიგალივით დაჰქროდა. ჭურჭელი, კოლოფები, ავეჯი—ყოველივე იმსხვრევოდა. ხოლო შემდეგ ჩემი ცოლი ლოგინზე ეგდო და ჰკიოდა, კრუსუნებდა, ჰბორგავდა.

ვაი პირფარეშის ბრალი, თუ ხელში ჩაუვარდებოდა. იმ წამებში ჩემი ცოლი, ლონიერი და მარდი დედაკაცი, აფთარს ჰგავდა: მოახლეს თმებით დაითრევდა, ფეხქვეშ ჩაიგდებდა, სძიძგნიდა, სცემდა, აწამებდა.

ნახევარი საათის შემდეგ, სულს რომ მოიბრუნებდა, იმ მოახლეს მოიწვევდა, ჩაიხუტებდა, იტირებდა, ატირებდა და უხვი ჯილდოთი გაისტუმრებდა.

ზოგჯერ, თუ მიზეზს ვერ უპოვნიდა, განგებ შარსაც მოსდებდა: ბეჭედს ან საბაჯურს დამალავდა, მოახლეს ქურდობას დააბრალებდა და მიჰბეჭავდა.

დასისხლიანებული და შემოძარცული ქალი საპირფარეშოში გავარდებოდა, მაგრამ იქიდან რისხვისა და ტირილის ნაცვლად სიცილი და ოხუნჯობა ისმოდა. იქ კარგად იცნობდნენ ჩემი ცოლის სენს და უხვადაც სარგებლობდნენ. ცემის ჯილდო დიდი იყო და ყველას წილი ჰქონდა.

სტეპანიდამ ჩემზედაც სცადა თვისი ენერგია, მაგრამ უმალ ხელი ავაღებინე. ექიმები მამშვიდებდნენ: ნერვები აქვს აშლილიო, და ზღვის წყალი მირჩიეს. სტეპანიდა ბანაობდა, მაგრამ სიკაპასე ემატებოდა, თითქო წყლის ნაცვლად ცეცხლში იწვოდაო.

„ჩვენები მოვიდნენ, ჩვენები!“—დაიძახა ერთ დღეს და გაწეწილი გავარდა შარაზე. თან რევოლვერი გაიტაცა და ყველა მავალს—დიდსა და პატარას, ქალსა და მამაკაცს— სროლა აუტეხა.

„სტეპანიდა, რას სჩადიხარ!“—და მისკენ გავიქეცი.

„აჰა, შენც აქა ხარ! სწორედ შენ გეძებდი, შენ!“—ისე მომაძახა და შემომხედა, თითქო მართლა დიდხანს მეძებდა და ეხლალა მიპოვნაო, და ოთხჯერ თუ ხუთჯერ დამახალა რევოლვერი.

„აგრე! აგრე! ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ!“—სიცილით ამხნევებდნენ უბედურს ჩვენი მოჯამაგირენი.

ცხადი იყო, სტეპანიდა შეიშალა. ვაზნები გამოელია. ოთახში ძლივს შევიმაგრეთ, სახლში დავაბრუნეთ და საწოლზე დავაბით. ჩემზე იყო გადარეული. შაფურთხებდა, მოიწევდა, ჰბორგავდა და იხვეწებოდა:

„ვინც მიყვარს, ის უნდა მოვკლა! გამიშვით! მომაკვლევინეთ! ჩემი ქმარი მაინც მომაკვლევინეთ!“

საღამო ჟამს ძლივს დამშვიდდა. გავბრიყვდი და აუშვი. მაინც ვიფრთხილე და ცალკე ოთახში ჩავიკეტე.

შუაღამისას კივილი და ფორიაქი ასტყდა. წამოვხტი და კარს ვეცი, მაგრამ გვინდა იყო; სტეპანიდას სწორედ ჩემი კარის წინ ავეჯი დაეგროვებინა და ცეცხლი მიეცა. სარკმლიდან გადავხტი და თავს ვუშველე. გიჟი ძლივს შევკარით და იალტის საგიჟეთში ჩავსვით. მაგრამ იმ ღამეს თვითონ ქალაქიც და არე-მარეც სტეპანიდას ჰგავდა: ცეცხლი, სროლა, სირბილი და კივილი მესმოდა და მელანდებოდა.

„ზეფირი“ დაიწვა. ქუდიც კი ვერ ვადავარჩინე.

წამოვედი. დავდივარ მას შემდეგ კიდით-კიდემდე. ფეხდაფეხ მომდევენ ჩემი ცოლი და სიკვდილი. ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჩავსვი საგიჟეთში და სხვაგან გადავიკარგე. დამშვიდდება, გამოვა, ამედევნება. მიპოვნის და დამადგება:

„ეხლა სადღა წამიხვალ? მოვიდა შენი აღსასრულის დღე. მოემზადე, ჩემო პეტრე!“

მადლობა უფალსა, მუდამ მამზადებს სიკვდილისათვის:

„მღვდელს აღსარება უთხარი, ეზიარე და მოდი“.

ეკლესიის მაგიერ სადგურზე მივდივარ ან გადავიმალები სადმე, სტეპანიდა კი სახლში მელოდება გალესილი დანით.

ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოვიმართე პაწაწინა ოთახი და ერთხელაც ვერ შევინარჩუნე. მეექვსეჯერ კავკავში დამინგრია. არ ვიცი, როგორ მომაგნო. ერთ საღამოს შემოიჭრა და მომაძახა:

„ეხლა სადღა წამიხვალ! აჰა, მღვდელიც მოგიყვანე. აბა, გაათავე: აქვე უთხარი აღსარებაცა და აქვე ეზიარე“.

ბებერი მღვდელი კარებში იდგა და გაოცებით შემომცქეროდა.

„მე მითხრეს, მომაკვდავი მყავს საზიარებელიო, თქვენ კი“...

მე კი შუა ოთახში ვიდექი და მომაკვდავისა არაფერი მეტყობოდა.

„კარგი სტეპანიდა, ეხლავე ვეზიარები“.—ვუთხარი მორჩილებით და დავუმატე:—„გარეთ გადი და მანდ მომიცადე. აღსარებას მესამე ვერ დაესწრება“.

„ეგეც მართალია“.—დამეთანხმა სტეპანიდა.—აქვე მოვიცდი“.—და გავიდა.

უმალ ყოველივე ავუხსენი მღვდელს. სარკმელიდან გადავიპარე, ზოგი რა

შეც გადავიტანე, მოხუცი მღვდელიც გადავიყვანე და ოთხი დღის შემდეგ დედა-ქალაქის გზას დავადექი.

დანარჩენი თქვენც იცით. აქამდე ეს წერილი დაწერილი მქონდა. მინდოდა სხვა რამე მომეწერნა, ჩემი ამბავი სულ სხვანაირად დამესრულებინა. მაგრამ ბედმა თუ უბედობამ ახალ გზაზე გადამიყვანა. წერის დროს იმავე უბედობამ საბრალო სტეფანიდას ლანდი დამაყენა თავზე. სიცილ-ხარხარით შემომივარდა და ორივე ხელით დამწვდა მარებში.

„ეხლა სადღა წამიხვალ, პიერ!"—მანჯღრევდა და ხარხარებდა—„სადღა წამიხვალ მეთქი, სად!"

„არსად"—ვუპასუხე ისეთი სიმშვიდით, რომ მე თვითონვე გამიკვირდა. ჩემმა სიდინჯემ უცებ მოსტეხა სტეპანიდა.

„მართლა? აღარ გამექცევი?"

„არა მეთქი. აი, აქა ვარ. რაც გინდა მიყავი".

„მართალს ამბობ? მაშ აქამდე რად გამირბოდი?"

„იმიტომ, რომ ჩემს ქალაქში მინდოდა სიკვდილი".

„მაშ რატომ აქამდის არ მითხარი? მე თვითონვე ჩამოგიყვანდი და"...

„თავი დაანებე წარსულს, სტეპანიდა. ორივენი აქა ვართ. შეასრულე შენი საქმე".

„მართლა? კეთილი, მაგრამ ველარ მომატყუებ. ეხლა მე თვითონვე წაგიყვან მღვდელთან და"...

„რა საჭიროა. დღეს ვიყავი აღსარებაზე.

„ზიარება?"

„ვეზიარე".

„მაშ..."—და ველარ დაასრულა.

„მაშ გამათავე. აჰა, მზათა ვარ".

დამიჯერეთ, მეგობრებო, არ ვაჭარბებ; მე უკვე მკვდარი ვიყავი და ეხლაც მკვდარი ვარ, რადგან მეც ისევე აღარა მაქვს სიცოცხლის სურვილი, როგორც დამხრჩვალს წყლის წყურვილი. ყოველივე გათავდა და აღარაფერს მოველი—არც ხვალ, არც ზეგ, არც მომავალ წელსა და აღარც ათიოდე წლის შემდეგ. აღარც მე ვესაჭიროები ვინმეს, აღარც სხვა ვინმე ან რამე მესაჭიროება. ასეთ გათავებულ ადამიანს უმალვე იცნობთ, და სტეპანიდამაც მიცნო. ჩემს თვალებში ველარაფერი ამოიკითხა და ჩემს ხმაშიც სიცოცხლის უნარი ველარ გაიგო.

„გამათავე მეთქი"—ასეთი გულგრილობით ვუთხარი, რომ მევე შემეშინდა ჩემი დაცარიელებული სულისა.

„მართლა?.. არა ხუმრობ... ეზიარე?"—აბუტბუტდა ცოლი თუ ნაცოლარი. —„მაშ აღარ გეშინია ჩემი".

„არა, აღარ მეშინია... გაათავე... გამათავე. ოღონდ ნუ დამტანჯავ".—და თვალი თვალში გავუყარე.

სანთლის მკრთალი შუქი თრთოდა მის წითურ სახეზე და მისი სახეც

ათრთოლდა მკრთალ სინათლეზე. დანა ხელიდან გაუვარდა, თვითონ მუხლებზე დამეცა, ჩამეხუტა და აქვითინდა.

სიცოცხლის უნარი აღარა მქონდა მეთქი. მაგრამ ჩემი მოდუნება და მორჩილება ამავე დროს ხერხიც იყო.

გასჭრა და ეხლა სტეპანიდა მოადუნა. კარგად ვიცოდი ჩემი ნაცოლარის ხასიათი: გაშმაგებიდან გალხობამდე ერთი გოჯი მანძილი ძალიან ეჭირებოდა.

„მე მაინც შევასრულებ ჩემს წმიდა ვალს“—განცახადა და წამოსდგა.— „მაგრამ ერთ დღე სიცოცხლეს კიდევ გაჩუქებ. ხვალ ამ დროს კი“...

და მტკიცედ დამპირდა, ხვალ ამ დროს ქათამსავით ყელს გამოგჭრიო ისიც კი დამაბარა, ხვალ შინ დამიხვდიო, და გულდაჯერებული წავიდა

სხვა დროს სტეპანიდას უბრალოდ მოვიშორებდი: ჩემივე ხელით შევკრავდი და ისევ საგიჟეთში ჩავამწყვდევდი. თუ ისევ გამოვიდოდა, ხელახლად შევბოჭავდი, ან სხვა გზით მოვიშორებდი. ეხლა კი არც ამის სურვილი მაქვს არც უნარი. ამოდენა ხეტიალმა და უბედურებამ ერთიც გამომაცალა და მეორეც.

თავის მოკვლა ბურღივით მიხვრეტავს უნდილ ტვინს. მუდამ გამძლედ მიმაჩნდა ჩემი თავი. ეს ავი საქმე აზრადაც არ გამივლია, თუმცა საამისო საბაბი, მას შემდეგ რაც ყოველივე დავკარგე, ათასჯერ მქონია. ეხლა კი მარტო ამას-ღა ვფიქრობ, და სტეპანიდას მოსვლამდისაც ჩემი გონება ვერის ხიდზედ იყო დაყუდებული.

მე ჩემი გზა დავლიე. აღარ შემრჩა არც მიზანი ამ ქვეყნად, არც ხალისი, არც მემკვიდრე, არც სიყვარული, არც სიძულვილი. ან უნარი სიხარულისა-თუნდაც დიდი ვარამისა და გოდებისა—აღარაფერი, აღარაფერი! უშნოდ დავათრევ ძაღლურ სიცოცხლეს და თვითონ სიცოცხლეც თოკით მიმათრევს ჭირიან მძორივით.

ბოგანო ვარ, ბოგანოთა ბოგანო. ბინად—ნესტიანი შავი სარდაფი, ტანისამოსად—რაღაც ძონძები, ჭამად—დამპალი მწნილები, ნათესავებად—ყინულის გული, გონების საზრდოდ—ქუჩის მტვერი, და ერთადერთ მიზნად—იგივე მწნილი და შავი პურის ნატეხი. სხვანაირ ცხოვრებაზე რომ არ ვყოფილიყავ აღზრდილი, საგოდებელიც არაფერი მექნებოდა, ეხლა კი ჩემი ცხოვრება დაუღეველ გოლგოთად გადაიქცა, რომელიც მარტო ვერის ხიდზე თუ გათავდება.

მაგონდება სამუდამო დავა: გმირად ჩაითვლება თავის მკვლელი თუ სულმოკლედო? ჩვენც, ნაკაცარებსაც, ხშირად გვქონია ამისთანა საუბარი.

„რა გმირობაა თავის მოკვლა!—მითხრა ერთმა ჩემისთანა ბოგანომ.—გმირები ჩვენა ვართ, რომ ასეთ სიცოცხლეს ათ წელიწადს დავათრევთ“.

„მართალია,—დაუდასტურა მეორემ,—ჩვენს დროში ცოცხლად დარჩენაც კი თავისთავად უუდიდესი გმირობაა“.

ვფიქრობ და განაჩენიც გამომაქვს: თავისთავად თვითმკვლელობა უბრალო ფიზიკური ფაქტია. მას მხოლოდ მაშინ ეძლევა ზნეობრივი წონა, როცა ცალკეულად გამოიკვლევ და ზედმიწევნით შეისწავლი. მოციქულებს იუდას ზნეობრივი გასრესა უნდოდათ და თავი მოაკვლეინეს, ნამდვილად კი უნებურად

გმირთა სიაში ჩარიცხეს. პავლემ ნინო შეიყვარა. ნინოს გულმა არ უპასუხა. პავლემ თავი მოიკლა. გზაც იქით ჰქონია! აი რა უცნაურად დაიხლართა ჩემს თავში ეს დავა.

ვუბრუნდები ჩემს თავს. თითისოდენა ბალღი კივილით იბადება, ვაჟკაცი კი ფეხაკრეფით უნდა გაიპაროს ამ ქვეყნიდან — ასეთია ჩემი რწმენა და ბუნება.

ჩემი დროც მოვიდა, მეც მიეიპარები. გმირულად თუ [illegible]? არც გმირულად და არც დიაცურად, არამედ ფეხაკრეფით, ჩუმად, [illegible]

ოცდახუთ წელიწადს ვიყავით ერთმანეთისათვის დავიწყებული. ნურც ეხლა გავიხსენებთ ურთერთს. იყო და არა იყო რა, და რაც იყო, ისიც არ იყო— მორჩა და გათავდა! ნუ გაგიკვირდებათ ჩემი გულდინჯობა. იცხოვრეთ მშვიდად და ბედნიერად. ამ წერილსაც იმისთვის გწერთ, რომ ჩემი ძებნითაც არ შეწუხდეთ. ნურც იმას იკითხავთ, თავი დავიხრჩე თუ სხვაგან სადმე გადავიკარგე. თქვენი პეტრე. ყინულივით დადნა ან ბოლივით გაქრა—მორჩა და გათავდა!

მადლობის შემოთვლაც მეძნელება და ბოდიშის მოხდაც მემძიმება. თქვენ თქვენი შეასრულეთ: მტერი ვიყავი და ნათესავად მიმიღეთ. საბოდიშო კი არაფერი მაქვს: ჩემი წინდაუხედაობით მარიამმაც მოიგო, რადგან ჩემზე უკეთესი მეუღლე იშოვნა, და დავითმაც, რადგან მეორე მარიამს ველარსად იპოვნიდა.

ერთს მაინც გეხვეწებით: ავად ნულარ მომიხსენებთ, ნულარ დამძრახავთ. ერთი დავაშავე და ათასი მივიღე საზღაურად. ერთხელ შევცდი და ასჯერ დავისაჯე. ერთხელ გიღალატეთ და სამუდამოდ დავიღუპე.

მშვიდობით იყავით. თავს ნუ შეიწუხებთ ჩემი ძებნით.

პეტრე შავარდენიძე—სოკოლოვი".

V

ნათესავებს გადავხედე. მარო უკვე ზეზე იდგა—მთრთოლვარე და გაფითრებული. დათას თავი ხელებში ჩაეგდო.

— ჩქარა, ჩქარა!—წაიჩურჩულა მარომ.—წავიდეთ, ეხლავე წავიდეთ, თორემ...

— სად წავიდეთ, ქალო?—უნდილად ჰკითხა ქმარმა.

— საძებნელად. აბა, წამოდექი!

აფუსფუსდა, ორ წამში შეემზადა, კიბეზე დაეშვა და ჩვენც გაგვიტაცა. მირბოდა, თითქო მტერი მისდევდაო. ზოგჯერ მოიხედავდა და შემოგვძახებდა:

— აჩქარდით! რა დაგემართათ!

— რა ვქნა, სად მივყევართ ამ ქალს?—გაოცებით ბეკითხებოდა დათიკო და ნაბიჯს უმატებდა.

ხუთი წამის შემდეგ ვერის ხიდს მივადექით. მარო შესდგა. მივიხედ-მოვიხედეთ. არც ჩოჩქოლი, არც ხალხი შექუჩული.

ვიღაც სწრაფი ნაბიჯით მიუძღვის მილიციელს და ქვეით ნაპირისკენ მიჰყავს, თან ეუბნება:

— ერთი ბლუზა ეგდო და ზედ დაწერილი ქალალდი იდო. ზევიდან ქვა ჰქონდა დადებული.

— აქეთ წამოდით!—ბრძანების კილოთი გვეუბნება მარო და იმ ორს მისდევს სიბნელეში.

ფარნის ქვეშ ათიოდე კაცი ფუსფუსებს. ყველანი ლაპარაკობენ, ერთმანეთს ალარ აცლიან. და ყველას ყაყანს ერთი კაპასი ხმა ჰფარავს:

Чорт! Дьявол! თავი დაიხრჩო! მამა უცხონდა, არ მატიროს! მიბრძანდი! გზა მშვიდობისა! უმალ ვიცანი სტეპანიდა. სდგას და ქოქოლს [illegible] სიბნელეში მჩქეფარე მტკვარს, თანაც გესლით მისძახის:

— როგორ არა, არ ამატირო!.. გზა მშვიდობისა!.. Чорт! Дьявол!

— რა მოხდა? რა ამბავია?—ვეკითხებით ვილაცას.

— აი აქ იდო ეს ბლუზა.—გვიხსნის ის კაცი, რომელიც მილიციელს მოჰყვა.—ზედ ეს ქალალდი და ეს ქვა ედო.

დაგლეჯილი ხალათი—ვინ იცის, ვისია ეს ხალათი? ქალალდის ნაფლეთზე კი სწერია: „ნულარ მეძებთ. პეტრე შავარდენიძე—სოკოლოვი“.

— ვინ დაინახა, რომ გადავარდა?—ვეკითხები.

არავინ. ბევრნი ტრიალებდნენ მახლობლად, მაგრამ თვალიც არავის მოუკრავს. დათას და მაროს გადავხედე. უმალ განზე გავიყვანე.

— აქ რალაც ამბავია.—ვეუბნები.—გაიხსენეთ ერთი სტრიქონი. იწერება ნუ იკითხავთ, თავი დავიხრჩე ფუ სხვაგან სადმე გადავიკარგეო.

— მართლა, აგრე სწერია იმ წერილში!—მოეჭიდა ჩემ ნათქვამს დათა.

— მაშ...—ძლივს ამოისუნთქა ეს ერთი სიტყვა მარომ.

— მაშ სადგურისაკენ!—ეხლა უკვე მე გავეცი ბრძანება.

— მამა გიცხონდა! არ ამატირო! Чорт! Дьявол!—ისევ თავისას გაჰკივის სტეპანიდა და ვერც კი გვცნობს.

ოციოდე წამის შემდეგ სამივენი ბაქანზე ვართ. ფოსტის მატარებელი მზათ არის. მივდივართ იმის გასაჩხრეკად—მე თავიდან, დათა კი ბოლოდან. მარო მე მომდევს. ოთხი ვაგონი გავიარეთ. დაწოლილებსაც გულ მოდგინედ ვსინჯავთ. იმედი გვეკარგება. მარო ძლივსღა მომდევს. ბარბაცებს და თავის თავს ეკითხება:

— ნუ თუ?.. დავიჯეროთ?. ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება დამატყდა!

ზემო სკამზე ვილაც წევს მოკრუნჩხული. პირი კედლისთვის მიუბჯენია და ხელებიც ისე აუფარებია ზედ, რომ შეუძლებელია მიდგომა და გასინჯვა. მარო უცებ გამოცოცხლდა. თითით და თვალებით მიჩვენებს უცნობის ზურგს, თითქო მეუბნებაო: ეგ არის, ეგ!

ავფოფხდი, ვაცქერდები. ტანი თითქო პეტრესია, თავიც, თეთრი თმაც და რუსული ქუდიც. ხმის გაცემას მაინც ვერ ვბედავ. სამაგიეროდ მარო ჰბედავს: ხელით ფეხს უნძრევს და ეხვეწება:

— პეტრე... პეტო... პეტუში!

მოხუცის ზურგი ფართხალებს. პეტრე ჩუმად ქვითინებს. უკანა ვაგონიდან დათაც შემოდის. ვსდუმვართ და ველით.

— პეტრე, ჩამოდი! გესმის, ჩამოდი მეთქი!—შეუტია ჩუმი ხმით დათამ.

— პეტო... პეტუში.—ეაჯება მარო.

პეტრე გადმობრუნდა. წამოიწია. ნაცემი ბალღივით შემოგვანათა დანამული თვალები და უცებ ისევ მიტრიალდა, თავისი თავი ისევ კედლის კუთხეში ჩაარჭო და გაინაბა.

— როგორ არა, შემაშინე!—მოგვესმა უკნიდან დედაკაცის ხმა.—მამა გიცხონდა! Чорт! Дьявол!

ჩვენც გავინაბენით. სტეპანიდამ წყეველითა და ბურტყუნით გასცა, დარაბას მიეფარა და სადღაც კუთხეში დაჯდა.

— Чорт! Дьявол!

ნამტირალევი მოხუცი ქურდივით ჩამოცოცდა, თანაც პაწია ბოხჩა ჩამოათრია და სასიკვდილოდ გამზადებულივით გაიყინა, მაროომ მკლავში ხელი გაუყარა და ფეხაკრეფით გაიყვანა. მე და დათაც ასეთივე ნაბიჯით გამოვყევით.

— შე უბედურო... მე უბედური... არც კი გრცხვენია.—მესმოდა წინ მიმავალი მაროს ბუტბუტი.

* * *

ეხლა პეტრეს ხან ჩემთან სძინავს, ხან დათასთან. მუდმივი პინა კი ისევ ქუჩაში აქვს.

— ძია პეტრე, როგორ არის ჩვენი საქმე?—ვეკითხები დროგამოშვებით.

„ჩვენი საქმე“ მშვენიერად არის. დღეს თუ ხვალ კეთილად დასრულდება:

— სახელგამში დამპირდნენ... გარდა ამისა, ამ დღეებში ჩემს ნაცნობს დალამატოვს კოოპერატივში მიიღებენ. პირობა მისცა ჩემს მეგობარს, ჯერ შენ მიგიღებ და მერე შენს მეგობარსაცაო... ცეკავშირშიც თავაზიანად მიმიღეს... ხვალ მუშკორშიც შევიხედავ.

— მშვიდობით იყავი, ძია პეტრე! ნახვამდის!

— ნახვამდის, ჩემო კარგო, ნახვამდის!

სტეფანე ქასრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეჯინიბე

I

შემოდგომის ბნელი ღამეა. ქალაქს სძინავს.

საჯინიბოს ეზოში მოდუნებულად დადის ქურქში გახვეული კობა; ის არ სჩანს და მის მაგივრად მოძრაობს სქელი ქურქი, ქეჩის ჩექმები და ბუხრის ქუდი, კობა ფხიზლობს, ამთქნარებს, და ქურქიდან ამოდის ორთქლი.

— ბაბაი, ჰეი ბაბაი;— ხმამაღლა იძახის კობა და ყურს უგდებს უკმაყოფილო ხმას, მკრთლად განათებულ ოთახიდან რომ მოისმის:

— შენი სინდისი რა უთხარი, კობა! მომასვენე რაღა!

კობა სიხარულით ედავება:

— ჰაი, ქიოფაოღლი, ბაბაი!

უბიდან გაზეთის ნახევი ფროთხილად ამოაქვს, შიგ მსხვილად დაჭრილ თუთუნს ახვევს, მუშტუქს აწყობს და პირში იჩრის. ეხლა ღამეა, თორემ კობას მუშტუქი უბადრუკი რამ არის: გამურული, ჭუჭყით სავსე, კბილით დაღრღნილი—პირდაპირ სამარცხვინო!

როდესაც კობა პაპიროსს ეწევა, სიტყვები სხვაგვარად ეწყობა:

ზ-ენის მაგიერ ჟ-ანი ისმის, ც-ანის მაგიერ ჩ-ანი; ამითი კობა კიდეც ამაყობს:

— ჩინებული ელფერი მეძლევა, განა!— და მონდომებულია მძიმედ ილაპარაკოს:—ნუ მაჩქარებ, შვილოსან, ნუ; გამქცევი არა ვარ.

კობამ დაამთქნარა; ასანთი ამოიღო: „არ დამიქრესო“ და როდესაც პაპიროსს უკიდებდა, ხელები ფარებივით მოლუნა. სინათლეზე გამოჩნდა მეჩხერი, ნაცარა ულვაშები, წარბები და ორი პატარა თვალი: თვალებს არ ეჭირათ საზოგადოდ მიჩენილი ადგილი: ერთმა მათგანმა აღმოსავლეთიდან შემოუარა შუბლს და დაჰხედა ცეცხლს, მეორემ ჩრდილოეთიდან.

ასანთი ჩაჰქრა.

ნაცარა სახე დაიმალა; დაიმალა ქვით მოკირწყლულ ეზოს მცირედი ნაწილიც, სადაც ეყარა დამტვრეული ჭაგანი, ბორბლები, ფიცრები, ხოლო უფრო იქით და ირგვლივ—ამოდენა ღამე.

ქურქს მხრებიდან კვამლი ამოუძვრა. ქურქი აბოლებს, და ვინც ქურქშია გახვეული, ღამეს უცქერის:

„როგორ უნდა უცქირო ღამეს? ზურგი მას არა აქვს და ბარკლებზე შარვალი არ აცვია; სად გინდა უცქირო? რას გინდა უცქირო?“

— მაშ, კობა ვარსკვლავებს დაითვლის?

— ეჰეე, გაგონილა?—ამოიოხრა კობამ და ცხოვრების სხვადასხვა მოკლენებზე დაფიქრდა:

-- მამაძაღლ მეფურნეს. პურში ქერი გაურევია! აბა, ერეკა? შენ, უნამუსო, მოდი აიღე ერთ გირვანქისა ნაღდი, მე კი ნახევარი მამეცალ[illegible] წმინდა პური იყოს!

ილევა შემოდგომის ღამე: ღრუბლებს უწითლდებათ ანგრეული მხრები და ცისკიდური ნათდება.

ეს შენიშნა კობამ, გაეხარდა და ტკბილის ხმით დაიძახა:

— ბაბაიკა, ჰა ბაბაიკა!

მკრთალად განათებულ ოთახში სინათლე ჩაჰქრა; კარებში გამოჩნდა ჭაღარა ბაბაი და გამხიარულებულმა კობამ ხელადვე მიაძახა:

— ბაბაი, როგორია მამენტი და ტაქტიკა!

— ზადი!

ბაბაიმ თვალები მოიფშვნიტა; ცოცხი აიღო და ხელი მიჰყო ეზოს დაგვას.

ქუჩაში ფეხის ხმა გაისმა. ალაყაფის კარებს ვილაცამ მუშტები დასცხო და დაიყვირა:

— კობაააა!

— მოდის—გამოეხმაურა კობა. მეჭაგნე შემოუშვა და ალაყაფი ღიად დასტოვა.

მოდიან: მეჯინიბენი, შოფერის თანაშემწენი, მეკუჭნავე, შოფერები.

თვალები გააღეს. ცხენები: ქურანა, ამლაყი, ლურჯა—ქერს მადიანად ახრამუნებენ და შემოსეულ მეჯინიბეებს სტყორცნიან ელვარე თვალებს; ლაგამის დანახვაზე კი ფთხებიან და გაგულისებით ფრუტუნობენ.

— ჰაააა, სამგლე! ჰაააა, გამჩენ ძაღლო!—ისმის თავლიდან მეჯინიბეთა შეძახილი.

„გამჩენ ძაღლი“ ვაგლახად შემოტრიალდა, გავა მძიმედ აიყარა და მეჯინიბეს წიხლი ესროლა. გაფითრებული მეჯინიბე განზე გაუხტა და ცხენის საცემრად სადავე ორად დაჰკეცა. კობამ არ გაუშვა:—შე კაი კაცო, პირუტყვს ჭკუასა სთხოვ? ცხენს მიუალერსა—ქურანა, კოხტა ქურანა—და ლაგამი ამოსდო.

ცხენები გამოჰყავთ თავლიდან და ჭაგანში აბამენ.

საჯინიბოს მოშორებით—გარაჟი.

საბარგო მანქანები უძრავად დგანან; ისინი ჯერ არ ფრუტუნობენ და გათხვრილ ხალათიანი შოფერის თანაშემწენი ფუსფუსით ულებენ ლითონის ყბებს და ბორბლებს ჩაქუჩით უტრიალებენ.

მანქანა ოცდასამძალიანია, და ყველა ოცდასამ დარჩეულ ბედაურს სძინავს მანქანაში.

მოდიან შოფერებიც.

ერთ მათგანთან მივიდა კობა:

— შაქრო, ფული არა გაქვს?

— რატომ!

შაქროს თვალები ელულებოდა, ეშჩნეოდა—წუხელის ნაკლებ ეძინა; კობას კითხვაზე ზანტად ჩაიყო ხელი ჯიბეში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი?

— აბაზი—უკმაყოფილოდ უთხრა კობამ; ფულიც უკმაყოფილოდ გამოართვა და თავი გაიქნია; შაქრო წავიდა.

ეზოდან დაიძრა დროგები. ცხენებს ნესტოებიდან ორთქლი გამოსდიოდათ და ყურებს აყრუებდა თვლების რახრახი: ავტომობილიც აგუგუნდა; ტოკავს მოზომილ თრთოლვით ოცდასამი ძალა. მეჯინიბენი ჰყვირიან; შოფერებიც ჰყვირიან; მოსულა ეზოს გამგე და ისიც ჰყვირის ტელეფონის სასმენში:

— ...პირველი ხარისხი!.. ორრმოცი!

ეზოს წინ, ქუჩის მეორე ნაპირას ქარხანაა; ამდენ ხანს ქარხანა ნელა ოხრავდა და მაღალ მილით ცაზე ბოლს უშვებდა. ბოლს ეხლაც უშვებს, მაგრამ ოხვრას თანდათან უმატებს და ბოლოს ბლავილზე გადადის. აგურით ნაგები ქარხნის მილი, თორემ კისერზე ძარღვები გაებერებოდა ამდენ ბლავილით; ის მაღლა ეხიდება ყიას, ძილის ცასაფთხობს ამოჰყრის, დამდნარ ნახშირით დილის ტუჩებს შეგლისავს და—მორჩა!

— ჰაი გმადლობ, გმადლობ ქალაქის მამალო!—იძახის კობა.

მაგრამ ქალაქში ბევრი ვინმე სცხოვრობს, და ვინც სცხოვრობს, ყველაკაი ხომ კობა არ არის?

აი, მაგალითად, მე არა ვარ კობა. არა ვარ თუნდაც იმიტომ, რომ ქალაქის მამალს მადლობას ვერ ვეუბნები.

— მადლობა?— როდესაც ლოგინში უხრდელ ვირივით ჩამოინგრევა; კედლები ზუზუნებენ და ბალიში, ეს ძილთა სალბუნი, სახრედ იქცევა. აგურის მილი ბალიშს ურტყამს, ბალიში კი თავში გცემს:

— ვა�ა... ადექ!.. ადექ!

ისინჯავ ლოყას, ხომ არ გასისხლიანებულა, და მშვიდდები; გინდა გვერდი იცვალო, იმ მხარეს გადაბრუნდე, სადაც გაწყვეტილი ძილი გეგულვება, მაგრამ ისევ კანდიერი: ვაააი!

ცხადია, ხელი ჩაგავლეს ქეჩოში და ვერავინ გიხსნის:

უნდა ადგე.

— კარგი!—უგუნებოდ ბუტბუტებ—ოდესმე შენც ჩაგავლებენ ხელს ქეჩოში და ხმას ჩაგიწყვეტენ.

თიხით ნაგები დგას ჭურუხად და ყომრალ კვამლს იცოხნის; კისერზე—წელიწადის თეთრი რიცხვები: ათას რვაას ამდენი.

როდესაც ღამდება, ცას მოსწყდება მზე—თავი და რამდენადაც მზე დაბლა მიჰგორავს, იმდენად ღამდება ირგვლივაც.

მზის საგზაური უდაბნოა; შენობები ცერზე დგებიან გმზავრობის ბედს რომ უცქირონ, მაგრამ მალე, მხრებში თავ ჩაწყობილნი ეძლევიან თვლემას.

მხოლოდ თიხით ნაგები დგას ისევ ქურუხად, თითქოს უდაბნოს აქლემი იყოს: დგას ყველაზე მაღალი, ცის ზურგს მიბჯენილი და გასცქერის საცხენო უდაბნოს: შემდეგ, მზად არის შენობებს გადაალაჯოს და ღამის საგზლად წაიღოს ყომრალი კვამლი, რასაც დინჯად იცოხნის.

მაგრამ დილაა ეხლა; აროც დილა—მხოლოდ ამ [illegible] ღამე, საყვირმაც მოათავა ღრიალი და რიკრაკი დაამწიფა.

საბარგო მანქანები სამუშაოდ გამოდიან; შიგ კურტნიანი მუშები პურს სჭამენ და ხმაძალლა ბაასობენ: ალაყაფში ავტომობილი ფრთხილად გადის და ჰყვირის, რადგან გამვლელები გამრავლდენ: გამვლელები მიიჩქარიან და თუ არ გააფრთხილე—შესაძლებელია გამოუცდელობით, ან სხვა რაიმე მიზეზით, ბორბლებს მოჭყვენ და იქნან გაჭაჭყულ. შაქრო ჩუმად მიაცურებდა მანქანას: წინ მიმავალი კობა დაინახა, მაგრამ საყვირის აშვება დაეზარა:

— გზა—მამი!—დაუძახა, როდესაც დაუახლოვდა.

—ჰა, შე ლაწირაკო!

ქუჩაში ვიღაც თავზარდაცემული ქალი მანქანის წინ შესდგა; შოფერმა ოდნავ ჩაიცინა და მანქანა გააქროლა. ქალმა მკერდზე იტაცა ხელი, სულს მძიმედ ითქვამდა და კობას შესჩიოდა:

— ღმერთო ჩემო! გიჟია, ნამდვილი გიჟია! ეგ ხომ დახოცავს ბავშვებს ქალაქში!

— ჩემი შვილია!—უდარდელად უპასუხა კობამ და წავიდა: ჯერ კიდევ ქურქი ეცვა. მიდიოდა, ღიღინებდა და ირგვლივ ისროდა ელამ თვალებს. ფურნეში გირვანქა პური იყიდა, დუქანში ორი შაურის დაძმარული წიწაკა ააწონინა, მეთამბაქოეს მდარე პაპიროსები გამოართვა და ეზოში დაბრუნდა.

— პური ვჭამოთ—მიიპატიჟა კობამ ხელ-პირდაბანილი ბაბაი და პატარა ოთახში შევიდა, სადაც ღუმელი ღვიოდა. კობამ ქურქი გაიძრო, მუშები ჯანაგირის მომატებაზე საუბრობდენ:

— ცოლშვილი ვერ გამიძღია, ჩემმა მზემ.

ოთახში თავსდებოდა ადგილობრივი კომიტეტი, ანუ ადგილკომი; ადგილკომია ოსებ ანუ ოსები: მას უჭირავს ერთი კუთხე, აქვს დანუმრილი საქმეები, სიები, პირადი ფურცლები და უამრავ სხდომათა და კრებათა ოქმები, ოქმები, ოქმები.

ოთახის შუაგულში სდგას ღუმელი და იქვე, ფიცრის გრძელ სკამზე, მუშებში ჩამჯდარა კობა და ილუკმება. წიწაკა ელამ თვალებს არ ინდობს და ცრემლს აღვრეინებს:

ცხარეა, აი!—აცხადებს კობა.

ოთახის მეორე კუთხეში, თაროებზე წიგნები აწყვია და გრძელ მაგიდაზე, ჟურნალ-გაზეთებია დაფანტული; ოსებ მუდამ ინახავს ძველ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ მუშებს გამოაქვთ.

— დაუკითხავად ნუ გამოიტანთ ძველ ჟურნალებს—ამბობს ოსები.—ერთი რომა, იხევა და მეორეც, სიტყვაზე, ვინმე სტუ მარი რომ მოვიდეს, რას იტყვის!

— რაც უნდა, ისა სთქვას?

— რა უნდა სთქვას?

— იტყვის, ამათ სულ ძველი ჟურნალები ჰქონიათო, ახლები არ მოსდითო; აი, რას იტყვის!

მაგრამ ჩვეულება ისევ მტკიცეა, და ისევ ჰკითხულობენ ძველ ჟურნალებს, გაზეთებს და რაც ძნელად და უხეიროდ წაუკითხავთ ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, მეოთხეჯერაც თავისუფლად ჰკითხულობენ და შინაარსიც ესმით; უხარიათ. ოსებმა მიზეზი არ იცის და არ უხარია.

ჟურნალებსკი არც უხარიათ, არც სწყინთ, ყურები ააგლეჯეს, დაჭმუჭნეს; მკითხველები რომ სალოკ თითს ენაზე გაიკრავენ, ჟურნალს ისიც აჩნდება, მაგრამ გადაჰფურცლავ თუ არა—პწკარები თვალებს შემოგაჭყეტენ:

— მაროკოს ამბები... ომები... ჩინეთი... ჩან-ძო-ლინი. უ-პეი-ფუ. ბრიანი. პუანკარე. ინგლისი. საფრანგეთი. ულტიმატუმი. ნოტა. ხარბინი. ამერიკა. ოსმალეთი. იაპონია.

კობამ გონებაში ერთი წინადადება დაამზადა, რაც ძალიან ცხარედ უნდა წამოიძახოს, როდესაც კითხვას მორჩებიან:

— ოხ, მე მაგ ევროპელ სახელმწიფოებისა...

ოთახში ბაბაი შემოვიდა; კობამ ჩუმად მიუგდო:

— ბაბაი, მამენტი და ტაქტიკა.

კედლებზე გაკრულია ფერადი სურათები, მოწოდებანი:

„გამოიწერეთ!—გააერცელეთ!—რა უნდა იცოდეს ყველამ!—ხარ თუ არა დაბლვეული?—ჩაეწერე წერკუმში!—ჩაეწერე!—ჩაეწერე!—ჩაეწერე!—დაიცავი სისუფთავე!—ნამწვებს ნუ დაყრი, იატაკზე ნუ დააფურთხებ!“

უკანასკნელის შესრულება ძნელია, შეუძლებელია!

— ვსთქვათ გინდა კაპიტალისტების შესახებ აზრი გამოსთქვა; მაშინ ხომ დაგჭირდება სიტყვა: ფუი, და უნდა დააფურთხო თუ არა?

— უნდა დააფურთხო!—და იატაკზე აფურთხებენ.

ერთი ღუმელს ჩაჰკირკიტებს; ცეცხლი ჭრება და ბოლი ამოდის: სხვები აუყაყანდებიან:

— კაცო, მოეცალე მაგ ცეცხლს!

ღუმელთან ხელთათმანებს აწრობენ; წაღებიც გაუძვრიათ: წინდებიდან ოხშივარი ამოდის; ბევრ თუთუნს ეწევიან და ოთახი იბერება. ეზოში ყვირილი გაისმის:

— აბაა, სამუშაოდ!

მუშები წამოცვივდენ, ჟურნალი დაჰკეცეს, წაღები ჩაიცვეს და კურტნებს მოედვენ. დარჩნენ კობა და ბაბაი.

მოვიდა ოსება და კოპები უკმაყოფილოდ შეიკრა: კარები გააღო—ჰაერი გაიწმინდოსო. თვითონ კი ადგილიდან არ იძროდა.

— ეგ რასა ჰგავს?—საყვედურებით ამბობდა ოსება და ხან ერთს შეჰყურებდა ხან მეორეს. —როგორ არი შენი საქმე, ოთახი არ უნდა დაჰგავო?

კობამ და ბაბაიმ თავი ერთად იმართლეს:

— როგორ არ უნდა დავგავოთ?

— დავგავეთ კიდეც!

— ხელ-ახლა დაჰგავეთ ხელახლა.

მეჯინიბეებმა იატაკზე წყალი მოასხურეს და მტვერი დაუყარეს. ოსება სამუშაოდ დაჯდა და მეჯინიბენი ეზოში გავიდენ; კობა სამდივნოში შევიდა; გამგე ქალალდებს ჰკითხულობდა, ხელში კალამი ეჭირა და ქალალდის ყურეზე წითელ მელნით წვრილ ასოებს აჩენდა; მის გვერდით, მეორე მაგიდაზე, ნოანგარიშე მუშაობდა და ერთიც თავჩაქინდრული მოხელე. კედელზე ეკიდა დიდი საათი და ნაბეჭდი ქალალდი":

„უსაქმოდ დგომა აკრძალულია.

კობამ საათი დაითვალა":

— რვა საათი და ოცდაშვიდი წუთი.—და ეზოში გავიდა.

ვერცხლისებური მზე ამოსულა; ჰჭრის ნიავი და დააქვს მზის სხივები; სხივები არ ათბობენ და საეჭვონი არიან; უმზერს კობა მზეს. თავლის სახურავზე, მზის პირდაპირ კიბეა მიყუდებული; კობა ჰგავს კიბეს; ბავშები და მამაკაცები კიბით ადიან სახურავზე და უფრო მაღლაც. კიბე ძველია, მოკლე, დანჯღრეული, გვერდებზე ფიცრებ-მიჭედილი და გახრილი: ეს თუნდ კობას თეძოებს წარმოადგენდეს. კობა კიბის საფეხურზე ჯდება; მოცლილია, მღერის და უსტვენს.

თავლიდან ნაკელი მოსცვივის; თავლის კარებში ჯერ დიდი ცოცხი გამოჩნდება და მერე ბაბაი. თავლის გვერდით, სამჭედლოში ტყავ აფარებული მჭედლები მუშაობენ, რომელნიც ცეცხლის ალზე, კარის ჩარჩოებში ჩასმულნი მოსჩანან როგორც სურათი ლურჯ ფერადებით შესრულებული. ეზოში ჰყრია დამტვრეული დროგები, თვლები, რკინები, შეშა და კრამიტი; თივის ზვინთან ჭედილა შიშაგი მიმდგარა და თივას უკადრისად სციცქნის; გარაჟთან „გუძონის" სისტემის ძველი საბარგო მანქანა გდია. მანქანის შესახებ ერთხელ ითათბირეს და დაადგინეს ეს:— აღდგენილ იქნასო, —მაგრამ ჯერ აღდგენილი არ არის, და კობა ღილინებს:

— მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი, თხამ ვენახი შესჭამაა...

— ოსებას ეზოში საყურადღებო განცხადება გამოაქვს: კობა წასვლას აპირებს: ბაბაიმ ცოცხი მხარზე გაიდო და მშვიდობიანად გაემართა; უცებ კობამ თვალი შეასწრო შიშაგს, რომელმაც თივას თავი ანება და, სარჭენად ამხედრებული, ბაბაის დაედევნა.

ჯერ კიდევ შორს იყო ცხვარი, კობა რომ გულში სტკბებოდა, მაგრამ გარეგნულად: თითქოს არაფერიაო, მხოლოდ ბაბაის უცდის. ცხვარი დაეწია ბაბაის, კისერი დაჰხარა, მეჯინიბეს თეძოზე დაეძგერა და, ღონივრად ურჭინა— ერთი, ორი, სამი!

პირველად ეს კობამ იგრძნო და აღტაცებით გადიხარხარა:

— ვახ-ხა-ხა! ხაა!

დაფეთებული ბაბაი მაღლა შეუხტა. ხელს თეძოზე ივლებდა და თვალებს აცეცებდა:

— ჰაი ვასკა, ვასკა!—მიეფერა ბაბაი შიშაგს.

---

— საჭიროა პირად ანკეტების შევსებაო—ამბობდა განცხადება.

ოსებ იქვე იდგა; შიშაგმა რქენა მასაც მოუნდომა, მაგრამ ოსებამ დროზე შეატყო, რქებში ხელი ჩაავლო და მაღლა ასწია; ცხვრის ფერადი თვალები, მუდამ რომ ცარიელია, ან თუ სავსეა მხოლოდ სიბრიყვით, ეხლა მტრობით აინთო; ოსება საუბარში გაერთო და ცხვარი დაივიწყა, მაგრამ შიშაგმა შეურაცყოფა გაიხსენა, ოსებას მოულოდნელად დაეტაკა და, მუხლები გაულუნა.

— ხა-ხა-ხა!

— შენი გამჩენის ჭირიმე, ვასკა!

ტკბილეულის მოყვარულია კობა; ღვინოც უყვარს და ტკბილეულთა რიგში ათავსებს; ეტანება აგრეთვე ხუმრობას, სასაცილო მოვლენებს—ახ, რა რიგ ეტანება! ცხვრის შემთხვევამ დაატკბო:

— კარგია ცხოვრება, აი ამის მზემ!—ღიმილით ამბობს კობა და ხელს ლოყაზე ითათუნებს.

შიშაგის თავგადასავალს მყველას მოუყვება, ვისაც მოსმენა არ ეზარება; მოუყვება დღეს, ხვალ, ზეგ:

— რამე გითხრა! იცი რა იალა უყო დღეს ჩვენმა შიშაგ-ვასკამა ბაბაიკასა და ოსებას!

კობა აღტაცებით იცინის, თითქოს ცხვრის ოინებს ამ წუთში ხედავდეს.

თორმეტ საათზე კობა სახლში მიდის. ხიდს გადავიდა, შეუხვია და ვიწრო, დაკლაკნილ ქუჩაზე თავქვე დაეშვა.

უმხიარულო, ერთმანეთზე მიყრილი სახლები,—თითქო მათხოვარს ტოპრაკა დავარდნოდეს და შავი პურის ნამტვრევები დაცვენოდესო. პატარვანი, დახშულ დარაბიანი ფანჯრები; ფანჯრები ჩაბნელებული და ღრმა, ცოტათი იდუმალნი, უფრო შიშის მომგვრელნი.

იმართება კუბო-ოთახების წარმოდგენა, სადაც გაბზარული ჭერი იატაკს ბორიელივით დაჰყურებს; დგას მაგიდა, სკამი, ლოგინები; წვებიან ლოგინებზე და იატაკზე. და რომ უცხოს გამკრავმა თვალმა ეს არ დაინახოს, დარაბებს ჰხურავენ.

ბავშებს მხურვალე სხეული აქვთ და მათი პატარა, სასაცილო გული წუთში ასოცჯერ იკუმშება და ისევ იღება; გული ჰფეთქს. ბავშების სითბო და გულის ძგერა გადაეცემა იატაკს. იქლენთება სქელი, დახშული ჰაერი. დგას წუხილის შმორი; იატაკიდან იჭრება უცნაური წამოძახილი დს სიზმარი.

როდის გათენდება, ტასტიდან ცხვირი რომ ამოათრიო და დილის ჰაერზე ნესტოები გაშალო?

ქუჩაში მუდამ ტალახია. დაღოლავენ მათხოვრები და თხოულობენ გადა-

ნარჩენ ბურის ყუას შავსა და გამხმარს, ამ უბნის ყოველ სახლს რომ ჰგავს. ბური მათხოვრებს არ ბყოფნით, ან უკეთესი ურჩევნიათ და ქურდობასაც კადრულობენ.

— ყოველი გლახა ქურდია—ამტკიცებს კობა და მათხოვრებს ხელოვნურიელს ისტუმრებს.

მაგრამ ყველა ხომ კობა არ არის? რა მათხოვრის [illegible] დიასახლისი (საცვლები რომ გაუფენია ეზოში) გულმავიწყი [illegible] გულმავიწყი არ იყოს და მხოლოდ თავისი ვარამი ახსოვდეს?

დიასახლისი უმზერს საცვლებს, გულში ბოლმა უტრიალებს და სული ეხუთება:

— მომაშორეთ ვინმემ დარდი!

ქალი ჩაფიქრდება და ნელინელ მშვიდდება: თურმე მისი ვარამი ვიღაცას სათითაოდ მკერდიდან ამოუკრეფია და თოკზე გადაუკიდია; ქარი არხევს დაკიდულ დარდებს.

— იი, რა ძველებია, ბუბყიანები, დაკონკილები.—ფიქრობს ქალი და ვერ ამჩნევს შემოსულ მათხოვარს; ვერც მათხოვარი ამჩნევს ქალს; ის მარტო საცვლებს ხედავს და ელანდება ცხელი ბურები; სუნთქვა შეუგუბდა გლახას; ხელი უკანკალებს, ჩქარობს, იბნევა და სველ თეთრეულს ჩანთაში იჩრის; დიასახლისი ატყობს: ვიღაც გაჭირვებულს მისი დარდები მიაქვს და უხარია.

ამ დროს კობას გადაებეკნა მოკლე შუკა და ეზოში შემოვიდა. დიასახლისი გამოერკვა:

— უი, ქურდი!—იკივლა და გლახას გამოუდგა.

— არ გაუშვა, დაიჭი, დაიჭი!—ეძახდა კობას, რომელიც მათხოვარს გზაზე გადაეღობა:

— შესდექ, შე ასეთ-ისეთო!

დიასახლისის კივილზე ეზოში გამოცვივდენ ქალები, ნამძინარევი ბავშვები და ბიჭები.

— მილიციონერს დაუძახოთ და დავაჭერინოთ.—ამბობდენ ბიჭები და გაკაპასებული ქალები დასტურს სცემდენ. კობამ უხმოდ, გულსაკინძში ხელი ჩაავლო გლახას და დასარტყმელად მოემზადა, მაგრამ შესდგა.

ხნიერი კაცი იყო მათხოვარი; ეტყობოდა: მისი ძვლები და ხორცი ხშირად ეყარა ქუჩაში. ჭალარა თმაში უთუოდ ბევრი ღამე ჩალეულიყო და ლოყაზე ზოლები დაემჩნია.

— შენი სახელი?—დარტყმის მაგივრად ჰკითხა კობამ.

— ალხო.

— არა გრცხვენიან, ალხო?—სამი კაპეიკი ამოიღო, მისცა.—აბა, წადი, ოღონდ ჩვენს ეზოში აღარ იქურდო.

მათხოვარი წავიდა. ასეთი შემთხვევები, რომ არ მოხდეს—ეზოებში ძაღლები ჰყავთ. დღე და ღამ ჰყეფენ, ბრაზდებიან, ენას გამოაგდებენ, იკვნეტავენ, და თავისი ბოროტი გული რომ ჩაუვარდესთ კბილებში, იმასაც კი დაჰგლეჯენ; მათხოვრები ძაღლებს ერიდებიან.

ეზო საყვედურით უმტკიცებდა კობას, რომ ცუდად მოიქცა. კობამ ხელი ჩაიქნია: „თავი დამანებეთო“, და ოთახისაკენ გაემართა. იატაკის ხვრელიდან გასაღები ამოიღო; ოთახიდან გაურკვევი ხრაგუნი მოისმოდა; ფანჯარაზე მოხუული იყო დარაბა.

კარები გააღო. მაგიდა თვალში ეცა; ერთმანეთში არეულ ბოთლებში, მწვანილში, ძეხვის ნაჭრებში და პურში დიდი და ნაცრისფერი ვირთაგვები დანავარდობდენ. კობას მოულოდნელ შემოსტუმრებაზე ისინი, ალბათ, ეჩანს, უფრო გაჯავრდენ ვიდრე დაფთხენ; ნელა აიბარგენ, პირი დააყლეს ხამცეცებს და, სოროებისაკენ გაიქცენ.

— საით გარბიხართ! შაექცით, შაექცით! —ეხუმრებოდა კობა ვირთაგვებს, მაგრამ ვერ დააფასეს ხუმრობა მათ და ხვრელებში შეძვრენ.

— ა-ა, ქეფოიოღლი!—აგინებდა კობა შაქროსა და ვირთხებს, რა ნახა გაოხრებული სანოვაგე. ერთი წაქცეული არყის ბოთლიც მოჰყვა ხელში. საიდანაც სასმელი დაღვრილიყო და ეს უზომოდ ეწყინა: მართალია, ხელადვე თავდაცული, სავსე ბოთლი აღმოაჩინა და კიდეც გაეხარდა, მაგრამ ამ მოვლენამ პირველი დანაშაული ვერ გამოისყიდა და შაქროს ისევ შეაგინა დაუდევრობისათვის:

— ქეფოიოღლი!—და ქართულადაც დაუმატა —ლაწირაკი!

ქურქი გაიხადა და კუთხეში მიაგდო: მარცხენა თვალი ინგრეულ ლოგინს მოახვედრა და, გონება რომ არ ამღვრეოდა, წამსვე პირი მაგიდისაკენ იბრუნა. სუფრას მიუჯდა და სავსე ბოთლი მუხლზე დაირტყა: საცობი ამოვარდა. კობამ გადაჰკრა.

— აი თბილა კიდეც, ოღონდ ძლიერ ბნელა!

ფრთხილად ადგა (არ უნდოდა ლოგინი დაენახა) და დარაბა შეაღო; მაინც დაინახა, გონება ცოტათი აემღვრა და საბოლოოდ რომ არ აფორიაქებოდა სული, ჭიქა აივსო.

მიწიანი ფრჩხილები აქვს კობას; თითის სახსრებზე თიხა დაჰგლესია და ძვირად იღუნება, ამიტომ სხვებს რომ შეუძლიათ თითები მაგიდაზე ათამაშონ, კობას არ შეუძლიან.

— გესმის, არ იღუნება!

— ხელი დაიბანე, კაცო!

— არა! მიწა ვარ და მიწად ვიქცევი.

ჰო-ო ვის რა ეთქმის? კობა არ ერიდება თაგვების ნაპირალს: ილოკავს ნაპრალიან ცერს, სავსე რომ არის მცირედი ქერით, სილით და სხვა რამეებით, რასაც მეჯინიბე ებრძვის თავალში. წინ უდგას სავსე ჭიქა და თავის თავს ეპატიჟება:

— ჰა, მიდი, თორემ ღონე წაუვა; ჰა, იალა უთხარ!

„იალაზე“ კობას ცხვარი მოაგონდა და გაიცინა, გამხიარულდა. ხმამაღლა უნდოდა ეთქვა, მაგრამ მეზობლებისა მოერიდა და გულში სთქვა შიშაგის საღღეგრძელო:

— შენი გამარჯვებისა ვასკა!

დალია. თავს აკანტურებდა და გონებაში ურმულს მღეროდა; სიმღერა კიდეც ამოვარდა გულიდან ხრინწიანის ხმით, მაგრამ კობამ დაახშო. ლუკმით ლოყა-გაბერილი წამოდგა და ლოგინის დათვალიერება მოინდომა.

გული არაყმა გაუმაგრა.

გაურკვევი კეთილსუნნელება შეიყნოსა საბნიდან, მაგრამ ვერ მიხვდა, ნამდვილად შეიყნოსა, თუ მოაგონდა?

— ასეთი სუნნელოვანი მხოლოდ უმარილი თუ იქნებ[illegible]ასაც ქალები იცხებენ—ბუტბუტებდა კობა. უეცრად ქალის ზორტი ნახა და შესდგა-უკან დაიხია. განრისხდა, შემდეგ გაიღიმა და ხელში აიღო.

როდესაც დააცქერდა და სინჯავდა, გულისყური სჩხრეკდა მისივე გულისთქმას; გონებაში დაურბოდა თავის ბიჭობის შორეული სურათები... ზორტი მწვანე ზოლებიანი იყო, მაგრამ სურვილი უმატებდა ქალის ტანის სითეთრეს და ქალისავე მუხლების სითბოს; შეიძლებოდა მთელი სხეულის წარმოდგენა.

კობა გაიყო ორ კობად. ერთი მუდამ მხიარული და მეორე—იშვიათად; მეორე იძახდა:

— ამას დამიხედეთ? წკეპლები მამაძაღლ შაქროსა!—პირველი კი ამშობდა.

— ყოჩაღ შაქრო, ყოჩაღ!

უეცრად დიასახლისი შემოვიდა და კობამ ნაპოვნი ზორტი ჯიბეში ჩაიჩარა. დედაკაცმა უთუოდ დაინახა ზორტი და პირდაპირ დაიწყო:

— კობა, შაქროს უწესო ქალები მოჰყავს ოთახში და ღამეს სულ ქეიფში ატარებენ; სირცხვილია, გავილანძღებით, დაარიგე.—და ბევრი ასეთი სიტყვა დააყოლა. კობა ხმას არ იღებდა, სიმთვრალე რომ არ გამომჟღავნებოდა. მხოლოდ როდესაც დედაკაცი მიდიოდა—მიაძახა:

— ჯეელია ჯერ, ჭკუაში ჩავარდება და დადინჯდება.

გაუხდელად წამოწვა ლოგინზე და მაღალი ფშვინვითა და ხელების ფათურით ქურქი გადიფარა.

თაგვები კვლავ ამოვიდენ ხვრელებიდან, მაგიდაზე აცოცდენ; განებივრდენ, ლოგინზე გადახტენ და კობას სუნთქვას თამაში დაუწყეს; კობა სიზმარში იყო, ამ დროს გველეშაპს ებრძოდა; გველეშაპი მოჰკლა; მათხოვარი ალხო ხელმეორედ დაიჭირა ეზოში, მაგრამ ფული კი არ უჩუქია—გალახა; შაქრო გაექცა, თორემ იმასაც გალახავდა.

— —

ქალაქში ხუთი საათი შესრულდა. ბრუნდებიან შოფერები დაქანცულ მანქანებით. განცხადებას ჰკითხულობენ. ერთი-მეორეს იქერენ და გაღიზიანებულ შიშაგს მიუგდებენ; შიშაგი ბიჭებს ხათრს არ უტეხავს და ხან ერთს ეჯახება, ხან მეორეს. მთელი ეზო ხარხარებს.

ოსებას ოთახში ცეცხლი ანთია და ელექტრონი ანათებს.

მკითხველები გაზეთში ჩარგულან:

იდაყვი მაგიდაზე; საფეთქელი ხელში. მაჯასთან მოსჩანს გრძელი ულვაშები. იშლება და ვითარდება ბრძოლის ამბები. ღენერლები იშიშვლებენ ხმალს და გაჰყვირიან:

— სიკვდილი!—

ვილაც, ახლად აღმოჩენილ ქვეყნის შესამუსრავ საშუალებას ამზადებს.

— ნახეთ სიმართლე და დაემორჩილეთ!—

ჯურღმულში, ბნელი რომ არის და ღრმა თვალივით რომ ხამხანებს, ჩაუყრიათ ტუსაღები.

გაზეთი საფეთქელს ჰყლაპავს; ბრძოლის ამბებით ივსება თვალები; თვალები ნაბეჭდ პწკარებად იქცა, სადაც სტამბის ზეთი ჯერ კიდევ ცხელია, და მკითხველს არ ახსოვს, გული თუ უფეთქავს; როდესაც გაზეთს თავს ახებებენ, დაღლილებად გამოიყურებიან, თითქო ეს არის ბრძოლა გადიხადესო.

ოსება ანკეტებს არიგებს.—ავსებენ.

— აქ როგორ დაიწერება, ოსებ?—

შაქრო შემოვიდა, ანკეტა აიღო და ათვალიერებს, თან ყოველ კითხვაზე გონებაში უპასუხებს:

„გვარი და სახელი? კარგი! დაბადების წელი? კარგი! საკუთრება ქალაქში? სოფელში?“. შაქრო ამ კითხვაზე დაფიქრდა და ბოლოს გადავიდა იმაზე, თუ რა კარგია დაძინება; სრულებით არ სძინებია წუხელის! დამძიმებული ხელი მაგიდაზე დაუშვა:

— ხვალ შევავსებო.—ანკეტა დასტოვა და წავიდა.

— ბიჭო, მოდი ანკეტა დაგიწერო.

— დაიცა, შაქრო, არაყზე გპატიჟობ!—შაქროს არაფერი ესმოდა. ქარი პირში სცემდა სახლიდან მომავალს, გამოფხიზლებულ კობას და ფეხებში უგროვებდა მტვერსა და ქუჩის ხმაურს. მზე გადახრილიყო შორს, ჩასავარდნში, სადაც თავდება დედა-მიწა და სადაც ეხლა იმზირებოდა თიხით ნაგები მილი. მოკლეა შემოდგომის დღეები და როცა დღე ილევა, ქვეყანა მზად არის გარინდებით ეგდოს და ზურგით გრძნობდეს მწუხრის დაფენილს ყამს. კობამ ეს იცის:

— ღამდება, რაღა!

ხიდზე ქარმა ღონივრად დაუბერა და პაპიროზის ცეცხლი თვალებში შეაყარა. კობა შეჩერდა, თვალები აეწვა:

— მაგისი რჯული კი დაიქცეს!—პაპიროზი გადააგდო და თვალებს ის რესდა; ვილაც დაეჯახა, მოიხედა: შაქრო მიდის.

— აქ მო, შაქრო!

შაქრო მობრუნდა:

— რა მოგსვლია, მამი?

კობა გაჯავრდა; შაქროს აუყვირდა, ლანძღავდა, მაგრამ ბიჭი დამშვიდებით იდგა. კობამ მოისაზრა: ამ გაჯავრებას შაქრო პაპიროზის შემთხვევას მიაწერსო, და საქმეზე გადავიდა:

— მაშ შენ უწესო ქალებთან საქმე არ დაგიჭერია?

— ჰმ..,—ჩაიცინა შაქრომ; კობამ ხმა აიმაღლა.

— მამი, ვინ უწესო ქალები, რა უწესო ქალები?—ჰკითხა შაქრომ:

— აი, ისეთები გითაქო მე შენა!—შეუტია კობამ და ქურქის ჯიბეში ხელი ჩაიყო; ნაპოვნი ზორტი ამოიღო და შაქროს ცხვირთან მიუტანა:

— მაშ, ეს რა არის? მე ვარ თუ შენა?

შაქრომ კიდევ ჩაიცინა, ზორტი დამშვიდებით ჩამოართვა და გზას გაუდგა. კობამ გაგულისება მოინდომა, მაგრამ მოაგონდა, რომ ეს საქმიელი შაქროს შუადღეს აპატია, ამიტომ ვერ გაჯავრდა, მხოლოდ ყასიდად მიაძახა მიმავალს:

— გიჩვენებ მე შენა, თუ კიდევ გაგიბედნია!,

ეზოში კობას დახვდენ შოფერები და მუშები; ოსება წასულიყო: შოფრებიც დაემზადენ წასასვლელად; ითბობდენ ხელს და ამხანაგის თავგადასავალს ისმენდენ.

მეეტლე, შუახნის კაცი, ცხრაას ხუთის ამბებს იგონებდა:

— .. ერთხელ ჩიხში მოვიმწყვდიეს და იძულებული ვიყავი თორმეტი ფურცელი ქაღალდი გადამეყლაპა.

— მუცელში შეგკრავდა.

— სასაქმებელი არ დაგჭირდა?

— ...მე კი ერთი კვირა ნაკელის ზვინში ვიმალებოდი.

— კარგ დროებასაც გაატარებდი.

— რამ გაგაძლებინა?

— შიში მიჩვენე — გაქცევას გიჩვენებო.

ბაბაი ისმენს და აბოლებს. მისი ვინაობა მოათავსეს დღეს ანკეტაში: ბაბაი ისკაკის ძე აიზადი; 48-წლისა: ამიტომ, და სხვა გამოურკვევ მიზეზისა გამო, თმა თეთრი აქვს: ყოჩაღად გამოიყურება: ქუდს იშვიათად იძრობს—ყაზანელი თათარია.

მსოფლიო ომში მონაწილეობდა; იბრძოდა აღმოსავლეთ ფრონტზე. არზრუმის კარი მისი დახმარებით შეინგრა: დაჭრილია ორჯერ. იქნებ მესამედაც დაჭრილიყო, მაგრამ. შეიგნო: დიდი სისულელეა ომი, როდესაც არ გესმის საქმე რაშია? რა საქმეა? ვის უმართავ ხელს, ვის ჰლუპავ? შეიძლება, ვერც ეგ შეეგნო ბაბაის, მაგრამ მოვიდა ჩვიდმეტი წელი და ბაბაი სხვა მებრძოლებთან ერთად ტრაპეზუნდით დაბრუნდა უკან.

მოულოდნელად საქართველოში ამოჰყო თავი: მისი მოლოდინი, იქ გამგზავრება იყო, სადაც ყაზანელი თათრები სცხოვრობენ; სიხარულიც ეს იყო, რადგან იქ ცოლ-შვილი დაეტოვებია და მათი გულში ჩაკვრა კარგი იქნებოდა; ბაბაის მკერდი მათ იცნობდა, მაგრამ იქ რომ პატარა აიზალ ბაბაის-ძე დასტოვა, უთუოდ ის ვერ იცნობდა მამას.

ამას რომ მოიგონებდა, ბაბაი იცინოდა და ისე ჰგზავნიდა სახლში ბარათებს. საქართველოდან წერილები არ მიდიოდა. მატარებელიც არ მიდიოდა; ბაბაი ვერ წავიდა.

ბაბაი დარჩა საქართველოში და გულში ჩარჩა მთელი ყაზანი. მატარებლებმა იწყო სიარული. ბაბაიმ მოიგონა თავისი მხარე, დასწერა სასიხარულო მოკითხვის წიგნი და როდესაც გზავნიდა, იცინოდა.

პასუხი არ მოსულია.

— მაშ, რატომ იცინოდი ბაბაი?

— სიხარული გქონდა და მიტომ?

— ამბობენ, თქვენს მხარეში ბევრი სახლები დასწვესო, ბევრი ხალხი დაიხოცაო! მაშ, პასუხი არ მოგსვლია აჰ?

— არა

ეს იცის კობამ; მას უცნაური გული აქვს; ბაბაის ნაზად [illegible]

— დაიძინე, ბაბაიკა, დაიძინე. ხედავ, მარტონი დავრჩ[illegible]

ბაბაი მიმოიხედავს, ამოიგმინებს როგორც მის მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს შეეფერის და რაც ბევრ წიგნში მოხდენალად აუწერიათ, და დაიძინებს.

კობა ცეცხლს ჩასცქერის და ფიქრობს; ბევრს ფიქრობს; ცეცხლში იფურთხება და თითონაც არ იცის—რატომ იფურთხება? გაჯავრებულია, თუ იმიტომ, რომ ფურთხი ნაღვერდალში შიშინებს და ცოტათი ართობს?

ფიქრები—მართლაც ფიქრებია! ეს ნათელია. ამაზე შედავება არავის შეუძლია, მაგრამ კობას გული იტყოდა:

— ჯამაათნო, ფიქრებს ხანდახან გამოჰყვება უმნიშვნელო სისხლი, სულ მცირე წვალება, მწვანე ძარღვიც გამოჰყვება ფიქრებს, რაც ზედ ჯიგართან, ფრჩხილით უნდა გადასწყვიტო.

ესეც ნათელია და, ვით საკუთარ ფეხზე დგომა, შეუმჩნეველი.

...ოთახში მიყუჩებულან პლაკატები: მამაკაცის ფიქრს სდარაჯობენ და მძინარის ფშვინვას ყურს უგდებენ. ბაბაი პირალმა წამოწოლილა ვიწრო მაგიდაზე, ხელები გულზე დაუკრეფია და ფშვინავს; ხელები ჩამოუვარდება და მძინარი იწყებს თავზარდამცემ ხროტინს. იატაკი ეხლა უთუოდ ლერწმიანი და დახაშმული ტბაა; ტბიდან ამოდის გველი, ბაბაის თითებში კბილს გაუტარებს, ჰშსამავს და ფსკერისაკენ ეზიდება.

კობამ ეს არ იცის; გაბმულ გმინვას ყურს უგდებს, ტანში აჟრჟოლებს და ძარღვებში სისხლის მიმოქცევას გრძნობს; თვალებზე ალალი გრძნობა აწვება და სურს ადგეს ამ წუთში, ბაბაის დაჰხედოს, შეიბრალოს მისი ძილი და ატირდეს. მაგრამ ერთ კაცზე ატირება არა ჰღირს და კობა ატირდება მთელს კაცობრიობაზე და გულში თავის გასამართლებელ სიტყვებს ილულლულებს.

კობას კაცობრიობა რა არის? უნახავს სოფელი, ქალაქი: მიუღია მსოფლიო ომში მონაწილეობა და რაც უნახავს კობას—მისი მსოფლიოც ის არის.

ეხლა ბაბაი გმინავს და უთუოდ გულში იცრემლება.

ამბობენ ხუმრობით:

— დღეები თვის ნალეკს ადამიანს სულის ბუნაგში უტოვებენ და, ძილის დრო რომ დგება, სული ბღერტავს თავის საბუდარს და იწყება გმინვაო,

ზოგი ამას დაჯერებით ამბობენ.

კობა ისმენს გმინვას; შეუძლია არც ისმენდეს: ადგეს, მძინარს ხელები გაუსწოროს და გმინვაც შესწყდება, მაგრამ არ უნდა. ეს ფიქრია; ფიქრი გმინვად ამოდის; გმინვა ნაცნობი სიმღერაა; სიმღერა კი საამური მოსასმენია.

— ვინა ხართ ფიქრების მომხრე?

ჰმ, კობა ხელს აიშვერს და ნახევარ ადლის მოშორებით მეორე თითიც

აუწევია—ვითომ ორი ხმა ვართო. ...აი, რას ფიქრობს კობა მაგრამ რასაც ფიქრობს, ხშირად ცხრა მთიდან მოდის და გადადის ცხრამთას იქით: გამოქვაბულში გამოჩნდება პირველ ყოფილი კაცი; მოჯადოებულ ტყიდან უბედური რაინდიც გამოაგდებს ცხენს; მოდის სათვალებიანი კულტურა და ანტისფენის წარმომადგენელიც. იმართება თათბირი კანონიერ დადგენილებებით და ბევრჯერ დადგენილებანი ერთი მეორეს შუბლით ეჯახებიან. მაგალითად, კობამ ეხლა დაადგინა:

— ბაბაის ძილი ოდნავაც არ შეიბრალოს, ესე იგი შებრალება—შებრალებად, მაგრემ არ ატირდეს; არც მსოფლიოზე ატირდეს. იგინოს კაცობრიობამ, ვით ბაბაი—ხავსიან ტბაში რომ ეზიდება ათასი ეშმა. ასე უგმინია კობასაც: მოსულა დღე, პალოსებრ ჩაჰსობია ხოცში და მაშინ... ეხლა კი—მშვიდობით. ცეცხლთან ზის და თბილა.

აძგერდა გული, აძგერდა: ბუდიდან თიკანივით ამოხტა და კობა მას მუხლზე ათამაშებს. მადროე! ილეკა შემოდგომა; გუშინ თოვდა და კობამ ინატრა:

— უთუოდ სადმე თოვას საზღვარი აქვს: ნეტავ დამაყენა თოვის საზღვარზე, ხელები რომ გავშალო, მარცხენაზე მათოვდეს, მარჯვენაზე კი არა.

მაგრამ ეგ რა არის? ბევრგან ქუჩაზე, სადაც ორმოა, აყრილია კირი და შავფისი. თოვლი მოდის ორმოები რომ დაჰფაროს, მაგრამ თოვლს ხვეტავენ და ორმოები რჩება. ქუჩაში უბინადრო ბავშები დადიან და თავის მუხლებს ორმოებში გადაბრუნებულად ჰხედავენ. ორმოებში ეტლებს ბორბლები უვარდებათ, ცხენებს—ფლოქები. იწყებენ ქუჩის შეკეთებას: მოაქვთ დიდი ქვაბი და შეშა; სთხრიან მიწას, ანთებენ ცეცხლს და ადნობენ შავფისს. ცეცხლთან სხედან უსახლკარო ბავშები და თბებიან; ისინი ალმაცერად უცქერიან ცეცხლს, ბრინჯაოს ფერად რომ აჩენს მათ სახეს, სადაც გაუფრენელ მტრედივით ფრთხიალობს წყვილი თვალი. ეწევიან თუთუნს, აქვთ ჩაიდნები. დაღამებისას მუშები სტოვებენ ცეცხლს და მიდიან; ბავშები ისევ სხედან.

ცეცხლი ჰქრება, იფერფლება ნაკვერცხალი და რჩება თბილი და სქელი ნაცარი. შუაღამე ჩამომდგარია ყინვაში; ბავშები ქვაბის ქვეშ ემალებიან ღამეს და ღამეც მათს თავზე გადადის.

კობა დილ-დილობით ჰხედავს—როგორ აზმორებენ ბავშები, რომელნიც პირდაპირ ქუჩაში ამოდიან.

— ვინ იცის, ბაბაის ბავშიც ასე ჰხეტიალობს სადმე ქალაქში? იქნებ ჩვენ ქალაქშია და დიდი და პატარა აიზალები ერთმანეთს ვერა სცნობენ?

კობა შუაღამემდე ზის ოთახში და მის შუბლზე, სისხლით გამძღარ წურბელებივით იკუმშება ნაოჭები.

მეორე დღეს ოსებამ შეავსო კობას ანკეტა; და როდესაც მეორე დღე დაღამდა—მეჯინიბის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიშალა ამ გვარად... გაიშალა, რადგან კობა ფიქრების მომხრეა, თორემ არ გაიშლებოდა.

ეხლა ანკეტაში მოქცეულია კობას განვლილი მზე და იქვე ჩარჩებოდა მოკუმშული და ქაღალდში ჩაწერილი.

— დაბადების წელი?

— ათას რვაას სამოცდამეთხუთმეტე.

II

ცეცხლი ქალაქებს სწვავს და უდაბნო ცეცხლის ნახელავია. ცეცხლი აჩენს უდაბურ ტყეს და ირგვლივ უდაბნოს გეგმით უვლის. ათას რვაას სამოცდათოთხმეტ წელს ერთ მამაკაცსა და დედაკაცს ძარღვებში დაუტრიალდა ცეცხლი, და გაჩნდა კობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მას ეძახდენ: ბრუტიანს. ყმაწვილი დადიოდა მოფუყული და ფერად—ყვითელი; მუცელ გადაბრუნებულს ჭიპი ქვეშ მოჰქცეოდა.

მამა მისი პაელე დაკოჟრილ ხელებს ატარებდა; დადიოდა ქალაქში შეშის სახერხად და სიტყვაც იცოდა კოჟრიანი:

— სიღარიბე.—

კობას სცემდა. ყმაწვილი წაიქცეოდა მიწაზე და ცრემლებს ასხამდა. დედა უალერსებდა; დედა ამბობდა, რასაც ხშირად იძახდა მამა:

— სიღარიბეს დაუდგეს თვალებიო!—

კობამ იცოდა—სიღარიბეს რომ თვალები დასდგომოდა, მათ ქოხს ველარ მოაგნებდა და ყველანი ბედნიერი შეიქნებოდენ: მისცემდენ მას ნაზუქებს და ეტყოდენ:

— აჰა, სჭამე რამდენიც გინდა.—სიღარიბე კი ივლიდა ხელების ფათურით და ქვეყანას შესძრავდა:—სად არის კობა? ნაზუქები უნდა წავართვა და მამას ვაკემინოო.

კობა დედის კალთაში თავს მალავდა:

— მე ხომ არა ვარ სიღარიბე, თვალდამდგარს და ბრუტიანს რომ მეძახიან?—ფიქრობდა ბავში, მაგრამ დედა ამშვიდებდა:

— ჩემი ოქროო ხარ, ჩემი სიმდიდრე ხარ.

კობას ჰყავდა უფროსი ძმა ნიკო. ერთად თამაშობდენ, მაგრამ მამამ ნიკო ქალაქში წაიყვანა და ძმები ერთმანეთს დაშორდენ. კობა წამოიზარდა. მამა უარეს სიტყვებს ამბობდა. სიღარიბე ჩამალულიყო ისლში; სიღარიბე იდგა კუთხეში და მამას ავდარშიც გარედ აგდებდა.

ერთხელ მამა მოელაპარაკა დედას და კობა წაიყვანეს შორს; კობამ პირველად შენიშნა: დედას ყვითელი ფერი ედო სახეზე და სახე ნაოჭებიანი ჰქონდა. დედამ ცრემლები მოიწმინდა.

სოფელთან იყო დიდი სოფელი. დიდ სოფელთან კიდევ რამდენიმე სოფელი და—ქალაქი. ერთი მედუქნე კაცი იყო დიდ სოფელში, შეძლებული და ორი ეტლის პატრონი. კობა მას მიაბარეს.

კობა—ხან დუქანში, ხან საჯინიბოში. ელამ თვალებზე დაუთავებელი რული. ბუჭყიანი საცმელი, კარგი მუჯლუგუნები, ყბაში სილები, ლანძღვა. ყველა უფროსი, ხოლო უმცროსი მღეროდა მოჯამაგირის ლექსს:

„სხვათა მოჯამაგირობას ადვილათ იტყვის ენაო“.

წამოიზარდა. მედუქნემ ჯამაგირი დაუნიშნა; ჩამოვიდა მამა და სოფელში ბხიარული დაბრუნდა.

დიდ სოფლის გზაზე დადიოდენ მეურმენი; თვლების ჭრიალში ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი და შოლტების ტლაშუნი. გასასყიდათ მიჰქონდათ შეშა, თივა, ნახშირი.

საღამო ხანს ცარიელი ურმები დუქანთან დგებოდენ და მეურმენი სვამდენ არაყს. კობას უხაროდა მათი ნახვა და თავის სოფლის ამბავის გამოკითხვა, თუმცა საუბარი უმეტესად სიღარიბის ირგვლივ იმართებოდა.

ერთხელ მეურმეებმა კობა გამოიხმეს; კობას ეგონა, [illegible] დაიწყებოდა მოსაიფი და ესიამოვნა, მაგრამ... დედა მომკვდარიყო.

დაღონდა კობა. ბევრი იტირა. მამა მოხუცებულიყო და ისიც სტიროდა. ორი კვირის შემდეგ ჩამოვიდა ნიკო, უფროსი შვილი პავლესი და ძმა კობასი; ის დარაჯათ მსახურობდა სახაზინო დაწესებულებაში და მხრებზე წითელი „ჩინები" ეკერა; პავლეს ჯავრი შეუმსუბუქდა. სოფლელები კრძალვით ამბობდენ:

— თურმე ნიკო ხელმწიფის სამსახურს არ გაუშვია, თორემა ადრევე ჩამოვიდოდაო.

ძმებმა პირის კოცნით მოიკითხეს ერთმანეთი და ნიკო განშორდა კობას.

შვიდჯერ, სხვადასხვა დროს, მოემატა კობას ჯამაგირი. არ სცემენ; პირიქით—თუ უნდა, ხელქვეითები ჰყავს და გალახავს. ჩაიცვა, დაიხურა. მკერდი ზევით ამოვარდა; დგას დახლში. კისერი გაუწითლდა. ცხენი იყიდა და კვირაუქმე დღეებში აჯირითებს. შეიძინა მიწა-მამული.

პავლე წელში მოიხარა, მუშაობა არ შეეძლო და კობამ თავისთან გადაიყვანა. ამავე დროს, დიდ სოფელში დუქანი უეცრად დაიწვა და ერთ გოგონას ფეხმძიმობა დაეტყო.

სოფელი აყაყანდა; აყაყანდენ ლამაზ გოგონას მშობლებიც:

— ცეცხლი განგებ არის გაჩენილი და სხვა ვინ ჩაიდენდა კობას მეტი! მე მაგისი ასე და ისე, გასუქდა და იმდენად მოღონიერდა, რომა მედუქნეს მეტოქედ უხდება; რაც შეეხება გოგოს—ეს ხომ კობას ნაეშმაკარია და საქმეც კობამ უნდა გამოასწოროს.

სოფელს უნახავს კობა და ის გოგო ჩირგვების უკან, ახალ ბალახს რომ სთელავდენ; მართალია, ჩირგვები და ბალახი მიმალული ადგილია და ღამე უფრო ჰფარავდა იმ ადგილს, მაგრამ სოფელს კაცები ჰყავს, ამ საქმის მოწმენი.

სოფლის აზრი მუქარით თავდებოდა: სოფლის აზრი კობას წინ გაჩერდა და პასუხის მოლოდინში თეძოებზე ხელები შემოიდო. საჭირო გახდა სოფლისათვის თვალის გასწორება. კობას ციებ-ცხელება შეუდგა: გოგო მართლა ლამაზია; ტუჩებგასახლეჩი, ძუძუ-მაგარი, თეძო-სავსე და მძიმე. თუ საქმე შერთვაზეა, აჰა, შეირთავს, მაგრამ უნდა ადროოთ; ადვილი როდია დაცოლშეილება?

გზის პირად დაიწყეს ახალ დუქნისა და საჯინიბოს შენება: ეს კობას ეკუთვნოდა; ძველი დუქნის პატრონი იმუქრებოდა. როდესაც ამოძრავდენ მამასახლისები და გამომძიებლები, შენობა მზად იყო.

გაჩაღდა ქორწილი. ქალაქიდან ჩამოვიდა უფროსი ძმა კობასი—ქერა-ულ-

ვაშიანი და კაკარდიანი ნიკო. მამასახლისმა თავი მძიმედ დაჰხარა. გამომძიებლებმა ღვინის დალევა ინებეს. სოფელმა სული გატვრინა. კობამ ჭერს ქუდი ჰკრა, ფეხი მოირთხო და იცხოვრა.

პავლეს მუხლები დაუმძიმდა და დაწვა; უფრო გვიან ჯულის ძგერა შეუნელდა. სიცოცხლე გაათავა და გულმა სამუდამოდ შესწყვიტა მუშაობა.

კობას ქალ-ვაჟი ეყოლა: შაქრო და მელანო. შაქრო სკოლაში — შაქრო ზარმაცი.

უფროსი ძმა სთხოვდა კობას:

— ცოლი მეც შემირთავს, მაგრამ ღმერთს ჩემთვის შვილი არ უბოძებია; შაქრო მომეც, გაგიზარდო.

ნიკოს ერთი „ჩინ-აპელატი“ მიემატა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადიგზავნა. შაქროც იქ გადაბარგდა. კობამ მეორედ მოირთხო ფეხი. ცხოვრება დალაგდა. ვაჭრობს. ეტლები ჰყავს. სახლში დიასახლისი ტრიალებს და დიასახლისობს ქალიშვილი.

კობა ალიონზე დგება. ძილი თავდება ურმების ბორბლების ჭრიალში, როდესაც ზანგელა და წაბლა ხარები მუხლავენ ალმართს და თივას ჭლეჭავენ. ბორბლებს ტალახი და ნისლი ეხვევა, რომ ისევ შარა-გზაზე დაცვივდეს. დუქანთან აჩერებენ ურმებს და შორს შესახვევში ჰყრია ნისლი. კობა ამთქნარებს. ჩაივლიან ეტლები; ჩაივლიან ყველა ჯურის მგზავრები: სვამენ, სჭამენ. კობა ითვლის. მისი მეუღლე ხშირად მოდის დუქანში და ხარბ თვალებით შეჰყურებს მგზავრებს; მშიერი მგზავრებიც მსუნაგად უცქერიან შავგვრემან სისქეს. კობა სწრაფად ისტუმრებს ქალს, თავს იჭვნეულად აქნევს და, თითქო ემთქნარებოდეს, პირს აღებს.

გლეხები ხშირად მოდიან მასთან რჩევა-დარიგებისთვის; კობა ისმენს; როდესაც რჩევის მიცემაა საჭირო, მაშინაც ისმენს. გლეხები იძულებული არიან თავიანთ თავს თვითონ ურჩიონ; კობა ამასაც ისმენს, დასტურის ნიშნად თავს აქნევს, მაგრამ გულში არავის ეთანხმება.

ფეხ-მოკეცილი სთვლემს და ფიქრების საზღვარია მორთხმული ფეხები. მოდგმამ რომ პირველად ოჯახში იყვირა, კობას მანდალოსანი აკვანს არწევდა და იავნანას მღეროდა; მეუღლეს რძიანი ხმა ჰქონდა და კობა ყურს უგდებდა. ეხლა კობა მიმხვდარია: ურმების სვლა იგივ იავნანაა და თუ მისი მზე ურმების რონინს მიჰყვება, მაშ იავნანა ყოფილა მისი ცხოვრებაც.

ურემი მიგოგავს; დაქანდება—კობა შეუძახებს:

— ა, ჰააშ! — და მიგოგავს ურემი ისევ.

---

ერთხელ ურემი ლონივრად შეირყა. დაქანდა. კობამ თავისი „ჰააშ!“ ბევრჯერ იყვირა, მაგრამ არა ეშველა რა. ამბობდენ ამას ცხრაას ხუთი ჰქვიანო.

დუქანში შედიოდენ შეიარაღებული გლეხები; ულვაშებს იგრეხდენ და თოფებს ჩახმახს ფსინჯავდენ. ქალაქიდან ბევრი ამბები მოდიოდა, დუქანში გროვდებოდა, დუქნიდან გლეხები ოჯახებში ეზიდებოდენ და მინდვრებში გადაჰქონდათ, სადაც დათესილია პური, ქერი და შვრია.

მინდვრებზე მარცვალი მიწის ბულში ილუნება, ნამგალი მწყერულს ჰგალობს და ნარმით თავწაკრული გლეხები წელს ნამგლის მსგავსად სდრეკენ.

— ხვავი აქა! ხვავი აქა!—

უთვალავი იმედია კალო, თუნდაც მორჩილი. დიდ იმედად გადაიქცა თოფიც. მამცნე იხსნის უბეს; გლეხები თავის გულს უჩვენებენ მას და ისმენენ დგომილა და ლონიერ კისერზე ნამგალ შემოდებულები. მამცნე საამბურს აპირქვავებს და კალოებს ამრავლებს. ველებს ძაღლებიც ეფერებიან და კუნთები უთრთის.

— რა არის ეგ?

— თავისუფლება უნდა იყოს!

ყველას უნდა ხელში ჩაუვარდეს კარგი ლალუმი, რომ დაუმიზნონ ალმართს, სადაც მეფის ბუნაგი ეგულვებათ. ქალაქიდან ამბავი გამოაპარეს: —მეფის ბუნაგი გვირაბად იქცა; შესასვლელი ჩახერგილია ტახტით.— გლეხები ყუმბარას ნატრობენ; ნატრობენ: ხორბლის იმდენი მარცვალი ექცეთ ვაზნებად, რამდენი მეფის ძალლიც დაქოფაკობს ამ ქვეყნად. ბავშები კი, მღერიან:

— ნიკოლიზ მეორე უნდა გახდეს მელორე.

კობა თავს იქნევს და გულში ბავშებისაც არა სჯერა. ღამით ქალები ყურს უგდებენ ქმრების გულის ძგერას. ღამით ქალაქიდან მოაქვთ მოწოდებები: და იარაღი გააქვთ ქალაქში.

ქალაქში—მეორე ქალაქი ჯურღმულია, სადაც სცხოვრობენ ჭარხნის მუშები, ზეინკლები და შავი მუშები. მათ დაღვრემილი სახე აქვთ და გააჩნიათ უთვალავი სილარიბე და პატიოსნება. ძველად, მუდამ ბნელოდა ჯურღმულში ეხლა საჭიროა თავისუფლების გამოჭედვა, და ჯურღმულები გაანათეს.

ქალაქი დაყრუვდა; არ ესმის საკუთარი ხმა, ხოლო რაც ესმის—ჯურღმულშია მოფიქრებული.

ღამით სოფელი იძინებდა და შორს, სადღაც, რუსეთის იმპერატორი თითქო თავისთავად ხდებოდა მელორედ. ღამით სოფლის ზარებს აგრიალებდენ და გლეხები ყრილობაზე მიდიოდენ.

კობაც მიდიოდა. არავინ იცოდა—როგორ აქნევდა კობა თავს, და საქმეში ისიც აირჩიეს.

ერთხელ შენიშნეს: მზე კიდევ არ ამოსულიყო რომ ინათლა. სხვა დროს სინათლე აღმოსავლეთიდან იწყებოდა, ეხლა კი სამხრეთ ცაზე ინათლა; ამოვარდა შავი კვამლი და ცეცხლი დაინახეს. ცეცხლი ეკიდებოდა მეზობელ სოფელს; მეზობელ სოფელშიაც იყო პატარა თავისუფლება და უფრო დიდს ელოდენ; მაგრამ სოფელი იწოდა. დარეკეს ყველა ზარები ერთად. ღამე აგუგუნდა. ხალხი გამოვიდა გუგუნით. ბიჭებმა ქუდები ჩაიკეცეს და განრისხებას უფროსებს აცლიდენ. მათი ქოხები დაბანაკებულიყო თიხის მუცლებით და მუცლებზე უელვარებდა შორეული ცეცხლი; ხოლო სადაც ცეცხლია—ასეთი მუცლები სკდება და ნელის ღმუილით იწვის; იწვის სარჩო და მგონი:

— თავისუფლებას სწვავენ!—

თენდებოდა. — ქალაქის მხრიდან გამოჩნდა ცხენოსანი ჯარი. სოფელი წამოიშალა. ქალები და ბავშვები, სარჩოთი დატვირთულ ცხენ-ურმებით, გარეკეს მთებში.

კობამ, რამდენადაც შეეძლო, უდანაშაულო სახე მიიღო და დახლში ჩადგა.

მოდიოდენ ყაზახები, ქვეითი ჯარი. იარაღი ელვარებდა მზეზე. კობა დალონდა. ჯარი დაბანაკდა. დაანთეს ცეცხლი; დაჭიდეს ჩაიდნებს; ემაურობდენ; იგინებოდენ; თუთუნს ეწეოდენ. კობას ყველაფერი უწესოდ მივიღებოდა. დუქანში შეცვივდენ; აივსო დახლი, სამზარეულო:

— არაყი!—

— შენ, ბრუტიანო ეშმაკო, იცი რა არის თავისუფლება?

— არ ვიცი, არა! ჩვენმა სოფელმა თავისუფლებისა არა იცის რა!

მიუხედავ ამისა კობას ფულები არ მისცეს. ხნიერმა ჯარისკაცმა უთხრა: —ფულს რომ არ ვიხდით, აი, ეს არის თავისუფლება, თქვენი დედა და მამა! როგორ? თქვენ იმპერატორის წინააღმდეგ? არა, იმპერატორის წინააღმდეგ?, მე თქვენი.. ხნიერი ჯარისკაცი თანდათან ბრაზდებოდა, თითქო იმპერატორი თვითონ ყოფილიყო, ეგ რწყილი, ეგა! სხვები ჯერ იცინოდენ, შემდეგ გაჩუმდენ და იმათაც იწყეს გაბრაზება. მუშტებს მწყრალად ჰკუმშავდენ და კობასაკენ მიიწევდენ.

„უჰ, რა ამპარტავანი სახეები და ისეთი უაზრო, ისეთი, ისეთი... — ფიქრობდა კობა და უნდოდა ხნიერ ჯარისკაცისათვის ზედ წვერზე მიეფურთხა:

„აბა, რომელი შენი ძმა არის თავსლაფდასხმული ხელმწიფეო“, მაგრამ არ შეიძლებოდა, მოჰკლავდენ.

ისედაც მუქარით უცქერიან, ქვეყნის დამქცევი ჰგონიათ და მისი ელამი თვალები არ მოსწონთ:—კარგი სული არ უნდა იყოსო — დიდხანს ჰყვიროდა ხნიერი ჯარისკაცი; სხვები ბრიყულ თვალებში მრისხანებას იგროვებდენ:

— არა, ეგ მიკიტანი თუ მოსაკლავი არ არის, რატომ ჰყვირის ჩვენი ჯარისკაცი? — იდგენ და უბრალო ხმაურს ელოდენ, რომ კობა ცოცხალი არ დაერჩინათ.

კობამ იგრძნო ხიფათი. „უთუოდ ამ ხნიერ ჯარისკაცს ნაკლები არაყი ხვდებოდა წილში და იმიტომ არის გულნაკლულიო“, მოულოდნელად მოიფიქრა კობამ; დამშვიდებით დაალაგა დაზგაზე ჭიქები; დახლიდან დიდი ბოთლი ამოაძვრინა, ჭიქები აავსო, ერთი თვითონ ასწია, სხვებს თვალი ჩაუკრა და რუსულად წარმოსთქვა:

— ეგ გაუმარჯოს ნიკოლოზ მეორეს, ღმერთმანი! — და დალია. ჯარისკაცებმა უნდობლად შეჰხედეს; — რა გაყვირებს, ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა კობა მყვირალა ჯარისკაცს — ჩვენ არ ვიცით რა არის თავისუფლება. — არაყი მიაწოდა და მცირე ყოყმანის შემდეგ იმანაც ჩამოართვა. კობამ გამოალაგა რაც რამ გააჩნდა. დათრობა არ შეიძლებოდა. მართალია, ჯარისკაცები ბრუნდებოდენ ბანაკში, მაგრამ მაგიდაზე სტოვებდენ ამოოხვრას. არაყი შეისვა და მოთხოვნილება მატულობდა.

— წავალ, სახლიდან არაყს ამოვიტან—განაცხადა კობამ და წავიდა. გაჩქარებით მიდიოდა. ჯარისკაცები სახლებში დაძრწოდენ; მხიარულ ხმაურით დასდევდნენ შინაურ ფრინველებს დასაჭერად, ფანჯრებს ამტვრევდენ და შუშების ზრიალი ეზოებში კვნესად გაისმოდა.

კობა ცდილობდა არ ეცქირა ასეთ სურათებისათვის, თვალები კი გარბოდენ და გული ნაღვლით ევსებოდა; უნდოდა აგრეთვე ჯვარი [illegible] დაეწერა, მხიარული სახე მიეღო, ჯარისკაცთა რისხვა რომ არ დაემსახურებინა, [illegible] ვერ შესძლო, და მოუჩქარა, თითქმის გაიქცა.

ერთგვარი სანახაობაა ირგვლივ: ასეთ სანახაობებს, მყვირალა ფერადებით სწერენ უვარგისი მხატვრები და ბაზარზე ჰყიდიან ორს სამ შაურად. სურათზე ნაჩვენებია აოხრებული სოფელი; ჩამონგრეულ ქოხიდან, ჯერ კიდევ კვამლი რომ ეხვევა, გამორბის ჯარისკაცი. მას იღლიაში გაუჩრია მამალი; მამალს უსათუოდ დიდი და ფერადი ბოლო მოუჩანს, და რადგან კვამლი შავია და ჯარისკაცს თეთრი კბილები ჰქონია, ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ ჯარისკაცი იცინის.

—დიდი სიბრიყვეა ასეთ დროს სიცილი—

— არა, ვის გაუგონია ასეთ დროს სიცილი?—

სოფელში ჯერ არაფერი დაეწვათ, მაგრამ ეგ ანგრეული ოჯახები?

დაჰკრეს ბუკი; ბუკმა საყელოში ჩაავლო ჯარისკაცებს ხელი და ქოხებს მოჰგლიჯა. ჯარი მოგროვდა. თოფები მხარზე. ყაზახები ცხენზე. დაეწყვენ.

— ნაბიჯი-ით!..დაიძრენ—ერრ, ორრ, ჰამი!

ბული ავარდა გზაზე — ჯარის ნატერფალი. მტვერი დადგა შორს შესახვევში და შესახვევშივე კრთოდა ხიშტების ელვარება. მზემ ულაყურ ლაშებითა და ნესტოებით იფრუტუნა; ტორები დაჰკრა გორებს, რომ ყალყზე დამდგარიყვნენ, თვითონ კი, ქურანა მუცლით დაყირავდა დაბლა, სადაც დედამიწას ცა ეხურება. აინგრენ გორები, მთები და ანგრეულები ჩადგენ ჩრდილში.

ასე ღამდება მუდამ.

ქოხებთან დალაგდა ჩრდილი. სოფლელები გასცქეროდენ გზას და სახეზე მათაც ულაგდებოდათ ჩრდილი. შორს დასანახად ბიჭები ხელს შუბლზე იფარებდენ და კბილებს აღრჭიალებდენ.

სახე გაულურჯდა კობას; დამწუხრდა. მინები დალეწილი, კარები შეხეთქილი, ქონება განიავებული. დადიოდა კობა ეზოში. ეზოდან სახლში შევიდა; ისევ შარაზე გავიდა და სახლს შეხედა; ფანჯრის ჩარჩოები დაცლილ თვალის ღრუებივით გამოიყურებოდენ.

კობას უნდოდა სახლი მიეტოვებია და ღამით მეზობლებში გადასულიყო; მობრუნდა, გაიარა და შესდგა — ყური დაუგდო ღამეს. ოჯახის ერთგული ძაღლები უმადურად ჰყეფდენ და გაბმულ ყმუილით ბედს უზომო საყვედურს უცხადებდენ. სოფელი იდგა ისლში შეხვეული; ისლზე ელაგა ღამე და ისლიდან იკქირებოდა ჩამალული სოფლის თვალები, სადაც ჩარჩენილიყო გამგზავრებულ ჯარის სურათები.

— კობაა! —უეცრად იყვირა სოფელმა.

კობა გამოერკვა, გაეხარდა რომ უყივლს; ძახილის მიმართულებით წავიდა და თან მიჰქონდა ფიქრები. კიდევ დაიძახეს:

— კობაააა! — და ეხლა, ძახილის დაბოლავებე „ა-ა-ა“ ძალლებმა ჩაიგდეს პირში და თავიანთი „უ-უ-უ“ დაუმატეს. კობამ ხმა გასცა:

— აი, ჰაი! —და მოუჩქარა.

ეზოში ცეცხლი დაენთოთ; ღამეს სწვავდენ და იდგა ხინკალი. ცეცხლის პირას იჯდენ ხნიერები და ახალგაზდები. კობამ შორიდან დაინახა ცეცხლი, მივიდა და დაჯდა. თათბირს იმედის თვალით გადახედა, სიამოვნება იგრძნო და მხიარულად ჩაიცინა; შემდეგ მიხვდა, რომ დაუშვებელია ასეთ დროს სიცილი, მაგრამ გამხიარულებულ იმედს ვერ სძლია და კიდევ გაიღიმა. თათბირი სდუმდა.

ყველას მაგარი, მზეში ამოვლებული და მუქ-წითური სახე ჰქონდა. ცეცხლი ეფინებოდათ სახეზე, მაგრამ მძიმე ფიქრებს ეწეოდენ და სხვას ვერაფერს გრძნობდენ; ერთმა რაღაც სთქვა და გაჩაღდა თათბირი:

—თავისუფლება ჩაგვიქრეს მაგ ოხერ-ტიალებმა!

— ჩამოგვიქროლეს და თავისუფლება აგვყარეს. წაიღეს ჩვენი თავისუფლება, წაიღეს!

ჩაივლიან სოფლებს და თავისუფლებას ჩაიკრეფენ; ქვეყნად კვლავ მონობა დარჩება,—ახალგაზდებს თოფი მკერდზე მიუყუდებიათ და შუბლის ჭმუხვნით ამბობდენ:

— თავისუფლებას თუ აგრე იოლად დათმობ, რა თქმა უნდა წაიღებენ.—

— ჰეი, ძალა ალმართსა ჰხნავს—სთქვა ყველაზე უხუცესმა თათბირში. ბევრმა დაადასტურა ეს სიტყვები თავის დაქნევით და მათ შორის კობამაც. ამის შემდეგ ბევრი რამ ითქვა. კობა თავისას ფიქრობდა. მოხუცები დალონებით იქექდენ წვერებს. ჭაბუკებმაც ილაპარაკეს, მაგრამ მათ არ უჯერებდენ.

ღამე მუხლზე გადიკეცა მთვარემ და შუალამე შეიქნა; მამლებმა შუა-ძილისპირული იგალობეს და თათბირი დაიშალა. კობა წავიდა. თავის გაჩანაგებულ კარს ზედაც არ შეხედა, შევიდა სახლში, დაწვა. „კარგია, ოჯახი გაუხიზნავს, თორემ დედაკაცი წუწუნით გულს გააწყალებდა. ეგ ჯარისკაცებიც ხომ ჩვენისთანა სოფლელები არიან, მაშ რათ აიკლეს სოფელი?“.

კობა ჯარისკაცთა დიდ შეუგნებლობაზე ფიქრობს. მართალია, თავისუფლება არ სჯეროდა და თავს აქნევდა, მაგრამ თავს ეხლაც აქნევს: „ჯარის ბრალია, ჯარის! სოფელს კარზე მოადგა და გააჩანაგა. ასეთი ჯარი სასტიკად უნდა დაისაჯოს! ხანჯალი გულში და—მორჩა! მაგრამ არა... ჯარს რა ესაქმებოდა ჩვენთან; უფროსების დანაშაულია!.. არა, ხელმწიფის კარის კაცებისა!.. თვითონ ხელმწიფისა! მარტო ხელმწიფე უნდა დაისაჯოს!“... ამაზე კობა დაფიქრდა, დაფიქრდა და ბოლოს იყვირა:

— ყველანი უნდა დაისაჯონ!

წუთით მიყუჩდა; ძნელს რასმე ფიქრობდა და შუბლიდან აზრს ეზიდებოდა; უეცრად აზრი თავზე დაეცა; კობა წამოხტა, დაეჭიდა აზრს, იატაკზე დასცა

და მუცლით დააწვა. აზრი ხელიდან გასხლტომას ლამობდა და კობა სულს ხვნეშით ითქვამდა:

— ა-ა, არა! ადამიანი უნდა გაამათრახო; ღორულ ზურგზე თასმები უნდა მისცხო! რა დაგიშავა? დღეს თუ არაფერი, ხვალ დაგიშავებს, ტყეში უნდა ჩასჩეხო, არც არავინ გიცქერის—ურტყი და აბღავლე, მინამ ამოიბღავლებდეს თვის უგნურობას... მაგალითად ჯარისკაცები. სოფლელებს [illegible] და ჩვენი სოფელი კი დააქციეს. მათ სოფელს სხვები დაანგრევენ [illegible] კიდევ სხვები; როცა დაბრუნდებიან, ნახავენ აყრილ ოჯახს, შეჰქმნიან ურვას და ერთიც ვერ მოიფიქრებს, რომ იყვიროს:

— ხალხნო, დამკარით წკეპლები ზურგზე, ეს მე დავაშავეო! გვიან შეეგენ, გვიან...—ბუტბუტებს კობა და ჯარისკაცების თანაბარ აგონდება ბავშობის ამბავი:

— ერთი ავგულა ბიჭი იყო სოფელში; ტოლებს დაიჭერდა უმიზეზოდ და უწყალოდ სცემდა; თუ რამ სათამაშო გააჩნდათ—გაუტეხდა; ტიროდენ უმიზეზონი და იცინოდა ავგულა. აი, ასე უნდა მოექცე დიდებსაც; ხელში ჩაიგდო—სცემე! ჩემმა მზემ, ავგულა ბიჭი პირველი ჭეშმარიტება ყოფილა; ჭეშმარიტება ხალასი, ბაჯაღლო... გვიან მივხვდი, გვიან...—ბუტბუტებდა კობა.

— კიდევ კარგი! მშვენიერი დასკვნაა, ჩინებულია!—და, გულს რომ არავის შეჰკლებოდა—კობამ თვითონაც დაირტყა მჭლე ზურგზე ათი არგანი; ამბობდა:

— მეც მხვდება, ადამიანად გავჩენილვარო.

ღამე დაუსრულებელი შეიქნა და სანამ ღამე ცას მოსწყდებოდა, ჰბორგავდა სოფელი. გათენებისას სოფელს რამდენიმე მხრივ შეესია ცეცხლი. გლეხები წამოიშალენ. იწოდა სამი ქოხი და კობას დუქანი: გზაზე მიდიოდა ახალი ჯარი. კობამ ცრემლები ჩამოჰყარა და ხელი მკერდზე მოიჭირა. ღმუოდენ ძაღლები.

გლეხები დარბოდენ და მათ ჩრდილს ცეცხლი მინდორზე აბარბაცებდა, სადაც ტირიფებია და ღელეა, და ღელე ციმციმებს ვერცხლის ყაიშივით. ქოხები გმინავდენ და გმინვით ებრძოდენ კვამლსა და ცეცხლს, რომელიც მწყობრად ანათებდა მიმავალ ყაზახების ზურგს, ცხენების გავას და ისევ ზურგებს.

გზიდან ისმოდა თქარუნი.

———

ყოველ დილას ხედავდენ მიმავალ ჯარს; ჯარი მიდიოდა სამხედრო წესით. უფროსები ნაცრისფერ მაზარებში, მხრებზე გადაჭიმულ ღვედებით. ჩაატარეს ხორთუმზე მუშამბით ჩამოცმული ზარბაზნები; ზარბაზნებს ცხენები მიათრევდენ და მათ ზეთიან თვალებში გროვდებოდა დაღლილობა. მეტის-მეტად დაღონდენ სოფლები.

ქალაქიდან ცნობები ნაკლებად მოდიოდა: ამბობდენ: საქმე წახდა; ქალაქში, ჯურღმულებს ისევ რკინის სალტებს უჭერენ, და მხოლოდ იმ მხარეს, სადაც ჯარი მიემართება, კიდევ იბრძვიან მაგარი ბიჭებიო.

კობაც გაიხიზნა. ძველი მედუქნე სდევდა; ის სხვებსაც სდევდა, მაგრამ ახალგაზდებმა მოჰკლეს; ტყვია შიგ ძუძუში ჰკრეს და ჩააძალლეს. მკვლელებს დაეძებდენ დღისით, ხოლო როცა ღამით მოუნდებოდათ ძებნა, ბილიკებს ვერ ხედავდენ, სწვავდენ სამიოდე ქოხს და სოფელი ნათდებოდა. ეწოდათ გლეხებს ოვალები.

— ნუ სწვავთ გლეხებს, ნუ! გლეხები ქალაქში მიდიან, ... მუშებად ხდებიან; მუშებსაც ნუ ახლებთ ხელს!

საერთოდ კი—ძირს თვითმპყრობელობა! — ასე ჰყვიროდენ ევროპის მუშები თავიანთ ევროპაში; რუსეთის ელჩებს ფანჯრებს უმტვრევდენ და კარებიდან თუნუქზე დახატულ ორთავიან არწივს ჰგლეჯდენ.

სოფელმა ეს არა იცოდა რა.

გათავდა წელიწადი. დაილია დღეები დატვირთული მინდვრების ხვავით, თავისუფლებით და შემდეგ ცეცხლითა და მწუხარებით. როცა წელიწადი ილევა, გლეხები ნატრობენ ახალ წელს—მოგება-მოსავლისა. კობამაც მოგება ინატრა. აიშენა დუქანი და დაიწყო ვაჭრობა. შეადგინა ავლა-დიდების ჯამი—მოგება გამოვიდა. მოგება იყო: ოქრო და ვერცხლი, ჯალაბობა: ნინო, შაქრო და მელანო. მართალია, ზოგჯერ დიასახლისი მშიერ თვალებით უცქერის მსუნაგ მამაკაცებს, მაგრამ კობა ამთქნარებს.

მელანო ტანს იყრის.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

აკაკი პაპავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპირიდონის გასაჭირი

როდესაც რკინისგზის აგენტი დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ დაღლილი და დამტვერული სადგურის უფროსის კაბინეტიდან გამოდიოდა მას წამოეწია პატარა ბენია, პირველი კლასის ბუფეთში რომ ხელზე მსახურებდა.

— ბ-ნო სპირიდონ, ვარდენი გთხოვთ, ამ საღამოს 7 საათზე ჩაიზე მობძანდითო.

სპირიდონს გულზე რაღაც მოაწვა. მან იცოდა, რას ნიშნავდა ეს „ჩაიზე მიპატიჟება" და ისიც შვიდ საათზე; სასწრაფოდ დახედა საათს, უკვე ხუთი სრულდებოდა. მაშ მას არ შეუძლიან არც დაიძინოს, არც მოისვენოს და მის ძვირფას ასმათთან, რომელიც მუდამ მარტოობაზე სჩივის, ეს საღამო მაინც ტკბილად გაატაროს თავის ოჯახში.

მაგრამ უარის თქმა როგორ შეიძლებოდა და ისიც მისგან, რომელიც რაიონის ორგანიზაციის ერთ მოწინავე წევრად ითვლებოდა.

— კარგი, მოვალთქო,—მოუჭრა მოკლედ და ნაბიჯს მოუჩქარა.

„ნეტა რა უნდა იყოს ასეთი სასწრაფო და გადაუდებელი?" ფიქრობდა ის: „ან ჩემს ჩამოსვლას ხომ არ უცდიდენ?" ზეგ დილით 6 საათზე ის ისევ უნდა გაემგზავროს და მანამდის ოჯახში ათასი რამ აქვს მოსაგვარებელი. მაგრამ ხვალ კიდევ შეიძლებოდა როგორმე, დღეს კი... მას შემდეგ, რაც ის ასე ეწამა გზაში მარტოობით, რაც მას მთელი ღამეებიც კი არ უძინია და ასმათზე ათასნაირი სიზმრები აწუხებდენ, უნდოდა სწორედ ეს საღამო ყოფილიყო ნეტარი და ნექტარით სავსე, როგორც ამ სამი წლის წინად. როგორ უნდოდა გულში ჩაეკრა თავისი ერთად-ერთი იმედი; ათასი საალერსო სიტყვებიც კი გამოიგონა გზა-გზა და მატარებლის ხმაზე იმ მელოდიასაც ხშირად იმეორებდა, ბაქოში რომ სადილობისას ერთ სარდაფში გაიგონა და ასე მოეწონა. უნდა ასწავლოს ცოლს ეს სიმღერა, მას ხომ ასე უყვარს ყველაფერი ახალი. მერე ეს დიდრონი და სურნელოვანი ხილები ასმათისათვის გზაში რო იყიდა გაუთალოს და სათითაოდ ჩაუდოს პირში; კიდევ რამდენ რამე სასაცილოს მოუყვება გზაზე ნახულს და გაგონილს; ერთბაშად გადააივიწყებს მის ცუგრუმელა გოგონას მარტოობას და მწუხარებას; და მერე მას სპირიდონის მხარზე მიეძინება. არა არ სძინავს: მხოლოდ სიამოვნებით და ნეტარებითაა მთვრალი... სპირიდონის მძლავრი მკლავები მას ნაზად აიყვანენ, რომ ბურანიდან არ გამო-

ვიდეს, მიასვენებენ რბილ საწოლზე და აჩქარემულის სუნთქვით დაუწყებს ქალს ტანზე გახდას... აი, გამოჩნდება მისი სავსე მკერდი, თეთრი და ხავერდივით რბილი კანი, რომლიდანაც თავბრუდამსხმელი სურნელება ამოსდის; ათრთოლებულ თითებს გადაუსობს შიშველ ბეჭებზე, კისრის უკან ნაზად მიატანს ცხელ ტუჩებს და ქალი ისევ თვალ-გაუხელი გაშლის შიშველ მკლავებს... და ის, გონება დაკარგული უკვე, დაუწყებს დაუსრულებელ [illegible] ყელში,—გულზე... მაგრა, უფრო მაგრა, ვიდრე ოდესმ[illegible] ჯულზე, ისე, რომ ქალის ძვლები იღუნება, მაგრამ ის არ გრძნობს ტკივილებს... და მთელი ღამე აქ ზღაპარია, ტკბილი მუსიკა... ვინ შეიძლება იყოს მაზე ბედნიერი? ვინ ფლობს ასე სავსებით, განუსაზღვრელად ამ ნორჩ, ჯერ კიდევ ბავშურად აყრილ ტანს?! და როცა ღამით მას გაეღვიძება და თვის მკლავზე ამ მშვიდად მძინარს დახედავს, ერთხელ კიდევ ჩუმად აკოცებს შუბლზე, ისე რომ მკლავი არ გაარხიოს და ძილი არ დაუფრთხოს მისს საუნჯეს.

რამდენჯერ ეღვიძება მას ასე ღამეობით? ვინ მოსთვლის! თითქოს შიშობს, ეს ბედნიერება ძილში არ გაუქრეს.

და აი, ამ სამი წლის განმავლობაში რამდენჯერაც არ დაბრუნებულა ის სამსახურის მგზავრობიდან, იმდენჯერ მეორდება ქორწინების პირველი ღამის ნეტარება, არც ერთი ჩრდილი არ გადაჭკვრია მის ზეიმს ამ ღამეებში. მაგრამ დღე? დღე მას ისე არ უყვარს... ჩვეული სიცხადე მოაქვს თან: ათასი წვრილმანი ზრუნვა, ოჯახური ფუსფუსი, ისევ გამგზავრებაზე ფიქრები და ისიც მოუთმენლად ელოდება ისევ ღამეს, ისევ ახალ ნექტარს. დღე ასმათიც თითქოს სხვანაირია...

სპირიდონი ატყობს, რომ მას ძველებურად ალარ უბრწყინავენ თვალები, მასში რაღაც ყრუ სევდაა და უხალისობა; შეიძლება რაიმე უკმაყოფილებაც იყოს აქ დაგუბებული... სპირიდონი ათასნაირად ალაგებს სიტყვებს, უნდა მდაბალი და ტკბილი ტონი მოუძებნოს თავის ხმას, მიპარებით მოეხვიოს, გულზე მიიკრას და ჰკითხოს: ხომ არაფერი აწუხებს მას, ხომ ბედნიერია ის სპირიდონთან? მაგრამ რაღაც ვერ უხერხდება ეს. ალბად ბავშური კდემობა თუ შერჩენია ამ ოცდაორის წლის ქალს, რომ დღისით მას ხვევნა და კოცნა არ შეუძლიან. ისევ ღამისათვის უნდა გადასდოს სპირიდონმა ეს კითხვები--იჭვები... მაგრამ ღამე ისე ტკბილია, ისეთი ზღაპრული, რომ მას დალაპარაკებისაც კი ეშინიან ჩუმ ალერსში ისინი თვითონ უხსნიან გულს ერთმანეთს და რაღა საჭიროა აქ კიდევ ლაპარაკი, ცარიელი სიტყვები?

ან რად უნდა იყოს ასმათი უკმაყოფილო, განა მას არ უყვარს ეს ქალი თვის სიცოცხლეზე უფრო? განა მისთვის არ ოცნებობს, შუშაობს, ფიქრობს და ლოცულობს ჩუმად?

მართალია, წინად მას მოკეთეები აფრთხილებდენ, აშინებდენ კიდეც, რომ ასეთი ახალგაზრდა გოგონა ჭალარა შერეულ კაცს დიდხანს არ მოუცდის, რომ ისინი მამაშვილად შეფერიან ერთმანეთს, მაგრამ ამ სამმა წელმა ის სულ სხვაში დაარწმუნა. ასმათი შეეჩვია მას, ოჯახს და დღეს თითქოს არც მისთვის არსებობს რაიმე ამის გარეშე, ან რა ისე მოხუცებულია ის? განა კაცი-

სათვის 46 წელი ბევრია? ეს ხომ ნამდვილი ჭაბუკური სიმწიფეა. რა უყოთ, რომ თეთრი გაერია? ეს მემკვიდრეობითა აქვს მას თანდაყოლილი. მისი მამა ორმოცის წლისაც კი არ იყო რომ სულ გათეთრდა, მაგრამ სამოცდა ხუთმეტ წელს გადააბიჯა.

შორიდან შეხედა მის ეზო-გარემოს. გულმა სიხარულით დაუწყო ძგერა. თვალით ეძებს ჭისკარის ახლო-მახლო მისს საუნჯეს; ასმათმა ხომ იცის, რომ ქმარი ამ დროს უნდა მოვიდეს, ალბად მოუთმენლად ითვლიდა საათებს. და აი, ხედავს კიდეც: სახლის წინ, ჭადრის ძირში ზის ქალი და რაღაცას დასჩერებია... ალბად, ან კითხულობს, ან ხელსაქნარს თუ აკეთებს.

სწუხს სპირიდონი, რომ ბუფეთში მაშინვე არ შეევიდა და არ ჰკითხა ვარდენს—სად იქნებოდა საღამოთი კრება? მაშინ ალარ დასჭირდებოდა პირველად ვარდენთან მისვლა და შეტყობა—ის ხომ ისე შორს სცხოვრობს, რკინისგზის გადალმა, როგორ მოუვიდა ეს? ცოტა მეტი დრო მაინც ექნებოდა და ასე სწრაფად არ მიატოვებდა ასმათს.

აი, მან ფრთხილად გააღო ჭისკარი და გასწია ჭადრის ხისაკენ. მოსამსახურე გოგო აივანზე გამოვიდა.

— ქალბატონო, ბატონი მობრძანებულა...

— სადა გოგო?—ქალი წიგნს მიაგდებს და მისკენ მოეშურება. ალარ უნდა სპირიდონს მოეშვას, კიდევ და კიდევ ჰკოცნის ქალს დაჟინებით, შემდეგ ხელგადაყრილნი სახლისაკენ ეშურებიან. ასმათი გოგოს ჩაის დამზადებას უბრძანებს.

— ნუ გამიწყრები ჩემო გოგონა... მე ეხლავე უნდა წავიდე ისევ.

— რა დროს წასვლაა? საცაა დაღამდება.—ნაწყენად შენიშნავს ქალი.

— რა ექნა, გენაცვალე. სასწრაფო კრება გვაქვს და მიბარებენ.

— ღმერთო! მუდამ ეს კრებები... ჯერ არ მოსულხარ და...

სპირიდონს ესეც ეყოფა. ეყოფა რომ ქალის გული მის ხელახლა განშორებას ველარ იტანს და ის ნეტარებს.

არა უშავს რა... ის მალე მოვა, ამხანაგებს სთხოვს, დაღლილია დაჩქარა გაანთავისუფლონ.

ოჯახში რა ამბავია?—ყველაფერი ძველებურად. გოგომ სთქვა, ინდაურმა ცხრა ჭუკი გამოტეხაო; მას ჯერ არ უნახავს—უცდიდა სპირიდონს, რომ ერთად ენახათ, თვითონ არსად ყოფილა, მარტო გუშინისწინ პარასკეობაზე გავიდა ბაზარში. მაგრამ იმდენ ხალხში და მტვერში სული დაეხუთა. არც არაფერი უყიდია; მარტო ერთი ჩითის საკაბე, ბროწეულის ყვავილისფერი, სპირიდონს მოეწონება... ალათიმ დაჰპირდა შეკერვა, იმას ხომ მაშინა აქვს.

ქმარმა ჩითი მართლაც მოიწონა: რა კარგი იქნება მის ტანზე ეს კაბა... კიდევ უამბო ასმათმა ცოტა რამ.

ის? როგორ არის ის თვითონ, როგორ იმგზავრა, რა ნახა ახალი?

აი, მალე დაბრუნდება კრებიდან და ყველაფერს მოუყვება; რამდენი რამ გაიგონა და ნახა ბაქოში, ქალაქში.

საათს დახედავს; მეორე ოთახში გავა და ტანთსაცმელს იცვლის.. ქალი კალათს თავს ხდის. ახ, რა შესანიშნავი ატმებია! კაი ხანია მას ასეთი ალარ

უნახავს... ეს განჯის ყურძენიც როგორ ქარვასავით ყვითლად ბზინავს... და ის იქვე ჩამოჯდება და უფრო მწიფე კაკლებს სწყვეტს. რა ტკბილია!..

მაშ, ის მალე მოვა? ეახშმად დაუცდის—მოუთმენლად ელოდება. და მან ერთხელ კიდევ ჩაკოცნა ქალი და გასწია ჭისკარისაკენ...

დიდხანს აყოლებს ასმათი ნაღვლიან თვალებს მის ახალ ქუდს და ამოიოხრებს. იქნებ ამ ქუდის ქვეშ ჭალარა აოცებს მას? არა, [illegible] ხანია შეეჩვია. მაშ, რად არის ასე მოწყენით?

არც მოწყენითაა; განა ხანდისხან რომ ფიქრებში წავა და ამოიოხრებს ეს უკმაყოფილებას ნიშავს?..

მან იცის, რომ უცნაური ცხოვრება და სილამაზე, რაზედაც წინად ოცნებობდა, მარტო წიგნებშია. და სიყვარული სხვა არაფერია გარდა იმისა, რასაც ის გრძნობს, როცა სპირიდონი მას მაგრა იხუტებს განიერ მკერდზე და მძლავრ მკლავებში იპყრობს მისს სხეულს. ის სიგიჟე სიყვარულისა, რაც მას გაუგონია და წაუკითხავს, განა ყოველთვის საჭიროა? რასაკვირველია—არა. და მართალია ასმათის დედა, როცა მას ბედნიერს უწოდებს. რა აკლია მას? განა ის რაიმეს ისურვებს და სპირიდონი მას არ შეუსრულებს? ჯერ ეს არ ყოფილა; არც იქნება.

რამდენი შენატრის მათ დამშვიდებულ ცხოვრებას, მათ ტკბილ ცოლქმრობას.

...რა უყოთ მერე; განა ყველა პეტერბურგში და პარიზში უნდა წავიდეს? საქართველოში კი არაა ბედნიერება? ან სად შეეძლო მის, დედ-მამას, რომ ის კურსებზეც გაეშვათ და კიდევ 4-5 წელი მისთვის ეზრუნათ.

არა, ის ეხლა უკმაყოფილო აღარაა თავის ბედით და ინანიებს იმ მწუხარებას, რაც თავის დედ-მამას გათხოვების წინ მიაყენა.

* * *

უკვე შვიდი საათი შესრულებული იყო, როცა სპირიდონი ვარდენისას მივიდა. მისი ცოლი ბარბალე წინ გამოეგება და ძაღლს, რომელიც გააფთრებით ჰყეფდა და სპირიდონზე იწევდა, ერთი-ორჯერ ზურგში გადაჰკრა.

— ესეცაა ბ-ნო წავიდა და დამაბარა—თქვენდა მომეხსენებინა—თედორესთან ვიქნებიო.

— თედორესთან? ღმერთო მომკალი, სწორედ იქ გამოვიარე, მცოდნებოდა კაი არ იყო—წყენით სთქვა სპირიდონმა.

— შემობრძანდით ჩემო ბატონო, ცოტა ჩეიმუხლეთ, დაღლილი იქნებით.

— არა, ჩემო ბარბალე. უნდა გავსწიო ისევ, თორემ დამაგვიანდება.

— ღმერთო მომკალი! სწორედ ერთი ფეხით გაგისწროთ, ცოტა შეეცადა მაინც...

— რა მიშავს, მარტოც მივალ. ღამე ნებისა ბარბალე!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ ჩემო ბატონო. ბეჩა, ასე უპატივცემულოდ რაფერ უნდა გაგიშვათ, მარა ვიცი გეჩქარებათ და არაფერი გამეწყობა... და თან მოჰყვებოდა სტუმარს ჭისკრისაკენ.

— გასწი ძაღლო იქით, შე მგლის სახრავო! ნენა, ელიჩკა, გააგდე აი ძაღლი იქით, შეაწუხა პატიოსანი კაცი.

— მურია, მურია!; აქ მო, აქ მო!—გადმოსძახა აივანიდან პატარა გოგონამ. ძაღლი შესდგა, კუდი მოანამგალა და მოწყვეტით გაიქცა.

— აბა, მეტს ნულარ სწუხდებით! ნახვამდის!—უთხრა სპირიდონმა, როცა ჭისკარს მიუახლოვდენ და ქუდი მოუხადა.

— ქე რამ შემაწუხა თქვენი ჭირიმე. თქვენ რო ხშირ-ხშირ ებრძანდებით ჩვენსა!.. ქ-ნი ასმათიც ერთხელ არ გვეწვევა; თუმცა ჩვენ გამოყრუებულები რითი შევსძლებთ მისთანა განათლებული ადამიანის პატივისცემას და გაკვირვებას, მარა... რავა ბრძანდება? მისი ჭირიმე.

— გმადლობ, ჩემო ბარბალე... არის ჩვეულებრივად, მარტოხელად.

— თქვენი ჭირიმე, ერთი პატარა სამსახური მინდა გთხოვოთ,—უთხრა ქალმა, როცა სპირიდონმა ჭისკარს გასაღებად ხელი მოჰკიდა.

— მიბრძანეთ.

— იქნება ქნათ წყალობა და უპატრონოთ იმ ჩემ საწყალ ბიჭს ბენიას. მართალია, ბუფეთში ქე მოაწყო მამამისმა, მარა რაა შენი ჭირი შემეყაროს?.. რა მომავალი აქ მაგას?.. იქნება ბოლოს მამამისივით ლაქია და ლაქიობაში ამოძვრება სული. აბა ჩვენ იმდენი სერმია სად გვექნება, რომ როდისმე საკუთრათ ვეიღოთ ბუფეთი! ბევრჯერ ეცადა საწყალი მამამისიც ვისმეს მაინც შეამხანიკებოდა, მარა არ იქნა. ძნელია, ბატონო, ამ დროში... ახლა ამასაც თავი გაანება და ქე დამირჩა ისევეთ ლაქიათ აგერ თორმეტი წელიწადი სრულდება. ათასი იმედები აქ მომაელიხა: ქვეყანას გადავაბრუნებთო, მარა ღმერთმა მშვიდობა მოგცენ და მე მაგის იმედი არა მაქ... ნეტაი კი არაფელ ხიფათს გადეეყრებოდეთ თვარა, სხვას ვინ ჩივა... ჰო და, იმის მთხოვნელი ვარ: იქნება დეპოს ნაჩალიქმა რამე პეტერე ადგილი გამოუნახოს ამ ჩემ ბენიას; კი იცნობთ თქვენ მას, იცოდეთ ბ-ნო სპირიდონ არ შეგარცხვენთ, სწორეთ მარჯვე და მიმხვეური ბიჭია. ჩემი როა, მიტო არ მოგახსენებთ ამას.

— ვეცდები, ვნახოთ!—მოუჭრა სპირიდონმა და შეეცადა ჩქარა გაენთავისუფლებინა თავი ამ ადამიანიდან, რომელიც არავითარ შემთხვევას და ადგილს არ უშვებდა, თუ კი რაიმეს თხოვნა შეიძლებოდა.

— თქვენი ჭირიმე, თქვენი იმედი მაქვს, და თუ თქვენ მეინდომებთ, ვიცი—ის კაცი უარს არ გკადრებთ. ქვეყანა კეთდება იმ დეპოში, ოდები წამოჭიმენ. ჯამაგირს თვე-თვეზე უმატებენ. ვინ იცის, იქნებ არაა დასაკარგავი მაგ საწყალი ბალანე, იქნება აღირსოს მაგასაც ღმერთმა რამე მომავალი, გაგვიხაროს მოხუცებულობა, ღმერთი გაახარებს თქვენს ოჯახს და თქვენს პატიოსნებას.

— კი ბატონო, კი... მოველაპარაკები უეჭველში—და გაუჩქარა ნაბიჯი, მაგრამ ქალი ეხლა ქუჩაში ფეხდაფეხ მოსდევდა და უმეორებდა თხოვნას, რომ არ დავიწყებოდა, და რაც შეიძლება ჩქარა შეხვედროდა იმ კაცს, თორემ ქვეყანა ამ დეპოს აწყდება, ყველა კაი ადგილები დაიცლება და დარჩება ბავში.

— რა საოცარი ჩაცივება იცის ამ ქალმა, გაიფიქრა სპირიდონმა და ერთ-

ხელ კიდევ ჩამოართვა ხელი, მაგრამ ქალი მაინც არ ფიქრობდა მოსცილებოდა, რომ ამ დროს მისი გოგონას ხმა არ მოსწეოდა:

— დედა, დედა!.. მოოდი ჩქარა!

— მოვალ, მოვალ... გადაგიწყდათ ბარემ, რა სული შემიწუხეთ; აბა თქვენი ჭირიმეთ, თქვენი იმედით ვიქნები, რომ სანამ დეკურნობა მოგიწევდეთ, მანამ ნახავთ იმ კაცს.

— კარგი, კარგი, ჩემო ბარბალე.

— მომიკითხეთ დიდის სიყვარულით ჩვენი გვრიტი ქალი. გვნახოს იქნება, ჩვენ ბალშიც გაიაროს. აქეთ კვირაობით მშვენიერი ჯარიანობა იცის. გულს გადააყოლებს.

— გმადლობ ჩემო ბარბალე, ნახვამდის.—კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა ეს ქალი მაგრამ სპირიდონს აღარ ესმოდა, ან არ სურდა გაეგონა და ჩქარა მიდიოდა წინ.

როცა ქუჩაში შეუხვია და სინათლეს შორიდან თვალი მოჰკრა, მარტო მაშინ იგრძნო სპირდიდონმა დაღლილობა. იგრძნო, რომ ჩქარი სიარულიდან ოფლში იყო გაწურული. შორს აჩრდილი დაიძრა, და მისკენ გამოსწია. აჩრდილმა წუმწუმას გაჰკრა და ეტყობოდა პაპიროსს მოუკიდა. სპირიდონმაც ამოიღო წუმწუმა, აანთო და იმ წამსვე გააქრო. ამ ნიშანზე აჩრდილი სულ ახლოს მივიდა მასთან და, რა იცნო, ქუდი მოუხადა.

— სპირდონი ბრძანებულხართ? საღამო მშვიდობისა.

— გაგიმარჯოს ჩემო ელისო. დამაგვიანდა არა? ვარდენისას ვიყავი და ეხლა იქედან მოვდივარ.

— ყველანი არიან; მგონი დაიწყეს კიდეც.

— ჩამოვიდა ვინმე?

— დღეს გეახლათ, სტუდენტი კაცია; ნამეტანი კაი და მომზადებული ჩანს.

— მაქ არის?

— გახლავთ.

სპირიდონმა მეტი ხმა არ გასცა და, ცნობისმოყვარეობით ატაცებულმა, ჭისკრისაკენ გაექანა. მის შესვლაზე ყველანი წამოიშალნენ.

— ჩვენი საუკეთესო ამხანაგი—სპირიდონი გახლავთ,—გააცნო ესტატემ, რომელიც, სჩანდა, კრებას თავმჯდომარეობდა, ახალგაზრდა მოსულს.

— მეტად სასიამოვნო!—მოკლედ მოუჭრა მოსულმა და ისევ ქაღალდებში დაიწყო ცქერა. სპირიდონმა კვლავ მოიბოდიშა დაგვიანებისათვის.

დასხდენ. მოსული განაგრძობდა მოხსენებას და თანაც ახალ მუშაობის გეგმას უშლიდა დამსწრეთ.

სპირიდონი ჩააკვირდა მის სახეს, თვალებს.

„ძალიან ახალგაზრდა კი უნდა იყოს“. ფიქრობდა ის, „სად ექნება ამას იმდენი გამოცდილება, რომ არა მარტო ადგილობრივ მუშებში, არამედ მთელ მახრაში გლეხობის ორგანიზაციები შეჰკრას და გაუძღვეს. იმ ოჯახაშენებულებმა ერთი გამოცდილი ულვაშიანი კაცი ვერ იშოვეს? აგერ რამდენი ხანია

ვითხოვთ, კაცის შენახვასაც დავპირდით და რაღა ეს ბავში გამოგვიგზავნეს, განა ამას გაუგონებს რამეს ჩვენი ურწმუნო გლეხობა?“

გაჰყვა ფიქრებს, გადასინჯა თვისი მეზობლები, ნაცნობი გლეხები—ისევ თავის სახლს და თავის ასმათს მიადგა. ყველაფერზე თანახმა იყო ამ წუთას, ოღონდ მალე კი გათავებულიყო კრება და ისედაც დანალვლიანებულ ასმათს კიდევ დიდხანს არ დასჭირვებოდა ლოდინი. როგორ ეწყინა მას სპირიდონის ასე უეცარი ხელახალი განშორება. ხომ არ წამოუტირია? რასაკვირველია; განა მან არ შეამჩნია, როგორ სავსე იყვნენ წყლით ეს დიდრონი თვალები? მერე ქუჩიდან სახლს რო შეხედა— განა არ დაინახა, რომ ის ფანჯარასთან იდგა და ფარდას სწევდა, რომ უფრო კარგა დაენახა მიმავალი სპირიდონი? რა უფლება აქვს მას, რომ ასე აწამოს ეს ახალგაზრდა არსება, რომელსაც სიცოცხლე და ხალისი სჭირია? თვითონ რომ სახლში ტრიალებდეს, მაშინ უფრო შეაყვარებდა კარ-მიდამოს ასმათს. ერთად იმუშავებდენ და ცოლიც გაერთობოდა. მარტოხელა ქალს აბა რა ინტერესი აქვს ღორებსა და წიწილებს სდიოს, როცა მისი გული სიყვარულით სცემს?..

რასაკვირველია, ბოლოს მისი კელქი ბუნებაც მოტყდება, კალაპოტში ჩადგება, ოჯახის ნამდვილი დედა გახდება—გაჭირვება-დალხინებასაც უფრო გაიგებს, მაგრამ მანამდე?.. ჯერ ხომ სულ ბავშია და მისი ბუნებაც არ დამდგარა, ამ ეზო-მიდამოში ვერ ჩაჭედილა.

ეხ, ერთი ბავში რო ეჩუქებინა ღმერთს მათთვის მაშინ სხვა იქნებოდა, ერთი ორად გაიზრდებოდა ქალის სიყვარულიც და პატარაზე ზრუნვა მას ყველაფერს დაავიწყებდა, გაართობდა. მერე რა რიგად უყვარს ასმათს პატარები, როგორც ბავში ისე ტიტინებს მათთან და გატაცებით თამაშობს.

საკვირველია!.. რას ჩააცივდენ მას ეს ფიქრები და იქვები? განა ყველაფრამდე ბედნიერი არა ვარ? განა ყველა არ შენატრის ჩემს მდგომარეობას?“

ფიქრობდა სპირიდონი და ეს ახალი წყება ფიქრთა გამოჰყავდა იქვების დასამარცხებლად, ეს იყო მისი „რეზერვი“ მისი ერთგული გვარდია, რომელიც ბოლოს მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. „რით არ უნდა ვიყო მითომ კმაყოფილი? ან ასმათს რა უნდა ჰქონდეს ბედის სამდურავი? ჩვენ განა არ გვიყვარს ერთმანეთი? განა ის სულ ჩემი არ არის? მისი თვალები, თმა, ყელი, ტუჩები, ლერწამი ტანი—რომელსაც მუდამ გახლეჩილ ატმის სუნი სდის, განა სულ ჩემი საკუთრება არ არის? მაკლია კიდევ რამე? შვილი?.. აი, მალე ქალაქში წავიყვან ასმათს—იქ საუკეთესო ქირურგებია, როგორ ვერ გამოარკვევენ რასმეს; რა უსაშველო უნდა იყოს ისეთი, რო ვერ უწამლონ? რა უნდა სჭირდეს ამ შველივით მარდს და ნორჩ ქალს?..“

მაშ რაღა აკლია მას სხვა?

და ის ისევ თავიდან იწყებდა ფიქრების წამოშლას ამ ქალის ვამოხედვაზე, გაღიმებაზე, მის გრძელ თითებზე, უცნაურ ხმაზე, ოაგრამ ამის იქეთ წასვლას ველარ ბედავდა მისი სარდალი.

სული, გრძნობა?..

ეს კიდევ არ იყო საკმაოდ გამორკვეული, მასში რაღაც საიდუმლოება

იმარხებოდა დღემდე და სპირიდონის „გვარდია“ ამ საზღვრიდან უკან იხევდა. თითქოს მას ეშინოდა: ამ ბნელ და ღრმა სივრცეში გაბრძოლებისა; იქ ჯერ ვერც ერთი მზვერავი ვერ შეჭრილა და ბრძოლაც შეიძლებოდა სახიფათო გამხდარიყო...

დაღლილ სპირიდონს დედის ჩანგურივით ხვდებოდა ყურში უცნაურ მუსიკით სავსე და ტკბილი ხმა. მას არ ესმოდა ამ გრძელ მოხსენების აზრი, არც გული ჰქონდა განწყობილი ამისათვის, მაგრამ თბილი სიტყვა აუხდებოდა მის მოთენთილ სხეულს და საშინლად აღიზიანებდა მას რბილი ტახტი, რასაც იჯდა და ჭრელი მუთაქა ცოტა მოშორებით რო იდო.

რა სიამოვნებით გაიშხლართებოდა ამ ტახტზე, როგორ გამართავდა და დაასვენებდა მოთენთილ კუნთებს. არა, ის არ დაიძინებს! მხოლოდ ერთის წუთით დახუჭავს თვალებს, მოღლილ თვალებს. იქნებ ამ ლამფის შუქი სწვავს ასე უცნაურად მის მარცხენა თვალს. ერთის წუთით...

მის გვერდით მჯდომმა ზედიზედ ორჯერ ჩაახველა და შეინძრა. სპირიდონი გრძნობს, რომ ეს გაფრთხილება მისკენაა მიმართული, მაგრამ რა საჭიროა? მას ხომ არ სძინავს, მარტო მარცხენა თვალი ეწვის და...

— ბატონო სპირდონ, ნება მომეცით ერთი პაპიროსი მოგაწოდოთ, ეუბნება იგივ გვერდით მჯდომი და სპირდონიც იძულებულია გააღოს მარცხენა თვალი. მართლაც და უხერხულია, სირცხვილია სხვა არა იყოს—კრებაზე თვლემას ის რო ჩვეული არაა!.. და შეინძრა—ფეხი ფეხზე გადიდო.

— არა, გმადლობ! უპასუხა მან მოჭრით და თითქოს წყენით, რომ უშლიან სმენას. მაგრამ იმ ერთი წუთის წათვლემამ უეჭველად უშველა მას. თითქოს მოემატა ძალა და ეხლა მეტის დაკვირვებით ათვალიერებს ამ ახალგაზრდა სტუმარს. მართლაც რა უცნაური მუსიკაა ამ ხმებში? მას არ ემჩნევა არც დაღალვა, არც დაბნევა, არც მობეზრება. წყაროსავით რაკრაკებს ეს ახალგაზრდა და ყველანი სმენად არიან ქცეულნი. ეხლა უფრო აკვირდება მის სახეს სპირიდონი: ოდნავ სქელია და ღია მისი ვარდისფერი ტუჩები და მკრთალ ზოლებად დაჰყვება ზედ ახლად აყრილი ულვაში. კბილები სწორი და ლამფის შუქზე ფაიფურივით მბრწყინავი. გრძელი აქოჩრილი თმა, სწორი ცხვირი, მაღალი და ჭკვიანი შუბლი, განიერი ბეჭები.

როცა სათვალეს მოიხსნის უცნაურ სინაზეს და უფრო უცნაურ სითბოს აფრქვევენ მისი თაფლისფერი თვალები. ისეთი გრძნობაა ამ თვალებში, ისეთი სიყვარული და რწმენა, რომ სპირდონს გული სწყდება, როცა ყმაწვილი შენიშნების კითხვის დროს ამ თვალებს შავ პენსნეს ჩამოაფარებს.

ეხლა სპირიდონი მის მსჯელობის ხაზს მიჰყვება—რა უცნაური დალაგებაა აზრების და დასურათება სინამდვილის... რა სწორია ეს დასკვნები, ეს გზები... განა შესაძლოა, რომ კიდევ სხვა რაიმე გზაც გამოინახოს? არა ეს ყმაწვილი არც ისე ახალგაზრდა უნდა იყოს, მასაც ალბად ბევრი აქვს გამოცდილი და ნახული. უფრო მეტი კი წაკითხული. რამდენი რამ იცის მან?.. როგორ მოასწრო?..

არა, სპირიდონი შესცდა. უფროსმა ამხანაგებმა უკეთ იციან თვისი საქმე, იციან თუ ვის გზავნიან.

რამდენი რამ იცის და რა რიგ თავაზიანად და მორიდებით უჭირავს თავი...

მოხსენება გათავდა, დამსწრეებს სტუდენტმა მრავალ კითხვებზე გასცა პასუხი. მოკლედ და სხარტულად, მაგრამ იჭვები სულ გაფანტა. დიდხანს ატრიალებს სპირიდონი თავში სხვადასხვა კითხვებს, უნდა სხვებს არ ჩამორჩეს, თვითონაც ჰკითხოს რამე, მაგრამ წინასწარ გრძნობს, რომ ეს კითხვები ამ კაცს არ შეშვენის; ამით უსუსურობას თუ გამოაჩენს სპირიდონი და ისიც მარტო თავს აქნევს და ულიმის ამ სტუმარს.

ბოლოს გაბედავს, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ მოსულის გული მოიგოს.

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული ამხანაგო, თუ თქვენც სხვებივით არ მიგვატოვებთ და მართლაც ხანგრძლივად დარჩებით აქ. სწორედ თქვენისთანა მცოდნე და გამოცდილი ხელმძღვანელი სჭირდება ჩვენს რაიონს. მუშაობის წყურვილი დიდია და ნიადაგიც საუკეთესო—როგორც რკინისგზის მოხელეებში და დეპოში, ისე ბაზრის მუშებში. მაგრამ ჩვენ ეხლა მთავარი ყურადღება უნდა გლეხობაზე გადვიტანოთ...

ეწყინა სპირდონს, რომ თავმჯდომარემ, თუმცა თავაზიანად, მაგრამ მაინც გააწყვეტინა და შენიშნა, რომ გლეხობაში მუშაობის შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი. ისე არასდროს მოსდომებია მას თავმჯდომარის გამოკამათება, როგორც ეხლა, რომ შენიშვნის უადგილობა დაემტკიცებინა მისთვის... რომ ამ მოსულს არ ეფიქრა: „რა ხეპრე ვინმე გყოლიათ ეს კაცო“, მაგრამ არ იცოდა: საიდან მოევლო; გაწითლდა ძალზე.

სტუდენტმა კი ისევ იმავ ტკბილის ტემპით მაინც უპასუხა სპირიდონს და თავმჯდომარეს ისეთივე თავაზიანობით ურჩია, ფორმალიზმს ნუ გავყვებით და ყველა კითხვები გზა და გზა გავარკვიოთო.

მეტად კმაყოფილი დარჩა სპირდონი, უფრო გასწორდა წელში და მედიდურად მიავლ-მოავლო თვალები დამსწრეებს.

როცა შეკითხვები გათავდა და თავმჯდომარემ სიტყვა აიღო, მასპინძელი ფეხის წვერებზე გაეიდა მეორე ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა და თავმჯდომარეს რაღაც ჩასჩურჩულა, იმანაც ღიმილით თავი დაუქნია. ორიოდე წუთის შემდეგ კრება შესწყვიტეს და მასპინძელმა თითო ჭიქა ჩაი, ყველი და პური ჩამოურიგა დამსწრეთ.

სპირდონმა მადლობა გადაუხადა და თავმჯდომარეს სთხოვა, თუ იმდენად საყურადღებო არაფერი იყო, გაენთავისუფლებინა.

— ხომ მოგეხსენებათ ღამე ნატეხი და ნამგზავრი ვარ.

— მე უბრალო ტეხნიკური კითხვები მაქვს, საჩქარო არც ისაა, მაგრამ იქნებ ამხანაგს სურდა, და მან მორიდებით გადახედა მოსულს.

— არა, სადღეისოდ მე სხვა არაფერი მაქვს, მიუგო სტუდენტმა.

— მაშ, გავანთავისუფლოთ ამხანაგი დღეისათვის. ესეც ნამგზავრია, დაღლილი იქნება და შინაურ კითხვებზე ჩვენვე მოვილაპარაკოთ შენიშნა სვიმონმა, რომელიც სტუდენტის უკან იჯდა და აქამდე ხმა არ ამოუღია.

— როგორც გნებავთ! ისეთივე თავაზიანად უპასუხა მოსულმა, მხოლოდ ხვალ ალბად ვინმე მოვა ჩემთან დანიშნულ დროზე და წამიყვანს.

— ეს ჩვენზე იყოს, მაგისათვის თქვენ ნუ შესწუხდებით. ითოლინ ასისთავი მოაწესრიგებს და კაცს გაახლებთ.

— მაშ კარგი ამხანაგებო! მე შემიძლიან ეხლა დაგტოვოთ, არა?

— რა ამბავია ამხ. თავმჯდომარე—იწყინა მასპინძელმა, „ჩვენ ... ჩაი იქნებ ენებებია და ჩვენთან ერთად მიერთვა ამხანაგს"...

— აკი, გიახლებით!"—ღიმილით უპასუხა სტუმარმა.

— ალარ დაგაცალეს და რალა გამოვიდა.

თავმჯდომარე წამოდგა და სპირიდონი გაიხმო. დიდხანს ჩურჩულებდენ.

— მეშინია, თვარა შენ არ შეგაწუხებდი და ჩემთან წავიყვანდი; ხომ იცი რა მეზობელი მყავს, თვალი რო მოჰკრას...

— რა სალაპარაკოა, რას ბოდიშობ შე კაცო,—გააწყვეტინა სპირიდონმა. —დიდი ხნით ხო არაა და ამალამ კი უშოვი დასაწოლს.

—ჰო, ამელამ და ხვალ კი ვაშოვიებ ბინას საიმედო ადგილას და ღამით კრებიდან პირდაპირ იქ წავიყვანთ.

— ბატონი ბრძანდებით.

— არ იწყინო ჩემო სპირიდონ, რომ მუდამ შენი შეწუხება გვიხდება ასეთ დროს: მარა რაცხა ღმერთია შენზე იმდენი იჭვი არავის აქვს...

— კი ბატონო, ეხლავ წავიყვან. ჯერ მე გავალ და ფანარის იქეთ დავიცდი და მოიყვანონ.

გამოემშვიდობა ამხანაგებს და გასწია.

ელისო ისევ ხესთან იდგა, მოშორებით სპირიდონმა ასანთს გაჰკრა.

— გათავდა? ჰკითხა ელისომ და მიუახლოვდა.

— საცაა გათავდება. ნახვამდის! და გაუჩქარა ფარნისაკენ.

როგორ უნდა ეთქვა უარი, თორემ ძალიან კი დასწყვიტა გული ამ დაუპატიჟებელმა სტუმრობამ. სხვა დროს ის მუდამ მზად იყო, მაგრამ სწორედ დღეს უნდოდა მარტო დარჩენილიყო ასმათთან და განსაკუთრებით ალერსიანი ყოფილიყო. ძნელია მაინც, როცა კედლის იქეთ უცხო კაცს გრძნობ—გბოჭავს; მით უმეტეს ასეთი ახალგაზრდა და სრულიად უცხო სტუმარი... ვინ იცის, იქნებ ასმათს საწყენადაც დაურჩეს? თუმცა მას ყოველთვის უყვარდა სტუმრები, მაგრამ ამელამ ისე უჩქაროდა მის მისვლას, ისე სთხოვა: ნუ დაიგვიანებო და...

სტუდენტი თავს წაადგა, ხელში პატარა ჩემადანი ეჭირა.

— აი, ამხანაგო ეს ჩვენი მეგობარი სპირიდონი წაგიყვანთ თან ხვალ დანიშნულ დროზე მოგაკითხავთ; იმედია, არ მოიწყენთ! ნახვამდის!—და პავლე ჩქარა გაბრუნდა.

ორჯერ სთხოვა სპირიდონმა სტუდენტს—გადაეცა მისთვის ჩემოდანი მაგრამ სტუმარი უარზე იყო. უხერხულობა იგრძნო სპირიდონმა.

— თქვენი სახელი ამხანაგო?

— დიტო!

— ბ-ნო დიტო, ჩვენ სულ მალე მივალთ. ნახევარ საათში შინ ვიქნებით, ხომ ძალიან არა ხართ დაღლილი?

— არა, ჩემთვის სიამოვნებაა ღამით სიარული, როცა მთვარე ასე ავარაყებს ყველაფერს; სულ მავიწყდება გზა.

„მთვარე ავარაყებს“—რა უცნაურად ლაპარაკობს ეს კაცი—გაიფიქრა სპირიდონმა. „სწორედ ავარაყებს სიტყვებს, ასეთი ენით [illegible] ლაპარაკობს!“...

მოკლედ და მოჭრილად უპასუხებდა კითხვებზე ეს [illegible] და სპირიდონი მიხვდა, რომ ეს კაცი საკუთარ ფიქრებში იყო გართული და მას არაფრად ეინტერესებოდა მასლაათი. ხანდისხან აიხედავდა ზევით, მიაჩერდებოდა მაღალ ალვის ხეს, ავერცხლებულ ფოთლებს რომ აშრიალებდა და სიამით შეისუნთქავდა ჰაერს.

უცებ შესდგა... რაღაცას ყური დაუცქვიტა.

— ბულბულებიცა გყოლიათ?—სთქვა მან.

— მაგის მეტი რა გვაქვს? ერთობ კარგი სამყოფია ჩვენში...

— ძალიან მიყვარს იმერეთის ბუნება, მკვირცხალია და ერიამულით სავსე.

„მართლაც უცნაურია ეს კაცი. სოციალისტი და ბულბულები ვის გაუგონია?“ გაიფიქრა სპირიდონმა და ისევ წამოიშალენ მისი იქვები ყმაწვილის გამოუცდელობაზე.

— აი, მივედით კიდეც. აქეთ მობრძანდით...

— ასე მალე?

— თქვენ ჩემზე მარდი სიარული გცოდნიათ.

ჩავიდნენ. ძაღლმა ბატონის ხმის გაგონებაზე ყეფას თავი გაანება და მისკენ გამოექანა; შეახტა, მიესალმა. მერმე სტუმართან მივარდა და დასუნა.

— არ გიკბენთ. იცის რომ სტუმარი ბრძანდებით.

მოსულმა ზურგზე ხელი გადუსვა, ალერსით კისერზე ორი-სამი ნელა შემოკრა. სახლიდან ლამფა გამოიტანეს და გზა გაუშუქეს.

— საჭირო არაა, შეიტანე ლამფა,—მიაძახა გოგოს, სპირიდონმა და განგებ ხმა მაღლა დაუწყო სტუმარს ლაპარაკი, როცა აივანს მიუახლოვდენ. ასმათი მიხვდა, რომ სპირიდონს ვილაც მოჰყვებოდა და კარებისაკენ გაეშურა.

— დავიგვიანე ჩემო გოგონა არა?—არ გამომიშვეს... სტუმარი მახლავს ხომ გვაჭმევ რამეს,— კიბეზე ამოსვლისთანავე უთხრა სპირიდონმა. ასმათი ჩვეული იყო ასეთ სტუმრებს. ხშირად მოუყვანია სპირიდონს კრების შემდეგ ღამის გასათევად ქალაქიდან ჩამოსული ამხანაგი. არ ჰქონდა მას ინტერესი ამ ხალხისადმი, ვერც ის გაეგო-თუ რად იტანჯებოდენ ისინი და საფრთხეში იგდებდენ თავს. ბევრჯერ შეეცადა სპირიდონი მის დაინტერესებას სოციალიზმით და პოლიტიკით, მაგრამ ვერას გახდა; ასმათს სულ სხვა ტკივილები აწუხებდენ, მას უნდოდა სულიერ მარტოობიდან და მოწყენიად გამოსვლა, უნდოდა რომ ქმარი მუდამ მასთან ყოფილიყო; სწყუროდა მოგზაურობა, ზღვა, დიდი გემები, თეატრი, ბალი... და ყველაზე უფრო კი იტაცებდა ხიფათი გამიჯნურებისა.

სპირიდონმაც აიღო ხელი მის თავში სოციალიზმის მოძღვრების ძალად ჩაჭედაზე. ამ ლაღ და ნორჩ ბუნებას ჯერ ცხოვრების ჭირ-ვარამისათვის არ სცალოდა.

აქაც ჩვეულებრივი იყო სტუმრის დახვედრა. სპირიდონს არაფერი შეუმჩნევია ისეთი, რომ...

უცებ რო სიწითლე მოედო მისს ლაწვებს? რა არის [illegible] ოცარი? მას ხომ წელან არც კი დასცალდა სპირიდონთან ლაპარაკი [illegible] ბელახლა სახარულმა თუ აიტაცა ქმრის დანახვაზე.

— მაპატიეთ ქ—ნო, რომ ასე დაუპატიჟებლად და ასე გვიან გეწვიეთ.

— არა, ასმათთან ბოდიში საჭირო არაა ამხანაგო. ჩვენთან ისე ხშირად არიან თქვენი მეგობრები, რომ უთქვენოთ მოწყენითაცა ვართ.

ასმათს რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ ერთბაშად დაიბნა და მეორე ოთახში გავიდა. ის გაოცდა, რომ ეს პროპაგანდისტი არაჩვეულებრივ ახალგაზრდა იყო, ნუ-თუ მან უკვე ამდენი იცოდა, რომ მოხუცებსაც კი არიგებდა და ასწავლიდა. „საბრალო“, გაიფიქრა ასმათმა, „რომ რამე მოუვიდეს, რომ დაიჭირონ და კატორღაში გაგზავნონ ასეთი ახალგაზრდა, სულ ნორჩი ჭაბუკი?“...

და მას დაენანა ეს ყმაწვილი, დაენანა მისი სატრფო, რომელიც მას უეჭველია უნდა ყოლოდა. „ან შეიძლება არც კი ჰყავს, მაგათ ხომ საამისოდ არა სცალიანთ; განა ასეთ ჭკვიანებს ვინმე შეუყვარდებათ? მაშინ ხომ ისიც ასეთივე ჭკვიანი უნდა იყოს“. და მან წარმოიდგინა თმახუჭუჭა, შავტანისამოსში მორთული კურსისტი ქალი, რომელსაც პორთფელი სავსე დააქვს წიგნებით და ათასი შენიშვნებით, რომელიც გატაცებით და ლამაზად ლაპარაკობს ჭკვიან, საშინელ ჭკვიან რამეებზე.

სპირიდონი სასტუმრო ოთახში დადის ლამფით ხელში და სტუმარს სხვადასხვა სურათებს ათვალიერებინებს კედლებზე. მისი განმარტებანი ისეთი დინჯი და სერიოზულია, როგორც თვალსაჩინო გალერეის მსახურისა. სტუდენტმა ვერეშჩაგინის სურათი შეამჩნია—„ომის აპოთეოზი“ და დიდხანს იდგა მის წინ ჩაფიქრებული. პაპიროსიდან ფერფლი ჩამოუვარდა და მუხლზე დაეცა.

— არც ჩემს ცოლს უყვარს ეგ სურათი,—სთქვა სპირიდონმა და გასცილდა, რამდენჯერ ჩამოხსნა კიდეც... აი, ეს ჩემი ცოლის სურათია, როსტოვში ყოფნის დროს გავადიდებინე.

— მართლაც მშვენივრობა რამ არის. უეცრივ გააწყვეტინა სტუმარმა. სპირიდონი ფიცხლავ გაშორდა ამ სურათს და ლამფა მაგიდაზე დადგა.

ალბად ეს აღფრთოვანება მას ჭკვაში არ დაუჯდა... ან რა საჭირო იყო ამ შემთხვევით მოსულ კაცს ყველაფერი სცოდნოდა მისი ოჯახის შესახებ. სად დაიკარგა ეს ქალი ნეტაი? ალბად ამ კაცს ოთახს თუ უმზადებს; და განა ამას გოგო კი ვერ იზამდა?

— ასმათ! გამოდი შე ქალო... მე და ჩემს სტუმარს ძალიან გვშიან, იქნებ გვაჭამო ცოტა რამე და ბარემ ჩქარა დავაძინოთ ეს პატიოსანი კაციც...

— ეხლავ!—გაისმა მეორე ოთახიდან.

გოგომ სუფრა გაშალა და ვახშამი შემოიტანა; სტუმარს ხელის დიბანა შესთავაზა. სპირიდონს აკვირვებდა ასმათის ასეთი დაგვიანება, უნდოდა გასულიყო, მაგრამ სტუმრის მიტოვებისაც ერიდებოდა.

— ბოდიში, ბოდიში ბ-ბო! მგონი მე მელოდებოდით... და შემოვიდა ასმათიც შავს აბრეშუმის კაბაში მორთული. თმები ოდნავ დაეთეთრებინა, სახეზეც პუდრი აჩნდა და მისი თვალები მორცხვად ქვევით ეკჭერებოდენ. არ გამოპარვია სპირიდონს ამ თვალების უცნაური ელვარება და დარცხვენილი ღიმილი. „ნეტა რა საჭირო იყო ამ შუალამისას მორთვა-მოკაზმვა“, გაიფიქრა მან... „ან ვის ერიდება? ეს კაცი დღეს მოვიდა და ხვალ წავა, ან რაღა ეს შავი კაბა აირჩია?, ფეხსაცმელიც კი ახალი ჩაუცვამს“. მაგრამ რა იყო აქ მაინცა და მაინც გასაკვირველი?.

რასაკვირველია, ასმათი ყველაფერს მისთვის სჩადიოდა, ქმრის პატივსაცემად, რომ ყველას სცოდნოდა—თუ როგორი სტუმართმოყვარე ცოლი ჰყავს სპირიდონს, თუ როგორ ღირსეულად ხვდება ასმათი სპირიდონის ამხანაგებს.

ვახშამი ჩინებული იყო. სტუმარი მეტად ნასიამოვნები დარჩა და ეტყობოდა—ძველ ღვინოზე უარს არ ამბობდა...

სპირიდონი ფიქრობდა, რომ ყველაფერი საკმაო იყო და ეხლა მოსვენების დროც იყო, მაგრამ ალბად სტუმარი სხვა აზრის იყო. მან გამოაბა გრძელი მუსაიფი და ბოლოს მეგობრულის კილოთაც დაიწყეს მსჯელობა მან და ასმათმა.

ეტყობოდა, მას მეტად აინტერესებდა, თუ რას აკეთებდა მთელი დღეები ასმათი, რა წიგნებს კითხულობდა უმეტესად.

ასმათიც თითქოს გამოიცოცხლდა, როცა სტუმრისთვის ნაცნობი გამოდგა მის მიერ წაკითხული წიგნები. რამდენიმე საერთო ნაცნობებიც კი გამოძებნეს.

„უცნაურია“ ფიქრობდა სპირიდონი, „ეს ხალხი მარტო ცოდნას ატანს ძალას. მათ სხვა არა აინტერესებს რა. რა თქმა უნდა, ასე ბევრ ახალს და შესანიშნავ წიგნებს წაიკითხავს კაცი, როცა სამსახური არ გაწუხებს და მუდამ ჩატარებელში არა ხარ; მაშინ იშოვი კაცი საამისო დროს.

და მას საშინლად დაენანა, რომ სწორედ ამ შემთხვევითმა სტუმარმა იცოდა ასმათის წიგნების შინაარსი და მას კი ერთხელაც არ მოსვლია აზრად გადაეფურცლა მაინც ეს წიგნები.

— ასმათ, გვიანაა, მგონი ჩვენი სტუმარიც გვიჯავრდება, რომ მოსვენება არ მივეცით—და მან მოინდომა ზეზე წამოდგომა.

— რასა ბრძანებთ... წინააღმდეგ!.—„დაამშვიდა“ სტუდენტმა,—მე ისეთი მოხარული ვარ, ამისთანა ინტელიგენტ ქართველი ქალის შეხვედრის გამო ჩვენს პროვინციაში, რომ პირდაპირ ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს.

სპირიდონი სიამაყემ აიტანა, მაგრამ გულზე ნემსის ჩხვლეტა მაინც იგრძნო. არ იცოდა—საჭირო იყო, რომ ყველას გაეგო, თუ რა საუნჯის პატრონი იყო ეს გაჭაღარავებული მოხელე, რომელსაც აღარავითარი წარმატების იმედი აღარ ჰქონდა, თუ არა?..

— მე ეხლა იმედი მაქვს, რომ აქ ალარ მომწყინდება,—ამბობდა ეს გათამამებული სტუმარი, თუ—რასაკვირველია, ნებას მომცემთ, რომ ხანდისხან მაინც ვეწვიო თქვენს ძვირფას ოჯახს.

— ჩვენ მუდამ მოხარული ვიქნებით,—სთქვა ქალმა და—არც კი გადახედა ქმარს ისე განაგრძო, ხომ დიდხანს დარჩებით აქ? მე მაინც სულ მარტო ვარ. სპირიდონი მუდამ სამსახურშია, ვერც კი ვხედავ.

— რამდენიმე თვე კი მომიხდება მგონი დარჩენა. საქმე ბევრია...

სპირდონი თვის თავს განზე მიტოვებულად გრძნობს; უნდა ეს, მისი აზრით შორს წასული დამეგობრება, შეანელოს, მაგრამ რომ არ იცის—როგორ, რითი?

— ჩემს ცოლს ბევრი ვეჩიჩინე ამხანაგო, მაგრამ არაფერი გამივიდა, სრულიად არა სწამს ახალითაობის არაფერი. არც კითხულობს ჩვენს ავ-კარგს. ბევრიც რო ეხვეწოთ არავითარ კრებაზე არ წავა.—ეგონა, ამით ჩასტეხდა ყოველგვარ ხიდებს.

— განა ყველა პარტიის კაცი უნდა იყოს?—შეამსუბუქა სტუმარმა ეს დანაშაული.—„მოვა დრო და ქ-ნ ასმათს თვით გაელვიძება ინტერესი. ეს ალბად ჩვენი ამხანაგების ბრალიც არის, ვერ შეუქმნიათ აქამდე აქ ვერც ერთი ქალთა წრე.

— ვერც შექმნით,—მოუჭრა სპირიდონმა.

— დამაცადეთ...მე იმედს არ ვკარგავ. ის კი არა, ვფიქრობ ქ-ნი ასმათი თვითონ დიდად დამეხმარება ამ საქმეში.

— ტყუილი იმედი გქონიათ,—და ძალად გაიღიმა სპირიდონმა.

— წრის შექმნა ადვილია,—ჩაილაპარაკა სპირიდონის განსაცვიფრებლად ასმათმა,—მხოლოდ უნდა ვიცოდეთ: რა აზრი აქვს ამას, რა უნდა შეგვძინოს?

— მაგაზე თვითონ იმ წრეში მოგახსენებთ,—მიუგო კმაყოფილმა სტუმარმა და ერთიც კიდევ გადაჭკრა ღვინო. ეხლა მას სიმკრთალემ გადაუარა, ლოყები აუღვივდა და თვალებიც უფრო მეტს ელვარებას აფრქვევდენ.

სპირიდონმა თმებზე ხელი გადისვა და ხმამაღლა დაამთქნარა. ეს კი მეტისმეტი იყო და ქალმა წყენით შეავლო მას თვალი.

„შე დალოცვილო“, ფიქრობდა სპირიდონი, თქვენ კიდევ ახალგაზრდები ხართ და არც ჩემსავით იდგამთ წელებზე ფეხს. ამდენი ნამუშევარი და ღამენატეხი ვარ, მატარებლის ჯაჯგანით გამოვყრუვდი. რასაკვირველია, რომ დაღლილი ვიყო და დავამთქნარო“.—უნდოდა გაესწორებინა თვისი უტაქტობა: სტუმარს პაპიროსისთვის ასანთი შესთავაზა და ცოლსაც ლმობიერის, წყლიანის თვალებით გადახედა.

ნელ-ნელა აყოლებდა თვალს პაპიროსის ბოლს და უნდოდა შიგ გაეხვია თვისი ფიქრები, იჭვები... მოეშორებინა თავიდან და ამ ბოლთან ერთად გაექრო. ან რა ჰქონდა საეჭვო? განა მისი ცოლი ღირსეულ დედ-მამის შვილი არ იყო, განა ასეთი გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა და თავაზიანობა ამ ქალს თანაშეზრდილი არა ჰქონდა? ამიტომაც იყო, რომ უცნაურის მზრუნველობით ეპყრობოდა ქალი ამ სტუდენტს. წესით თვითონაც უნდა მიეღო სპირიდონს მო-

ნაწილეობა ამ გართობაში და მარტო ქალისათვის არ მიეტოვებინა ეს მძიმე მოვალეობა, მაგრამ როგორღაც ვერ ახერხებდა ის ამ ლაპარაკში ჩარევას. მისი ორიოდე შენიშვნა იმდენად უადგილო და უხეში გამოდგა, რომ ცდა აღარ განიმეორა და მუსაიფი უმისოდაც ტკბილი და მგრძნობიარე იყო.

კარგა ხანია არ ახსოვს მას ასმათი ასეთი კმაყოფილი, ასეთი ატაცებული: ასეთის სიცოცხლით არ უფრქვევია სიტყვები მის ბაგეს, ასე მჭვირცხალი არ ყოფილან მისი თვალები და ღაწვებიც სიწითლისაგან ხე ალეწა, როგორც ჩრდილოეთის საღამოს მზის ირგვლივ მსუბუქ ღრუბლებს...

ან საიდან იცოდა ამ ქალმა ამდენი რამ? მართალია, მან ამ დაბის სამკითხველო ამ ხანებში სულ გამოაფორიაქა, მაგრამ რა იყო ასეთი ამ წიგნებში? ერთხელაც ვერ დაუდვა გული სპირიდონმა ამ წიგნების კითხვას: ესენი იყვნენ უმთავრესად რუსული რომანები, ან რუსულად თარგმნილნი, ორიოდე ქართულიც...

აბა, ეს ხომ ტყვილა დროს დაკარგვა იქნებოდა სპირიდონისათვის; რა ჭკუა, დარიგება უნდა გამოეტანა მას ათასნაირ მოცლილ ხალხთა თავგადასავალიდან. განსაკუთრებით ვერ იტანდა ის დაუსრულებელ აღფრთოვანებას ბუნების აწერისას, უფრო დაუსრულებელ დახასიათებებს... მისი აზრით ეს სულ მეტი ბარგი იყო—ბევრად ამჯობინებდა, რომ მოკლედ მოეჭრა მთქმელს: თუ რაში იყო საქმე? ბოლოს ის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ მარტო ფულის მახე იყო და დამწერი გახგებ იჩენდა ენაწყლიანობას. მას კიდევ შეეძლო ზოგი ადგილები წაეკითხა „ქუჩუკ ყარამანიანიდან“, მაგრამ ეხლა აღარც ეს იზიდავდა, რადგან, თუ მართლა წიგნის საკითხავ დროს იშოვიდა, ბარემ სასარგებლო და გონების გასახსნელ რასმეს წაიკითხავდა. მასაც ჰქონდა, რასაკვირველია, თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ასმათს ერთხელაც კი არ უხლია ხელი.

მართალია, აქ სულ ორიოდე რუსულ-ქართული წიგნაკი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი, რომელშიაც მთელი სიცოცხლის საიდუმლოება იხსნებოდა და კაცობრიობას მომავალ ნეტარების გზას უშუქებდა. ბევრი აქაც ბუნდოვანი იყო მისთვის, მაგრამ დასკვნები, მუხლები მაინც ერთი-მეორიდან გამოდიოდენ და სიცოცხლეს აზრს აძლევდენ. განსაკუთრებით მას უყვარდა მარქსის და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“, ბოგდანოვის „პოლიტიკური ეკონომია“, ლენინის და პლეხანოვის პაწია წიგნაკები. ბევრი აქ სხვადასხვა ფერ ფანქრებით ჰქონდა შემოხაზული და შიგა და შიგ ქაღალდებითაც ჰქონდა ადგილები დანიშნული.

ეხლაც უნდოდა მას ზოგი რამ ამ წიგნაკებიდან ლაპარაკში ჩაერთო და სტუმრისათვის დაენახვებინა, რომ ცოლზე უფრო საინტერესო რამეები—რასაკვირველია—მან იცის, მაგრამ მათი ლაპარაკი სულ სხვა საგნებს ეხებოდა. ასმათის მიერ გადაკითხული რომანები, ეტყობოდა უფრო საინტერესო თემა იყო სტუმრისათვის. ნუ-თუ ამდენი ჭკვიანი და ლამაზი რამ სწერია იმ წიგნებში? მაშ საიდან უნდა სცოდნოდა მის ცოლს ყველაფერი ეს? მაგრამ მაინც რა ჭკუა აქვს ამ მსჯელობას?..

ხელახლად მოხდა სტუმრის ღირსების გადაფასება სპირიდონის გონებაში: აი, სად გამოჩნდა, რომ ის მართლაც ბავშია ჯერ. რამდენი უმფროსი ამხანაგი ყოფილა წინადაც მასთან, მაგრამ ასეთ უსაქმო ლაყბობაში მათ დრო არ დაუკარგავთ. წინააღმდეგ, ისინი ძვირად, ძალიან ძვირად ლაპარაკობდენ... და თუ ხანდისხან ეშხი მოერეოდათ, მაშინ საათობითაც გაატამდენ წყობილ მსჯელობას ცხოვრების ათასნაირ საკითხებზე და მუდამ ამა თუ იმ სოციალისტ მეცნიერების აზრებით ასაბუთებდენ თავიანთ შეხედულებებს... განსაკუთრებით არ დაუჯდა მას ჭკვაში, როცა გაიგო, რომ დიტო მუშათა გაზეთებში ხანდახან მოთხრობებს და ლექსებსაც კი ათავსებს. არ უყვარდა მას ეს გრძელი ლექსები გაზეთებში — არც არასდროს კითხულობდა მათ... ასმათს კი ემჩნეოდა, რომ ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა; რა ეუყოთ — ქალია. აკი მას სიმღერებიც ასე უცნაურად უყვარს და სპირიდონიც მისთვის ყოველ ახალ გაგონილ ჰანგს მაგრა იბეჭდავს მეხსიერებაში. ეს ქალი ხომ სულ ბავშია ჯერ და, რატომ არ უნდა გაართოს სპირიდონმა?

სტუმრის ლაპარაკი მეტად გაგრძელებული გამოდგა, მაგრამ ასმათს ეს ეტყობოდა ხალისს და წყურვილს ულვიძებდა. თითქოს ბოლოს ჰპოვა მან გულის მესაიდუმლე და ეშინოდა, არ შეწყვეტილიყო ეს ბაასი.

— წაიკითხეთ ამხ. დიტო №-ის წერილები ავტონომისტების წინააღმდეგ? ჩაურთო მან უფრო გაბედულად და ტუჩებზე სიამის ღიმილი გამოსახა.

— ძალიან კი გაასწორა მიწასთან, მგონი, აწი ვეღარ ამოიღონ ენა იმათ.

პასუხს ელოდა, ეფექტი, მისი აზრით, დიდი უნდა ყოფილიყო მაგრამ სტუმარმა მარტო თავი დაუქნია და თავისი ლაპარაკი უფრო ნერვიულის ტემპით გააგრძელა. სკამიც უფრო მისწია ასმათისაკენ, თითქოს უნდოდა ეს ჭირვეული ქმარი თავიდან მოეშორებინა.

სპირდონს გული მოუვიდა, ბოლმა მოაწვა და ჩარბები აუთრთოლდა; ეხლა მზად იყო თავაზიანობის საზღვრებიდან სულ გამოსულიყო და შეტევის წინ ერთხელ ასმათს გადახედა და... მათი თვალები შეხვდენ. სპირდონმა ფიცხლავ დაჭყარა იარაღი. ამ თვალებმა ლმობიერებით და ვედრებით მიმართეს მას, თითქოს სთხოვდენ: „შენი ჭირიმე, ცოტა კიდევ დაგვაცადეო“. ატამი აიღო, ორ-ჯერ-სამჯერ შეატრიალა ხელში და მაშინალურად დაუწყო თლა. დაავიწყდა ვისმესთვის მიეწოდებინა. გრილი სიტკბოება იგრძნო; ცოტა ხნის შემდეგ მეორე და მესამე გასთალა და უხმოდ შეჭამა.

მის იქ ყოფნას არავინ გრძნობდა და რად უნდა შეეწუხებინა ვინმე?

დიტოს მოთხრობა კი გაუთავებელი გამოდგა, ან შეიძლება ეხლა იგი მესამეს, ან მეოთხეს უყვება ამ ქალს? სპირდონს ხომ არ უგდია ყური...

საათს დახედა. თორმეტი სრულდებოდა. ეტყობოდა, არც ამას მიაქცია ვინმემ ყური, კარგა ხან მართავდა საათს და როცა კლიტე მეტად აღარ ბრუნდებოდა გაბრაზებით ჩაიდო ქილეტის ჯიბეში. არაფერმა გასჭრა...

მეტი ძალაც აღარ ჰქონდა და უკანასკნელ ზომასაც მიმართა.

ზანტად წამოდგა ზევით, ერთიც გაიწოდინა და სტუმარს ხელი გაუწოდა:

— ღამე ნებისა, ამხანაგო. უკაცრავად კი ვარ, მარა ერთობ ძალიანა ვარ დაღლილი და თუ არ წავიძინე არ მარგია.

სტუმარმა, თითქოს აქ არაფერიაო, ღიმილით ჩამოართო ხელი და ტკბილი ძილი უსურვა. სპირიდონმა ნაღვლიანად გადახედა ცოლს—მისმა თვალებმა ყველაფერი სთქვეს და ეხლა ის ცოლიდან ელოდა პასუხს.

— დაიღალე ჩემო კარგო? ჩვენც ეხლავ მოვრჩებიო. ეს ამბავი და ისე კარგად ყვება ბ-ნი დიტო რომ ძილი სულ დამავიწყა. ცოტას ვერ მოიცდიდი?

ეს კი მეტის-მეტი იყო. მან ლაგამი ამოსდო მოწოლილ გულის წყრომას და დაბალის ხმით უთხრა.

— შენ დარჩი კიდევ ცოტა ხანს, თუ გინდა. მე კი უნდა წავიდე.—გავიდა.

— მეც ეხლავ მოვალ.—გააყოლა ქალმა და უცებ იბრუნა პირი დიტოსაკენ.

— შემდეგ! ნუ გასწყვეტთ... ისე მშვენივრად ლაპარაკობთ...

მაგრამ დიტოს არც უფიქრია ამ ამბის გაწყვეტა, ის მთლად მეორე ქვეყანას ეკუთვნოდა და ისეთის გატაცებით უამბობდა ქალს ამ ახლად წაკითხულ რომანის შინაარსს, თითქოს უნდოდა თვისი თავი დაეჯერებინა, რომ ამ მისტერიების უცნაური გმირი თვითონვე იყო.

სპირდონმა ბრაზით მიმოავლო თვალები ცარიელ ოთახს, უფრო ბრაზით გახედა ფანჯრიდან მოკაშკაშე მთვარეს და ტანთსაცმელი სკამზე დაჰყარა.

ცხელოდა; საბანი სულ გადიხადა და თვალები დახუჭა. „რა კარგი იქნება რო დამეძინოს მაინც“, ფიქრობდა ის, მაგრამ ათასი აზრები სდარაჯობდენ მის სიზმრებს, ახვევდენ და ისევ შლიდენ ფიქრებს.

უცნაურად მახვილობდა მისი სმენა. ოდნავი ფაცა-ფუციც არ ეპარებოდა, თავს სწევდა და ყურებს აცქვეტდა, მაგრამ ასმათის ფეხის ხმა არ ესმოდა.

გულმოკლული ისევ მაგრა ჩარგავდა ბალიშებში თავს და დაძინებას ნატრობდა.

ამაოდ! მთელი მისი ტანი ალმურად აენთო და ცეცხლის ენები არხევდენ მის თმებს. ასმათის ცარიელ საწოლიდან უცნაური სურნელება იფრქვეოდა მთელ მის სხეულში... ისე უცემდა გული, რომ შიშმა აიტანა, მეორე ოთახშიაც არ გაეგონათ.

მკლავები ხელახლა აქეთ იქეთ გადაჰყარა; ასმათის ბალიში ხელში მოხვდა, მაგრა მოუჭირა თითები და სრესა დაუწყო, ახლოს მიიტანა და ისიც თავ ქვეშ ამოიდო. ეხლა პირქვე დაემხო და ცხელი ლოყა შეავლო ამ ბალიშს, გავარვალებული ტუჩები დააწება და ამ სირბილემ ცახცახი დააწყებინა მის ტანს. უნდოდა ამ რკინის საწოლის ზურგი მოეღუნა, გადაეტეხა. ორივე ხელები მაგრა მოავლო და თავისკენ მოსწია; ბალიშს კბილები დააჭირა... ისე მაგრა, რომ ეგონა ჩაემტვრა. ერთბაშად შეითქვა სული და შეჩერდა, თვალები წამოებერა, ჰაერი ისე ძლიერად ამოუშვა, რომ კვნესა აღმოხდა. შეკრთა; ეგონა—გაიგონებ-

დენ და მოაშურებდენ; ისევ ააცქვიტა ყურები და წამოჯდა. დიდხანს იჯდა ასე გაშეშებული.

ძაღლის ყეფა მოესმა. თითქოს რაღაც მოაგონდაო, ფიცხლავ წამოვარდა საწოლიდან და თვალის დახამხამებაში ტანთ ჩაიცვა, აწეწილ თმებზე ხელი გადისვა, ულვაშები გაისწორა, წინ დაიხედა და მტკიცე ნაბიჯით გავიდა სასტუმრო ოთახისაკენ.

ისინი ეხლა ერთმანეთთან სულ ახლო ისხდენ და დიტოს [illegible] ედო წინ და უკითხავდა ქალს. ასმათი მაგიდას ორივე ხელებით დაყრდნობოდა და სკამზე ნახევრად იჯდა, ცალი ფეხი შეკეცილი ჰქონდა—ისე, როგორც მოსწავლეებმა იციან გაკვეთილის დროს, სპირდონა დარცხვა თავის საქციელის.

— ძაღლის ყეფა მომესმა და მიტო გამოვედი. რა ვიცი, არავინ იყოს. ასმათ! გაიყვანე უკან ოთახში, „ერთ წუთას“ ეზოს მივივლ-მოვივლი; თუ ვინმე იქნა ისეთი—ძაღლს გამოვაგდებ და დიტო ხიდს გაღმა გაიყვანე ყანაში—უცებ გააღო კარები და დაიძახა:

— რომელი ხარ მაქ, ეი!!! მოისმა ისევ ყეფა, „ეცი, ეცი!“ და ფიცხლავ კიბეზე ჩავიდა.

გარედ თითქო სიმჩატე იგრძნო და ღრმად შეითქვა ჰაერი, გაჰყვა ჭისკრისაკენ, ჭადრის ხეს შემოუარა და ქუჩის საპირდაპიროდ გრძელ ნაბიჯებს ადგამდა. ძაღლი კვალ და კვალ მიყვებოდა. სპირდონი მარტო მთვარეს მისჩერებოდა, მას არაფერი ესმოდა—რად დადიოდა ამ შუაღამისას ქუჩის გასწვრივ? მაგრამ იმდენად საამო იყო გრილი ნიავი გახსნილ მკერდზე, რომ სახლში დაბრუნება აღარ უნდოდა. შორიდან ურმის ჭრიალი მოესმა, შესდგა... შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ისევ ჭისკრისაკენ გაუჩქარა და ქუჩაში გავიდა; მეურმეს ღიღინმა უცნაური გრძნობები წამოუშალა, რაღაც ცხელი მოაწვა მის გულს, თვალებმაც უცნაურად დაუწყეს თამაში. განა პირველად ესმის ეს ღიღინი? მაგრამ ეხლა ის ასე უცნაურად სწვდება მის გულს და იქიდან დიდი ხნის დაფარული სიტკბოება ამოაქვს. მან არ იცის მწუხარებაა ეს, თუ ნეტარება? მაგრამ რაღაც ახლობელია, უცნაური მესაიდუმლეა მისი გრძნობების.

უნდა თითონაც ააყოლოს ხმა ამ სევდიან ღიღინს და სჯერა, რომ ასე ტკბილად, ასე ღრმად ეხლა რო მას შეუძლია, არასოდეს არ უმღერია... გაქვავებული სდგას ამ ღიღინის ხმაზე და ისევ დიდ ვერცხლს უყურებს ცაზე. არც ასეთი ნელი და ნარ-ნარი ყოფილა როდისმე ეს მთვარე.

მეურმე გაუსწორდა. ღიღინი შესწყდა და სახრემ ტლაშანი მოადინა.

— კაი გამარჯობა შენი.—უთხრა სპირიდონმა.

— გამარჯვება ნუ მოგიშალოს ბატონო.

— პაელე ხარ?

— გახლავარ ბატონო!

— სტანციიდან მოგაქვს?—ჰკითხა, უფრო იმისთვის რომ რამე ეთქვა,—ლამის პოვეზდმა დიდიხანია ჩაიარა?

— კაი ხანია.

— ნაცნობ კაცს ველოდი და აგერ ვუცდი, მარა არსა ჩანს.

— ალბათ შეიგვიანა და მეორე პოვეზით თუ მოვა ბატონო.

— ალბათ! ღამე ნებისა ჩემო პავლე!!.—და გასწია სახლისაკენ.

— გაგიმარჯოს ბატონო სპირიდონ!—და ისევ მოისმა სახრეს ტლაშანი.

ერთხანს კიდევ ათხოვა ყური ურმის ჭრიალს, მაგრამ ლიტანი აღარ ისმოდა. მიყუჩდა, თითქოს დამფრთხალი სევდა და სპირიდონი ნელა ავიდა კიბეზე.

— ტყვილა შეგაშფოთეთ,—მობოდიშებით უთხრა მან კარებში დამხვდურთ.—მგონი არავინ ყოფილა, ან იქნებ დაგვზვერა ვინმემ და ისევ წავიდა. არ ვარგა რომ ასე გვიან სანთელი გვინთია, ყურადღებას იქცევს... სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ტყვილა რათ უნდა ავიტეხოთ დავიდარაბა.—და ისევ გასწია საწოლ ოთახისაკენ.

ალბათ ამან უფრო გასჭრა. სტუმარი გამოეთხოვა ორთავეს და თავის ოთახისაკენ წავიდა.

— გაყევი იმ კაცს, ოთახი აჩვენე... იქნებ რამე სჭირია.—უთხრა ცოტა უკმაყოფილო ხმით ცოლმა.

— რაღა უნდა უნდოდეს კიდევ!!.— წაიბუზღუნა სპირიდონმა, მარა მაინც გაყვა და შეუძღვა ოთახში.

ასმათი კიდევ კარგა ხანს იდგა სარკესთან და თმას ივარცხნიდა. ისიც იყო ტანთ გაიხადა, რომ სპირიდონიც შემოვიდა. ბევრი რამ ჰქონდა გულში დაგროვილი, საყვედურის თქმასაც კი უპირებდა: ერთი დღით ჩამოსული ქმარი სულ დაავიწყა სტუმარმა. მაგრამ ყველაფერი დაავიწყდა, როცა პერანგისამარა თმაგაშლილი ასმათი დაინახა; ზღაპრის ქალს ჰგავდა.

— ძაღლი დააბი? არ დაჭამოს ის კაცი.

მაგრამ სპირიდონს ძალა აღარ ჰქონდა, რომ ერთი წუთითაც კიდევ მიეტოვებინა მარტო ასეთი საუნჯე. უკან კარები გააღო და გოგოს გასძახა.

— ეფროსიმე, ეფროსიმე! თუ ქალი ხარ დააბი ის ძაღლი.

— ეხლავე ბატონო!—იყო პასუხი.

როცა კარები მიხურა და შემობრუნდა, ქალი უკვე ლოგინში იწვა. ესეც უჩვეულოდ მოეჩვენა. გული ისევ მოეწურა. ზანტად გაიხადა და დაწვა.

ასე ელოდა ის ამ წუთებს? ამისთვის მოიჩქაროდა გულისცემით?

ამოიოხრა

— რად ოხრავ სპირიდონ?

— არ გძინავს ჩემო გოგონა?

— არა. მშვენიერი ღამეა. არ მეძინება...

— არც მე.

სიჩუმე.

— დიდხანს დარჩება მაგ ყმაწვილი ჩვენსა?

— არა. ხვალ უშოვიან სადმე ბინას. ხო იცი, ერთ ადგილას მაგის გაჩერება საშიშია: ჩემზე მაინც ეჭვი აქვთ და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— დღე ხო სახლში არ იქნება და ღამე ჩვენთან არავინ დადის მაინც.

სპირიდონს ხელახლა მოუჭირა გულზე ვიღაცამ მარწუხები. საბანი გადაგდო.

— ვინ იცის.—სთქვა მან.—რამდენი მოღალატეა. იქნებ შეგნიდანაც გვყავს ვინმე.

ქალი გაჩუმდა. უძრავად მისჩერებოდა სპირიდონი მის მკერდს.

რა მოხდა? რად არის დღეს ასე მოკრძალებით—ვერ [illegible]—თითქოს ეშინოდა ამ სხეულის მიკარება, რომელიც მარტო მისი [illegible] [illegible] [illegible]

— მე მოვალ შენთან და ნანას გეტყვი. დაგაძინებ.

გაუკვირდა, რომ ამდენი ძალა მოიკრიფა, ასეთი ხიფათი დაიტეხა ერთბაშად თავს—და ძველი სიტყვებით მიმართა ხელახლა ამეღამაც ამ ქალს. გული შიშით უძგერდა.

უარი რო უთხრას? რომ რაიმე მოიმიზეზოს? მაშინ ხომ სამუდამოდ ჩატყდა ხიდი. მაშინ ხომ მართლაც სხვა და სხვა გახდენ და [illegible] ერდმანეთს. მაშინ ხომ ის მისი ალარ არის და გაძარცული, მიტოვებული [illegible] დარჩება...

— მოდი! „მოესმა მას და მთელი იჭვების ხროვა დარცხვენილი და დამფრთხალი სადღაც გაჰქრა, გადიკარგა.

მძლავრად მიიკრა მკერდზე. თმაში თითები გაუთამაშა და შუბლზე მაგრა აკოცა, ისე რომ მთვარეს ღიმილით სავსე სახე არ ააშორა.

ამ ატეხილ, გიჟურ ვნებიან კოცნიდან მისი ტანი და ხელები ელასტიურობით აივსენ. ნელად, ნაზად უსვებდა თითებს აბრეშუმის ტანზე.

ასეთივე ნელი და ყუჩი იყვნენ მისი შემდეგი ამბორნიც. თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ მასშიაც არის სინაზის უმსუბუქესი ძაფები გაბმული. ქალმა ორივე მკლავები მაგრა მოხვია და მხურვალე ტუჩი კისერზე დააკრა. კისრის ძარღვი შეინძრა და სიმივით მთელ ტანში დაიბოხა.

...და დადგა ძველი, ნეტარებით და ზღაპრით სავსე ღამე. როცა მთვარე დილის დანახვაზე კაბას იკეცდა და გასაპარავად ქოშებში ფეხს ადგამდა, მათი ტუჩები ისევ ერთმანეთზე შეწებებულნი სხეულის საზრდო ნექტარს იზიდავდენ და მკლავები, მუხლები, მკერდი სულ ახალ და ახალ უღლილობის და უძილობის წვეთებს იპკურებდენ და ისევ ფხიზლობდენ, რა ჰქონდა ამ კაცს ბედის სამდურავი? რად შეშფოთდა წელან და ვინ დაუფრთხო მოსვენება?

სისულელეა! მას ისე მაგრა უპყრია ეს ნორჩი ტანი, რომ ვერავინ მოგლეჯს მკერდიდან. და განა ქალი კი დასთმობს მას როდისმე? რად ასდის მის ტუჩებს უშრეტი ალმური? განა ის კი არ იწვის სპირიდონისთვის? განა როცა ვნებით მოთენთილი მკლავებს გადაჰყრის, არ იმეორებს მისი ჩურჩული ძველ, ნაცნობ სიყვარულის ხმებს? ეე! ვინ რას მიჰქარავს?! ჩამოდგეს ყველა!..

ასეთი იყო მთვარის ოინი, მაგრამ ეს ზღაპარი არც დილის მზეს დაუფრთხია.

არ ახსოვდა—ეძინა თუ არა იმ ღამეს? მაგრამ ამ დღის სინათლეზე ხომ სულ შეუძლებელია დაძინება. სულ სხვაა, როცა დღისით გრძელს და მოსაწყენს გზაზე მიგაქროლებს მატარებელი. ეხლა კი, როცა გვერდით ახლად ამოღებულ ყველივით თეთრ და ჩვილ ტანის სიახლოვეს გრძნობ საყვარელ ქალისას, განა შეიძლება კიდევ დაძინება?

ფრთხილად წაიღო ხელახლა ხელი ქალის შიშველ მკერდისაკენ; მაგრამ ისე ტკბილად ეძინა ქალს, რომ დაენანა და შედგა, ცქერა დაუწყო ალერსით და ვედრებით სავსე თვალებით.

ფრთხილად წამოდგა, ტანთ ჩაიცვა უკან კარებისაკენ გასწია, შემდეგ მობრუნდა და მჩატე აბრეშუმის საბნით დაფარა ქალის სხეული. თითქოს არწმუ-

ნებდა თავის თავს, რომ გაზაფხულს კაცი არ უნდა გაუთამამდეს, გაციება მაინც შესაძლებელია.

მაგრამ იქ, სადაც სიღრმეში მეორე გრძნობა ლაპარაკობდა მასში. გრძნობა, რომელსაც თავის წამოწევის ნებასაც არ აძლევდა სპირიდონი, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ის ღრმად და მტკიცედ იჯდა მის არსებაში.

დღეს ის ხომ მარტო არ არის ამ სახლში. და მერმეთ, რომ შემთხვევით ვინმემ თვალი მოჰკრას—თუ რის პატრონი ყოფილა ეს კაცი? თუ რა მშვენიერობაა ძილის დროს მისი ცოლი?.. ფრთხილად მიიგდო კარი. წყლის პირისაკენ აიარა, ხიდზე გავიდა და გაღმა ყანა აათვალთვალა.

„კარგი პირი უჩანს", ფიქრობს ის, „მაგრამ ბალახი კი მორეევია". რა სიამით გამოთოხნიდა ცოტას მაინც ამ დილით, ვიდრე ასმათს ეძინა. მას ხო უყვარს, როცა მისი ქმარი ოჯახში ტრიალებს და გარემოს ვაჟკაცის ხელს აჩენს. მარტო ამ დროს თუ გადადებს ქალი წიგნს და თითქოს ოჯახის სიყვარულიც იღვიძებს მასში.

როცა სამზარეულოდან თოხი გამოიტანა და ისევ ხიდისაკენ გასწია, თავს დიტო წაადგა. მისი სახე თითქო დილის ცვრით იყო დანამული; მთლად ბრწყინავდა და იღიმოდა ეს ყმაწვილი, რომელიც ამ დილით კიდევ უფრო ლამაზი სჩანდა.

— როგორ ადრე აბრძანებულხართ ამხანაგო?—გაიკვირვა სპირიდონმა.

— ჩემი სოფელი მომაგონდა. ისეთი მშვენიერია აქაობა, რომ ლოგინში გული აღარ დამიდგა. მე თქვენს წყაროზეც ვიყავი, ბალჩაც ვნახე, რა მშვენიერი ყვავილები გქონიათ.

— ნერგები სულ სათითაოდა მაქვს ქალაქიდან მოტანილი.

— თოხნას ეპირებით?

— ცოტა მინდა დილით წავითამაშო. მიყვარს ოჯახში გარჯა, თავს ვიქცევ. ის ბალჩაც სულ ჩემი გაშენებულია.

— ძალიან კარგს შვრებით. მიტომაც ყველაფერი ასე ლამაზია აქ.

რად დასჭირდა ეს „ყველაფერი", გაიფიქრა სპირიდონმა, „ვინა ჰყავს მხედველობაში ამ ახალგაზრდას?" მაგრამ არა სთქვა რა.

— შეიძლება მეც გამოგყვეთ? ცოტათი წაგეხმაროთ?

— ეე, ამხანაგო! ეს კი თქვენი საქმე არ არის. ამას თქვენ ვერ შესძლებთ.

— რატომ?! ბავშობისას ხშირად წავხმარებივარ ყანაში მამას.

განა ეხლაც ბავში არ არის? ფიქრობს სპირიდონი. განა ასმათმაც კი ბავშად არ მონათლა? რა ვუყოთ მერე, რომ ბევრი იცის. ნორჩია როგორც ახლად აყრილი ალვის ხე... შველი!

— მაშ კარგი. სათქვენო თოხსაც ვიშოვი, და სპირიდონმა გამოუტანა ახალ-ტარიანი პატარა თოხი. გავიდნენ ყანაში, ძალლიც უკან დაედევნა და მარდად გადირბინა წვრილი ხიდი. მისთვისაც ზეიმი იყო ბატონის მუშაობა.

სულ გამოუცდელი გამოდგა დიტო... თითქოს ერთსა და იმავ ადგილას სცემდა თოხის პირს. მოქნევა მაგარი ჰქონდა, მაგრამ ბალახი მაინც საკმაოდ

რჩებოდა... ეხარბებოდა სპირიდონის ლაზათიანი მუშაობა, მუდამ რომ ერთის ტემპით და რაღაც გასაოცარის გრაციით მოიქნევდა ხოლმე თოხს და რბილად დიდ მანძილზე ბალახებს ძირიანად ფხეკდა.

რამდენით გაუსწრო უკვე... დარცხვენილ დიტოს თითქოს არ უნდოდა შესვენება, მაგრამ მკლავმა უმტყუნა, თანაც ხელის გულზე ტაკვი გადაძვრა და მწარე ტკივილს გრძნობდა.

— კარგი ამხანაგო, გეყოფათ!.. ეხლა დაისვენეთ. ეგენ ბავშვებს—სახლში წაბრძანდით. საცაა, საუზმეც მზად იქნება.

„რა უაზრო რამეებს ვამბობ“, გაიფიქრა სპირიდონმა. „რად უნდა წავიდეს მარტო—იქნება ასმათი ჯერ ჩაცმულიც არ არის“.

— აი, მეც ეხლავ მზადა ვარ. ამ ერთ კვალსაც ჩავთავებ და... უცებ დაუმატა მან. დიტო თოხს დაეყრდნო და მძიმედ სუნთქავდა, პაპიროსი გააბოლა და მდინარისაკენ დაიწყო ჭვრეტა.

— ჩვენს დაბაში პირველადა ხართ ამხანაგო?—შეეკითხა სპირიდონი.

— არა, წინადაც ვყოფილვარ; ისე—გავლით.

— მაშ გიცნობთ ვინმე აქ?

— ერთი ორი მედუქნე მგონი კი. სხვა არავინ.

— ფრთხილად ვიყოთ და მგონი არა გიშავთ.

— მარტო ვიწრო წრემ იცის ჩემი ვინაობა. მე არაფრის მეშინია.

— კი მარა, ხო იცით, ბოლოს მაინც არაფერი დაიმალება. მაინც სჯობია სადმე მოშორებით სოფელში დაგაბინავოთ.

— იქ უფრო მეტ ყურადღებას არ მივიქცევდი?

„მართალს ამბობს“, გაიფიქრა სპირიდონმა და ლაპარაკი სხვა საგანზე გადაიტანა.

— ოო, თქვენც აქა ხართ? თქვენცა სთოხნით? ღმერთო, რა სასაცილოა სტუდენტი და პროპაგანდისტი თოხით ხელში! და მზის სხივებზე უფრო მწველად იფრქვეოდა ყანაში ასმათის სიცილი.

„საიდან გაჩნდა ნეტაი ასე ჩუმად“ ფიქრობდა სპირიდონი, „სხვა დროს როდის ამდგარა და მორთულა ასე ადრე? მერე რარიგად ლამაზად მორთულა“.

— შენ ჩვენს სტუმარს ნუ ეხუმრები, აი ამას იქეთ სულ მან გათოხნა.

— არ დაიჯეროთ ქ-ნო, ჩემი გათოხნილი აი ეს პატარა ყელია.

ასმათმა თვალით გაზომა, ზრუნვით დააჩერდა მოჭრილ ბალახებს.

— მაშ ასე... პრაქტიკულადაც ანხორციელებთ მუშის საქმეს?—სთქვა მან და ღიმილი, ეს სპირიდონის განმგმირავი ღიმილი არ შორდებოდა მის ტუჩებს. აბა, აბა ერთი მაჩვენეთ, თუ როგორ თოხნით, როგორ გიხდებათ მუშაობა?—სთხოვა ასმათმა.

— დამცინით არა? ეგრე იყოს, ამასაც მალე შევისწავლი.—და მან ისევ მაგრა მოუქნია თოხს და პაპიროსის ნამწვავი შორს გადაისროლა.

რა უნდა ექნა სპირიდონს? მას აქ აღარავინ ამჩნევდა ეხლა. მის გარჯაზე არავინ ფიქრობდა, მისთვის ტკბილი სიტყვა აღარ ისმოდა.

წინად ეს ასე არ ყოფილა, და მზემ ისევ აყარა მის თავში იქვის ტოტები. დღის სიცხადემ ისევ დააშორა ის ამ ქალის მკერდს, მთელი ღამე რომ ცხელ ტუჩებს აკრავდა.

გადახედა დიტოს გამოუცდელ მოქნევას და მოუჩქარა მუშაობას... იქნებ მასაც შეხედონ, ნახონ—როგორ მოხერხებულად აცურებს თოხს ბალახებში და რა ჩქარა და კოხტად აყრის მიწას თვითოეულ ძირეულს. [illegible] სდის... მას მუშაობაც ისე კარგად შეუძლიან, როგორც სამსახური, აბა ნახონ...

მაგრამ ქალი მარტო დიტოს თოხს აყოლებდა თვალს და ისევ უზრუნველად კისკისებდა.

„რა უკვირს ნეტაი, რა დიდი მეცნიერება ესაა, რომ ამხელა კაცმა თოხი მოიქნიოს?“ ფიქრობდა სპირიდონი. „მაგას ხომ თოხნა არა ჰქვიან. ერთ თვეს მოუნდებოდა ერთი ქცევა მიწის გათოხნას“. რაღაცნაირმა ბრაზმა აიტანა და უფრო გაუსვა ხელი მუშაობას.

„აბა დაჰკა, დაკჰა ცოცხლად“, წამოიყვირა მან და თვითონვე დარცხვა, რომ ამითაც ვერავისი ყურადღება ვერ მიიქცია. თითქოს რაღაც სასწაული ენახოს, ისეთი თვალით უცქერდა ქალი დიტოს და ამ ცქერაში უცნაური თანაგრძნობა ამოიკითხა სპირიდონმა.

შორს კვალს გაჰყვა, ეხლა აღარ ესმოდა მათი მუსაიფი, მაგრამ აშკარა იყო, ეს—ეხლა თოხნას აღარ შეეხებოდა, რადგან ყმაწვილი ისევ თოხის ტარს დაეყრდნო და ღიმილითვე უქნევდა ასმათს თავს. რა საჭიროება მოითხოვდა, რომ თოხნით მკლავები დაეღალა სპირიდონს. ამ დღეებში ნადი ჰყავს და მაზე უკეთ გათოხნიან. თავის შესაქცევად კი ესეც კმაროდა.

— ასმათ, აღარაფერს გვაჭმევ ქალო?—და თოხი მხარზე გადაიდო.

— წამობრძანდით. ყველაფერი მზადაა.

როცა ხიდზე ფეხი შედგეს, ქალმა შიშით თვალები დააფართოვა და ოდნავი ნაბიჯებით გაჰყვა.

— როგორ მეშინიან აქ!!—სთქვა მან. სტუმარი უცებ ჩასწვდა ხელში და ნელა გაატარა.

— ნუ გეშინიათ, მე გამომყეთ!—უთხრა მან. და როცა ხიდის ყურთან მივიდა ქალი, მეორე ხელი სახელურს გაუშო და ყმაწვილს გულზე დაადო. „ჰოპ“ დაუძახა დიტომ. კოხტად აიყვანა ხელში და ფრთხილად დასვა ნაპირას.

„ოჰო,“ გაიფიქრა სპირიდონმა, „ჩინებული კავალერი ყოფილა ეს ჩვენი სოციალისტი კაცი“, და ძალლს, რომელიც ალერსით წინ ეგებებოდა მაგრა ჰკრა ფეხი; გულნატკენმა ერთი წამოიყეფა, გავარდა და ასმათს დაუარა თავი, ეხლა იმას უქნევდა კუდს და ეალერსებოდა.

— ასეა ყველაფერი,—ფიქრობდა სპირიდონი. რა იყო „ასე“, ან ვის შეეხებოდა ეს „ყველაფერი“, ძალლს თუ ვისმე სხვასაც, ეს ხომ თვითონაც არ ესმოდა გარკვევით.

— ეფროსიმე! ხელსაბანი წყალი მიართვი სტუმარს—გადასძახა ასმათმა მსახურს და ჩქარა ავიდა კიბეზე.

„ნუ-თუ ამაზეც რაიმე ითქმის? მართლაც ხეპრე ვარ“. ეუბნებოდა თავის თავს სპირიდონი, „მაშ იმას ხომ არ ეტყოდა—სპირიდონს? მიართვიო, როცა სტუმარი ოჯახში გყავს. ჩემი გულისთვის ზრდილობას ხო არ დაჰკარგავს. ყველაფერს თავისი წესი და ადგილი აქვს“...

და მას ხელახლა მოაგონდა ღამის ზღაპარი და უფრო და უფრო აქაფა ხელში საპონი. ეს ბუჟუჟი ხან ქრებოდა და ხან ჩნდებოდა, როგორც ამ ქალის ნაზი გრძნობანი.

იმდენად ტკბილი იყო რძიანი ჩაი და ისეთი გემრიელი იყო ცხელი ხაჭაპური, რომ სტუმარი აღტაცებაში მოვიდა.

ხელახლა მოჰყვა თავის სოფლის მოგონებებს, ბავშობის სურათებს, რომელიც ასე იტაცებდა ასმათს და უზომოდ უხალისებდა დილას.

„ბევრი და უსაქმო ლაყბობა კი უყვარს ამ ყმაწვილს“ ფიქრობდა სპირიდონი და ისევ დღევანდელ კრებაზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— როგორ,—გაიკვირვა ქალმა—მაშ სადილად ჩვენთან არ იქნებით“?

— შე ქალო,—ჩაერია სპირიდონი,—ეს ამხანაგი აქ სამუშაოდაა გამოგზავნილი, სათამაშოდ კი არა. იმ სოფლამდე კაი ექვსი ვერსია, იქედან ტყეში უნდა გავიდენ... ხალხი იქ ჩვენ სადილს ხო არ უყურებს.

— კი მაგრამ კრება ხო ნაშუადღემდე არ იქნება,—შენიშნა წყენით ქალმა,—სადილი ორ საათში მზადაა. სად უნდა წავიდეს მშიერი?

— დარდი ნუ გაქვს, იქაც გვყვანან ამხანაგები,—დაამშვიდა სპირიდონმა.

— არა ნაშუადღემდე მაინც მოესწრება ყველაფერი,—აღარ ისვენებდა ასმათი,—ეფროსიმე მალე გაამზადებს. მშვენიერი სადილი გვექნება. მოითმინეთ! ღმერთმანი, ძალიან მაწყენინებთ.

— რას ბრძანებთ!—სთქვა ღიმილით სტუმარმა,—რად უნდა იწყინოთ, ხომ მოგეხსენებათ—მოვალეობაა. მე არ ვიცი, სად მივყევარ ამხანაგებს. ალბად ადრევე იქნება კრება.

— აკი სთქვა სპირიდონმა ნაშუადღევს იქნებაო. ჯერ რა დროსია?

ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა სპირიდონი. მეტად უხეში შეიქნა მისი საქციელი. სტუმარიც ადვილად შეამჩნევდა, რომ ეს კაცი ძალად ერეკებოდა სახლიდან. ასე არ ექცეოდა ქალაქელ ამხანაგებს სპირიდონი... მაშ ეხლა რაღა მოუვიდა?

— ჰო, მეც მგონია სადილის შემდეგაც მოასწრებთ, მოკლე გზით წაგიყვანენ ამხანაგები—გამოასწორა მან და ასმათს გადახედა, არ გამოპარვია მის თვალებს, რომ ასმათს სახეზე სიამის ღიმილმა დაუწყო თამაში. ქალი სწრაფად წამოდგა და სამზარეულოსაკენ გასწია.

საოცარ ოჯახობას იჩენდა დღეს ის.

სპირიდონმა, რომელიც პირისპირ დარჩა სტუმართან, უხერხულობა იგრძნო, რამე უნდა ეთქვა.

— დღეს ადრე ადექით, დაღლილი იქნებით, იქნებ წამოწოლა და მოსვენება გსურთ. ნურაფერში მოგვერიდებით.

„ან რაში მერიდება მაინცა-და-მაინც—ფიქრობდა ის.

— არა, გმადლობთ! მე ცოტა საწერი მაქვს—და სტუმარი თავის ოთახისაკენ წავიდა.

ისეთი გრძნობა ჰქონდა სპირიდონს, თითქოს თვითონ იყო ვისმესთან სტუმრად და მორიდებით უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ეუცხოებოდა ამ სახლში. მარჯვედ ფეხის გადგმისაც კი ეშინოდა. ოთახში გაიარ-გამოიარა; ასმათი არა სჩანდა, გული არ უსვენებდა და გარეთ გავიდა.

— ასმათ, ბაღში არ წამოხვალ?

— ეხლავე!.. როგორ მოსწონებია სტუმარს ჩვენი ბაღი;—კმაყოფილებით უთხრა ქალმა.

— ჰო, მეც მითხრა. კაი მოვლილია და რად არ მოეწონებოდა.

გაიარეს ბაღშიაც. სპირიდონმა ორი კუკური მოსწყვიტა და გულზე დააბნია ასმათს.

— შენ არ გინდა?—შეეკითხა ქალი.

— რა ჩემი საქმეა. ვარდი შენისანა გოგონას მოუხდება.

ქალი არ შეედავა. „მითომ რად", ფიქრობს სპირიდონი, „კაცმა რაღა დააშავა? ყნოსვა აკლია თუ მხედველობა".

— ბაზარში არ წამოხვალ ასმათ? არ გავიაროთ ცოტა დღეს?

— სტუმარი მარტო დავტოვოთ? არ შეიძლება...

— რა უჭირს, ხო არავინ მოიტაცებს. საქმე აქვს, სწერს.

— ნასადილევს წავიდეთ.

— ნასადილევს თევზაობა მინდოდა,—წყენით შენიშნა სპირიდონმა.

—მთელი საღამო ხო არ იქნები წყალში.

— კი მარა... მითომ კაი ხანია ერთად აღარ ვყოფილვართ. საყიდელიცა მაქვს ცოტა რამე: ზოგი ჩემთვის, ზოგიც შენთვის.

ეგონა—ეს გასჭრიდა მაინც.

— რაღაც არაა ლამაზი იმ კაცის მარტო დატოვება.

— შენც ერთი... რას ჩაციებიხარ ქალო იმ კაცს? მაგის გულისათვის სულ სახლში ხო ვერ დავჯდებით. მე შენთან ყოფნა მინდა. ხვალ დილით ხომ ისევ ბუთი დღით მივდივარ.

შეატყო ქალმა, რომ წყენის კილო გამოსჭვიოდა.

— წავიდეთ თუ ასე გინდა.

— მე კი არა, შენ თუ გინდა.

— ჰო, მეც მინდა; რასაკვირველია...

მკლავში ხელგაყრილი მედიდურად ჩაატარა ცოლი დუქნების წინ. დაბლა უკრავდენ თავს და „მობრძანდით ბ-ნო სპირიდონ-ს", ეუბნებოდენ ყველგან.

ფეხსაცმელის მაღაზიასთან გაჩერდენ. რამდენიმე გამოწყობილი ფეხსაცმელები დაათვალიერეს.

— რომელი მოგწონს ჩემო გოგონა?

— ეს კარგი სჩანს, მარა ძვირი იქნება, არ ღირს.

— ძვირი რას მიქვიან. შენთვის და ძვირი იყოს?—და მოწყვეტით შევიდა. ქალი დარცხვენით თან შეჰყვა.

მეტად კმაყოფილი დარჩა ნაყიდებით. აბრეშუმის ჩულქები, ლაქის ფეხსაცმელები, ტყავის ხელთათმანები. რაღა აკლდა?

— შენთვის რო არაფერი გიყიდნია?—უთხრა წამოსვლისას ქალმა.

— მე რა მეჩქარება. ქალაქში ვერ ვიყიდი? იაფია და კარგი...

სადილი ჩინებული იყო, სტუმარი მეტად მხიარულად და კმაყოფილად გრძნობდა თავს. ნასადილევს ნარდის თამაშს შეეჭცენ. სტუმარმა ლიდი ინტერესი გამოიჩინა თამაშისადმი. სუსტი მოთამაშე გამოდგა და ასმათსაც მეტად ებრალებოდა, შეცდომებს წარა-მარა უსწორებდა... ქვებს ხელიდან სტაცებდა და სხვაგან აჯენდა მის მაგიერ. არ მოსწონდა ასეთი ოინი სპირიდონს, მაგრამ სტუმარი მალე უნდა წასულიყო და ყველაფერს ითმენდა.

მოაკითხეს. დიტომ ლიდი მადლობა გადაუხადა დიასახლის და ხელზე აკოცა. ჩემოდანი გამოიტანა.

— ეს რაღად მიგაქვთ? დღეს ხო არ დაგჭირდებათ, აბა სად უნდა ათრიოთ ასე შორს?—ხელახლა უთანაგრძნო ასმათმა.

— დღეს თუმცა არ მჭირდება, მაგრამ...

— მაშ აქ დასტოვეთ და მერე მოიკითხეთ.—და ძალად გამოართვა ქალმა.

— იქნებ შიგ საჭირო ქაღალდები აქვს შე ქალო,—ისევ უხერხულად ჩაურთო თავისებური სპირიდონმა.

— არა, ისეთი არაფერია, რომ დღეს დამჭირდეს.

— თქვენი ნებაა.—და სპირიდონმა ხელი გაუწოდა.

როცა მარტო დარჩა, ჩემოდანს ბრაზით შეხედა სპირიდონმა; აშკარა იყო—სის ყმაწვილი კიდევ აპირებდა აქ მოსვლას. „აწი შეიძლება ცალკე საწერი მა გიდაც კი დაიდგას აქ.“ ფიქრობდა ის.

თევზაობამ ცოტათი გაართო და ჩემოდანი გადაავიწყა.

ბევრი კიბოები დაიჭირა, ორიოდე მოზრდილი თევზიც. პირდაპირ შეჭყოფდა ღრუში ხელს „ფუ-ფუუ!..“ იძახოდა და გამოჰყავდა.

ნაპირას ისროდა, ქალი შეჰკივლებდა, შეხტებოდა და შემდეგ ორი თითით აიყვანდა კიბოს და წყლიან ტაშტისაკენ მიარბენინებდა. რამდენიმეჯერ წამოიტირა კიდეც, ისე მწარედ იკბინებოდენ კიბოები.

— ქალო ფეხი მოსტეხე, ფეხი! აქამდე ვეღარ ისწავლე...—და ისევ შეძვრებოდა სპირიდონი ღრუში.

საღამოზე ქალს მოწყენა დაეტყო. აღარაფერი იყო, რაც მას გაართობდა. იმღერა აღარ უნდოდა, აღარც ნარდის თამაში. კითხვა კი, როცა ქმარი შინ იყო არ შეიძლებოდა.

— გავისეირნოთ ეტლით ცოტა ჩემო გოგონა,—ქმარმა თხოვა.

არ მოელოდა, თუ ეს წინადადება ასე გაახარებდა ქალს.

ეტლი მოაყვანინეს და სოფლისაკენ გასწიეს.

— რამდენი ახალი სახლი გაშენებულა, წინ მიდის სოფელი, დუქნებიც გაულიათ.—ამბობდა სპირიდონი და უყვებოდა ასმათს—თუ რა უდაბური ტყე იყო აქ მისი ბავშობის დროს.

ქალი კი შორს, შორს ქუჩის ბოლოსაკენ გაიყურებოდა, თითქოს რაღაცას აკვირდებოდა.

— აგრილდა, მოვაბრუნოთ აწი.—ურჩია სპირიდონმა.

— არა, ჯერ რა დროსია? წავიდეთ კიდევ წინ.—სთხოვა ქალმა.

„უკვე ბნელდება და რა უნდა იყოს აწი საინტერესო აქეთ?“ ფიქრობდა სპირიდონი...

მაგრამ დღეს ის მზად იყო, ყოველი წადილი შეესრულებინა ცოლისათვის, ყოველი მისი ზრახვა ამოეკითხა.

ამოიკითხავდა კი? ეს იყო, რომ მასაც სტანჯავდა. ეტლი კი მიქროდა; ხალისით ჰყრიდენ ცხენები ფეხებს და მათი მოლლისთვის ამ საღამოს არავის ეცალა...

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა საათმა სპირიდონის სასთუმალთან განუწყვეტლივი რეკა დაიწყო. ფიცხლავ გამოეღვიძა.

რა ძნელი იყო მისთვის ეხლა ამ თბილი ლოგინის მიტოვება, ამ ნეტარების დათმობა. რას არ მისცემდა, რომ ერთი ღამე კიდევ დარჩენილიყო ასმათთან... მაგრამ, აბა რა ექნა? მატარებელი მას რო არ დაუცდიდა. ფიცხლავ წამოდგა და ცივი წყალი სახეზე შეისხა.

ქალმა ადგომა დააპირა.

— არა, ჩემო გოგონა. იწექ გენაცვალე. რად უნდა ადგე? ეფროსიმე ყველაფერს გამიწყობს.

მაინც არ ეგონა, თუ ასე ადვილად დაეთანხმებოდა ასმათი.

ცხელი ჩაი უცებ გადაყლაპა; არაფერი უჭამია. ქალის ლოგინთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

— აბა შენ იცი. ნუ მოიწყენ გენაცვალე. მალე გაივლის ეს დღეებიც.

— არ გაცივდე, გზაში თბილად იყავი.—უთხრა ქალმა.

— დარდი ნუ გაქვს. აბა მშვიდობით!—კიდევ აკოცა და გავიდა. გოგომ მიუნათა. როცა სასადილო ოთახში გაიარა, ჩემოდანს თვალი აავლო. ახლოს მივიდა და გოგოს უთხრა.

— ეფროსიმე, ამას ხვალ მოიკითხავენ. კაცს გამოგზავნიან და გაატანე.

— კი ბატონო.

— აბა, მშვიდობით!

— მშვიდობით გნახეთ, ბ-ნო!

ძაღლმა ჭისკრამდე ხალისით მიზდია.

— ეფროსიმე, ძაღლს დაუძახე, არ წამყვეს.

მიდიოდა და ისევ იმ ჩემოდანზე ფიქრობდა.

„მოაკითხავს კი? იქნებ არც კი წაიღოს და ისევ ჩვენსა მოვიდეს. უეჭველად მოვა... ეს ხუთი დღეც ჩემთან იქნება. რატომ არ გავაფრთხილე ასმათი, რომ ეს საშიშია—რომ ვინმე გაგვიგებს და დაგვლუპავს. რაღა მე მომაჩეჩებენ მაინც მუდამ? ნახეს დაბალი ღობე... ცოტაა აქ სხვები? მაშ რისი ამხანაგები არიან?...

* * *

არასოდეს ახსოვდათ ამხანაგებს, რომ სპირიდონი ასეთი დაბნეული ყოფილიყოს. ჩვეულებრივ რამეების მოგონებაც კი საჭირო შეიქმნა. ანგარიშები ძველებურად რიგიანად და მწყობრად ვერ წარუდგინა უფროსს. ვერ აეხსნათ ისიც, რომ ქალაქში სულ მარტო დადიოდა და ამხანაგებთან ძველებურად არ შეექცეოდა „რაჭა"-ში. იქ ხომ სწორედ ისეთი ტკბილი ღვინო ეყო, რაც მას ასე უყვარდა და იმერული ცხარე საჭმელებიც... როცა ამხანაგები ქალაქიდან ჩაცივდენ, სულ გაბრაზდა და არც კი გამოეთხოვა ისე გაშორდა მათ წრეს.

თავისუფალი საათები სულ მარტო იყო და ფიქრობდა წარსულზე; თითქოს ეს წარსული სამუდამოდ დაკარგულიყო მისთვის.

უნდოდა კიდევ და კიდევ მოეგონებინა ყოველი წვრილმანი: როგორი იყო ის ახალგაზრდობისას, როგორ შეახვედრეს პირველად ასმათს, რა უთხრა მაშინ ქალმა, როგორ შეხვდა მის წინადადებას? მართლა რამე ანგარიში იყო აქ და ძალად მიათხოვეს მშობლებმა, თუ ასმათსაც თავიდანვე მოეწონა ის? ველარ აჯერებდა ძველებურად მისს თავს, მეტად ჯიუტი და უტეხი გამოდგა ის უცნობი—მასში ღრმად რო იჯდა—ღრუბელივით ისვამდა მის სიხარულს და ობობასავით აბამდა სევდის ქსელს.

როცა მატარებელში იჯდა, საათი მუდამ ხელში ეჭირა. ითვლიდა წუთებს, ითვლიდა ტელეგრაფის ბოძებს. საათს მუხლზე დაიდებდა, ზედ ხელს დააფარებდა და ხელახლა ითვლიდა ბოძებს „სამოცდაათი... ოთხმოცი... ასი... ასორმოცდაჩვიდმეტი... ორასი" და ხელახლა დახედავდა საათს, სადგურებს მარტო იმისთვის თუ გადახედავდა, რომ საათი შეედარებინა—იქნებ უკან რჩებოდა მისი ისარი, მაშ რად მიიზლაზნებოდა ასე ზარმაცად?

აი, მოახლოვდენ ნეტარი წუთებიც. გამოჩნდა ნაცნობი დედაკაცი ლურჯის ბაირაღით სადარაჯოს წინ, მუდამ პირახვეული რომ სდგას. აი, ეკლესიის გუმბათიც—საცაა შეჩერდება მატარებელიც. პალტო ჩაიცვა, ქუდი მოიხადა, მის ხავერდს სახელო ნაზად გადაუსვა და დაიხურა, კიდევ მოიხადა და თმა გაისწორა. ულვაშები გადაიგრეხა. ყუთები და კალათები ჩამოიღო და დროზე მიიტანა გამოსასვლელ კარებთან.

გასაოცარის სისწრაფით შეავსო ფანჯრით ცხრილის ფურცელი და სადგურის უფროსს გადასცა. უკანა კარებით გავიდა.

— ფაიტონ!—დაიძახა მედიდურათ და მეეტლემ გამხმარ ცხენებს მაგრა მოუქნიეს მათრახი. ლამის ერთიმეორეს დაეჯახენ. ბედნიერმა მოასწრო და შეაყენა ეტლი პირდაპირ კარებთან.

— ბათლომე ხარ? გამარჯობა კაი შენი.—უთხრა სპირიდონმა და ყუთები გადასცა მეეტლეს.

— გახლავარ ბ-ნო! ახლა მობრძანებულხართ?

— ეხლა მოვედი. ხუთი დღეა შინ აღარ ვყოფილვარ. ხო მშვიდობაა?

— მშვიდობა გახლავს ბ-ნო, რაც გეეწყობა ამ დროს.—და შემოჰკრა ცხენს.

— კაცო, რას აჭმევ ამ ცხენებს ასეთ უცნაურს, რომ კანში აღარ ეტევიან?

— რასაც ვაჭმევ ისიც არამია მაგათზე. ჯიშია ბ-ნო ისეთი, რომ ასჯერ რო აჭამო დღეში—ამის მეტს არ იმატებს.

— საოცარი ჯიშის კი ყოფილა.—და ჩუმად ჩაიცინა.

— რა ხეირია ბ-ნო მერე? ვინც ეს ხელობა მოისურვოს იმას რა ვუთხრა მე... ხაბარდაა! ეი!—გადასჭყივლა წინ მიმავალ ურემს. „აღარაა ბატონი მუზტარი... ამ თავადაზნაურობას ქე შამეელია ფული და სხვა ვინ ჩაჯდება ფაიტონში. აქოურ ვაჭრებს რა მაგის ეშხი აქვთ? შაურს რო დახარჯავენ, თუმნისას ყვირიან. სპირიდონს არ ესმოდა მისი ლაპარაკი, თვალი შორს ეჭირა და გულის ძგერით ელოდა—როდის გამოჩნდებოდა მისი მაღალი ჩინარი. ველარ მოუთმინა გულმა და დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მაინც ჰკითხა:

— ჩემი ასმათი ხო არსა დაგინახავს. ნეტაი თუ კარგადაა, რაცხა შეუძლოთ დავტოვე.

— ავად ღმერთმა ნუ გახადოს, მზესავით ქალია. მას რა უჭირს; კაი ცხოვრებაში გყავს ბ-ნო სპირიდონ. დღესაც მოვკარი თვალი ეზოში დაბრძანდებოდა. ვილაც სტუმარი უნდა იყოს თქვენსა ბ-ნო.

— ჰო, ცოლოურიდან ჩამომივიდა ერთი მეგობარი კაცი.

— კაი დაგემართოს. კაია მოყვრობა-მოკეთეობა.

უცებ დასცხა სპირიდონს და პალტო გაიხსნა. კისერი აქეთ-იქეთ გააქანა, საყელო უჭერდა.

— კაი პირი უჩანს მოსავალს.—გამოცვალა მან ლაპარაკი.

— ღვთის წყალობით ჯერე ქეა, თუ ცოტა ცვარიანი ღამეები დაიჭირა. ეტლი ჭისკართან შესდგა. ბათლომე გადმოხტა და ჭისკარი შიგნიდან გახსნა. მწვანე მოლზე გაისრიალეს ბორბლებმა, ცხენებსაც თითქოს იამათ მწვანე ხალიჩაზე გასეირნება და უფრო მეტის სიმარდით გაექანენ სახლისაკენ. გზაზე ორსამჯერ სცადეს მაღალ ბალახს დაწვდენოდენ, მაგრამ ძაღლი შიგ თავპირში ეცა მათ. რაღა ექნათ? ეს ცდაც უნდა უკუ-ეგდოთ.

ჯერ კიდევ სახლთან არ მისულიყო ეტლი, რომ ძაღლი მოწყვეტით ახტა კიბეზე და კუდის ქნევით საშინელი ყეფა მორთო.

სპირიდონმა მაგრა ჩაიკრა გულში ასმათი. უნდოდა თვალებში ჩაეხედა და ყველაფერი ამოეკითხა, მაგრამ ჩვეულებრივად ტკბილი და ნაზი იყო ქალის სიტყვები.

— ხომ არ გაცივდი, სპირიდონ? ხომ არაფერი შეგემთხვა? კარგა იმგზავრე?

— რა გამაციებს ჩემო გოგონა? საცაა ზაფხულის დღეები დაიწყება. იქით, ქალაქში სიცხეა საშინელი, შენ როგორა ხარ?

— რა მიშავს,.. ეს რა ამბავი მოგიტანია?—გაოცებით იკითხა ქალმა, როცა ბათლომემ ყუთები და კალათი აივანზე შემოიტანა და დადგა.

— ეს რაა ბ-ნო. ათი ამდენი ბალაჟათ მოვა კიდო.—სთქვა მეეტლემ და გაიცინა. სპირიდონი გაუსწორდა.

— იცოცხლე ბ-ნო სპირიდონ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.—წასვლა დააპირა, კიბის უკანასკნელ საფეხურზე შესდგა და მდაბალის ხმით დაიწყო:

— ბ-ნო სპირიდონ!.. ქ-ნ ასმათს ქე ვთხოვე, თუ არ დაავიწყდა. ამას წინაზე ჩემი დედაკაციც ქე გახლდათ და ვერ ენახა ქ-ნი ასმათი.

— რაშია საქმე ბათლომე?

— თივაზე მოგახსენებდით ბ-ნო. იმედია, წრეულსაც... რამდენსაც კი გეიმეტებთ, რაც გადაგრჩეთ... ფასი რაც სხვაგან იქნება, იმის მომცემი ვარ.

— კარგი, კარგი. ფასზეც მოვრიგდებით, არა უშავს. [illegible] სპირიდონმა...

— შარშან ცოტა მაზანდაზე მეტი კი გადამახდევინა ქ-მა, მარა...

— მე რა ვიცი შენი „მაზანდის". წყენით გააწყვეტინა ასმათა.—რაც სპირიდონმა დამაბარა მეც ის გამოგართვი, თუ გეძვირებოდა—ვიტყოდი.

— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია ბათლომე?—ხელახლა შენიშნა სპირიდონმა.

— რასაკვირველია ბატონო. წარსულზე არას მოგახსენებთ, სიტყვას მოყვა... მაგრამ საკმაოდ ცბიერი იყო ბათლომე, მან იცოდა, რომ ეს წარსულის მოგონება მისთვის უსარგებლო არ იყო.

— აბა იმედი მექნება, ბ-ნო.

— კი, კი... შეგატყობინებ—და სპირიდონმა ცოლისაკენ იბრუნა პირი, რომ თავიდან მოეშორებინა ეს კაცი.

— შვიდობით გნახეთ.—და მოახტა ეტლს. ძაღლი ისევ გამოედევნა ცხენებს და არც ეხლა დააცადა დამშეულ ცხენებს, რომ ერთი მაინც გაეკრათ კბილი ამ მწიფე ბალახისათვის. მეეტლემ ეხლა მთელი სიბრაზე მაზე გადაიტანა და მაგრა გადაუჭირა ძაღლს მათრახი. ეხლა მას მიახტა ძაღლი და ბრაზით ულრენდა გრძელ კბილებს.

— ხომ არაფერი ყოფილა ისეთი?—იკითხა სპირიდონმა, როცა ცოლს უცნაური სიხარულით მოციმციმე სახე შეამჩნია.

— არაფერი... მაინცა და მაინც. რა კარგი რამეები მოგიტანია ჩემო სპირიდონ. ოჰო! ეს საკაბე—ჩემთვის? აკი ვიყიდე ამ ერთი კვირის წინად. რა კარგია, სწორედ ასეთი მინდოდა.

— მეც მიტო მოგიტანე.

— ამ ყუთში რაღაა?—ცნობისმოყვარეობით იკითხა ქალმა.

— გახსენი და ნახავ.—ქალი მოუთმენლად ხსნიდა, მაგრამ თოკი ისე მაგრა იყო ჩასკვნილი, რომ ვერას გახდა. სპირიდონმა დანა ამოიღო და გადასჭრა.

— ოო... გრამოფონი მოგიტანია?.. ძალიან მაამე!— და მან ხარბად დაუწყო ფირფიტებზე ოქროს ასოებით ნაწერ სიტყვებს კითხვა.

სპირიდონმა მომართა და აივანზე ბაიათის ჰანგები მოიბნა. ღიმილი არ სცილდებოდა ასმათის სახეს.

სპირიდონმა კიდევ გახსნა მესამე ყუთი და ტყავის „რედიკული" ამოიღო სადაფის ფოლაქით. დიდი იყო და ცოტათი ულაზათო, მაგრამ ქალმა მაინც მხიარულად მოხვია ქმარს ხელი.

— ცოტათი უფრო პატარა უნდა გეყიდნა.

შე ქალო, იმ კაცმა მოდა ესაო. ქალაქში ორ მაგოდენას ატარებენ.

— მართლა? — გაკვირვებით ჰკითხა ქალმა და სადაფის ღილს თითი გადაუსო.

ჯიბიდან ერთი პაწია ყუთი ამოიღო სპირიდონმა და ახლოს მიუტანა.

— გამოიცანი.

— ეს რალაა? რა უცნაური ხარ? მთელი ქალაქი გაგიცლია?

სპირიდონმა ფრთხილად შემოაცალა თხელი ქალალდი და წიფელი პაწია ყუთი გახსნა. ქალმა ჩახედა და შეჰკივლა.

— საყურეები... რა კარგია, ბრილიანტია?

— რალაცა სხვა ქვია, მარა ძვირფასისაა... ოქროა სულ.

— ყურები რო გახვრეტილი არა მაქვს?

— მაგ ადვილი საქმეა. ვერც კი გაიგებსო, მინუტის საქმეაო. ქვეყანა ატარებს ქალაქში და შენ რად არ უნდა გქონდეს.

— გმადლობ ჩემო სპირიდონ. — და მაგრა აკოცა ტუჩებში.

რალა საჭირო იყო კიდევ რასმე კითხვა. ამ კოცნამ, ამ ალერსმა და წრფელმა მუსაიფმა ყველაფერი უთხრეს სპირიდონს და იჭვებიც სულ გაუფანტეს.

კიდევ დიდხანს მუსაიფობდენ აივანზე ცოლ-ქმარი.

უყვარდა ასმათს ქალაქის ამბები, ძველებურის ინტერესით უსმენდა ქმარს. კიდევ ბევრი რამ ქონდა სათქმელი სპირიდონს, მაგრამ ეხლა ქალმა გააწყვეტინა.

— მართლა ჩვენცა გვაქვს ახალი ამბავი. ეხლა შეგიძლია ჩემით იამაყო. მე უკვე სოციალისტკა გავხდი.

— როგორ?

როგორ და ნამდვილად. შენ ხომ მუდამ ამაზე მეჩიჩინებოდი და აი, მეც შევისმინე ბოლოს... არ გეხუმრები, ეხლა მე ნამდვილი სოციალისტი ვარ. კრებებზედაც ორჯერ გახლდი.

— მომილოცავს. რას მივაწეროთ ეს ამბავი?

— შენ გეცინება? მე მართალს ვამბობ. რითი ვარ თქვენ აძხანაგებზე ნაკლები? ბევრი რამ ვიცი ეხლა. შენი წიგნებიც გადავიკითხე. დიტომაც მომცა რამდენიმე. მე ეხლა ქალთა წრეში ვარ. მართლა, ქალთა წრე უკვე შევადგინეთ მე და პელაგომ. გუშინ კრებაც გვქონდა. თვრამეტი წევრი ვართ ჯერ. ბევრ რამეზე გველაპარაკა დიტო. ყველაფერი აგვიხსნა, წიგნაკებიც ყველას დაურიგა. მე კი ბებელის დიდი წიგნი მომცა. ბევრი იცის დიტომ... თუ ის აქ დარჩა სულ გამოიცვლებიან ჩვენი ქალები.

— მართლაც სასწაული მომხდარა. გეტყობა ძალიან დაგიტანებია თავისთვის ძალა.—ცოტა არ იყოს წყენით უთხრა სპირიდონმა.

— სრულიადაც არა. ეს თავისთავად მოხდა... ერთ საღამოს დიტომ მიზნად დაისახა ჩემი გასოციალისტება და იმდენი მელაპარაკა, რომ თავზე დაგვათენდა... შენ ვერც ერთხელ ვერ ამიხსენი რიგიანად, აბნეულად მეუბნებოდი— ვერა გავიგე.

— ყველა დიტოსავით განათლებული კი არაა, შე ქალო...

— არა მარტო განათლებაზე როდია? მას უცნაური ნიჭი აქვს გადაცემის, დარწმუნების. რაღაც არ შეგიძლია არ დაეთანხმო. — ისეთი, ალტაცებით ლაპარაკობდა ასმათი, ისეთის რწმენით, რომ იქვი ალარ შეპარვია ქმარს მის სოციალისტობაში—არც სხვა რამეში...

აშკარა იყო დიტოს დიდი გავლენა ამ ქალზე. სულ რამდენიმე დღე დარჩენ მარტო და ვაჟმა მოახერხა ქალის გულის და გონების დაპყრობა.

როგორ აკვირვებდა ასმათს ყველაფერი, რაც მისგან გაეგონა... „სჩანს, მართლაც დიდი კაცია," ფიქრობდა სპირიდონი, „მაშ ჩემსავით ხომ არ ჩაულევია ჯანი რკინისგზის უმადლო სამსახურისათვის. დიდი კაცი რო არ იყოს გაზეთებში ვინ დააწერინებდა?" ყველაზე უფრო ის იტაცებდა ასმათს, რაც სპირიდონს ნაკლად მიაჩნდა: ეს კაცი პოეტი იყო, ლექსებსა და მოთხრობებს სწერდა და ასმათს სწორედ ასეთი სოციალისტი მოსწონდა.

ჩაის დროსაც არ დაწყნარებულა ასმათი, რამდენიმე გაზეთის ნომრები მოუტანა ქმარს და სთხოვა — უეჭველად წაეკითხა დიტოს ნაწერი...—საიდან შეიძლება კაცს ასეთი აზრები და ასეთი ღრმა გრძნობა დაებადოს? — ამბობდა ის, — და ამავე დროს რა უბრალოა თითონ, რა სადა და უმწეო ყველაფერში. ნამდვილი ბავშია.

„კაი ბავში ყოფილა", ფიქრობდა სპირიდონი და თან ერიდებოდა ეკითხა—სად იყო ამელამ ის კაცი? ხომ ამელამაც არ მოვიდოდა მათთან? ის ჩემოდანი თუ წაიღო მაინც?

— მერე როგორ სწერს—ტიტინებდა ასმათი,—რო უყურო გაგიჟდები. მიჯდება ფანჯარასთან და ქაღალდის ნაფლეთებზე ისე ჩქარა და ისეთის უცნაურის ასოებით სწერს, რომ ვერას გაუგებ. ვერც კი წაეიკითხავ. მე ამ ოთახში დამაჯენდა და გაკვეთილს მაძლევდა. პირდაპირ პანსიონერკად გამხადა. აქედან აქამდე წაიკითხე და მერე მომიყევიო, თვითონ კი განუწყვეტლივ პაპიროს ეწეოდა და სწერდა. მერე ერთბაშად მიატოვებდა და ხან ვენახში, ხან ყანაში დარბოდა ბავშივით... საკვირველია! მაგრამ თავს არ უფრთხილდება. ბევრს სწევს და ღამეები არა სძინავს. იცი, სპირიდონ, მგონია კარგად არ უნდა იყოს. ხანდისხან ისეთი ხველა აუტყდება რომ... როგორ შეიძლება ამდენი პაპიროსის წევა?

— სულ აქ იყო?

— არა, ერთ ღამეს სოფელში წაიყვანეს და იქ დარჩა. არც ამელამ მოვა.

— ველარ უშოვეს ბინა? ერთი ღამით მთხოვეს და...

— აბა, სად წავიდეს. იმ ღამესაც საშინლება გადახდა. წარმოიდგინე, თურმე, 3 სული ერთად იწვენ. მაგას ხო მუშაობა უნდა; როგორ იკითხოს, ან სწეროს?

— მერე მე რა შუაში ვარ? თუ სოციალისტია ყველაფერი უნდა აიტანოს. აქ ველარ გავაჩერებთ. ათასი მტერი გვყავს, გვიჯაშუშებენ.

— მას სრულიად არ ეშინია. აქ არავინ მიცნობსო და ვიტყვი შენი ნათესავი ვარ, სტუმრად ჩამოსულიო.

— დაუჯერებენ კიდეც. მართლაც ბავშია და დიდი სულელი.

ქალს ეს შენიშვნა არ მოეწონა და წარბები შეჭმუხნა.

— აქ ასე კარგად გრძნობს თავს. ჩემი სოფელი მაგონდება და წერის ხასიათზე მოვდივარო; რამდენი რამ დასწერა უკვე. ნუ-თუ არ უნდა მოვეხმაროთ? უცნაური სინაზე და ლმობიერება იხატებოდა ამ სიტყვებში.

— ნუ, ნუ ჩემო კარგო,—ეეედრებოდა ქალი.—ნუ იწყენ; ეს ხომ ჩვენ არას გვიშლის. მერე როცა შენ შინ არა ხარ, აქ ისეთი [illegible] ...

სპირიდონი გაჩუმდა. აღარ ჰქონდა აზრი ამაზე ლაპარაკის გაგრძელების; სულ ერთი იყო—ქალს ასე ადვილად ველარ გადაარწმუნებდა და რამე სხვა გზა უნდა გამოენახა ამ დაუპატიჟებელ სტუმრის თავიდან მოსაცილებლად. ფიქრებმა მოიცო...

— ეხლა ის ოთახი მოვუწყვეთ მე და ეფროსიმემ. შენი ქაღალდები მიეეცი, საწერ-კალამიც უდევს და თავისთვის სწერს. ჩვენ არაფრით არ გვაწუხებს, სრულიად არაფრით...

ცოტა ხნის შემდეგ სპირიდონი წამოდგა და სტუმრის ოთახში შევიდა. ლამაზად მოერთოთ. მისი საწერი მაგიდა სულ გაეცალიერებინათ ამ მზრუნველ ქალებს და ყველაფერი აქ გადმოეტანათ.

მრავლი გადაშლილი წიგნები ეწყო. დაწერილი ფურცლები ცალკე მწყობრად ელაგა. „ალბად ამ წიგნებიდან თუ იწერს, და ამათ კი ჰგონიათ!!. ბრაზმორევით ფიქრობდა სპირიდონი. ნოხიც აქ გამოეტანათ და ტახტიც ნაქარგ რბილ ბალიშებით გაეწყოთ.. ფანჯარასთან ჭიქით ყვავილები იდგა.

„რა ენაღვლება“, ფიქრობდა სპირიდონი და სისხლი ყელში მოადგა, როცა კუთხეში ნაცნობი ჩემოდანი დაინახა.

— დასახლებულა აქ და ეს არის.—უთხრა ცოლს.

— არა, მალე უნდა წავიდეო, ამობს. ერთი თვე თუ დავრჩი, მეტს აღარ მოვიცდიო. მგონი რუსეთში ეპირება.

„შავს წყალს წაულია“, ფიქრობდა სპირიდონი. „ერთი წვერიანი კაცი ველარ იშოვეს ჩვენდა? ასეა, პროვინციაა და აგვიგდენ“.

სარკეს თვალი მოკრა, ახლო მივიდა და დააჩერდა.

ნუ-თუ ვერაფერი ცვლილება ნახა მასში ასმათმა? მთელი საათი იჯდა საუკეთესო დალაქთან ქალაქში. ლამაზად გაუკრიჭეს თმა და წვერიც სწორედ იმ ზომაზე დაამოკლებინა, როგორც ასნათს უნდოდა. აკი, სულ ედავებოდა, მღვდელი ხო არა ხარ—რად გინდა ამოდენა წვერიო. ყმაწვილობიდან ასე უტარებია და ეხლა პირველად დაუთმო ცოლის გემოვნებას.

„ალბად ვერც კი მიცნობს პირველად“ ფიქრობდა ის, „მართლაც საშინლად აბერებს კაცს გრძელი წვერი“. ეხლა ის ბევრად უფრო ახალგაზრდა სჩანს, ყურებშიც გამოაჭრევინა თმები, კისერი დანით ამოაპარსვინა...

მერე? ამ ქალმა არც კი შეამჩნია ასეთი დიდი ცვლილება. ეხლა, ეტყობოდა, მას ამისათვის აღარ ეცალა. მის გვერდით სულ ახალგაზრდა, შოლტი და სწორი ტანის ლამაზი ყმაწვილი იყო. მისი ბავშური გამოხედვა, უნაოჭო

ხალასი ლოყები, მაღალი შუბლი და ხუჭუჭა თმა ასეთ „ცვლილებების“ შემჩნევის უნარს ართმევდა ასმათს.

„რაც უნდა დაიმოკლო წვერი, ის მაინც უკვე ჭაღარაა, მაინც ვერ შეედრება ჯერ კიდევ უთმო ნორჩ ლოყებს“. ფიქრობდა სპირიდონი და ნაღვლიანად ადვამდა ნაბიჯებს. ქალი მას თითქო არც კი ამჩნევდა, დიტრს მაგიდაზე ხელთნაწერს დასჩერებოდა და გაკვირებულ თვალებს ავლებდა სტრიქონებს.

— დაღლილი ვარ მეტად. წავალ, წამოვწვები,—სთქვა სპირიდონმა; ეს ღა იყო ეხლა მისი უკანასკნელი იმედი. ღამე მისცემდა მას შვებას და დიდ ლოდს გულზე რო აწვა, უფსკრულში გადისროლიდა. და თუ აქაც ისევე გაუცრუვდებოდა იმედი, მაშინ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო მისთვის; ყველაფერი ნათელი.

იწვა და ხმალამოწვდილი იგერიებდა შავ ფიქრებს.

„როგორ მოხდა ამ ორიოდე დღეში ყველაფერი? როგორ დავშორდით ასე ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა მხრით მიმავალი მატარებლები? ვეღარ ვცნობ... სულ მაზე ლაპარაკობს, ფიქრობს. რა ჯადო აქვს ასეთი იმ კაცს, რო ვერ გავიგე? როგორ გამოუცვალა გული?! ხელახლა გაუღვიძა სიცოცხლის ინტერესი... ეხლა ამ ქალის თვალებში მარტო ბედნიერება იხატება, უცნაური გატაცება. რა ჯადოა ასეთი მეთქი?“ ეკითხებოდა თავის თავს. მაგრამ განა კითხვა საჭირო იყო?, განა ის, ვინც იქ ღრმად იჯდა და დასცინოდა, არ ეუბნებოდა ამ ჯადოს სახელს: „შენს ნახევრად მოტვლეპილ თავს დახედე, შენს გათეთრებულ წვერებს დააკვირდი—ეუბნებოდა ეს ხმა, „შენს დაჭრელებულ და ღალარულ პირის კანს დააჩერდი და შენი ნახევრად ჩამტვრეული და გამოხრული კბილები ნახე; მოიგონე—რა მწარე პირი გაქვს ყოველ დილით შენი მოღლილი კუჭის ზანტი მუშაობის გამო, რა გაბუძგულია თმებით შენი ყურები, ცხვირის ნესტოები, რა ოფლის სუნი გდის მუდამ... რომელი ერთი გითხრა?! და ამის შემდეგ კიდევ კითხულობ—რა ჯადო აქვს იმ კაცსო? სწორედ ის ჯადო, რაც შენს ცოლსაც აქვს და რაც შენ სწორედ ოცის წლის წინად გქონდა. ამ ოცი წლის ბრუნვამ დალია ეს ჯადო შენთვის... რა გულუბყვრილო ყოფილხარ? ახალგაზრდა, ნორჩი, ლამაზი, ცოცხალი და ჭკვიანი ყმაწვილი ნახა ხელოვნურად მიყუჩებულმა და დაბმულმა ქალის გულმა და შენ შეგეძლო ეს აფეთქება თავიდან აგეცილებინა?“.

— ავიცილებ, უეჭველად ავიცილებ. ეხლავ თავიდან მოვიშორებ ამ არამზადას, არამკითხეს...—კბილების კრაჭუნით ამბობდა იგი. „ტყუილი ოცნებაა, ნაკადი უკვე წარმოდინდა, თავი იშოვა. ვინც მის შეჩერებას მოინდომებს, თვით ჩაიხრჩობა შიგ“.

ვეღარ აიტანა ეს კამათი ამ გაუტეხელ მადა-გაღვიძებულთან. ხედავდა, რომ მან დაჭკარგა მაზე ყოველგვარი გავლენა და ძალა, და წინანდებურად ბორკილი ვერ დაადო, თავის კუთხეზე ვერ მიჯაჭვა. ეხლა ეს „იდუმალი“ თავს ლაღად გრძნობდა და თამამად დაფორიაქობდა მთელ მის არსებაში. „უუ! წყეულო“!...—და გადაბრუნდა მეორე გვერდით.

ქალი ფეხ-აკრეფით შემოვიდა საწოლ ოთახში, სპირიდონმა თავი მოიმ-

ძინარა ახლოს მივიდა ასმათი და ფრთხილად გადაახურა შალი. ველარ მოითმინა სპირიდონმა, ხელი დაუჭირა და ტუჩზე მიიკრა.

— ჩემო გოგონა.. ჩემო ძვირფასო!—მეტი ველარა სთქვა რა.

— მე კი მეგონა—გეძინა. არ დაიძინებ ცოტას?

— შენ თუ ჩემთან ახლოს იქნები—დავიძინებ.

— აქ არა ვარ?—და მან გადუსვა თავზე ხელი. უსაზღვრო ნეტარებამ მოიცო სპირიდონის მთელი არსება. სიამით დახუჭა თვალები

— ხო ასე, ასე... არ წახვიდე აქედან.

— არა, არა! დაღლილი ხარ, ცოტა დაიძინე და ვახშმათ გაგაღვიძებ.

— ასმათ!

— რა იყო?

— გიყვარვარ ჩემო გოგონა ისევ?

— რა სათქმელია? მაშ ვინ უნდა მიყვარდეს?

— ვიცოდი... მარა ისე გკითხე. მე კი... მე ძალიან მიყვარხარ, ძალიან. უშენოდ მე არ შემიძლიან სიცოცხლე.—და მან ხელახლა მიიკრა ტუჩებზე ქალის ხელი. ეხლა მასში ვნება აღარ იყო; მარტო ლოცვა იყო ჩუმი და წმიდა.

— შენ რო ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ხარ?—უთხრა მან და გაახილა თვალები, უნდოდა სახეზე ამოეკითხა, რასაც სიტყვებით ვერ გაუგებდა.

— ხა-ხა-ხა!—გაეცინა ასმათს,—რაღა დროს ასეთებზე ლაპარაკია სპირდონ.—თვითონაც შერცხვა ასეთი უჩვეულო გულჩვილობის. რაღა საჭირო იყო კიდევ ამის ხელახლა მოგონება, რომ ის მამად შეფეროდა ამ გოგონას? განა სიმართლეს დაფარავდა ამით?.

„გაიცინა, არაფერი მითხრა. რაღა დროსიაო“, თავისთვის იმეორებდა სპირიდონი. რასაკვირველია, ეხლა აღარ შეიძლებოდა ამის გამოსწორება, მისი გაყმაწვილება... აახ, ერთი ათი წლის უკან იყოს, უჩვენებდა ყველას ვინც იყო, მაგრამ....

ქალმა ხელის განთავისუფლება მოინდომა, სპირიდონმა უფრო მაგრად დაუჭირა.

— არ წახვიდე.

— არსა მივდივარ. ნუ ლაპარაკობ! იქნებ დაგეძინოს.

— მე არას ვამბობ. შენ მითხარი რამე... ტკბილი, საამო.

— რომ არაფერი ვიცი...

„ჩემთვის არ იცის, რასაკვირველია. დიტოს ალბად ასე არასოდეს არ უპასუხებს“... და მძიმედ ამოიხვნეშა.

— რა გაწუხებს, ხო არაფერი შეგემთხვა გზაში?

— არაფერი... ისე—დავიღალე რაღაც.

— მოისვენე, მოისვენე...—და ისევ გადუსვა შუბლზე ხელი.

— ტკბილი სიზმრები თანდათან უფრო მკაფიო ხდებოდენ. ასმათის ხელი მაგრა ეჭირა და ეხლა მას მეტოქე არავინა ჰყავდა.

არ ახსოვს, როდის დასტოვა ასმათმა. არც ის იცოდა რამდენი საათი ეძინა. ნელ-ნელა მოიგონა ყველაფერი... რა აწვა გულზე ასეთი მძიმე, რა მოხდა

ასეთი? რა ვუყოთ, რომ სტუმარი ერთი კვირა მასთან დარჩა. სულ ხო აქ არ იქნება. აკი უთქვამს—ერთ თვეში წავალო. მეორე ოთახში ჩუმი ბაასი მოესმა. ყურები აცქვიტა. უეჭველი იყო ქალი ვილაცას ელაპარაკებოდა.

— ასმათ!—დაუძახა მან.

— რა იყო.

— მოდი ერთი.

— ახლავე!—და ქალმა შემოაღო კარები, ლამფის შუქი თვალებში მოხვდა.

— გაგელვიძა?—სთქვა ქალმა. „ვახშამი კაი ხანია მზადაა, მარა არ გაგაღვიძე, ისე ტკბილად გეძინა, რომ შემეცოდე.

— ვის ელაპარაკებოდი?

— დიტო მოვიდა ესეცაა. ამელამ სამუშაო მაქვს და იქ ველარ დავრჩიო.

— რად დარჩებოდა, აქ არ ურჩევნია?—წყენით შენიშნა სპირიდონმა, წამოდგა და სასტუმრო ოთახში გავიდა. ქალმა ვერ გაიგო—რა აზრით იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

სპირიდონს დიტო ჩვეულის ღიმილით შეხვდა და მაგრა ჩამოართვა ხელი.

— სხვა, როგორაა საქმეები?—შეეკითხა სპირიდონი და ვახშამს მიუჯდა.

— ჩინებულად. ორ სოფელში გლეხთა წრე შევკარით, ხვალ №-ში მივდივარ. იქაც ორგანიზაციას ვაარსებთ. საუბედუროდ, მარტო ვერ ვწვდები... იქაც კრება გვაქვს ხვალ. რაიონის კომიტეტის. თქვენც მოხვალთ ხომ. სალამოს მე აქ შემოვივლი და ერთად წავიდეთ.

— ერთად სიარული არ ვარგა ამხანაგო. სჯობს მარტო წახვიდეთ. მე ვეცდები დროზე მოვიდე. თუმცა ხვალ სალამოს ერთ ადგილას ვეპირებოდით მე და ასმათი. ვნახოთ.

ასმათმა გაოცებით შეხედა.

— სად, მე არაფერი ვიცი?

— აქ ერთმა მეზობელმა გადაგვიპატიჯა. მარა ერთი სიტყვით, ეს ხვალ ვნახოთ.

— გითხრათ ასმათმა, რომ აქ ქალთა წრეც შევკარით?—შეეკითხა დიტო. ძალიან დახმარებას გვიწევს ამხანაგი ასმათი. აბა ნახეთ, რა სოციალისტკა გახდეს ჩვენი ასმათი, მგონი ორივეს გვაჯობოს.

სპირიდონს ეკალივით მოხვდა ეს „ამხანაგი ასმათი“, „ჩვენი ასმათი“... რა ამის ამხანაგია—გაიფიქრა მან წყენით. მაგრამ ეტყობოდა, რომ ასმათი მეტად კმაყოფილი იყო ამ ტიტულით.

— მომითმინეთ, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს თქვენთან სადაო,—ღიმილით ჩაურთო ასმათმა,—ჯერ ასე მთლად ვერ გადამიყვანთ.

— გადმოსული ხართ და ეს არის. გახსოვთ, ქალთა კრებაზე როგორ გაცხარებით ლაპარაკობდით? სიტყვაც დასდეთ და ეხლა ყოყმანი აღარ გაგივა ამხ. ასმათ. ვინც ამ გზაზე ერთხელ შესდგება, ის მას ველარ მოსცილდება მთელი სიცოცხლე. ასეთია ხალხის თავისუფლების რწმენა, მისი სამსახური.

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდენ ასმათი და დიტო. ასმათმა თავის აზრის დასამტკიცებლად ბებელის წიგნიც კი გამოიტანა და ფანქარ გასმული ადგილებიც წაუკითხა დიტოს, მაგრამ სპირიდონს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. მას არ ესმოდა—რას შეეხებოდა ეს გაუთავებელი კამათი. ის მხოლოდ ასმათის აწითლებულ ლოყებს და მოელვარე, ხალისიან თვალებს უყურებდა.

როცა ვახშამი გაათავეს, სტუმარმა სპირიდონს ნარდის თამაში შესთავაზა; აბა, ნახოს თუ ეხლაც მოუგებს მას სპირიდონი... დიტოს ამ დღეებში ისეთი მასწავლებელი ჰყავდა, რომ ჩინებულად იცის უკვე.

— არა, ამხანაგო, რაღაც თავი მტკივა. ისევ შენს მასწავლებელს ეთამაშე და მე კი ზამოვწვები ხელახლა. ვერა ვარ დღეს რაღაც კარგად.

— აბა, ამხ. ასმათ, ისევ ჩვენ. მარტო ორი ხელი, შემდეგ აღარ მცალიან. მიმართა დიტომ და ნარდის პატარა მაგიდა შუაში გაიწოსწია.

სპირიდონი ისევ თავის ოთახში შევიდა, კარები მოიხურა და ბნელში იდგა.

უცდიდა ასმათს. ფიქრობდა, რომ მისი „ავადმყოფობა“ ქალზე იმოქმედებდა და ერთხელ მაინც შემოვიდოდა და დახედავდა, ვამოჰკითხავდა, თუ რა სჭირს?

ტყვილა ელოდა. მოთამაშენი ლაღად იცინოდენ და აგორებდენ კამათლებს.

მაშ ასე, ეხლა აქ მისთვის არავის სცალია და თუ ავადაა თვითონვე უნდა მოუაროს თავს.

უკან კარები გააღო და ჰაერი შეითქვა. სამზარეულოში ცეცხლი დაინახა.

— ეფროსიმე, თუ ქალი ხარ ერთი ცივი წყალი მომიტანე—ხმა მაღლა დაიძახა და პირი სასტუმრო ოთახისაკენ მიიქცია. ეგონა—ეს მაინც გასჭრიდა. არც ამას მოჰყვა რაიმე შედეგი, გარდა ერთი ჭიქა ცივი წყლისა ეფროსიმემ რომ უკან კარებში შესთავაზა. იმედი დაჰკარგა. ერთხელ კიდევ დაუყურადა კამათლის ხმას და ჩუმად უკანა კარებიდან გავიდა.

ეზოში გაიარ-გამოიარა. ცვარმა ფეხსაცმელი დაუნამა. ხიდზე შედგა და მდინარის დუდუნს ყური დაუგდო, შემდეგ წყაროსთან მივიდა. დიდხანს დასჩერებოდა ანკარა ზედაპირს, მთვარე რო ირხეოდა შიგ. ახლოს მივიდა და რაკრაკი მოესმა. ხელი ჩაჰყო და პაწია ტალღები გაათამაშა.

„რა ყინვასავითაა“,—გაიფიქრა მან და სოველი ხელი შუბლზე გადისვა. მთვარე ეხლა უფრო მეტად ირხეოდა და ციმციმებდა წყაროში. იმ ადგილას ჩაუყო ხელი, საცა ეს ოქროს რგოლი ციალებდა და მოკუმშა მუჭში. ამოიღო ხელი და ნელა გაშალა თითები. არაფერი ამოჰყოლია, მთვარე ისევ ისე იცინოდა წყალში. ეხლა ორივე ხელები ჩაჰყო და მაგრა მოუჭირა მთვარეს. შუქი ხელებს ზევიდან მოექცა, კიდევ და კიდევ...

„ასეა ყველაფერი ამ ქვეყნად“, წაილაპარაკა და მძლავრად შეარხია წყაროს ზედაპირი. ჩაფიქრდა და ხელებზე სიცივე იგრძნო—ისევ წყალში ეწყო.

„რა ჯანდაბა ვემართება კი არ გავგიჟდე... ფუი ეშმაკს“. გადააფურთხა და სახლისაკენ გამოუჩქარა. სამზარეულოს უკან შემოლობილში შეევიდა—ძროხა იწვა და სთვლემდა, ხარები კი ზანტად იკოხნიდენ ჩალის გატყაულ ღერებს.

მივიდა ძროხასთან და ზურგზე ხელი გადუსვა, შემდეგ კისრის ქვევით მოფხანა. რა თბილი იყო ეს კისერი და რა რბილი ნაოჭები ეკიდა მას. სახე ახლო მიიტანა და ლოყა შეუსო ამ რბილ ადგილს.

— მოწყენილი ხარ? უთხრა მან ნაზის და დაბალის ხმით. „შენ რატო არ სჭამ, ა? ვინ გაწყენინა, ვინ გაგიბედა რამე ა? არა, ნუ ჯავროობ“ და აკოცა იმ რბილ ადგილას, საცა ფხანდა. ძროხა ოდნავ შეინძრა, სიამისაგან და სახე აულოკა. სპირიდონი ხარებთან მივიდა, გვერდი ჰკრა—გასწია და უფრო რბილ და ფოთლებიან ჩალას ძებნა დაუწყო. გამოურჩია რამდენიმე ღერი და წინ დაუყარა ძროხას. „ჭამე ჩემო, ჭამე... ნურას ფიქრობ“. და დიდხანს სიამით უცქერდა ძროხის ცოხნას, ერთი კიდევ გადუსვა ხელი და გაშორდა. სამზარეულოში სინათლე ისევ ჩნდა. ფრთხილად გააღო კარი. ეფროსიმე და ირაკლი ცეცხლის პირს უჯდენ და სიმინდს ფშვნიდენ.

— უიმე, ბატონი!.. წამოიძახეს მათ და ზევით წამოდგენ.

— იჯექით, იჯექით. რას აკეთებთ ასე გვიან?

— სიმინდს ვფშვნით ბ-ნო. ხვალ ამ კაცმა წისქვილზე უნდა ჩაიტანოს, ქფილი საცაა გაგვითავდება. ირაკლიმ დარცხვენით ჩახედა ცეცხლის პირს და ჯიბაში რაღაცას ძებნა დაუწყო.

— გააკეთეთ, გააკეთეთ თქვენი საქმე,—უთხრა სპირიდონმა,—არ გინდათ ცოტა წაგეხმაროთ?

— რავა გეკადრებათ ბ-ნო. რა თქვენი საქმეა? ჩვენც კარგა ვიზამთ.—მიუგო ირაკლიმ და გოგოს გადახედა:—აბა, ეფროსიმე მოუჩქარე, მოუჩქარე.

სპირიდონი მაინც ჩამოჯდა პატარა სკამზე და მოზრდილი ტაროები კალათიდან ამოიღო.

— მითომ ამიზა ჩინებს ჩამომართმევენ თუ? კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთო.

— რაღა დროისაა ჯობია ბ-ნო,—დაეთანხმა ირაკლი და ეხლა უფრო თამამად დაიწყო ახალუხის ჯიბაში რაღაცას ძებნა.

— რა გაქ მაგ ჯიბაში, რო ვეღარ ამეიღე?—სიცილით უთხრა ეფროსიმემ.

— დასწყევლოს ღმერთმა. საცხა ყალიონი მქონდა და რო ვეღარ ვნახე...

— აა... აგერაა. აი, ამოგივარდეს მომგონი. და ეხლა ქისას დაუწყო ძებნა.

— რა თუთუნია მაგ?—ჰკითხა სპირიდონმა.

— შინოური გახლავს ბ-ნო, ჩემი დათესილი. მაინდამაინც კაი არაა, მარა...

— მე მოგიტან კარგ თუთუნს ქალაქიდან ფეშკაშად.

— ღმერთმა ნუ მომიშალოს ბატონო თქვენი წყალობა.

შეყვენ მუსაიფს და სპირიდონიც შევიდა მუშაობის ეშხში.

— ეფროსიმე, კარგად კი მოგიწყვია ქალო ჩვენი სტუმრის ოთახი.

— რაც გეეწყობა სტუმარს, არაფერი დაგვიკლია ბატონო.

— სწორეთ რომ არაფერი დაგიკლიათ არც შენ და არც ასმათს. ასე უნდა... ნასწავლი კაცია, განათლებული; დაგვზრახავდა სხვა რო არა იყოს რა.

— კი, დიდი ნასწავლი კი სჩანს ბ-ნო. ქალბატონზე ნაკლებ არ უყვარს წიგნების კითხვა. რეებს არ ლაპარაკობს ქვეყნის ამბავს.

— ბალნობიდან წიგნებს ნაკითხა ის კაცი და აბა რა იქნება—ჩაერია ირაკლი.

— რას იტყოდი ეფროსიმე, მაგისთანა საქმრო რო [illegible], ა?— ჰკითხა სპირიდონმა.

— მაგას ვინ მიაშავებდა ამისთანა დიდ კაცს,—ხელახლა გააწყვეტინა ირაკლიმ.

— რა ჩემი შესაფერისია ბ-ნო. რას გავიგებდი მაგისას,—სოქვა ქალმა და ცოტა არ იყოს წყენით გადახედა ირაკლის, რომელმაც ასე დასცინა.

— რატომ შე ქალო, მაგისთანეები ხდება? ხელმწიფემ მეწისქვილეს ქალი ცოლად არ გაგიგონია?—დაანუგეშა სპირიდონმა.

— ე, ბატონო, მაგისთანა ბედს ქე ვინ გადაეყრება!.. დედაჩემსაც ქე უნდოდა ჩემდა კაი აზნაურიშვილი, მარა... და ქალმა წყენით და წყრომით გადადგა ირაკლის.

— რატო აზნაურიშვილი, თავადს იტყოდა ბარემ ის დალოცვილი,— დასცინა ხელახლა ირაკლიმ.

— შენ არავინ გეკითხება. მაგ ქენი მაგერ ის გირჩევნია...

— კაი შე ქალო, რა გაჯავრებს. იქნება მართლა ქე შეგირთოს სტუდენტმა, ბედი ხომ იცი უცებ მოვა.—ხელახლა დააწყნარა სპირიდონმა.

„სპირიდონ, სპირიდონ სადა ხარ?“ მოესმა სამზარეულოში ასმათის ხმა.

სპირიდონი უცებ წამოდგა და გავიდა, სახლს უცებ წინიდან მოუარა, კალთები დაიბერტყა და როცა ხელახლა მოესმა ასმათის ხმა, „აქა ვარო“, მიუგო. „გავახსენდი მეც .. მადლობა ღმერთს“. და ნელა ავიდა კიბეზე.

— რა შემაშინე კაცო, მეგონა გეძინა. სად იყავ?

— ეზოში გავიარე, საქონელს მივხედე.—და როცა დაინახა, რომ დიტო ისევ სასტუმრო ოთახში დასეირნობდა, გულმოსული გავიდა საწოლ ოთახში. უსიტყვოდ გაიხადა ტანსაცმელი და ჩაწვა.

— თბილად დაიხურე, გადაგივლის თავის ტკივილი, როგორც კი დაიძინებ—უთხრა ქალმა და ისევ დიტოსთან გავიდა.

დიდხანს იტრიალა ლოგინში სპირიდონმა, მაგრამ არ იქნა, არ დაეძინა. ფეხის წვერებზე წამოდგა, ხმა არ ისმოდა; სასტუმრო ოთახში გავიდა, იქ არავინ იყო, მივიდა დიტოს ოთახის კარებთან და დაუყურადა.

დიტო რაღაცას უკითხავდა ასმათს.

ფრთხილად შეიჭიტინა და დიდხანს უცქირა მათ. ორივენი ტახტზე იჯდენ და სანთელი ფანჯარაზე დაედგათ. დიტოს ცალი ხელი ასმათის მუხლზე ედო და მეორე ხელში რაღაც რვეული ეჭირა და კითხულობდა. ასმათის სახეს და თვალებს აღტაცება და ღიმილი არ შორდებოდა. სულისთქმა შეეკრა სპირიდონს... ყელში რაღაც გაეჩხირა და რომ უეცრად არ მოშორებოდა კარებს, უეჭველია, მის დახველებას გაიგონებდენ.

— ფუი, შევარცხვინე შენი ვაჟკაცობა და სოციალისტობა. ესაა თქვენი ამხანაგობა? ასე უნდა მეგობარს მოპყრობა? ამას ქადაგობ? გულუბრყვილო ქალი გინდა პატიოსნების და ოჯახის ერთგულების გზას ააცდინო??—და ისევ ჩაწვა ლოგინში. ეხლა მას მართლა სტკიოდა თავი, გულზე რაღაც აბიდებდა.

„ნეტაი ხვალაც არ ვრჩებოდე სახლში, რად მინდა ასეთი—დასვენება?“ რა გზას მიმართოს, რით აიცდინოს ეს საშინელი განსაცდელი? ამის ფიქრებში იყო მთელი საათები და ტყვილა ელოდა ასმათს.

ერთხელ კიდევ წამოდგა და ჩაცმა დააპირა:—შევალ და მოვახსენებ რაც ეკადრება მაგ არამზადას. თუ რამე გაბედა და ერთ-ორსაც კარგა ვუთავაზებ. ამელამვე გავაგდებ გარედ.

მაგრამ რა მდგომარეობაში ჩააყენებდა ამ მხეცურის საქციელით თავის თავს, რას იტყოდა ამაზე ასმათი? განა სამუდამოდ არ დაეცემოდა ის ქალის თვალში? რომ გაგიჟდეს ეს ქალი და მიუტიოს სახლ-კარი და თვითონ გაჰყვეს ამ სტუდენტს? მაშინ?

„არა, ასე არ ივარგებს, უნდა სხვა გზით მოვიშორო თავიდან, კომიტეტში ვიჩივლებ, ცეკაში შევიტან განცხადებას—ჩამომაშორონ, თორემ ცოდვა დატრიალდება.—ამ აზრმა ცოტათი მაინც ნისცა შვება.

ცეკა უეჭველად გაიგებდა სინამდვილეს და ასე არ აუშვებდა ამ თავხედ ყმაწვილს, ეხლავ გაიწვევდენ და საკადრისად მოექცეოდენ...

დიდ ხანს უცადა ასმათს და ბორგავდა ლოგინში, მოიქანცა და მკვდარივით დაეძინა.

(დასასრული შემდეგ ნომერში.)

ნოე ჯოჯოლეთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძლევის შუქურა

(პოემა)

ზღვის სტიქიას ჰგავს, ომახიანს, ცხოვრების სრბოლა,
ჯანღ-დაკრულია, ხან ღრუბლებით მკერდ-აბურცული,
საკმაო არის, წამოიწყოს ქარმა წყლის ჩქროლა,
რომ მთელს ზღვას უცბათ გადაეცეს მისი ჩურჩული.
ჯერ დაირხევა სივრცე მისი ნელი შრიალით,
როგორც სცენის წინ აღმართული ვეება ფარდა,
შემდეგ ნაპირებს ხვდება ტალღა, ქაფით, თქრიალით,
და ყველაფერი იწყ ბს სიცილს, თვით ქარის გარდა.
ქარი აქ თითქოს გამოცდილი დირიჟორია
წამოწყებიდან მთელი ღამით, მიწყივ დილამდის,
სცენაა მისთვის ზღვის უძირო ტერიტორია
და ზვირთ სიცილზე ის თავს ირთობს ბზის სიცილამდის...
მზე კი, მსოფლიოს ხანძრით გულში, მოდის, ვით გემი,
ვით შორეული სანეტარო ოცნება ზღვისა,
მკერდს უწვდის მას ზღვა და შეჰვრფვინავს: „ჩემი ხარ, ჩემი!..
ჰა, ეს ცისფერი ენერგია უძირო წვისა!“...
მაგრამ მზე თითქოს ცაზედ არის შეყვარებული,
ზღვისთვის კი იგი შორეული ტრფობის ცეცხლია,
ზღვაც, შურით მთვრალი, ვნების ჟინით ამძაფრებული,
ირეკა მზისთვის, ზვირთები რომ წიხლებს ესვრიან...
ასეთი არის ზღვის სტიქია და მზის სურვილი,
ასეთი არის ქარის ვნება და მისი ჟინი,
ხან მისი შუბლი სევდით არის შემობურვილი,
ხან კი მზის ცეცხლით იწვის მისი გული და ტვინი...
რა უაზროა იმის წინ ეს მთა და გორები,
ძარღვებ-დამშრალნი რომ სდგანან შორს სიყეყეჩითა,
ზოგჯერ უგრძნობო ქარაშოტით ანაშმორები
და ზოგჯერ კიდევ მგლოვიარე თმების ჩეჩითა!..

და ზღვა რომ იწევს, ცალის ხელით მთებსაც ემუქრის,
რადგან ისინი მზის ამოსვლას აგვიანებენ,
და უტევს ჯარებს!.. ესევიან სავლებათ მუსრის:
ურტყამენ ტვინში! მკერდებს ჰკაწვრენ... აზიანებენ...
და თუ გასწორდის მთა და ბარი, ზღვა გაასწორებს,
და თუ მოისპის სიყვეყეჩე, ზღვა მოსპობს მასა,
ალარ დაუშვებს იგი მაღლა აღმართულს ტორებს,
სანამ ზღვა შორი მზის სატრფოა და ქარის ხასა...
სამარცხვინოა მისთვის როლი ამ პასიობის,
თუმც შორისათვის ღირსებაა ხელის გაწვდენა,
შეურაცხყოფით დატვირთული ყველა ჭრილობის
ის გამრთელების აზრია და უსაზღვრო რწმენა...
საყვაოელია მიტომ მზისკენ ხელის წოდინი,
საყვარელია ამ აზრით ზღვის გიჟი ტრიალი...
იქით კი მთების უაზრო და გრუზა ლოდინი
დაგმობილია... განწირული... განატიალი...
და კაცის აზრიც, მოციქული ამ შეგნებისა,
იმ დიად გემით მიილტვის წინ, ძლევა-მოსილი,
აქ მთის აღსასრულს, იქ ბარის ხვედრს, თუ ზეგნებისა
თავის ნებაზე ხაზავს იგი, შუბლ-დალოცვილი...
და სდგება რუკა, დიდი რუკა ზღვის რეისების,
ზედ ილტვის გემი, უპოვარი, აფრა-გაშლილი,
გზად ჰკრებს ძნებს „ძლევის შუქურადან“ სხივთა ისრების
და მიაქეს გულით ცეცხლი, ნავთი და ქვანახშირი...
დღეს მოწესრიგდა, როგორც ვიცით, ეგ ზღვის ხაზები,
რადგან ტიტანიკს, ლონდონიდან—ნიუჯორკამდე,
გზად გადეხირა ყინულეთის გადარაზები
და ჩაინარცხა, ჩაიქცა ის ზღვის ნაოხრამდე...
ახლა სხვა გემი წამოიჭრა ლენინგრადიდან,
იგი თავისად სულ არ სახავს გზას ტიტანიკის:
ხმელთა სივრცესაც ოომ მისერავს ზღვის ესტრადიდან,
გამომწვ ვია გაოცების, ზოგან—პანიკის...
ამ გემს უფროსობს ამირბარი გამოჩენილი,
ამ გემს განაგებს მეზღვაურთა „ცეცხლის კომანდა“!
არის სახელი საზოგადო მისი—ლენინი
და ლენინიზმიც მთლად ეს სვლაა თავისთავადა ..
მსოფლიოს მკერდზე აწვდილია „ძლევის შუქურა“,
სადაც საფუძვლად ქვეშ უგია მას „ესესერ“-ი,
ახალი ქვეყნის ძიებაა ამ გემის ცურვა
და წინ წყლის პობა—სისხლისა და ოფლის ლანქერი...

არის ზაფხული, გაზაფხული, თუ შემოდგომა,
დამუქრებული ცივს ზამთარზე ცეცხლით და რვალით,
გულს უთბობს იმას, მზესთან ერთად, ამაყი შრომა
და წინ სივრცეებს ზომავს იგი გამჭრიახ თვალით...

და როცა ამ შორ სივრცეებში ზამთარი ჰბუქავს,
როცა ქარებით ასერილა თვალის საზომი,
ვინ გაიოცებს, როს მესაჭეს თვალი ცეცხლს უგავს
და შიგ ხაზებათ სისხლიც არის ჩამონაკრთომი?!.

ამ დროს ომი აქვს გამართული ზამთრის ქიმერებს:
წითელს ნაპერწკლებს თეთრად იფენს მთები, ჭალარა,
და იქ გრიგალი სასიკვდილოს რომ გადიმღერებს,
ძლევის გემს მაშინ ხელთ უპყრია აქეთ ნალარა...

მის დაძახილზე აიშლება ეშელონები,
კვლავ ახალს ძახილს მოსდევს გუნდთა მძიმე სვენება,
რომლის წუთებშიც ჩემს წინ სჩანან ისევ ბრძოლები,
თავგამეტებულ რკინის რაშთა გადაჭენება...

და თუ ჭალარა წარსულივით ცა იფურთხება,
და თუ ნისლეთში გახვეულა „ძლევის შუქურა",
გემი კვლავ იძვრის!.. ის ხომ ბრძოლებს არ გაუფრთხება,
ჯერ მისი ბედი ზამთრის ყინვით არ დალუქულა!..

მაშ, რისთვის არის აქ ეს ღამე ასეთი მკაცრი
და ქვეშ მდუმარე ეს ქალაქი, ტყე და ველები?
მათ ქარი თავზე წყრომის სტყვებს თეთრად რომ აცრის,
„ძლევის შუქურას" რისთვის რჩება დაუწველები?!.

ბეწვიანს ქურქში შეფუთვნულა დიდი მოსკოვი
და იანვრის ცას სცვივა შაქრად გამშრალი ცრემლი,
არის გულ-ხარბი ცივი სუნთქვა, წარსულზე მგლოვი,
მაგრამ უხვია მწველი სულთქმით ამაყი კრემლი.

მოილტვის ნისლი, ვით ოდესმე მტერთა ურდონი,
სისხლის, სიკვდილის, ცეცხლის, კვამლის შავ მაგალითად,
წინ კი ელექტრო-სხივნი სდგანან, მათთვის უნდონი,
ათას მინინად, პაჟარსკად, თუ ივან კალიტად;..

ჰკუთვენ, ვით ბნელში, უამრავი მიკიოტები,
ელსადგურების მთელი რიგი რომ ელის შატურს,
და თეთრი მდევის ურიცხვ რქათა ცეცხლის ტოტები
ჰხევენ ყომრალს ნისლს და ჰბურღავენ ბნელს, მუხანათურს...

არის უსაზღვრო შეხლა მტერთან, დანაპირული,
და იწვის კრემლი!.. იწვის პრესნა... იწვის მოსკოვი...
და ეს უსაზღვრო ალთ ნაკადთა ძნა, საკრული,
სჩანს, ვით მუდმივი ხანძარი, თეთრ ცას-შენაქსოვი...

უმაგალითო იყო მუდამ მისი ხანძარი!
უსაზღვროთ არის იგი ახლაც აწვდილი მაღლა!..
ღამის ასასად ქუჩებში რომ დაძვრება ქარი,
ის ძილს სიფხიზლით ჰკვეთს, ვით ჰაერს — რადიო ტალღა...
და ამ რადიოს მიუმართავს ყველა ხაზები
იქითკენ, სადაც მოსჩანს კრემლი, ოქროს სვეტებით,
აწვდილნი, როგორც ცეცხლოვანი აქანდაზები,
კოშკთა ლახვრები, ცას რომ ღადრეენ ბასრი წვეტებით...
სდუმს კრემლი, როგორც შუბლი, ბრძნულად ჩაფიქრებული,
მაგრამ სცემს კრემლი, როგორც გული სიცოცხლის გრდემლის,
იმ დუმილშიაც ბრძოლა ისმის ამქუხრებული
და ამ ცემაშიც—ბრძნული დარტყმა მჭედელი კრემლის!..
აქ—კომინტერნი მთელი ქვეყნის მფეთქავს ძარღვებში,
იქ—ალმასკომი... სოვნარკომი... დიდი „ვეკაპე"...
ირგვლივ ქალაქი შადრევნად სჩქეფს ულევს ბაღებში
და მოძრაობა გაშლილა, ვით ზღვა, მოლაპლაპე...
ქუჩა სცვლის—ქუჩას, მაგრამ გზები, გრძელი და ვრცელი,
არის განგრძობა მათი ირგვლივ მთელ მსოფლიოზე...
ფრანგი, ჩინელი, გერმანელი, თუ ინგლისელი,
ყველა ისწრაფვის, რომ ჩამოდგეს ამ „ბასტიონზე".
სადაც მეტყველი მდუმარებით ჩვენი ბელადი,
ისვენებს, მტრებთან სასტიკ ბრძოლით ძარღვებ-დაღლილი,
იქვე მის გვერდით წევს საველე შტაბიც, ხელადი,
რომ სძინავთ, მაგრამ ხმლებიც მზად აქვთ ხელში აწვდილი...
ისვენებს გემიც, უზარმაზარ სიდიდით გრუზა,
თუმც ჩარხი გრგვინავს: სდგას „კრანები" სამუშაოზე...
აფრაც აწვდილა. ჩაშვებული სჩანს მხოლოდ ღუზა
და მეზღვაურნიც—ვით მხედრები—საგუშაგოზე.
ერთის შეხედვით—უძრაობა, განუზომელი,
და მეორე მხრით, შეუსვენი შრომის საგანი!..
იქით ზღვის ზვირთთა ბრძოლით გაშლა, დაუდგრომელი,
აქეთ კი—წყნარი საგუშაგო, გემის ბაქანი!..
ეგ საგუშაგო ბევრს მოელის ღირსეულ გმირებს,
ახლა რომ უწევთ გამალებით ომში წინ ტევა,
მაგრამ იმათ ხომ ქვეყნად ვერვინ ვერ დაიტირებს...
რადგან გმირები შრომის უბნებს არ დაელევა...
აქ მოსულებიც ვერ შესწყვეტენ ცოცხლებთან კავშირს!
ეს მოედანიც საგუშაგო ჰგია კოცონად...
ბევრს იტევს დაღლილს ბრძოლაში, თუ მტრის ხელით დაჭრილს,
მდებარეთ უტყვად, მაგრამ მედგრათ და თავმომწონად...

და ამ რაზმს რჩეულ მეომართა თავში უდგია
ივი, ვინც მტრებზე მდუმარეც კი რისხვით მქუხარებს,
ვის ხსოვნაც ძეგლათ, ხელთუქმნელათ, გულში უგია
მთლად ქვეყნის მონებს, დაჩაგრულებს, გერებს, ფუხარებს...
ლენინ!.. ჰა ის ამ ხუთ ხმაშია აყლერებული,
ცეცხლის ქიმებათ გადაწვდილი დედამიწაზე,
ევერესტს, მონბლანს, კორდილიერს აშორებული,
ეიფელზეც მძლე და ეგვიპტის პირამიდაზეც...
ეს არის თითონ ის ზღაპრული „ძლევის შუქურა",
ეს არის თითონ ის გემიც და მისი სარდალიც!..
იქით კი სივრცე, შორს სევდით რომ გადაბუქული,
გზა ჩახლართულა თოვლისა და ქარის ჭარტალით.
რომ გადაჭრიბონ გატყორცნილი „პროექტორები",
რომ სვლა შეზღუდონ ჯერ უძლეველ ამაყი გემის,
რომ შეუბრუნონ გზაში ყველა სემაფორები
„ძლევის შუქურას"—„ლენინიზმით" ჩაუშრეტ ლენინს!..
ლენინ! შენ ქვეყნის ოთხი მხარე ერთად შეჰკონე
და მეხუთე მხრით, ერთ მხრით, მიეც მიმართულება...
„ლენინ"... ეგ სიტყვა არც ერთ კანონს არ დაუმონე
და ის ყველა მხრის, ყველა ხალხთა გახდა თქმულება...
აი, რად არის, რომ მდუმარებს შენს ირგვლივ კრემლი,
როცა მოსკოვი ზღვის ცოფივით სულ მქუხარეა:
აქ შენი გული ასვენია, მსოფლიოს გრდემლი,
გარს კი მჭედლებათ—ყველა ხალხი, ყველა მხარეა...
„ძლევის შუქურად" ასვენია აქ შენი გული,
დღეს მსოფლიოზე ყველა გზებს რომ უტყუვრად ზვერავს,
და სახელი კი შენი, მტრებთან შეჯიბრებული,
შორი სივრცეებს უძლეველი გემივით სერავს...
არის უსაზღვრო შეხლა მტრებთან, დანაპირული,
და იწვის კრემლი... იწვის პრესნა... იწვის მოსკოვი...
და ეს უსაზღვრო ალთ ნაკადთა ძნა, საკირული,
მთლად დედამიწის მკერდს ეგზნება, ცას-შენაქსოვი...
თვით ხელმძღვანელობ ამ ბრძოლებს და ამ წვის სტიქიას.
თვით სტიქიებსაც კი იმონებს შენი სახელი,
გავს თვალი შენი შუქურას კოშკს, ათას ჭიქიანს,
და მზის უძირო სავარვარეს—შუბლი, ნათელი...
შენი არსება—ეგ ზღვის გამძლე მოძრაობაა,
შენი სიტყვები კი—მსოფლიოს მკერდის ზანზარი,
აზრები შენი თაობების გულთა ხმობაა,
დასვენებული ამ ადგილს, ვით ერთი ხანძარი!..

მაშინ კი, როს ამ ცეცხლის ენებს სულ ერთად აღძრავს
მსოფლიოს ცაზე რისხვის მეხთა გადაჭენება,
აქ მოვასვენებთ არა ერთ გმირს ბრძოლიდან, მაგრამ
არ შეიძლება, ლენინ, შენი გადასვენება!..

რადგან სანიშნოთ ხელს იმ წუთში წინ ვინ გაიშვერს?
ძლევის სხივებით ვინ ჩაისრავს ყოფნის უკუნეთს?
ვინ გადასწვდება იქ—ევერესტს, აქეთ—ეიფელს,
იერიქონის საყვირად ვინ დაიგუგუნებს?!.

კაცობრიობას ერთი შერჩი, როგორც მძლე გული,
გული სიკვდილის მძაფრ დაკვრებს რომ არ ემონება!
ის სულ მოძრაობს!.. ვის სმენია შესვენებული?
სთქვეს: „მოკვდა“, მაგრამ არ მოკვდება შენი გონება!..

რადგან ის აზრით დატვირთულა, როგორც მონბლანი
და იდეებით გულთა მწველობს, ვით მზე, სახარის!
არა, მტრის რაზმებს ისევ ზვერვენ იმისნი თვალნი...
არა, ლენინი კლვავ ჩვენთან და კვლავ ყველგან არის!..

არის რუსეთის გადაწვდილი მკერდით ზვანი,
დონის ხეობით, ვოლგის სივრცით, სირტით, ურალით,
ციმბირის ტუნდრა, თუ ტაიგის უყნი, ლეგანი,
ცივი სინესტით, მკაცრ ყინვით, თუ ზამთრის ბურანით...

კასპის იქითა მხარეა, თუ თურქმენთ ქვეყანა,
ხივა, ბუხარა, ყირყიზეთი, თუ ოირანი...
დადის სახელი, მოარული, მისი ყველგანა,
არ არის ძალა ჯერ, რომ შეჰკრას იმის წინ გზანი!..

გადადის იგი ევერესტზე, ვით ძლევის მეხი,
ლეგა ღრუბლებში ცეცხლით რომ სჩანს მაინც მუდმივად,
იქით განგის ხევს მტკიცედ ედგმის იმისი ფეხი
და ინდო-ჩინეთს თავს ადგება სიახლის სხივად!..

მოჰყვება ჩინეთს კანტონიდან მუკდენისაკენ
და ძოაქვს რისხვა, შვების მზეში ამოვლებული,
ფელავს სახე, მიპყრობილი თბილი ზღვისაკენ
და ჩრდილოეთის კაშკაშეთით გაბრწინვებული...

ჩაჯდება გემში, გადასერავს ნიპონის კუნძულს
და სანკტ-ფრანცისკოს მიადგება ცეცხლის ბაგაით,
კორდილიერზე აღმართავს თვის დროშას, ალანძულს
ძლევის ელვით და ამბოხების ცეცხლის ღაელაით!..

მოივლის იქვე უმნიშვნელო ოკეანეთსაც...
ნიუიორკის ბირჟებს დასცემს „რისხვის გრანატებს“!..
ინდოელ მონის ქოხსაც კი არ დასტოვებს ერთსაც,
გულში რომ შვების იმედებზე იმედს ამატებს...

დაყვება შემდეგ კუნძულებით მოფენილ სივრცეს,
ნახავს: ცელებესს, ცეილონს, თუ მაგადასკარსა...
ყველგან შესაფერს შვებით სავსე ბრძანებებს მისცემს
და მოადგება ისევ ზვიად ევროპის კარსა...

დახრიან მის წინ მელოტ თავებს სიტის ლორდები,
რადგან კარდიფის „შავ მონებთან“ სდგას ის, ვით ყვავილი
მუშტებ-აწეეით რომ გრგვინავენ: „გავუსწორდებით“
და აღმართული რომ სჩანს ზღვის ლომთ ურიცხვი ტორი...

გადადის პარიზს მარკიზების შესაშფოთებლად
და კომუნართა საფლავებზე აღმართავს ალამს.
ღელავს პარიზის გული მასთან შესაერთებლად
და აქეთ ბერლინს, და იქით რომს უთვლიან საღამს...

რეინის მხარე ბორკილს ილეწს ხელსა და ფეხზე
და იტალეთის შრომის ჯარი—ფაშიზმის ხუნდებს...
მკირე ანტანტის ხარბი გულის გარდანატეხზე
ის მოუძღვება „თავისუფალ მონების“ გუნდებს...

გადმოვა საზღვრებს, ვით საზღვრებზე რისხვა-ჩენილი,
მიეგებება მას მოსკოვი, ამაყი კრემლით...
დადის ის ყველგან, როგორც მცნება, სიტყვა—**ლენინი,**
ნამგლით და ცელით, ჩაქუჩით და უძლევი გრდემლით!..

და „ესესერზე“, სად კრემლი სჩანს აყუდებული,
ირგვლივ რომ ყველა შორი სივრცე გადამუქული,
სდუღს ზღვა ცხოვრება, შვების რწმენით ამქუხრებული,
და მას იმედით თავს დაჰყურებს, „ძლევის შუქურა“!..

თამარ ჩერქეზიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მია

(რომანიდან „მგლის კბილი")

## I

არ გინახავთ თავშალდახეული დედაკაცი, რომელსაც დახეული თავშალიდან ბუწუწები გამოჩენია?

აი, სწორედ ასეთ დედაკაცს ჰგავს ძველებურ ციხესთან მიშენებული სახლი, რომელსაც აქა-იქ ძველი ავარდნილი ყავრის მაგივრად წალმის კონები აფარია.

ეზო მაღლობზე მდგომ სახლს არა აქვს. ზაფხულია. ვერხვის დიდი ხე შრიალებს. ხის ქვეშ სულ ახალ ტანისამოსში ახალგაზრდა ზის, რომელიც ვერხვის ტოტით მიწაზე რაღაცას სწერს. მის გვერდით თვალებწითელი მოხუცი შავებში ზის. მოხუცი ჩაცუცქულია, ახალგაზრდას ებაასება.

ახალგაზრდას მოუთმენლობა ეტყობა, შავურდულიან კარებს მალი-მალ უცქერის, დედაბერიც იქით იხედება.

— ეხლავ, გენაცვალე, ეხლავ გამოვა! მაშ თქვენ ჩემი მიას სანახავად ამობრძანდით? დიდად სასიამოვნო გახლავს. ისეთ გამოყრუებულ სოფელში ვართ, რომ მეტი არ შეიძლება. აბა, გადაიხედეთ, რა მაღლობზე ვდგევართ, სულ სხვაა ქვეეით მცხოვრებელი.

ყმაწვილი მოუთმენლად თავს უკრავს, ხმას არ იღებს, მოხუცი ქალი შეწუხებულია, წამოდგება, თავშალს გაისწორებს, ფლოსტებს ფეხს გაუყრის, სახლისაკენ წავა. ოთახი ძალიან დიდია, თავიდან ბოლომდის ტახტი სდგას. ერთ მხარეს მაგიდაა, ასეთ დიდ ოთახს, დიდი მამა-პაპური შავი ბუხრით, ნახარატევი ბოძებით, ასეთი მაგიდა არ უხდება. ოთახში ერთი გრძელი სკამის მეტი არაფერი არა სდგას.

დედაბერი შედის ოთახში თუ არა, მაშინვე თვალზე ხელს იფარებს, რადგან მზის შუქით თვალებ მოჭრილი ვერაფერს ვერ ხედავს.

— სადა ხარ, მია? ქალო? არა გრცხვენიან, რატომ არ გამოდიხარ? გადი ქალო, უთხარი რამე, აბა, მე რა ვუთხრა? შენთან მოვიდა, ჩემთან ხომ არა?

მაგიდასთან მდგომი ქალი, რომელიც წიგნს ზანტად შლის, უცბად გასწორდება, გაიმართება, დიდ შავ თვალებს დედას მიაშტერებს.

— არ გითხარი, უთხარი, აქ არ არის თქო!

— ოხ! ისევ ძველებურად! — დედაბერი უფრო ახლო მივა. — ნეტა რათ გასწავლე! არა სჯობდა აქა მყოლოდი და აქამდის გამეთხოვებინე? ეხლა შვილიშვილებით სავსე ვიქნებოდი. უყურე ვანოს ცოლს, ბაბესთვის არც უსწავლებია, მაგრამ ისეთი სიძე ჰყავს, რომ სიდედრს ჩაი-შაქარს არ ულევს. შენ კი... არ ვიცი, ისე იქცევი თითქოს აქაური „ჰოგეჩო“ იყო!

სულ ახლო მივა მიასთან, ხელს ჰკრავს. გარეთ თითქმის ძალით გააგდებს. ჩრდილში კი ახალგაზრდა კარ-მიდამოს ათვალიერებს, ეზოებს კაკვირვებით სწევს. სისაწყლე და მია? ვერ წარმოუდგენია! მიაზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ეგონა დახვდებოდა სასახლე, ეზოში გოგო-ბიჭების ფუსფუსი, მოუოავის მოუთმენელი ძახილი, რომელიც ახლად მოსულ ცხენოსანს მიეგებებოდა და დაოთხილ ცხენს დაასვენებდა. აქ კი სულ სხვაა!

დალალული ცხენი, ობლად დარჩენილ სასიმინდეს ბოძზე ბიბმული, სიმშილისაგან მოუთმენლად ტორსა სცემდა. თივა-ქერის მაგივრად მის წინ წალმის კონა ეგდო, ახალგაზრდა ბოლმით სიდებოდა. რამდენი ჩხუბი, რამდენი წყევლა, სანამ მამას ღვინოს გააყიდვინებდა და ამ მორთულობას ჩაიცმევდა. ტრაბახით აღარ იყო, ქართველი დიდი თავადის ქალი იქნებ როგორმე დავიყოლიო და მისი მიწა-ტყე მე დამრჩესო. ეხლა კი...

მწარედ იღიმებოდა და ნაინატრი მია ახლა ჩალად აღარ ულირდა. ოჰ, რა სიამოვნებით გაიქცეოდა უკან... ის იყო დააპირა უკან გაბრუნება, ახლო მყოფ გაოფლიანებულ ცხენს ხელი გადაუსვა, რომ კარებში გამოჩნდა მია, სუსტი, რომლის თმაც მზის შუქზე თითქოს უცბად აინთო. ქალს ჩამოცვენილი შეწითლებული ფოთლების ფერი თმა ჰქონდა. ვაჟი, რომელსაც საშინელი ფიქრები უტრიალებდა, შეჩერდა და შეხედა. ცივი მია მასთან მისრიალდა, თვალებანთებულმა შეხედა.

— ვინ დაგპატიჟათ?

— არავინ, მია, მაგრამ... მე სულ თქვენზე...

— ფიქრობდით, მაგრამ მიას თქვენ ფიქრში რათ ურევდით?

მე დიდ ბოდიშს ვიხდი!.. ახალგაზრდა უცაბედად გაოფლიანებულ ცხენის სველ ტანს მიჰკროდა და შეშინებული, რომ ახალ ხალათს ლაქა დაეტყობოდა, უცებ მოშორდა და ნერვიულად ხელით წმენდა დაიწყო. მიამ შეხედა. თავის შექნევით თმა უკან გადაიყარა. თითქო ელვამ გაირბინა მის სახეზე. იგრძნო, გაიგო, ვისთანაც ჰქონდა საქმე და დამცინავი ღიმილით უთხრა:

— დასვენება ესაჭიროება ალბათ ცხენს, წამომყეთ, ბალახზე გაუშვათ.

ქალმა ჭკვიან პირუტყვს სიყვარულით გადაუსვა ხელი, აღვირი ხელში აიღო და წინ გაუძღვა. ახალგაზრდა შეტორტმანდა და მიას უკან გაჰყვა. მიამ ციხის დანგრეულ კედელთან ცხენი გადაახტუნა. ციხის გალავანში კარგი ბალახი იყო. სოფლის მეხბორე გოგოებს ბევრჯერ გადაუხედიათ ხარბად მწვანე ადგილისთვის: ერთ კვირას გამოიყვანდა მათ ხბორებს ეს ბალახი, აღარც ფეხები დაეგაზებოდათ აქა-იქ ნაწვერალში ხეტიალით და ხბორების მორეკით, არხეინად იქნებოდენ და მხიარულად იკენჭავებდენ, მაგრამ მიას დედა ქორივით იყო გადაფარებული ამ მიდამოზე და არავის ფეხს არ ადგმევინებდა.

მიამ შეხსნა ალვირი ცხენს და მიუშვა, თვითონ კი გადანგრეულ კედელზე გაჩერდა. ოდნავმა სიომ თმა და თეთრი ქათქათა კაბა შეუფრიალა, გული, რომელიც ნელა ირხეოდა, აინაკვთა. იმედგაცრუებულ ახალგაზრდას აღარაფერი არ ხიბლავდა, არც აქოჩრებული ტყე, არც ლურჯი მთები და არც ქართლის დიდი ვაკე, რომელიც ჩქარ და ალაპლაპებულ პატარა ლიახვს გაეკაწრა სულ ახლოს, ცოტა შორს კი უკვე ლიახვი, პატარა და გიჟი, თავგასულად ლიახვს უერთდებოდა, შორს კი მტკვარს, თითქოს ლაქუცას, ~~სულ ახლოს~~ მიჭრილს ლურჯ მთებთან, პრიალა ხაზი გაეკლო და გიჟ დობილს უცდიდა ძველ ქალაქთან, ძველ ციხის ბოლოს, გადასახვევად. ახალგაზრდას, რომელიც მხოლოდ ფულის მოგებას, ფუფუნით ცხოვრებას შესტრფოდა, მიას საყვარელი სანახაობა ვერ გაართობდა. ბევრნაირია ადამიანი...

ნელი სიოთი გახალისებული მია თითქოს ჩამოცურდა ამ აღმართზე ისე, როგორც ხშირად ჩამოცურდებიან ოჯახის ჭრელი გველები, რომელნიც დედაბრის ფქვილის გოდორში ხშირად მოიკალათებენ ხოლმე, ან კიდევ ხის ვარცლში ჩასხმულ რძეს სვლეპავენ. მამულის გველებია. მათი მოკვლა როგორ შეიძლება! განა მარტო მიას დედას სჯერა ეს? ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა მოსული მკალავი ლეკი მწვანედ დახავსებულ ქვაბში რწყევა-ნახევარს სთხოვდა მოხუცს მოსაკალად, სულ ახლო გველმა გაისისინა. მკალავი შავი ანთებული თვალებით დააცქერდა და სთქვა:

— „არ მოკლას დედი ეს, შენ ეს მოკლას შენი შვილი მოკლას".

— არა, შვილო, მამულისაა, ვინ მოჰკლავს, უვნებელია. მერეა და ჩვენ გვარს დამონავებული ჰყავს, საიდან არ მოდიან ნასუნთქის წამლად...!

მიამ დაარღვია სიჩუმე: „წამოდით, თქვენ ალბათ მოშივნული იქნებით, დედა კი უკვე ამზადებს. მიას ხმამ გამოარკვია ახალგაზრდა, მაგრამ მაინც არაფერი არა სთქვა.

სუფრა მალე გაიშალა. პირმოტეხილ პატარა ყვითელ ზოლიან თეფშზე კარაქი თხლად იყო მიცხებული. დაკოწიწებულ დიდ ბადიაში ჩახოხბილი ქათმის შავი ფეხი მოსჩანდა. დიდი ყვითელი დედა-კიტრები ნესვებივით იყვნენ დაკოწიწებულ ლურჯ ერეკლესეულ თეფშზე. პირწალეული ერთი დანა, რომელსაც შინ გაკეთებული ხის ტარი ჰქონდა, ძლივს სჭრიდა გაშოტილ თხელ შავ პურს, რომელიც ხბიადსავით იყო ულვიარი. ყველაფერ ამას უცქეროდა ახალგაზრდა და დედაბრის წამდაუწუმ ილლიაში ხელის შეყოფა მადას უკარგავდა. მისთვის ყველაფერი მოულოდნელი იყო. მია სდუმდა. მას ყველაფერი აბრაზებდა: დედის უშნოდ დაჭრილი პური, გათლილი კიტრი და ძველი ჭიქის ნატეხში მარილი... გამხიარულებული დედაბერი კი ყანწით მეავე ღვინოს ასხავდა, რომელსაც პრკე ისე ჰქონდა მოდებული, თითქოს ჭუჭყიანი ტანის ნაბანიაო.

მიამ, როცა ბზის კოვზით პურს კარაქი წაუსვა, ხმამაღლა შესთავაზა: „მიირთვით!" ახალგაზრდა კი ფიქრ არეული მისჩერებოდა გაჭვარტლულ სქელ კედლებს და მიას თეთრი ქანდაკების კონტრასტს. უცქეროდა, არ სჯეროდა, ეუცხოვებოდა... სუფთა აივანი, მზის მწველი სხივებისაგან თავის დასაფარავად ჩამოკიდებული ზოლებიანი ტილო, პრიალა იატაკი.. არა, ისევ იქ, იქ, შორს აქედან!

მოურავის მაგიერ ცხენი ნიამ მოართვა. ახალგაზრდამ ზევით არ იკადრა აბრძანება. მიამ ხალისით ჩამოუწყვიტა შრიალა ვერხვიდან კარგი წკეპლა, სიცილით გააცილა ..

იმედით გადახედა დედაბერმა.

II

სტუმარი წავიდა. გახალისებული მია ციხის მაღალ კედელზე ავიდა, მაგრამ არა იმისთვის, რომ მიმავალ ცხენოსანისთვის თვალი გადაევლო, არა, მას ჩვეულებად ჰქონდა ციხეზე ასვლა, ძირს გადაშლილი ქართლის დაბლობის თვალიერება. ფიქრმა გაიტაცა. მოაგონდა ბავშობა... აი, პატარა მია ჭრელი წინდებით, გრძელი რუშიანი კაბით და დიდი ჯოხით. სწორედ აქ უდგია თხებს. ის მარტო არ არის, მასთან გოგოებია... მარდათ ასხავენ მძივებს, მიას ყელზე ძველის-ძველი იშვიათი ფარდული ჰკიდია, დამუწუკებულ ყურებში გაპოხილი სანთლით ძაფი აქვს გაყრილი. კარგად ახსოვს მიას პატარა „ბუზიკა“, მამის მოტანილი, რომლის ჭყვიტინით მთელი არე-მარე გაყრუებული იყო.

მიას ისე ძალიან უყვარდა თავისი საკრავი, რომ კინაღამ გადაირია, როცა ბებია მოუკვდა და სამ დღეს აღარ აძლევდენ დაკვრის ნებას. ახსოვს მიას ძალიან ნათლად, რომ დაკვრას დანატრებული პატარა მია ბებრისეულ დიდ სკივრში ჩაძვრა და იქ ააჭყვიტინა. რამდენს იცინებდენ ხოლმე შემდეგ, როცა მოიგონებდენ, რომ სკივრიდან მია თმით ამოათრიეს: გოგო,—შე სავარმე, სკივრში რა გინდაო?—მიამ კი სკივრში ყოფნის დროს გული იჯერა „ბუზიკის“ ჭყვიტინით. ამის შემდეგ ნათლად წარმოიდგინა, პაპის ნებიერმა, ჭალარა პაპა, რომელიც მას ანებივრებდა და დიდ ადამიანსავით ესაუბრებოდა: —ჩემ ახალგაზრდობაში აქ, ახლო-მახლო, მე ბიჭი არ მჯობნიდაო. ე, ჩემო მია, ცხონებული დიდედაშენი რა ქალი იყო, რა ოჯახის ქალი, როგორ მოვიტაცე, და როგორ მოვიყვანე; რა არ გამოიარა ჩემთან, ხან ნაქურდალ ძროხას უნდოდა გადამალვა, ხან ქურდებს. ძროხას ვაქციეთ ასჩეხდა და ჩვენ რომ ციხეში დიდი ქვევრი გვაქ, ოც კოკიანი, ისე ჩაჰკიდებდა, რომ გაგიკვირდებოდა. ერთხელ ერთ აქაურ გლეხს, შორს რომ ვერ წავედით, ძროხა ნახირიდან მოვტაცეთ, ავჩეხეთ ახლად აღებულ ახოს პირში და სახლში ჩამოვიტანეთ. ჰო და, იმას გეუბნეოდი, შვილო, რომ ცხონებულმა დიდედაშენმა მაშინვე ქვაბით შემოდგა ფილტვი. მე კი შამფურზე ღვიძლი ავაგე. ძროხის დამკარგველი მაშინვე ჩემთან ამოვარდა.—ჩემო იორამ, შენ გეცოდინება, ვინ წაიყვანა, იქნებ დამეხმაროთ, ხომ იცი ჩემი ოჯახი, ჩემი სიღარიბეო.—მეც,—პაპამ გაიცინა და ხელი გადაუსვა დიდთვალება მიას, რომელიც მასთან გასათბობად გაპოხილ იარდლის პირიან საბანში შემძვრალიყო და იღლიაში ამოყოფილი თავით შესცქეროდა,—იცი, რა ვუთხარი? ეჰ, ბარემ შენი ცოდვით ფილტვი მეხარშება და ღვიძლი მეწვის, მაგრამ აბა რა გიყო, რა გიშველო მეთქი!

ბევრ ასეთ გმირობას ეტრაბახებოდა პაპა... ყველაფერი იცოდა მიამ, რომელსაც პაპა თავის დღეში უვახშმოდ არ დააწვენდა. მიას თუ არ ევახშმა, რაც უნდა ყოფილიყო, არ დაიძინებდა. ტიკვით გაბერილი მია ყოველთვის პაპის

კალთაზე იძინებდა. ასე მიდიოდა მისი ბავშობა, რომ უცბად ყველაფერი შეიცვალა, გადატრიალდა. ერთ დღეს, როცა მია ჩვეულებრივათ დიდრქებიან ბეკეკას ეთამაშებოდა და ციხეს ასკინკილა უვლიდა, ციხის დასათვალიერებლად ვილაც ოთხი უცნობი შემოჰყვა პაპას, რომელ საც მოესწრო დიდი ხანჯლის დაკიდება და წაკეცილ ხარაზულ ჩუსტებში ფეხის ჩაყოფა. მიამ თხებს ქვები დაუშინა და ციხის სულ მაღალ კედელზე ავარდა. ახლად მოსულებთან ფუნთუშა თეთრ ქალიკაცი, რომელიც თვალებს ნაბავდა და აქეთ-იქით იხედებოდა. საუცხოო ქალბატონმა აკვირვებდა თანამგზავრების ყურადღებას, ხან ერთი ლამაზი კუთხისკენ იპყრობდა და ხან მეორისკენ. ქალმა ჩქარა შენიშნა ჭრელ წინდა, ფერმკრთალი სუსტი გოგონა ციხის თავზე, თვალებზე ხელები მიიფარა და შეჰკივლა: —გადმოვარება, ჩამოიყვანეთ! —მამაკაცი შეშინდა და მოხუც იორამს მიმართა: —ბავში გახლავთ ზევით, ჩამოვარდება, დაუყვირეთ ჩამოვიდეს. ამ დროს კი ზევიდან შენგრეულ სათოფურში გამომძვრალმა მიამ პაპას გადმოსძახა: —პაპილოო!

მოხუცმა ცალი ხელი შუბლზე მიიფარა, ცალი ხანჯლის თავზე მოიკიდა და საყვარელ შვილიშვილს შესძახა: —მია, მია, ჩამოდი აქ, პაპა გენაცვალოს.— მია თვალის დახამხამების უმალ ჩამოსრიალდა და უცბად პაპასთან გაჩნდა. ასეთი პატარა გოგონას სიმარდით გაშტერებული ქალი ეხლა უკვე სიყვარულით უცქეროდა ბავშს. იორამმა შვილისშვილს თავზე ხელი გადაუსვა და წინ წამოსწია, მია კი პაპას ახალუხის კალთაში ჩაჰფრენოდა და იმალებოდა, ლურჯ წითელ კაბაზე ფასდაუდებელ სამკაულს აჟღარუნებდა. მოსული ქალი გააკვირვა სამკაულის იშვიათობამ, მან კარგად იცოდა ფასი ასეთი ნივთისა. გაკვირდა, მაღალ კაცს მიუახლოვდა და ხელი მიასკენ გაიშვირა. ახლად მოსულებმა იორამის დახმარებით მიას მისი „ჟღარუნა“ შეხსნეს და დაათვალიერეს, იორამმა, როცა მას ჰკითხეს ნივთის ისტორია, სთქვა: „ეს ნივთი, შენი ჭირიმე, პაპა ჩემ საამისათვის მეფე ერეკლეს უბოძებია და ასე შვილიდან შვილზე გადადის, და რაკი მოსწრებული მარტო ეს გოგოა, ამიტომ მას შევაბით, გვარეული გახლავთ“. იორამმა ეს სიამაყით სთქვა.

— ნივთი ძველია, ჩვენებურია, მეფის ოქრომჭედლის მიერ არის გაკეთებული.

ნივთების მოყვარულ ქალს სურვილით გულმა ცემა დაუწყო, და რუსულად შესთხოვა ნივთი შეეძინათ. ჩქარა მისი სურვილი შესრულებული იყო. იორამი, რობელსაც ხუთი ოქრო ხელთ ეგდო, მხიარულად იდგა. მია კი მოიღრუბლა. ქალმა მას დიდი ქარვა შეაბა.

ახლად მოსულნი უხვ მასპინძელთან კარგა ხანს დარჩენ. ჩქარა ღორი ააჭყვირეს. მჟავე ღვინის ქვევრი მხიარულად მოიხადა. ღოლოს ფოთლებ დაფარული დოიანი კარაქიც გამოჩნდა აშუშხუნებულ მწვადებთან. სიამოვნებით ისმოდა ცხელ დღეში მჟავე ღვინო, რომელსაც იორამი წითელ ლალს უწოდებდა და მაყაშვილიანთ დიდი ზვრის ღვინოს ადარებდა. მისი ტრაბახით აღარ იყვნენ, რომ მთელ „უეზდში“ მის ღვინოს ფასი არ ედებოდა. იორამი გულნატკენი იყო აგრეთვე იმითი, რომ ვაზი არ ხეირობდა მათკენ, რაც შეეხება ძველ მამა-პაპურ ხილს—თურაშაულს, წითელ-ლოყა აბილაურს, სირმას და სხვას—იო-

რამის აზრით უფრო მეტი წლიური შემოსავალი ჰქონდა. ახლად მოსულმა სტუმრებმა იორამი თან გაიყოლეს ქალაქში. ჩქარა დაბრუნდა მხიარული, ხუთი ოქროა ნავაჭრით და მიასთვის პატარა სულ ახალ მზითვით.

და როცა მიდამო აოქროვდა, ყველაფერს სიყვითლე შეეპარა, ვენახში აქა-იქ მტევანზე ბუდეშურის თითო მარცვალი დამწიფდა, მიას ახალფილებიანი „ბაშაკები“ და ახალი ჯიბეებიანი პალტო ჩააცვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III

იორამმა კბილებ ჩაცვინული ცხენი შეკაზმა, ჭრელი ხურჯინი გადაჭიდა. მტირალი მია დედამ სახლიდან გამოიყვანა. მიას საყვარელი ამხანაგებიც შეკრებილიყვნენ, გზას ულოცავდენ, ის კი უსიტყვოდ იყო გაჩერებული. საკვირველია, მას ენანებოდა მხოლოდ ციხე და თავისი საყვარელი ადგილი ციხის მწვერვალზე. ჩქარა დედამ მია გულში ჩაიკრა, დააროგა, ბევრი რამ დააბარა და თანაც მომავალი საუკეთესო ფერადებით დაუხატა. მძივებით აჟინჟღლილი მია ყველაფერზე გაბუტული იყო.

— გენაცვალოს პაპა, შვილო, მოდი ცხენზე შეგსვა. ასე გადაალაჯე!— ცხენზე გადალაჯებული მია თავქვე დაეშვა. მეზობლები და ატირებული დედა მისდევდენ მიას.

— მია, შვილო, ნუ ინაღვლებ, პაპა ჩქარა-ჩქარ ჩამოვა, გნახავთ ხოლმე, იქიდან ნასწავლი ქალი დაბრუნდები, ბედნიერი იქნები. კარგად იყავი, ყველაფერი ისევ დაგხვდება, შენი თეთრი თიკანი, შენი ქოჩორა დედალი, ძაღლი მურია, გენაცვალოს დედა, ყველაფერს მოუველი შენზე უკეთესად —დედოფლებსაც შეგინახავ სკივრში. მიას ყველაფერი ეს არ ესმის. ვერ გამორკვეულა. აი, დედა და ამხანაგები უკვე ზევით გორაზე დარჩენ, ისინი კი ქვეით ჩაქანდენ გამცილებელნი შავი წერტილივით სჩანან. ყველაფერი ეფარება, პატარავდება. მხოლოდ ციხე არ იმალება, ისევ სჩანს. მიას საყვარელი ციხე არ იმალება. მია ას თვალს არ აშორებს: „ჩემო ლამაზო ციხევ, ნუ დაიმალები“. მაგრამ სივრცემ თავისი ჰქნა, ციხე დაიმალა.

— პაპა გენაცვალოს, როგორა ხარ? ნუ ტირი, ჩქარა ქალაქს ჩავალთ!

## IV

მია ქალაქში არაფერმა არ გააკვირვა, ყველაფერი თითქოს გუშინ დაეტოვებინოს, ყველაფერი მახლობელ-ნაცნობი ეჩვენა... ჩქარა ახმაურებულ ცელქებში გაერია. ციხეზე ნაღველმა და ფიქრმა გადაუარა. შეეჩვია. ყველაფერი ჩვეულებაა...

და როცა გაზაფხული მოვიდა და ყველაფერს ლამაზი საკაბეები დაურიგა და მორთო, ბალს თეთრი ჩიჭილა გადააფარა, გადუშალა თეთრი გული, მიაც გამხიარულდა. მოაგონდა ციხეზე ობლად ამოსული კუნელის პატარა თეთრი ყვავილები, ვენახში ჩარიგებული ტყემალი. მისი გული ლხენით აივსო. იცის კარგად მიამ, რომ ჩქარა ხურჯინ-აკიდებული პაპა იორამი მხიარულად შესძახებს დილა ადრიანად: „პაპა გენაცვალოს, მია, ჩაიცვი, მოემზადე, წავიდეთ. აი,

ეს დედიშენისაგანაა". მიას აუსრულდა ნატვრა. ერთ დღეს ჩაალაგა ამხანაგებისაგან ნაჩუქარი ფერადი სურათები, გადასაყვანი ქაღალდი და მოემზადა. მალე მატარებელმაც იკივლა. მია პაპის გვერდით ბედნიერი იჯდა და ფანჯრიდან მოუთმენლად ელოდა, როდის გამოჩნდებოდა მორიდან ციხე.

გადიოდა წლები... მია საუკეთესო ამხანაგი იყო. მისი ბედნიერება ზაფხული იყო. არც ამხანაგებში გრძნობდა თავს ცუდად. მია [illegible] ქალი იყო. ყველაფრით ბედნიერი, ის ეხლა მარტოდ მგზავრობდა. [illegible] ჰყავდა ჩავარდნილი. მისი ფიქრი პაპას დღეგრძელობა იყო. გული უცემდა. პაპას როგორ ნახავდა, როგორ დახვდებოდა? მია უკვე სწავლა დამთავრებული მიდის. ეხლაც, როგორც პატარაობისას, უცქერის ციხეს: იქ მისი მახლობლები არიან. მიას უკვირს, ვერ მიმხვდარა სად არის ციხე? ურმის ჭრიალი სევდას ულვიძებს. გზა ჩქარა შემოკლდა. მია სახლშია, ჩაშავებული ერთ ადლიანი კედლები უფრო ჩაშავებულა, დედა მოკუნტულა. პაპა იორამი აღარ არის. აღარც ციხე. დაუნგრევიათ იმის შიშით, რომ დაძველებული ციხე გადმოინგრევა ღამე და მცხოვრებთ დაიტანოს. აქა-იქ ჰყრია საშინელი დიდი კირიანი ლოდები. მია ყუჩად გლოვობს საყვარელ პაპას და ციხეს—მისთვის ორივე საყვარელს, სანატრელს... იგი ციხის ნანგრევზე ზის და მომავალი ეხლართება... რა იქნება იქ?..

მიას დიდ ქალაქში ხტუნია, უდარდელი გოგო-ამხანაგები ჰყავს და ის მეგობარი ქალი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მიას სწავლაზე ფიქრობდა, რომელმაც სამკაული „ღღარუნა" ერთხელ მიას მოხსნა და მის მაგივრად სწავლა და სიმძიმე ცხოვრების გაგებისა ჩამოჰკიდა...

ნელი სიო მიას თმას ეთამაშება, ნელი სიო მიას ეხვევა. ფიქრთა ხვეული კი, როგორც ცაზე ციხის ზვით შეჯგუფული ღრუბელი, ისე ეხვევა მიას. იცის მიამ, რომ ჩქარა ყველაფერი ოქროს შალს წამოისხავს. მია არსებობისათვის საბრძოლველად ქალაქს მიეკედლება...

V

შემოდგომის გადაუღებელი წვიმიანი დღე იყო. ძველი ციხის ნანგრევები, ბებრის კბილებივით აქა-იქ დარჩენილნი, ნისლში იყო გახვეული.

ასეთ ნაადრევ შემოდგომაზე სოფელში მრავალი საქმეა: სიმინდია სარჩევი, მოკრეფილი ხილი ზვინებათ დაგროვილი გასანაწილებელია, ლობიოს დაბეგვა და გარჩევა სჭირდება.

ციხის გვერდით წამოხურული პატარა ფარღალალა სათონეა. ნათბილარევ თონის პირას მია და დედა სხედან. მია ლობიოს ძენძოს არჩევს, ლობიოს ქალთაში აგროვებს, ხოლო ძენძოს კი იქვე გამობმულ წაბლა ძროხას უმარჯვებს.

დედა კი ზედადგარს სდგავს და სადილისთვის სიცივით შემღვრეულ ოქრო ვაშლას სჭრის.

— დედა,—შეეკითხა მია,—ამ კვირას ხომ ყველაფერს ჩავაბინავებთ?

— ჰო, შვილო, ეს ლობიო და სიმინდი ღა გვაქს, სხვა ყველაფერი საქალაქოდ გამზადებულია, ტომრებით ფქვილი გადაკერილი მაქვს.

— უნდა დავაჩქაროთ, თორემ მერე გადაულებელი წვიმები ასტყდება და ძნელია სადგურამდის ჩატანა.

დედაბერმა დათლილი ოქროვაშლა შავ ქვაბ-ქოთანაში ჩაჰყარა და ცეცხლს უკბილო პირით შეუბერა. მისი შებერვის მგზავსად იფუვლა ცეცხლმა, ნელა მოეკიდა ნედლ კეწეწებს. ის იყო წამოდგა მოხუცი და მის მიერ გადარჩენილ ძენძოს ხელი დაავლო, რომ სათონესთან სამი მეზობელი მოვიდა, რომელთაც ოხშივარი ასდიოდათ.

— დილა მშვიდობისა, ნათლია!

— დილა მშვიდობისა,—უპასუხეს მიამ და დედამ ერთად.

წერწეტა გლეხმა, მაზარაში გამოხვეულმა, რომელსაც ფეხის ერთ თითზე კარგა მოზრდილი ტალახი ჰქონდა, მიას მიხედა, გაულიმა და სთქვა:

— მუშაობთ, რაღა, ნათლის შვილო! უნდა იმუშაოთ, ხედავთ, რა დროება დადგა!

დედაბერი ამ დროს მობრუნდა გაჯავრებული და უთხრა:

— ჩემო სოსია, ჩვენ როდის არ ვმუშაობდით?

— ჰო, თქვენზე არ ვამბობ,—სესიამ თავი მოიფხანა და მოფხანილ ადგილს მოლესილი თმა აუჯაგრდა ამ ლაპარაკის დროს ორი გლეხი, რომელნიც მიასთან ჩაცუცქულიყვნენ და ლობიოს პარკებს სჩურჩავდენ, ლაპარაკში ჩაერია:

— სოსია, კაცო, რა დროს ეგ არის, ე, პატიოსან ნათლიას და ნათლიის შვილს, კაცო, ჩვენ საქმეზე მოელაპარაკე.

— ჰო-და, კაცო, დაიწყე,—უთხრა მეორემაც, რომელსაც ეხლა სახრე მოემარჯვებინა, ფეხები წინ წაეშოტნა და თონიდან ამოყრილ ნაცარს ურევდა.

— სთქვით, რათ მოხვედით?—უთხრა მიამ. სოსია გასწორდა, დოინჯი შემოიყარა და დაიწყო:

— შენა, ნათლიაჩემო, მართლა მიდიხარ, ეგ არი, ქალაქსა, აღარ იშლი?

— ეჰ, შვილო, მივდივარ. ერთი ქალი მყავს და აბა აქ რას მოვუყარაულდე?

— ჰო და, ჩვენ გავიგეთ, რომ ი ვენახსა პაველიას ბიჭს აძლევ. რა ვქნა, აქ კარის მეზობლები დაგავიწყდით, ნათელ მირონი აღარ გახსოვს. ჩვენ რათ გამოგვწირე? არ იცი, რომ ფეხებდამპალია, თავისასაც არ უვლის და შენსას ხომ სულ გააბოგანოვებს. მოგვეცი ჩვენ. პირობას, შენი ჭირიმე, რაც იმისთვის გითქვამს, არ გადავალთ და კიდევ სადგურამდის ჩაგიყვანთ ურმით, მე ხომ ვიცი, დიდი საპალნე გექნებათ და იმისი მკვდარი ხარები აბა რას გატარებენ? მე კი საყევარსაც შეუბავ და ისე ჩაგიყვან, რომ მეტი აღარ შეიძლება!

— ჰო-და, სესია მართალს ამბობს, ი მკვდარი აბა რას ჩაგიტანს, თორემ, შენი ჭირი მე, ნათლიაჩემო, არც შენი წყენა მინდა და პაველიას ბიჭისაც დიდი ხათრი მაქვს.—ამ დროს იმ გლეხმა, რომელიც წელან ნაცარსა ჰქექდა სახრით, სახრე გაადგო და ხელები გაშალა:

— ე კაცი პატიოსანია, მიეცი და ეგ არის.

ჩქარა ამ ლაპარაკის შენდეგ სოსიას ჩააბარეს ყველაფერი. ერთ დღეს, როცა სოფელი ახმაურებული იყო მუშაობით, როცა მეზობლები ბაღ-ვენახებში

და კალოებზე იყვნენ გასული, სესია, როგორც ნაცადი და კარგი მეურმე, დიდ საპალნეს საძნე ურემს უდებდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა ურემზე დალაგებული, როცა ოჯახს სოფლიდან წაღებული სურსათის მეტი სხვა სახსარი ცხოვრებისა არა ჰქონდა და სახლიც ცარიელდებოდა. ჩქარა დედაბერმა დიდი, უშველებელი კლიტე დაადო სახლს, ისეთი როგორიც ეკლესიებს და ციხეებს აქვთ. [illegible] პირველი შემთხვევა იყო აშენების შემდეგ ოთახის ასე გამოკეტვა. [illegible] ასეთი ძველებური არაჩვეულებრივი კლიტე?

მაგრამ ეტყობა, ციხეში შეკედლებულ ოჯახს ბევრი სხვა ძველებური ძვირფასი რამ ჰქონდა გადამალული, ოთხლის ფასი არავინ იცოდა.

საპალნეს, კარგა დიდს, ყევარი ხარი ჩაუბეს.

სესიამ გრძელი შოლტი ჰაერში დაჰკლაკნა, ხარებს ხმა მისცა და ურემი დაიძრა.

მია, სამგზავროდ გამოწყობილი, მეზობელ ახალგაზრდა ქალებს სიცილით ეთხოვებოდა, დედაბერი კი, შავი დამპალი ქოლგით, რომელიც მის დედამთილს მზითევში მოჰყოლოდა, ცალი ხელით პირჯვარს იწერდა და ციხის ეკლესიის ერბოთი გაქონილ კედელს რაღაცას შესთხოვდა. მეზობლებს თავი მოეყარნათ. ენანებოდათ ბებერი, რომელმაც ბინა მოიშალა.

— კარგად იყავით, — სთქვა ჩოხაში გამოხვეულმა და თავზე ქუდის მაგიერ ძველი ბურძგლიანი პირსახოცით თაყშეხვეულმა. მიას ხელი ჩამოართვა და დაცხრილულ ჩოხით ორი ჩამოკიდული ცრემლი მოიწმინდა.

ბევრს მოადგა დღეს მოხუცის ცოდვით ცრემლი.

დაღონდნენ მეზობლები, რომელთაც ბებერი თავის კარ-მიდამოს აბარებდა...

ძნელია კერის გაცივება...

გოგო-ბიჭები, ტიტვლები, ტურებსავით შავები, ხითხითებდენ, უხაროდათ კუდიანი ბებრის გადასახლება...

პანტელეიმონ რომანოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვარსკვლავები

I

შემოდგომის ტალახიანი გზა სადგურიდან ტყის პირით მიჰყვებოდა. ნისლის წვეთები ეკიდა შიშველ შტოებზე, და სველი, ყვითელი ფოთოლი ბლომად ეყარა ღრმა თხრილებში.

სველ მინდორს ნისლი ეფარა და ანეულის თითეულ თავთავს მიჰკროდენ პატარა წვეთები.

ბინდით მოცულ ჰაერში გზის მარჯვენა მხრიდან ნისლში მოცურავდენ ხეების ბნელი სილუეტები; ნელ-ნელ რჩებოდნენ უკან და იკარგებოდენ კვლავ.

ურემი მიღრიტინებდა ტალახიან ოღრო-ჩოღროებში: შიგ ისხდენ მოხუცი და სტუდენტი. მოხუცს თავს ეხურა ცხვრის სველი ქუდი, ეცვა „პოლუშუბკა"; სტუდენტს „ამშვენებდა" ტალახიანი, გაცვეთილი ფეხსაცმელები და საყელოაწეული თბილი „კურტკა".

— თქვენი წყალობით, მოხუცო, თორემ, ტალახი უნდა მეზელნა, ვერაფერი სასიამოვნო იქნებოდა — სთქვა სტუდენტმა.

— ჰო, ცხადია არ ივარგებდა — უპასუხა მოხუცმა.

— მაშ კარგად ცხოვრობს, ჰა?

— ვინ, ვასილი ფეოდორიჩი? უკეთესი ნუ გინდა. ნამდვილად სცხოვრობს, შეიძლება ითქვას, ნამდვილად.

— ჰო... მეგობარია. რამდენი არ გვინახავს სამოქალაქო ომში! ე-ე-ხ!.. მაშ, ასე, მთავრობის კაცია, ჰა? მე კი მეცნიერების გზით წავედი, მხოლოდ სახლშია უბედურება: მამას თვითონაც არაფერი აქვს საყლაპავი; ამბობს, გადამწერლად მაინც შესულიყავი სადმე, რალაცა მაინც იქნებოდა შენგანო, მე კი, ჩემო ძმავ, დავეწაფე ამ სწავლას და სხვა არაფერი მინდა.

— ჰო, რატომ? ცოდნაც კარგი საქმეა — სთქვა მოხუცმა.

— მართალია, მე შემეძლო გადამწერლათაც შევსულიყავი სადმე და ან სხვა რაიმე სამსახურიც მეშოვნა, მაგრამ გამიტაცა სწავლამ. სახლში ხომ ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა; მამა ილანძღება, დედა სტირის მუდამ ჟამს — რომ ჩემგან არაფერი ხეირი გამოდის, ოჯახს არაფერ სარგებლობას ვაძლევ-

პირდაპირ გამიმწარეს სიცოცხლე. მეტი გზა არ იყო—გამოვიქეცი, მივატოვე ყველაფერი, თუმცა სწავლის დაწყებამდე კიდევ ორი კვირაა. მომწყინდა ამდენი საყვედურები. აი, ვასიასთან შეუხვევ, ცოტა ფულსაც გამოვართმევ, რაოდენიმე დღესაც დავყოფ მასთან. მე მძიმე ადამიანი არა ვარ მაინც და მაინც. ერთ ადგილას არ დამაფასებენ, სხვაგან წავალ. ამაში ხომ არ არის საქმე. ღმერთმანი მშვენიერებაა ეს ქვეყანა და აქ ცხოვრება, მოხუცო! — დაამთავრა აღფრთოვანებით სტუდენტმა და კურტკის კალთები მუხლებს შუა ჩაიკეცა.

— იცი მერე, რით მიმიზიდა ამ მეცნიერებამ?

— აბა, სთქვი, რით? — შეეკითხა მოხუცი.

— ორ მილში გავხედე და .... გათავდა საქმე.

— ეს რა მილებია?—იკითხა მოხუცმა.

— ერთი ისეთია, რომ მასში დაინახავ ყველაფერს, რასაც ჩვეულებრივი თვალით ვერ ხედავ. აი, ჩვენა გვგონია რომ, აი აქ, მაგალითად, არაფერია, მაგრამ, თუ „ტრუბკაში“ ჩახედავ — იმდენ რამეებს ნახავ, რომ ვერც დაითვლი. აი, ბაღლინჯოს რომ შეხედო, ამ მილში იგი დიდი ხარის ოდენა გეჩვენება.

— ა, უყურე ამ ძაღლის შვილს!

— რწყილი კი — ღორის ოდენა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა ყოფილა! — გაიკვირა ბებერმა; თავი გაიქნ-გამოაქნია და, სტუდენტისათვის არ შეუხედია, ისე შეუწყრა ნისლისაგან ყურებ-დაშვებულ ცხენს: — ნუ, ნუ, გაინძერი!!

ზევით აიხედავ,—განაგრძობდა სტუდენტი—იქ სულ ახალი ქვეყნებია. აი, ვარსკვლავს შესცქერი, ფიქრობ რაღაც ნაპერწკალი უნდა იყოსო, ნამდვილად კი ეს ნაპერწკალი ჩვენს მიწაზე უფრო დიდია.

— უყურე, რა ყოფილა, ჰა!!

ბნელდებოდა. ნისლიც გაიწმინდა და ტყის ზევით ვარსკვლავები გამოჩდნენ.

— აი ხედავ, ვარსკვლავები, მათ რვილს ეძახიან, ისინი, ჩვენგან სამასი მილიონით უფრო შორს არიან, ვიდრე მზე.

— დასწყევლოს ღმერთმა! ყველაფერი არ გამოუანგარიშებიათ! — სთქვა ბებერმა.

— დიახ! აი ამას ორი მილი გაჩვენებს. ერთი იმას, რაც ისე პატარაა, რომ შენს გარეშემო არის და შენ მას ვერა ხედავ, მეორე კი —იმას, რაც მაღლა ხეებია, ცაზე.

— მაშ ჩვენ შუაში ვყოფილვართ, არა? — იკითხა მოხუცმა.

— ჰო, ჩვენ შუაში ვართ. ჩვენი თვალებით, შეიძლება ითქვას, თითქმის ვერაფერს ვხედავთ. იქ კი, ხედავ, რა არ არის და რა არ ხდება! და აი, როგორც კი შევხედე ყოველივე ამას, მორჩა და გათავდა! შემიპყრო, მარა, როგორ, მეცნირებამ!?

— ჰო, გაგიტაცებდა, ცხადია, — სთქვა ბებერმა.

— აი დაფიქრდი შენც: ცხოვრობენ ადამიანები და ვერაფერს ხედავენ,

მაშინ როდესაც მათ ზევით და მათ ქვევითაც არ არის არც ბოლო და არც საზღვარი, — ამბობდა სტუდენტი და ხელით აჩვენებდა ქვევიდან ზევით, სადაც ციმციმობდენ ვარსკვლავნი.

— მამა ჩემი კი ყოველთვის მეუბნება, კარგი იქნება ერთი ბედული ავიშენოთ. მე კი დავინახე თუ არა ეს ვარსკვლავები, ისე მომეწყინა ამ ბელლებზე ლაპარაკი, რომ ვიგრძენი, თითქოს ჰაერი არ მყოფნიდა, ეხლა ბოდი იმიტომ, რომ საქმე ამაში ხომ არ არის, მოხუცო! მოვკვდებით და ეს ბელლები სამარეში არ ჩაგვყვება.

— ჰო, ეს კი ასეა...

— ასე რომ ცხოვრება მანდ არ არის..

— ჰო, კაცია და ბუნებაო — სთქვა მოხუცმა—ძველათ ასე იყო; ერთი—ოჯახს ევლება თავს, ფულებს აგროვებს, მეორე კი მონასტერში მიდის სულის საცხონებლად. ეტყობა თავიდანვე ასე ყოფილა.

— დიახ, დიახ,—სთქვა სტუდენტმა;—ცოტა ჩაფიქრდა და გზის გასწვრივ დაიწყო ცქერა,—ხანდისხან ასეც გეგონება, რომ ადამიანები, აი ისეთი როგორც მამაჩემია, ფიქრობენ ამ ბელლების შესახებ მთელი საუკუნოებით, იმიტომ რომ აი ყველაფერი ეს არ უნახავთ, თითქოს ბრმანი არიან, უთვალო.

— არა, კაცია და ბუნებაო,—გაიმეორა მოხუცმა,—ზოგს თუ გინდ ორ „ტრუბაში“ ერთბაშად ჩაახედე, მაინც არაფერი გამოვა, აბა!.. ჰო და მერე, შენ რით გინდა მაინც იცხოვრო, როგორ?!

— როგორმე, ოლათ წავალ... ცოტას ვასილას გამოვართმევ. მე ხომ ის ოდესღაც სიკვდილისგან გადავარჩინე. ბოლოს, ფულშიც არ არის საქმე... მოსკოვშიც მაქვს სტიპენდია 22 მანეთი.

— რა გაქვს?!—იკითხა მოხუცმა.

— სტიპენდია, დახმარება.

— ჰო.

— ახ, ვასია, ვასია, ხუთი წელია რაც არ მინახავს.

ტყე უკან დარჩა და ტელეგა გავიდა სწორ მინდორზე; იმის იქეთ კი მოსჩანდა სინათლე სოფლიდან, რომელიც ხევთან მიმალულიყო.

— ნეტავი აქედან რომ გავხედოთ, დავინახავთ?—მოულოდნელად იკითხა მოხუცმა.

— რას, ვარსკვლავებს? კი, როგორ არა!

— საკვირველია.

— დიახ, დიახ, ისეთ რამეს დაინახავ, ჩემო ძმაე, რომ შემდეგ მეტი არაფერი მოგინდება.

— ეს კაცზეა, კაცია და ბუნებაო,—სთქვა ბებერმა და დაუმატა:— აი, შოვედით კიდევაც.

— დიდათ გმადლობთ, მოხუცო, დიდათ. ადამიანები კი, ეტყობა, ყველგან არიან: მშობლებს გამოვექეცი და უცხომ გამათბო. ერთ ადგილას შეურაცგყოფენ, სხვაგან წადი. არც ესაა მთავარი, მოხუცო!..

II

ცხენი გაჩერდა ხუთ ფანჯრიან სახლთან ახალი ფიცრული ჭიშკარით და დარაბებით ფანჯრებზე.

— ხედავ, როგორ მოწყობილა,—სთქვა მოხუცმა.

— სტუდენტმა გაიარა ჭიშკარი, შემდეგ ავიდა მოაჯირიან კიბით დერეფანში. სახლიდან მოისმა მამაკაცის უკმაყოფილო ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ არის?

კარები გაიღო და შიგ გამოჩნდა სრული ტანის, მაღალი კაცი, გახსნილი ფრენჩით და ჩექმებით. სინათლიდან იცქირებოდა ბნელ დერეფანში და ვერ არჩევდა, თუ ვინ იყო მის წინ.

— ვასია!—დაიძახა სტუდენტმა,—ვერ მიცანი, შე ოხერო, შენა?

— პეტია, პეტრუშა, ნუ თუ შენა ხარ!

— პეტრე შევიდა ოთახში, რომელიც ქალაქურად იყო მოწყობილი. სკამები, ფანჯრების შუა იდგა მაგიდა საფარით, ფანჯრებზე კი ყვავილები.

მეგობრები მხურვალედ გადაეხვიენ და გადაკოცნეს ერთმანეთი.

— აქეთ, აქეთ მოიწი, ერთი კარგათ შეგხედო—სთქვა პეტრემ, მოკიდა მასპინძელს ხელი და სინათლისკენ მიაბრუნა;—ოხ, ხო, ხო, ზორბათ ჩასუქებულხარ, ძმავ ზორბათ.

— აბა კაცო, ეშმაკმა იცის მაგის საქმე, რატომ, მეზრდება კი ეს მუცელი,—სთქვა მასპინძელმა და ორივე ხელებით მუცელზე ქამარი მოიჭირა. არა, არა, შენ ის მითხარი, თუ ძმა ხარ, საიდან გაჩნდი აქ, საიდან, ა?!

— უნივერსიტეტში ვსწავლობ, ძმაო, უნივერსიტეტში. პირველი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაიგე?

— ეშმაკმა იცის... მაშ ასე, მეცნიერი გინდა გამოხვიდე ა?

— აბა, როგორ გგონია, ჩვენი ძმები — შავკანიანებიც წამოგიჭერით წინ, აბა!

— დასწყევლოს ღმერთმა...

აქ კი როგორ მოხვდი, კაცო, არ იტყვი?..

— ეხ, ჩემო ძმაო, მშობლებს გავექეცი, მშობლებს. სწავლის დაწყებამდე ჯერ კიდევ მთელი ორი კვირაა, მაგრამ ვერ გავძელი მათთან. გამოვიქეცი. სულ იმას მისაყვედურებენ, რატომ ფული არ შემოგაქვს ოჯახშიო. მოვედი ამ შენ სადგურზე და იქედან შენამდის კი ერთმა მოხუცმა მომიყვანა ურმით.

— შერე, შე ოხერო, რატო არ მომწერე წინასწარ, ისეთ ეტლს გამოგიგზავნიდი, რომ! მაშ ასე: სტუდენტი მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჩვენი ამომავალი ვარსკვლავი და—ფეხით მოეთრევა! ეხ, შენ!!

— არაფერია ვასიაჯან, არაფერი. საქმე ხომ ის არ არის, ძმაოჯან, არა უშავს.

— როგორ თუ არა უშავს! უხერხულია. რომ არ მყავდეს, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სთქვა მასპინძელმა და ხელი ჩაიქნია.

მაშ კმაყოფილი ხარ, ა?

— რატომ არა! გახსოვს, ვასკა უნიფხვო, ეხლა კი ვასილი ფედოტიჩი?

კედლის საათი, საწერი მაგიდა... აბა შეხედე ერთი, ნამდვილია, ერთ-ერთი აქაურ მებატონის ყოფილი საკუთრებაა.

მართლაც, წმინდათ გარეცხილი იატაკი, ნოხები, საათი, საწერი მაგიდა, ზევით აღუნულ სინის ლურსმანზე ფანჯარასთან სწორად ჩამოცმული ქალალდის ნაჭრები,—ყოველივე ეს უჩვენებდა იმას, რომ აქ მეფობენ სიმაძღრე და კმაყოფილება.

— ეს არის, ოხერი, მეზრდება ეს გვიზი, ღმერთმა ბრალი: ჩამოგვაცალა კომუნისტისათვის ცოტა უხერხული კია, მარა... სთქვა კვლავ ვასილიმ.—ეი, სტეპანიდა, სამოვარი დაგვიდგი ერთი!

გადაუძახა ვიღაცას კედლის იქეთ.

— ცოლი არ არის სახლში და მარტოთ ვზივარ.

— მაშ ცოლიც გყოლია?

— აბა, როგორ არა, ისეთი ლამაზი ცოლი მყავს, აი ხვალ შენვე ნახავ. ულმეებია, ნათესავებთან წავიდა, სამი დღის შემდეგ ჩვენცა გვაქვს დღეობა. ყველანი აქ მოვლენ. ძალიან უყვარს წესრიგი და სიწმინდე. ისეთი ქალია ძმაოჯან, რომ...

— ღმერთმა იცის, როგორ გარბის ეს დრო,—ამბობდა ვასილი, როდესაც ჩაიზე ისხდენ. გამოუცდელ მამაკაცის ხელით ავსებდა ადუღებულ წყლით საჩაიეს, შემდეგ კი მსხვილი თითებით ადებდა სახურავს და ჩაის ასხამდა ჭიქებში. მერე რა დრო იყო პეტიაჯან ა!! რით არ ვიყავით გმირები?! ხომ გახსოვს პერეკოპი, ჰა?

და მეგობრებმა დაიწყეს წარსულ გმირულ დღეების მოგონებანი. ერთი იჯდა გახსნილ ფრენჩით, მრგვალი ნიკაპით, და მსუქანი კისრით. მეორე—გაცვეთილ, ტალახიან ფეხსაცმელებში, დიდი ხნის დაუვარცხნელი და ბავშურ აღფრთოვანებული თვალებით.

მაგრამ ვასილი სულ უბრუნდებოდა თავის დღევანდელ კეთილ ცხოვრებას და ეტყობოდა ძალიან სურდა, რათა მის მეგობარსაც უფრო კარგად ეგრძნო, თუ როგორ კარგად ცხოვრობს ის ეხლა.

— აგრეთვე უნდა გითხრა, ძმაო, რომ მე თავი სათანადოთ მიპირავს: რაი-აღმასკომის თავმჯდომარე, ხუმრობა ხომ არ არის! მიღების საათები და სხვა. უნდა გითხრა, რომ ეს ყველაფერი ცოლმა მასწავლა. ერთი ზაფხულში მოსულიყავი აქ, რას ნახავდი?! პირდაპირ აგარაკი წარმოგიდგება: ბაღში ვცხოვრობ, გეგონება.

პეტრე მხიარული ღიმილით უსმენდა მეგობარს. მერმე კი, როდესაც ვასილმა ყველაფერი უამბო, ბაღის შესახებაც, მისაღებ საათების შესახებაც და მეტი სათქმელი თითქმის არაფერი დარჩენოდა, პეტრემაც დაიწყო თავის ამბავი.

— ჰო და ძმაო, საკვირველი რამ ყოფილა ეს მეცნიერება!—სთქვა მან. გამიტაცა, მარა როგორ, ვერ წარმოიდგენ. იყო დრო, როდესაც ვცხოვრობდი გლუხოვის თემის სოფ. კოვრანოში და მეგონა, რომ ყველაფერი ეს იყო. მერმე კი, როგორც კი გავიგე, რომ თითოეულ მტვერზე ვინ იცის რამდენ ნაირი ცხოვე-

ლები ცხოვრობენ, შენ კი მათ უბრალო თვალებით ვერასოდეს დაინახავ, და როდესაც ტელესკოპით ცისაკენ გავიხედავ და იქ პატარა ნაპერწკლების ნაცვლად რაღაც საშინელებანი დასცურავენ! და რომ მათგან ჩვენს მიწას გადმოხედო, არამც თუ გლუხოვის თემს, არამედ თვით დედამიწასაც ვერ დაინახავ. იგი კენჭზე უფრო პატარაა,—როდესაც ყოველივე ეს გავიგე, მაშინ, ჩემო ძმაო, თითქოს თვალები ახლად ამეხილა, ღმერთმანი. და ყველაფერი ეს მიჰქრის არეში დაუსრულებელ საუკუნოებით. და ამის შემდეგ რა უნდა მეფიქრა გლუხოვის თემმა, როდესაც ჩვენ თემში კი არ ვცხოვრობთ, არამედ ისეთ რამეში, რომელსაც გონებაც ვერ მისწვდება.

პეტრემ აღელვებით აიქოჩრა თმა, შეჩერდა ცოტა და გაბრწყინვებული თვალებით შეაცქერდა ვასილს.

— ჰო, ძმაო, ეს მართლაც საქმე ყოფილა—სთქვა უკანასკნელმა და თავი გააქნივ-გამოაქნია.

— უწინ სულ იმას ვფიქრობდი, როგორ მოვიქცე მეთქი. დაგლეჯილი ფეხსაცმელებით ხახლში ვერ გამოვჩენილვარ, ადამიანების მრცხვენია. ეხლა კი, როდესაც სიღარიბისაგან ძალიან გამიჭირდება, იცი რას ვშვებ? გავხედავ ვარსკვლავებს, შევადარებ მათ ჩემს დახეულ ფეხსაცმელებს და ყოველივე ეს ისეთ სისულელეთ მომეჩვენება, რომ მე თვითონ ვერ ვიმაგრებ სიცილს. შეიძლება ჩემს ტვინში კოსმოსის მილიარდი ვერსტი და მთელი პლანეტები თავსდება. ყოველივე ეს მე შემიძლია დავძლიო და ამავე დროს სულით უნდა დავეცე იმის გამო, რომ ცუდი წაღები მაცვია, ან და ყურადღება მივაქციო ადამიანებს, რომლებსაც ამისი არაფერი გაეგებათ, ჩემზე კი მსჯელობენ იმის მიხედვით თუ როგორი ფეხსაცმელები მაქვს, ან თუ ისინი ცხოვრობენ მუდამ გლუხოვის თემში, ამიტომ ყველაფერია ეს...

— წაღებიც ხომ მუდამ დაგლეჯილი არ გექნება,—სთქვა ვასილმა—აი სწავლას მიიღებ, სამსახურში შეხვალ, პატივისცემა გექნება, ისევე როგორც მე.

— საქმე ხომ ეგ არ არის, ჩემო ვასია, შეიძლება მაშინაც ასეთივე ცუდი წაღები მეცვას, მერე რა?! განა დაგავიწყდა სამოქალაქო ომი? განა მაშინ უკეთეს ფეხსაცმელებით ვიყავით? ჩვენ კი ამაზე არც კი ვფიქრობდით. მეზობლები, გლეხები ხშირად მეუბნებიან: „აი, იომე, იომე, მერე რა გამოვიდა, რა შეიძინეო?“. მე კი ვიცი რაც შევიძინე: მე მთელი მსოფლიო შევიძინე. წინად კი მხოლოდ ერთი თემი მქონდა, აი რაშია საქმე.

— ჰო, ეს მართალია,—სთქვა ვასილმა. შემდეგ დაუმატა:—ღმერთმანი, როგორ მოხარული ვარ რომ გნახე. თითქო ათი წლით გავახალგაზრდავდი. აქ კი, დასწყევლოს ღმერთმა, ხანდისხან მხოლოდ იმისათვის იშლი ნერვებს, რომ შენს ცხენებს მოსართავი არ აქვს ისეთი, როგორიც შეეფერება რაიალმასკომის თავმჯდომარეს...

— სისულელეა, ძმაო, სისულელე!

— ჰო, მეც ეგრე ვფიქრობ... მხოლოდ აი ცოლს უყვარს, რომ ყოველივე იქნეს ისე, როგორც რიგი და წესია. არა, ძმაო, არა, პირდაპირ გამომაღვიძა შენმა ნახვამ... მართლაც, რა არის ეს, ღმერთმანი! ცხოვრობ და ცხოვრობ ასე,

ფიქრობ, რომ მსოფლიოს გული შენს სოფელში თავსდება და რომ უმთავრესი შენს ცხოვრებაში ის არის რომ შენს ცხენს კარგი მოსართავი ჰქონდეს.

III

მეორე დღეს ცოლიც ჩამოვიდა. ვასილი გახტა ქუჩაზე და მალე დაბრუნდა გახარებული, თან მოათრევდა რაღაც დიდ შეკრულს.

— შენ აქ ხომ ხარ, მე უკვე უთხარი მას,— დაიძახა და ხელახლა გაიქცა გარეთ, ალბათ კიდევ იყო რაღაცა შემოსატანი.

რაოდენიმე წამის შემდეგ კარი კვლავ გაიღო; გამოჩნდა ვასილი შეკრულებით ხელში, თანაც ამბობდა:

— აი, გაიცანი, მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი... ჩვენი მომავალი ვარსკვლავი. ხომ არსად გინახავს დღემდის? ეს ისეთი ადამიანია, რომ ერთი სიტყვით ტვინია, მარტო ტვინი.

გამოჩნდა ცოლიც, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, თეთრი შალის მოსახვევით და პლიუშის მოკლე ქურქით, რომელიც, ეტყობოდა, ქალაქის მკერავის მიერ იყო შეკერილი. შემოვიდა ისეთი მომღიმარი გამომეტყველებით, როგორც შემოდის მასპინძელი ქალი ოთახში, როდესაც მას აცნობებენ, რომ მოვიდა მეტად პატივსაცემი, სახელოვანი სტუმარი. მაგრამ როდესაც ის ოთახში შემოვიდა და პეტრეს შეხედა, უნებლიეთ მიიხედ-მოიხედა თითქოს თვალებით ეძებს ვილაც სხვასო. მაგრამ, ცხადია, გარდა პეტრესი ოთახში ვერავინ იპოვა. ხელი გაუწოდა პეტრეს იმავე სალამით აღსავსე ღიმილით, მაგრამ ეს ღიმილი უკვე უფრო მშრალი და ხელოვნური იყო. თითქოს ადამიანი მოემზადა ერთის შესახვედრად, ნამდვილად კი სხვას შეეფეთაო, და რითიმე რომ გაემართლებინა თავისი ასეთი გამომეტყველება და ლაპარაკიც სხვა საგანზე გადაეტანა, სთქვა:

— ოხ, როგორ დავიმტვერი ამ საშინელ, ტალახიან გზებზე! რატომ არ ეტყვი ამ შენს გორბაჩევსკის გლეხებს, რომ ხიდი შეაკეთონ? თორემ ცხენი ჩავარდა და კინაღამ ფეხები დაიმტვრია.

— ოხ, ეს მამაძაღლები,—სთქვა გულით ვასილმა—ვითომც ათასჯერ არ მეთქვას მათთვის.

— ჰო და ათასჯერ თქმა კი არ უნდა. ჩასვი ერთი ვინმე სამი დღით და მაშინ გაიხსენებენ. თორემ შენ დაუწყებ ხოლმე საუბარს, თითქოს ისინი შენი მეგობრები იყვნენ. თუმცა შენთვის ყველა მეგობარია, ვინც კი ერთხელ შეგხვდება სადმე.

ის ამას ამბობდა დაღლილი გამომეტყველებით. შესახვევი მოიძრო და გაიხადა ქურქი, რომელიც დიდი მოწიწებით ჩამოართვა ქმარმა და დაჰკიდა წინა შესავალ ოთახში.

ვერ გაიგებდი, ვის ან რას ეკუთვნოდა მისი გაჯავრება—გლეხებს, რომლებმაც არ გააკეთეს ხიდი, თუ სხვა რაიმეს. ყოველ შემთხვევაში მან ისე იმოქმედა ორივე მეგობარზე, რომ მათ დაკარგეს უნარი თავისუფლად მოძრაობისა და როდესაც ქალის მაღალი გაჯავრებული ხმა მიწყდებოდა წუთით, ოთახში იდგა სრული სიჩუმე.

გადახედა წმინდა, სადღესასწაულოდ მორეცხილ იატაკს და დაიყვირა:

— ეს რა ამბავია?! ვინ შემოათრია აქ ამდენი ტალახი? — მაგრამ უცბად თვალი მოჰკრა პეტრეს ფეხსაცმელებს და წამსვე შეჩერდა.

ამის გამგონე პეტრემ დახედა თავის დახეულ წაღებს, შეამჩნია ფეხის ტალახი მაგიდასთან, სადაც ის გუშინ საღამოს ჩაიზე იჯდა, და საცოდავად გაწითლდა. რაოდენიმე წამის წინ კი ის თამამად ლაპარაკობდა [illegible] რომ მისთვის სულ ერთია, თუ ვინ რას ამბობს და ფიქრობს მასზე [illegible]

— ოი, ოი, როგორ მტკივა ზურგი! — სთქვა ქალმა, ეტყობოდა განგებ, რათა თავისი გაჯავრება და გულმოსულობა აეხსნა დაღლილობით.

შემდეგ სამზარეულოში გავიდა. იქიდანაც მოისმა მისი „ძლევამოსილი“ ოჯახის ბატონ-პატრონის ხმა:

— რავა, ხელებიც მოგეჭრა თუ? როცა არა ვარ სახლში ყველაფერი უნდა მიანგრ-მოანგრიოთ!!

ვასილი თან დასდევდა ცოლს და ხელებს ისე იფშვნეტდა, თითქოს დანაშაულს გრძნობდა რომ ცოლი ასე დაღლილიაო. დამნაშავეთ კი გრძნობდა თავს, იმიტომ რომ ცოლი ალბათ იტყოდა: მოვდიოდი სახლში, ვფიქრობდი დასვენებას, ცოლ-ქმარი შევხვდებოდით დღესასწაულს, შენ კი აქ ვიღაც მეგობრები მოგითრევია დახეული ფეხსაცმელებით, ტალახით იატაკი სულ დაუსვრია.

როდესაც ვასილი ოთახში ბრუნდებოდა, თავს მეტად უხერხულად გრძნობდა, არ იცოდა რა ეთქვა პეტრესთვის. მხოლოდ ხელებს ისრესდა და იმეორებდა:

— აი ეს გლეხები, თვითონვე უფუჭებენ ცხენებს ფეხებს, ხიდის შეკეთებისთვის კი იძულებული ვარ ძალას მივმართო.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლი საწოლ ოთახში გავიდა და რაღაცა ხმაურობა დაიწყო იქ. ეტყობოდა რაღაცას ეძებდა, ვერ პოულობდა და გული მოსდიოდა.

ორ მეგობარს კი, რაკი გრძნობდენ მის ყოფნას იქვე გვერდით, ვერ მოენახათ სალაპარაკო საგანი და უხერხულად სდუმდენ.

ვასილი თავს ისე გრძნობდა თითქოს მან მოუფიქრებლად მოიწვია მეგობარი, არ გაიხსენა სრულებითაც, რომ ცოლი ჩამოვა და ზედმეტი დავიდარაბა გადაკიდა მას. ესეც არ კმაროდა: გააბა მასთან ლაპარაკი მაღალ მატერიებზე, მადლობაც კი უთხრა მგონი. ეხლა კი ეს პეტრე მას ისე მობეზრდა, თითქოს თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის, ან როგორ მოეცილებინა თავიდან. მაგრამ ამავე დროს ყოველივე ამას ხომ ვერ შეამჩნევინებდა მას, რაც არ უნდა იყოს — უხერხულია. რომ თავითვე მას სხვა გვარად შეხვედროდა, უფრო მშრალათ, მაშინ ის ალბათ ამდენ მასლაათსაც არ გააბამდა და იატაკსაც არ დასვრიდა. ეხლა კი იძულებული ხარ ორივ მხრივ ტკბილი თვალები გეჭიროს, ცოლიც დააწყნარო და ამასაც არ შეამჩნევინო რამე.

ჯავრი მოსდიოდა თავის თავზე, როდესაც გაიხსენებდა, თუ როგორ გააცნო ცოლს ეს პეტრე: მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, ჩვენი მომავალი ვარსკვლავი. ჰო და, ამ ვარსკვლავის წყალობით იატაკი მეორეთ უნდა გაირეცხოს.

ყველა ამ ფიქრებმა უცებ გაუტეხა ვასილს გუნება და შეუძლებელი გახდა უბრალო ამხანაგური დამოკიდებულება მეგობართან. მისთვის პეტრე გადაიქცა უკვე ვიღაც მოსულელო წმინდანად: ლაპარაკობს ვარსკვლავებზე, რაღაც ახალ ქვეყნებზე, თვითონ კი ფეხებზე წაღები შემოხევია და ტანზე ხალათი.

უმთავრესი კი ის იყო, რომ გუშინ ნერწყვებ მომდგარ[illegible]ესცემით უსმენდა მას.

— ვასილი, შემოდი ერთი აქ!—დაიძახა საწოლიდან ცოლმა.

ვასილი რატომღაც ფეხაკრეფით წავიდა ცოლთან. ცოტა არ იყოს სასაცილოც იყო, როდესაც თავის ვეებერთელა ჩექმებით ცერებზე შედგა. მერე რატომ იყო საჭირო ეს? ცოლი ავათ ხომ არ იყო, ან და ხომ არ ეძინა?..

ცოლი საწოლ ოთახში ფანჯარასთან იდგა და ქმრის შემოსვლაზე უკან არ მოიხედა. შალის ფოჩებს ათამაშებდა ხელებით, გაჯავრებულად აძრობდა ძაფებს და შემდეგ სრესდა თითებით.

და იმის გამო, რომ მან არ მოიხედა, ვასილიმ თავის თავი კიდევ უფრო მეტ დამნაშავეთ იგრძნო.

— ეს შენი... მეგობარი უქმეებზეც აქ დარჩება?—იკითხა მან.

— თუ ღმერთი გწამს ცოტა ხმადაბლა, თორემ გაიგონებს,— შეშინებული ჩურჩულით წაილულლუღა ვასილმა, და დაიწყეს ბრაზიანი ჩურჩულით ლაპარაკი პეტრეზე.

ქალი თავს უბედურად გრძნობდა; გაჯავრებული იყო ამ უცხო ადამიანზე, რომელიც მას არაფრად უნდოდა და თავის დახეულ ფეხსაცმელებით მისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა: აქ კი უნდა მოვიდენ სტუმრები და მისი ქმარი ყველას გააცნობს მას: „იცნობდეთ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი. ჩვენი ვარსკვლავი“.

იმის შესახებ კი, თუ სად უნდა დააწვინოს ის, არაფერი უფიქრია. ეს ცოლის საქმეა, არა? და რამდენადათაც უფრო მეტს ლაპარაკობდენ ჩურჩულით, იმდენათ უფრო მეტად უჯავრდებოდენ ერთმანეთს.

ცოლი ფიქრობდა იმაზე, რომ ვასილი სულაც არ ზრუნავს მის შესახებ და რომ ის მალე პირველ შეხვედრილ ქუჩის შვილს მოიპატიჟებს სახლში. ვასილს კი უფრო და უფრო მოსდიოდა ჯავრი იმაზე, რომ მას თავის საკუთარ სახლში უფლება არა აქვს მიიპატიჟოს ვინც მას უნდა. და მართლაც, ცოლს შეუძლია, როდესაც კი მოისურვებს, აავსოს სახლი თავის მეგობარ ქალებით, რომლებიც მთელი დღე ლიგლიგებენ რაღაც სისულელეებს. მან კი ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ ნახა ადამიანი, ცოტა დაისვენა მასთან სულით და გულით, ადამიანური სჯა-ბაასი გამართა მასთან და უცებ—ღმერთო ჩემო, რა მოხდა ასეთი—მთელი სკანდალი და უბედურება!!.

— ბატონი ბრძანდები, ვინც გინდა მიიწვიე, არავინ გიკრძალავს, მაგრამ მონახე ამისთვის უფრო შესაფერი დრო.

— როგორ ლაპარაკობ, რავა, მე თვითონ, ხომ არ დამიპატიჟებია ეს კაცი, რომ ამერჩია შესაფერი დრო!! გზაზე მოხვდა და მოვიდა ადამიანი. რა არის მერე?!

— შენთან დღეს ერთი შემოვა, ხვალ მეორე. ბოლო არ უჩანს ამას.

— რას მიედ-მოედები, ადამიანო, როდის იყო, ჩემთან ასე ხშირად სტუმრები? ისე ლაპარაკობ თითქოს ყოველ დღე დამიდიოდენ ნაცნობები. ფუი დასწყევლოს ღმერთმა!?

ვასილი გრძნობდა, რომ მისმა ხელებმა ცახცახი დაიწყეს ჯავრისაგან ცოლისადმი, რომელიც ლაპარაკობდა წარმოუდგენელ ტყუილს. მაგრამ ხმამაღლა ლაპარაკი და ყვირილი არ შეიძლებოდა, რადგან მეორე ოთახში პეტრე იყო; ამიტომ იძულებული ხდებოდა შხამით აღსავსე სიტყვები ეთქვა მხოლოდ ჩურჩულით; ამის გამო ჯავრი კიდევ უფრო დიდდებოდა.

— შენ მზათ ხარ ყელი გამომჭრა ვილაც უცხო ადამიანისათვის!—თითქმის დაიყვირა ცოლმა.—რა ეშმაკათ მოეთრია აქ. მის გამო ასეთი უბედურება დაგვიტრიალდა.

— მერმე, ვინაა ამაში დამნაშავე!—ჩაუჩურჩულა ბრაზიანი სიტყვებით ვასილმა.—ვისი რა ბრალია თუ შენ ადამიანს ძაღლივით ეცი! გაცოფთი თუ რა დაგემართა?!

და დაიწყო... ცოლი დაეცა ლოგინზე პირქვე ბალიშებში და მორთო ქვითინი. ყოველთვის ასე თავდებოდა. თვითონ პირველი აიმაღლებს ტონს, დაიწყებს ყვირილს, როგორც უკანასკნელი მოვაჭრე ქალი—ეშმაკებმა იცის მაგის თავი და ტანი!—შემდეგ კი მორთავს ბღავილს.

ჩვეულებრივად ასეთ მომენტში ვასილი მიანგრ-მოანგრევდა ხოლმე ყველაფერს რასაც კი მოავლებდა ხელს, და შემდეგ კარების ბრახუნით გავიდოდა ოთახიდან. ეხლა კი ამას ვერ იზამდა, რადგან მეზობელ ოთახში პეტრე იჯდა.

მერე, როგორ კარგად გრძნობდა თავს! როგორ წყნარად, მეგობრულად მუსაიფობდენ! არა, შამოვარდა როგორც ჯოჯოხეთის ალქაჯი და ასტეხა ალიაქოთი! სანამ მარტო ხარ მასთან კიდევ არა უშავს რა, მაგრამ თუ კი უცხო ვინმე გამოჩნდა—დაგიფაროს ღმერთმა!

და რამდენადაც უფრო მეტს ფიქრობდა იგი ამაზე, უფრო მეტად ბრაზდებოდა და არავითარ სიბრალულს არ გრძნობდა ცოლისადმი, რომელიც იწვა ლოგინზე და ტირილისგან უძაგძაგებდა მრგვალი ბეჭები. ოხ, როგორი სიამოვნებით მიბეგვავდა ეხლა მას, რომ შეიძლებოდეს!!

— რა ეშმაკათ მინდა მისი ნათესავ-მოყვრები! მე უფრო მესიამოვნება ჩემს მეგობართან ლაპარაკი. მართალია, წაღები დაგლეჯილი აქვს, მაგრამ მთელი თავით მაღლა სდგას ყველა ამ ნათესავ-მოყვრებზე, რადგან ის თავით ცხოვრობს და არა მუცლით: ჩურჩულებდა ის.

ჯავრი კიდევ უფრო მოსდიოდა იმაზე, რომ უხერხული იყო აქ აყალ-მაყალი, როდესაც სტუმარი იქვე მარტოდ იყო მიტოვებული.

...ალბათ ყველაფერი ესმის.

შემდეგ ვასილს მოუვიდა აზრი, რომელიც ჩვეულებრივ მოსდიოდა ასეთ შემთხვევებში: თუმცა ცოლი ყვირის, აყალ-მაყალსაც ასტეხს ხოლმე, მაგრამ ცხოვრებით ხომ მასთან უნდა იცხოვრო. ეს მეგობარი პეტრე კი, როგორც მოვი-

და ისევე. წავა. ცოლი კი სამუდამოდ მასთან რჩება. და, მართლაც, თუ კი მან უცხო ადამიანების გამო სკანდალების გამართვა დაიწყო, მაშინ ყველაფერს უნდა დაანებოს თავი. ცოლი აგერ სტირის, ოჯახი კი მართლა ვისზე კიდია? ანდა როდესაც ის ავათ არის, ვინ არის რომ მთელი ღამეები მის საწოლს არ შორდება? ცოლია. კარგია მეგობართან ბაასი ვარსკვლავებზე, მაღალ ფანტაზიაში გადაფრენაც, მაგრამ როდესაც კლიზმაა საჭირო, სტუმარი ჩუმ-ჩუმად გაგიკეთებს?

ამ გვარი ფიქრებით ვასილი ჯერ კიდევ გაუქრობელი ჯავრით გვერდით ჩამოუჯდა ლოგინზე და ცოლს ხელი გადაუსვა მხრებზე.

ცოლმა მხრები გაიქნია, თითქოს ამბობდა: თავი დამანებეო.

ვასილმა კვლავ იგრძნო შეურაცხყოფა. ერთი გაიფიქრა: „მაშ ასე, მე პირველი მოველ შენთან, შენ კი კიდევ იპრანჭები, ერთს გაგადებ მაგ კისერში და წავალო.“ გაიფიქრა, მაგრამ... კვლავ დასძლია ეს ფიქრი, იმიტომ რომ მოისაზრა: ეს რომ ასე მოხდეს, მუსიკა შორს წავა და დიდხანს გაგრძელდება, ამიტომ საჭიროა მეტი მოთმინება; ერთხელ კიდევ აიძულა თავის თავი ალერსით მისდგომოდა მას.

კიდევ გადუსვა ხელი მხრებზე. ცოლმა ეხლა უკვე არ მოიშორა ხელი. შემდეგ დიდხანს იწვა უნძრეველად. და უცებ ჩააფრინდა ქმრის ხელს და დაუწყო ცემა ტუჩებ შეკუმშულმა—თავისი პატარა მუჭებით. ეტყობოდა, რომ გადაუარა ბრაზმა და დარჩა მხოლოდ სურვილი ცოტა ჯავრი მაინც იყაროს ქმარზე ამ პატარა უმნიშვნელო ტკივილებით.

— გეყოფა, გეყოფა... ოხ, რა ბოროტი რამა ხარ! აბა, დამარტყი, დამარტყი, ნუ გეშინია, იმდენი ღონე და ძალა არა გაქვს, რომ მატკინო. აი მე რომ გითავაზო, ეს კი დაუვიწყარი იქნებოდა.

— შენ ხომ...

უკვე წამოჯდა ლოგინზე და ცრემლებიანი ღიმილით გადახედა ქმარს; თითქოს ამაყობდა, რომ ასეთი ძლიერი, ჯან-ღონით სავსე ქმარი ჰყავდა და თვითონ კი ასეთი უღონოა და სუსტი.

— აბა, ადექი, ადექი. წავიდეთ, თორემ, მართლა უხერხულია. რამდენი ხანია მარტოდ ზის იქ. მოვაგვარებთ. ყოველივეს მოვაწყობთ.

და თავისუფლად გავიდა საწოლ ოთახიდან.

— დასწყევლოს ღმერთმა ეს ქალთა წოდება,—უთხრა მან უხერხულად შეკრულ ღიმილით პეტრეს,—ჩამოვიდა დაღლილი, დაქანცული და ნერვები სულ აეშალა. ეს დედაკაცები ხომ პატარა ბავშვებს ჰგვანან; ცოტას რომ გაუჯავრდები მიყუჩნდებიან. მაშ ორი კვირის შემდეგ იწყება მეცადინეობა? ჰკითხა პეტრეს.

— კი, თუმცა მე უფრო ადრე უნდა ჩავიდე იქ,—უპასუხა პეტრემ. ის იჯდა ფანჯარასთან სკამზე და ქუჩისკენ იცქირებოდა.

გარეთ წვიმდა შემოდგომის წვრილი წვეთებით. ქუჩა ატალახებულიყო და მოსჩანდა შიშველი ხეები ტალახში ჩაცვენილ ფოთლებით.

— აბა, დროა სადილი დავიწყოთ!—დაიძახა ვასილმა ხელოვნურად მიღე-

ბული მხიარული ხმით. ასე იძახიან ჩვეულებრივი მასპინძლები, როდესაც ოჯახური აყალ-მაყალის შემდეგ შერიგდებიან და სახლში უცხო სტუმარი ჰყავთ. ასეთი ხელოვნურად შექმნილი ტონით ცდილობენ აჩვენონ ერთმანეთს და სტუმარსაც, რომ ყველაფერი კარგათაა და რიგზე; აი ეხლა ისადილებენ და შემდეგ კი მხარ-თეძოზეც შეიძლება წამოწოლა, რადგან ასეთ ამინდში, /მადლობა ღმერთს, რა საქმეს გააკეთებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## IV

— მე დღეს უნდა წავიდე,—უთხრა პეტრემ ვასილს ნასადილევს.

„საქმე ძალიან კარგათ ეწყობა", გაუელვა ვასილს თავში. მაგრამ რომ მის მეგობარს ეს არ შეემჩნია და არ ამოეკითხა მის სახეზე, მან მაშინვე შეჰყვირა:

— რა ამბავია! სად უნდა წახვიდე?.. ამოიგდე ეგ ფიქრი თავიდან. მე აგრე გამეხარდა შენი ნახვა, გამოვფხიზლდი კაცი, თითქოს სიცოცხლის წყარო მაპკურე,—ამ სიტყვებს ლაპარაკობდა ზედმიწევნით გულწრფელად, იმიტომ რომ ფიქრობდა: რადგან პეტრემ დაიწყო წასვლაზე ლაპარაკი, მაშ დიდხანს არ დარჩება. და როგორც კი მოუვიდა ეს აზრი, მაშინვე მართლაც გაუჩნდა გულწრფელი სურვილი ტკბილი სიტყვები ეთქვა თავის მეგობრისათვის.

— ეს რა აზრი მოგვივიდა თავში, არა გრცხვენია?!—უთხრა პეტრეს.

— არა, კაცო, შენ აქ სტუმრები მოგივა, მე კი მათთვის სრულიად უცხო ვიქნები. ლაპარაკი მე არ ვიცი, რომ სტუმრები გაგირთო. შენც ხელს შეგიშლი.

— სისულელეს ნუ რობავ!! ვინ გაძალებს მაინც და მაინც ლაპარაკს! მოგბეზრდება სტუმრებთან, გახვალ საზაფხულო ნახევარში, იქ კი არავინ ხელს არ შეგიშლის,—უთხრა ვასილმა.

საღამოს დაიწყო სტუმრების დენა: ეცვათ ფრენჩები, ზოგს ორკეციანი პიდჟაკები, ჩექმები, შეპარსულები.

ეხლა ვასილი არ აცნობდა პეტრეს თავის სტუმრებს, როგორც სტუდენტს მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტისა, როგორც ეს მას მოსწონდა პირველად. ეხლა ის უბრალოდ ამბობდა:

— ჩემი ნაცნობი, პეტრე კორნაუსოვი.

დიდხანს არ აჩერებდა მათ ყურადღებას მასზე, არაფერს არ ამბობდა იმის შესახებ, რომ ის მომავალი ვარსკვლავია, მეცნიერების მნათობი და სხვა.

ამავე დროს თითქო განგებ თვალებში ხვდებოდა პეტრეს დახეული, ტალახიანი ფეხსაცმელები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიყურებოდენ სტუმრების გაწმენდილ ჩექმებსა და შტიბლეტებს შორის.

და იღვიძებდა პეტრეს წინააღმდეგ ყრუ და საზიზღარი სიძულვილი.

„მართლაც და, რასა ჰგავს ეს, არ შეეძლო განა გაეწმინდა ეს ფეხსაცმელები! ფიქრობდა წყენით ვასილი და თვალებს ვერ აშორებდა პეტრეს ტალახიან წაღებს. მას ეგონა, რომ ყველანი ხედავდენ ამ „საზიზღროებას" და ფიქრობენ, რომ მათი პატრონი—პეტრე—აუცილებლივ მისი მოყვარეა.

და ესეც შეამჩნია: როდესაც ის აცნობდა პეტრეს ახალ სტუმრებს, ცოლი მისი, რომელიც, როგორც ეს შეფეროდა მასპინძელ ქალს, მხიარულად იცი-

ნოდა მაგიდის თავში, მაშინვე ძარღვებ დაჭიმული გაჩუმდებოდა, თითქოს ეშინოდა—ვაი თუ ვასილიმ თქვა „მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტიო“.

ვახშამი ჯერ კიდევ არ დაწყებულა და სტუმრები თავმოყრილად სხედან. როდესაც რომელიმე მათგანი დაიწყებს რამეზე ლაპარაკს, ოკრიბებიან მასთან და ვითომ დიდის ყურადღებით უსმენენ მოსაუბრეს, ნამდვილად კი უსმენენ მას მხოლოდ იმისთვის რომ როგორმე დრო მოკლან სანამ ვახშამი დაიწყებოდეს.

ანდა განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებენ საწერ მაგიდას, ვითომ არასოდეს ენახათ ასეთი რამ. მასპინძელი კი შესაფერ „პოზას“ იღებს, იცინის, დაკუჭულ ცხვირსახოცით იწმენდს გაოფლიანებულ შუბლს და აჩვენებს სტუმრებს მაგიდას, ხან გამოაღებს და ხან დახურავს უჯრებს.

მაგრამ რამდენსაც არ ართობდა სტუმრებს, მაინც ვერ იქნა და ვერ მოიშორა თავიდან ფიქრები ამ პეტრეზე; ყოველ წუთს ახსოვდა ის.

მოთმინებიდან გამოჰყავდა იმას, რომ პეტრე რატომღაც დაჯდა მაგიდასთან, რომელზეც უკვე აწყობდენ ვახშამს, და იჯდა ჩუმათ. ამ მაგიდას მაინც მოშორდებოდეს!

მერმეთ კი—როდესაც სტეპანიდა რომელიც სადღესასწაულოთ გამოეწყოთ მაღალ. თითქმის ძუძუებთან მოგებულ ქამრიან კაბაში—აწყობდა მის წინ საკვახშმო მოწყობილობას და ის ხელს უშლიდა მას ამაში—პეტრე ადგა და გავიდა საზაფხულო ოთახში.

ცოლმა გააცილა ის თითქოს შეშინებული თვალით. ვასილიც დაიბნა. მან შეამჩნია, რომ ცოლი მას შესცქერის და დაეკარგა ლაპარაკის ძაფი მოსაუბრე ქალთან.

რას იფიქრებენ სტუმრები? ვიღაცა იჯდა, იჯდა, სიტყვა არ უთქვამს, მერე ადგა და წავიდა. შეიძლება რამეზე გაგულისდა, ან და შეიძლება შეხედა ამ ბურჟუაზიულ მოწყობილობას და ლაპარაკს, რომელშიც თითქმის ერთი საათის განმავლობაში არავის ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ოქტომბრის რევოლიუცია, თუმცა სტუმრებში ნახევარი, თუ მეტი არა, კომუნისტები იყვნენ. მოისმინა ყოველივე ეს და ეხლა ზის იქ, გარეთ და ფიქრობს ალბათ: ეხ კამპანია შეყრილა, რაღა!!

თვითონ ვასილი რასაკვირველია, კარგად იცნობდა პეტრეს, იცოდა, თუ როგორი უწყინარი, მშვენიერი ადამიანი და იშვიათი ამხანაგი იყო პეტრე, მაგრამ სტუმრებმა ხომ არ იცოდენ ეს!

აი, პეტრეს რომ ახალი ფეხსაცმელები ეცვას, აგრეთვე სირმიანი ტუჟურკა, თეთრი ცხვირსახოცი ჰქონდეს ხელში, თვითონ კი იჯდეს და სტუმრებს ართობდეს საუბარით თუგინდ აი ამ მეცნიერებაზე, მაშინ, ო,-ო!! მაშინ ვასილი აღფრთოვანებით წარუდგენდა მას ყველას.

„იცნობდეთ: სტუდენტი მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის“.

მაშინ, ცხადია, სტუმრებიც უდიდესი პატივისცემით მოუსმენდენ შესახებ ვარსკვლავებისა, ჭიანჭველებისა და, საერთოდ, რაზედაც გინდა. მაშინ პეტრე

სუფრის დამამშვენებელი იქნებოდა, ეხლა კი... მადლობა ღმერთს, რომ არაფერს ამბობს, კიდეც წავიდა.

ვასილი, ვითომც იმისთვის, რომ გაეგო ვახშმის სამზადისი როგორიაო, გავიდა საზაფხულო ნახევარში.

პეტრე მარტოთ-მარტო იჯდა სკამზე მაგიდასთან; ფეხი ფეხზე გადაედვა და ფრჩხილით რაღაცას ხაზავდა მაგიდაზე.

— მომაბეზრეს თავი ამ სტუმრებმა,—სთქვა როგორღაც ნაშაულის გრძნობით ვასილმა და მოუჯდა იქვე პეტრეს მეორე სკამზე—ლაყბობენ უთავბოლოდ, არავითარი ინტერესი მათ ლაპარაკში არ არის. შენ ძალიან გამომაფხიზლე, ესენი კი ჩამოვიდნენ—და ისევ ეს წვრილი-ბურჟუაზიული სტიქია, ვერსად კი წაუხვალ, რას იზამ, მოყვრებია, ნათესავები, ასე კი არ იტყვიან: ყოყოჩობა დაიწყო, თავი მოაქვსო, ამიტომ არის, რომ... შენ კი ალბათ მოგეწყინა, ეს!.

— არა, არაფერია,—უპასუხა პეტრემ,—მე როგორღაც არ შემიძლია, არ შეხერხება.

— ვახშამზე მოდი, თორემ უხერხულია,—სთქვა ვასილმა და წამოდგა, აი ხვალ ვილაპარაკოთ ჩვენებურათ, მოვითქვათ სული.

და წავიდა.

შემდეგ დაიწყო ვახშამი.

არაწკუნდა საღვინე ჭიქები; ხელები ბოთლებისკენ გარბოდნენ და ყველანი უცბათ გამხიარულდნენ, ბუნებრივი სახეები მიიღეს და როგორღაც გამოცოცხლდნენ.

როდესაც სტეპანიდამ ჩამოატარა შემწვარი გოჭი, მასპინძელი ქალი თავის ადგილიდან თვალს არ აცილებდა, და ეხვეწებოდა სტუმრებს აეღოთ რაც შეიძლება ბევრი და სტეპანიდასაც უძახდა, რომ საწებელი დაესხა მეტი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც რიგი პეტრეზე მიდგებოდა, ის არაფერს ამბობდა, თითქოს კიდევაც ჯავრდებოდა, რომ ესეც ჩანგლით მიიწევდა ხორცისაკენ.

ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ პეტრეს რაც შეიძლება ჩქარა შეეჭამა რაც უნდოდა და კვლავ გასულიყო საზაფხულო ნახევარში. მაგრამ როდესაც გათავდა ვახშამი და პეტრე მართლაც გავიდა, მას არ შეეძლო არ შეემჩნია, თუ როგორი უზრდელია ეს „სტუდენტი:" ვახშმის შემდეგ ცოტა არც შეიცადა, არც არავის გასცა ხმა, ისე ადგა და გავიდა. უზრდელი!.

— ვახშმის შემდეგ გამხიარულებული ქალები სიცილ-ხარხარით გაიქცნენ საზაფხულო ოთახში, რათა აქ უფრო თავისუფლათ აღეარებინათ ერთმანეთთათვის თავიანთი საიდუმლოებანი, მაგრამ შეამჩნიეს რა იქ ვილაც მამაკაცი, ცოტა შეწუხდენ, მხიარულებას დაუკლეს, ცოტა წაილაპარაკეს და სარკეში დაიწყეს მანჭობა.

მალე დიასახლისიც შემოვიდა, კოპწია, მხიარული; მაგრამ რა წამს დაინახა პეტრე, თვალები ჭერისკენ აღაპყრო, მხრები გაიქნია და საშინელ სასოწარკვეთით ამოიოხრა; თითქოს ეუბნებოდა სტუმრებს: რას გადავეკიდეთ ამ კაცს, მოსვენებას არ გვაძლევსო.

საღამო საერთოდ კარგად ჩატარდა; სტუმრები კმაყოფილნი იყვნენ. ყველანი აქებდენ სახლის მოწყობილობას, მასპინძელს კი მემამულე უწოდეს, რაც ძალიან მოეწონა მას.

მაგრამ არ იყო მაინც სრული კმაყოფილება, იმიტომ რომ ამ საერთო განწყობილებაში შეიჭრა ეს დაუპატიჟებელი და უსიამოვნო სტუმარი, რომელიც ასე დაგლეჯილი იყო და არაფერს ამბობდა.

ცოლთან შეხვედრის დროს სადმე ბნელ კუთხეებში ვასილი გრძნობდა ცოლის სიჩუმეში, რომ მასში სდუღდა საშინელი ბრაზი მის წინააღმდეგ და ისიც იცოდა, რომ ხვალ კარგი დღე არ მოელოდა მას.

## V

პეტრეს ჩამოსვლის პირველ დღეს ვასილს გულწრფელი სურვილი ჰქონდა მეტის ალერსით მოპყროპოდა თავის მეგობარს, დაეტოვებია თავისას ორ კვირას, შემდეგ მიეცა ფული, საგზალიც გამოეწყო და სადგურზე თავისი ეტლით წაეყვანა.

მაგრამ ფული ხომ ცოლს ჰქონდა, და რომ ეთქვა მისთვის, მეგობრისათვის მინდა და მომეცით, ისეთ ალიაქოთს ასტეხდა, რომ გაჩენას დაიწყეველიდა და ყოველივე ეს პეტრესთან მოხდებოდა. ის, რასაკვირველია, არაფერს არ იტყვის, მაგრამ ფიქრით ხომ მაინც იფიქრებს. „ეხ, ჩემო ძმაო, შენც ჩაფლულხარ ბურჟუაზიულ წუმპეშიო“!

საგზალის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ერთი მითხარით, რა საგზალი უნდა გაუწყო, როდესაც ცოლი ვეფხვივით გაცოფებულია! ისიც კარგია, თუ როგორმე შეუმჩნევლად თავისი ეტლით გაამგზავრა სადგურისკენ, რომ ყმაწვილს არ მოუხდეს თავის დახეულ ფეხსაცმელებით ტალახის ზელვა.

— შეიძლება დარჩე კიდევ, ჰა?—ჰკითხა ვასილმა პეტრეს, როდესაც შევიდა მასთან საზაფხულო ოთახში, სადაც მოწყენილად პეტრე მარტო იჯდა. სუნთქვაც შეაჩერა, პასუხის ლოდინში.

— არა, სჯობს დღესვე წავიდე,—სთქვა პეტრემ. თავს უხერხულად გრძნობდა და თვალებსაც ვერ უმაგრებდა ვასილს. როგორც გუშინ, ისე ეხლაც ყურადღებით უცქერდა მაგიდას და ფრჩხილებით რაღაცას ხატავდა.

— მაშ რადგან ასეა, მშვიდობის მგზავრობა, როგორც ამბობდენ ძველათ,—სთქვა ვასილმა. დიადი საქმეა, ძმავ, დიადი. მუცელზე ზრუნვა ყველას შეუძლია, მაგრამ აი ჩვენი პროლეტარული მეცნიერებისათვის ზრუნვა—ეს კი იშვიათი ამბავია. ასეთი ადამიანი, მე რომ მკითხონ, პირველ ადგილას უნდა გვყავდეს. იმიტომ, რომ არაფერს თავისთვის არ ეძებს, ფასონზე არ დადის, ამავე დროს კი შეიძლება ჩვენი წითელი რესპუბლიკის არა ერთი და ორი თაობა იცხოვრებს იმით, რასაც ის დაამუშავებს, რადგანაც ის—ვარსკვლავია. ჩვენში კი როგორ არის: თუ კი შენ მშვიდათ ხარ, თავმდაბლათ, არავის არ უყვარს; მუშაობ, შეიძლება ითქვას, კაცობრიობისათვის, იცი როგორ გიყურებენ?! როგორც საცოდავ სულელს და ნუ გაგიკვირდება, თუ პურის ნატეხიც შეგთავაზონ. თუმცა ესეც კარგია, თუ პური მოგცეს, მაშ საწყლად გთვლი-

ან; ხშირად კი ყვირილ-ლანძღვით გაგაგდებენ. იმიტომ, რომ არ იციან! ქალებზე კი ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ღმერთმა დასწყევლოს მათი გაჩენა — ისე ჩაგითრევენ ჭაობში, რომ ვერც შეამჩნევ, ტიტ ტიტიჩათ გაგხდიან სწორედ.

ვასილი გაჩუმდა, ამოიხვნეშა, იჯდა ასე და ფანჯარაში გასცქეროდა უკმაყოფილოდ.

მის წინ იყო ადამიანი, რომელიც მიუხედავათ სიმშილისა, და სილტაკისა, მაინც თავისი გზით მიდიოდა. . წითელარმიაში გმირი ყოფილა, ეტყობა, ბევრ ბრძოლაში გმირია, მხოლოდ სხვა გვარი. ის კი — ვასილი — თითქოს მას ფეხებიდან ავეკანდები გამოაცალეს და ვერაფრით ვერ ახერხებს კვლავ დაიჭიროს ისინი და არავითარი ხაზი, გეზი მას არა აქვს. ხაზი კი არა, მეგობარი მოუვიდა, საუკეთესო მეგობარი, სულით დაამშვიდა, მან კი — ცოლმა, ხედავ, მთელი აურ-ზაური ასტეხა და ეხლაც ისეთი გაბოროტებული დადის, ისეთი, რომ...

აქ შეამჩნია ვასილმა, რომ როდესაც ის მარტოდ მარტო რჩება პეტრესთან, მასში იღვიძებს უდიდესი პატივის ცემა მეგობრისადმი. ამ დროს პეტრე მისთვის გაცილებით უფრო მაღლა დგას ყველა ამ ნათლიებზე და სიძე ნათესავებზე, იმიტომ რომ ამ ადამიანმა თავის ცხოვრებაში გაიგო ისეთი რამ, რაც სხვებისთვის შეიძლება სამუდამოთ უხილავი დარჩეს.

მაგრამ როგორც კი პეტრეს დაინახავდა თავის მოყვრებთან ერთად, ეს გრძნობა სადღაც უცბათ ქრებოდა და მის მაგივრად პირველად ყოვლისა ეჩხირებოდა თვალში დახეული, ტალახიანი წაღები, ეს აუტანელი სიმუნჯე და ამ დროს პეტრე მისთვის თუ მთლად სულელი არ იყო, მოსულელო წმინდანის იერი მაინც ჰქონდა. ვასილს კიდევაც რცხვენოდა თავისი თავის, განსაკუთრებით კი თავისი ცოლის, იმ სიტყვების გამო, რომლებითაც ის ლაპარაკობდა პეტრესთან.

სადილობდენ მარტო პეტრე და ვასილი, რადგან ვასილის ცოლი სადღაც წავიდა; სტეპანიდასთვის ეთქვა: ნუ მომიცდიან სადილათ, არ მოვალო. ვასილი მაშინვე მიხვდა, რომ ცოლმა ეს განგებ ჩაიდინა; არ უნდოდა პეტრესთან ერთად სადილობა.

ამის გამო, ვასილმა კვლავ იგრძნო საშინელი ჯავრი ცოლისადმი. მზათ იყო გამოელანძღა როგორც რიგი და წესია, იმიტომ რომ, მართლაც, ხომ საზიზღრობაა, რომ პატივი სცე მხოლოდ მათ, ვისაც ჯიბე სქელი აქვს და მუცელი მსუქანი, და არა ისეთებს, რომლებიც...

სადილის შემდეგ ცოლიც მოვიდა, სიტყვა არ უთქვამს, არც შეუხედია მათთვის, ისე შევიდა საწოლ ოთახში.

დროა უკვე, უნდა წავიდე, - სთქვა პეტრემ — გმადლობ პურმარილისათვის.

— ოჰ ახლა შენც ერთი, რის პურმარილი. მე ყოველთვის მოხარული ვარ... — ამბობდა ვასილი და გრძნობდა, რომ ცოლი სდგას ეხლა საწოლ ოთახში და გულდასმით ისმენს ყოველივეს, რასაც იტყვის ვასილი; უნდა დაეძახა სენკასათვის, რომ ცხენები შეეყა ეტლში, და სწორედ ამ დროს მოესმა ცოლის ხმა:

— ეტლის გაგზავნა არ დაგავიწყდეს, დედაჩემი უნდა ჩამოვიდეს დღეს. ნუ თუ ესეც მე უნდა გაგახსენო?

ოხ, — საწყენია, — სთქვა ვასილმა, და თავი მოიფხანა, — მე კი მინდოდა გამეგზავნე ეტლით...

— არაფერია, არა უშავს რა. მე ფეხითაც შემიძლია, — სთქვა პეტრემ და მოიცვა თავისი საკმაოდ შელანძღული ბამბის კურტკა.

— როგორ გაგიშვა ფეხით. ჰა?? როგორ მწყინს, რომ ცხენებს არა სცალიათ...

თვითონ კი იმაზე ფიქრობდა რომ ცოლმა ალბათ გაიგონა სიტყვა „მწყინს“ და კარგ დღეს დააყრის მას. — მაშ ძალიან მწყინს, რომ ნათესავებისათვის მიხდება ცხენების გაგზავნა!..

— მშვიდობით, — სთქა პეტრემ — იღლიაში ამოიგდო თავისი პარკი წიგნებით და ერთი წამით, მხოლოდ, ერთი წამით თვალებში შეხედა ვისილს.

— მშვიდობით... გაიმეორა მან, ეხლა უფრო ხმა-მაღლა უპასუხა და პირი საწოლ ოთახისაკენ ქნა. ვასილი აჩქარდა, შეწრიალდა, მაგრათ ჩამოართვა ხელი თავის მეგობარს და კიბემდე გააცილა. ცოლმა ხელოვნური ალერსით დაიძახა საწოლ ოთახიდან.

— ნახვამდის! უკაცრავად, რომ ვერ გამოვდივარ.

---

გარედ იდგა შემოდგომის ადრიანი მწუხრი, როდესაც უფოთლო შიშველი ხეები უმოძრაოდ დგანან, სოფელში აქა-იქ აინთება უსიცოცხლო სანათურები, სოველ მინდორ-ველებზე ჩამოკიდებია ნისლი, და სოფელიც თავისი ტალახიანი ქუჩით, წყლის საზიდებით, ჭიშკრებით და უპატრონოთ მოხეტიალე ცხენებით — გამოიყურება ყველასაგან მივიწყებულათ, თითქოს მოწყვეტილი იყოს მთელ დანარჩენ ქვეყნიერებას.

პეტრე გაჰყვა გზის პირად. ცდილობდა ფეხები არ დაესვარა, ქვებზე მიხტუნავდა მაგრამ ხშირად უცდებოდა და ტალახში ვარდებოდა.

სოფლის უკანასკნელ ქოხის წინ იჯდა მოხუცი მოკლე ქურქიანი და ყალიონს ეწეოდა.

— ეს შენა ყოფილხარ? მიდიხარ, მაშ?! — იკითხა მან, როდესაც პეტრე საკმაოდ მიუახლოვდა.

პეტრემ მაშინვე იცნო მოხუცი, რომელმაც ის სადგურიდან მოიყვანა.

— ჰო, მე ვარ, მივდივარ, — უპასუხა პეტრემ.

— მაშ ისევ მეცნიერებისაკენ, ჰა?

— ჰო, კი...

— კარგია, კარგი. ღმერთმა მშვიდობიანი მგზავრობა მოგცეს.

— მოხუცმა რატომღაც დაკვირვებით გადახედა პეტრეს ტოპრაკს, სადაც წიგნები ეწყო და სთქვა:

— ერთი, ცოტა მომიცადე, შვილო.

მოხუცი წამოდგა და თავისი მაღალი ვალენკებით სახლში შევიდა.

პეტრეც გაჩერდა. შემდეგ მიმოიხედა გარშემო და დიდხანს შესცქეროდა საცოდავს, ნახევრად წაფერდებულ ქოხებს, ქუჩის აზელილ ტალახს, რომელსაც უკვე ფარავდა შემოდგომის სიბნელით კარზე მომდგარი ღამე. შემდეგ რატომღაც გადახედა თავის კურტკას და ფეხსაცმელებს, თითქო ესენიც ამ ტალახთან და უპატრონობასთან ერთად ამბობდენ მის საკუთარ უპატრონობაზე, მარტოობაზე, რადგან იმ ადამიანებისათვის, რომელთა შორის მას უხდება ცხოვრება, უცხოა და მიუღებელი ყოველივე, რითაც ცხოვრობს იგი.

მოხუციც დაბრუნდა. კალთის ქვეშიდან ამოიღო რაღაცა, პეტრეს გაუწოდა და სთქვა:

— აი, შვილო, პურის ნატეხი, გზაზე გამოგადება.— პეტრემ პირველ წამს რატომღაც ხელი უკან წაიღო, მაგრამ შემდეგ გაბედულათ გამოართვა.

— გმადლობთ, მოხუცო. გმადლობთ,—უთხრა და... წავიდა.

სოფლის იქით ძალიან აცივდა. უცებ დაუბერა მშრალმა ყინვიანმა ქარმა და გზის ტალახსაც მოეკიდა ყინვა. ცოტა ხნის შემდეგ ცა მოიწმინდა; ემზადებოდა ცივი ყინვიანი ღამე.

პეტრე მივიდა ტყემდის და, თითქოს გაიხსენა რაღაც დაკავშირებული ამ ადგილთან, აიხედა მაღლა უსაზღვრო სიმაღლეში მოციმციმე ვარსკვლავებისაკენ. შემდეგ უნნოთ გაიღიმა და პურის ნატეხს გადახედა, მაგრამ წამსვე მხიარულად გაიცინა და სთქვა:

— ეშმაკებმა წაიღონ! ბოლოს და ბოლოს საქმე მართლა მარტო ეს ხომ არ არის!

და ჯანიანი ნაბიჯით გასწია წინ დაგლეჯილ ფეხსაცმელებით ნახევრად გაყინულსა და შემხმარ სრიალა ტალახზე.

თარგმანი ვ. ბ—ის.

ეპტონ სინკლერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქადაგის მდივანი

## აქა წერილი პირველი

### ჩემი მაღალ საზოგადოებაში გამოსვლისა

საყვარელო დედავ!

მისაყვედურებ. წერილებში ცოტა ახალ ამბებსა მწერო. გიხაროდეს: ეხლა ჩეჩქსავით დაგაყრი.

შენი ძმა ზღაპრულ ზოლუშკასავით გამოვიდა ფართე პოლიტიკურ ასპარეზზე და ჯადოსანი ეტლი ,ქარებთან უცდის მას. აი როგორ მოხდა ეს. ტევა აღარ იყო ჩვენსა. ყველა ქალიშვილს სტუმარი ჰყავდა. მოცლილები მხოლოდ მე და ფლორა ბელი ვიყავით, რომ შემოდის ვილაც ჯენტლმენი, თვალს ავლებს ყველას, მოდის ჩემს მაგიდასთან, ჯდება და ამბობს:

— ლედი, დაიწყეთ.

კაი ხელები აღმოაჩნდა; ზოგიერთ მამაკაცსავით არ ჰქონდა რბილი და დონდლე ხელები, ამასთანავე ეტყობოდა, არ იყვნენ ნაჩვევნი ტლანქ მუშაობას, ვბან ხელებს, თან ქურდულად ვათვალიერებ და ვატყობ, რომ იგი იქნება ორმოცი წლისა. თმები ოდნავ აქვს შეჭაღარავებული. მანერები ახალი და სუფთა აქვს — საერთოდ წესიერად არის გამოწყობილი. ვეუბნები „რა მშვენიერი ამინდია დღეს". ისიც რაღაცას მიპასუხებს ბურტყუნით, რაც უეჭველად „დიახ"-ს უნდა ნიშნავდეს და ვგრძნობ, რომ რაღაცაზე ფიქრობს და არ უნდა ვინმე აწუხებდეს. მ გრამ რათ მოვიდა მანიკიურის სალონში, თუ არ უნდა მას, აწუხებდნენ? თანაგრძნობის სახეს ვიკეთებ და ვეკითხები:

— ბევრი ზრუნვა და ხლაფორთია ამ წუთისოფელში, არა?

ამისთანა ხალხს როცა უკვირს რამე გაკვირვება თითებში ემჩნევა.

— თქვენ საიდან იცით ეგ? — მეკითხება იგი.

მე უპასუხებ:

— ჩემი საზრუნავი საკმარისად მაქვს, მაგრამ ისიც ჩემი საზრუნავია, მოუსმინო ჯენტლმენთ, როდესაც ისინი თავიანთ უსიამოვნო ყოფა-ცხოვრებას, ან თავგადასავალს მიამბობენ.

— ესეც სწერია თქვენს მოვალეობაში? — მეუბნება ის.

მეც უპასუხებ, რომ სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი საქმე, რადგან ყველა მამაკაცის უდიდესი სურვილია, ქალს გაუზიაროს თავისი მწხარება.

ამ დროს შეეხედე და დავინახე, რომ თვალის ძირებში უცბად მოეკრიბა ნაოჭი სიცილისაგან, მაგრამ ისევ ჩქარა გაჰქრა ნაოჭი. ისევ სერიოზულ სახეს იღებს ის და მეუბნება.

— ისიც შესაძლებელია, რომელიმე ქალმა პატარა [illegible] — [illegible]ემცეს.

— რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუ კი პატ[illegible] ქალ[illegible] [illegible]ქნება ის— ვეუბნები მე.

მას ვერ გადაეწყვიტა თანხმობა და ისევ მე შევეშველე:

— იქნებ ეს რაიმე საიდუმლოებაც არის ქალის არსებისა, რის გამოცნობაც თქვენ არ შეგიძლიანთ?

— სწორედ ეგრე უნდა იყოს — სთქვა მან და მე კიდევ ვკითხე:

— ალბად ვერ გადუწყვეტია იმ ქალს, უყვარხართ, თუ არა.

— არა. ეგ სრულიად არ უდგება ნამდვილს. გატყობთ, რომანებში ჩახედული ბრძანდებით, მაგრამ ცოლიანი ვარ. სამი შვილიცა მყავს.

— აჰ! — წამოვიძახე — რო იცოდეთ, რეებს ლაპარაკობენ ცოლიან ჯენტლმენებზე.

და, შეუდექი რა გაცხარებით მის ბრჩხილების გაპრიალებას, კიდევ ვკითხე:

— საქმე ეხება თქვენს სიცოცხლეს?

ერთ წამს იფიქრა და თითქო აღმოჰხდაო: „ღმერთო ჩემო!“ და ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ სერიოზულად მკითხა:

— მითხარით ერთი, ყველა ქალები ჭკვიდან შეშლილები არიან?

— მერე, რამდენი წლისაა თქვენი ცოლი, რომ თვით თქვენთვისაც აშკარა გამხდარა ეგ?

— ორმოცდა ორისა — სთქვა მან.

— აა, მაშ ეგრე? — ვსთქვი და კიდევ დაუმატე: განა ისეთი რა დაემართა, რომ ვერც თავისი სურვილი გამოუცვნია და ვერც მოუსვენია სახლში?

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან—რა დაემართა და მაგაზე უარესი: ძუძუს კიბო აქვს.

ამოვიოხრე:

— ვაი საწყალი!

ჩემს დღეში ამნაირი რამ ჯერ არ გამეგო და ამის გაგონება მეტად საზარელი იყო ჩემთვის... ძუძუს კიბო!

— და მისი ძუძუს კიბო სრულებით არა ჰგავს ჩვეულებრივ ძუძუს კიბოს— განაგრძობდა ის — ეს მოარული კიბოა. ერთ კვირას რო მხრებში აქვს, მეორე კვირას კუჭში გადადის და შემდეგ მუხლებშიც.

— რაღა თქმა უნდა, უჩვენებდით ექიმებს? — ვკითხე მე.

— ექიმებს? დიახ, ოთხი კოსტიუმი გავცვითე ექიმებთან მის ტარებაში. ჩვეულებრივ ექიმს არაფერი არ შეუძლიან ამ შემთხვევაში. ან მუხლების სპეციალისტი უნდა იყოს, ან კუჭისა და ან კიდევ რა ვიცი რისა. და თუ ერთი

ექიმი ეტყვის, არაფერი გაქვსო, მასა ჰგონია ან უყურადღებოდ გასინჯა, ან იფიქრებს, რომ საიდუმლოდ გავაფრთხილე ტელეფონით ექიმი, რათა მისი ნერვების დასამშვიდებლად სიმართლე არ ეთქვა და მაშინ სხვა ექიმთან მიდის ჩემს უჩუმრა, მაგრამ მე მაინც ვტყობილობ ახალი ანგარიშების გასწორების გამო.

ის ამას ისე ულიმილოდ და მოწყენით ამბობდა, რომ [illegible] უთხარი:

— ნუ თუ აღარავითარი საშუალება აღარ არსებობს საცოდავის საშველად!?

— ექიმები ეუბნებიან, ჰავის გამოცვლაა საჭირო — სთქვა მან და მეც უპასუხე:

— ჩემი პროფესიის ზოგიერთი ქალბატონები სახელებს იცვლიან და იქნებ იმისთვისაც ეს იყოს საჭირო?

მას კიდევ შეუთრთოლდა თითები და ვიგრძენ, რომ მის ბრჩხილებზე დახრილ ჩემს თავს დაჰყურებდა იგი.

მე განვაგრძობდი ჭიკჭიკს:

— ჩვენ შორის არიან ისეთები, რომელნიც ოქროს ჰხვეტავენ მუჭით და, თქვენ რომ სხვა მაგიდასთან მისულიყავით, რომელიმე მათგანი გაგიჭრიდათ თითს, მაგრამ მე პირდაპირ ვეუბნები ჩემ სტუმარს, რომ იგი დღეს კარაქად გამომადგება მე.

— კარაქად? — მკითხა მან. მე კი ქურდულად შევხედე.

— ყოველ დღე ათი საათის მუშაობაში ვშოულობ არსობის პურს „ელიტის მშვენიერების სალონში“ და, თუ საღამოთი ვინმე ჯენტლმენი დამპატიჟებს სადილად, უწოდებ „კარაქს“.

და უცბად ვიგრძენ, რომ ჩვენ გავხდებოდით მეგობრები.

მაგრამ ისეთი მორცხვია, რომ მხოლოდ გათავების შემდეგ ძლივს გამიბედა: მეტის-მეტ მარტოობას ვგრძნობ და ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ საღამოზე შენთან ვისადილებო. მხოლოდ მთელი უბედურება იმაშია, რომ მას არ შეუძლიან რომელიმე დიდ ადგილებში შესვლა, რადგანაც მას ამ ქალაქში ბევრი იცნობს. ამის გამო უთხარი, ორნიც არ ვიქნებით მოწყენილი, თუ დროს, გავატარებთ სადმე მყუდრო ადგილას მეთქი.

— თქვენ მეტის-მეტი სიბრთხილე გმართებთ, რადგანაც ვაშინგტონი მეტად ჭორიკანა ქალაქია — უთხარი მე.

— დიახ, — დამეთანხმა ის — მით უმეტეს, რომ განსაკუთრებულად პასუხსაგები ადგილი მიჭირავს, ისე, რომ... გესმით რას ვამბობ?..

— ძალიან კარგა მესმის — უთხარი მე — ვიცი, საქმე მაქვს ჯენტლმენთან და მწამს კიდეც, რომ თავს ისე დავიჭერ, როგორც ლედი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს პატიოსნებაში.

მაგრამ ამანაც ვერ დააკმაყოფილა იგი და სთქვა:

— ისეთი მდგომარეობა მაქვს მე, რომ ყველა ადვილად მიცნობს ვინა ვარ.

— მესმის და სწორედ ამისთვის უნდა მითხრათ თქვენი ნამდვილი სახელი. შეგიძლიანთ სრულიად დამშვიდებით მენდოთ მე, მისტერ...

— ეჯ.... ეჯერტონ—ნახევარყბით მიპასუხა მან, თავის საქციელის სისწორეში არც ისე კარგა დარწმუნებულმა.

— მისტერ ეჯერტონ—გავიმეორე მე და იმან შემატყო, რომ რაღაცის მოგონებასა ვცდილობ.

არა,—სთქვა მან—თქვენ ამ სახელს წინად ვერ გ[illegible] რადგანაც ამისთანა სახელი არც ხელის საპონზე სწერია და არც რომელიმე ეკრანზე. მგონია, რომ მთელ შეერთებულ შტატებში ამაზე უფრო ნაკლებად ცნობილი სახელი ალარ არსებობს.

— ალნად თქვენ რომელიმე საიდუმლო სამსახურში ხართ?—ვკითხე მე, რადგანაც უნდა გამოვტყდე, რომ ძალიან დავინტერესდი.

— ჰმ! საიდუმლო და განა ეგრე! ქადაგის მდივანი გახლავართ!

აი, დედაჩემო, ის წუთები, როცა შენს მემს პირის გაღება მოუხდა განცვიფრებისაგან.

— ქადაგი?—ვკითხე მე—მერე ვინ არის ქადაგი?

აქ მან ისე გულიანად გადიხარხარა, თითქო ვინ იცის თუ რა დიდი სასულელე მეთქვას.

— მითხარით, რას კითხულობთ გაზეთებში?

— რაღა თქმა უნდა განქონწინების ამბებს—უპასუხე მე,—რადგანაც ამაზე ლაპარაკი მეტის-მეტად უყვართ ჩვენს სტუმრებს. შემდეგ მკვლელობის ამბებს. რადგან ეს ამბები ძალიან მიყვარს პირადათ მე. ვკითხულობ აგრეთვე ქ-ნ პრინკერის დებულებებს სილამაზის შენახვისა და გახდომის შესახებ.

— მერე, ქადაგის სიტყვებს არ კითხულობთ?

— არა—ვეუბნები—რომელ გაზეთებში სწერს იგი?

მან ისე გაიცინა, თითქოს დიდი რამ სასულელე მეთქვას.

— ყველა გაზეთების პირველ გვერდზე—მიპასუხა მან.—მაგრამ თქვენ მაინც ბევრი არ დაგიკარგავთ. ქადაგი—ეს ის კაცია, რომელიც ცხოვრობს დიდ თეთრ სასახლეში. იგი ძლიერია და მდუმარე და, როგორც ძლიერებსა და მდუმარე ადამიანებს, მას ბევრი ლაპარაკი სჭირდება, იმან კი სრულიად არ იცის, თუ რაზე და როგორ ილაპარაკოს. აი სწორედ მე ვარ ის კაცი, რომელიც ასწავლის ქადაგს, თუ რა, ან როგორ ილაპარაკოს. კვირაში ორჯერ იყრიან მასთან თავს ყველა იმ გაზეთების რეპორტიორები, რამდენიც კი მოიპოვება მთელს დედა-მიწაზე და ყურს უგდებენ, თუ როგორ ლაპარაკობს იგი იმას, რაც მე ვასწავლე, და რამდენიმე ათასი გაზეთი რამდენიმე ასი ათას დოლარს აძლევს ქადაგს იმაში, რომ ტელეგრაფით გადასცენ ყველა გაზეთებს დასაბეჭდათ მისი სიტყვები; ისინიც ჰბეჭდავენ ამ სიტყვებს და შემდეგ უკვე ალარ ვიცი, თუ რამდენი ასი მილიონი ადამიანი კითხულობს ამას—და ამასთანავე ყველა წამკითხველი მოვალეა იფიქროს, რომ ეს სიტყვა მართლა ეკუთვნის თვით ქადაგს. ასე, რომ თქვენთვის ძნელი გასაგები ალარ არის, თუ რა საჭიროება მოითხოვს ჩემს მალულად ყოფნას.

აი აქ კი, დედაჩემო, გავიგე, თუ რა ამბავი მოჰხდა ჩემ თავს. და ვიჯექ თვალაუღებლივ, ხოლო ენაზე აღარც ერთი სიტყვა არ მება სათქმელად.

— ხვალ ზევით იწყება სეზონი—განაგრძობდა ჯენტლმენი—და ჯერაც არ ვიცი რაზე მექნება ლაპარაკი. არ ვიცი ამერიკის დაწესებულებებს ისეთი რაღა ხოტბა გამოუგონო, რომ ოცჯერ მაინც არ მეთქვას? ამიტომ მოგცემთ მისამართს ბერძნული ერთი პატარა რესტორანისას, რომელიც [illegible] და ხვალ იქ შეეხვედეთ ერთმანეთს რვის ნახევარზე. იქნება თქვენ [illegible] ამ აზრის ბაგაზე, რომლის გაგებაც ესიამოვნებოდეს და ეახელებოდეს ამ ჟანად ქვეყნიერებას.

ამის შემდეგ, დედაჩემო, წავიდა იგი და შენი ქალიშვილი მემ ზის თავის საწოლ ოთახში, რომელიც ჯერ კიდევ სავსეა ამ წუთში შეკმული ღორის კატლეტის სუნით და სწერს ამ წერილს: არა იცი-რა ისეთი, რომ უთხრათ ქვეყნიერებას? და თუ იცი, ღვთის გულისათვის შემატყობინე მალე, რადგანაც ჩემი უკან დახევა აღარ შეიძლება. იმ სიმაღლეზე ვარ, რომ თვალები მიჭრელდება.

დედი, შენ არ იცი, როგორი მადლობელი ვარ კეთილშობილური და ჭკვიანური ჩემი აღზრდისათვის, რადგანაც ვგრძნობდი, ის მათვალიერებდა და ოდნავი მღელვარებაც კი არ დამტყობია; ეს ალბად იმიტომ, რომ მასწავლე საპირფარეშო მაგიდა მუდამ ახლო დამედგა ფანჯარასთან, ტანთ დღის სინათლეზე ჩამეცო და არასოდეს არ მეხმარა წყალბადის სიმჟავეები.

შენი მოსიყვარულე **მემ**.

## აქა წერილი მეოთხე

### ჩემი კულისებში ჩავარდნისა

საყვარელო დედა!

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეგატყობინო, რომ კიდევ გამოვიცვალე სახელი. სახელების მოდა საშინლად ჩქარა იცვლება, და სწორედ მაშინ, როცა გგონია, რომ სახელი უკვე იპოვნე, ჰხედავ, რომ ნაპოვნი სახელი უკვე აღარაფრად ვარგა. მაგრამ მე არასოდეს არ ვიყავ კმაყოფილი სახელით „იზაბელა“ და იგი გადავაკეთე როზაბელ-ად. ვფიქრობ, რომ ასეთი გადაკეთება უფრო კარგია, რადგანაც წარმოთქმის დროს „როზაბელა რიქს“ ორივე სიტყვა ერთი და იგივე ასოთი იწყება; ამაზედ ერთმა ჯენტლმენმა მითხრა, რომ ამასა ჰქვიან ალიტერაცია და სახელი უფრო ხმოვანია, როდესაც იგი ალიტერაციანიაო. ასეთი სახელები აქვთ ყველა კინო-მსახიობ ქალიშვილებს და ამასთანავე ამბობენ, რომ კინო-მსახიობად შესვლა შეუძლებელია, თუ სახელი უალიტერაციო გაქვსო. ჩვენს ახალ ქალიშვილს ჰქვიან მერი მეი მარი, და ეს მეტისმეტად მშვენივრად ისმის. განსაკუთრებით მაშინ, თუ უკანასკნელ სიტყვას ფრანგულ ყაიდაზე ამბობენ. ამიტომ, საერთოდ, ძალიან არის გავრცელებული ფრანგული სახელების ტარება.

ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ ᲓᲔᲓᲐ, ᲐᲣᲮᲡᲔᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠ ᲔᲬᲧᲘᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲠᲥᲔᲣᲚᲘ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲛ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲗ ᲗᲣ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲨᲘᲙ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔ ᲓᲐᲒᲘᲚᲐᲛᲔᲑᲘᲐᲗ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ ᲙᲔᲛᲓᲔᲜ-ᲜᲘᲣ-ᲯᲔᲠᲡᲔᲘᲨᲘ. ᲕᲘᲪᲘ ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲜᲘᲭᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲫᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲛ-Ს. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲛᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ.

P. S. ᲰᲝ ᲓᲐ ᲔᲡ-ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲐᲪ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲡᲐᲓᲘᲚᲔ. ᲑᲔᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲑᲔᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲓᲣᲛᲐᲨᲘ ᲢᲘᲕᲢᲘᲕᲔᲑᲔᲜ. ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲔᲯᲔᲠᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ — ᲛᲔᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲑᲘᲕᲨᲢᲔᲥᲡᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲪᲮᲝᲕᲠᲐᲗ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲜᲒᲔᲑ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ „ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢᲘ“.

ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲝ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲰᲙᲣᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲐᲐᲡᲘ ᲒᲕᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲛᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲛᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲗᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲚᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲫᲚᲘᲕᲐᲡ ᲕᲡᲬᲔᲠ. ᲔᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲦᲠᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲔᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲧᲐᲕ ᲡᲝᲚᲕᲣᲓᲘᲡ ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲐᲮᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲠᲘ ᲞᲘᲙᲤᲝᲠᲓᲘ. ᲨᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐ ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲘᲮᲕᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲮᲘᲡᲐᲐ ᲓᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲡᲪᲔᲜᲐᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲔᲨᲛᲐᲙ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲓ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲪᲣᲠᲔᲑᲚᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲮᲚᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲨᲔᲕᲘᲮᲔᲓᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ... Ო, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ! ᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲪ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲛ ᲧᲣᲠᲔᲑᲑᲐᲠᲢᲧᲣᲜᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲡᲪᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲤᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲮᲐᲜ ᲢᲘᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛ ᲫᲕᲔᲚ ᲐᲩᲔᲛᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲘᲣᲙᲔᲑᲖᲔ!

ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲔᲯᲔᲠᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐ, ᲗᲣ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲔᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲯᲔᲜᲢᲚᲛᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ ᲭᲐᲓᲐᲒᲡ. ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲔᲯᲔᲠᲢᲝᲜᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ. ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲔᲯᲔᲠᲢᲝᲜᲛᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲗᲘᲗᲥᲝ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲪ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲓᲘᲓ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲡ ᲭᲐᲓᲐᲒᲘ.

ᲗᲣᲠᲛᲔ ᲜᲣ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲭᲐᲓᲐᲒᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ, ᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲘᲕᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲒᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲡᲘᲚᲜᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲗ: ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲪ ᲭᲕᲘᲐᲜᲘᲐ ᲘᲥ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔ ᲛᲝᲕᲐ; ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲓᲐᲘᲠᲩᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘ — ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲐᲓ ᲫᲣᲜᲬᲔᲑᲘ

არიან. მაგრამ მისტერ ეჯერტონი ამბობს, რომ ამისთვის ისინი გასამტყუნარნი არ არიან, რადგანაც ბუნება მათთვის დედინაცვალია. სწორედ ამიტომაა, რომ ქადაგი ყოველ ღონესა ხმარობს ერთი ზედმეტი გროშიც არ ვაუშოს ხელიდან. როცა ის ფლორიდის შტატის გუბერნატორად ყოფილა, თურმე ატელიეს მხოლოდ ერთ ოთახში ცხვრობდა და, როდესაც ბანკირებმა და სხვადასხვა დიდი საქმის კაცებმა უთხრეს, მაგნაირი სიძუნწით შენ [illegible] ამდაბლებო, აიღო და მის დასამტკიცებლად, რომ მასაც შეუძლიან [illegible] ფუფუნებით ცხოვრება, იმავე ატელიეში დაიკავა მეორე ოთახიც.

ქადაგი — პატარა მოკრუნჩხული და მიკნავებული კაცია; ამასთანავე საშინლად შეწუხებული იმით, რომ იგი იმ ზავთისა არ არის, როგორიც შეეფერება დიდ თეთრ სახლს, რომელშიაც უხდება ცხოვრება მას. ამის შესახებ ხშირად აქვს ხოლმე ლაპარაკი მისტერ ეჯერტონთან, რომელიც ურჩევს თავი გაიტანოს თავხედობით, და თავხედობა კიდევ გაატაროს ხოლმე ხუმრობაში. ჯერ ეწყინა ეს, მაგრამ, როცა დაუფიქრდა, ჭკვაში დაუჯდა და გადასწყვიტა, რომ ეს ერთად-ერთი ხერხია, რის გაკეთებაც კი შეუძლიან მას. ამიტომ ხუმრობს ხოლმე ეხლა იგი თავის თავზე თავის სტუმრებთან ერთად. მისი სახე ძალიან წააგავს ქუჩის ძველ გაუთხოვარ ქალიშვილის სახეს, მაგრამ ეჯერტონმა ურჩია ამის შესახებ არაფერი ეჩუმრა სტუმრებთან.

ჰო და აი ასეა საქმე: ქადაგის მთელი მოვალეობა ის არის, რომ ამერიკის ხალხს უთხრას თუ რა აკეთოს, ან რა იფიქროს მან. მისტერ ეჯერტონის თქმით ეს საკითხი ქადაგისათვის თავსამტვრევი საკითხია, რადგანაც თუ მხოლოდ თავის თავს დაენდო, მთელი საათობით მოუხდება ფიქრი და მაინც ვერაფერს მიაღწევს. ყველაფერს მოუსმენს ხოლმე იგი მისტერ ეჯერტონს, შემდეგ გამოეთხოვება და არავის ეტყვის, შემდეგ ყოველივე გაგონილს გაიმეორებს თუ არა, მაგრამ ყველამ იცის, რომ უეჭველად გაიმეორებს გაგონილს, თუ იქ დაცული იქნება ორი პირობა: ერთი ქება ამერიკის დაწესებულებისა და მეორე, თუ როგორ უნდა მოიმჭირნონ ფული.

მისტერ ეჯერტონმა ამიხსნა, თუ რას ეძახიან ქადაგის „პოლიტიკას“ და პირდაპირ ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ ვთვლიდი ჩემს თავს ბედნიერად ამ უვიცობაში. აქამდე არაფერი მესმოდა, დედაჩემო, ამ საკითხში, მხოლოდ მესმოდა, როგორ მიღეჭავდა მამაჩემი ყოველივე ამ „პოლიტიკანობის“ შესახებ, რომელსაც ერთ ყურში რომ შეუშვებდი, მეორეში გაუშვებდი ხოლმე. ეხლა კი ყველაფერი ეს ნათელი შეიქმნა ჩემთვის. თურმე ნუ იტყვი, ყველა ფულებს მთავრობა იღებს გადასახადების საშვალებით და აძლევს აუარებელ ჩინოვნიკებს, რომელნიც სხვა და სხვა დაწესებულებებში სხედან და ფეხები შეწყობილი აქვთ მაგიდაზე. აი ამიტომ თურმე ქადაგს ფიქრად მოსვლია გადასახადების მოხსნა, რათა მდიდრებმა ფული შეინარჩუნონ, რომ ამ ფულით გახსნან მრავალი ქარხნები, სადაც სამუშაოს მისცემენ მუშებს და გაბედნიერდებიან ყველანი. გაიგეთ, რაშია საქმე? მე ხომ ამას ვერასოდეს ვერ მოვიფიქრებდი?! ახლა მივხვდი თუ რა სულელი ვიყავი, როდესაც უყურებდი რა მდიდრებს, სასულელად მიმაჩნდა ისეთი რამეები, როგორც მაგალითად სადილი მაიმუნებით,

ბანაობა შამპანიურით და სხვა. ეხლა მიეხვედი, რომ სრულიადაც არა აქვს იმას მნიშვნელობა—სისულელე აძლევს ხალხს სამუშაოს, თუ სიჭკვიანე. ოღონდ აკმაყოფილებდეს კი ეკონომიურ მოთხოვნილებებს, როგორც თვით ქადაგიც ამბობს.

შენ ხომ არ ასწავლე ყოველივე ეს ქადაგსა მეთქი, უთხარი მისტერ ეჯერტონს, მაგრამ მიპასუხა, რომ ამის საჭიროება არ იყო, რადგანც, რაც უნდა ძალიან სულელი იყოს ადამიანი, მაღალი პოსტის ძალაში იმისთანა რამეებამდე მიდის, რომ ძალაუნებურად უნდა იზრუნოს მდიდრებისათვის, რომელნიც აძლევენ ფულს საამომრჩევლო კამპანიის ჩასატარებლადაო. ამ ფულით ფეიერვერკებიც იმართება და პროცესიებიც დროშებით, რათა დაარწმუნონ, ამომრჩევლები იმაში, რომ მდიდრების განთავისუფლება დაბეგრიდან კაია და კეთილი საქმე.

მისტერ ეჯერტონმა მიამბო, თუ როგორ მოისყიდა ქადაგმა ყველაზე უფრო დიდი ბანკირი მეელს იმ მხარეში, რათა მას დახმარება გაეწია ქადაგისათვის და ხალხში ეყიდნა მისი პოლიტიკის ნდობა. ძალიან გავკვირდი, თუ როგორ შესძლო ქადაგმა ამგვარი დიდი კაცის მოსყიდვა, ან რა უნდა გადაუხადოს ამაში. ამაზე მისტერ ეჯერტონმა მითხრა, რომ არაფერსაც არ გადაუხდის ამაში ქადაგი ბანკირს, რადგანაც ისიც კმარა, რომ მას ზურგიდან მოჰხსნის რამდენიმე მილიონ დოლარის გადასახადს, რომელსაც იგი ყოველ წლივ იხდისო. ამან სულ მთლად ამიხილა თვალები და მივხვდი, რომ არც ისე ძნელი ყოფილა მთავრობის კაცად გახდომა, როგორც მე ვფიქრობდი. ყველა ჩვენთაგანს ხომ უნდა რამე გააკეთოს, და ამიტომ არავინ იტყვის უარს, ემსახუროს მთავრობას გროშებისათვის. მისტერ ეჯერტონიც მეუბნება, რომ ეს მართლაც ასეა და ომის დროს მრავალი მუშაობდა ამ რიგად მთავრობისათვის წელიწადში მხოლოდ ერთ დოლარად და ეს ხომ ძვირი ითვლებოდა; ამასთანავე მისტერ ეჯერტონმა მითხრა, რომ შენი ასეთი სწრაფად მიხვედრილობა ყველაფერში ამტკიცებს, რომ შენ ბუნებრივი ნიჭი გაქვს პოლიტიკური მოღვაწეობისთვისო.

მან იმ მსხვილი ბანკირის სახელი მითხრა, რომელიც დაიქირავეს იმისთვის, რომ თვითონ გაანთავისუფლოს თავისი თავი გადასახადებისაგან. მგონი ლემონია, მელონია, თუ რაღაც სხვა ამგვარი საჭმელის მსგავსი იმისი სახელი. მისტერ ეჯერეტონმა სთქვა, რომ იგი მას სალამს არ აძლევს. ვკითხე რატომ არ აძლევ სალამს, ის ხომ იმათთვისაც ისევე ცდილობს, როგორც თავის თავისათვისა მეთქი. მისტერ ეჯერტონმა ეს სასაცილოდ მიიღო, მივხვდი, რომ ამის იქით რაღაცა იფარება და საჩქაროდ გამოცვალა ლაპარაკი.

მისტერ ეჯერტონი მეუბნება, რომ მე შემიძლიან, თუ კი მოვიწადინებ, გამოვადგე დიდათ და ამასთანავე ამიხსნა, რომ იგი სწავლობდა კოლეჯში, სადაც თავი გამოიტენა მაღალი ლიტერატურული სისულელეებით, რაიც მის საქმეს სრულიად არ ეხმარებოდა. ამბობს, ჩემთვის ძალიან საჭიროა დაბალ ხალხთან ახლოს ყოფნა, რათა გავიგო რას ფიქრობს იგი, რა აწუხებს, რა უნდა და სწორედ ამისთვისა ხარ ჩემთვის გამოსადეგიო. მე მინდოდა შემეთხზა საკვირ-

ველი ამბავი იმის შესახებ, თითქო ვეკუთვნოდი ვირგინიის ერთ-ერთ ძველ გვარეულობას, რომელიც გაანადგურა სამოქალაქო ომმა, მაგრამ დავინახე, ეს საჭირო აღარ იყო, გამოვიბერტყე ეს ტყუილი ამბავი თავიდან და უთხარ, რომ მამაჩემი უბრალო მუშაა კემდენ-ნიუ-ჯერსეიში. ამაზე იმან მიპასუხა, რომ ეს საუკეთესოა, რომ ეს სწორედ ის არის, რაც მას უნდა. მაშინ სვინდისის ქვეშ უთხარი, რომ მე მიძახიან მემ-ს. ეხლა შენ შეგიძლიან, დედა, [illegible] ის, რასაც გწერდი გუშინ წერილის დასაწყისში, თუმც სულ[illegible] [illegible] [illegible] [

რადაც მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ლაპარაკი და ყველაფერი შიგ საშინლად, საშინლად ჭკვიანურად მეჩვენებოდა. მარტო იმის ფიქრი რად ღირს, რომ ეს ყველაფერი სთქვა უპირველესმა და უდიდესმა ადამიანმა მთელს ქვეყანაზე და ყველა გაზეთებმა დაბეჭდეს იგი პირველ გვერდზე. დიახ, დედაჩემო, მას თითქმის მეტი არაფერი უთქვამს. მთელი მისი ინტერვიუ ტრიალებდა იმ ერთად-ერთი აზრის გარშემო, რომელიც მის მდივანს [illegible] მე, მე, საწყალმა, შეუმჩნეველმა მემი რიქსმა „მშვენიერების სალონის [illegible] ქალმა, რომელსაც სალამოსთვის ჯიბეში მხოლოდ ერთი სპილენძის ცენტი მიგდია.

დიახ, ეს სრული სიმართლეა! სამი ცენტი მივეცი გაზეთში; ისე რომ აღარ მეყო კაკაოსათვის ან სამაგიეროდ საუზმისათვის ავიღე ერთი ჭიქა რძე და ბულკი. მაგრამ ამას სრულიადაც არ დაუღონებივარ. სამსახურში ისეთ მშვენიერს გუნებაზე მივედი, რომ ყველა ქალები იძახდნენ, ამის თავს რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავიაო და ყველამ გადასწყვიტა გაეგო მიზეზი ჩემი მხიარულებისა.

— რა ამბავია შენს თავს. მემ? ახალი თაყვანისმცემელი ხომ არ შეიძინე? ამის მეტის მოფიქრება მათ არ შეუძლიანთ.

— არა, აქ უფრო მეტია, ვიდრე თქვენ რომ ჰფიქრობთ—მიუგე მე. მაგრამ ოდნავადაც არ მიფიქრია, მივახვედრო ისინი სიმართლეს, რადგანაც მისტერ ეჯერტონის თქმით ეს სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა. შენ ვერ წარმოიდგენ რა სისულელეა რომ ამ დროს ადა ხეგგინსი, რომელსაც უნდა, ეხლა ადერსს ეძახდნენ, მეუბნება:

— ვიცი, ვიცი—ეს ის მშვენიერი ჯენტლმენია, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად იყო აქ. რა ხელობის კაცია მემ?

სწორედ ამ დროს დარეკა ტელეფონმა. ისევ მისტერ ეჯერტონი მეძახდა სადილად რომელიმე სასადილოში და, რაღა თქმა უნდა, ყველა ქალები ფუტკრებივით აბზუვლდნენ, რადგანაც ჯერ ამგვარი გულდახურულობა არ გაეგოთ; ისინი ყოველთვის გულახდით ლაპარაკობენ ხოლმე ყველასთან თავიანთ ყველა საქმეებს. ცხადია, ასეც უნდა იყოს—მაშ სხვა რა უნდა ელაპარაკონ სტუმრებს, თუ კი ასეთ საცოდავ და შეზღუდულ ცხოვრებას ატარებენ და არ ესმით ქვეყნიერების ამბავთა ღრმა აზრი, თუ კი არასოდეს არ ყოფილან პოლიტიკური სცენის კულისებში და არ უნახავთ მასი მსახიობები?

ჰო და მან მითხრა, ჩინურ სასადილოში მივსულიყავი. ეს სასადილო კი ძალიან შორს არის. უცბად დაუშვა წვიმამ—ეს იმასა ნიშნავს, რომ დასველებული ფეხებით მივალ იქ. ამ უბედურებას ბინის დიასახლისიც უნდა მიუმატოთ, რომლის ფულიც ოთხი დღეა მმართებს და უნდა ჩუმად გავიპარო, რადგანაც ახალი შარფი უნდა წამოვისხა, რომ ძველი ტანისამოსი დავფარო.

კარგია ლაპარაკი მისტერ ეჯერტონისა მდაბიო ხალხთან ახლო დგომის სუროვილის შესახებ, ამავე ხალხის გულახდილობისა, გულმართლობისა, პატიოსნებისა და სხვა ამისთანების შესახებ, მაგრამ სა'ადილოში სასადილოდ ქურდულად წასვლა ხომ არავის უნდა. ეს ხომ შენ კარგად გესმის დედაჩემო და ეს არ მოხდება, სანამ მე ლედი ვარ. აი ეხლა მე მივდივარ და უთხარი მამას, რაც შეიძლება ჩქარა გამიზიაროს თავისი აზრები პოლიტიკაზე.

P. S. პირველად ვისადილე ჩემს სიცოცხლეში ჩინურად: ეჭამეთ ქათმის კატლეტები. მისტერ ეჯერტონმა ტაქსით მომიყვანა სახლში და ამ წუთას ვწევარ ლოგინში, რადგანაც ვერ დავიძინებ, სანამ ფეხები არ გამითბება, ვერაფერს გიამბობ.

რასაკვირველია ვბასობდით საერთაშორისო საქმეებზე, რადგანაც ეხლა ეს ყველაზე უფრო საინტერესოა ქვეყანაზე და მაღალ საზოგადოებაშიც ამ-ზე ლაპარაკობენ.

მისტერ ეჯერტონმა სთქვა, როდესაც შევატყობინე შენგან ნათქვამი დიადი აზრები ქადაგს, საყვედურების ბურტყუნი დაიწყო, რაც ყოველთვის მსჭერმეტყველურ სახეს აძლევს, ხოლო ყოველივე ეს ქაღალდზე დამაწერინა და შემდეგ რამდენიმე სიბრძნეც კი მიუმატა თავისით, რადგან ბევრი შენს ნათქვამში იმდენად საყურადღებო გამოდგა, რომ მან მათი ორ-ორჯერ განმეორება ისურვაო.

რასაკვირველია ჩემთვის თავმდაბლობა იყო საჭირო და ამისთვის თავმდაბლადა ვსთქვი:

— მართალი გითხრათ, არ მესმის, თუ რა არის აქ ისეთი შესანიშნავი. ყველას შეეძლო ამისი თქმა.

მისტერ ეჯერტონმა კი მიპასუხა:

— აი, სწორედ ჩემი მიზანიც იმის მიგნებაა, რის თქმაც ყველას უნდა და იმ ყველას მაგივრად კი ჩვენ ვიტყვით.

— მერე რისთვისაა საჭირო ეს?—ვკითხე მე—განა თვითონვე არ შეეძლო ყველას ამისი თქმა?

მაშინ მან ამიხსნა, რომ ხალხს უყვარს, როდესაც მის მაგივრად სხვები ლაპარაკობენ, რადგან ეს მისთვის ნაკლები შეწუხებაა. გარდა ამისა ძალიან მიღებულია თავისი აზრების მოსმენა სხვისაგანაო.

— ეს იმასა ჰგავს, როგორც მაგალითად, სარკეში რომ დაინახოთ თქვენი თავი, გესმით თქვენ ესა?—მითხრა მან.

მე უთხარი, რასაკვირველია ამას ძალიან კარგა გაიგებს ყოველი დედაკაცი მეთქი.

მისტერ ეჯერტონმა ისიც მითხრა, რამ ქადაგს სწორედ იმისთანა საგნებზე უყვარს ლაპარაკი, როგორიც მე მივეცი სალაპარაკოდ; ეს იმიტომ, რომ ქადაგს ანთავისუფლებს სხვა ღრმა სალაპარაკოებისაგან, რომლებზე ფიქრი არც ისე ადვილიაო. რეპორტიორები აძლევენ კითხვებს, რომლებზედაც იგი ვერ უპასუხებს ხოლმე და ამიტომ არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ხან ერთს აკეთებინებენ, ხან მეორეს, ხან „ჰო“-ს ათქმევინებენ, ხან „არა“ ს, იმას კი არ უყვარს, როცა არაფერს ლაპარაკობს და არაფერს აკეთებსო. ქადაგს, გარდა თავისი სახელისა, გამოცვლის სახელიცა აქვს—„ფრთხილად“—და იგი საქმიანობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არავითარ შემთხვევაში აღარ შეიძლება უმოქმედობა და, საერთოდ, იგი მოქმედობს ძალიან იშვიათად. ის ამბობს, ბევრი საკითხები თვითონვე სწყვეტენ თავის თავსა, თუ კი დროსა და ჟამს მივანდობთო.

— ეგ იქნებ იმასა ნიშნავს, რომ სხვა ვინმე სწყვეტს იმ საკითხებს?— ვკითხე მე.

მისტერ ეჯერტონმა გაიცინა და მიპასუხა:

— შეიძლება. მაგრამ თქვენ ხომ სრულიად არ შეგეხებათ, თუ იმ საკითხებს სწორედ ვერა სწყვეტენ.

და ამიხსნა მან თუ როგორა ხდება ყოველივე ეს: ორი რომელიმე დიდი პირი, რომელთაც ერთმანეთში დავა აქვთ ლუკმა პურისათვის, ჩამოვა ვაშინგტონში და მთელ თავის შეძლებას აამუშავებენ იმისთვის, რომ როგორმე მიიმხრონ ქადაგი. ქადაგი ზრდილობიანად მოუსმენს ორივეს და მერე დაჰპირდება, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარს, გააკეთებს ყველაფერს, რაც კი მის ხელთ არის, მაგრამ ნამდვილად არაფერსაც არ გააკეთებს, რისთვისაც სასიკეთილოდ გადაემტერებიან და დაუწყებენ გინებას, როგორადაც კი შეუძლიან ოგინოს ადამიანმა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს მოსწყინდებათ ჩხუბი, დავა და ასეთუ ისე შეთანხმდებიან, დაბრუნდებიან სახლში და იქ, როცა კარგა დაიქრდებიან, ასწონ-დასწონავენ მომხდარ ამბავს, არწმუნებენ თავის თავს, რომ ქადაგი დიდი მოხერხებული კაცია, რომ სწორედ ასეთი ადამიანებია საჭირო ჩვენი ქვეყნისათვის.

სწორედ ამ დროს ჩინურ სასადილოში შემოვიდა მშვენიერი წყვილი და მე მაშინვე კარგად მივხვდი, რომ ორივენი იცნობდენ მისტერ ეჯერტონს. ჯენტლმენმა, და ლედიმაც სალამი მისცეს მისტერ ეჯერტონს, მაგრამ ლედიმ მე ცერად შემომხედა ერთ წუთს, უეცრად გაიქრქოლა, როგორც ცივი ქარისაგან და ჰაეროპლანსავით ცხვირაწეულმა გამიარა გვერდით. შევატყე, რომ მისტერ ეჯერტონი ცოტა დაიბნა და აღარ იცოდა, როგორ განეგრძო ჩემთან ლაპარაკი. მაშინ მე უთხარი:

— მგონი, რომ არ მოვეწონე შენ ნაცნობ ლედის. იქნებ ძალიანაც ეუცხოვა ჩემი შესანიშნავად დავარცხნილი თმა, ან სხვა რამ.

მან გაიცინა. მე კი განვაგრძობდი:

— მე მინდა თქვენ იცოდეთ, რომ ყველაფერი ძალიან კარგათ მესმის, და ამისათვის საჭირო არ არის არც ჩემი გასულელება და არც საკუთრად თქვენი თავისა. ჩვენ შორის მხოლოდ წმინდა უმანკოებაა, როგორც ტყეში წასული ორი ბავშის შორის, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ალაში ვერაფრით ვერ დააჯერებთ ვაშინგტონის მაღალ საზოგადოებას. წარმოდგენილი მაქვს, თუ რა იქნება, რო ვინმემ დაილაპარაკოს მისის ეჯერტონთან იმაზე, თუ მისი ქმარი როგორ დაკვირვებებს აკეთებს მდაბიო ხალხზე. მართლა და როგორა გრძნობს საწყალი თავს ეხლა?

— ეხლა გულის კიბო ფეხის ბრჭალებში ჩაუცოცდა —მიპასუხა მან.

— კიდევ არა უშავს-რა—ვსთქვი მე—სხვა არაიყოს-რა ტვინიდან მაინც შორს წასულა და შეიძლება ფრჩხილებიდან სულაც გავიდეს გარედ. მე კი მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ იქნება აჯობებს, თუ ჩვენ ერთმანეთს სულაც აღარ შევხვდებით.

— არა, არა!—აფორიაქდა იგი—არა მისის რიქს, გთხოვთ, ძალიანა გთხოვთ, ნუ დამტოვებთ ამისთანა კრიტიკულ მდგომარეობაში.

— კრიტიკულს მდგომარეობაში?—ვკითხე მე.

— დიახ კრიტიკულს მდგომარეობაში, რადგანაც შემდეგ კვირაში, ჩვენს სახალხო ტახტის ქალაქში გაიხსნება ელსკის ყრილობა, სადაც ქადაგმა უნდა ილაპარაკოს მთელი ერთი საათის განმავლობაში. წარმოდგენილი გაქვთ, რამდენი ფიქრი დამჭირდება, რომ მოვიგონო რაიმე ახალი? მარტო ის იფიქრეთ, რომ რაიმე ახალი ქება-დიდება უნდა შევთხზა კონსტიტუციისათვის. თითქმის საუკუნე ნახევარია, რაც ყოველ მკათათვის ოთხს ოცი ათასი ოლიტერი აცხელებს ამ ძველ საჭმელს და ყოველი მათგანი ცდილობს რამით მის შენელებას. მის რიქს! ჩემი ხსნა შეუძლიან მხოლოდ მდაბიო ხალხის დიად გულს! თქვენ უნდა მასწავლოთ, თუ რა ვილაპარაკო. მხოლოდ თქვენ, სხვამ არავინ!

ერთი სიტყვით კიდევ გავები და დავემზადე სახლში გასაქცევად, რადგანაც ამ გასაჭირის დროს შეიძლებოდა მოსულიყო მამაჩემისაგან წერილი შინ.

— ამერიკა—ვსთქვი ბოლოს—დიდი ქვეყანაა!

— დიახ, ვიცი,—მიპასუხა მან.—მაგრამ რათა? რით? რამ აქცია იგი დიდათ? რა...

— მოიცათ,—გავაწყვეტინე მე—არ შეიძლება ერთბაშად მაგდენი კითხვების მოცემა. ეს ყველაფერი ძალიან ადვილია, თქვენ კი მეტის-მეტი ფიქრით იბნევით. ჭკვას ძალას ატანთ. თვითოეულისათვის ცხადია, რომ ამერიკა იმიტომაა დიდი ქვეყანა, რომ მას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. მართალი არ არის?

— მგონი—მიპასუხა მან ცალის ყბით, დაეჭვებით.

— და კიდევ იმისათვის, რომ იქ აუარებელი ხალხი ცხოვრობს. განა მართალი არ არის ეს?

— მგონი, რომ მართალია—მითხრა მან, თუმცა ნამდვილად თანახმა არ იყო.

— თქვენა ბრძანებთ ელსის ყრილობის შესახებ, რომელიც უნდა ვაშინგტონში გაიხსნას—განვაგრძობდი მე—ყველამ იცის, რომ ეს დიდი მოვლენაა. რათა? იმიტომ, რომ თავს მოიყრიან აქეთ-იქიდან მრავალი წარმომადგენელნი. მოიტანენ აუარებელ ფულს, რომელსაც დახარჯავენ აქ, იმხიარულებენ და დაიჭერენ მთელ ქალაქს. განა ეს მართალი არ არის?

რაღა თქმა უნდა, ამის უარყოფა მას არ შეეძლო, მაგრამ მაინც რაღაცა, განაგრძობდა მის ტანჯვას.

— მაგრამ ხომ უნდა სხვა რამეც იყოს აქ, მის რიქს... რამე იდეა..

— იდეა? ნუ შესწუხდებით იდეებისათვის. ხალხი თვითონ ეცდება გააჩინოს ამ იდეების საკმაო რაოდენობა: თუ ერთ კაცსა აქვს უკვე ერთი რაიმე იდეა მაშინ იქ, სადაც ასი მილიონი ხალხია ას მილიონჯერ მეტი იდეა იქნება. თუ მე არ დამიჯერებთ წადით და ჰკითხეთ კაიზერ ბილიას.

და იცი დედაჩემო თვალები როგორ გაუბრწყინდა მას?!

— მის რიქს—წამოიძახა მან:—ნუ თუ ხალხი მართლა ასე ფიქრობს?

— რასაკვირველია—უპასუხე, ვინ შეუშლის ამაში ხელს?

იცი დედაჩემო, ეგრე ვფიქრობდი და მართლადაც გადმოაწვდა იგი მაგიდაზე ჩემს ხელს საკოცნათ მიუხედავად იმისა, რომ იქვე ახლოს იჯდა მისი ნაცნობი ლედი, რომელიც სასიკვდილო ისრებს ესროდა მას თვალით.

— მის რიქს—მითხრა მან—თქვენ მიხსენით მე.

თქვენ აღმიდგინეთ რწმენა დემოკრატიის მაღალი პრინციპებისა. თქვენ მომეცით თემა უკვდავი სიტყვის წარმოსათქმელად, რომელიც [illegible] იქნება მსჭერმეტყველებისა. ამ ფრთებით ქადაგი იმ სიმაღლეზე [illegible] სიმაღლეზეც იგი არასოდეს არ აფრენილა.

ო, დედაჩემო, ისე კმაყოფილი იყო იგი ამით, ისე კმაყოფილი, რომ წინადადება მომცა ტაქსით წავსულიყავ სახლში. როგორ მეთქვა იმისთვის, რომ ფეხები სველი მაქვს და ფეხით წასვლა მირჩევნია ტაქსით წასვლას მეთქი?!

შენი ბედნიერი **მემ.**

## აძა წერილი მეოთხე

### ჩემ მიერ ამოცანის გამოცნობიხა.

საყვარელო დედა!

ელსის ყრილობა გაიხსნა და, როგორცა ვფიქრობდი, სტუმრებმა მართლა დაიკავეს მთელი ქალაქი. რა სასიამოვნოა, როდესაც ქუჩებში აუარებელი, ბრწყინვალეთ ჩაცმული, მორთულ-მოპრანჭული ხალხი ირევა, უყურებ მშვენიერ ჯენტლმენებს, რომელნიც ისე გიჟურებენ, თითქო ჯიბეები უსქდებად ფულებისაგანაო. ჩვენთვის, მანიკურის ქალებისათვის, ეს პირდაპირ სამოთხის ბედნიერებაა: აქეთ-იქით გვიტაცებენ, მოსვენებას არ გვაძლევენ, თითო კრესლოსთან ჯერში ორი ჯენტლმენი იცდის. ქალიშვილებს ყოველ დღე იმდენჯერ შეუძლიანთ ისადილონ და ივახშმონ, რამდენსაც მოიპრიანებენ, მაგრამ მე არავის ყურადღებას არ ვაქცევ და ვერც ახერხებს ვინმე ჩემი თავის მოქონვას, რადგანაც გართული ვარ მაღალი კითხვების გადაჭრის ფიქრში, რომელიც კისრად გვაწევს მე და მისტერ ეჯერტონს. ძნელი დასაჯერისია, რომ ეს ყველაფერი გადახდა კემდენ-ნიუ-ჯერსეის უბრალო ქალიშვილის თავს, მაგრამ მაინც ჭეშმარიტი სინამდვილეა და მისტერ ეჯერტონი მეუბნება, რომ შემიძლიან ვმართო ამერიკის ხალხის ბედი ისე, როგორც მომეპრიანება.

რასაკვირველია, თქვენ წაიკითხავდით იმ დიდ სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა ქადაგმა ელსის ყრილობაზე და რომელშიაც სიტყვა-სიტყვით იყო ნათქვამი ის, რაც მე ვასწავლე ეჯერტონს ქადაგისთვის სათქმელად. მაგრამ, ეტყობა, ყველაფერი ეს მისტერ ეჯერტონს გადაუცია იმგვარად, რომ ძალიან ლამაზი გამოვიდა: მეტად საამურის და ტკბილის მღელვარებით ვკითხულობდი ამ სიტყვას, ვამაყობდი და ვხარობდი, რომ ვცხოვრობ იმისთანა მდიდარს ქვეყანაში, რომელიც გარემოცულია ასეთი განსაცვიფრებელი კეთილდღეობით. მაგრამ უნდა ისიც გითხრა, რომ ხანდახან მომივლიან ისეთი წუთები, როდესაც გაგიჟებით მინდა ხოლმე, რომ ამ სიმდიდრიდან მეც მერგოს რაიმე წილი. აი სწორედ ეხლა დავაჯლანე ჩემი ტანისფერი ჩულქები, ჩემი საუკეთესო ჩულქები,

რაც მეტად უშნოდ გამოვიდა, და უშნოდ სჩანს, მით უმეტეს ეხლა, როდესაც ჯენტლმენები ქალებს ყველაზე მეტად ფესებში ეყურებენ. ჩემმა ბინის დიასახლისმა სული ამომართვა და ერთ წუთსაც არ მაცლის ბინის ქირას, ჭამის მოკლება კი ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ხომ არ შეიძლება დამშეული მიხვიდე მისტერ ეჯერტონთან ერთად რომელიმე საზოგადოებაში და სუფრაზე დაჯდომის დროს ყველაზე წინ დააფრინდე საჭმელს მშიერი ძერასავით.

იცი, დედაჩემო? დღეს სასაუზმოთ რო მივდიოდი, [illegible] ვგონია, რომ იმის ცოლს შევხვდი გზაში,—ყოველ შემთხვევაში იმის ცოლადა ვთვლი, რადგანაც ძაან სამწუხარო იქნებოდა, ამ საქმეში ჩარეულიყო კიდევ რომელიღაც მესამე ლედი. ის მასთან იჯდა ისეთ კალიასკაში, რომელსაც კუპეს ეძახიან და ჰგავს დიდს, ახალშინებიან თვლებზე შეყენებულ შუშის ყუთს. კალიასკა კუთხეში დადგა და იგი ჩამოვიდა ეკიპაჟიდან. რაღა თქმა უნდა თავი ისე დავიჭირე და ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქო აქამდე არასოდეს ჩემ სიცოცხლეში არც კი შემხვედროდეს იგი, ასე ვიყავით შეთანხმებულები. მაგრამ მაინც მოვასწარ მისი კარგად გასინჯვა. რასაკვირველია შენ წარმოდგენილი გექნება, თუ როგორი ელეგანტურია იგი! ერთი პატარა ჩუჩრუტანაც კი არსად არა აქვს მის აბრეშუმის ჩულქებს და ციყვის ჟაკეტს. იგი—ზორბა, ჩასუქებული, გათქლეშილი ლედია. ისინი რომელიღაც კონტორაში შევიდნენ და ვიფიქრე, ალბად კვლავ მიიყვანეს რომელიმე სპეციალისტ ექიმთან, რომელიც გამოურკვევს, თუ სად გადაუცოცდა მას გულიდან კიბო მეთქი. შემდეგ განვაგრძე გზა და ვიფიქრე: რა იქნებოდა მეც რო გამჩენოდა გულში ის კიბო? ყველა სპეციალისტები ჩემზედაც დაიწყებდნენ ნადირობას? მაგრამ მევე უპასუხე ჩემ თავს: ხომ არ შეიძლება, რომ ქვეყნაზე ყველაფერი ჰქონდეს ადამიანს,—არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ისეირნო ელექტრონის კუპეებით, ატარო ციყვის ჟაკეტი და იცნობდე კიდეც მდაბიო ხალხის დიად გულს, რომ ასწავლო ქადაგს, სად, ან რა ილაპარაკოს მან.

P. S. კიდევ მომივიდა დაპატიჟების ბარათი მისტერ ეჯერტონისაგან და მასთან ერთად წავედით სასადილოდ.

ის მართლა იმისი ცოლი ყოფილიყო, როგორც ვფიქრობდი.

თურმე მაზოლების სპეციალისტმა ექიმმა აღმოაჩინა, რომ ფეხის თითები გულის კიბოსაგან კი არა, ვიწრო ფეხსაცმელებისაგან სტკივებია.

მისტერ ეჯერტონმა ბოდიში მოიხადა, რომ არ გამომელაპარაკა მაშინ, მაგრამ მე უთხარი, თავი დაენებებინა ამ ზედმეტი ლაპარაკებისათვის და პირდაპირ გადასულიყო საერთაშორისო საქმეებზე. მაშინ ჩვენ სხვა ადგილას წავედით, უფრო იაფფასიან სასადილოში, სადაც სამოც ცენტად მოგვიტანდნენ მეტად უბრალო სადილს. მისტერ ეჯერტონი ძალიან ბოდიშებს იხდიდა, მაგრამ ამბობდა, რომ სხვანაირად არ შემიძლიან, რადგანაც სხვაგან შეიძლება ვინმე ჩემი ნაცნობთაგანი შემხვდესო. ამისთანა ადგილებში კი დარწმუნებულია იგი, არავინ შეჰხვდება.

დავიკავეთ პატარა ოთახი, მიუსხედით სუფრას და ვუბედობდით. მისტერ ეჯერტონმა რამდენიმეჯერ მისცა ფული ლაქიას, მხოლოდ იმისთვის, რომ იქ

ვლაპარაკობდით. ლაქიამ სამაგიეროთ რამდენიმეჯერ მოგვიტანა ყავა. თუ იმ ყავას ყავასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ყოველ შემთხვევაში ყავად უნდა მიგვეჩნია, რადგანაც ყავის ჭიქებით მოჰქონდა იგი.

ჰო და აი ასეთია ამ ჟამად საერთაშორისო მდგომარეობა. ევროპის ყველა ხალხები გვთხოვდნენ ბლუჯ-ბლუჯა ფულებს იმისთვის, რომ შეესყიდათ თოფები და ათასგვარი სხვა საცემი რამეები, რათა ეტყიპათ ერთმანეთ-ყოველ დღე მორბოდნენ, ყოველ დღე მიჰქონდათ სულ ახალ ახალი მიმართვანი, უეჭველია, კაიზერი შეშასა სჭრის ჰოლლანდიაში, ჩვენ კი ასაკრეფი გვაქვს გაცემული ფულები და არ ვიცით როგორ დავიწყოთ ეს საქმე. მისტერ ეჯერტონი ამბობს, რომ ეს ვაჟბატონები—ევროპიელები--საშინლად უპრინციპო ხალხია.

მეც ვიცი ეგა მეთქი, უპასუხე. უთხარ, რომ მათ ზესახებ ძალიან ბევრი წამიკითხია, რომ გაზეთები მათ ბოლშევიკებს უწოდებენ მეთქი.

— არა, ბოლშევიკებზე არ მოგახსენებთ—სთქვა მისტერ ეჯერტონმა—ეგენი რევოლიუციონერები არიან და პირდაპირ ამბობენ, არ მოგცემთ ვალსაო. მე ვამბობ ფრანგებზე, იტალიელებზე, პოლონელებზე და ყველა დანარჩენ სხვებზე, რომელნიც ამბობენ გადავიხდითო და არ კი იხდიან ვალს.

— მერე რა განსხვავებაა—ვკითხე მე,—რა განსხვავებაა თანახმათა და უარისმთქმელთა შორის, თუ არც ერთი და არც მეორე არ იხდის ვალს?

— ძალიან დიდი—მიპასუხა მან. თუ თანხმობას აცხადებთ ვალის გადახდაში—გცნობენ.

— მერე, რა განსხვავებაა?

— ისა, რომ თუ გცნობენ, მაშასადამე კიდევ გეძლევათ უფლება აიღოთ ვალი რამდენიც გნებავთ.

— ღმერთო ჩემო!—წამოვიძახე მე. — რა კარგი იქნებოდა მეც ვეცნე ვისმე!

მაგრამ მაშინვე მივხვდი, თუ რა დიდი სისულელე წამომცდა და შემეშინდა, იმაზე ხომ არაფერი გაიფიქრა, ქუჩაში რომ ვერ მიცნო მეთქი.

შემდეგ მიამბო მან, თუ როგორა სწუხს ქადაგი ამ ვალების შესახებ, თუ რა უძილოდ ატარებს მთელ ღამეებს ამაზე ფიქრით, რადგანაც ეს, ვალები, ერთად-ერთი საკითხია, რომელიც, მისის აზრით, თავის თავად ვერ გადასწყდება. ის ამაში დარწმუნებულია იმისთვის, რომ იგი აღზრდილია მეტად ცივ და ქვიან ქვეყანაში.

სხვათა შორის, მე შევცდი, როცა ამ ქვეყნის სახელი ფლორიდა მეგონა. ფლორიდა თურმე სულ სხვა ადგილი ყოფილა, რომლის სახელიც კიდევ დამავიწყდა. მგონი ჩრდილო კაროლინა უნდა ერქვას, რადგანაც იგი ძაან შორს არის ჩრდილოეთში. ჰო, და, გესმის, თურმე ამ ქვეყნის მცხოვრებთ ძაან ეჯავრებათ ვალების გადაუხდელობა და ამ ვალების მოკრეფა მათი განსაკუთრებული ხელობა ყოფილა, რაშიაც ქადაგს შეუძლიან თავის თავი დახელოვნებულად სცნოს. იგი თურმე სულ ამ ხელობას მისდევდა თავის სიცოცხლეში.

მაგრამ ამოდენა ვალების აკრეფა არასოდეს არ მოჰხდენია თავის შტატში და, საერთოდ, მისტერ ეჯერტონი ამბობს, რო ამდენი ვალები ჯერ არ ახსოვს

მთელს მსოფლიოსაო; თურმე ქადაგს ღამ-ღამობით ბნედა ეცემა ამ ვალებისაგან და ხშირად სიზმარში ხედავს, თითქო ამ ვალების კლდე ინგრეოდეს, როგორც ერთი მთა ჩრდილო კოროლინაში, და ქვეშ იტანდეს მას. თურმე ამის გამო ყოველ დილით ოფლში გაწურული დგება იგი ლოგინიდან, ეძახის მისტერ ეჯერტონს და თავს აბეზრებს კითხვებით: მითხარ, როგორ მოვიქცე, როგორ მოვახერხო, რა საშუალება ვიხმარო, რომ მოვკრიფო იმდენი ფული, რამდენიც არ არსებობს მთელს ქვეყანაზეო. ეს არაფერი ეგონება, კაცსა, მაგრამ არც ისე სახუმროა, რადგანაც ეს ვალი ოქროთი უნდა იქნეს მოკრეფილი და ამისათვის საჭიროა ოქრო ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე მოიპოება მთელს დედამიწის ზურგზე. მისტერ ეჯერტონი ამბობს: გერმანიაში არის ერთი პროფესორი, რომელიც ძალიანა ცდილობს გამოიგონოს უფრო მეტი ოქრო, ვიდრე არის დედამიწაზე, მაგრამ ამ საიდუმლოს არ გააცხადებს თუ ახალი ომი არ მოახდინაო, და ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ კვლავ უნდა ვაძლიოთ სესხი ევროპის სახელმწიფოებსაო. მაგრამ მაინც რამე უნდა ვიღონოთ, თორემ ქადაგს სულ მთლად გაუფრთხება ძილი თვალებიდან და ეს კი ძალიან შეარყევს მის ჯანმრთელობას.

და აი ასე, დედაჩემო, შენ ჰხედავ, რომ ახალი ტვირთი დააწვა ჩემს სუსტ მხრებს, რომელნიც ასეთ სიმძიმეს არ იყვნენ ჩვეულნი. მაგრამ მე გადავწყვიტე ბოლომდე მოვითმინო ყველაფერი. ამიტომ ვიჯექი დიდხანს, ვფიქრობდი და ბოლოს ვსთქვი:

— ევროპიელებმა ამ ფულით აუარებელი საქონელი წაიღეს ჩვენგან, არა? მან მიპასუხა, მართალიაო, და ამაზე მე მიუგე:

— მაშინ იმათაც საქონლის სახით გადაიხადონ, გამოგვიგზავნონ ისეთი საქონელი, რომელსაც ისინი ამზადებენ და ჩვენ გვჭირდება.

— არა მის რიქს— სთქვა მან,—ასე არ შეიძლება, რადგანაც ჩვენს ქარხნებშიაც საკმაოდ ზზადდება ყველაფერი ის, რაც ჩვენა გვჭირდება.

— მერე რა არის—ვსთქვი მე,—უფრო კარგი არ არის, ორჯერ მეტი იქნება.

— ეს შეუძლებელია. ჩვენ ხალხს არ ეყოფა ფული ამ საქონლის ყიდვისთვის, ამისთვის საჭირო გახდება ფაბრიკა-ქარხნების დაკეტვა, რაიც დაამშევს მუშებს და ამოსწყვეტს შიმშილით.

აბა უყურე დედა! ჰხედავ როგორ გაუგებარი და საცოდავი ვყოფილვართ ჩვენ, საწყალი მუშები! განა ყველაფერი აშკარა და დღესავით ნათელი არ არის? ჩვენ, ეგრედწოდებული, სატარიფო კანონებიც კი გვაქვს შემოტანილ საქონელზე გადასახადის დასადებად, რათა ევროპიელებმა იაფფასიანი საქონელი არ გადმოგვიყარონ, და ამის გამო არ დაიკეტოს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, რაც გამოიწვევს უმუშევრობისაგან მშრომელი ხალხის შიმშილს.

ეხლა მივხვდი, თუ რათა ყოფილა ეგრე შეწუხებული ქადაგი. რაღა უნდა ეშველოს ვალებს, როდესაც არ შეიძლება მიღება არც ფულისა და არც საქონლის?! ვალის გადაუხდელობა კი, შენ კარგად იცი, რა ცუდი ნიშანია! მა-

შინ ხომ აღარავითარი საქმის წარმოება აღარ შეიძლება, თუ კი ამდენს დაჰხარჯავ და აღარაფერს კი აღარ მიიღებ.

უნდა გამოვიტყდე, რომ ძაან შიშები ვჭამე, რადგანაც რა უნდა გამეკეთებინა მე, რა მომეთხოვებოდა, საწყალი ოჯახის შვილს შემი „ელიტის მშვენიერების სალონიდან“, როდესაც ეს კითხვები ვერ გადაეწყვიტათ ქვეყნიერების უდიდეს თავებს? მე სულ ვფიქრობდი, მისტერ ეჯერტონი კი იჯდა და თავზარდაცემული მიყურებდა მე, რადგანაც იცოდა, რომ ბევრი ეკიდა ჩემზე. და ბოლოს, არვიცი დედაჩემო, დამიჯერებ თუ არა—მივაგენ, ვიპოვნე. ვიპოვნე და ერთი, თუ ორი დღის შემდეგ ამას გაიგებს მთელი ქვეყნიერება. რასაკვირველია, ქვეყანა ვერ გაიგებს, თუ ეს მე გავაკეთე, რადგანაც ამას გაიგებს ქადაგისაგან, დიდი თეთრი სახლიდან, სადაცა სცხოვრობს იგი და ლაპარაკობს.

— მისტერ ეჯერტონ—ვსთქვი მე,—ევროპიელებს შგონი, ბევრი საყდრები და სურათები აქვთ, არა?

— დიახ, დიახ!

— ამისათვის, მგონი აუარებელი ხალხი მიდის იქ მათ სანახავად, არა?

— დიახ, დია!

— ეს არის ის, რასაც ისინი კულტურას უწოდებენ, არა?

— რაღა თქმა უნდა, ვყელა ეს ფანტაზიით შექმნილი საგნები არის კულტურა.

— ძალიან კარგი—ვსთქვი მე.—არაფერია ქვეყანაზე ისეთი, რაც მეტის მეტად კარგი იყოს ჩვენთვის, ამისათვის წავიდეთ და ვალებში წამოვიღოთ მათი კულტურა. ჩვენ შეგვიძლიან ავაშენოთ მრავალი შესანიშნავი გემი და გავგზავნოთ იქ ორი მილიონი ხალხი, ევროპიელები მოათავსებენ მათ მშვენიერს ატელიებში, ასმევენ, აჭმევენ, მოუვლიან და აუხსნიან კადეც თავიანთ კულტურას.

ამაზე გათავდა ჩვენი ბაასი დედაჩემო. მისტერ ეჯერტონს ისე გაეხარდა, რომ თავპირის მტვრევით გაეშურა ქადაგისაკენ ამის საამბობლად. მე მარტო წავედი შინ. ციოდა და მხოლოდ სახლში მომაგონდა ის, რაზეც სრულებით არ ვიფიქრე ადრე, სახელდობრ ის, თუ ვის ერგებოდა ეს ბედნიერი შემთხვევა—ევროპაში ვალების მოკრეფისა? მეც კი არ ვიტყოდი უარს და სიამოვნებით წავიდოდი პარიჟში და მჯერა რომ ჩემი თანამემამულენი უფრო კარგად მიიღებდნენ და შეირგებდნენ კულტურას, რის პოვნაც მეტად ძნელია კემდენ-ნიუჯერსეში. მაგრამ კარგადა ვგრძნობ დედა, სჯობია ჩვენ არ ვიფიქროთ ამაზე, რადგანაც მჯერა, რომ ჩვენს პარიჟში წასვლასაც ის დაემართება, რაც მუდამ ემართებოდა ხოლმე ელექტრონის კუპესა და ციყვის ჟაკეტს—ის ისევ იმათ ერგებათ, ვისაც ისედაც იმდენი აქვთ, რამდენიც საჭირო არ არის.

შენი მორჩილი **მემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კრიტიკა მხატვრობა და პუბლიცისტიკა

ვ. ბოლოტნიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინი ხელოვნებასა და ლიტერატურის შესახებ *)

## I

ვ. ი. ლენინი ძლიერ იშვიათად გამოსთქვამდა თავის აზრს ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, ამიტომ მისი შეხედულებების გადმოცემა ამ საკითხებზე არც ისე ადვილია. ეს საკითხები იმყოფებოდა ვ. ლენინის ყურადღების პერიფერიაზე, თუმცა, როგორც დავინახავთ, ლენინი გულგრილად არ ეკიდებოდა არც ლიტერატურას და არც ხელოვნებას. ვ. ი. ლენინის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან მხატვრულ ლიტერატურას უშუალოთ შეეხება მხოლოდ ოთხი—არც ისე დიდი—წერილი ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ. გაკვრით ეხება ლიტერატურას შენიშვნა გერცენზე და წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა". ლენინის მიერ ცალკე შემთხვევებში გამოთქმული აზრები ხელოვნებასა და ლიტერატურის შესახებ, რომლებიც ჩვენ გვხვდება მის ვრცელ მიწერ-მოწერაშიაც კი, ძალზე უმნიშვნელოა: ლენინის ნებისყოფა და ყურადღება ისე იყო გატაცებული ბრძოლის ძირითად პრობლემებით, რომ ლენინს არ რჩებოდა არც დრო და არც ინტერესი ისეთ დარგებისათვის, როგორიცაა ლიტერატურა და ხელოვნება. ამაში გასაკვირი არაფერია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ სიძლიერეს, რომლითაც მიპყრობილი იყო ლენინის ყურადღება რევოლიუციის მთავარ ამოცანებისადმი.

***

ნაკლებად ვიცნობთ ჩვენ ლენინს—ადამიანს. ბელადის გრანდიოზულმა ფიგურამ დაფარა, დაჩრდილა ჩვენს შემეცნებაში მისი ადამიანური, ინტიმური სახე. ლენინის პირადი ცხოვრება თითქოს ჩვენთვის არც კი არსებობს. ჯერ კიდევ არავის უგვრძვნია ჩვენთვის ლენინი მთლიანათ,—როგორც მოაზროვნე, მებრძოლი, ადამიანი. მაგრამ ზოგიერთი მოგონება, როგორც ჩვენ მოგვეპოება, მაინც ასურათებს ლენინს როგორც ადამიანს, რომლისთვის არაფითარი ადამიანური არ იყო უცხო. ლენინს უყვარდა სიცილი, სიმღერა, მხიარულობა. უყვარდა მუსიკა,—იმდენათ ემორჩილებოდა ხმების ამ აღელვებელ გავლენას, რომ გაურბოდა მას. მაქსიმ გორკი მოკლე შტრიხებით გასაოცრათ ფენს შუქს

*) ავტორის ყველა დებულებას რედაქცია არ იზიარებს. რ ე დ.

ლენინის სახეს. ერთხელ, მოსკოვში ნაცნობებთან ბეტხოვენის მოსმენის დროს, რომელსაც ასრულებდა დიდი ოსტატი, ლენინმა სთქვა:

„არაფერი არ მეგულება „apassionata"-ზე უკეთესი, მზათ ვარ მოვისმინო ის ყოველ დღე, განსაცვიფრებელი, არა ადამიანური მუსიკაა. მე ყოველთვის ამაყურათ,—შეიძლება—გულუბრყვილურ, ბავშურ ამაყობით—ვფიქრობ; „ეი როგორი სასწაულის მოხდენა შეუძლიათ ადამიანებს".

სასწაული! რას იტყოდა ა. ბოგდანოვი თავისი ზოგადი ორგანიზაციული თვალსაზრისით? ის მოუფიქრებლად, დაუყონებლივ, ალბათ გვიპასუხებდა, რომ ტექტოლოგიური თვალსაზრისით სწორეთ ეს „აპასიონატა" ახდენს ადამიანთა ფსიქიკის ორგანიზაციას არა კოლექტიურ შრომის თვალსაზრისის მიმართულებით, ამიტომაც შეუძლებელია მიეკუთვნოს ის ნამდვილ პროლეტარულ კულტურას.

ლენინი კი მხრების აწევით იტყოდა: „რა სისულელეა!" და გააგრძელებდა ვირტუოზის საოცარ მუსიკის მოსმენას,—ვირტუოზის, რომლის პროლეტარულად მონათვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

„მაგრამ—ეუბნებოდა ლენინი გორკის,—მუსიკის მოსმენა ხშირათ არ შეიძლია, მოქმედობს ნერვებზე, მსურს კეთილ სისულელეზე ლაპარაკი და ხელის მოსმა თავზე ადამიანებისა, რომლებიც სცხოვრობენ ბინძურ ჯოჯოხეთში და შეუძლიათ ასეთ მშვენიერების შექმნა. დღეს კი არავისზე არ შეიძლება ხელის მოსმა, ხელს მოგჭამენ—საჭიროა ცემა თავზე, ცემა უმოწყალოთ, თუმცა ჩვენ, იდეალებში, წინააღმდეგი ვართ ადამიანებზე ყოველგვარ ძალადობისა".

მეორე საკვირველ მომენტზე მოგვითხრობს თავის მოგონებებში მ. ლიადოვი („ჩემი შეხვედრანი ლენინთან"). ერთხელ, გვიამბობს ლიადოვი,—1904 წელს ყენევაში ლენინსა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიასთან ერთად ვიყავი თეატრში. მიდიოდა „ქალი გვირილით", ყველაზე უფრო სანტიმენტალური ბურჟუაზიული მელოდრამა. მაგრამ **თამაშობდა** სარა ბერნარი—გენიალური მსახიობი, რომელსაც პროლეტარულს არ უწოდებს ი. ვარდინიც კი. „ილიჩი იჯდა ლოჟის ბნელ კუთხეში—მოგვითხრობს ლიადოვი,—როცა მე შევხედე მას, შევნიშნე, რომ ის მორცხვათ იწმენდდა ცრემლებს"

„მომტირალი ლენინი"—რა იშვიათი სანახაობაა! მაგრამ ამ სანახაობიდან არაა საკმარისი დავასკვნათ, რომ ეი, რკინის კაცი, ფოლადისებური მებრძოლი მას შეეძლო სენტიმენტალურად ყოფნა, შეეძლო „ცრემლების ფრქვევა" მოგონილზე და სხ. საქმე იმაშია, რომ ამ ცრემლებს იწვევდა **მსახიობი**, ე. ი. **ხელოვნების** კაცი, **ხელოვნების საშუალებით.**

და ეი აქაც კი ტექტოლოგიის ჩვენი შემქმნელი შენიშნავდა ღრმა აზროვნულად, რომ სარა ბერხარი ახდენს ადამიანთა ფსიქიკის ორგანიზაციას არა კოლექტიურ შრომის თვალსაზრისის მიმართულებით და სხ., მაგრამ აქ ლენინიც კი დაიქნევდა მასზე ხელს: ხელოვნება გვაცებს ცრემლებს, ხელოვნება გვაღელვებს, ამოძრავებს ფსიქიკას, ხოლო ფილოსოფოსი ასხამს ხელოვნებას ტექტოლოგიურ წყალს.

უკვე ამ შემთხვევით ნიშნებიდან, რომლებიც შენახულია ჩვენთვის ლენინის მეგობრების მიერ, შეიძლებოდა ზოგიერთი დასკვნის გამოყვანა ხელოვნებასთან ლენინის დამოკიდებულების შესახებ. ლენინს უყვარდა ხელოვნება და მიაჩნდა ის დიდ ძალათ. სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ის აღნიშნავდა სიტყვით „ლამაზი". ძველი ესთეტიკის ეს სადაო ტერმინი ამ ჟამად უკვე ბუნდოვანი გახდა. ამ ტერმინში ჩვენ არ ვათავსებთ [illegible] საგულისხმო შინაარსს. მაგრამ ლენინს არ დაუსახავს მიზნათ ხელოვნებასთან დამოკიდებულების გამოხატვა სრული სისწორით. მან აიღო „მოსიარულე", სიტყვა, რომელიც შეხვდა ხელში და როგორლაც შენიშნა: „ჩვენ ვართ ნამეტანი „უარისმყოფელნი მხატვრობაში". ლამაზი უნდა შევინახოთ, ავიღოთ იგი როგორც ნიმუში, გამოვიდეთ მისგან, თუ გინდ ის „ძველიც" იყოს. რატომ უნდა ავუხვიოთ ჩვენ გვერდი ჭეშმარიტად ლამაზს, უარი ვსთქვათ მასზე, როგორც **გამოსავალ წერტილზე** შემდგომ განვითარებისათვის, მარტო იმ მოსაზრებით, რომ ის „ძველია"?

ესეც უდიდესი მნიშვნელობის შენიშვნაა. ლენინის შეხედულებით, ძველ ხელოვნებას, თუმცა ის „ძველია", მაინც მოეპოება ელემენტები, რომლებიც გვაიძულებს ჩვენ ამ ხელოვნების შენახვას, და მის დასახვას შემდეგ განვითარების გამოსავალ წერტილად. როდესაც ჩვენ გამოგვყავს ასეთი დასკვნები ამ შენიშვნებიდან, ვხედავთ, რომ ამ შემთხვევით, უბრალოთ წარმოთქმულ სიტყვებში იმალება ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებათა სისტემა, რომელიც არსებობდა ლენინის შეგნებაში, თუმცა ლენინს არასოდეს არ უფიქრია, მიეცა ამ სისტემისათვის მწყობრი და ლოგიური ხასიათი.

ლენინი ხელოვნებაში ხედავდა დიდ ძალას და სთვლიდა, რომ ხელოვნება უნდა იყოს არა ზოგიერთებისათვის, არამედ ყველასათვის. სიამოვნება, რომელსაც ხელოვნება გვრიდა ლენინს, ზედმეტად არწმუნებდა მას ბრძოლის აუცილებლობაში: სიამოვნება, რომელიც განუცდია მას პირადათ, უნდა გახდეს ხელმისაწვდომი მთელი კაცობრიობისათვის, რომელიც მოკლებულია ამ მაღალ განცდებს. არის კი სახელდობრ ასეთი რევოლიუციონური დასკვნა ა. ბოგდანოვის ესთეტიურ განცდათა სქემაში? არა, არ არის. ამავე დროს კი ნამდვილ რევოლიუციონერების ფსიქოლოგიაში ესთეტიური და ანალოგიური განცდები ათბობდა ბრძოლის, პროტესტის, რევოლიუციონური გამბედაობის გრძნობებს. ჩვენი სქემატიკოსი „ზოგადი ორგანიზაციული მეცნიერების" თვალსაზრისით გვარწმუნებს, თითქოს ბურჟუაზიული ხელოვნება ახდენს ფსიქიკის ორგანიზაციას ინდივიდუალისტურ, ე. ი. ანტიპროლეტარული თვალსაზრისით, პროლეტარიატის მიზნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოთ. მაგრამ ნამდვილი რევოლიუციონერები, როდესაც ეხებოდნენ ნამდვილ ხელოვნებას, პრაქტიკაში განიცდიდენ სულ წინააღმდეგს: ხელოვნება ახდენდა მათ ფსიქიკის ორგანიზაციას **სწორეთ პროლეტარიატის მიზნებისა და ამოცანების მიმართულებით.** ვღებულობთ იმის საწინააღმდეგო სურათს, რომელსაც გვიხატავდა ა. ბოგდანოვი. ცხადია, რატომ: ბოგდანოვმა ვერ გაითვალისწინა **ამთვისებელი გარემო.** მან იცოდა, რომ ხელოვნებაში შეიძლება შევამჩნიოთ კლასიურ ფსიქოლოგიის

ელემენტი. მაგრამ ბოგდანოვს დააავიწყდა რომ **გარემო**, რომელიც **ითვისებს** ამ ხელოვნებას, აგრეთვე ხომ არის **კლასიური** გარემო და მის ათვისებას, მაშასადამე, შეუძლია თავისი კრიტიკული როლი ითამაშოს. ბოგდანოვის ესთეტიკა, მარქსიზმის თვალსაზრისით, ცუდია იმით, რომ **ის ვერ ითვალისწინებს შემთვისებელ გარემოს კლასიურ ხასიათს**: ეს გარემოება შეუმჩნეველია ა. ბოგდანოვის მიერ, როგორც ეს შეუმჩნეველი დარჩა ბოგდანოვის უნებლიე გამგრძელებლების —„ნაპოსტოველების" მიერ. მატერიალისტურ ესთეტიკას, [illegible] შენდება ბაზისზე: „მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას",—თვალსაზრისით საინტერესოა არა მარტო ის, რის მოცემაც უნდა ხელოვნების მუშაკს, არამედ ისიც, რას ღებულობს ხელოვნებიდან მხერალი. არა მარტო შემოქმედებაში გამოიხატება კლასიური ფსიქოლოგია, არამედ ხელოვნურ ნაწარმოებთა განჭვრეტაშიაც. ამიტომაც ის დასკვნები, რომლებიც გამოყავდა ლენინს ხელოვნების ნაწარმოებთა განჭვრეტით, იყო რევოლიუციონური. ხოლო დასკვნები, რომლებსაც გამოიყვანდა იმავე ნაწარმოებიდან რომელიმე ბურჟუაზიული რეგვენი —საწინააღმდეგო იქნებოდა. ერთ და იმავე მცნებაში „ლამაზი" ბურჟუაზიული რეგვენი და პროლეტარული რევოლიუციონერი მოათავსებენ სხვადასხვა აზრს. სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები ერთ და იმავე ხელოვნურ ნაწარმოებს შეითვისებენ სხვადასხვანაირად. სხვადასხვა კლასი—სხვადასხვა გემოვნება. სხვადასხვა გემოვნებანი—მაშასადამე, სხვადასხვა რეაქციები ერთ და იმავე ფორმაზე. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ხელოვნების სოციოლოგიურ შესწავლაში მნიშვნელობა აქვს, შესასწავლ ნაწარმოების გვერდით, აგრეთვე შემთვისებელ გარემოს. ხხვანაირად კი თეზისი „მდგომარეობის" შესახებ, რომელიც განსაზღვრავს შეგნებას, ხომ დაიმსხვრევა. ეს თეზისი ხომ მუდმივად იმსხვრევა, როდესაც ლაპარაკობენ კლასიურ ხელოვნებაზე და ივიწყებენ გარემოს კლასიურობას, რომელზედაც მოქმედობს ხელოვნება.

ბოგდანოვჩინა—თეორია იდეალისტური და არა მატერიალისტური—სწორედ ასე იქცევა. ეს თეორია ლაპარაკობს, ხელოვნების უნარზე მოახდინოს მხერალის, მსმენელის, მკითხველების „ფსიქიკის ორგანიზაცია" და ვერ ამჩნევს მათ ათვისების კლასიურ ხასიათს. ამ რიგათ, ბოგდანოვის თეორია ქმნის ისეთ რამეს, რომლის დროს ხელოვნებას ძალუძს თურმე შესცვალოს ადამიანის შეგნება, მიუხედავათ მისი კლასიური მდგომარეობისა. ადამიანის შეგნების ორგანიზაცია მის საწინააღმეგო ინტერესების ნიადაგზე—სწორედ ეს არის თავდაღმა დაყენება თეზისის—მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას. სხვანაირად რომ ვსთქვათ: ბოგდანოვის თეზისი იმის შესახებ, რომ ხელოვნება ახდენს შეგნების ორგანიზაციას სწორეთ იმ მიმართულებით, რომელიც სურდა ხელოვანს, ეყრდნობა ანტიმარქსისტულ, ანტიმატერიალისტურ დებულებას: „შეგნება განისაზღვრება შეგნებით".

## II

„ხელოვნება ეკუთვნის ხალხს,—ლაპარაკობდა ლენინი.—თავისი ფესვები მან ღრმათ უნდა გაიდგას მშრომელთა ფართო მასსებში. ხელოვნება გაგებულ

და შეყვარებულ უნდა იქნას ამ მასსების მიერ. ხელოვნებამ უნდა აამაღლოს და შეადუღოს მათი გრძნობა, აზრი და ნებისყოფა. ხელოვნებამ უნდა მონახოს ხელოვანნი მასაში". ასეთია ხელოვნების როლი და ამოცანები. ასეთია „სასურველობის" კატეგორია. მაგრამ ლენინი, როგორც უდიდესი მეცნიერული ბრძენი, რაც არის, და როგორც უდიდესი რეალისტი, ამ კატეგორიას დაუყოვნებლივ უპირისპირებდა „არსებულის" კატეგორიას. ერთ და იმავე დროს ორივე კატეგორიის თვალსაზრისით საგნების განხილვის უნარი ისე, რომ არ მოყვეს მხოლოდ ერთი კატეგორიის გავლენის ქვეშ და არ მოხდეს მეორის დავიწყება — ეს იყო ჭეშმარიტად გენიალური, რაც ამ შემთხვევაშიაც ახასიათებდა ლენინს. სწორეთ ამ უნარიანობაში: საგნებისა თუ მდგომარეობის სწრაფად გათვალისწინება ყოველმხრივ — შავისა და ნათელის, დადებითისა და უარყოფითის, იდეალურისა და რეალურის მხრივ, — გამოიხატებოდა შეუდარებელი ძალა ლენინის, როგორც, მოაზროვნის, როგორც სტრატეგის, ბელადის. „სასურველობის" შესახებ სიტყვებიდან ლენინი მიმართავს „არსებულს".

„იმისათვის, რათა ხელოვნებას შეეძლოს ხალხთან დაახლოება და ხალხის კი — ხელოვნებასთან, ჩვენ ჯერ უნდა ავამაღლოთ ხალხის საერთო განათლებისა და კულტურული დონე". ხელოვნების პრობლემა მდგომარეობს ხალხის საერთო დონის ამაღლების პრობლემაში. პირველ შეხედვით ეს შეიძლება მოგვეჩვენოს ისეთ შეხედულებათ, რომელიც თავისთავად დიდს არაფერს არ წარმოადგენს. ამავე დროს კი სწორეთ ამ შეხედულებაზეა დამარხული, როგორც მცენარე თესლში, ლენინის დამოკიდებულება პროლეტარულ კულტურასთან, კულტურის საკითხებთან და სხ. ხელოვნების პრობლემებში არის განათლების პრობლემები. ეს ნიშნავს: თუ თქვენ გსურთ ხელოვნების წინ წაწევა, ისწავლეთ და ასწავლეთ წერა-კითხვა. თქვენ გსურთ ხელოვნება გახადოთ სახალხოთ — მაშ ასწიეთ ელემენტარული ცოდნა. თქვენ გსურთ გაამდიდროთ კაცობრიობა ხელოვნების გენიალური ნაწარმოებით — ჯერ აამაღლეთ კაცობრიობა თავისი უმრავლესობის სახით, განათლებით. ეშმაკმა უწყის როგორ პირობებში ცხოვრობს ის, არ იცის როგორ დაიცვარცხნოს თმა, არ იჭრის ფრჩხილებს, სძინავს იატაკზე და არ გააჩნია თავისი ყოფის შეცვლის საშუალება, — მანამ კი თქვენი გენიალური ნაწარმოებები იქნება ნაწარმოებები უმცირესობისათვის, ერთ მუჭისათვის, სხვანაირათ რომ ვსთქვათ თქვენი ხელოვნება ვერ შესძლებს თავისი დანიშნულების მილიონ ნაწილის შესრულებასაც. ეს არ ნიშნავს, ცხადია, იმას, რომ საჭიროა ხელის აღება ხელოვნებაზე. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ არ უნდა დავიწყოთ ლაყბობა ხელოვნებაზე, მის დემოკრატიზაციაზე და კულტურის მშენებლობაზე იმის მაგიერ, რომ საქმით მაღლა ავსწიოთ ეს კულტურა, ე. ი. ვასწავლოთ ანგარიში და წერა, ხელოსნობა, მივცეთ ცოდნა, ავსწიოთ ელემენტარული სამეურნეო და კულტურული კეთილდღეობა.

ლენინის უარყოფითი დამოკიდებულება პროლეტარულ კულტურაზე ყოველგვარ ლაპარაკთან, იმყოფებოდა მჭიდრო კავშირში ლენინის შეხედულებებთან ხელოვნებაზე და მის უღრმეს რეალიზმთან, რომელიც ხედავდა მთელ უშედეგობას, უნაყოფობას, ხან კი თითქმის ზიანსაც ცარიელ სიტყვათა კორიანტელში.

ლენინი წინააღმდეგს გამოსთქვამდა მაშინაც, როდესაც ხელოვნების ქველმომქედათ სურდათ „სანახაობათა“ მორთმევა მშრომელთა ფართო წრეებისათვის“. ეს არაა საკმარისი,— ამბობდა ლენინი.—სანახაობა —ეს ტკბილი გასართობია მხოლოდ. მშრომელი მასსები ღირსია „რაღაც მეტის, ვიდრე სანახაობა. მათ მოიპოვეს უფლება ნამდვილ დიდ ხელოვნებაზე“. აი რეალისტური, პრაქტიკული დასკვნა, რომელიც ლენინისათვის უშუალოდ გამომდინარეობდა ამ დებულებიდან: „ამიტომაცაა ჩვენ, პირველ რიგში, მოვითხოვთ სალსის ნამდვილ ფართო განათლებას და აღზრდას: ეს ქმნის ნიადაგს კულტურისათვის, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ პურის საკითხი გადაწყვეტილი იქნება. ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს მართლაც ახალი, დიდი კომუნისტური ხელოვნება, რომელიც შექმნის თავის შინაარსის შესაფერ ფორმას“.

ლენინი ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხელოვნებას, რომ როდესაც ერთხელ ჩამოვარდა საუბარი იმის შესახებ, თუ რით უნდა შეიცვალოს რელიგია, რომელიც აუცილებლათ უნდა გაქრეს მშრომელ მასსების შემეცნებიდან, ლენინმა შენიშნა: თეატრის, ე. ი ხელოვნების გარდა არ არის არც ერთი ინსტიტუტი, „არც ერთი ორგანო, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია რელიგიის შეცვლა“. ამის შესახებ მოგვითხრო მ. ი. კალინინმა თავის სიტყვაში ხელოვნების მუშაკთა საკავშირო მეხუთე ყრილობაზე, 1925 წ. მაისის 25-ს.

დიდ თეატრს ლენინი სთვლიდა „მემამულეთა კულტურის“ ნაშთად და ერთხელ, საშინელ სიმშილობის დროს, აყენებდა საკითხს მის დახურვის შესახებ. მაგრამ ეს არ უშლიდა ლენინს, სწორათ შეეფასებინა მემამულეთა კულტურის ეს ნაშთი. როდესაც „1919 შიშვილ წელს, ზამთარში ამხ. გალკინმა დასვა საკითხი სახკომსაბჭოში დიდი თეატრის დახურვის შესახებ, სახელმბრ—პროლეტარიატის თვალსაზრისით ამ „მემამულეთა კულტურის ნაშთის“ მიუღებლობის შესახებ, სადაც იდგმებოდა ისევ „ბურჟუაზიული ოპერები“ და „არაფერი მუშებისათვის, არაფერი წითელარმიელებისათვის“,—მაშინ სწორედ ლენინმა გადაარჩინა დიდი თეატრი დახურვას.

კენჭის ყრის დროს ლენინმა, სხვათაშორის, წამოისროლა რამოდენიმე, თითქოს უმნიშვნელო ფრაზა, რომელმაც გადასწყვიტა ჩვენს ქვეყანაში საოპერო ხელოვნების ბედი:

„მე მხოლოდ მეჩვენება—სთქვა ლენინმა,—რომ ამხ. გალკინს რამოდენიმეთ გულუბრყვილო შეხედულება აქვს თეატრების დანიშნულებასა და როლის შესახებ. თეატრი საჭაროა არა იმდენად პროპაგანდისათვის, რამდენად მუშაკების დასასვენებლად ყოველდღიურ მუშაობის დროს. ხოლო ბურჟუაზიულ ხელოვნების მემკვიდრეობის არქივში გადაცემა ჩვენთვის ადრეა ჯერ კიდევ...“

დიდი თეატრი გადარჩა.

თუ ჩავუკვირდებით ამ შენიშვნის აზრს, კვლავ დავინახავთ ძაფებს, რომლებიც აერთებს ამ აზრს ლენინის მაერ გამოთქმულ სხვა შეხედულებებთან ხელოვნებაზე. ხელოვნება არა მარტო პროპაგანდაა და აგიტაცია. „დასვენება“ — ეს ნიშნავს ადამიანის მოწყვეტას ერთ შთაბეჭდილებისგან და რიცხობრივად სხვა შთაბეჭდილებაზე გადასვლას. დასვენება, რომელსაც იძლევა ხელოვნება,

ვითომცდა შეკუმშულია, მომქმედი, შემეცნების მიმზიდველი სრულებით სხვა მხარისკენ, სხვა ქვეყნისკენ. ეს დასვენებაა, რომელშიაც ცხოველდება და ვითარდება შემეცნება. როგორ ხშირად ხელოვნების ეს ფუნქცია—ერთი, უმთავრესთაგანი—მივიწყებული რჩებოდა ჩვენს თეატრალურ დავაში, და ჩვენს პრაქტიკაშიაც! იმიტომაც ხომ არ იყო ასე მცირედ ესწრებოდნენ მუშათა კლუბებს, რომ აქ ხელოვნების ფრთამოტეხილ ცხენს აბამდნენ ცუდად [illegible] აგიტატორების ეტლში. ლენინსაც უყვარდა დათვალიერება, [illegible] ეძებენ და მხიარულობენ მუშები. ნ. კ. კრუპსკაია მოგვითხრობს ლენინის მოგზაურობის შესახებ თეატრალურ წარმოდგენებზე პარიზის მუშათა გარეუბნებში ომის წინ. გამოდიოდა სახალხო რევოლიუციონერ მომღერალი მონტეგიუსი, რომელიც დიდ სიმპატიით სარგებლობდა მუშებში. აქ ხელოვნება ეხებოდა მშომელთა ფართო მასსებს—სწორედ ამას სცემდა პატივს ლენინი. ის—რომელიც აღფრთოვანებაში მოდიოდა ბეტხოვენის სონატებით, ცრემლს აფრქვევდა სარა ბერნარის თამაშზე,—გატაცებით აკვირდებოდა ქუჩის მომღერლის მოტივებსა და სიტყვებს. რამდენად ძლიერი იქნებოდენ ბეტხოვენი ან სარა ბერნარი, მონტეგიუსის მაგიერ მათ რომ აეღელვებინათ და აეტოკათ კაცობრიობის მრავალთა გულები.

## III

სახალხო და ყველასათვის გასაგებ ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებებთან დაკავშირებულია მისი ლიტერატურული გემოვნებაც. ლენინს, მაგალითად, არ უყვარდა ფუტურისტები. არ უყვარდა ეგრედ წოდებული „ახალი" ხელოვნება. ძალიან ხშირად და გესლიან ირონიით გამოსთქვამდა ლენინი მაიაკოვსკისა და სხვა „ისტების" შესახებ. მაიკოვსკის წიგნი „150.000.000" მას მიაჩნდა „выурной и штукарской". რატომ? თვითონ ლენინმა მოგვცა ამაზე გარკვეული პასუხი: ,,აი მე რამდენიმეჯერ განვიძრახე მაიაკოვსკის წაკითხვა, მაგრამ სამ სტრიქონზე მეტის წაკითხვა ვერ შევძელი, სულ მეძინება".

,,სამი სტრიქონი"—ეს ნათქვამია ლამაზ სიტყვისათვის, რადგან როგორი ,,სტრიქონები" აქვს მაიკოვსკის? მაგრამ აზრი ასეთია: მაიკოვსკი ძნელია გასაგებათ, როცა მას კითხულობ. ,,პუშკინს ვგებულობ და ვსცნობ,—ამბობდა ლენინი,—ნეკრასოვს—ვსცნობ, მაიაკოვსკის კი, მაპატიეთ, ველარ ვგებულობ" [1])

რაშია აქ საქმე? რატომ ლებულობს პუშკინს ლენინი და უარყოფს მაიაკოვსკის? [2]) სწორედ იმიტომ, რომ პუშკინი—სახალხოა. მიუხედავათ თავის გენიალურ ხელოვნების სიდიადისა, პუშკინი გასაგებია, უბრალო, იოლად შესამ-

[1]) ლენინს საერთოდ არ უყვარდა ფუტურისტები. ლ. სოსნოვსკი, ნ. მეჩერიაკოვის სიტყვით, მოგვითხრობს შემდეგს: მაიკოვსკიმ გამოუგზავნა თავისი წიგნაკი ვლადიმირ ილიჩს წარწერით, სადაც ნახმარი იყო სიტყვები კომუნიზმი და ფუტურიზმი—კომფუტი, რაღა. ლენინმა გადაფურცლა წიგნაკი და შენიშნა: „ჰო, თუ ეს კომუნიზმია, მაშინ მხოლოდ ხულიგნური კომუნიზმი უნდა იყოს" (რისთვის ეყვარდა პუშკინი ვ. ი. ლენინს").

[2]) როგორც ვიცით, ლენინია შემდეგ შეიცვალა აზრი მაიკოვსკიზე. ამბ. ვ. პოლონსკი, რატომღაც, არაფერს ამბობს ამის შესახებ. იხ. ნ. კრუპსკაია: „რა მოსწონდა ილიჩს მხატვრულ ლიტერატურიდან" („ნათობი № 2, 1927). რ ე დ.

ცნობი, მიმზიდველი პოეტი უმრავლესობისთვის, მრავალთათვის. ხოლო მაიაკოვსკი კი—ვიწრო წკოლის ბელადია, პოეტია უმცირესობის, ძნელათ გასაგები, რომელმაც ვერ დასძლია თავის არსებაში წრის ხასიათი. აქედან წარმოსდგება მაიკოვსკის მარცხი მკითხველთა წრის გაფართოების საკითხში, როდესაც მსმენელთა წინაშე გამოდის თვითონ პოეტი, ყურადღების მიმქცევ გარეგნობით და ძლიერი ხმით, ხალხს შეუძლია ინტერესით შეხვდეს მის გარკვეულ და თავისებურ დეკლამაციას. ასეთ მომენტში მაიაკოვსკის მართლაც შეუძლია ასთვალოს თავი სახალხო პოეტათ, რომელიც მისაწვდომი იქნება ფართო გაგებისათვის.

მაგრამ როგორც კი მკითხველი ერთად-ერთი რჩება, მაიკოვსკის წიგნებით ხელში, ავტორის ტეხილი სტრიქონებით, თავისებურ რითმით, სიტყვიერი „ინსტრუმენტოვკის" მთელი უახლესი ლაბორატორულ მიღწევებით, უბრალო მკითხველი იგრძნობს მოწყენას: მაიკოვსკის ხელოვნება მიდის გაგების გაძნელების და არა გაადვილების გზით. ეს ააშკარავებს მაიაკოვსკის პოეზიის ინტელიგენტურ წარმოშობას, ამ პოეზიის მცირე რიცხვისთვის გათვალისწინებას. მაიკოვსკის სწორეთ არ ყოფნის გენიალობა თავის ხელოვნების ამ თავისებურებათა დასაძლევათ. მას ძალიან უნდა გახდეს სახალხო პოეტი, სურს დაიკავოს თანამედროვეობაში ისეთი ადგილი, რომელიც ეჭირა სამოქალაქო ომის ეპოქაში დემიან ბედნის,—მაგრამ მაიკოვსკი სავსებით მოკლებულია იმ თვისებებს, რომლითაც მდიდარია დემიან ბედნი. ლენინმა მხოლოდ ეს გამოსთქვა, და გამოსთქვა იმიტომ, რომ გააჩნდა ამის **გამბედაობა.** შეუძლებელი იყო ლენინის დაშინება სიტყვებით „მემარცხენე ხელოვნება". „მემარცხენე"—მაშასადამე კარგია. თუ შენ „მემარცხენე" არ მოგწონს, მაშასადამე შენ რეტროგრადი ხარ, რეაქციონერი, მაშასადამე—ხელოვნებაში არაფერი გაგეგება. ზოგი ვაუბატონი მოხერხებულად ხმარობს ტერმინს „მემარცხენე". უკანასკნელი მთელი სიძლიერე გამომდინარეობს იქიდან, რომ რევოლიუციისათვის ბრძოლაში „მარცხენა" ფრთა ყოველთვის ითვლებოდა უფრო რევოლიუციონურად. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ საპატიო ტერმინით „მემარცხენე" მოხერხებულად სცდილობს ისარგებლოს ხალხმა, რათა უზრუნველყოს თავისი თავი კრიტიკისაგან საზოგადოთ: „ჩვენ მემარცხენენი ვართ, ჩვენი შეხება შეუძლებელია", თუ გინდ ეს „მემარცხენენი" საქმით იყონ ნამდვილი „მემარჯვენენი". მემარცხენეობის ამ „ფეტიშიზაციას" გილი აქვს ჩვენშიაც, უმთავრესათ ახალგაზრდობაში.

საჭიროა გამბედაობა, რათა დაიმსხვრეს ეს ფეტიშიზაცია. შიშის გრძნობა არ გააჩნდა ლენინს და მან აშკარად განაცხადა: ძნელი გასაგებია მაიაკოვსკი; პუშკინი და ნეკრასოვი რამდენად უფრო იოლად გასაგები არიან. ხოლო „უფრო იოლად გასაგები" ნიშნავდა უფრო ხალხურს, ახლოს მასსებთან, მასსებისთვის უფრო გასაგებს. ნამდვილი, მაღალი ხელოვნება შეუძლებელია გასაგები იქნეს მარტო სპეციალისტთა წრისათვის. მიმზიდველ უბრალოებაშია მისი სიძლიერე. ახალი ხელოვნების ყველა ცდები, რომლებიც ხდებოდა ინტელიგენციის ვიწრო წრეში და გათვალისწინებული იყო ამ ინტელიგენციისთვის—(აკი უახლეს ხელოვნების მრავალ მიმართულების ლაბორატორულ მნიშვნელობაში, დაწყებული კუბიზმით და და-და-იზმით გათავებული—შეუძლებელია ეჭვის შე-

ტანა)—არ იზიდავდა ლენინს. თვით „ახალის“ დროშა სრულებით არ ხიბლავდა ლენინს.

„რატომ უნდა მუხლი მოვიდრიკოთ ახალის წინაშე,—ეუბნებოდა ლენინი კლარა ცეტკინას,—როგორც ღვთის წინაშე, რომელსაც უნდა ქედი მოვუხაროთ მხოლოდ იმიტომ, რომ ის „ახალია“? უაზრობაა, სრული უაზრობაა. აქ დიდძალი ხელოვნური ფარისევლობაა და, რა თქმა უნდა, შეუვნებელი პატივისცემა ხელოვნების მოდის, რომელიც გაბატონებულია დასავლეთში—ჩვენ, კარგი რევოლიუციონერები ვართ,—მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ თავს რატომღაც მოვალეთ დავამტკიცოთ, რომ ჩვენც ვსდგევართ „თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე“. მე კი მაქვს გამბედაობა განვაცხადო, რომ „ბარბაროსი“ ვარ. მე არ შემწევს ძალა ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ნაწარმოებები მივიჩნიო ხელოვნების გენიის უმაღლეს მოვლინებათ. მე ისინი არ მესმის. მე არ ვგრძნობ მათში არავითარ სიხარულს“.

ეს მაგრათაა ნათქვამი. რადგან ნათქვამია **გაბედულად**. ჩვენი თანამედროვეებიდან განა ბევრი ვასწარაკდა თავს ასე აშკარად „ახალის“, „მემარცხენის“ წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, რომლის („ახალი“) ფეტიშურ ძალით ჰიპნოტიურად იპყრობს: სიტყვებს: „ახალი“, „მარცხენა“? და ლენინის ამ აღსარებაში მდგომარეობს უდიდესი თეორიული აზრი: ლენინი უარყოფდა „მარცხენას“ არა იმიტომ, რომ ის იყო „ახალი“, ის არ აკუთვნებდა თავს წარსულ ხელოვნებას იმიტომ, რომ ის იყო „ძველი“—ასეთი პრინციპიალური კონსერვატიზმი ლენინს არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ქონოდა. ლენინი უარყოფდა „ახალ“ ხელოვნებას იმიტომ, რომ ეს ხელოვნება იყო ცუდი შედარებით ძველ ხელოვნებასთან, რომელიც იყო „უკეთესი“. ხოლო რატომ იყო ახალი ცუდი? იმიტომ რომ ის ძველზე უფრო ნაკლებათ გასაგები იყო. სხვანაირად რომ ვსთქვათ—ახალი ხელოვნება გათვალისწინებული იყო ვიწრო წრისთვის, ის იყო უფრო იხდივიდუალისტური, მაშასადამე, უფრო ბურჟუაზიული, ვინემ ძველი ხელოვნების მწვერვალები, სახალხოდ—გასაგები. და აქ თეზისი ხელოვნების ხასიათის შესახებ რათა ხელოვნება იქნეს მასებისათვის ხელმისაწვდომი, უჩინრად იყო ჩაქსოვილი ლენინის მიერ ამ ცუდ „ახალ“ ხელოვნების უარყოფაში. აქედან კი შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ, ლენინი არ უარყოფდა „ახალ“ ხელოვნებას საზოგადოთ. ის მოითხოვდა მხოლოდ, რომ უკანასკნელ მილწევებთან ერთად სიტყვის, საღებავ ს და ხმის დარგში ხელოვნება გამხდარიყო არა ნაკლებათ ხალხური, ე. ი. ხელმისაწვდომი ფართე მასებისათვის, ვინემ ძველი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებნი. „ახალი“ გასაგები მცირე რიცხვისთვის, ლენინის თვალსაზრისით, იყო ცუდი შედარებით იმ „ძველთან“ რომელსაც შეეძლო გამხდარიყო მილიონებისათვის ხელმისაწვდომი. ვის შეუძლია უარყოს ამ თვალსაზრისის სიძლიერე და სიღრმე? როდესაც ლაპარაკია ლაბორატორულ ცდებზე, ახალ ფორმების გამოჭედვაზე,—მაშინ „ახალის“ წინაშე უნდა გაიღოს ყველა კარი, და „ახალმა“, ნამდვილმა „ახალმა“ უნდა დაიმსახუროს სრული თანაგრძნობა და სიმპატია. სანამ ეს „ახალი“ იმყოფება „გამოჭედვის“ სტადიაში, სტადიაში მომზადების, შავი ლაბორატორულ მუშაო-

ბის—აი ამ „ახალს“ ნუ ექნება მთელი ძველი ხელოვნების შეცვლის პრეტენზია. ეს „ახალი“ ხელოვნება იმდენად არ გაზრდილა, რომ მას შეეძლოს ფეხის მოკიდება ფართო მასსების შეგნებაში. ასეთია დასკვნები, რომლების გამოტანა შეიძლება ლენინის ზემოთმოყვანილ შენიშვნებიდან.

ძველი ლიტერატურის ფართოდ გაგებით აიხსნება ლენინის ინტერესი კლასიკოსებისადმი. თითქმის ყველანი, რომლებიც იგონებდნენ ლენინს და მის დამოკიდებულებას ლიტერატურასთან, ხაზგასმით აღნიშნავენ ლენინის სიყვარულს კლასიკოსებისადმი. საზღვარ-გარედ გამგზავრების წინ ლენინმა წაიღო თან, ეკონომიურ ხასიათის წიგნების გარდა, ნეკრასოვის ლექსები და ჰიოტეს „ფაუსტი“ (მოგონება ნ. მეჩერიაკოვის).

ლ. ბ. კამენევი ჩამოსთვლის რუს კლასიკოსებს, რომლებიც ლენინს უყვარდა განსაკუთრებით. ესენი იყვნენ: ტოლსტოი, პუშკინი, ნეკრასოვი, ჩეხოვი... პ. ლეპეშინსკი ამ სიას უმატებს შექსპირს, შილერს, ბაირონს. ლენინი ფურცლავდა ხოლმე ბარატინსკის და ტიუტჩევს, ამავე დროს ტიუტჩევი, რომელმაც ასე მოხდენილად შესძლო, როგორც ამას ამტკიცებდა ა. ბოგდანოვი, მკითხველების ფსიქიკის „ორგანიზაცია“ პროლეტარიატის მიზნებსა და მისწრაფებათა საწინააღმდეგო მიმართულებით პ. ლეპეშინსკის თქმით, სარგებლობდა ლენინის „განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებით“. („მოსახვევზე“) ნ. კ. კრუპსკაია ლაპარაკობს ლერმონტოვსა, პუშკინსა და ნეკრასოვზე, რომლებსაც ლენინი კითხულობდა დიდად დაღალვის წუთებში. ნ. კრუპსკაიას სიტყვით ლენინი არამც თუ კითხულობდა კლასიკოსებს, არამედ ხელმეორეთ კითხულობდა ტურგენევს, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის „რა ვქნათ“-ს. ნ. კრუპსკაია მოგვაგონებს რომ სახელდობრ ლენინმა, დაუსახა ამოცანათ სახელგამს რუს კლასიკოსების იაფფასიანი გამოცემათა გამოშვება. იგივე სახელები გვხვდება ჩვენ გ. კრიჟანოვსკის, ლებედევ-პოლიანსკის, ლ. სოსნოვსკის მოგონებებში. ლ. სოსნოვსკი ლენინის სიყვარულს დემიან ბედნისადმი ხსნის დემიანის ცხოველმყოფელობით; ამ აზრით დემიან ბედნი ემსგავსება ბერანჟეს, რომელიც აგრეთვე უყვარდა ლენინს.

ჩვენს წინაშე სდგება, ამ რიგათ, ლენინის ფიგურა, რომელიც ძალიან არ გავს ადამიანს, რომელიც გაურბის ხელოვნებასა და ლიტერატურის საკითხებს. სჩანს, ლენინი არც ისე შორს იდგა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებიდან. ლენინს უყვარდა ხელოვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ გენიალური პიროვნების შეხედულებას ყველა იმ საკითხზე, რომელიც ჩვენ ამ წუთში გვაღელვებს, აქვს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა.

## IV

ლევ ტოლსტოის შესახებ წერილებში ლენინი აღნიშნავს ტოლსტოის ნაწარმოებში ორ მხარეს: 1) გენიალურმა მხატვარმა მოგვცა რუსეთის ცხოვრების არა მარტო **შეუდარებელი სურათები**, არამედ 2) მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. ეს „არა მარტო“ და „არამედ“ ნიშნავს იმას, რომ მხატვრული ლიტერატურა არა მარტო „გამოსახავს“ ცხოვრებას, ამავე დროს მას ახასიათებს რაღაც განსაკუთრებული, რომელიც ამ „გამოსა-

ხვას“ აქცევს განსაკუთრებულად და მას აძლევს საშუალებას მსოფლიო ლიტერატურის „პირველხარისხოვან ნაწარმოების“ დონემდე ასვლის. ცხადია, ხელოვნების ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო ხელოვნების **მასალისაგან**, არამედ მასალის დამუშავების საშუალებისგანაც, მხატვრულ ხერხებისგანაც, მხატვრობისგანაც. 1910 წ. დაწერილ წერილში „ლ. ნ. ტოლსტოი“—ლენინი აკეთებს ტოლსტოის ნაწარმოებთა ანალიზს. ლ. ტოლსტოიმ რევოლუციის წინა რუსეთის ხატვის დროს—სწერს ლენინი,— შესძლო თავის ნაშრომებში წამოყენება იმდენად დიად საკითხების, მიაღწია ისეთ **მხატვრულ** სიძლიერეს (ხაზი ჩვენია. ვ. პ.), რომ მისმა ნაწარმოებებმა დაიკავა ერთი პირველი ადგილთაგანი მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“. აქ კვლავ ორი მხარეა წამოყენებული: 1) საკითხების სიღრმე, მასალის არჩევის სისწორე და 2) „მხატვრული ძალა“, ე. ი. ზოგიერთი განსაკუთრებული რამ, რასაც შეიცავს მხატვრის მიერ აღებული მასალა. „მან მოგვცა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ყოფის ისეთი სახეები, რომლებიც მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს“— ვკითხულობთ ჩვენ წერილში „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“. ჩვენ თუ გავიხსენებთ ყველაფერ იმას, რაც ითქვა ლენინის შეხედულების შესახებ ხელოვნებაზე, ჩვენთვის ცხადი გახდება, სახელდობრ რა ქონდა მხედველობაში ლენინს, როდესაც ლაპარაკობდა ლ. ტოლსტოის, როგორც მხატვრის, „გენიალურ მხატვრობაზე“, „შესანიშნავ ძალაზე“. ეს იგივე მშრომელ მასებისთვის გაგებაა, მიუხედავად თემის სიძნელის, ეს—უნარია მხატვრული კმაყოფის, უბრალოების, სიცხადის, მშვენიერების მოცემის. ამ თვისების გარეშე არ გვეყოლებოდა გენიალური მხატვარი, საზოგადოთ—არ იქნებოდა ხელოვანი. მხოლოდ განსაზღვრულ თვისებათა არსებობა, მასალისგან დამოუკიდებლად, რომელსაც იღებენ სამუშაოთ,—ქმნის მწერალს მხატვრათ, ე. ი. ხელოვნების ნაწარმოებთა შემოქმედათ.

რით არის შესანიშნავი ლ. ტოლსტოის ნაწარმოებნი ე. ი. ლენინის თვალსაზრისით? იმით, რომ ტოლსტოი იყო დიდებული სარკე რუსეთის რევოლიუციის, ე. ი. მთელი ისტორიული ეპოქის.

„ტოლსტოი დიდია—სწერდა ლენინი 1908 წელს,—როგორც გამომხატველი იმ იდეებისა და განწყობილებების, რომლებიც ჩამოყალიბდა რუსეთის მრავალ მილიონიან გლეხობაში, რუსეთში ბურჟუაზიული რევოლიუციის დაწყების წინ“.

გავერკვეთ ამ დებულებაში. ლენინის მტკიცებით, ტოლსტოი არის „Помещик, юродствующий во Христе“. მაშასადამე, ბატონია, წარმომადგენელი მყვლეფელთა კლასის,—ეს ტოლსტოი გვევლინება „მილიონიან გლეხობის განწყობილებათა გამომხატველად“. აი აზრი, რომლის დასაბუთებისათვის შეიძლება მთელი გამოკვლევის დაწერა. ეწინააღმდეგება იგი თუ არა მარქსიზმს? არავითარ შემთხვევაში. მაგრამ ეს აზრი უარყოფს ლაყბობას მწერალზე, რომლის შემოქმედება **დაკავშირებულია** მის კლასიურ ჩამომავლობასთან. მწერლის სოციალური ჩამომავლობა, აბსტრაქტულად აღებული, თავისთავად არაფერს ლაპარაკობს იმაზე, რომელი კლასის—თავისი თუ სხვისი—იდეებსა და განწყობი-

ლებების გამოხატვას შეეცდება მწერალი. ყველაფერი დამოკიდებულია იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე, რომლებშიაც ვითარდება მწერლის შემოქმედება, აგრეთვე—მწერლის პირადი განვითარების ზოგიერთ თავისებურებაზე. ამიტომაცაა არისტოკრატი, მემამულე ხშირათ დასძლევს თავის კლასის სულიერ მემკვიდრეობას, თითქმის კავშირს სწყვეტს მასთან, გამოდის მის **წინააღმდეგაც** კი. ეს პროცესი ანალოგიურია იმისი, რომელმაც პროლეტარიატის იდეოლოგებათ და ბელადებათ შექნა კარლ მარქსი—ვექილის შვილი, ენგელსი—ფაბრიკის მეპატრონის შვილი, გ. პლეხანოვი და ვ. ლენინი—პრივილეგიურ წოდებიდან გამოსულნი და სხვ. მართალია, ამის აღიარება **წესათ** შეუძლებელია. შეუძლებელია აქედან ისეთი დასკვნის გამოყვანა, ვითომც კლასიური ჩამომავლობა არაფერია და არაფერს არ ნიშნავს. ეს იქნებოდა აბსურდი, მარქსისტული მსოფლმხედველობის დამახინჯება. საქმეც იმაშია, რომ მარქსი და ენგელსი, ლენინი და პლეხანოვი და კიდევ სახელების მთელი რიგი—ერთეულებია, გამონაკლისი წესისგან,—ფიგურებია, რომლებმაც—ინტელექტუალური თვისების, ხელსაყრელ ისტორიულ პირობების მიხედვით,—შესძლეს თავის არსებაში საკუთარ კლასის სულიერ გავლენისაგან განთავისუფლება. მარქსიზმის საზოგადო აქსიომა ადამიანის ფსიქოლოგიაზე კლასის გავლენის შესახებ, კლასიურ მემკვიდრეობის შესახებ, რჩება ძალაში. მაგრამ ეს აქსიომა იდეოლოგიურ შემოქმედების სფეროში უშვებს მთელ რიგ გამონაკლისებს, რომლებიც მოითხოვს წესების მოქნილად და რაც მთავარია, არა ბრმათ გამოყენებას.

რა აზრი აქვს ხელოვნების ნაწარმოებთა ჩვენი ანალიზისათვის „გამონაკლისებს"? ძალიან მნიშვნელოვანი. ცუდი მარქსისტი იქნება ის, ვინც ხელოვნების ნაწარმოების განხილვის დროს შეეცდება ამ ნაწარმოებთა ანალიზს, „წესის" მექანიკურად გამოყენებით „გამონაკლისების" შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობით და მხატვრის სოციალურ ჩამომავლობის ფაქტიდან გამოსვლით. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ხელოვნების დარგში კერძო მწერლის როლის და ნაწარმოების კლასიურ ხასიათის ანალიზის დროს მარქსისტული მეთოდი გვევლინება როგორც მოქნილი იარაღი, რომელიც ითვალისწინებს ხელოვანის მხატვრულ იდეოლოგიურ გადახრის მრავალფეროვან შესაძლებლობას მის წარმომშობ კლასის ინტერესებიდან—ამ კლასის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლამდე. მაგრამ ეს გადახრები უნდა მოინახოს, ეს ერთი—და უნდა განმარტებულ იქნას მათი წარმოშობა—მეორე მხრივ, ე. ი. უნდა გამოაშკარავებულ იქნას მექანიზმი მწერალზე იმ სოციალურ ზეგავლენებისა, რომლებსაც მწერალი გადაყავთ თავისი კლასის თვალსაზრისიდან უცხო კლასის თვალსაზრისზე. თავისთავად ცხადია, მარქსისტული მეთოდის ასეთი გაგება ამსხვრევს „მარქსისტულ" კრიტიკის ელემენტარულ, ბრტყელ დ ვულგარულ სისტემას, რომლის მეოხებით მხატვრულ შემოქმედების ხასიათი **წინდაწინ განისაზღვრება** ხელოვანის კლასიურ ჩამომავლობით. ამ შემთხვევაში მარქსიზმი იმდენად არ „იხმარება", რამდენად „მახინჯდება". მარქსიზმის დებულება, რომელიც ლაპარაკობს კლასისა და მხატვრის შორის შესაძლებელ განხეთქილებაზე—სწორეთ ასეთ სურათს ვხედავთ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში ხელოვნების უდიდეს ნაწარმოებთა ანალიზის დროს,—

ანგრევს ა. ბოგდანოვის შეხედულებას შესახებ მხატვრულ არა პროლეტარულ ნაწარმოებთა ორგანიზაციულ გავლენისა უსათუოდ, პროლეტარიატის ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით. რა მიმართულებით ახდენს პროლეტარიატის ფსიქიკის ორგანიზაციას კლასიკური ნაწარმოები—ეს შეიძლება გავიგოთ თითოეულ კერძო შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტულ კვლევა-ძიების საშუალებით. იმის მტკიცება კი, რომ მთელი მსოფლიო ლიტერატურა, დაწერილია არა კოლექტიური შრომის თვალსაზრისით, ახდენს პროლეტარული მკითხველის ფსიქიკის „ორგანიზაციას“ პროლეტარიატის ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებითო,—ნიშნავს გადავარდნას მშრალ და მკვდარ სქემატიზმში, რომლის საშუალებით არა მარტო ხელოვნებაში, უდაბნოშიაც კი ვერაფერს გავაწყობთ. ანალიზი, რომელსაც უკეთებს ლენინი ტოლსტოის, ყირამალა აყენებს მარქსიზმის ბრტყელ და ხისებურ მოხმარებას. დიაღ, ტოლსტოი, ლენინის სიტყვით, არის „Помещик, юродствующий во Христе“. მაგრამ ამავე დროს „მან შეძლო მშვენივრად გადმოცემა განწყობილებისა ფართო მასსების, დამონავებულების თანამედროვე წეს წყობილებით, შესძლო მათი მდგომარეობის, პროტესტისა და უკმაყოფილების სტიქიური გრძნობის გამოხატვა“ (1910 წ. წერილი). ტოლსტოი—ბატონი, არისტოკრატი, **გრაფი** ტოლსტოი,—ამავე დროს მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ „ცხარე, მწარე, ხშირად დაუნდობელ პროტესტს სახელმწიფოსა და პოლიციურ-სახაზინო ეკლესიის“ წინააღმდეგ, ვხედავთ შემდეგ „მიწის კერძო საკუთრების გადაჭრით უარყოფას“ და, წარმოიდგინეთ, „ნამდვილი ღრმა გრძნობით და ნამდვილი აღშფოთებით კაპიტალიზმის დატუქსვასაც“ კი. ყველაფერ ამას ლენინი ხაზს უსვამს მემამულის, ბატონისა და არისტოკრატის შემოქმედებაში.

მაგრამ ამ მომენტებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვანს ტოლსტოის მემკვიდრეობაში, ლენინი აღნიშნავს იმასაც, რომ ეს ფიცხი პროტესტანტი, დაუნდობელი მხილებელი, დიდი კრიტიკოსი „იჩენს ამავე დროს, თავის ნაწარმოებებში კრიზისის მიზეზების და ამ კრიზისიდან—რომელიც ემუქრება მთელ რუსეთს,- გამოსავალ საშუალებათა ისეთ უცოდინარობას, რომელიც ახასიათებს მხოლოდ პატრიარქალურ, გულუბრყვილო გლეხს, და არა ევროპიულად განათლებულ მწერალს“. აქ დამოკიდებულება ისტორიულად განუვითარებელ გარემოზე, განუვითარებელ სამეურნეო ურთიერთობაზე წარმოადგენს ტოლსტოის მეორე მხარეს. გენიალობასაც კი არ შეუძლია ყოველთვის თავის ეპოქის ისტორიულ პირობების დაძლევა: ის შედის თვისი წინააღმდეგობებით და განუვითარებელ შტრიხებით მწერლის პირად გამოცდილებაში და აქედან ლენინი აღნიშნავს ტოლსტოის მეორე მხარეს, ტოლსტოის წინააღმდეგობებს და მის რელიგიურ ქადაგებას. გენიალური ხელოვანი, დიდი მწერალი, „ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელმაც გამოიგონა ქაცობრიობის გადარჩენის ახალი რეცეპტები“. ერთის მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუზოგველი კრიტიკა, მთავრობის ძალმომრეობათა მხილება, სასამართლოს და სახელმწიფოებრივ მმართველობის კომედია, გამოაშკარავება ღრმა წინააღმდეგობისა სიმდიდრის ზრდის, ცივილიზაციის მიღწევების და—სი-

ლატაკის ზრდის, გაველურების, მუშათა მასების ტანჯვის შორის; მეორე მხრივ —ქადაგება ბოროტების წინააღმდეგ ძალდატანების მოხმარების შეუძლებლობის შესახებ. ერთის მხრივ, ნამდვილი ცოცხალი რეალიზმი, ჩამოხდა ყოველგვარ ნიღაბის, მეორე მხრივ—ქადაგება ერთ-ერთი ყველაზე უფრო საძაგელ საგნის, რომელიც კი მოიპოვება ქვეყანაზე, სახელდობრ: რელიგია—მისწრაფება სახაზინო სამსახურში მოკალათებულ ხუცების ნაცვლად ზნეობრივ რწმენით აღჭურვილ ხუცებით, ე. ი. აღიარება უფრო მოქნილ და ამდენადაც უფრო საძაგელ ხუცობის. ჭეშმარიტად—განაგრძობს ლენინი:

Ты и убогая, ты и обильная,
Ты и могучая, ты и бессильная
Матушка Русь...

ლენინი მოკლე სიტყვებით ააშკარავებს ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში ამ წინააღმდეგობათა მიზეზს. ეს წინააღმდეგობანი შემთხვევითი რადია,—ამბობს ლენინი. ამ წინააღმდეგობებში იმალებოდა წინააღმდეგობა რუსეთის ცხოვრების პირობებში, რომლებშიც იმყოფებოდა რუსეთი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ტოლსტოის სულიერ ცვალებადობის სურათი პოულობს თავის გამართლებას. ტოლსტოის წინააღმდეგობებში—მის ნაწარმოებთა ამ სუსტ მხარეებში, გამოაშკარავდა ჩვენი რუსული გამოცდილების ყველა ნაკლი და განუვითარებელი მხარეები. ამიტომაცაა, რომ ტოლსტოი გვევლინება „სარკეთ"—არა მარტო სიძლიერის, არამედ „სისუსტისაც", არა მარტო რევოლიუციონური აღფრთოვანების, პროტესტის, სიძულვილის, უკმაყოფილების, არამედ სირბილის, მოუმწიფებელ ოცნებობის და სხვა მსგავს თვისებების. ტოლსტოის ნაწარმოებებში რელიეფურათ სჩანს „რუსეთის მთელ პირველ რევოლიუციის თავისებურების ისტორიული სახეები, ამ რევოლიუციის სიძლიერე და მისი სისუსტე".

როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს ტოლსტოის ნაწარმოებთან რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა? ის რუსეთი კი, რომლის ძალა და უძლურება აღიბეჭდა ტოლსტოის ნაწარმოებებში, ხომ ეკუთვნის წარსულს და არ დაბრუნდება. რაღა შერჩება ტოლსტოის მემკვიდრეობიდან ჩვენს მებრძოლთა ახალ თაობას?

„ტოლსტოის მემკვიდრეობაში—სწერს ლენინი, არის ის, რაც არ გადაშვებულა წარსულში, რაც მომავალს ეკუთვნის. აი ამ მემკვიდრეობას იღებს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს რუსეთის პროლეტარიატი". პროლეტარიატი აუხსნის მშრომელთა მასსებს და გაყვლეფილებს „სახელმწიფოს, ეკლესიის და მიწის საკუთრების ტოლსტოის კრიტიკის მნიშვნელობას" არა იმისათვის, რომ მასები, როგორც კი ამას გაიგებენ, დაწყნარდენ, არამედ იმიტომ, რომ ამ შემეცნებამ, მიღებულმა დიდი ხელოვანის ნაწარმოებებიდან, უფრო გააძლიეროს ბრძოლის ენერგია. შემოქმედება „მემამულის", რომლის მოძღვრება „უსათუოდ უტოპიურია და თავისი შინაარსით რეაქციონურია ამ სიტყვის ნამდვილ და ღრმა მნიშვნელობით" (1911 წ. წერილი),—ამ ხელოვანის შემოქმედებას ლენინი უშიშრად აწოდებს პროლეტარიატს სულიერ საზრდოს სახით, მას არ ეშინია, რომ პროლეტარიატი მოიწამლება ამ შემოქმედების შხამით, მისი უტო-

პიზმით, რეაქციონურობით, წინააღმდეგობებით. ლენინის აზრით, მავნეა არა თვით უტოპიზმი და რეაქციონურობა, მავნეა ამ უტოპიზმის და რეაქციონურობის **იდეალიზაცია**, იდეალიზაცია ტოლსტოის მოძღვრების, ამ უკანასკნელის გამართლების და შერბილების ცდა. მაგრამ განა პროლეტარიატის სოციალური ბუნება, პროლეტარიატის კლასიური ფსიქოლოგია არ სპობს ასეთ იდეალიზაციის შესაძლებლობას? ამიტომაცაა, ტოლსტოის რეაქციონური ხასიათი—ამ ასათილებს ლენინის თვალში პროლეტარიატისათვის ტოლსტოის ნაწარმოებთა დიდ მხატვრულ-სანიმუშო ღირებულებას. ამიტომაცაა, რომ ლენინი,—ტოლსტოის საფუძვლიანათ შესწავლის და მისი უარყოფითი და დადებითი მხარეების დანახვის შემდეგ—სწერდა იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ „მემამულის" უდიადეს ნაწარმოებთა ყველასათვის მიწვდომა—და იმაზე, რომ ტოლსტოის მხატვრული ნაწარმოებნი „ყოველთვის დაფასებული და წაკითხული იქნება მასსების მიერ, როდესაც ეს მასსები შექმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს მემამულეებისა და კაპიტალისტების ულლისგან განთავისუფლებით".

* * *

ასეთია შეხედულებანი და დასკვნები, რომელთა გამოყვანა შეიძლება ლენინის არც ისე გრძელ წერილებიდან ტოლსტოის შესახებ. შეიძლება მხოლოდ მწუხარება გამოითქვას იმის გამო, რომ ეს წერილები ჯერ კიდევ არ გამხდარა ხელმისაწვდომი ფართო მასსებისათვის, რომ ამ წერილების შესახებ იწერებოდა ცოტა, რომ მრავალი ამხანაგი, ლენინზე „დაყრდნობით", არ ხარჯავდა შრომას იმის შესასწავლად, თუ რას ამბობდა ლენინი ხელოვნებაზე, რომ ყველაფერი ეს გაკეთებულიყო თავის დროზე და შესაფერისად,—ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც იპყრობდა ჩვენს ყურადღებას უკანასკნელ წლების განმავლობაში, შეიძლება უფრო ნაკლებ შეცდომების დაშვება და სწორი გზის გამონახვა უფრო ნაკლები დაბნეულობით. ლენინი არის საიმედო ხელმძღვანელი არა მარტო პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, არამედ კულტურისა და ლიტერატურის საკითხებშიაც. მაგრამ მაინც ბრძოლა მიმდინარეობდა „პროლეტარულ კულტურის" და „პროლეტარულ ლიტერატურის" ლოზუნგ ქვეშ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არა ლენინის შეხედულებების გავლენით, არამედ უმეტესად ა. ბოგდანოვის შეხედულებათა გავლენის ქვეშ. „პროლეტკულტის" დაარსებიდან, ჯგუფ „На посту"-ს საშუალებით,—ბოგდანოვის იდეებმა გაიდგა ღრმა ფესვები. ეს ნიშნავს,—ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ლენინის შეხედულებებს იმ საკითხებზე, რომლებიც ა. ბოგდანოვის წყალობით დასმულ იქნა ჩვენი დისკუსიების წესრიგში.

თარგმანი **ს. ა—ძის.**

პლატონ ძიძოძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული მწერლობის ერთი წელი
# 1927

კრიტიკა მწერლის მხილებაა. კრიტიკოსმა მწერლის შესწავლის გარდა, კიდეც უნდა წააქეზოს და წაიყვანოს იგი. დრო და გაბატონებული საზოგადოებრივი იდეები კრიტიკოსს ყველაზე უფრო კარგად უნდა ესმოდეს. შეიძლება ამიტომ არის, რომ დღეს მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა კრიჭაში ჩასდგომია მხატვრულ მწერლობას: უწუნებს უთითებს, ეომება, ჯიუტობს და მოსვენებას არ აძლევს.

არის ხოლმე, რა თქმა უნდა, ისეთი კურიოზებიც, როცა მთელი რიგი კრიტიკოსებისა „ჩინოვნიკური" ერთგულებით „სტკბებიან" და კმაყოფილდებიან ყოველთვის, ყველგან და ყველაფრით. მაგრამ ჩვენ ასეთებზე არ ვლაპარაკობთ!

ჩვენი კრიტიკა, ქართული მწერლობის უკანასკნელი წლის მუშაობის მხილება იქნება. სჯობს ვიყვეთ სასტიკი და დაუნდობელი, რათა მწერლობაში და განსაკუთრებით პროლეტარულ მწერლობაში, ფეხი არ მოიმაგროს იმ საშინელმა სენმა, რომელსაც **თვითკმაყოფილება** ჰქვია, და რომელსაც ის მეტად არასასურველი თვისება აქვს, რომ შეუძლიან ჩაჭკლას მწერალში, საზოგადოებრივი აქტუალობა და შემოქმედებითი უნარი. ასეთი სენის ნიშნები, აქა იქ უკვე მოსჩანან და დროზე უნდა ჩავკლათ იგი.

ამ წერილით, ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ ის პროცესები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ქართული მწერლობის საანგარიშო 1927 წელში. ეს პროცესები განსაზღვრული მიზეზებით და საზოგადოებრივი განვითარების კანონებით არიან გამოწვეული ჩვენი ლიტერატურულ ცხოვრების ზედაპირზე. მაგრამ მარქსისტული კრიტიკა არ სცხოვრობს მარტო კანონების სფეროში, მას ჩვენი მწერლობის მიმართ თავისი მიზნები და ტენდენციებიც მოეპოება, ისე, როგორც ტეხნიკას ბუნების კანონების აღმოჩენასთან ერთად, განსაზღვრული მიზნები აქვს ამავე ბუნებისა და კანონების მიმართ.

* * *

ამრიგად, ჩვენ ამთავითვე კატეგორიულად ვაყენებთ თეზისს, შესახებ იმისა, რომ **წარსული ლიტერატურული წელი ქართულ მწერლობის ყველა მი-**

**მართულების და ჯგუფების ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისის მაჩვენებელი იყო.**

ჯერ ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რას უწოდებთ ჩვენ „მიმართულებებს“ და „ჯგუფებს“.

იყო ილიუზიების დრო, არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო კრიტიკაში, როდესაც მწერლებს სხვადასხვა „სკოლების“ მიხედვით იბილავდენ, და ამ მეტად გამოურკვეველ და ხშირად შემთხვევითი ნიშნების მიხედვით ერთ სკოლიოში თავსდებოდა საზოგადოებრივად და იდეურად სრულიად მოწინააღმდეგე ხასიათის ხელოვანები. მაგალითად: მარინეტი დ მაიაკოვსკი, პიკაბია და გროსი, ბეზიმენსკი და უტკინი და ა. შ.

მიმართულება მწერლობაში ჩვენ გვესმის, როგორც ჯამი იმ მხატვრულ ნაწარმოებთა, რომელთაც აერთიანებს ერთი და იგივე საზოგადოებრივი იდეა და რომელიც (მიმართულება) ბოლოს და ბოლოს შეჰქმნის (თუ ჯერ არ შეუქმნია) პრინციპიალურად ახალს და ერთ მთლიან მხატვრულ სტილს. ეს სტილი, ამ მიმართულების ჩამოყალიბების შემდეგ იქნება მთლიანი და მონოლიტური, მიუხედავად იმისა ეკუთვნიან თუ არა ეხლა ე. ი. მოსამზადებელ პერიოდში ამ, სოციალურად მთლიანი მიმართულების წარმომადგენლები სხვადასხვა „სკოლებს“, მაგალითად: ფუტურისტულს, კონსტრუქტივისტულს, რეალისტურს თუ სხვა.

ასეთი მიმართულებები, ერთმანეთ შორის ისევე სერიოზულათ და „საკვდრო-სასიცოცხლოთ“ მებრძოლი, როგორც მოპირდაპირე საზოგადოებრივი კლასები, ცოტაა, იმდენი, რამდენიც არის თვით კლასები და დაახლოვებით ისეთივე, როგორიც ეს კლასებია.

არსებობენ ამ მთავარ მიმართულებებს შორის მოსაშვალე ლიტერატურული სფეროები, რომლებიც თანამგზავრობენ ან ერთს ან მეორეს, ანდა პერმანენტულად ირყევიან მთავარ ლიტერატურულ მიმართულებებს შორის და ხშირად თითქოს დამოუკიდებელ ძალასაც კი წარმოადგენენ. მათი დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია, და ეს ოპტიკური ტყუილი წარმოიშობა და საჭიროა უმთავრესად იმისთვის, რომ დაიფაროს ნამდვილი შინაარსი ამ ძალისა და უფრო ადვილად იმოქმედოს მკითხველებზე. ასეთ ძალების დახასიათებისას, ჩვენ ვიხმართ, პირობითად, ტერმინ: „ჯგუფს“.

ანტიპროლეტარული ლიტერატურული მიმართულებანი ჩვენ უეჭველად მოგვეპოვება ქართულ მწერლობაში, მასში შედიან: დეკადენტიზმი, იმდენად რამდენადაც იგი რჩება თავისი თავის ერთგული, ფეოდალურ მწერლობის ნარჩენები (რომანტიზმის სახით) და რეაქციონური წვრილი ბურჟუაზიის მწერლობა. ანტიპროლეტარული მიმართულებანი მწერლობაში იმყოფებიან, მიუხედავად მისი სოციალური წარმოშობის სხვადასხვაობისა, ყველაზე უფრო ძლიერ, რეაქციონური წვრილი ბურჟუაზიის იდეურ-ესთეტიური ჰეგემონიის ქვეშ.

მეორე მოპირისპირე პროლეტარული ბანაკი, როგორც ახალი მიმართულება, იდეურათაც და მხატვრულათაც ჯერ ნაკლებად არის კონსოლიდაცია ქმნილი და თუ პირველი ანტიპროლეტარული ბანაკის დიფერენციაცია ხდება მისგან

მერყევი ელემენტების ჩამოცილების სახით, მეორეს ზრდა, ჩვენ ქართულ სინამდვილეში, სამწუხაროდ, ჯერ ნაწილობრივ ამ პირველ ბანაკს ჩამოცილებულმთა ხარჯზე ხდება. ამ მეორე მიმართულებაში ჯერ არ არის მომწიფებული „ბელადთა და სარდალთა“ კადრი, ან მისი მთავარი, მთელი ამ მიმართულების განსაზღვრული და **წამყვანი ძალა**, რომელიც უეჭველად სჭირია ყოველ მიმართულებას, და რომელიც უეჭველად ეყოლება ჩვენ პროლეტარულ მწერლობას, მაგრამ ჯერ არ ჰყავს. ამის მიზეზი ჩვენში პროლეტარული საზოგადოებრივობის მოუმწიფებლობისაგან გამომდინარეობს, რომელიც თავისი მხრივ ინდუსტრიის და პროლეტარიატის რაოდენობითი სისუსტეს ნაშნავს.

ამ ორ მთავარ მიმართულებას შორის უნდა ვეძიოთ იმ ლიტერატურული ძალების ადგილი, რომელთაც ჩვენ ზემოთ „ჯგუფები“ ვუწოდეთ. უეჭველად ამ კატეგორიას ეკუთვნიან ქართველი ფუტურისტები („მემარცხენეები“,) რომელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პოზიცია ჯერ მეტად პასიურია, მიუხედავათ იმისა, რომ მხატვრულ-ფორმალურ სფეროში ეს ჯგუფი ბევრ პროგრესიულ და მეტისმეტად დროულ პრობლემებს აყენებს და ესთეტიკის სფეროში ხშირად საგრძნობი მემარცხენეობითაც ხასიათდება. საშწუხაროა ის, რომ ეს ზოგიერთ შემთხვევაში პროლეტარული ლიტერატურისათვის მისაღები ესთეტიური მემარცხენეობა ეყრდნობა მხოლოდ ქართველი წვრილ-ბურჟუაზიის უფრო „ჯანსაღ“ ნაწილს.

ზემოთ დახასიათებულ კატეგორიას ეკუთვნის ზოგიერთი, თუმცა მცირე რაოდენობის, თანამგზავრიც.

* * *

ოქტომბრის რევოლიუციამ ქართველ მწერლების ძველ თაობას გამოაცალა მთავარი საფუძველი—ნაციონალიზმი. რევოლიუციის შემდეგ გამოირკვა საქართველოს ადგილი „ჩვენ პლანეტაზე“, როგორც ერთ-ერთ სოციალისტურ რესპუბლიკის, და ეს „ნაციონალისტური“ თემა ამოიწურა. თუ ნაციონალიზმი წინათ კეთილშობილების და განმათავისუფლებელ ბრძოლის ჟურჟში გამოდიოდა, დღეს იგი საბოლოოდ რეაქციონურია. მძლავრი ლიტერატურის მასაზრდოებელ წყაროთ კი მხოლოდ ეპოქის მოწინავე იდეები შეიძლება იყვეს. ასეთია დღეს სოციალიზმის იდეა.

ქართული მწერლობის ძველ თაობათა იმ ნაწილის წინაშე, რომელიც რეაქციის მიერ საბოლოოდ არ იყო დაპყრობილი, დაისვა საკითხი: **„ან—ან“**. ან შეძლება ახალ მოთხოვნილებათა შესრულების, ან წასვლა. არჩეულ იქმნა რა თქმა უნდა,—პირველი. მაგრამ იგივე გზა (შეგუების) აირჩია ანტიპროლეტარულმა და, თავისთავად ცხადია, არაპროლეტარულმა მხატვრულმა მწერლობამაც (ალბათ ამით აიხსნება, რომ ქართველ ემიგრაციას არ მოეპოება თავისი მხატვრული ლიტერატურა, ისე როგორც რუსეთის ემიგრაციას აქვს. ქართულ ლიტერატურას შერჩა მხოლოდ „შინაური ემიგრაცია“)—აქედან სიძნელე იმის გამორკვევისა, თუ ვინ სტყუის და ვინ არა.

ფსიგოლოგიაში ცნობილია, რომ **შეგუება** არის ნაწილი იმ დიდ ინსტიქტისა, რომელსაც **არსებობის შენარჩუნების ინსტიქტი ჰქვია.**

მწერალი მაშინაა ძლიერი, როდესაც მისი შემოქმედების იდეა, მასთანვე არის „შეზრდილი", როდესაც იგი მის მიერვე არის „გამოტანჯული". გარედან მიღებული იდეები ძნელად გამოიღებენ რაიმე ძლიერ და ორიგინალურ შემოქმედებით ნაყოფს. მით უფრო უმნიშვნელოა ეს ნაყოფი, თუ ეს იდეები მიღებულია არსებობის შენარჩუნების და დროებითი შეგუების ინსტინქტის კარნახით: **შეგუებით მწერლობა არ შეიქმნება!** მწერალი თვითონ ეხება ეპოქის განუყოფელი ნაწილი იმ მთლიანისა, რომელთან იგი ცდილობს შეგუებას. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი აღარ იქნება საჭირო.

ამიტომ არის, რომ მწერლები, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ მონახონ ადგილი ახალ საზოგადოებრიობაში, შეეწყონ რევოლიუციონურ იდეებს და განწყობილებებს, დიდის შიშით და სიფრთხილით უდგებიან ახალ თემებს, რათა **არ იყალბონ**. მათთვის კი, ვინც ამ „შეწყობას" და ახალ თემებს ისევ და ისევ ძველი იდეებით „აცხოველებს", ვისთვისაც ეს გზა დროებითია, მათთვის, ძლიერ ადვილია მყვირალა და ამაღლებული ოდების წერა და სხვა.

ასეთი ხალხი მეტის-მეტსაც ყვირის თავისი წარსულის უარყოფის შესახებ. ის გამწარებით უარყოფს წარსულს და თავის თავს, რადგან ეს **საკუთარი თავის უარყოფა ღა დარჩათ „თავდაცვის" ერთად ერთ და უკანასკნელ საშუალებად**. ბევრმა ამათგანმა ჯერ კიდევ არ იცის საბოლოოა ეს თვითუარყოფა თუ კიდევ მოვა დრო თვითაღდგენისა და რესტავრაციისა.

ამრიგად: რევოლიუციამდე ჩამოყალიბებული ძველი მწერლების ფენები უნდა გავყოთ ორად:

პირველი: ეს ის ნაწილია, რომელიც თანამგზავრი იყო „რეაქციის" და არა ბელადი მისი. ის ჩამოსცილდა რეაქციას, მაგრამ ახალი მისთვის მხოლოდ განყენებულად და პროგრამულად არსებობს. ამ ნაწილმა გულწრფელად მიიღო რევოლიუცია. გვჯერა, მაგრამ რევოლიუციისათვის ისინი უმთავრესად საჭირო არიან როგორც მწერლები. მთავარი, რისთვისაც მიიღო ისინი რევოლიუციამ, ეს ლიტერატურული პრაქტიკაა. საკმაო ლიტერატურული პრაქტიკა კი ჯერჯერობით არ სჩანს. აქ ორი გამოსავალია: ან სრული ფსიქოლოგიური გარდაქმნა, და ლიტერატურის ახალი ამოცანების შეგნება და არც ერთი მოხედვა უკან, ან და „ბრძოლის", უკეთეს შემთხვევაში—გაჩუმების ნიადაგზე დადგომა.

მეორე: არავითარი „ან" „ან" არ არსებობს. ისევ ბრძოლა და მეტი არაფერი!

**პირველთა შემოქმედებითი კრიზისის მიზეზია ახალი იდეების არა ორგანიულათ შეთვისება, მეორეთა იმ იდეათა სიმახინჯე და რეაქციონურობა, რომელთაც ისინი იცავენ. პირველნი—ძველი ფორმების, მეორენი—ძველი იდეების ამარად დარჩენ.**

*
* *

გადავდივართ რა წარსული წლის მწერლობის კონკრეტულ მიმოხილვაზე, ჩვენ წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ **ამ მიმოხილვას სრული შეგნებით ვიწყებთ პროლეტ. მხატვრული მწერლობით.** როგორც კომპაქტობით, იდეური სიძ-

ლიერით, ცოცხალი და ნიჭიერი ძალებით, ისე პროდუქტიულობით **პროლეტარული მწერლობა თანდათან იკავებს პირველ ადგილს.** ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ აქ არ არის ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისი და რომ აქ ყველაფერი კარგადაა. პირიქით, ჩვენ ქვემოთ გამოვარკვევთ, რომ აქაც არ გვხვდება რაიმე განსაკუთრებული ხელმოსაკიდი და ახალი მოვლენები. ეს ერთი. გარდა ამისა პროლეტარული მწერლობით ვიწყებთ ჩვენ მიმოხილვას იმიტომ, რომ აქ მხოლოდ **შედარებით** უკეთესადაა საქმე.

გასაბჭოების შემდეგ **ორი** დიდი, ხანგრძლივი და სერიოზული შემოქმედებითი კრიზისი გვქონდა პროლეტარულ მწერლობაში. პირველი იყო 1924 წელში. ეს იყო ის დრო, როდესაც სამოქალაქო ომის მოტივები, საომარი მარშები, განყენებული, მაგრამ მძლავრი კლასობრივი პათოსის ლირიკა და ქარხანა, შრომის თემატიკა დამაკმაყოფილებელი აღარ დარჩა, არც უკვე გაზრდილი ახალი მკითხველისთვის და არც თვით მწერლობისათვის. ფრონტი მოიხსნა, მაგრამ იგი (ფრონტი) გადმოტანილ იქნა ჩვენ ყოველდღიურობაში, თვით შრომაში, საერთაშორისო დიპლომატიაში, აღმშენებლობაში, ყოფაში და კულტურაში. საჭირო შეიქმნა სწორი კლასობრივი იდეების ახალ თემებში, ახალ პირობებში, ახალ მხატვრულ ფორმებში გადატანა. სხვას რომ თავი დავანებოთ ამ პლეადის მხატვრულმა ხერხებმა (რიტორული ოდა, მიძღვნა და სხვა) ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი. ამ პერიოდის კრიზისს პროლეტარულმა მწერლობამ ახალი ძალების გამოყენით უპასუხა,—ახალი ძალების, რომლებიც გამოვიდნენ ახალი შემოქმედებითი მეთოდებით, გადაახალისეს პროლეტარული მწერლობა და ნაწილობრივ თვით კრიზისში მყოფნიც. ეს მაშაშვილ-კალაძე-ლორთქიფანიძის, ანუ პროლემაფის პლეადა ახალი ამოცანების დეკლარატიულ მხატვრული წამოყენებით ხასიათდება.

მთავარი, რაც გააკეთა ამ ახალმა თაობამ ის არის, რომ პროლეტარული მწერლობა გადაიყვანა უფრო საგნობრივ ლირიკაზე, ახალი აღმშენებლობის თემებზე, ახალი ყოფა-ცხოვრებისადმი დეკლარატიულ-ამაღლებულ მიდგომაზე და ძველი, სქემატიური და ღარიბი ფორმა შესცვალა უფრო „ახალი“ ლიტერატურულ სკოლების გავლენით (სიმბოლიზმი, ფუტურიზმი იმაჟენიზმი და სხ.) **კალაძის** იმაჟენიზმის გავლენით შემუშავებული ლექსი ან **ლორთქიფანიძის** დეკადენტურ-მინორული ლირიკა ახალი შინაარსით ამაღლებული; მეტის-მეტად პროგრესიული იყო პროლეტარულ მწერლობაში უკვე განმტკიცებული რიტორიკასთან შედარებით. ეს იყო ნაბიჯი წინ, ნაბიჯი ეკლეკტიური, შკოლური პროლეტარული მწერლობისათვის აუცილებელ სასურველი, მაგრამ დროებით და მალე უარსაყოფი. მაშაშვილის პოემა „ურმული“, ელემენტარულ ფაბულით, პრიმიტიული სიტუაციებით, აგრეთვე ნაბიჯი იყო წინ.

მაგრამ, პროლეტარული მწერლობისთვის ეს გზა სიჭირო იყო, იმისთვის, რათა გადასულიყო უფრო მაღალ საფეხურზე, იმ საფეხურზე, რომელსაც შემოქმედებითი პერიოდი ერქმეოდა, აქ აღარ იქნებოდა საკმარისი ლექსი-დეკლარაცია ახალი ყოფის შესახებ, არამედ საჭირო და შესაძლებელი შეიქნებოდა, **პროლეტარული მწერლობის ხაზგასმული და კატეგორიული კონკრე-**

**ტიზაციით არსებითი ბრძოლა პროლეტარული ყოფისთვის, ახალი ადამიანისთვის, ბოლშევიკური ფსიქოლოგიისათვის, არსებული ადამიანის და პირველ რიგში ბოლშევიკის შესწავლის საშუალებით.** ეს პერიოდიც იქნებოდა პროლეტარული მწერლობის შკოლური მიბაძვების გათავების დასაწყისი და **საკუთარი, კლასობრივი, პრინციპიალურად ახალი სტილის შექმნის დაწყება.**

აი სწორედ დღეს, ჩვენი პროლეტარული მწერლობა სდგას ამ მთავარი ამოცანის წინაშე, რათა გადავიდეს ამ მორიგ საფეხურზე. **მიღწეულით არ დაკმაყოფილება, მიღწეულის გაკრიტიკება, ახალი ამოცანების დასახვა, მხატვრული სითამამე, მეცნიერულ-საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ამაღლება—არც ისე ადვილი აღმოჩნდა და სწორედ აქ გამომჟღავნდა (1927 წელში ყველაზე უფრო მტკივნეულად) პროლეტარული მწერლობის მეორე, დიდ შემოქმედებით „კრიზისში".**

ამ კრიზისს თან ერთვის ახალი ბურჟუაზიის, ნაციონალიზმით გაჟღენთილი საქართველოს ლიტერატურული ტრადიციების და რეაქციონური წვრილი ბურჟუაზიის საგრძნობი გავლენები.

და თუ წინათ 1924 წლის კრიზისს პროლეტარულმა მწერლობამ ახალი თაობის გამოყვანით უპასუხა, რომელმაც გაარღვია კრიზისის რკალი,—დღეს, ამ კრიზისის პერიოდში იგივე არ მოხდა. მართალია, პროლეტარულ მწერლობას წამოეზარდა რამოდენიმე ახალგაზრდა მწერალი, მაგრამ პრინციპიალურად ახალი, კრიზისის დამრღვევი ამათ ვერაფერი მოიტანეს, ისინი ჰასაკობრივადაც და ლიტერატურულადაც პროლემაფისავე თაობის, მხოლოდ მწერლობაში უფრო გვიან მუშაობის დამწყებნი აღმოჩნდნენ, რის გამო ისინი **მხოლოდ მიმბაძველებია** პროლემაფელების და სხვა არაფერი. ასე რომ კრიზისიდან გამოსავალი ისევ იმ ძალების გადახალისებაში უნდა მოვძებნოთ, რომლებიც დღეს წინა რიგებში სდგას. ასეც უნდა მომხდარიყო! მართალია პროლეტარულ მწერლობას ახალი ძალების დიდი მარაგი მოეპოება და რომ არ მოეპოებოდეს, ეს მისი სიკვდილის ნიშანი იქნებოდა, მაგრამ ყოველ ორ წელში ახალი თაობის წარმოშობა არც ისე ადვილია ჩვენი ქვეყნისთვის.

მაგრამ რა არის ეს ახალი მოთხოვნილებები, რომლის ჯერ-ჯეროობით დაუკმაყოფილებლობამ წარმოშვა შემოქმედებითი „კრიზისი"?

დავახასიათებთ მოკლედ:

მთავარია—**კონკრეტიზაცია.** პროლეტარული მწერლობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ცხოვრების და ადამიანთა სოციალისტურად გარდაქმნას. ამისათვის საჭიროა ამ ცხოვრების სრული, მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის საფუძველზე, გარდაქმნისთვის ბრძოლა. პროლეტარული მწერლობა უნდა დაიტვირთოს კონკრეტულ-ცხოვრებითი მასალით, უნდა აღივსოს სიცოცხლით, სინამდვილით. აქ სდგება პრობლემა პროლეტარული მწერლის მატერიალისტური დიალექტიკის ცოდნით შეიარაღება, რათა მან შესძლოს არსებულში, სინამდვილეში გამოარკვიოს მიმდინარე პროცესები, შესძლოს არსებულში მონახოს მომავალის და სასურველის ნიშნები, განავითაროს ისინი, აიყვანოს კომუნისტურ სიმაღლეზე და მისცეს ცხოველყოფელობა.

ამ რიგად: **დოკუმენტალურ-ფაქტიურ მასალაზე ნაწარმოების აგება, მაგრამ არა ფოტოგრაფიული მოცემა („ასახვა“) ამ ფაქტისა, არამედ მისი დიალექტიური განხილვა და კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების თვალსაზრისით სახარგებლო ფაქტების, ტიპების და მოვლენების — (თუ განდ ისინი მხოლოდ პოტენციაში იყვენ მოცემული) მხატვრული პროპაგანდა**—აი ის, რასაც ზემოდ კონკრეტიზაციის მოთხოვნილება ვუწოდეთ.

**მეორე: „ადამიანის პრობლემა“.** ეს პრობლემა დღეს პროლეტარული ლიტერატურის ცენტრში სდგას, მაგრამ საქართველოში პრაქტიკულად მისთვის ჯერ მზად არ არიან. მართალია ზოგიერთმა პროლეტარულმა მწერალმა ეს პრობლემა წამოაყენა, მაგრამ მეორე მხრიდან წამოყენებულ იქნა, **რევოლიუციის ზედმეტი ადამიანის** პრობლემა და ისიც მხოლოდ ლირიკის საშუალებით.

მარქსისტულ კრიტიკაში ამ საკითხში არის ორი გადახრა. პირველი მოითხოვს ფსიქოლოგიზმს და „ადამიანის სულის გადმობრუნებას“. აქ ფსიქოლოგიზმი „ნეპის“ მიერ შექმნილი სტაბილიზაციურ განწყობილების შედეგია. „რევოლიუციით დაღლილობა“ აიძულებს ზოგიერთებს ადამიანებში ეძიოს გაორება და წინააღმდეგობანი და ამ წინააღმდეგობათა სახელით გაამართლონ თავიანთი უილაჯობა. ბურჟუაზიული ნაწარმოების გმირი განსაკუთრებით ექსპრესიონისტულ ნაწარმოებებში—ეს ბრძოლაა თავის თავთან და მეტი არაფერი! აქ გონება ვერ იმორჩილებს ეგრეთ წოდებულ ქვეცნობიერს, ბატონდება ბუნდოვანება, უგზოობა, და ამრიგად ვღებულობთ მუდამ წინააღმდეგობაში მყოფ უნებისყოფო და დამლილ პიროვნებას. მაგალითად, კარგა ხნის წინეთ რუსი პროლეტარული მწერალი ლ. ლიბედინსკი სწერდა:

> „ჩვენ ვიღებთ ყოველ ტიპს, როგორც არა მთლიან პიროვნებას, რადგანაც, არსებითად, მთლიანი პიროვნება არ არის, და ადამიანს, რომელიც დაჟინებით ითხოვს 100%-ან მთლიანობას, რაღა თქმა უნდა, არაფერი ესმის“. (სწავლა, შემოქმედება და თვითკრიტიკა).

ეს ფორმულა მთლიანია და განმარტებას აღარ საჭიროებს. ადამიანი, რომელზედაც ლაპარაკობს ლიბედინსკი ბურჟუაზიული საზოგადოებრივობის პროდუქტია. ბურჟუაზიული ასეთი საზოგადოებრიობის ადამიანი ფიქრობს და განიცდის ერთს, მოქმედებს მეორეს, უნდა ერთი, ღებულობს მეორეს, საკუთარი ბუნება უკარნახებს ერთს, ყალბი და ფარისევლური საზოგადოებრივობა კი აიძულებს ჩაიდინოს მეორე. ლიბედინსკის ეს ტიპი ადამიანისა, რა თქმა უნდა პროლეტარული მწერლობის გმირი არ შეიძლება იყვეს.

ვ. ბელინსკი სწერდა:

> „ყოველი მოთხრობის მთელი ფსიქოლოგიური ქსოვი, რომელზედაც ის არსებითად დაყრდნობილია, შესდგება იმ მოწინააღმდეგე შეჯახებებისაგან,—თუ, რაც ადამიანს უნდა და საჭიროა გააკეთოს, და მისგან, თუ რას აკეთებს ის სინამდვილეში“ (იხ. ტ. II).

აქ აბსოლუტური სიმართლეა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ. „ჩვენი დროის გმირი“ ბოლშევიკი კი აკეთებს იმას, რაც საჭიროა და რაც სურს თვითონ, და თუ ჯერ ვერ აკეთებს იმას, რაც საჭიროა, მიზეზი ამისა, ყოველ შემთხვევაში, არის არა თვითონ (როგორც ჰამლეტი), არამედ პირობებია. მაშასადამე პროლეტარული მწერლობისათვის საჭიროა მოგვცეს „ადამიანი ეპოქის ფონზე“ და ამ შემთხვევაში კოლიზია იქნება არა ადამიანის ბრძოლა თავის თავთან, არამედ ერთი ადამიანის მეორესთან, ერთი ტიპის მეორე ტიპთან, ერთი კლასის სხვა კლასებთან და სხვა.

აქ მართლაც არსებობს, რა თქმა უნდა, საშიშროება ყალბი, არ არსებული, ფსევდო-ბოლშევიკური და ფსევდო-გმირული ტიპების მოცემის; როგორიც არ უნდა იყვეს საშიშროება **ჩვენი მწერლობა ვერ ასცდება ადამიანთა ტიპიზაციის, გმირების მოცემის აუცილებლობას.**

ძალიან შესაძლებელია მწერალმა „შეთხზას“ გმირი, მაგრამ ასეთი გმირი ვერ მოიპოვებს მწერლობაში და განსაკუთრებით მკითხველში მოქალაქეობრივ უფლებას. გმირი, იმიტომ კი არ არის საყვარელი მკითხველისთვის, რომ იგი ტყუილია, არამედ იგი იმდენად შეიძლება იყვეს მისაღები, რამდენადაც მისი არსებობა რეალურია, რამდენადაც ასეთი იდეალური ადამიანი ასში ერთი, ათასში მაინც მოიპოვება დღეს სინამდვილეში, ჩვენ შორის, ან პოტენციონალურად მაინც არის მოცემული.

პროლეტარული მწერლის გმირი ნაწილობრივ მაინც მისაწვდომი უნდა იყვეს პროლეტარული მკითხველისათვის. თუ მკითხველმა მწერლის გმირის არც ერთ ხაზებში და ხასიათის არც ერთ მხარეებში თავის თავი ვერ იპოვა, თუ მკითხველი იტყვის: კარგია ეს გმირი, მაგრამ... ტყუილია, მაშინ გმირი აღარ მოუწოდებს მკითხველს დაემსგავსოს მას, გმირი მიუწვდომელ ქანდაკებად რჩება. მაგრამ თუ ეს მკითხველი ხედავს დადებით გმირში—კონცენტრაციას ყოველივე იმ დადებითისას, რაც დღეს არის ჩვენ საზოგადოებრივობაში, ან პირიქით—უარყოფით ტიპში კონცენტრაციას ყოველივე უარყოფითისას, მაშინ იგი ცდილობს მიჰბაძოს პირველს, ამაღლდეს ამ დადებით გმირამდე, და არ დაემსგავსოს მეორეს, ებრძოლოს მას. ეს ერთგვარი „თავდასხმა მწერლისა მკითხველზე“, მკითხველთა წრიდანვე შექმნილი გმირის „მშვენიერებებით“ ან „საშინელებებით“, ეს არის ერთ-ერთი, და შეიძლება ითქვას, მთავარი იარაღი მწერლის მიერ მკითხველის „აღზრდისა“.

**პროლეტარულმა მწერალმა უნდა ებრძოლოს საკუთარ მკითხველს, მისივე ამაღლებისათვის, გაბოლშევიკებისათვის, გაკომუნისტებისათვის, მისივე გარდაქმნისათვის იმ საშუალებებით და იმ მასალით, რომელიც ამავე საზოგადოებრივობაში და ადამიანში მოიპოვება.**

აქედან სდგება მეტად კონკრეტული და საამდღეისო პრობლემა თვით **პროლეტარული მწერლის მოქალაქეობრივი ამაღლების, საზოგადოებრივი აქტუალიზაციის.** რა დასამალია, რომ ბურჟუაზიული მწერლობის ტრადიციების გავლენით და მწერლის პროფესიონალიზაციის ზოგიერთი უარყოფითი მხარეების მეოხებით, ჩვენი მწერლები, განსაკუთრებით საქართველოში, არ სდგა-

ნან იმ მოქალაქეობრივ სიმაღლეზე, რომელზედაც უნდა იდგეს ბელადი. მწერალი კი ახალი ყოფა-ცხოვრებისთვის მებრძოლ ადამიანთა ერთ-ერთი, თუ ერთად-ერთი არა, ბელადთაგანი უნდა იყვეს. ამ შემთხვევაში, ძველი ენით რომ ვსთქვათ, იგი მასწავლებელიც უნდა იყვეს. მაგრამ როგორ „ასწავლოს" და „იბელადოს" მან, როცა იგი დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ემიჯნება (ბოგემის, პროფესიონალიზმის, ემოციონალიზმის და [illegible]), როცა იგი უბრალო მოწინავე მოქალაქის სიმაღლეზე არ დგას, როცა მასში არ წარმოიშობიან ახალი, არა მარტო პარტიის სახელმძღვანელო დირექტივებიდან ამოკითხული, არამედ მისივე საკუთარი აზრი და განცდით გამონაწრთობი იდეები.

**პროლეტარული მწერალი უეჭველად, უნდა იცნობდეს და „შესისხლხორცებული" ჰქონდეს ჩვენი პარტიის იდეები და საქმე. მაგრამ ესეც ალარ არის საკმარისი! საჭიროა ამ საერთო და დიდი იდეების ფარგლებში მწერალს მოეპოებოდეს „საკუთარი", ახალი, საერთო იდეებთან შეთანხმებული, კონკრეტული და მებრძოლი აზრები და განწყობილებანი, რათა ამ იდეების აქტუალურ მხატვრულ ფარგლებში ჩამოყალიბებით,—ეკვეთოს მკითხველს და შენივე საზოგადოებას ბრძოლით, ამ „შენი" მხატვრული აზრის თავზე „ძალით" მოსახვევად, პროლეტარულმა მწერალმა უნდა აიწიოს ხმა, დადგეს შესაფერ სიმაღლეზე, მოქალაქეობრივი უფლებები აღადგინოს და ეკვეთოს მკითხველს.**

შევეხოთ აგრეთვე მეორე, პირველთან შედარებით ნაკლებათ საშიშ, მაგრამ მაინც შემცდარ შეხედულებას.

ამ შეხედულების თანახმად მწერლობაში საჭიროა მხოლოდ **ქრონიკა და ფელეტონი.** თანამედროვე ადამიანი მათთვის არ არსებობს, როგორც შესწავლის ობიექტი. მათ ყოველგვარი ტიპის და გმირის მოცემა ჰგონიათ გადაჭარბებული ფსიქოლოგიზმის და სენტიმენტალიზმის შედეგი. ასეთი საშიშროება, მით უმეტეს ეხლანდელ „ნეპ"-ის პერიოდში, მართლაც ძლიერ საგრძნობია, ვინაიდან ობივატელური დაღლილობის და სიტკბილის გავლენით, შესაძლებელია და უკვე შემჩნეულია გმირების ეროტიული დამახინჯებანი და ობივატელების „ლუბიმჩიკების" ყალბი ტიპების გამრავლება.

ფელეტონ-ქრონიკის აპოლოგია (ჩუკოკი-ლეონოვი) მოდის ევროპის გადაგვარებული ბურჟუაზიული მწერლობიდან. დადაიზმის შემდეგ იქაურ დეკადენტურ ლიტერატურას არ შეუძლიან რაიმე საგრძნობი იდეის მოცემა, ან და მთლიანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა. სენსაციური ქრონიკა და ბანალური ფელეტონი უფრო მოსაწონია თანამედროვე ევროპის ფილისტერისთვის. მართალია, მხატვრული ფელეტონი პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი ჟანრი უნდა იყვეს, მაგრამ იგი მხოლოდ ერთ-ერთი იქნება და არა გაბატონებული. ფელეტონი მეტისმეტად საჭირო და მომჭირნეობითი ჟანრია, როგორც საშუალება ყოველდღიურ მოვლენებზე მხატვრული პასუხის გაცემისა.

ქრონიკა-ფელეტონის აპოლოგეტები ამბობენ, რომ ფაქტები უფრო ნიჭიერი არიან, ვიდრე მწერალი. ძალიან შესაძლებელია, მაგრამ კომუნიზმის

ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ფაქტებისადმი მორჩილებიდან გადაიყვანოს ფაქტებზე ბატონობის სამეფოში, „აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“ — ენგელსი). შეიძლება ფაქტები მართლაც უფრო ნიჭიერია მწერალზე, მაგრამ ფაქტები ყოველთვის **სწორი**, ესე იგი ისეთი არ არიან, როგორც ჩვენ გვჭირია. ამიტომ ფაქტის მოცემასთან ერთად, ქრონიკასთან, ამბავთან ერთად უნდა მოცემულ იქნას აზრი, განცდა, ათვისება ამ ფაქტისა; აზრი და განცდა იმისა, თუ როგორია ეს ფაქტი და როგორია სასურველი იმ იდეათა თვალთახედვით, რომლისთვისაც იბრძვის პროლეტარიატი. მწერლობა რომ ფაქტების ამარა დავტოვოთ, მივიღებთ ქრონიკას, საჭიროს, მაგრამ ა ინ-საკმარის. ეს იქნება მხატვრული ნაწარმოების ერთი მხარე. თანაც არ შეიძლება მწერლობა აზრსა და განცდის ამარათ დავტოვოთ—აქაც ერთი მხარე იქნება.

შემდეგი, **მესამე**, მორიგი ამოცანა, რომელიც წამოიჭრა პროლეტარული მწერლობის წინაშე, ეს **ჟანრის პრობლემაა**. ჟანრის პრობლემა შემადგენელი ნაწილია ფორმალური პრობლემისა და თემატიკის პრობლემათა სფეროშიც შედის. თემის არჩევა, სიუჟეტის და ფაბულის განვითარება, კონსტრუქცია ნაწარმოებისა და სხვა მიმდევნო საკითხები დღეს მთელი სიმწვავით წამოიჭრენ. პროლეტარულ მწერლობას თავს ესხმის ახალი მოთხოვნილებები კონკრეტიზაციის, ახალი ადამიანის მოცემის, ჩვენი ყოფა-ცხოვრების მოცემისა და სხვ. ამ უამრავ ახალ მასალისათვის და ახალ მხატვრული აზრისათვის საჭიროა ახალი ჟანრები და საერთოდ შესაფერისი ჟანრები, რათა ეს მასალა არ მოექცეს ძველ ჩარჩოში და გარემოცვაში. გაჭიანურებული ფსიქოლოგიური რომანი შეეფერება სენტიმენტალიზმის განსაზღვრულ ეპოქას, ძველი ეპოსი შეეფერება ზღაპრულ და მითოლოგიურ გმირების ხანას, კამერულ-ოთახური ლირიკა ინდივიდუალიზმის ხანას, საბერძნეთის ტრაგედია—პირველყოფილ რელიგიას და ა. შ.

ახალი ჟანრების შექმნა ძველთა საფუძველზე უნდა მოხდეს. მაგრამ ძველი ჟანრებიდან ჩვენის აზრით ყველაზე უფრო ახლოა და შესაფერისია ჩვენი დროისათვის **ეპოსი**. აქ ფაქტები და ფაქტებისადმი განწყობილება იშლება შედარებით უფრო ჰარმონიულათ. მაგრამ, როგორი ჟანრითაც არ უნდა იხელმძღვანელოს თანამედროვე პროლეტარულმა მწერალმა, მან იგი უნდა პრინციპიალურად შესცვალოს. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით ისმის ჟანრის პრობლემაც. ახალი თემები და განწყობილებები პირველ რიგში ეძებენ არა მარტო სახეებს ან მეტაფორებს, არამედ ახალ კონსტრუქციას, რომელშიაც ეს მასალა უნდა მოთავსდეს.

ჩვენ პროლეტარულ მწერლებს შორის დღეს უკვე სჩანს სურვილი ახალი ეპოსის შექმნის, ზოგი სცდილობს დაეუფლოს ეპიურ თხრობითი კილოს, ზოგი ფაბულარულ ლექსზე გადადის, ზოგი „ნაწყვეტებს“ აქვეყნებს პოემებიდან, ზოგი პროზას მიმართავს, ვინაიდან ძველი ლექსი ვერ იტევს მასალას, ბევრი გრძნობს, რომ ახალი თემატიური მასალისთვის ლექსი რაღაც აზნაურულ მდგომარეობაშია.

ჩვენმა პროლეტარულმა მწერლებმა ისწავლეს ზოგიერთი განცდების და შტრიხების გადმოცემა (ლირიკის საშუალებით), მაგრამ მთლიან კონსტრუქციებს და მონოლიტურ ნაწარმოებებს ჯერ ვერ იძლევიან. შტრიხი, ნააზრევი, განაცადი, შთაბეჭდილება, პატარა ამბავი-მოთხრობა, ანეგდოტი, ჯერ-ჯეროობით ასეთია მისი შესაძლებლობანი. მაგრამ „ეპიური ტილოსთვის“ საჭიროა მეტი ცოდნა, ბოლშევიკს უნდა იცნობდე, რევოლიუცია უნდა [illegible] ყველის დეტალები უნდა შესწავლილი გქონდეს, ტოლსტოივით და [illegible] წიგნაკით უნდა იწერდე ყოველ წვრილმანს, ქალაქის განაპირა უბნებს, ღამის გუშაგივით და მილიციის აგენტივით თავს უნდა დასტრიალებდე, დოსტოევსკივით სასამართლოს სხდომებზე უნდა დადიოდე, დაწესებულებებში უნდა „დაძვრებოდე“, ოჯახში და საკრებულოებში უნდა იყვე შინაურივით და მაქსიმ გორკივით „ცხოვრების ფსკერსაც“ კარგათ უნდა იცნობდე, პიონერთა კოლექტივში და კომკავშირის კრებაზედაც უნდა ისხდე, მწერლებსა და მოხეტიალებშიც უნდა იყვე და ასე დაუსრულებლად. ასეთია მწერლის პროფესია, უამისოდ იგი არ არის მწერალი.

სხვათაშორის ორიოდე სიტყვა „ფსკერის“ შესახებ. რუსეთის ცნობილმა მწერალმა ლ. ლეონოვმა დასწერა საინტერესო რომანი „ქურდი“. ამ რომანში იგი ამბობს: სამოქალაქო ომის დროს ადამიანის წინააღმდეგ კლასი კლასის მოპირდაპირე ბარიკადებზე იყო, ამიტომ აქ ადვილათ შეგეძლო ადამიანთა შეცნობა, ამ სიშიშვლეში გარკვეით მოსჩანდა ადამიანების ყველა კონტური, მისი სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნება, ადვილი იყო მისი ტიპიზაცია. დღეს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმტკიცების შემდეგ ადამიანებს, როგორც ლეონოვი ამბობს, შემოეზარდათ დამფარავი შირმები. ამ მოფარებულში, კანცელარიაში, ოჯახში, ვაჭრობაში, აღმშენებლობაში თითქოს იმალება ადამიანის ნამდვილი ბუნება, ადამიანები თითქოს **ნაცრისფერდებიან** და ძნელი ხდება გაარჩიონ წითელი და შავი, ძნელი ხდება მტერი მოყვარეს განასხვავო. მაგრამ კლასობრივი ბრძოლა არსებითად ისევ გრძელდება, მტერს ისევ არ სძინავს ყოველ კუთხეში, ყოველ დაწესებულებაში, ყოველგან... ყოველთვის ისევ ფრონტია, ისევ ბრძოლა. ამიტომ მართლაც საჭიროა დიდი ერუდიცია, დიდი ცოდნა და მოთმინება, კლასობრივი ალღო და გამძლეობა, მიხვედრა და ორიენტაცია, ჩაწვდომა და დაძალება, რომ გააშიშვლო ადამიანი, ესე იგი მოგვცე იგი მთელი მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების თანახმად, არ მოიტყუო და არ გადააჭარბო, ან არ შეარბილო.

ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ ის ახალი მოთხოვნილებები, რომლებიც დღის წეს-რიგში სდგას და რომლის ასე თუ ისე გადაჭრაზე არის დამოკიდებული პროლეტარული მწერლობის შემდეგი განვითარება. ჩვენ არაფერი გვითქვამს ისეთი დიდი საკითხის შესახებ, როგორიცაა **პროლეტარულ-მხატვრული სტილის ფორმაცია**. ამ საკითხის პრაქტიკული გადაჭრიდან არის დამოკიდებული პროლეტარული მწერლობის, როგორც ლიტერატურული მიმართულების ბედი. მიმართულება, რომელიც არ ჩამოყალიბდება ყოველ მხრივ, როგორც იდეურათ, ისე ფორმალურად—უფრო ჰგავს შემთხვევით, ვიდრე ისტორიულად აუცილე-

ბელ მოვლენას, მაგრამ სტილის პრობლემა უფრო პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობის საკითხია, ვიდრე თეორეტიული. მხატვრულ სტილს ჩვენი ეპოქის და კერძოდ პროლეტარული მწერლობისას, დიდი მუშაობის შედეგად მივიღებთ, მაგრამ კრიტიკა-თეორიას შეუძლია წააქეზოს მწერლობა ახალი სტილის შექმნის საკითხში. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ აქ საჭიროა ძლიერი კლასობრივი ალღო, დიდი გამბედაობა, მუშაობა, ორიგინალობა, ცოდნა, დაუღალავი ექსპერიმენტები, რათა ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრას.

* * *

წარსულ წელს პროლეტარულ მწერლებ შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კარლო კალაძეს.

**კარლო კალაძემ** წარსულ სეზონში დიდი შემოქმედებითი განვითარების გზა განვლო. დასაწყისში იგი კრიტიკის და ხელმძღვანელ ამხანაგების ყურადღებას იქცევდა მთელი რიგი **გადახრებით.** ეს ბოჰყვა მის მიერ ჯერ კიდევ 1926 წელს დაწერილ ფაქტების გამოქვეყნებას, რომელთა შორის ყურადღებას იქცევდა ცალკე წიგნად გამოცემული პოემა „ძახილი აღმოსავლეთს“ და მთელი **რიგი აღმოსავლური,** სპარსული კლასიკური ლირიკის თემებზე ასრულებული ლექსები („რუბაიები“; „შუბის ტარამდე დასული მზე“ და სხვა), რომლებიც თავმოყრილია სახელგამის მიერ ძლიერ ორგინალურად და გამოცემის ტეხნიკის მხრივადაც საყურადღებოთ გამოცემულ წიგნში: „რჩეული ლექსები“.

უნდა ითქვას გადაჭრით რომ ლექსების ამ წყებამ სამართლიანად გამოიწვია ჩვენი კრიტიკის თავდასხმები, პროლეტარული მწერლობის მტრებს უხაროდათ: „რეაქციონური მწერლები ვრევოლიუციონერდებითო, რევოლიუციონული მწერლები კი—კონტრევოლიუციონერდებიანო“. მართალია, ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ კარლო კალაძე ჩამოყალიბებული პროლეტარული მწერალია. საერთოდ საქართველოში პროლეტარული მწერლები დიდ რყევას და სისუსტეს იჩენენ, მაგრამ ეს გასაგებიც არის. „რუსული მაშტაბით“, რომ მ. ვ-ზომოთ, ბევრი ჩვენი პროლეტარული მწერალი, არ შეიძლება პროლეტარულად იქნეს აღიარებული, მაგრამ ეს მდგომარეობა მაინც არ აძლევს პროლეტარულ მწერლობის მტრებს ზეიმის საბაბს. მოზარდ მიმართულებას ყოველთვის ახასიათებს „ზიგზაგები“ და ეს „ზიგზაგები“ არ ნიშნავს მის დალუპვას.

„ძახილი აღმოსაელეთს“ უეჭველად წარმოადგენს რეციდივს ქართველ იმპერიალისტურად განწყობილი ინტელიგენციის იდეებისას, რომლებსაც ოდესღაც არ აკმაყოფილებდა „ჩვენი ბატარა და კოპწია სამშობლო საქართველოს“ საზღვრები. საკვალალო ის იყო, რომ ასეთი განწყობილებისათვის ავტორმა საბჭოთა საქართველოს ფონი ამოირჩია. იგი მოუწოდებდა, ოდესღაც საქართველოდან გადასახლებულ ფერეიდანელებს შემოკრებას „მშობლიურ ცის ქვეშ“ სამშობლო საქართველოს ახარებს გასაბჭოებით. მაგრამ თუ ავტორისათვის საინტერესო იყო ქვეყნის გასაბჭოება, მაშინ რატომ მხოლოდ ფერეიდანის და არა მთელი სპარსეთის, მთელი აღმოსავლეთის?.

მაგრამ გადახრები ვითარდებოდენ არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ პარალელურად კლასობრივი ხაზითაც. მაგ. ლექსი „ენგურის მთები“ იძლევა საქართველოს გასაბჭოების და საერთოდ „ახალი ქვეყნის შემოჭრას“ სისხლიანი დრამის სახით. მართალია: მტრებისათვის გასაბჭოება „ახალი ქვეყნის“ შემოჭრა ტრაგედია არის, მაგრამ ჩვენთვის იგი ზეიმი და გამარჯვებაა. ავტორმა

მოინდომა თავი იმ ბანაკში ჩაეყენებია, რომელმაც ეს მოვლენა („ახალი ქვეყანა,,) დრამატიულად აითვისა. ავტორმა მოინდომა მათი თვალთახედვით მოეცა ეს ფაქტები და აქ ჩაიდინა, რა თქმა უნდა, დიდი შეცდომა.

მაგრამ, როგორც ლენინი იტყოდა - შეცდომა იმიტომ არის შეცდომა და არა ღალატი, რომ მისი გამოსწორება შესაძლებელია და ჩვენი ამბანი პროლეტარული კრიტიკის ამოკანას შეადგენს, გზას ამცდარი აქმანაგი, საფუძველში პროლეტარული მწერალი, სწორ გზას დაუბრუნოს.

1927 წელს დაწერილი ლექსებიდან მან თანდათანობით უფრო და უფრო გამართლებული ლექსები გამოაქვეყნა: „მხედრული“, „მემანქანე“, „სასიხარულოდ“, „მოვდივართ“, „საპირველმაისო“, **„ერთი საუბარი“, „მებრძოლის ლექსი“, „მუშების საუბარი“ და „ზამთარი“.**

„მნათობში“ დაბეჭდილი ლექსებით „მებრძოლის ლექსით“ და „ზამთარით“ დაიწყო ახალი ძიებები არამც თუ კალაძის, საერთოდ პროლეტარულ მწერლობაში.

პირველ რიგში ნაწილობრივ გამოსწორებულ იქმნა „ნაციონალური ტკივილები“, შემდეგ კი თანდათან სწორდება კლასობრივი ხაზიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლექსს „მუშების საუბარს“, რომელიც მართლაც იძლევა მასალას ბრალდებებისათვის.

მაგრამ კალაძე იწყებს მუშაობას ჩვენი პროლეტარული მწერლობისათვის ჯერ უცნობ **ენრებზე** და ამასთანავე ერთად წამოაყენა ის მეტად მტკივნეული საკითხი, რომელსაც ჩვენ ზემოდ პროლეტარული მწერლის მოქალაქეობრიობისათვის ბრძოლა ვუწოდეთ, ლექსს „მებრძოლის ლექსში“, იგი პირველად ყოვლისა იცილებს იმ სნეულებას დაცემულობისას და მთვარის კულტს, რომელიც წინეთ, განსაზღვრულ პერიოდში ახასიათებდა:

„ხომ გვსურს, ხმა ჩვენი, მასის გულში
დროომ ვერ გარიყოს,
და ეს მგოსნობაც მისთვის არის გამოგონილი,
თორემ ვის უნდა,—მეგობრებო, ჩემი არ იყოს.
მთვარეს, შეჰყეჯოდეს ფრთამოტეხილ იადონივით“...

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ დღეს, ჩვენ საზოგადოებრიობაში ბურჟუაზიული ტრადიციებით შენარჩუნებულ გართობითი და ფუქსავატური შეხედულების გამო მწერლობაზე, პოეტის მოქალაქეობრივი ძალა დაკარგულია, ამიტომ:

„მაღალ მგოსნის საღიმილოთ გატეხილ სახელს
ისევ სჯობს იყო უსახელო ვინმე მებრძოლი“.

საჭიროა, რომ პოეტი ისეთივე მებრძოლი იყვეს, რომ კლასობრივ ბრძოლაში მან კალამი კი არ გააგდოს და „ხმლით დატრიალდეს“, არამედ თვით ეს კალამი იყვეს მისი ბრძოლის იარაღი.

„მეც მინდა ალქარულ ბრძოლებში გასულმა
მახვილად ვიგუო
ეს ხმა და ლექსივე“ („ერთი საუბარი“).

აქ სწორადაა მოცემული მწერლობის მებრძოლი დანიშნულების გაგება. მწერლობა ისეთივე იარაღი უნდა იქნეს ბრძოლისა, როგორც სხვა იარაღები.

ზოგიერთი პროლეტარული პოეტის გაგებით კი მწერლობა დასვენებაა ერთი ბრძოლიდან მეორემდე.

ახალი ჟანრების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა „მუშების საუბარი". ეს მგონი პირველი **ფაბულარული** ლექსია პროლეტარულ მწერლობაში, ასე უშუალოდ არა აზნაურულად, საუბრის სახით და კონკრეტიული მასალით გაკეთებული. **ადამიანური უბრალოება და მუშური სისადავე** არის პროლეტარული მწერლობის აუცილებელი ლოზუნგი და კ. კალაძეც [illegible] იწყებს მუშაობას.

სასაუბრო-მიმართვითი, ანუ ლირიკული მიმართვის ლექსის ნიმუშს წარმოადგენს „ერთი საუბარი", აქ თხრობა შეზავებულია მიმართვასთან და ამ რიგად ვღებულობთ საინტერესო შედეგს. **პროლეტარული მწერლობა გამძაფრებით უნდა ებრძოდეს აზნაურულ ესთეტიზმს ლექსიკონის საკითხშიც.**

ფაბულარული ლექსია „ზამთარი"-ც, მაგრამ ეს ლექსი კიდევ სხვა ნაირადაც საინტერესოა. აქ მოცემულია ტიპი, ტიპიზაცია განსაზღვრული მოვლენისა ჩვენ საზოგადოებაში. სამწუხაროა, რომ პრიმიტიული სიმბოლიკა, რომელიც არის „ენგურის მთებ"-ში აქაც მეტად აბრკოლებს ლექსის გაგებას, ვინაიდან დღევანდელი მკითხველი თანდათან გადაეჩვია ასეთ სიმბოლიკას და რაიმე ცხოველის და მოვლენის სახით ადამიანების წარმოდგენას. **ეხლა ადამიანებზე პირდაპირ ლაპარაკობენ!** ამ ლექსში კი ყვავის სახით, რომელიც თურმე საუკუნოებით ძლებს, მოცემულია ქვემძრომი ადამიანის ტიპი, რომელიც ყოველ ეპოქას ახლავს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებულების მხარეზეა და ჰკორტნის ამ გამარჯვებულებს:

„ყვავი რა ყოფილა! ამბობენ სცოცხლობს ასეულ წლობით,
ზამთარ თუ ზაფხულ ზემოხსენებულ რტოს არ შორდება"!
„რა დროში გინდათ, რომ არ სწყალობს მაღალი ღმერთი!
ეგ ავკაცობა უთუოდ ყველას გაგიგონიათ:
გამარჯვებისთვის გამოსულ გმირის დაჭრილი მკერდი
ამოსაკორტნათ მუდამ ჰქონია"!

მაგრამ ეს ლექსი მეტად საყურადღებოა ახალი ლექსიკონის და კონსტრუქციის მხრივ. აქ მოცემულია თანამედროვე პროლეტარული **მოხსენების სტილის მხატვრული იმიტაცია, ციტიკურ ფორმებში:**

„ვის რა უამბო... წელს ნოემბერი გახდა ქარძალი!
გუშინწინ თოვდა, — **და ლოლიკურად ეგ ზამთარია.**
უმზერ ტოტებზე ჩამომსხდარს ყვავებს, —
**და მართალია**
რომ სურათივით ჩემ ფანჯარაში ჰკიდია ბალი" —
**„თუ შეუძლია გაიზიაროს ის დებულება**
რომ გადმომჩხავლა ყვავმა ზამთარი".
**„იმას ვამბობდი...** ჩემ თვალწინ მარტო ჩამაფიქრებლათ"... და სხვა.

თქმულთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კალაძეს განსაკუთრებით ეხერხება **ეპიური თხრობა,** ამ მხრივ იგი პირველ რიგში სდგას პროლეტარულ მწერლებს შორის. მაგ. „ძახილი აღმოსავლეთში" ეპიური დინჯი თხრობითი კილოა მოცემული. უადგილობის გამო ფაქტების მოსაყვანად მკითხველს ლექსებზე მიუთითებთ.

კალაძეს ეკუთვნის ქართველ მწერლებში სპეციალური რიტმისა და ტონალობის ჯანსაღი და მედგარი მარშის ჩამოყალიბება („მხედრული", „საპირველ-

მაისო", „მოვდივართ" და სხვა). ეს სპეციალი თემაა და მასაც აქ არ შევეხებით.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ექსპერიმენტებია,—საყურადღებო, სასიხარულო, საჭირო, მაგრამ ჯერ არა საკმარისი. ბევრი ნაკლი დასდევს ამ მუშაობას: პირველი ის, რომ კალაძე კიდევ კოჭლობს იდეურად, ვერ გადავიდა რაიმე სერიოზული ყოფითი მასალის მოცემაზე, ვერ გადავიდა ეპოსზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვერ იძლევა საკმაო კონკრეტულ მასალას და ის დიდის გაჭირვებით სცილდება „ესთეტიურ აზნაურობას", სიტყვის მისტიკას ვერ იცილებს, ცუდ შედეგებს, რომელიც მან მიიღო აღმოსავლურ-სპარსულ ლირიკისკენ დაბრუნებისას („რუბაიები"), ვერ დადის მკითხველამდე, აქტუალურ მოვლენებს ხელს ვერ კიდებს, ძლიერ ნელი ნაბიჯით ვითარდება და აქა იქ ლექსში ეტყობა ზოგიერთი ხელოვნურობა. ყველა ეს ნაკლი დიდ დაბრკოლებათ უძევს წინ კალაძის ინტენსიურ და „შავ" მუშაობას. კალაძეს თავის შემოქმედებაში არ ჰქონია „უმაღლესი წერტილი" ისე, როგორც სხვა პროლეტარულ მწერლებს და ამიტომ მისი მუშაობა მომავალის საქმე უფროა, ვიდრე წარსულის.

**ალიო მაშაშვილი** წარსულ წელში მეტად საზოგადოებრივად აქტუალურ თემებს ამუშავებდა, ამით აიხსნება, რომ მის ნაწარმოებს ყოველთვის საგრძნობი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ორი მთავარი თემა ახასიათებს წარსულ საანგარიშო სეზონში მაშაშვილს: რევოლიუციონური ახალ ეკონომიურ პოლიტიკის („ნეპი"-ს) პირობებში და კლასობრივი ბრძოლა ამ პერიოდისა.

საერთოდ მაშაშვილი **დიდი თემების პოეტია.** მას არც კი ეხერხება კონკრეტულობა და მისი ლექსი ყოველთვის **სქემას** წარმოადგენს, თუმცა მისი სქემა ძლიერია პათოსით და გამბედაობით. რევოლიუციის მიმდინარე მომენტის საერთო და ხშირად განყენებული თემები იპყრობენ მას. სურვილი ამ საერთო თემების მხატვრული „გაუცხოვების" მაშაშვილის პოეზიაში ვერ ღებულობენ თანამედროვე სახეს და ამიტომ იგი უმთავრეს შემთხვევაში მიმართავს **პრიმიტიულ სიმბოლიკას,** როგორიცაა მაგ. გემის რევოლიუციათ წარმოდგენა, ტალღა—რევოლიუციონური მოძრაობა, ზღვა—მასსები, ქალი—საქართველო და ამ შედარებებზე მთელი ლექსების აგებას („გემი" „პასუხი მოგონებას" და სხვა).

წარსულ წელს მაშაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ **„პოეტი კაპიტანი", „ძველი მაზარა", „პასუხი მოგონებას".**

„პასუხი მოგონებაში" ავტორი ახასიათებს აგვისტოს აჯანყების შემდეგ მასში შექმნილ კლასობრივი შურისძიების გრძნობას, პოეტმა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ნდობა გამოუცხადა „საქართველოს". მაგრამ აგვისტოს დღეებში ეს „საქართველო" რეაქციის ლოზუნგებით აღსდგა ახალი ქვეყნის წინააღმდეგ. პოეტი ჰკარგავს თავის „ნდობას", შურის მაძიებლის როლში სდგება. მართლაც, არა მარტო მაშაშვილისათვის, არამედ მთელ რიგ პროლეტარულ მწერლებისათვის ასეთი „ნდობა" „საქართველოსადმი" დამახასიათებელი იყო ერთ პერიოდში. „ნეპის" განმტკიცების შემდეგ ზოგიერთ პროლეტარულ მწერ-

ლებში თანდათან მოდუნდა კლასობრივი ბრძოლის უნარი, „საქართველო“ „დასვენებისკენ“, ანუ **კლასობრივი განიარაღებისკენ** მოუწოდებდა. ბევრი პოეტი კიდეც გაჰყვა „საქართველოს“ ამ მოწოდებას და მხოლოდ აგვისტომ გაახსენათ მათ „საქართველოს“ მოწოდებათა უაღრესად კლასობრივ-პარტიული და რეაქციონური მნიშვნელობა:

„მითხარი:—გიჟო, დაისვენე **ბრძოლა გათავდა**
და ცხელ ქარქაში ბასრი **ხმალი ჩამაგებინე,**
ამ დროს აგვისტოს სველ ღრუბლების ფერხულს მართავდა,
რომ აემართა მტრის სურვილი მალალ ჯებირებს“.

ასე სამართლიანად, ახასიათებს მწერალი იმ პასიობის განწყობილებებს, რომელიც აგვისტოს წინ ზოგიერთ რევოლიუციონერებში და განსაკუთრებით რევოლიუციის ობივატელებში ყოფილა გამეფებული და რომელმაც აგვისტოს აჯანყება გამოაშკარავა.

„ძველი მაზარა“ ყველაზე უფრო დასრულებული, მთლიანი და კარგი ლექსია მაშაშვილის ამ წლის ლექსებ შორის. აქ მწერალი ახასიათებს რევოლიუციის ჯარისკაცის განწყობილებებს „ნეპის“ პირობებში. ჯარისკაცს ძველი ბრძოლებში ნაწრთობი მაზარა გამოაქვს ბაზარში გასასყიდათ, მაგრამ ბაზარს სხვა აინტერესებს („ვერცხლის ჩხარუნი“). სასოწარკვეთილება და სინანული მაზარისადმი, რომანტიული მოგონება და უდიდესი სიყვარული ბრძოლებისა ვულკანად ჰფეთქავს ჯარის კაცში და ავტორში. ავტორს „ნეპის“ პერიოდი რევოლიუციის შეჩერებად და გაყინვად მიაჩნია:

„ვბრუნდები სახლში და უბრალო ჯარისკაციევით
ძველი მაზარა კვლავ კედელზე აეტუზება!
რა უყოთ ზოგჯერ **ქარიშხალნი თუ ჩადგებიან,**
**მძიმე ყინვის დროს ზოგჯერ ცეცხლიც გაიყინება...**
დარეკავს ჟამი—ბრძოლის ხმები აფეთქდებიან
და ეს მაზარაც სისხლის ფასად გაიყიდება“!

როგორც ვხედავთ მაშაშვილში შემუშავებულა **უარყოფითი დამოკიდებულება „ნეპი“-სადმი და რომანტიული დამოკიდებულება სამოქალაქო ომის პერიოდისადმი.**

ჩვენ აბსოლუტურად არ ვეთანხმებით ავტორს, რომ „ნეპი“ გაყინვას ნიშნავდეს კლასობრივი ბრძოლის თვალთახედვით. ჩვენ გვგონია, რომ „ნეპ“-ში, სხვა ფორმებში, გრძელდება კლასთა მძაფრი ბრძოლა. აქ უფრო მეტი ჭკუა, უფრო მეტი კლასობრივი ალღო, მეტი კლასობრივი გამძლეობა, ბრძოლის უნარი და პათოსია საჭირო. **რევოლიუციის ჯარისკაცს სრულებითაც არ ხჭიროდა ძველი მაზარის გასასყიდათ გამოტანა. ეს პასიობას ნიშნავს. დღეს ისევ საჭიროა ძველი მაზარა (ძველი კლასობრივი გამძლეობა). ჩვენ დღეს ისევ განვაგრძობთ ბრძოლას, და „ნეპი“-ს „ჩამდგარ ქარიშხალად“ გამოცხადება, კლასობრივი ბრძოლის ველიდან გაქცევას ნიშნავს.**

„პოეტი კაპიტანი“ მაშაშვილის უკანასკნელი ლექსია და წარმოადგენს

კალაძის „მებრძოლის ლექსის“ პარალელურ მოვლენას. ამ ლექსით ავტორი პროლეტარული მწერლობის მოქალაქეობრივ ამაღლებას მოითხოვს:

„რათ გინდა ლექსი უდღეური და უფერადო
საკუთარ ცის ქვეშ სიმწრის ოფლში დღეს რომ გალაქე.
**ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ**
**როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე!**“

ლექსი საერთოდ მებრძოლი ხასიათისაა, მაგრამ ასრულების მხრივ ის ნაკლი აქვს, რომ ნაწყვეტებიდან შეკოწიწებულის შთაბეჭდილებას სტოვებს... თითქოს ავტორს ცენტრალური მაგისტრალი არ ჰქონდაო. მიუხედავათ ამისა ლექსში გვხვდება ბევრი კარგი ადგილი, როგორიცაა: „ეხ, რამდენია წამოსული“... და სხვა. ამ ლექსის ბოლოს მაშაშვილი ისევ იმეორებს „ძველი მაზარის“ განწყობილების ერთ ნაწილს, სახელდობრ ბრძოლის რომანტიკას („ჩვენ კიდევ ტყვიით აშენებულ დღეებს უცინით“).

ამ წელში დაწერილ ლექსებ შორის აღსანიშნავია, როგორც მორიგ პოლიტიკურ საკითხებზე გამოძახილი „რიქშა“. შედარებით სუსტია „გემი“ და ძლიერ სუსტი და პირდაპირ აუტანელი „ლია წერილი ამხ. სტალინს“.

საერთოდ მაშაშვილს ხშირად აქვს, ე. წ. „ჩავარდნები“. ამ ბოლო ხანებში მის ლექსებს **განმეორება** და თავისივე გადამწერების სენი შეჰპარვია. თანდათან აშკარა ხდება, რომ პროლეტარულ მწერლებს და კერძოთ მაშაშვილს ზოგიერთი გამარჯვებების შემდეგ **შეუჩერებიათ მუშაობა თავის თავზე**, გაჩერებულან, რის შედეგად მასალა და ახალი იდეები შემოკლებიათ.

**იოანა ვაკელი** ე. წ. „ძველ“ პროლეტარულ მწერლებიდან ყველაზე უფრო წინა პლანზე გამოვიდა და წარსულ წელში დაგვიმტკიცა, რომ მას შეუძლიან მომავალი ზრდაც. იდეურათ ის ვერ იჩენს საკმაო სიმტკიცეს და ამ მხრივ წარმოადგენს მეტად საკვირველ მოვლენას; ამაღლებულ, ჯანსაღ და ოპტიმისტურ აღმშენებლობითი პათოსის შერევას მეტად დავარდნილ და სასოწარკვეთილ პირად განწყობილებებთან (იხ. „ზაჰესი“, „ლექსი მეგობრებისადმი“ და სხვ.). ასეთი აღრევა მეტად დამახასიათებელია ბევრ პროლეტარულ მწერლებისათვის: მათი პირადი ყოფა იმდენად ღარიბია, იმდენად არა კოლექტივისტური, რომ ეს ყოფა პესიმისტურ განწყობილებებს იწვევს მწერალში, მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფა, ბრძოლა, შრომა და აღმშენებლობა,—პირიქით ჯანსაღ მოტივებს. აქედან ის საკვირველი აღრევა, რომელიც ხდება ვაკელის შემოქმედებაში. ჩვენ შედარებით ჩამოყალიბებული გვაქვს სახელმწიფოებრივი ყოფა, ხოლო სრულებით ჩამოუყალიბებელი რჩება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ყოფა-ცხოვრება, და ამ წერტილიდან დაძვრა „ცრემლთა ფრქვევით“ კი არაა შესაძლებელი, როგორც ამას ვაკელი სჩადის, არამედ მედგარი ბრძოლით ახალი საზოგადოებრიობისათვის.

ვაკელის შემოქმდება განსაკუთრებით საინტერესოა ფორმალური თვალსაზრისით. წარსული წლის მის ლექსებში თანდათან მუშავდებოდა დინჯი და ჯანსაღი სტილი, რომელიც უმთავრესად პუშკინიდან მოდის. პუშკინის გავლენა ხშირად **მიმბაძველობამდეც** მიდიოდა, მაგალითად „ლექსი მეგობრებისადმი“. თუმცა ზოგიერთ პროლეტარულ მწერლის დეკადენტებია მიბაძვით ნაწერ ლექსს ასეთი გავლენები ბევრად სჯობია. ძთავარია, რომ ვაკელს უკვე შეუგნია ლექსის განახლების ამოცანა:

„მაშ, შენ, ვით ვხედავ; მართლა გინდა **ხმები ძლიერი,**
რომ გადაეცეს პირიდან პირს, სოფლიდან სოფელს“ და სხვ.
(„ლექსი აღმშენებლობაზე“).

აი ამ „ძლიერი ხმების“ შედეგია, რომ ვაკელის იდეურად არა რევოლიუციონური ლექსი ნაწილობრივ მაინც ჯანსაღ ემოციებს იწვევს. ეს იმით აიხსნება, რომ ვაკელი აგებს ნაწარმოებს პათეტიურ საფუძველებზე („ზელიმხანი“) და განსაკუთრებული მძლავრი, მე ვიტყოდი ცხოველური რიტმით ამუშავებს **პათეთიურ ოდას** („ლექსი ალმშენებლობაზე“, „ზაჰესს“ და სხვა).

ვაკელის მიერ წარსულ წელს გამოქვეყნებული ლექსებიდან ზემოთ დახასიათებული თვალსაზრისით ყურადღებასიქცევენ, შემდეგ: „**ზელიმხანი**“, „**ლექსი მეგობრებისადმი**“ და „**ზაჰესს**“, მაგრამ განსაკუთრებით კარგია იდეურადაც და ფორმალურადაც „**ლექსი ალმშენებლობაზე**“, თუმცა ეს ლექსიც განყენებული ხასიათისაა.

ვაკელის შესახებ თქმულს უნდა დაუმატოთ ის, რომ **მოძღვრების** და ოდის ჟანრი, რომელიც სამწუხაროდ ხშირად მის შემოქმედებაში ცოუ კლასიკურ პათეთიურობამდე ადის, ხელს უშლის ყოფით და კონკრეტულ მასალაზე გადასვლას. პუშკინის არ იყვეს:

„До ныне гордый наш язык
К почтовой прозе не привык“.

აი ეს „პროზამდე“ დაუსვლელობა, ყალბი პათოსი ყოველთვის ახასიათებდა ვაკელს. ეს პათეტიურობა ნაწილობრივ ორგანიულადაა წარმოშობილი ვაკელის შემოქმედებაში, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში **მოტანილია გარედან,** ლიტერატურიდან, შეთხზულია, ამ სიტყვის ცუდი ესთეტიური მნიშვნელობით. აღნიშნული გარემოება უშლის ხელს ვაკელს საზოგადოებრივად აქტუალურ პოეტად გახდომას, მისი მხატვრული ნიჭის უფრო დიდ შინაარსობრივ დატვირთვას.

**კონსტ. ლორთქიფანიძე** წარსულ სეზონში დიდი **რაოდენობითი წარმატებით** ხასიათდება. დიდი ენერგია და სქოლასტიურ პედანტიზმამდე მომავალი შრომისმოყვარეობა ემჩნევა მას. უამრავი გამოქვეყნებული ლექსები, მოთხრობები და პიესაც კი სხვათაშორის ამტკიცებენ, რომ ლორთქიფანიძემ მიაღწია ერთგვარ შტამპს, რომლის მიხედვით იგი სწერს და სწერს... განსაზღვრული წერის მანერის გამომუშავება ცუდი არ არის, მაგრამ თუ ეს მანერა არც ისე კულტურულია და თანამედროვე, თუ იგი პრინციპიალურად ახალს არაფერს შეიცავს, მაშინ ასეთ **ნახევრად მიღწევების** შტამპად გადაქცევა, მასზე შეჩერება და თვითდაკმაყოფილება გაყინვას უდრის.

ლორთქიფანიძემ მიაღწია იმ სამწუხარო შედეგებამდე, როდესაც იგი სხვადასხვა თემაზე **ერთი და იგივეს სწერს, სხვადასხვა საგანთან და მოვლენებთან შეხვედრისას** ერთი და იგივე განწყობილებით, ეს კი შტამპის უცუდესი მხარეა. მაგალითად თუ წავიკითხავთ ლორთქიფანიძის „საბარგო ავტომობილს“, „ლამაზ ქალს“ და „რაიკომის საწყარ მანქანას“ ან „შეგიძლია“-ს თქვენ გრძნობთ, რომ პირველ ლექსში ავტომობილი, მეორეში ქალი (ლამაზი!) და მესამეში მუშფაკის სახლი ერთ და იმავე განწყობილებით და ერთი და იგივე შტამპითაა მოცემული. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ლორთქიფანიძეს დაუარსებია კონსერვების ქარხანა, სადაც ყველა ცხოველს ერთნაირად სარგებლობენ.

ლორთქიფანიძეს უეჭველად უკვე ჰქონდა თავისი შემოქმედების **მწვერვალი,** რომლის შემდეგ მან დაიწყო ერთბაში დაქანება. ოდესღაც, როცა საქართველოს

პროლეტარულ მწერლობაში ლექსის წერაც კი ხეირიანად არ შეეძლოთ, როცა კრიზისი იყო გამეფებული, მაშინ ლორთქიფანიძის სიმბოლიზმის გავლენით დაწერილი ლირიკული ლექსი წინსვლას წარმოადგენდა. ეს იყო წინსვლა იმიტომ, რომ პროლეტარული მწერლები საერთოდ ლექსის წერას სწავლობდენ, ეჩვეოდენ ზოგიერთი ახალი განცხადების ძველ ფორმებში მოცემას. მაგრამ დადგა, როცა პროლეტარული მწერლობა წინ უნდა წავიდეს, როცა მან უნდა შექმნას **საკუთარი** ლექსი, მაშინ ეს ოდესღაც ნახევრად მიღწევა, [illegible] ტამპად გადაიქცევა, იქცევა სრულ თავიანივე წინააღმდეგობად, [illegible] პროგრესიული მოვლენა რეგრესიულ როლის შესრულებას იწყებს. მართალია, იგი კარგ ლექსებს სწერს, უკვე ჩვეულებრივი სიადვილით სწერს ერთი და იგივე ტიპის ლექსებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ლორთქიფანიძეს ახასიათებს დიდი წარმოდგენა თავის თავზე, ყოყოჩობა. წარმოდგენის ბრალია ალბად ის გამბედაობა, რომელიც ნებას აძლევს გადმოიწეროს ბეზიმენსკიდან (იხ. „თემა მესამე", „რაიკომის საწერი მანქანა") უტკინ-ქაროვიდან („ლამაზ ქალს"—სახელიც კი დედნის ავტორებისაა), მაიკოვსკი ასეევიდან („მოლარესთან", მაიკოვსკის სათაურიც დაახლოებით ასეთია: „Разговор с Фининспектором о поэзии") და სხ.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ საერთო იდეების მხრივ პროლეტარული მწერალი საქართველოში არ უნდა ჰგავდეს რუსეთისას, მაგრამ რბილად რომ ვსთქვათ, „მთარგმნელობა" და ამ „მთარგმნელობით" დიდი პრეტენზიები უსაფუძვლოა.

**თუ გვინდა ჩვენი მწერალი გახდეს ძლიერი და ჰქონდეს საკუთარი სახე, რომ დარჩეს რაიმე ხერიოზული კვალი მწერლობაში და ცხოვრებაში, ჩვენ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ სურვილს პლაგიატისადმი.**

თქმულით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ლორთქიფანიძეზე, მას უეჭველად მოეპოება განსაზღვრული, და შეიძლება ითქვას, დამახასიათებელი ადგილი პროლეტარულ მწერლობაში. ლორთქიფანიძე არის რელიეფიური წარმომადგენელი **„ტკბილი ლირიკის", რომლის სოციალური საფუძველი შეიძლება რევოლიუციით დაღლილობაში ვეძიოთ».** ობივატელური სიწყნარის იდეალიზაცია, ქალური და ქუთაისური სანტიმენტალიზმი, რევოლიუციონური წარსულისადმი უპატივისცემლობა, თითქოს მისდამი პატივისცემით დაწერილ ლექსებში („საბარგო ავტომობილი", „რაიკომის საწერი მანქანა"), ფილისტერული კმაყოფილება თავისი თავით და ყველაფრით, რიტორიული და კაზიონური პათეტიურობა, სიტკბილე და უვნებლობა,—აი დაახლოებით ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებს მას. აი ამის რამოდენიმე მაგალითი:

„რა დრო გვინახავს! **ეხლა ყველიც**
**საქართველოში არ ითელება**
**სიმშვიდის ტალღა უხვად დაღვრილა,**
**დამცხრალა (!) ცეცხლი ჩვენი თვალების**", და სხვ.

პოეზიის წარმოდგენა, როგორც **„გალობის"** („ჩემი პასუხი").

სიტყვის როგორც „ქალწულური სინაზე" („მინიატურები") და სხ.

სრულებით არაა იდეოლოგიურათ გამართლებელი „რაიკომის საწერი მანქანა"-სი.

**„შეჩერდი ცოტა, გადმოვიდა მშვიდი საღამო**
**და შენ ფანჯარას გადაეკრა თბილ საყვარულით".**

და შემდეგ: **„ო, დასუფთავდი, ველურობა შენ არ გარგია**
**როს ფეთქავს შრომა წესიერი აღფრთოვანებით**
**ხმაც შეიკვალე, ღღეა ხმოვანი სიტყვის მაგიერ**
**უფრო გჭირია შემპარავი თანხმოვანები".**

ამას ეუბნება პოეტი ბოლშევიკს: მოვიდა „მშვიდი საღამო“ („ნეპ“!?), დაიწყო ეპოქა „წესიერი აღფრთოვანების“, ამიტომ „ხმაც შეეცვალოთ“, „ძველი შრიფტი უსათუოდ გამოიცვალოს“. „აღარ გვჭირია რომანტიკა ძველი ბრძოლების“ (იქვე) და „დღეს ხმოვანი სიტყვის მაგიერ უფრო გვჭირია შემპარავი თანხმოვანები“-ო. სწორეთ ამის შემდეგ „გადახრა“ პროლეტარულ პოეზიის პოზიციების სრულ დატოვებათ იქცევა.

განსაკუთრებით ძლიერი იყო წარსულ წელს კ. ლორთქიფანიძე პროზაში. ამ მხრივ იგი პირველ რიგში სდგას პროლეტარულ მწერლებს [illegible] ძლიერ საყურადღებო ექსპერიმენტი მოახდინა მან მოთხრობა **„ფოტოგრაფ“**-ში, შემოქმედების ხერხების გაშიშვლებისა. საერთოდ „ფოტოგრაფი“ საინტერესო ნაწარმოებია. მომჭირნეობა, სიუჟეტის ორიგინალობა და სოციალური მნიშვნელობა—საგრძნობ წონას აძლევს მას. კარგია აგრეთვე „მესამე გზა“ (პროზა), თუმცა აქ ეტყობა კომუნისტური შინაგანი ყოფის უცოდინარობა და ბულვარული რომანების გავლენა. სუსტია მისი, რომანი „ხავსი“ (სახელგამის მიერ გამოცემული), მასში რევოლიუციის ზედმეტი ადამიანის აპოლოგიაა მოცემული; და ამ მხრივ იგი იდეურადაც შემცდარია.

ამ რომანში ავტორს დაუშლია ყველა თავისი ლექსები. საერთოდ ამ მეთოდს იგი ხშირად მიმართავს. პროზა კი ვერ მოითმენს პოეზიას. თვით პოეზიიდან უნდა განიდევნოს პოეტურობა, აქ კი პროზაშიც შეაქვთ. კიდევ უფრო უარესია „ერთი ახალგაზრდის დღიურიდან“. ასეთი ნაწარმოები იმის მომასწავებელია, რომ ავტორს სახელის მოსახვეჭად იაფ ფასიან ეფექტებისათვის და აუტანელი ბანალობისთვის მიუმართავს. ალბად **მიხ. ჯავახიშვილის,** ასეთი გზით მოხვეჭილი „დიდება“ არ ასვენებს ლორთქიფანიძეს.

წარსულ წელს ლორთქიფანიძემ გამოსცა შემდეგი წიგნები: „ხავსი“ (რომანი—სახელგამი), „ლიმილი“ (ლექსები—სახელგამი), „ფოტოგრაფი“ (მოთხრობა—„შრომა“), და ამ ბოლო ხანებში ჟულტურულად გამოცემული ლექსების წიგნი „პირველის შემდეგ“.

**კალე ფეოდოსიშვილი—პოლიტიკური ყოველდღიურობის პოეტია.** მაგრამ ლექსს პოლიტიკურ თემაზე იგი არ აყალბებს, „ხალტურამდე“ არ დაჰყავს, რაიც ხშირად ემართებათ სხვა პროლეტარულ მწერლებს. ფეოდოსიშვილის **„ლექსები ჩინეთზე“** საუკეთესო არის იმ ლექსებიდან, რაც დაწერილა საქართველოში ამ თემაზე. ეს თითქოს განყენებული თემა, რომელზედაც სხვა პოეტები ორიოდე მაღალი ფრაზით ლაპარაკობენ, მან ისე გააცოცხლა, ისეთ ფორმებში მოგვცა,—თითქოს თავის სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე ლაპარაკობდეს. საყურადღებოა ის მომენტიც, რომ ავტორი თითქოს სპეციალური პოლიტიკური მომზადებითაც არის აღჭურვილი, როცა ასეთ თემებს ამუშავებს. „ლექსები ჩინეთზე“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ზოგს მიაჩნია ეს წვრილ ამბებად
და მასზე წერა ლექსის დახრჩობა;
**მე კი მგონია ასჯერ დიდია**
**ვ ნემ თამარზე ლექსით ჩარჩობა“.**

ეს სამართლიანი შენიშვნა, რომელიც ალბად გამოწვეული არის აბაშელის თავდასხმებით პროლეტარულ პოეტებზე, თითქოს საპროგრამო ეპიგრაფად აუღია ფეოდოსიშვილს.

მაგრამ ფეოდოსიშვილი თანდათან ცდილობს გადავიდეს კონკრეტულ თემებზედაც. განყენებული მიდგომა კონკრეტული თემებისადმი, „პოლიტიკიდან“ საერთო ადგილების განმეორება, რომელიც უეჭველად უარყოფით მოვლენად ჩაეთვლებოდა ფეოდოსიშვილს,—ეხლა თითქოს აღარ ახასიათებს. საყუ-

რადღებია ამ მხრივ ფეოდოსიშვილის „დედის საფლავზე“, „მაისობა სოფლად“ და სხვ.

პირველი თემის, ე. ი. პუბლიცისტურ თემებზე დაწერილ ლექსებიდან საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს **„ბელადს“**.

ფორმის მხრივაც ეტყობა ფეოდოსიშვილს წინსვლა. თუ წინეთ მას ახასიათებდა დემოკრატიული პოეტების და სანდრო ეულის მხატვრული ფორმები, ღღეს მას უკვე მოეპოება მცირედი, მაგრამ მაინც საყურადღებო „ინვენტარი“, ლექსიკონი და წყობა. საყურადღებოა ფეოდოსიშვილის [illegible] ადის და საერთოდ ორატორული ჟანრების დამუშავება.

**ნოე ზომლეთელი** წარსულ წელში განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა მხატვრული პროზის სფეროში. მართლაც, ის დიდი რევოლიუციონური წარსული, პირადი გამოცდილება და საერთოდ სოფლის ყოფა-ცხოვრების კარგი ცოდნა საშუალებას აძლევს, რათა მოგვცეს ნაყარმოები სოფლის ცხოვრებიდან. ლექსი ვერ იტევს ამ მასალას. მით უმეტეს ვერ იტევს ამ მასალას ნოე ზომლეთელის ლექსი, რომელიც აშენებულია უმთავრესად ლირიკულ საფუძველზე.

**„იფქლი“** წარმოადგენს მოთხრობას 1905 წლის შემდეგი ცხოვრებიდან, რეაქციის მძვინვარების ეპოქა სოფლად ხასიათდებოდა რეაქციონური ძალების: მწყრლის, მამასახლისის, ბობოლა ბლეხის, მღვდლის, ბოქაულის და აზნაურების ნარჩენების მჭიდრო კავშირით. ეს კონსოლიდაცია ძალებისა განსაკუთრებით საგრძნობი იყო სწორედ 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობის შემდეგ, ვინაიდან ამ ბოძრაობამ გაიოაფხიზლა ანტირევოლიუციონური ფენები. ამ რეაქციის გამოფხიზლების და რევოლიუციონური ფენების თანდათანი დაქსაქსის ფონზე იშლება ეს მოთხრობა. მის ცენტრში ჩვენ ვხედავთ ერთი მხრივ, დიდად მოხერხებულ და გაიძვერა ბწერალს, მეორე მხრით გლეხ რევოლიუციონერს — თედო ახალიშვლს.

ნოე ზომლეთელი, როგორც ვთქვით, სოფლის კარგი მცოდნეა. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხატვრულ ნაწარმოების კითხვის დროს გარკვევით გრძნობ, საკმე გაკვს პოლიტიკურათ მობზადებულ მწერალთან, რომელმაც კარგათ იცის თუ განსაზღვრული მოვლენებს სოფლის ცხოვრებიდან რა საზოგადოებრივი და ეკონომიური პირობები იწვევს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს მოთხრობა იწყება სწორეთ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. ქიაჩელის რომანი „სისხლი“, და ბევრი სხვა ნაწარმოები რევოლიუციონერთა ცხოვრებიდან უფრო ხშირად იწყება 1905 წლის დამარცხების შემდეგ. ეს იმიტომ ხდება, რომ 1905 წლის დამარცხების შემდეგ თითო ოროლა რევოლიუციონური გმირების ბრძოლა, მათი თავდადებული ერთგულება ერთანანეთისადმი, თავგანწირულება, „წითელი რაზმების“ ტყვეთ გაჭრა და სხვა ასეთი მოვლენები უფრო „რომანტიულია“, უფრო გმირული და ამიტომ ბწერლების ყურადღებას უფრო იქცევენ. ეს იმითაც აიხსნება, რომ ჩვენმა ბწერლებმა ჯერ ვერ ისწავლეს რევოლიუციის მასიური მომეტების, მისი გაბარჯვების, ზეიმის და სიხარულის მხატვრული გადმოცემა. როდესაც პროლეტარული ბწერალი იძლევა ზეიმის სურათს, ის უეჭველათ რიტორიკაში ვარდება, საერთო ფრაზებით იტვირთება და ამ რიგად ვერ იძლევა „ხორცს“, ფუძეს იმისას, რაზედაც აღმოცენდა ეს ზეიმი და სიხარული.

„იფქლი“ ამ მხრივ უეჭველათ რევოლიუციონურ აღტყინებას იწვევს მკითხველში, მაგრამ იგი სუსტია იქ, სადაც ავტორი გადადის ოქტომბრის რევოლიუციის მოცემაზე საქართველოში. აქ, მისი თხრობის მაშტაბი თანდათან პატარავდება, მასალა ილევა და ვლებულობთ საერთო სქემას, ბრკლებულს ცხოველყოფელობას და ინტერესს. როგორც სჩანს ავტორს უკვე შეეხწავლია რევოლიუციონური ბრძოლების შორეული წარსული, ვიდრე უახლოესი ხანა.

პროზაში ზომლეთელის მუშაობა შედარებით ახალი საქმეა. ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც პროლეტარული პოეზიის „ვეტერანს“, დიდი რევოლიუციონური წარსულის მქონეს მწერლობაში, ავტორს აღფრთოვანებული რევოლიუციონური ლექსებისას, რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლს და ასე შემდეგ. მაგრამ თუ დღეს ის მხატვრულ პროზაზე გადადის, ეს მეტად დამახასიათებელი მოვლენაა და უეჭველათ იხსნება იმ გარემოებით, რა გარემოებითაც სხვა პროლეტარული მწერლების „პროზაული“ გადახვევა. ეს საერთო მიზეზი ის არის, რომ ერთის მხრივ მკითხველი და მეორე მხრივ თვით აუარებელი მასალა ჩვენი წარსულიდან და აწმყოდან აყენებს ამ ამოცანას.

ზომლეთელის წარსულ წელს გამოქვეყნებული ლექსებიდან განსაკუთრებით ვერც ერთს ვერ გაუსვამთ ხაზს, ვინაიდან ამ მხრივ წარსულ წელს იგი შედარებით სუსტ ლექსებს აქვეყნებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზომლეთელს მხატვრული ფორმის სფეროში ისევ აწამებს საეკლესიო სახეები და პრიმიტივიზმი. მაგალითად, ერთ-ერთი ლექსი მეტად რევოლიუციონურ თემაზე ატარებს ასეთ სახელწოდებას: „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი“. 1927 წელში ნოე ზომლეთელმა გამოაქვეყნა ორი წიგნი: „უმუშევარის დღიურიდან“ (პროზა) და „სიცილ-ტირილი“ (იუმორი).

**სანდრო ეული** საანგარიშო სეზონში ხასიათდებოდა დიდი პროდუქტიულობით, მაგრამ შინაარსის მხრივ რჩება ისევ თავისი ერთგული, ისევ განაგრძობს ერთხელ აღებულ ხაზს რევოლიუციის ბრძოლის პოეტისა, მისი ზეიმის მედროშისას. ცალკე წიგნად გამოქვეყნებული საოქტომბრო პოემა „ათი წელი“ საგრძნობლად განსხვავდება მისი სხვა ამავე ხასიათის ნაწარმოებიდან, მეტი მხატვრულობით და პათეთიურობით, თუმცა ვიმეორებ, ჟანრის მხრივ იგი ისევ ადგია ძველ გზას. წარსულ წელს მან გამოსცა სამი წიგნი: ზემო აღნიშნული პოემა „ათი წელი“ (სახელგამი), „შრომისა და ბრძოლის ჰანგები“ („შრომა“), „ახალგაზრდა საქართველო“, (პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია). უფრო საყურადღებოა, ამ წიგნებ შორის „შრომისა და ბრძოლის ჰანგები“, როგორც ერთგვარი რეზიუმე წარსული მუშაობისა.

წარსულ წელშივე გამოქვეყნდა **ელიზბარ პოლუმორდვინოვის** მოთხრობის პირველი წიგნი „ვერცხლის ქამარი“. ამ წიგნის გამოსვლით პოლუმორდვინოვმა უეჭველათ დაიმტკიცა პროზაიკის უფლება, მაგრამ ეს პირველი წიგნი ატარებს კვალს მოწაფეობისას, იდეოლოგიური მერყეობისას და თემატიური მოუმწიფებლობას. უფრო მომზადებულია პოლუმორდვინოვი, როგორც ოსტატი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ამ ფორმის შინაარსით დატვირთვა, რაიც მის მორიგ ამოცანას შეადგენს.

პროლეტარულ პროზაიკიდან წარსულ წელში ყურადღებას იქცევდა მუშა მწერალი **ნიკო ასლამაზაშვილი**, რომელმაც გამოსცა ცალკე წიგნად მოთხრობების კრებული „ნაძალადევის არწივი". აქ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავათ ასლამაზაშვილის მხატვრული სიღარიბისა, იგი საყურადღებოა თემატიკით და თავის საკუთარი, სხარტულ და მოკლე მოთხრობების სტილით.

წარსულ წელშივე გამოიცა პროლეტარულ პოეტ **პეტრე სამსონიძის** (ქუთათელაძის) ლექსები (სახელგამი). აქ მოთავსებული არის „მთავარი იმისგან, რაც დაუწერია მას და მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ამ წიგნის საშუალებით.

ვათავებთ, რა პროლეტარულ მწერლობის მიმოხილვას, ჩვენ სპეციალურად უნდა შეეჩერდეთ იმ ახალგაზრდა ძალებზე, რომლებიც გამოდიან ახალგაზრდათა ფენებიდან და განსაკუთრებით კომკავშირული ახალგაზრდობიდან. მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს „კომკავშირელ მწერალთა წრის" კოლექტიურ მუშაობას. თუ რას იძლევიან პრინციპიალურად ახალს ეს ახალგაზრდები, ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი წერილის დასაწყისშივე. აქ კი ხაზი უნდა გაუსვათ ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტ **ფრიდონ ნაროუშვილის** შემოქმედებას. ფაქტიურად ეს ახალგაზრდა პოეტი პროლემაფის თაობას ეკუთვნის, თუმცა დაგვიანებით კი გამოვიდა „პროლეტარულ მწერლობის" ფურცლებზე. პოემა „ტყაჩო" „ზარა", „ქალაქი ოფუცხოვოში" და სხვა, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ავტორს მოეპოვება დიდი კონკრეტული მასალა, მაგრამ მას ჯერ ვერ შეუმუშავებია საჭირო ჟანრი.

როგორც ჩვენი მიმოხილვიდან ვხედავთ, განსაკუთრებული, ე. წ. „ეპოქალური" ნაწარმოები წარსულ წელს პროლეტარულ ლიტერატურას არ მოუცია. არ მოუცია მას არც რაიმე ისეთი, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ, როგორც „**მეტრი**" წარსული წლის ჩვენი მუშაობის. მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ მხოლოთ ზოგიერთი პოეტები და მწერლები აწარმოებენ დიდ მოსამზადებელ მუშაობას, არის ცდები პოემების, რომანების, ნაწერების კონკრეტულ მასალებზე აშენების, ეპოსის შექმნის, ფაბულარულ ლექსებზე გადასვლის, ცოცხალ და სასაუბრო ლექსიკონზე მუშაობის, ლექსის გაუბრალოების, ლექსში კონკრეტულ მასალის შეტანის, და ასე შემდეგ, მაგრამ ყოველივე ეს, მხოლოდ მზადებაა, ფაქტიურად კი საგრძნობი შედეგები ზოგიერთების ამ მზადებას არ მოჰყოლია. საერთოდ მხოლოდ ერთეულები ვერ შექმნიან ლიტერატურულ „დარს".

შემოქმედებითი კრიზისი მხოლოდ მაშინ იქნება დაძლეული, როდესაც პროლეტარული მწერლების რამოდენიმე წარმომადგენლების მთელი რიგი შესძლებენ ახალი თემების, ახალი ჟანრის და ტიპის პრობლემის დაძლევას. პროლეტარული მწერლობის ამოცანებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს ადამიანის პრობლემას, იგი მოითხოვს დიდ მუშაობას და გამძლეობას, პროლეტარულ მწერლებიდან კი ცოტანი მოიპოებიან ასეთები.

ოპტიმისტურად ვათავებთ: ხალხი ბევრია, ნიჭიერი ახალგაზრდები მოსჩანან, საქმე მუშაობაზე, ახალი ამოცანების შეთვისებაზე და საზოგადოებრივ აქტიობაზეა დამოკიდებული.

(დასასრული—შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ივანე მაჩაბელი

## მასალები ბიოგრაფიისათვის

## კარი პირველი

### თ ა ვ ი IV

### მაჩაბელი ევროპაში

(გაგრძელება[1]).

მონპელიედან მაჩაბელი ისევ პარიზში 'გაემგზავრა...

მას დახვდა გასრესილი და ვერსალის მიტრალიეზებით დაცხრილული პარიზი...

ყუმბარების ნასისხლარი ქუჩები, რომლებსაც დააკლეს ათასი მუშები, ბავშვები, ქალები, მილიერი, დელაკლიუზი... თითეული ნაბიჯი მიწისა ჯერ კიდევ აცხადებდა პარიზის თავზე დატრიალებულ უღმერთო ტრაგედიას.

—...„შევედით პარიზში. ოცნებით და წარმოდგინებით დაღალულ ჩემ თვალს და გონებას ეგონა, რომ პარიჟი კარებზე დაგვხვდებოდა, ცალ ხელში კაცის გული ეჭირებოდა, გაჭრილი და გამოკვლეული მისი თვისებებით და მეორე ხელში—ის მშვენიერი მომავლის დროშა, რომლის სახელით დანთხეულა აქ ამოდენა სისხლი და მოპოებულა მთელი კაცობრიობისათვის ამოდენა პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიმართლეები.

—„მე მართლა ველოდი, უცდიდი ამისთანა შეგებებას, ისე მიდგა თვალწინ პარიჟის სახე, მივუახლოვდით სადგურის სასახლეს, გავიხედეთ მისი ფანჯარიდამ და დავინახეთ უშველებელი, ასოებით ამოჭრილი სიტყვებით:

„საფრანგეთის რესპუბლიკა—თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

მაგრამ ჩემი პარიჟი კი არსად იყო, თავისი კაცის გულით და მომავლის დროშით. მის მაგიერ მე ორი გამოჯგიმული კაცი მომადგა, და ორივემ რესპუბლიკის სახელით მომთხოვეს: ერთმა პასპორტი და მეორემ—თუთუნი და სიგარები“...[2])

---

[1]) იხ. „მნათობი“. 1924 წ. № 2, 4, 5.

[2]) ნიკო ნიკოლაძე. „კრებული“. აგვისტო 1873.

ამნაირად შეეგება მაჩაბელს პარიზი. პარიზი რეაქციის...

„კვლავ შეჩერდა ისტორია,
განახლების შედგნენ ძალნი!“..

* * *

გასული საუკუნის პირველ ნახევარშივე პარიზში არსებობდა ქართული კოლონია, შემდგარი სტუდენტებისა, ქართველი კათოლიკეებისა და ემიგრანტებისაგან...

ჩვენი ძველი დიპლომატების ტრადიციული მოგზაურობა ევროპის გზებზე 40—50 იან წლებში შეიცვალა ქართველი სტუდენტების ექსკურსიებით ევროპის კულტურისაკენ...

აქაც, როგორც ყველგან და მუდამ, ქართული ახალგაზდობა სამშობლოს გარეშე, არ დამალვია არც ერთს პოლიტიკურს ქარიშხალს. მას აღელვებდა ყოველი ეპიზოდი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და პარიზთან ერთად ყურს უგდებდა საფრანგეთის გულს...

ამიტომ არ არის საკვირველი, როცა დახვრეტილ კომუნართა შორის ჩვენ ვხედავთ ქართველ სახელებს: ბაგრატიონს, ფავლენიშვილს და სხვ...[1])

ქართული ღარიბი სტუდენტობა ცხოვრობდა ლათინურ კვარტალში.

სენ-მიშელის ბულვარზედ, კვარტალის პოლიტიკურ ცენტრად ითვლებოდა ღარიბი კაფე „სუფლე“—შტაბი ემიგრანტების, რესპუბლიკანელების დ პოეტების.

საღამოობით კაფე „სუფლე“ ინსურგენტების ბანაკს მოგაგონებდათ.

აქ იყო გაჩაღებული თეორეტიული წრეების მუშაობა დაუსრულებული კამათი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის, სხვა და სხვა სისტემის გარჩევა და ერთი ჭიქა ლუდის გარშემო აღტაცებული სიტყვები და აპოლოგია რევოლიუციის...

ი. მ.—ის პოლიტიკურსა და ლიტერატურულ განვითარებაში ამ წრეებმა შესაფერი როლი ითამაშეს.

შემდეგში ი. მაჩაბელი მუდამ სიყვარულით იგონებდა „სუფლე“-ს საღამოებსა და იქაურ მეგობრებს.

როგორც განსვენებულმა გიგო გაბაშვილმა მიამბო მაჩაბელს და მის რამდენიმე პარიზელ მეგობარს უნდოდათ „სუფლე“ს მიბაძვით ლიტერატურული კაფეს დაარსება ტფილისში...

მაგრამ შევიდეთ თვითონ „სუფლე“ში:

—აგერ, დაბოლილ კუთხეში მოსჩანს ფაფარ დაყრილი ფიგურა უტოპისტი კონსიდერანის.

მოხუცი ოპტიმისტი ახალგაზრდობას კვებავს თავისი ფანტასტიური იდეებით და ცხარე საუბრებით ფალანსტერების გარშემო.

აი კიდევ მეორე მებრძოლი ტრიბუნი—პეტრ ტკაჩევი. („პეტრ ნიკიტიჩ“ ანუ „პეტენკა“ როგორც ეძახდენ მეგობრები).

ზის კუთხეში მუდამ აღტაცებული, და კამათობს: „როგორ მოვახდინოთ რევოლიუცია რუსეთში.“

ლაპარაკის დროს მას უყვარს ჩუმი სტვენა და ღიმილი არ შორდება სახეს.

[1]) ანტონ ფურცელაძის მოთხრობის („ჩვენებური საქმის ბოლო“).
პერსონაჟი თავის სიცოცხლეს ათავებს კომუნის ბარიკადებზე.

აგერ ნისლიანი სახეები შლისსერბურჰელების: ლოპატინის, ჩერნიშევის, ალექსანდროვსკის.

აქვეა ახალგაზრდა პროფესორი—ვასილ პეტრიაშვილი და სხვ.

არის დაუსრულებელი დისკუსიები პარიზის კომუნის გარშემო. არჩევენ ბრძოლის ტაქტიკას. ისმის სახელები. ტიერი, გამბეტტა, კომუნა, საფრანგეთი.

აქაური ატმოსფერა სუნთქავს პრინციპებით, იდეალიზმით, [illegible] ქვეყნიურ სინამდვილიდან „მხოლოდ გარსონის ვალები“ თუ [illegible]

— ვცხოვრობდით,—მიამბობს დავით გურამიშვილი ლათინურ კვარტალში, მაგრამ ეს კაფე ნამდვილი ჩვენი ბინა კი იყო. სენ-მიშელის ბულვარს ვანდობდით ჩვენ ალტაცებას...

— ვმეგობრობდით კონსიდერანს და სხვა „დიდ მოღვაწეებს“. პეტრე ტკაჩევი კი უფრო ახლოს იყო ჩვენთან თავისი ბუნებით, ვიდრე ის უფროსი ამხანაგები...

— მაგრამ მე და ვანოს გვქონდა ნაცნობობა პარიზის მეორე პოლიუსზედაც. ჩვენთვის მუდამ ღია იყო სასახლე ერთი ჩვენი მოხუცი მეგობრის, რომელთანაც ხშირად დაედიოდით.

— ეს იყო ნეგოციანტი და ესთეტი და. ბამვილ, ჩვენ მას დავარქვით „პეტრონიუსი“. მართლაც ის მოგაგონდებათ პარიზის თანამედროობაში გადმოსულ არისტოკრატს „რომის დაცემის“ დღეებიდან...

— ვუყვარდით ძალიან. გვპატიჟობდა, გვასმევდა ლიკიორებს. ვკითხულობდით ლექსებს...“

* * *

ი. მ. უხვად ისარგებლა ევროპაში ყოფნით. ძმა ვასილ მ—ლი ერთგან სწერს ილია ჭავჭავაძეს:

„რაც ჩემს ძმას შეეხება, თუმცა გიგზავნი იმის ადრესს, მაგრამ ჩემის აზრით ამ ერთს წელიწადს, ვიდრე სამძღვარს გარეთ არის და თავის აზრის შეხედულებას ადგია, ძნელია იმისათვის, ეხლა სხვა საქმის გამოკიდება (ე. ი „ივერიაში“ თანამშრომლობა, რომელსაც ილია სთხოვდა).

...შენ არ იცი რა წვალებითა და ჭაპანწყვეტით მოხერხდა იმის საზღვარ გარეთ წასვლა.

**რა ძვირფასად გვიზის ყოველი საათი, რომელსაც ის იქ დაჰყოფს.** დამერწმუნე, რომ ამ ერთ წელიწადს შემდეგ უფრო კარგად დაგეხმარება...“

პარიზელი ამხანაგები გადმოგვცემენ მის მუყაით მუშაობას უნივერსიტეტში და პარიზის საზოგადო ბიბლიოთეკებში[1].)

---

[1]) აღსანიშნავია რომ პარიზიდან მას უცდია თანამშრომლობა რუსულ პრესაში, როგორც თითონ ამბობს მატერიალური ინტერესით. შემდეგში მისი საპოლემიკო წერილები იბეჭდებოდა სატაბტო პრესაში.

„იქნება მოხერხდეს როგორმე, რომ Голос-მა თავისი კორესპოდენტობა მე მომცეს, რაკი ერისთავმა Кавказ-ი აიღო“.

. . . . . .

მეორედ, 3 IX 1877 წ.

ამ ფაქტს მისი სამკითხველოს ბიბლიოგრაფიული ცნობებიც გვიდასტურებს...

პარიზს გრანდიოზული შთაბეჭდილება მოუხდენია: განსაკუთრებით პარიზის მუზეუმს.

ერთგან ასეა გაზიარებული ძმასთან პარიზის შთაბეჭდილებანი:

პირველ წერილში ის იწერება:

„პარიჟზე არასა გწერ. მეორე წიგნში დაწვრილებით ~~[illegible]~~ რაც რამა ენახე შესანიშნავი ამ ზღვარ-ქალაქში. ეხლა პარიჟზედ რომ შეგიწერა რამე მესხისავით უნდა დამეწყო, რომ პარიჟში ბევრი მაღალი სახლებია, და სახლებს ზემოთ საყდრებიო [1]).

ორ-სამს დღეში ძნელია კაცი აქაურს ცხოვრებას დაუკვირდეს. მაშ მეორე წიგნამდის... [2]).

ერთს თავის წერილში სწერს პარიზის კატაკომბებზედ:

„იმ დღეს აქაური კატაკომბები ენახე. რაც პარიჟის შენობებს ქვა უნდებათ, სულ პარიჟის ქვეშიდამ ამოაქვთ და ცარიელ ალაგას იმისთანა კორიდორებს აკეთებენ, რომელნიც პარიჟის ქუჩების სიგრძეები არიან. ამ კორიდორების გვერდები დიდრონს ოთახებად არის დიყოფილი და ადამიანის ძვლებით არიან გატენილნი, რომელნიც სასაფლაოებიდამ მოუკრეფიათ ალაგის უქონლობის გამო. ამ ჯურღმულში, თვეში ერთხელ შეუძლიან პუბლიკას ჩავიდეს და ერთი საათი მეტი ამ ქვესკნელის ქუჩებში ისეირნოს.

ჩვენ ასი მეტნი ვიყავით. ქალი და კაცი. ყველას ხელში სამთელი გვეჭირა. უნდა გენახა რა გასაოცარი და ცრუმორწმუნოებისათვის საშიშარი იყო ეს

— „შენ რომ მწერდი ოსმალეთის საქართველოზედ კომპილიაცია შეადგინე და „Наш Век“-ს გაუგზავნეო, ის საქმე ეს სამი კვირეა შეგასრულე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. რა კარგი იქნებოდა, რომ დაებეჭდათ, მაშინ შეიძლებოდა აქედანაც კორესპოდენციები მეგზავნა, თუ რედაქცია მოინდომებდა და ფულის ~~ლხვა~~ წყარო გაგვეჩინა. მაგრამ ამ დაგვიანებიდან სჩანს, არაფერი იმედია ამ მხრიდამ. პეტერბურგის ჟურნალისტებს კასტა აქვთ შედგენილი და ვინც იმათ კასტას არ ეკუთვნის, ძნელად თუ შესძლებს დააბეჭდვინოს რაიმე..“

— ჩემი კორესპოდენცია წაიკითხე „Новое Время“-ში მე სულ იმედი გადაწყვეტილი მქონდა, როცა შევხვდი „порядок“-ში იქიდამ გადაბეჭდილს შენიშვნას ცენზურის თაობაზედ. ამ დღეებში ცალკე გამოვგზავნი კორესპოდენციას და ეცადე იქნება მართლა ფასი დამინიშნონ. ძალიან შეღავათს მომცემს, თუ მიხერხდა“...

[1]) მომყავს ეს ადგილი სერგეი მესხის სამგზავრო შთაბეჭდილებებიდან.

„პარიჟის პირველ დანახვას, იმის ნიადაგზე პირველი ფეხის დადგმას გამაშტერებელი და ჩამაფიქრებელი ზედმოქმედება აქვს კაცის გონებაზე.

თვალი ხედავს ზღაპრის ქალაქივით თვალ-უწვდენელ ქალაქს, დაუბოლოვებელ სწორე ქუჩებს, კოშკებივით ამაღლებულ ექვს და შვიდ ეტაჟიან სახლებს და ამ სახლებზე კიდევ უმაღლესს ეკლესიებს, კოშკებს და ძეგლებს. გული გრძნობს, რომ შენი ფეხი სდგას ისეთს ნიადაგზე, რომელზედაც რამდენსამე ასს შთამომავლობას უცხოვრია, უმოქმედნია, რომელზედაც რამდენიმე რევოლიუცია მომხდარა, რომ ყოველი ნაბიჯი ამ ქალაქის მიწისა საფრანგეთის თავისუფლებისათვის დაღვრილ სისხლით არის მორწყული, გრძნობ, რომ შენ ხარ იმ ნიადაგზე, იმ ქალაქში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს თავი და გული მთელი საფრანგეთისა, სადაც ცესს მ. ჯა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა....“ და სხ.. (იხ. „დროება“ 1874 წ. სერგეი მესხის: „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“..)

[2]) 3 სექტ. 1877 წ.

პროცესია. აქეთ იქით სხვა და სხვა წლის სასაფლაოებიდგან ამოკრეფილი ადამიანის ძვლები დიდის რევოლიუციის დროსი, ძვლები ამ საუკუნის დასაწყისისა და სხვ.

აქა იქა ზოგიერთი პოეტებისაგან ამოკრეფილი წარწერილები ხეკვდილზედ, მეორედ აღდგომაზე ან სხვა ამისთანა „დაბადების“ საკადრისს საგნებზედ.

მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა შთაბეჭდილება ჰქონდა კაცნედ ამ პროცესიას, როდესაც ერთი გრუპა მეორეს დაჰშორდებოდა ხოლმე და მოახლოვების დროს ამ „წყვდიადს„ სიბნელეში კაცი არჩევდა ჯერ რაღაც გაურჩეველს სინათლეს და შემდეგ აჩრდილებსავით მომავალს სულიერებს, რომელთ ჩრდილსა და სახეს გარდა კაცი ვერაფერს ვერ გაარჩევდა.

კაცს ეგონებოდა „საიქიოს“ ვარო. მაგრამ პარიკელების ჩვეულებრივი ხუმრობა და სიცილი ამ ილიუზიას მალე გააქრობდა ხოლმე...“ [1])

* * *

ორი უკანასკნელი წერილი ძმასთან შუქს ფენს მის ცხოვრებას პარიზში.

„საყვარელო ძმაო ვასო, ამ წიგნს პარიკიდან გწერ, სადაც ეს ორი დღეა მოვედი გერმანიიდან. თუმცა მაშინვე მინდოდა შენთან წიგნი მომეწერა, მაგრამ პარიკი ისეთი ქალაქია, რომ სანამ კაცი რიგიანად არ დაბინავდება, სულ „დავთრებ დაკარგული“ დადის და ამისთანა მდგომარეობაში წიგნის დაწერაც კი შეუძლებელია.

„რასაკვირველია, რაწამს მოვედი პარიკში, მაშინვე ნაცნობის“ ეისბეგ მონახვა დავიწყე და გავწიე Bue st „Nonose“ დ. ზარაფოვის საპოვნელად, მაგრამ ერთი მიზეზის გამო მხოლოდ სამი დღის შემდეგ შევიძელ მისი პოვნა.

.....რაკი ზარაფოვი ვერ ვიპოვნე, იმავე დღეს გავეჭანე სხვა ადრესზედ იზმაილოვის საპოვნელად. თუმცა იზმაილოვს არ ვიცნობდი, მაგრამ რაკი ქალაქელი იყო, იმედი მქონდა მიმასწავლიდა როგორ უნდა მოვქცეულიყავ, რომ ჩვენი ჯიბის შესაფერი ოთახი ან სადილები მეპოვნა. მაგრამ ჩემდ- სამწუხაროდ სახლის პატრონმა მითხრა, რამდენიმე თვეა, რაც იზმაილოვი თბილისში წავიდაო [2]).

ამას გარდა სახლის პატრონმავე მითხრა, რომ მიქელაძე, წულუკიძე და სხ. აქ ჩემთან იდგნენო. ამის გამო მეც ამ სახლის პატრონს გამოვართვი ოთახი, რადგან დიდხანს ყოფნა გოსტინიცაში მემძიმებოდა მეტისმეტ სიძვირის გამო. ოთახი მეშვიდე სართულში მომცა 40 ფრანკად თვეში მებელით მაგრამ უშეშოთ.

ამას გარდა ამავე სახლში აძლევენ საუზმეს (12 საათზედ) და სადილს (6 საათზედ) ვინც თვეობით მოურიგდება უნდა 20 ფრანკი აძლოს სადილისა-

[1]) 21 იანვ. 1878.

[2]) იზმაილოვი—ცნობილი სომეხი მოღვაწე, თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ დროს თბილისის ქალაქის თავი.

თვის და უზმისათვის. მაგრამ მე მარტო სადილს გავურიგდი 55 ფრანკამდე, რადგან საუზმით ძვირად დაჯდებოდა· თუმცა სადილს ექვს საათზე აძლევენ..... როგორც აქედ-იქიდამ მითხრეს, შეიძლება უფრო იაფად მოვეწყო. თუმცა შენა მწერდი ფულს გაუვრთხილდიო, მაგრამ ისიც რომ არ მოგეწერა, მეც ვიცოდი, რა გაფრთხილება უნდა, მეტადრე ეხლა შენს ჯიბეს, როდესაც მანეთში ორსა და ნახევრის ფრანკს მეტს არ აძლევენ.

ზარაფოვმა ძალიან კარგა მიმიღო და მეორე დღეს სადილათაც დაპატიჟა. მაგრამ რაც მინდოდა, იმის ჩვენება კი არ შეეძლო. ის მდიდარი კაცია და არაფრად საჭიროობს იმის ცოდნას თუ სად როგორ შეიძლება უფრო იაფად ცხოვრება და ჩემთვინ ეს ცნობები ყველაზედ უფრო საჭირო იყო. რაც შეეხება ლაბორატორიაში მუშაობას ამაზედ დაწვრილებით ვერას მოგწერ. მხოლოდ კი მითხრეს, რომ თუ კერძო ლაბორატორიაში იმუშავებ რომელსამე პროფესორთან 40 ფრანკამდე დაგჭირდება თვეშიო. აგრეთვე შეიძლება სტუდენტათ ჩაეწერო სადმეო და მხოლოდ ერთბაშად შეიტანო 50 ფრანკამდე და ხიმიის ეგზამენის ლაჭრის შემდეგ აიღო ნება ლაბორატორიაში მუშაობისათ. მე მგონია უფრო ამ უკანასკნელს გზას გამოვარჩევ. ეხლა ჯერჯერობით კანიკულებია და პირველს ოქტომბრამდინ მგონი არა იქნება რა... [1])

„ამ შენმა უკანასკნელმა წიგნმა ცოტათი დამაღონა, რადგან გული დავაჯერე, რომ შენ მე კიდევ კარგად ვერ მიცნობ. დარწმუნებული უნდა იყო, ძმაო, რომ მე იმ ანდაზას არ მივდევ „საცა შეხვიდე იქაური ქუდი დაიხურეო". დარწმუნებული უნდა იყო, რომ აქაური სტუდენტობა თავის ჩირქს მე ვერ მომცხებს და თავ-საკით პრანჭვას მე ვერ მასწავლის·

ამ შენი უკანასკნელი წიგნებიდან მივხვდი, რომ ჩემი აზრი აქაურ სტუდენტობაზე. შენ ფულის თხოვნად მიითვალე ტანისამოსისათვის მე ეს სრულებით აზრად არა მქონდა. მე მხოლოდ იმიტომა გწერდი აქაური სტუდენტობის ამბავს, რომ შენც გაგეცნო ცოტაოდნად აქაურობა. ახლა ამასა გთხოვ, რომ შენი ჭირიმე ჩემის გულისთვის ფულზედ ნუ შეწუხდები და ნუ გაიჭირვებ რაც უსათუოთ საჭიროა იქნება, ამას კი მოგწერ ლაიკის პერჩატკება და ლაკის პოლსაპოშკ ბს სჯობს თავი დავინებოთ.

ცოტ-ცოტათი ამოვიდგი ენა ნემენცურად; რასაკვირველია, რომ პროფესორების ენა და ლექციები უფრო კარგად მესმის, სანამ სტუდენტების ერთმანერთში ლაპარაკი; ეს იმისაგან წარმოსდგება, რომ წინაწინ ცოტათი ტეორეტიულად შესწავლილი მქონდა ნემენცური ენა. მხოლოდ ერთი გარემოება მიშლის ნემენცურის ენის სწავლას; სტუდენტებთან ლაპარაკი თითქმის მხოლოდ სადილის დროს შემხვდება ხოლმე; ლექციების დროს სადილზეც ჩემს სტოლზედ სხედან ორი იტალიანელი, ერთი ფრანცუზი და მარტო ერთი ნემენკი, ასე რომ ჩვენი ლაპარაკი სადილათ ნემენცურით, ფრანციცულით და იტალიანურით აჭრელებულია. ეხლა ორი კვირით ლექციები შეჩერებულნი არიან ჯქმეების გამო; ჩემი ამხანაგები წავიდ-წამოვიდნენ, ასე რომ სადილობის დროს ნემენცებთან შემხვდება ხოლმე ჯდომა; იმედი მაქვს რომ ამ ორი კვირის განმავლობაში კარგად შევაჩვევ ყურს ნემენცურსა.

[1]) 3 სე ტ. 1877 წ.

მთელს აკადემიაში სულ 80 სტუდენტია დაეხლა, უქმეებში ოცი ან ოცდაათი ლა დარჩნენ, სხვანი სულ წავიდ-წამოვიდნენ; რასაკვირველია კანიკულებშიაც ასე იქნება: ვინც არა რჩებიან გამომწყვდეულნი თავიანთ ოთახში; მხოლოდ როცა კი დარია, მაშინ გამოელენ ხოლმე კარში, იქნება ზაფხულში უფრო გაცოცხლდეს აქაურობა"...

1878 წელს ი. მაჩაბელი გამოეთხოვა პარიზს და ჩავიდა პეტერბურგში ძმასთან, სადაც დაჰყო ექვსი თუ შვიდი თვე. აქ სტუდენტების წრეებში მან წაიკითხა ორი მოხსენება ქართულ ლიტერატურიდან და დარიბი სტუდენტებისათვის დასდგა „მზის დაბნელება", რომლის შემოსავლის სამი ათას მანეთს უდრიდა.

პეტერბურგშივე ილია ჭავჭავაძესთან ერთად მუშაობდა „მეფე ლირის" თარგმანზე, რომელიც ქრონოლოგიურად პირველ თარგმნათ უნდა ჩაითვალოს შექსპირის რკალიდან.

პარიზელ სტუდენტში სავსებით ჩამოყალიბებული სჩანდა მომავალი ენერგიული მოღვაწე, რომელსაც მოუთმენელად მოელოდდა საქართველო...

პატ. ეკატერინე მესხისა მწერს:

„ვანო მაჩაბელის სახელი ჯერ-კიდევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს გავარდა.[1]) რუსეთიდან ჩამოსულები ახასიათებდენ ვანოს, როგორც ნიჭიერს, საკმაოდ განვითარებულს ახალგაზდას ჩვენც რასაკვირველია მისს დაბრუნებას სამშობლოში დიდის სიხარულით მოველოდდით ისედაც მცირე რიცხოვანს ქართულ ინტელიგენციას ემატებოდა ახალი ძლიერი ძალა[2]).

[1]) ნიმყავს ი. მაჩაბლის დიპლომი 1. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დასრულებისა:

Совет императорскаго Санкт Петербургскаго Университета сим об'являет, что князь Иван Георгиев сын Мачабели, 22 лет от роду, православного вероисповедания, поступив в числе студентов сего Университета 2 сентября 1871 года, выслушал полный курс наук по естественному разряду Физико-Математического Факультета и оказал на испытаниях следующія познания: в Анатомии человека, физиологии животных, ботанике, минералогии, геологии—хорошия, в богословии—достаточныя, за которыя физико-математическим факультетом, по представлении диссертации, признан достойным ученой степени кандидата а, на основании 4 пункта § 42 общаго устава Россиских университетов, утвержден в этом степени советом университета 22 марта 1876 года.

По сему предоставляются князю Мачабели все права и преимущества, законами Российской Империи со степенью кандидата соединяемыя. В засвидетельствование сего дан сей диплом от совета императорского С.-Петербургскаго Университета, с приложением университетской печати.

Санкт Петербург, 27 мая 1876 г.

[2]) სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს: „როცა ილია პეტერბურგიდამ ჩამოვიდა, სადაც მაჩაბელთან ერთად ეთარგმნა „მეფე ლირი" შექსპირისა, სიამოვნებით გვითხრა, რომ ჩვენს საზოგადოებას და ლიტერატურას ევლინება შესანიშნავი ნიჭიერი კაცი, ენების მცოდნე, ფხიზელი მოაზროვნე და ნაყოფიერი მწერალი". (იხ. გაზ. „ბატრიონი" № 10 „მოგონებები ილიაზე").

გიორგი თუმანიშვილი იგონებს:

პირველად ივანე მაჩაბელი გავიცანი ფოთში 1876 ან 1877 წელს.

— ილია, რომ პეტერბურგიდამ დაბრუნდა, მისგან ქებასა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა—„ასეთი განვითარებულია, ქართული ენა და ლიტერატურა მშვენივრად აქვს შეთვისებული შესანიშნავად იცის ევროპიული ენები, განსაკუთრებით ფრანგული და ინგლისური.

მე ვსთხოვე მალე დაბრუნდეს სამშობლოში და უნდა დავტოვალდეთ, შესაფერი საქმე მოუნახოთო“...

ი. მაჩაბლის უცხოეთში ყოფნას ვათავებ უცხოელის, [illegible] ტროპის შემდეგი შეფასებით:

— ...„თავადი ივანე მაჩაბელი, რამდენათაც ვიცი ერთად ერთი ქართველია, რომელსაც შეუძლიან ინგლისური ლიტერატურის კითხვა ინგლისურ ენაზე, გადათარგმნილიც აქვს შექსპირის ზოგი პიესები.

ი. მაჩაბელი მართალია 30 წლისაა მხოლოდ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთად ერთი პიროვნებაა, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს თავის თანამემამულეებში. ის სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში, ახლოს გაეცნო ევროპის გონებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამ გარემოებით აიხსნება, რომ მოზარდ თაობას მისი გავლენით კარგად

---

მე იქ გამომძიებლად ვიყავი, ვანო კი საზღვარ-გარედ აპირებდა და ცოდი დარის გამო ერთს დღეს ფოთში დარჩა, ვიდრე შავი ზღვით გაემგზავრებოდა.

მას უნივერსიტეტი დაესრულებინა პეტერბურგში, მაგრამ იქაური სწავლით კმაყოფილი არ იყო, სურდა ჰოჰენჰაიმში მეურნეობა შეესწავლა. ამ გაცნობის დროს მე შევატყე, რომ მას სურდა ჩვენი ქვეყნისათვის ბევრითად ემსახურნა და მისი მოღვაწეობა უნაყოფოდ არ დარჩენილიყო ჩვენს ხალხისათვის“.

პეტერბურგში ყოფნის დროს მოხუცი მწერალი სვიმონ ტაბიძე შემდეგ იამბიკო აკროსტიხს უძღვნის ივანე მაჩაბელს:

„მე არა ვარ ლირს ესე ვითარი წყალობისა,
ადმადგინ სიკმეთ წარბმორთებელ,
ჩინებულად მაგალით თქვენის მაშვენ
ალმსუბუქებელ შევიწროებულთ
ბევრეულჯერ მონუგეშ წყალობით.
ეჰა, განვსცხრებოდეთ თქვენის მოსვლით
ლმობილ გულით შემწყნარებულ გრძნობით
საბრალოთა ყოვლ ყურად მღებელი!

ტრედ უმანკოების ცხოვრებისად,
ალვალებ ენას თქვენდა ქებისად.
ბრძენებრ საქმეთა შორის მჭვრეტელო
იუნჯებ ღვთის მიერით კურთხევას.
ძეთა და ნათესავთაჩვენდა ნუგეშ
ივერ ქართლს მამულთა მემკვიდრეე
თვითლა ხარონ მონათ ჩვენეც გვანათე...

„მათს ბრწყინვალებას, თავადს, მიერთმევის აკროსტიხი მათი უკანასკნელის მონის, რომელ არის „მაჩაბელს ტაბიძით“ 18376 ნოემბრის 13—“.

სვიმონ ტაბიძე („გურული“ როგორც თავისთავს უწოდებს) 40—50-იან წლების სხოლასტიური პოეტი, ისტორიოგრაფი, გადამწერი ქართული ანნალების. (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას თან დაურთო თავისი „უწყება მკითხველთათვის“ თანამშრომლობდა ბროსესთან და ბატონიშვილს თეიმურაზთან.

ესმოდა, რამდენათ მაღლა დგას დასავლეთი აღმოსავლეთზე. ის სდევნიდა, საჯაცილოთ იგდებდა ყველაფერს, რასაც ემჩნეოდა აზიის გემოვნება და ელფერი. პირველ ადგილზე იყო მისთვის „რომანული გერმანული იდეალები“ [1]) ოცდა თერთმეტი წლის შემდეგ მსოფლიო ომის დროს, (1915 წელს) იგივე უორდროპი სწერდა ი. მ. მეუღლეს ანასტასია მაჩაბელისას:

— „რამდენჯერ მიფიქრია მისი (ი. მ.) შესახებ განსაკუთრებულად ამ მძიმე წუთებში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში თქვენს ძვირფასებს ხშირად განუცდია.

მისი ხასიათის სიმტკიცე, მისი ბრწყინვალე გონიერება, მისი მომხიბლავობა, მისი თავგანწირულობა საქართველოსათვის შესძლებდა აეცილებინა მრავალი უბედურობა მისი თანამემამულეებისათვის. მის ცდას ფუჭად არ ჩაუვლია. მისი სული დღესაც ცოცხალია მათ შორის, ვინც მას უყვარდა და მისი სახელი მუდმივ პატივისცემაში იქნება“.

## ᲥᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

### თ ა ვ ი V.

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ. ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ.

1879 წლიდან ივანე მაჩაბელი თბილისში ბინავდება...

— როგორც ყველა ჩამოსულები ევროპიდან—ვანოც ჩვენთან, „დროების“ რედაქციაში შემოვიდა—მწერს სერგეი მესხის მეუღლე ეკატერინე მესხისა.

„ჩვენ რასაკვირველია დიდი სიხარულით შევეგებენით. სერგეი დიდხანს ებაასა ევროპის პოლიტიკურს ამბებზე. ბაასის დასასრულ შეეკითხა თუ ევროპის შემდეგ რას აპირებს: სახელმწიფო სამსახურს თუ კერძო საქმეს მოჰკიდებს ხელს...

სახელმწიფო სამსახურზე ვანომ სასტიკი უარი განაცხადა. მისი განზრახვა იყო ჯერჯერობით საკუთარ მამულში მეურნეობის მოწყობა. სწორედ ამავე მიზნებით წასულიყო პარიზში...“

მაგრამ იგი სულ მალე დაბრუნდა თამარაშენიდან.

რა იყო მიზეზი მისი დაბრუნებისა?

გული აიყარა მეურნეობაზე თუ გარემოებამ ხელი არ შეუწყო. პირველად სცადა კულტურული მეურნეობის გაწევა. ამ მიზნით მან გადაკაფა ვენახში ხეხილი, რის გამოც ნათესავები და მეზობლები გაიძახოდნენ:— „საფრანგეთში იმას გასწავლიდენ, რომ მამაპაპეული საქარე ხეები ძირიანად გადაკაფეო.“ [2]) ასევე სწუხდა დედაც, ძმაც.

ხეები მართლა გადაკაფა მაგრამ გეგმის დანარჩენი ნაწილი ეღარ განახორციელა და გულნატკენი ტფილისს დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ჟურნალ „ივერიაში“ იგი სისტემატიურად ათავსებდა სასოფლო სამეურნეო ხასიათის წერილებს.

---

[1]) იხ. ოლივერ უორდროპის წიგნი ინგლისურად: The Kincdom of Georgia“.

[2]) ეკატერინე გაბაშვილმა მიამბო.

მაჩაბელი უკვე იძულებული გახდა ეზრუნა თავის ოფიციალურს მდგომარეობაზედ. ილია ჭავჭავაძე უფრო ადრე ფიქრობდა ამის შესახებ და კიდევაც გამოუნახა ადმინისტრატიული თანდ ებობა მაშინდელი სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორისა.

მაგრამ „პედაგოგობა ვერ გამოდგა მისი ხასიათისათვის შესაფერი საქმე“ და სულ მალე თავი დაანება ისევე, როგორც სოფლის მეურნეობას.

ეკატერინე მესხისა გადმოგვცემს: მაჩაბელმა დიდხანს ვერ დაჰყო სათავადაზნაურო სკოლაში. მაშინდელი პედაგოგები გოგებაშვილი და ცხვედაძე გვარწმუნებდნენ. რომ „მეტად სუსტი პედაგოგია და სრულიად გამოუცდელია“...[1])

ამავე აზრს ასაბუთებს აკაკი წერეთელი თავის მოგონებაში:

დაბრუნდა თუ არა უცხო ქვეყნებიდან, ის მაშინვე სათავადაზნაურო შკოლის უფროსად გააბწესეს. მისი მეტოქე იყო ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არა მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღელვა და დავიწყე ამრჩევლების ძვირი და ყვედრება საჯაროდ. საზოგადო საქმეში განა ამისთანა „ჩემია“-„შენიანობა“ იქნება?!—სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ეხლა მოშორდა სასწავლებლის კარებს, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს მეთქი, მაშინ როდესაც ალ. ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავის საკუთარი შკოლაცა ჰქონდა მეთქი?[2])

ერთი ვინმე გავლენიან პირზე მიმითითეს: (იგულისხმება ილია ჭავჭავაძე) „იმან მოინდომაო!..“ „როგორ თუ იმან მოინდომა! განა აქ საზოგადო საქმეში ბატონყმობა გვიარსდება?.. არ-კი ძველებურ ბატონყმობას გმობთ და კიჟინასა სცემთ და აქვე კი ინტელიგენტობაში იგივე დესპოტიური, გარემოების შეუფერებელი, ბატონყმობა შემოაქვს მეთქი“? „მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო?“ ნათქვამია და მეც ამ ცხარე საყვედურების დროს, თვითონ ი. მაჩაბელმაც ბევრი რამ საწყენი შემომეხარჯა! გადაჭარბებულ რამეებს ვამბობდი, მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავთ, მხოლოდ შორს კი იჭერდა ჩემგან თავს და მეც არა ვნაღვლობდი, რადგანაც ის იმ წრეში ჩადგა, რომელსაც მე არა თანავუგრძნობდი.—ცოტა ხნის შემდეგ მაჩაბელმა თავისთავად დაანება თავი ინსპექტორობას“[3])

პედაგოგია მისი მოწოდება არ იყო. ცხადია, ამას თითონაც გრძნობდა.

---

[1]) ვას. მაჩაბელი სწერს: „იქ, (სკოლაში) დიდხანს ვერ დადგა, რადგან სულ სხვა ასპარეზისათვის იყო მომზადებული და პედაგოგიური, დინჯი, მომთმენი ხასიათი მას არ ჰქონდა.

[2]) ალ. ჭიჭინაძე—ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დირექტორი ჯერ ხონის საოსტატო სემინარიისა და შემდეგ თბილისის ქართული გიმნაზიისა—მამა საქ. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავჯდომარის ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძისა—გარდაიცვალა 1917 წელს.

[3]) აკაკი წერეთელი. „ივანე მაჩაბელი“. „კრებული“. 1898 წ. აგვისტო № XII.

ძმასთან მიწერილ წერილში ახსნილია ყველა ის მიზეზები რამაც მაჩაბელი პედაგოგობას სამუდამოდ მოაშორა.

„მართალია მემძიმებოდა კიდევ შკოლის თავის დანებებაზედ, გამოლაპარაკება შენთან, მაგრამ შენგან ისეთი მეგობრული და ძმური წიგნი მომივიდა, რომ ძნელია ამ გვარ საგანზე პასუხი არ გაგცე".

„ზოგიერთი მიზეზები, რომელთაც მე შკოლას თავი დავანებებინეს წინდაწინვე მოგწერე, ეხლა კიდევ ერთს უმთავრესს მოგწერ. რასაკვირველია, კაცმა საქმე თავის ხასიათის შესაფერი უნდა აირჩიოს.

„მე როდესაც შკოლაში თანამდებობა ავიღე, არ ვიცოდი გადაწყვეტილი რა საქმე მექნებოდა და რა პასუხისგება. ეს მე არც არავინ მითხრა. მასუკან გამოჩნდა, რომ შკოლის პასუხისმგებელი სრულებით მე ვიყავი, ასე რომ ან ცეცხლი მომხდარიყო, ან ბავში ავად გამხდარიყო, ყველაფერი მე დამაწვებოდა კისერზედ. ერთს საღამოზედ ისეთი შემეშინდა, რომ ჩემს დღეში ისეთი შიში არ გამომივლია. ჩემს ოთახში ვიჯექ და უცებ რაღაც ჟღავილი მომესმა. გაველ კარში. ვნახე მთელი ხროვა ბავშვებისა ამოსულიყო და ყველანი ერთბაშად რაღაცას მეუბნებოდნენ. ზოგი ტიროდა. ზოგს შიშითა ნაცრისფერი დასდებოდა. ძლივს ძლიობით მივხვდი, რომ ლამპა ჩამოვარდაო.

„ჩავედი მაშინვე ძირს, გამოჩნდა, რომ თამაშობის დროს, ლამპისათვის პალტო მოერტყათ და ძირს ჩამოეგდოთ, კეროსინი იატაკს მოსდებოდა და შენი მტერი, ყოჩაღათ რო არ მოვქცეულიყავით, ვინ იცის იქნება სულაც გადავმწვარიყავით.

„გარდა ამისა ზოგიერთი წევრი კომიტეტისა ისე გამოტვინული იყო, რომ წარმოდგენილი ჰქონდა შკოლაში ბავში ავათ არ უნდა გახდესო. სანამ მე შკოლაში ვიყავ, თითქმის არავინ არ გამხდარა ავათ, თუმცა მთელს ქალაქში სხვადასხვა მოარული ავადმყოფობები დადიოდა.

„ბოლოს ერთი ბავში გახდა ავათ. ზოგს ეგონა სახადი არისო. მობძანდა ცხვედაძე და მეუბნევა: ეხლა რომ მაგას სახადი გამოაჩნდეს, მთელი ქალაქი ჩვენზედ დაიწყებს ყაყანსო. ერთის მხრით გამეცინა, და მეორე მხრით გული მომაყვავანა ამ სულელურმა შენიშვნამ და ვუპასუხე, მაშ ღმერთმა ნუ ჰქნას შკოლაში ბავში რომ მოკვდეს, მე კაცის მკვლელათ უნდა გავხდე მეთქი.

„ეს პასუხისგება სრულებით მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემს ოთახში რო ვიჯექ და ვკითხულობდი რასმეს თავიდგან არ გამომდიოდა შიში, რომ შეაძლება აი ეხლა უსიამოვნო ამბავი მოხდეს რამე მეთქი. დაუმატე ამას ის რომ ჩემს გარშემო ყოველ დღე ჟღავილ-ჟღუვილი იყო და წარმოიდგინე, ადვილი გასაძლისი იყო თუ არა ჩემთვის. შკოლაში. რაც ვიყავი ერთი წიგნი არ წამიკითხავს; დრო მართლა ბევრი მქონდა, მაგრამ ორი საათი სრულებით თავისუფალი დრო მერჩივნა მთელ დღეს ასე წვალებაში გატარებას.

— „რაც შეეხება შენს შიშს რომ ამ ჩემს ნაბიჯს ცუდი ზემოქმედება ექნება ჩემს მომავალზედ; ეს შიში ტყუილი შიშია; დავიჯერო, გამკიცხავს ვინმე იმისათვის, რომ ჩემთვის შეუფერებელ საქმეს თავი დავანებე"[1]).

[1]) 1880. 28 იანვარი.

ეს ამბავი ძალიან სწყენია ძმას, რომელიც შემდეგ წერილში დიდი საყვედურებით მიმართავს:

„დღეს უეცრათ დავით ავალოვს[1]) შევხვდი ქუჩაში და რასაკვირველია მანდაური ამბავი ვკითხე. სხვათა შორის გულნაკლულის ხმით მითხრა, რომ ქალალდი მიგიცია შენ თანამდებობის თავის დანებებაზედ. სწორე გითხრა ამ ამბავმა თავზარი დამცა. მართალია, ამასწინათ მწერდი რომ [illegible] სასიამო თანამდებობა არის, მაგრამ მაინც იმას ვერ მოვიფიქრებდი [illegible] ეგრე ჩქარა თავს დაანებებდი, მით უმეტეს რომ არა მგონი მოიძებნოდეს ისეთი საქმე ანუ თანამდებობა, რომელსაც თავის შესაწუხარი არა სჭირდეს რა.

„ყოველ მხრივ სასიამოვნო საქმეს ჩვენს გაჭირებულ ქვეყანაში კაცი ვერ იპოვნის. ვინც კი გულით და სულით გრძნობს თავის სამშობლოს სიყვარულს, ვისაც კი ნამდვილი სარგებლობის მოტანა უნდა თავისი ხალხისათვის არაოდეს საქმის უსიამოვნო მხარეს არ უნდა გაექცეს. მერე რა საქმეს, საქმეს რომელსაც შეუძლიან რამდენიმე ათი და ასი სასარგებლო წევრი შემატოს თავის სამშობლოს.

ამაზედ იქნებ ჩაიცინო და მითხრა, „მერე იცი რა უსიამოვნება მომაყენესო, განა შეუძლიან ვისაც კი ცოტაოდენი თავის მოყვარეობა აქვს გაუძლოს ამგვარ შევიწროებასაო და სხ... ამაზედ ისევ იმასვე გიპასუხებ, რაც ზევით გითხარ. თუ დიდი სასარგებლო საქმე გაბარია, შენი თავის მოყვარეობა უნდა ამ საქმეს ანაცვალო, რაც უნდა უსიამოვნება ნახო არათ უნდა ჩაიგდო, იმ იმედით რომ ბოლოს ყოველი შენი შეწუხება და სიმწარე დაგავიწყდება, როდესაც ნახავ შენი შრომის ნაყოფს. ნაყოფს, რომელიც ასარგებლებს და გაახარებს თავის პაწია სამშობლოს. აი ჩემო ვანო ამისთანა საქმეებში უნდა გქონდეს მოთმინება და სულგრძელობა.

„გახსოვს ილიკო ჭავჭავაძეს, მე და შენ როგორ მივარდით ყელში, როდესაც იმან წამოიძახა: თუ ჩემი სახელი არ იქნება, ბანკი ფეხებზედ მკიდიაო. ნუ თუ ეს გრძნობა აღარ გიღვივის შენ გულში, ნუ თუ თბილისის ტალღებმა სრულებით შეგაცვლევინეს ყოველი ამგვარი ნათელი აზრი. ნუ თუ შენა გგონია სხვა უფრო სასარგებლო საქმეს რასმეს შეუდგები. მე კი ჩემი ცოდვილი პირით ვაღვიარებ და გეტყვი, რომ ეგ შენი გარდაწყვეტილება მოუაზრებელი და უსაფუძვლოა და დიდი მავნებელი მოქმედება ექნება მთელ შენს მომავალ ცხოვრებაზედ.

მართალია, იქნება ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გაგაცხარონ, მაგრამ არ უნდა დაივიწყო, რომ აქამდისინ მე შენ გიცნობდი ჩემ გულითად ძმათ, ერთად ერთ მეგობრათ და მაშასადამე მეგობრული კანონი მაძლევს ნებას პირდაპირ გითხრა ის რასაცა ვგრძნობ. ამ საგანზედ შეიძლებოდა დიდი ბაასი გამემართა, მაგრამ ისეთი შეწუხებული ვარ ამ ამბის შეტყობით, რომ ამ მოკლე სიტყვებით ვათავებ ამ წიგნს.

ის სარგებლობა, რომელზედაც შენ ლაპარაკობ ჩემგან არ გამოვაო, მაშინ სრულებით ხელი არ უნდა მოგეკიდნა მაგ საქმისათვის“...

[1]) დავით ავალიშვილი – საბანკო მოღვაწე.

მაჩაბელს ამის შემდეგ შეაძლიეს სხვა ადგილი მაგრამ იქაც უარი განაცხადა:

„მაძლიეს ახალ შკოლაში მასწავლებლის ადგილი 80 თუმნის ჯამაგირით და სრულის ხარჯით მაგრამ ესეც არ ვქენი“.

მაგრამ მატერიალურ მდგომარეობას ძალა დაუტანებია მისთვის, კიდევ ეთხოვა ადგილი მასწავლებლის და მეორე წერილში ძმას სწერს:

„რაც შკოლას თავი დავანებე, ვცდილობდი სამუშაოს [illegible], იანოვსკისთანაც მივედი მასწავლებლის ადგილის სათხოვნათ, მაგრამ ასე მითხრა, ჯერ-ჯერობით ეისკში, ბერდიანსკში, შურაში კი არის ალაგი, მაგრამ ქალაქში კი არ არისო“..-

ცხადია, იანოვსკი, დიდი სიამოვნებით შეაძლევდა სამსახურს ქართველ მოღვაწეს მხოლოდ ასეთ გადავარდნილ ადგილებში...

თითქმის ესეც იყო საბოლოო მიზეზი მაჩაბელის ჩამოშორებისა საპედაგოგიო სარბიელიდან და ჩაბმისა იმ მუშაობაში, რისთვისაც იგი იყო მოწოდებული.

მაგრამ ამ საქმეშიც ისევ დიდ მონაწილეობას იღებს ილია ჭავჭავაძე.

იმ ხანებში სწერს ძმას:

„ეხლა ჭავჭავაძეს რაკი თანამშრომლობას დავპირდი, უნდა უეჭველათ ზამთარში მაინც ქალაქში დავრჩე და ხან რას მოიგონებს, ხან რასა. ეხლა მეუბნება, რადგან მასწავლებლობა არ გინდა, ბანკში ამოგირჩევენ დამფასებლათო და კასირის ადგილიც გექნებაო (წელიწადში 180 თუმანი).

მე ამაზედ უარი კი ალარ უთხარი, რადგან უეჭველათ მაიმედებდნენ და ამას გარდა დროც ბევრი მექნება რომ ჟურნალისათვის ვიშრომო. ზოგი მეუბნება დირექტორობა იკისრეო. ამორჩევები 30 აპრილს არი და არ ვიცი როგორ გათავდება.

ეხ ადგილი რომ ავიღო ზაფხულში შეიძლება ჩვენს მამულსაც მოუარო. შეიძლება, საცა კი მოსახერხებელია ხილის ბაღები და ვენახები გავაკეთოთ და უფრო გულდამშვიდებით შევხედოთ მომავალს!“...

მაჩაბელი ამის შემდეგ მართლაც დასთანხმდა ილიას საბანკო სამსახურზე, მაგრამ ამაზე შემდეგ...

## თ ა ვ ი VI

### „ივერიაში“. გზების გაყრა. „დროება“. ბრძოლა ცენზურასთან. „დროების“ დაქცევა.

ივანე მაჩაბელის პირველი საგაზეთო წერილი 1875 წელს დაიბეჭდა. ეს იყო „დროებაში“ მოთავსებული პატარა კორესპონდენცია ქართლიდან.

ამიერიდან ქართულს პუბლიცისტიკას ევლინება აქტიური მწერალი, ხოლო სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს ემატება თანამებრძოლი და ეს პუბლიცისტური სამება უძღვება საქართველოში დემოკრატიულ მიმართულებას.

1879 წლამდე ივანე მაჩაბლის ლიტერატურული მუშაობა ამოიწურება უფრო დრამატიული ლიტერატურის გადმოთარგმნით ევროპიულ ენებიდან (შექსპირი, ფრანგი და ესპანელი კომედიოგრაფები.)

მიუხედავად ილია ჭავჭავაძის დაჟინებული თხოვნისა „ივერიაში“ მუდმივ თანამშრომლობაზე, იგი საგაზეთო მუშაობას არ ესწრაფვებოდა.

მაშინ ილიამ დაუკითხავად დაბეჭდა „ივერიაში“ მაჩაბლის კერძო წერილები მისდამი, რაზედაც ვასილ მაჩ-ლი გაკვირვებას გამოსთქვამს:

—„ვანოს წიგნების დაბეჭდვა რამ მოგაფიქრა. განა შეიძლება სიცოცხლის დროს ვისიმე კერძო პირთან მოწერილი წიგნი დაიბეჭდოს? შენგან არ მიკვირს?“

1879 წლიდან ი. მ. ხდება „ივერიის“ რედაქციის ახლობელი წევრი და თარგმანების გარდა (დრამა, ბელეტრისტიკა) სისტემატიურად ბეჭდავს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წერილებს.

1881 წლიდან კი როგორო ქვემოდ დავინახავთ, ჟურნალი „ივერია“ თითქმის მის ხელში გადადის.

ვიდრე ამ მომენტს შევეხებოდეთ, მინდა შევეხო საკითხს მაჩაბლის თანამშრომლობისას ნაროდნიკების ჟურნალ „იმედში“.

ამ ჟურნალში მუშაობის შესახებ პირდაპირ ცნობები არ არსებობს, გარდა ორი პიროვნების დამოწმებისა და ანასტასია მაჩაბლის პირადი შეკითხვისა სტეფანე ჭრელაშვილისადმი. („ტეტიათა მოტრფიალეების“ ერთერთი ლიდერი, პუბლიცისტი „სანო“)

1913 წელს შექსპირის თარგმნების გამოცემის სამზადისში ა. მაჩაბლისა სწერს ჭრელაშვილს.

—„სხვათა შორის მითხრეს, რომ თქვენც შეგიძლიანთ ზოგი რამ ცნობები მომაწოდოთ ჩემი მეუღლის ბიოგრაფიისათვის. **თურმე ერთად გითანამშრომლიათ „იმედში“** არ ვიცი რამდენად მართალია ეს გადმონაცემი“...

არა ვიცი ამ წერილზე რა პასუხი გასცა სტეფანე ჭრელაშვილმა, მაგრამ რამდენად მე ვიცნობ ჟურნალ „იმედის“ შინაარსს, იქ მაჩაბლის იდეური თანაბრომლობა საეჭვოდ მიჩანია.

მხედველობაში მისაღებია კიდევ შემდეგი გარემოება: „იმედი“ დაარსდა 1881 წელს. როცა ილია ჭავჭავაძემ „ივერია“ მაჩაბელს ჩააბარა, ცნობილია, რომ „იმედი“ მაშინ იყო ერთად ერთი ოპოზიციური ორგანო „ივერიის“ წინააღმდეგ. ეს გარემოება კი სრულიად შეუძლებელათ ხდის ი. მ.-ის თანამშრომლობას „იმედში“.

ამნაირად, ნაროდნიკული ტენდენციების მატარებელი საქართველოს გარედ., ი. მ. საქართველოში დაბრუნებისთანავე მოექ ა ნაროდნიკების მოწინააღმდეგე ბანაკში თუმცა მას უკანასკნელთა წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ უწარმოებია.

მაგრამ დაუბრუნდეთ „ივსრიას“...

როგორც ზემოდაც ვსთქვით, 1881 წლიდან „ივერიას“ ფაქტიურ ხელმძღვანელობას უწევს ივანე მაჩაბელი.

ოფიციალური რედაქტორი ილია ჭავჭავაძე კი, საბანკო საქმეებით დატვირთული თითქმის ველარ იცლის სარედაქციო მუშაობისათვის...

ამ მომენტის შესახებ სწერს გიორგი თუმანიშვილი:

„1881 წელს, ჟურნალი „ივერია“ გადავიდა ვანოს ხელში თუმცა რედაქტორად ითვლებოდა ისევ ილია ჭავჭავაძე, მთელი შრომა ზურგზედ აწვა ვანოს.

კარგად მახსოვს რა დიდი შრომა მიუძღოდა მას, რადგან ჩემს მეზობლად ბარიათინსკის ქუჩაზე) იდგა და მეც მუდმივი თანაშეჭწე ვიყავ ამ დროს. „ივერიაში“ ვანო ერთსა და იმავე დროს რედაქტორიც იყო და ანგამშრომელიც“ *).

***

1880 წელს, ქართულ პრესის ისტორიაში აღსანიშნავია „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ შეერთება.

მთავარი მიზეზი იყო ნიკო ნიკოლაძის მიერ „Обзор“-ის დაარსება და მისი პოლემიკა ქართულ სომხური პრესის ჩამორჩენილობის შესახებ. ამ პოლემიკამ ხელი შეუწყო ორი ქართული ჟურნალის შეკავშირებას, რაც აქამდის თითქმის არ არსებობდა.

ინიციატივა შეერთებისა ეკუთვნოდა ჭავჭავაძეს, რადგანაც შეერთებამდე ორივე გამოცემა განიცდიდა ლიტერატურულსა და მატერიალურს კრიზისს შეერთებით კი ფიქრობდენ „ორივე გამოცემის უკეთ წაყვანას“.

როგორც ზაქ. ჭიჭინაძე მწერს, ინიციატივა ამ საქმის ივანე მაჩაბელს ეკუთვნოდა მისი პირადი გადმოცემით, „დროებაში“ ხშირად იბეჭდებოდა საპოლემიკო წერილები ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რაც სწყინდა მაჩაბელს.

„მე კარგად მახსოვს—განაგრძობს იგი, ერთხელ სერგეი მესხთან ყოფნის დროს რედაქციაში, მაჩაბელმა უსაყვედურა „დროება“-ში ილიას წინააღმდეგ დაბეჭდილ რაღაც წერილის გამო. სერგეიმ უპასუხა: ქართულს ენაზედ, ერთი დღიური გაზეთი კმარა! ამის მკითხველიც არა გვყავს ჩვენ და ეს მეორე გაზეთი კადევ რისთვის არის საჭირო, იგი არც გაზეთია, არც ჟურნალი.

„ივანე მაჩაბელმა მიუგო: მართალია, მეც სწორედ ამიტომ მოვედი და გელაპარაკები. ჩვენ, მოქმედების წესიერება არა გვაქვს, ჩვენ ჟურნალი გვქონდა და არა გაზეთი, მე აზრადა მაქვს თქვენსა და ილიას შორის ერთობა ჩამოვაგდო „დროება“ და „ივერია“ შევაერთო. „დროება“ ცოტა გავაფართოვოთ. „ივერიაც“ თვიურ ჟურნალად გადავეკეთოთ.

„გაზეთი „დროება“. მაშინ მეტად პატარა იყო, კაპეიკიანი გაზეთების ტიპისა. ვანოს წინადადება სერგეი მესხს მოსწონებია. ვანოს უთქვამს, რომ ილიას მოსწონდა ეს აზრი. მართლაც ეს აზრი შემდეგ განხორციელდა. ორი

*) იხ. გაზეთი „თემი“ 1913 წ. № 81.

შემდეგ: „დიდი მადლობელი ვიყავი ვანოსი, რომ მან თითქმის პირველმა მოაგონა ქართულ საზოგადოებას ჩემი მამის (მიხეილ ბერთველის ძე თუმანიშვილი, „ცისკარის“ პუბლიცისტი—„მოლაყბე“)—ლექსები.

ის დროს მე გამოვეცი რჩეული ლექსები მამაჩემისა, და ვანომ. „ივერიაში“ დასწერა თანაგრძნობით სავსე რეცენზია ამ წიგნზე. ამით არ იკმარა. გამომითხოვა ჯერ არსად არ დაბეჭდილი პოემა პუშკინის „ბალჩისარაიის შადრევანი“, გადათარგმნილი მამაჩემისაგან, და წაიღო ილია ჭავჭავაძესთან.

მან ძალიან მოიწონა თარგმანი და დაბეჭდა „ივერიაში“ მთლად შეუცვლელად“.

ძალა შეერთდა. „დროებაც“ გაფართოვდა და „ივერიამაც“ იწყო თვიურად გამოსვლა“.

თვით ივ. მაჩაბელი კი ასე სწერს ამას 1879 წ. 9 ნოემბერს:

„იმ დღეს ილია ჭავჭავაძესთან შეყრილობა იყო იმის თარგაზედ, რომ კავკასიაში გაიხსნას ლიტერატურული საზოგადოება იმ პირობებით, როგორც რუსეთში, მაგრამ ამ საზოგადოების მოწინააღმდეგე უფრო ბევრნი ყოფილ ვიდრე მომხრე და ამის გამო არ მოხერხდა.

მხოლოდ ერთი საქმე კი ხერხდება მგონი: „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთება. ისე რომ „დროება“ გადიდდეს და „ივერია“ კი სამს თვეში ერთხელ გამოვიდეს.

მე მგონია, რომ როგორც სხვადასხვა ჯურის ცხოველების შეერთეებისგან არა გამოვა რა, ისე აქედანაც არა გამოვარა. მაინც ვნახოთ რა იქნება“.

როგორც „დროების“, ერთი მეთაურიდან სჩანს, სერგეი მესხი ვერ ბედავდა თავისი სუვერენიტეტის მოშლას, მაგრამ გარემოებამ მაინც დაიყოლია:

„ხანგრძლივი მოლაპარაკება გვქონდა ჩვენ სანამ ამ შეერთებაზე დავთანხმდებოდით; ბევრი ავწონეთ, ავიღეთ, დავიღეთ, განვსაჯეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ შეერთება ჩვენთვის ღონე და სარგებლობა იქნება და ცალ-ცალკე მოღვაწეობა არც თვითონ ჩვენ მოგვცემს ხელს და არც საზოგადოებას დააკმაყოფილებს ჯეროვნად. ჩვენ შორის არ არის მიმართულების ისეთი „შესამჩნეველი“ განსხვავება, რომ ერთათ სიარული არ შეგვეძლოს“ [1]).

ამნაირად მოხდა შეერთება და შემდეგ გაზეთის განცხადება გვატყობინებს ორივე გამოცემის მომავალს ფიზიონომიას:

„გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამდე. მხოლოდ ფორმატი უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამ თვეში ერთხელ სივრცით თორმეტ თაბახამდე. გაზეთის შესაფერ სტატიებს შესახებ შინაური მიმოხილვისა და პოლიტიკისა მარტო „დროებაში“ მიეცემა ადგილი. ხოლო უფრო ვრცელს სტატიებს რომელსამე განსაკუთრებულს საგანზე, პოლიტიკისა და შინაური საქმეების შესახებ, ექნება ადგილი ჟურნალ „ივერიაში“. ამის გამო მომავალის წლიდამ „ივერია“ უფრო იმ გვარ წიგნებს დაემსგავსება რომელსაც რუსები „სბორნიკს“ ეძახიან ვიდრე დროგამოშვებითს გამოცემას. განსაკუთრებული ყურადღება რედაქციისა იქნება მიქცეული იმაზედ, რომ „ივერია“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნიც იყვეს და ამისათვის უფრო ვრცელი ადგილი ეჭირება რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, როგორც თარგმნილებს, ისე პირდაპირ ჩვენს ენაზე დაწერილებს და აგრეთვე ძველ ჩვენს მოთხრობებსაც, რომელნიც იმ სახით დაიბეჭდებიან, რომ ბერე ცალ-ცალკე წიგნათ შეიკრიბებოდეს“ [2]).

შეერთების შემდეგ „დროება“ მართლაც დიდი ფორმატისა შეიქნა. „ივერიამ“ კი კრებულის სახე მიიღო განსაკუთრებით „დროებას“ გამოცოცხლება

[1]) „დროება“ № 2 7. 1880.

[2]) „ივერია № 9. 1880.

დაეტყო ახალი თანამშრომლების მიერ. მათ რიცხვში იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.

მაგრამ „ივერიისა“ და „დროების“ „ქორწინება“, როგორც უწოდა „Обзор“-მა, ბედნიერი არ გამოდგა და 1882 წლიდან ისევ გაიყარნენ და წავიდნენ ტრადიციული გზებით.

„ამ ორი გამოცემის გაყრის მიზეზი,—ამბობს პეტრე [illegible]—ლიტერატურული უთანხმოება კი არა ყოფილა, თუმცა კი რამდენიმე [illegible] მოუვიდა მესხს; საქმე გამოცემათა გარეგანს მოხერხებასა და ნივთიერათ მართვას შეეხებოდა. დასამტკიცებელი ამისი საბუთი ის არის, რომ „დროებისა“ და „ივერიის“ თანამშრომელნი ერთნი და იგივენი იყვნენ“-ო [1]).

მაგრამ როგორც ი. მაჩაბელი გადმოგვცემს, ილია უკმაყოფილო ყოფილა მესხის მიერ გაზეთის წარმოებისა.

„ამ ბოლოს დროს ერთი პატარა საშუალება გამოჩნდა, თუ დიდხანს გასტანა. რაც „დროება“ და „ივერია“ შეერთდა, ხშირად გამოუცხადებია **ილია ჭავჭავაძეს უკმაყოფილება მესხისაგან გაზეთის წაყვანაზედ.**

იმ დღეს შეყრილიყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გოგებაშვილი, მესხი, ქანანოვი, სარაჯოვი, უმიკაშვილი და სხვ. რედაქცია „დროება“ „ივერიის“ საქმეებზედ მოსალაპარაკებლათ. მეც მიმიწვიეს, მაგრამ ვერ წავედი. იქ გადაეწყვიტათ, ასე საქმის წაყვანა არ შეიძლება, უფრო მარჯვეთ უნდა ჩავკიდოთ ხელიო; ერთხმათ გადაეწყვიტათ მე მიმიწვიონ რედაქციაში, ასე რომ მუდამდღე რედაქციაში ვიმუშავებ რამდენსამე საათს მაინც და მთელი გაზეთი გადავათვალიერო. ჯამაგირი პირველად დამინიშნეს ექვსი თუმანი [2]).

მაჩაბელი ენერგიულათ შეუდგა მუშაობას მან დაბეჭდა მრავალი წერილები პუბლიცისტური, მეცნიერული, კრიტიკული, საპოლემიკო, სთარგმნიდა მოთხრობებს და სხ.

მაგრამ უთანხმოებამ საბოლოოდ იჩინა თავი და მოხდა „დროება-ივერიის“ გაყრა. მაჩაბელიც მოვალე იყო გასულიყო „დროებიდამ“ როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი „ივერიისა“.

„დროების“ გაყრის შემდეგ ილია ენერგიულად შეუდგა „ივერიის“ საქმეს და რადგან საბანკო საქმეებმა ვერ მოაცალა, ამიტომ იმავე 1882 წლის დამლევს, „ივერიის“ მეორე და ფაქტიურ რედაქტორად ივანე მაჩაბელი მოიწვია [3]).

ახალი კაბინეთის შედგენისას „ივერია“ უკვე ამცნობდა თავის მკითხველებს, რომ—

**„განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული „შინაურს მიმოხილვას“.** რედაქცია ყოვლის ღონისძიებით ეცდება, რომ არავითარი საინტერესო

---

[1]) პ. უ—ი „სერჯეი მესხი“, „ივერია“ №№ VII და VIII, 1883.

[2]) იხ. წერილი ვასილ მაჩაბელთან. 1883 წ.

ამავე დროს სწერს:

„მწერ, დროებაში რა პირობით მუშაობო. უნდა გითხრა სე პირობები არა დაბიდვია რა, მხოლოდ ჭავჭავაძემ, მთხოვა და მეც ხათრი არ გავუტეხე...“

[3]) 1882 წ. იანვრიდან—1883 აპრილამდე.

მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისამებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იყოლიოს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაური მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავზედ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება...

„თვისა და თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო ქვეყნები, კრიტიკული წერილი, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები, თეატრი და სხ.

გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე რადგან ჩვენი განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მოუმატა ჟურნალის პედაგოგიურ განყოფილება, რომ მშობლებსაც და მასწავლებლებს მიეცეთ ლონისძიება თვალყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას.

რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭიროთ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ"...

ერთი სიტყვით სრული ევროპიული ჟურნალი...

მართლაც „ივერიას" დაეტყო ხელი ივ. მაჩაბლის. ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა საგულისხმო მასალები. თარგმანები თანამედროვე ევროპიულ მწერლებიდან, „შინაური მიმოხილვა", წერილები უცხოეთზე.

ხოლო დაპირება ქართული ბელეტრისტიკის გაცხოველების შესახებ, მან იმითაც გაამართლა, რომ ხელი შეუწყო ალექსანდრე ყაზბეგის გამოქვეყნებას, როგორც მომავალში მაჩაბლის „დროებაში" დაიბეჭდა დიდი ნაწილი ყაზბეგის შემოქმედებისა.

თანამედროვე გადმოცემით, ილია შესაფერ ყურადღებას არ აქცევდა ყაზბეგს და იშვიათად აძლევდა ადგილს მის რომანებს „ივერიაში". ამ შემთხვევაში კი მაჩაბელმა დიდი მფარველობა გაუწია და საერთოდ, როგორც მწერალზედაც არა ნაკლები გავლენა იქონია.

---

[1]) დაუკარგველობისათვის მომყავს მაჩაბლის წერილი ძმასთან სწორედ ამ წლის ქვემ- 1882 წ. 18 მარტის თარიღით; რადგანაც ეს წერილი შეიცავს პატარა მასალას ჭავჭავაძის და მაჩაბლის ბიოგრაფიისათვის:

„რაც შეეხება ილია ჭავჭავაძისაგან მისის ადგილის თავის დანებებას, ამაზე გადაწყვეტილს ვერას მოგწერ. რაც შენი წიგნი მომივიდა, ეს სამი დღეა, ლაპარაკში ვცდილობ როგორმე გავიგო ამის გულის პასუხი, მაგრამ როგორც ვატყობ თვითონაც გადაწყვეტილი არა აქვს რა. უნდა კი გუბერნიის მარშლობა, მაგრამ იმ პირობით, რომ თავის ახლანდელი ჯამაგირი არ მოაკლდეს. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ან ორივე ადგილს ერთს კაცს ჩააბარებენ ან გუბერნიის მარშალსაც ჯამაგირს დაუნიშნავენ. რადგანაც ერთიც და მეორეც ჩემის აზრით არ მოხერხდება, ჭავჭავაძე ისევ ბანკში დარჩება და ჩვენი უთავო სუმბათოვი ისევ მარშლად..."—

მანვე დააჩქარებინა ილიასაც „განდეგილის“ დასრულება რომელიც „ივერიის“ № III ში დაიბეჭდა, 1883 წელს[1]).

* * *

მაგრამ ჟურნალის ცენტრი, მისი პოლიტიკის, პროგრამის შემცველი იყო მაშინ ეგრედ წოდებული „შინაური მიმოხილვა“ რომლის კრიზისი შედეგ ჰქონდა „ივერიას“.[2])

ჯერ კიდევ 1879 წელს „ივერია“ სჩიოდა:

„საგანი არ არის გარშემო, რომ მწერალმა მასზე შეაჩეროს თავის გონების თვალი და მკითხველის ყურადღება.

თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოებოდეს კიდეც თქმა ძნელია... ამის გამო ბევრათ შესაწყნარებელია და შესანდობარი სილარიბე ჩვენებურის მწერლობის და ნამეტნავათ ჩვენებურის პუბლიცისტიკისა.

რა ვქნათ, საფანელი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამო არც აზრის შედეგებას.

„ვერაფერი ხელობაა ჩვენში ხელობა შინაური მიმომხილველისა. თვალები ცქერით უნდა გაიწყალოს კაცმა, რომ ყოველთვის საგანი რამ იპოვნოს საზოგადო მნიშვნელობისა და მაშასადამე ლიტერატურის ღირსისა.

ცხოვრება ჩვენი მეტად შინ შეკეტილია, მეტად მიმალულია თვალთაგან, საერთოდ უჩუმრად მოძრავია, მეტად მდოვრად მიდის, დღე დღესა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადს. ერთსახეობა, ერთნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას. რა ქნას ამ ყოფაში და ამისთანა ქვეყანაში მოარულმა შინაურმა მიმომხილველმა?

ან არარაობის ხუნდი კისერად იღოს და დადუმდეს, თუ მაინც და მაინც ამისთანა საქმეზე მიაქციოს მკითხველის თვალი, რომელიც თუ ძვირათ არა, ცოტათი მ-ინც ღირსია ყურადღებისა?

ჩვენ ამ ჟამად უკანასკნელი ვირჩიეთ და თუ ჩვენი არჩეული არავის მოეონოს, ნუ გვიკიჟინებს“...

ამნაირადვე ჩივის გაზეთად ქცეული „ივერია“:

„გვეუბნებიან რომ შინაურ ცხოვრებას, ადგილობრივ საჭიროებას ჯერეოვან ადგილს არ უთმობთ გაზეთში და უპირატესობას აძლევთ გარეშე საქმეს, სხვა ერთა ცხოვრებას, პოლიტიკას და სხ.

ბ. სმარკით და გლადსტონით ყურები გამოგვიჭედეთო, ლამის საბრალო ბისმარკი „ივერიის“ წერილებით შეშინებული სამსახურიდან გადადგეს და ამით ევროპის ბედიღბალი შეიცვალოსო“.[3])

მას აქეთ რაც ივერია „გაზეთად“ გადაიქცა, საუბარი არ გაუწევია მკითხველთან ეგრედ წოდებულ „შინაურ საქმეთა“ გამო. ეს რასაკვირველია დიდ წუნათ უნდა ჩაეთვალოს გაზეთსა. თუ გაზეთი ჩვენს თავზე ცოტათი მაინც არ

[1]) გრიგოლ ყიფშიძე იგონებს; „1882 წ. დილა იყო, როცა მივედი ივ. მაჩაბელთან ერთად ილიასთან ს. ხლში საქმეების გამო.

—„დავინახე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა“-ო გვითხრა ილიამ, საქმის გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა“. ჯრ. ყიფშიძე ილია ჭ-ვჭავაძის ბიოგრაფია. იხ. ჯედევანიშვილის აკადემიური გამოცემა. გვ XI III.

[1]) „ივერია“ № 8, 1879. № VII და VIII 1882 გაზეთი „ივერია“ № 15, 1886 წ.

[3]) გაზ. „ივერია“ № 219· 1887. მეთაური ა. ნ—ლის. (ალექსანდრე ნანეიშვილის).

მოგვახედებს, თუ ამოტივტივებულს მოვლენას მთელ სიგრძე-სიგანეზე არ აგვაწონინებს, ბრიას თვალს არ აუხელს ამ მოვლენაზე და თვალხილულს მხარს არ მისცემს, იგი გაზეთი უფერულია და უგემური.

„ევერიას ძალიანაც უნდა ყველა ამაზე ხმა ამოიღოს, მაგრამ ვერ იღებს ისე, როგორც მას სურს და ამიტომ გაჩუმებას რჩეობს. თავდაპირველი მიზეზი უთქმელობისა ხომ ეს არის და ესეც რომ არ იყოს, ერთი ეს მითხარით: „სად არას ეგ „შინაური საქმეები?" თუ არის სადმე, [illegible] ხეროში მიმალულა, მერე ისეთ ნაირათ რომ ციდან ჩამოტანილ [illegible] ეხრჩოლო, თავს გარედ ვერ გამოაყოფინებ." გარდა ამისა, ჩვენ ერთობ უთაურნი და გაუტანელნი ვართ და ასეთებს რა საქმე უნდა მოესთხოვოთ. „ცხოვრება" რომელსაც ამისთანა ჭირი ლრღნის, ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის, რის მომავლინებელი უნდა იყოს, თუ არა იმისი, რომლის არამც თუ დანახვა, წარმოდგენაც კი სიზმარია და შესაჩვენებელი" [1]).

ივანე მაჩაბლის რედაქტორობის დროს, „ევერიაში" საბედიწერო „შინაური მიმოხილვის" კრიზისი რამდენიმედ შენელდა.

თითქმის ყოველ ნომერში შუქდებოდა საკითხები ქართული საზოგადოებავი ცხოვრებისა:

ამ მომენტს ასე აფასებს ნოე ჟორდანია;

„1882 წ. „ევერიის" მეორე რედაქტორათ დაინიშნა ივ. მაჩაბელი და ჟურნალიც ცოტაოდნათ მოლონიერდა. ყველაზე მეტი პუბლიცისტური ნაწერი „ევერიაში" ამ წელს არის. მაგრამ არც ერთ იმაში ივ. მაჩაბლის საკუთარი სახე არა ჩანს, თუმცა შინაური მიმოხილვები, როგორც ერთი მათგანიდან (№ 1.) ჩანს, უმთავრესათ მისი დაწერილი უნდა იყოს. ყველა ამას ატყვია გარეშე ხელი, რომელიც თითქოს არ ანებებს საგნის ფართოთ მიმოხილვას და გარკვევას. ეს ხელია—ხელი თ. ჭავჭავაძის, ორგანოს ბატონ-პატრონის. მისი ხელქვითი ახალგაზრდა მაჩაბელი სრულებით არა ჩანს, თითქოს არც კი არსებობს. მისი ნიჭი აქ შეიბოჭა, შეიკრა და თავისუფალი გზა არ მიეცა. და ასე ემართება ყველა იმას, ვინც კი თ. ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ ხელქვეითათ ხდება და მის გავლენის ქვეშ მოღვაწეობს. რომელი კაცი გახდა ჟურნალისტად მისი დახმარებით, მისი შემწეობით ამ 40 წლის განმავლობაში? არავინ, არც ერთი, პირიქით, ყველა ის ჟურნალისტი, ვინც კი მას შეეფარა, დაწვრილმანდა და მწერლობიდან გაჰქრა. უეჭველია ასე დაემართებოდა ივ. მაჩაბელსაც, რომ 1883 წ. „ევერიას„ არ მოშორებოდა და „დროების" რედაქტორობა არ ეკისრა" [2]).

---

[1]) გაზ. „ევერია" № 219. 1887. მეთაური ა ნ—ლის. (ალექსანდრე ნანეიშვილი)

[2]) ნ ჟორდანია. „ქართული პრესა". გვ. 46.

საერთოდ ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა დიდი პატივისმცემელი იყო ივ. მაჩაბლისა: ჩვენს ხელთ არის ნ. ჟორდანიას კერძო წერილი ა. მაჩაბლისადმი, (1913 წ. ბაქო) რომელიც უკანასკნელი სთხოვდა

* * *

დამახასიათებელია მაშინდელი ქართული პრესის მატერიალური მდგომარეობისათვის, რომ მაჩაბელს ორი წლის დაუზოგველი მუშაობისათვის „ივერიაში“ არავითარი სასყიდელი არ მიუღია [1]).

ამას თვითონ მაჩაბელი აღნიშნავს შემდეგში. გაცხარებულ პოლემიკის დროს ი. ჭავჭავაძესთან.

„**ორ წელიწადზე მეტს უსასყიდლოთ განვაგებდი ჟურნალს**, [illegible] სასყიდელს დაპირებულები იყვნენ და ერთხელ იძულებული ვიყავი ჩემის მოადგილისათვის შრომის ფასი ჩემი ჯიბიდან მიმეცაო.

შემდეგ:

„თუ თ. ჭავჭავაძეს იმისთანა შემბრალე გული ჰქონდა, რატომ იმ ფულიდან (1500 მანეთი), რომელიც „დროების“ ხვედრ ბანკის განცხადებიდან აიღო, მე ის მაინც არ მიწილა, რაც მისგან სასყიდლად დაპირებული მქონდა ჟურნალს „ივერიაში“ მუშაობის დროს, რომ ამ ფულით ცოტათი მაინც მომეწმინდა პირი ჩემგან ნაკისრებ ვალებისთვის.

ამ საგანზედაც ი. ჭავჭავაძე გადაჭრილს არაფერს ამბობს და „შემხუთავ გარემოებათა შორის უხიფათოდ გადიგადმოდის“. ე. ი. იჩენს იმ ნიჭს, რაც ყოველ რედაქტორისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია. რაკი პირდაპირს უარს ველარ ამბობს რადგან დაწვრილებით გაახსენებენ ყოველ გარემოებას საქმისას, ასე მართლულობს თავსა:

„იმ ხანებში როცა თ. მაჩაბელი მუშაობდა „ივერიაში“ ჩვენში სასყიდელი ვის ეძლეოდა, რომ თითქმის ათ წელიწადს შემდეგ ეხლა თხოულობს თ. მაჩაბელი? აქამდე სად იყო? რატომ არ მოითხოვა, თუ საბუთი რამ ჰქონდა. ჩვენ

---

ი. მ. ბიოგრაფიის დაწერას. ამ წერილიდან უფრო ხედმეტად სჩანს, თუ როგორ აფასებდა ნ. ეორდანია მაჩაბელს:

„თქვენი ქმარის ბიოგრაფია სერიოზული საქმეა, ამას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ამას ზერელეთ და მსუბუქად ვერ მოვეპყრობი. ორს-სამ კვირას ჩავჯდე და დაეს‌წერო, ამას მე ვერ ვიზამ, თუმცა ჩვენში ასე იციან სერიოზულ საქმის კეთება.

მე სანამ მთელ მასალას არ მოვაგროვებ, ყველაფერს არ გავეცნობი, რაც საგანს ეხება მანამდის წერას ვერ შეუდგები. ხოლო ამას კი დიდი მუშაობა და დრო უნდა, რაც მე სამწუხაროდ ჯერ არა მაქვს.

მე სულითა დაგულით მინდა ამ საქმეს ხელი მოვკიდო, და თუ უარს ვამბობ—ეს ხდება წინააღმდეგი ჩემი სურვილისა და იმედია არ დამძრახავთ. უარს ვამბობ რასაკვირველია, დროებით, და არა სამუდამოთ: როცა ჩემი პირადი საქმე უკეთ მოეწყობა—მაშინ თუ თქვენი სურვილი იქნება, შემეძლება ეს შრომა ვიტვირთო“.

ერთ კერძო წერილში ტ. მაჩ ბლისა სწერს:

„ჩემი სურვილი იყო ვანოს ბიოგრაფია ბ. ნოე ეორდანიას შეედგინა, მე კიდეც მივმართე მას, მაგრამ საზღვარ-გარედ წასვლის გამო მან ვერ იკისრა ეს შრომა, თუმცა ძლიერ მოწადინებული იყო“...

[1]) ვას. მაჩაბელი სწერს: (იხ. „ისარი“ 1908 წ.) „ილია დაპირდა ჟურნალის წარმოებაში თვეში 75 მანეთს. მთელს ორი წელიწადი აწარმოვა ჟურნალი, მაგრამ დაპირება ვონორარისა დარჩა დაპირებათ“....

არც კანონიერ ხანგასულობას ვეფარებით უკან, არც ფორმალურს საბუთს ვითხოვთ. თ. მაჩაბელმა წარმოგვიდგინოს დავთრები მაშინდელი „ივერიის“ შემოსავალ გასავლისა და რაც მოგება აღმოჩნდეს მთლად მიიღოს ჩვენგან“.

შემდეგ:

პირველ საკითხავზედ. ამას მივუგებთ თ. ჭავჭავაძეს: მაშინ როცა მე ვმუშაობდი „ივერიაში“ და იქის წინადაც ბევრს მიუღია სასყიდელი სალიტერატურო შრომისათვის, მაგრამ შორეულ მაგალითებს რომ არ ვამოუდგეთ. დავასახელოთ თვით მისივე თანამშრომელი ბ. ქანანოვი, რომელიც ორი-სამი წლის განმავლობაში იღებდა წელიწადში 900 მანეთს ჩემზედ წინედ „ივერიაშა“ შრომისათვის.

ამასთანავე თუმცა მსაყვედურობს თ. ჭავჭავაძე, აქამდე სად იყავი თუ მართლა გერგებოდა რამეო, მაინც სულგრძელად მთავაზობს შრომის ფასს, და რაკი შეშინებია, მართლა არ წამომედავოსო და არ გამომართვასო, საჩქაროდ უმატებს, თუ მოგება აღმოჩნდება რამეო. ჯერ უნდა ღავამშვიდო თ. ჭავჭავაძე, რომ მე სრულიადაც არ ვედავები ხსენებულ ფულს, ღმერთმა საბედნიეროდ მოახმაროს, რადგან ლიტერატურაში შრომის დროს „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“ თუ სხვაგან მე შორს ვიყავ დუქან-ბაზრულ ანგარიშიდან, მაგრამ თ. ჭავჭავაძის მსჯელობას დავემყარე, იმ თ. ჭავჭავაძისა კი არა, რომელიც ზემოხსენებულ კრებაში გაზეთს საზოგადო მნიშვნელობაზე ლაპარაკობდა, არამედ „ივერიის“ ფელეტონის ავტორის ჭავჭავაძის მსჯელობაზედ, მაშინ სრული ნება მაქვს, ვუთხრა მასვე, მე რა შუაში ვარ, თქვენ მოგება გქონდათ თუ ზარალი, რაკი აღმითქვით შრომის ფასი უნდა მომცეთ კიდეცა მეთქი...“ [3]).

[1]) ივერია“ 1893, № 223. ი. მაჩაბელი.—„პასუხად დარბაისელ გაზეთის დარბაისელ რედაქტორს“.

პროფ. შალვა ნუცუბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზოგიერთი განმარტება

რეა თვის წინად ჟურნალ „მნათობში“ მე მოვათავსე თითქმის უცვლელად ჩემი რეცენზია დოცენტის ს. დანელიას გამოკვლევის — „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობის“ — შესახებ. რადგან აღნიშნული ორგანო მწერლობისა და ნააზრევის საზოგადოებრივ უკუფენაში გაშლის მთავარ ორგანოდ იქცა ჩვენში ვფიქრობდი, რომ აკადემიური დისპუტის საჯარო კონტროლის ქვეშ დაყენება ორგვარ შედეგს მოგვცემდა: დაახლოვებდა საზოგადოებრივ აზროვნებას ჩვენ სამეცნიერო მუშაობასთან და აკადემიურ კამათის ნაირობას საზოგადოებრივ სარბიელზე გამოიტანდა. პირველი მოსაზრება და მიზანი თავის თავად ნათელია, მეორე კი გამართლებულია იმ ფაქტით, რომ, თუმცა საქართველოში კამათსა და სალიტერატურო პოლემიკას ხანიერი წარსული ქვს, ამას მაინც საპატიო ასაკთან დაკავშირებული სიდინჯე ყოველთვის არ ახასიათებს. ს. დანელიას „პასუხი“-ს წაკითხვამ დამარწმუნა, რომ მე მიზანს ვერ მივაღწიე და აკადემიური თემა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ფელიეტონურ საპოლემიკო სტილის თავიდან აცდენას.

პასუხის ავტორი მისაყვედურებს, რომ ჩემი რეცენზია უკვე იმ თავით აიძულებს მას „ფრთხილად“ იყოს, რადგან საერთო დახასიათება მისი შრომისა, როგორც „მეცნიერულ სიმაღლეზე“ მდგომისა და ფაქტიური (კრიტიკული) შინაარსი რეცენზიის, ერთგვარ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს შეიცავს. ავტორის შენიშვნა სწორია, მაგრამ რეცენზიის ავტორსაც ამართლებს ის გარემოება, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც იძულებული ვართ ერთგვარი მეცნიერული „პროტექციონისტული სისტემა“ ვაწარმოოთ, ვერ მოვეპყრობით ამა თუ იმ მეცნიერულ ნაშრომის ავტორს მთელის სიმკაცრით მეცნიერულ კრიტიკისა. ჩემი რეცენზია მოხსენდა პატივცემულ ავტორს თავის დროზე, მის ნიადაგზე ჩვენს შორის საჯარო კამათი სწარმოებდა და მას კარგად მოეხსენება, რომ ოფიციალ რეცენზიის პასუხი რეცენზიის ავტორს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. პატივცემულმა ავტორმა დაარღვია ჩვეულებრივი წესი რეცენზიისათვის ასეთი საკითხების დაყენებით. მე მას ამაზე მეტს ვერაფერს ვეტყვი და მოკლედ შევეხები ზოგიერთი სადაო საკითხის აუცილებელ განმარტებას.

ავტორი მისაყვედურებს, რომ მე „სუბიექტიურ“ კრიტიკას ვაწარმოებ და მის „დასკვნებს“ უპირისპირებ ჩემს დებულებებს ისე, რომ მის მსჯელობის და

კვლევის პროცესს არ ვარჩევ და მხოლოდ მოწონება—არ მოწონების საზომით ვხელმძღვანელობ. ყველა ამ საყვედურს მე ანგარიშს ვერ გაუწევ მას შემდეგ, რაც ავტორი მათ მნიშვნელობას თვითონვე აქარწყლებს იმ არა სერიოზული ტონით—მეტის თქმა უადგილოა—რომელიც სხვათა შორის ცალკეა განცხადებიდან თითქოს „რეცენზენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას შეუმჩნევია“... ავტორის მთავარი დებულება. ამის შემდეგ ავტორს ვერ მოვსთხოვ მეცნიერულ სიდინჯეს და ვხელმძღვანელობ მხოლოდ მკითხველის და ჭეშმარიტების ინტერესით.

ავტორი ვერ იცავს თავს ჩემი მოსაზრებებიდან მის მიერ ისტორიულ პერსპექტივის შებღალვის შესახებ. დღეს საჯარო კამათის შემდეგ განვლილ მეცხრე თვეზე, ისე როგორც კრინტი ვერ დასძრა თვით კამათის დროსაც. არაა მართალი თითქოს მე მემტკიცებოს, რომ ქსენოფანეს ლოლიკურად არ შეეძლო ისეთი ცნების შემუშავება, რომელიც ბუნებას „ირრეალობად აქცევდა“ და ამის მიხედვით დავასკვენი, რომ მ.ს ნამდვილადაც არ უთქვამს ასეთი რამ. ეს ჩემი მოსაზრებიდან დაშორებულია, როგორც ცა დედამიწისაგან, ან პატივცემული ავტორი საქმის ვითარების ცოდნისაგან. ნამდვილად კი ჩემი ლოლიკური მოსაზრება ეხება ავტორის და არა ქსენოფანეს მოსაზრებას და ეს ორი ფილოსოფიური მოვლენა რომ ერთი და იგივე არაა, ამას არ ესაჭიროება ისტორიული კვლევა-ძიება. ავტორს, რა თქმა უნდა მოეხსენება, რომ ლოლიკურ წესს, როგორც მოთხოვნის ნორმას მე ქსენოფანეს ვერ წარუდგენდი, თუნდაც იმ უბრალო ამბის გამო, რომ ლოლიკა, როგორც წესთა კრებული ქსენოფანეს დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომაც, ჩემი მოსაზრება ეხებოდა ავტორის ცდას კონგენიალური გაგებისა. სამართლიანად აღნიშნავს ავტორი თავის „პასუხი“-ს ერთ ადგილას (გვ. 226) რომ „ფრაგმენტები მხოლოდ ნაწილია საბუთისა“ და რადგან არც მას და არც სხვა ვისმე ძველ მოაზროვნეთა შესახებ, როგორც ულუალო მასალა ფარგმენტების მეტი არაფერი მოეპოებათ, ამიტომ შეიქმნა საჭირო ე. წ. კონგენიალური მეთოდი ისტორიულ-ფილოსოფიურ კვლევისა, რომელსაც ავტორი არსად არ იხსენიებს, მაგრამ რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, „იცის ყველამ, ვისაც ისტორიული გამოკვლევის მეთოდოლოგია ესმის“ (ibid). ამ მეთოდის მიხედვით სრულიად მართებულია საკითხის ისეთი ფორმაც, რომელიც იტყოდა: შეეძლო თუ არა ამა თუ იმ ავტორს ესა თუ ის აზრი გამოეთქვა?

არ შეიძლია დაუშვა, რომ ავტორმა ყველაფერი ეს ამ მეთოდის შესახებ არ იცოდეს და მით უფრო ძნელია დასაჯერებლად, თითქოს ავტორი მართლა სერიოზულად ჰფიქრობდეს, რომ ჩემს მოსაზრებებში „ისტორიულ ფაქტი მყარდება მხოლოდ განყენებული ხასიათის ლოგიკურ მოსაზრებათა საშუალებით“ და ეს გარემოება „მამხილებელია... არა მეცნიერულ თვალსაზრისის“ (გვ. 214).

ქსენოფანე რომ სიმრავლეთ გაშლილ ქვეყანას უარყოფდა ეს სწორია და მე არც გამოვედავე ავტორს ამის მტკიცებაში. ავტორს უკვირს, რატომ ებრძვის რეცენზენტი ჩემს დასკვნებსაო. სრულიად ბუნებრივია, რომ მე არ ვედავები ავტორს, ვიდრე ის გულდასმით იკვლევს ქსენოფანეს ნათქვამს, მა-

გრამ დავა იწყება მას შემდეგ, რაც ის ქსენოფანეს ნათქვამით საკუთარ დასკვნების გამაგრებას ცდილობს. ამ დასკვნებს მე, როგორც სამართლიანად ალნიშნავს ავტორი, სხვა დასკვნებს უპირისპირებ და ვამტკიცებ, რომ ქსენოფანეს ნათქვამიდან ეს უკანასკნელი უფრო ნათლად გამომდინარეობს. ასეთია პირობათა კონტექსტი, რომელშიაც მოთავსებულია ანტიკურ ხანის მოაზროვნის შესახებ მსჯელობა და ისტორიული კვლევა ძიება, [illegible] ამოსაცნობი უფრო მეტია, ვიდრე საცნობი. ნუ თუ დასაჯერებელია [illegible] ვერ გაეგოს ჩვენი კრიტიკის მეთოდი? ჩვენ დაუშვით, რომ ტექსტები და წყაროები კიდეც რომ მივიღოთ იმ სახით, როგორც ეს ავტორს მოჰყავს, მათგან იმ დასკვნების მიღება არ შეიძლება, რომელიც ავტორს მისაღები ჰგონია. ასე მარტივი და უბრალოა ჩვენი მეთოდი და რათ უკვირს ავტორს, რომ რეცენზენტი მის დასკვნებს ებრძვის და წყაროების დადგინებაზე და მათ შორის უმთავრესად თურმე წყაროზე De Melisso Xenophane gorgia „ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავის რეცენზიაში“-ო (გვ. 215). რას მისაყვედურებს აქ ავტორი? იმას, რომ მე მას ნაკლებად ვედავები, თუ იმას, რომ მე მისი მეცნიერული ნაშრომის მთელი მოცულობა, რომელზეაც მას თავისი საკუთარი აზრი აქვს (იხ. გვ. 217 უკანასკნელი აბზაცი; ლირიკული ლექსია პროზად თემაზე „ავტოტრაბახი“), სავსებით არ გადავშალე?

მითითება პარმენიდეზე და დემოკრიტეზე პირდაპირ გაუგებარია. ცნების, როგორც ასეთის, შემუშავებამ, ორივე შემთხვევაში მხოლოდ გააძლიერა რეალობის ცნება და ეს ავტორს მოვახსენე თავის დროზე. არავითარ შემთხვევაში მე არ მიმიცია საბაბი ავტორისათვის მოეწერა ჩემთვის აზრი, თითქოს ქსენოფანე დარჩენილა პოლითეიზმის ფარგლებში“ (215). მე ამ საკითხით არც დავინტერესებულვარ, რადგან ქსენოფანეში, ისე როგორც ყოველ ძველ მკვლევარში, ის კი არაა საინტერესო რა მასალა და საკითხების საგანი გამოიყენა მან, არამედ ის გზა და ინტენცია აზრის, რომელიც ამ მასალის გამო გარდაიშალა. პატივცემულმა ავტორმა ვერ შესძლო თავის წიგნში ისტორიულ მოვლენის ეს აზრი ნათელეყო, ან მისი არსებობა ეგრძნო; ის ქსენოფანეს თეოლოგიურ ზღაპრების და ზნეობრივ სენტენციების ზედაპირზე დარჩა და ისტორიულ განვითარებაში ჩაბმულ აზრის გრეხილი თვალთახედვიდან წაუვიდა.

როდესაც მე ავტორს მიუთითე როგორ და რა სახით რჩება ქსენოფანე წინასოკრატულ ფილოსოფიურ განვითარების ხაზზე და აქ თავისი ბუნებრივი და გარკვეული ადგილი უჭირავს, მან სხვა ვერაფერი მონახა უკეთესი თავის დასაცავად, გარდა განცხადებისა, რომ ჩემი რეცენზია „უბრალოდ განმარტებაა ლიტერატურაში გარკვეული კონცეფციისა“ (216)—რომ მე „უბრალოდ ვენდობი სხვა ავტორებს“ (219). რომ „რეცენზენტი აკრიტიკებს ჩემს გამოკვლევას სახელმძღვანელოების ნიადაგზე შემდგარი“ (227) და სხვ. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ ავტორს, რომ მას აქვს უფლება დიდი აზრის იყოს თავის თავზე. პატარა დოზებში ეს ამბავი საშიშარს არაფერს წარმოადგენს. ზოგიერთი შხამი მარგებელიც კი არის პატარა დოზებში. მაგრამ არის ურყევი დებულება მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება არაა სასარგებლო.

ასეთ დებულებას წარმოადგენს საერთოდ ცნობილი აზრი, რომ ჭეშმარიტებას არ უკარგავს ფასსა და ღირებულებას, რომ იგი მრავალთაგან ცნობილია, რომ ჭეშმარიტების განმეორება საჭირო და სასარგებლოა. სიახლე და ნოვატორობა არ ითვლება ჭეშმარიტების საწინდარად და ამ გზამ რომ გაგიტაცოს შეგიძლია მეცნიერულ გეროსტრატიზმამდე მიხვიდე. მეცნიერება ხელოვნება არაა. სიახლე ხილვისა და განცდის დამამშვენებელი და აუცილებელია შემოქმედებისა და ხელოვნებისათვის, ხოლო სახიფათო და საზიანო მეცნიერებისათვის, რადგან მეცნიერება რომ ამ გზას დაადგეს შეიძლება მოჭარბებული ექსპანსიის მეცნიერმა წარმოისახოს, რომ თუ მან ისეთი რამე სთქვა ჯერ რომ კაცს არ უთქვამს, ამით განსწავლული მოაზროვნეს სახელი უზრუნველყო. დაუჯერებელია, რომ ყველაფერი ეს პატივცემულ ავტორს არ მოეხსენებოდეს და ამიტომ გაუგებარია, როგორც მისი პრეტენზია სიახლესა და აღმოჩენაზე, ისე საყვედური ჩემდამი, რომ მე ცნობილი ჭეშმარიტება გავიმეორე. ჯერ რომ ადამიანს არ უთქვამს ისეთის თქმა ჭკუისა და უჭკუობის საზღვარზეა მოთავსებული და ამიტომ უჭირს თანამედროვეობას მისი ერთბაშად ამოცნობა და შეფასება.

მართალია პატივცემული ავტორი, რომ მე ჩვეულებრივი შეხედულების ქსენოფანეზე დავემყარე, რადგან მაშინაც ვფიქრობდი და ავტორის „პასუხი"-ს შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ეს შეხედულება უფრო მაღლა დგას ვიდრე ავტორის გამოკვლევა. რატომ არ ასახელებს ავტორი ამ გავრცელებულ შეხედულების ავტორს? ეს ხომ ცნობილი **ედ. ცელლერია**, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ძველი ფილოსოფიის ისტორიაში უფრო დიდ მკვლევარად არის აღიარებული, ვიდრე დოცენტი ს. დანელია. თუ კი მომავალში ისე წავა მეცნიერების საქმე, რომ პატივცემულ ავტორის შეხედულებებს უფრო მეტი დამარწმუნებელი ძალა აღმოაჩნდება და ცელლერებს დაფარავს, მაშინ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვლება და ჩვენც სხვანაირად მოვიქცევით. პატივცემული ავტორი საქმის ისე დასახვას სცდილობს თითქოს მე თავი ავარიდე წყაროების კვლევას—ავტორის აზრით თურმე, რომ მეცადა, მაინც არაფერი გამომივიდოდა—(იხ. გვ. 226—„ადვილი წარმოსადგენია რა იქნებოდა, რომ რეცენზენტს მოენდომებია ჩემი გამოკვლევის ნამდვილი გარჩევა")—და ვენდვე სხვა ავტორებს და კრიტიკის ნაცვლად მისი, ე. ი. ავტორის, დასკვნებს ჩემი დასკვნები დაუპირისპირე. მე რომ ასე მოვქცეულიყავი, მართლაც ღირსი ვიქნებოდი ავტორის რისხვის. რა თქმა უნდა, რომ ეს ასე არაა. მე „ვენდვე" არა სხვა ავტორებს, არამედ პატივცემულ ავტორს ს. დანელიას და ვამტკიცებდი მას, რომ მისი წინნამძღვრები მის დასკვნებს არ ამართლებენ. აი ნიმუში—მე ვსწერდი—„როგორ ვერ ხედავს ავტორი, რომ მისი დასკვნა ენთიმემაა, რომელსაც მთავარი წინნამძღვარი გულისხმობაშიაც კი აკლია?"(„მნათობი" 1927, IV გვ. 183) რატომ სდუმს ავტორი ამ შენიშვნის შესახებ თავის „პასუხში" ისე, როგორც მრავალ სხვა შენიშვნის გამო.

ავტორმა კარგად იცის, რომ თუ **ცელლერს** მე მივუყევი ქსენოფანეს ნეგატიურ შეფასებაში ე. ი. რომ ქსენოფანემ დაანგრია სიმრავლის საერთოდ და კერძოდ მრავალ ღმერთანობის ძირი (გვ. 181 „მნათობი", 1927, IV) მას დავშორ-

და ცნების გამომუშავების ისტორიის პერსპექტივების ჯაგებაში. ხომ ძალიან კარგად იცის ავტორმა, რომ ცნების წრამოშობის და ფილოსოფიურ რეფლექსიის დაახლოვება არ ახასიათებს ცელლერის თვალსაზრისს. ავტორი ხომ ძალიან კარგად იცნობს ჩემს გერმანულ გამოკვლევას, რომელშიაც მომენტი ფილოსოფიის შექმნისა ცნებასა და რეფლექსიის მომენტებთანაა დაკავშირებული. რას უნდა ნიშნავდეს ამის შემდეგ ხაზგასმული საქვეყნო [illegible] რეკენზენტი სახელმძღვანელოებს ეშყარება ჩემ> გამოკვლევის წინააღმდეგ [illegible] უფრო გასაკვირვია, რომ სახელმძღვანელოებზე დამყარებამ მკვლევარი აფექტების გზაზე შეაყენა. პატივცემული ავტორი მეტად მძიმე მდგომარეობაში მაყენებს თავის „პასუხი"-ს მანერით: მისი და საჯარო პაექრობის დამსწრეთა კეთილ მეხსიერებისათვის მიმინდვია იმის გახსენება, თუ რა მდგომარეობაში ჩააყენა „სახელმძღვანელოებმა" მკვლევარიც და მისი გამოკვლევაც. აქ მე იძულებული ვარ მხოლოდ ერთს მიუთითო: გამოკვლევა საგრძნობ ნაწილში დაწერილია სწორედ „სახელმძღვანელოები"-ს **დამახინჯების** საშუალებით და მისი საერთო ხასიათი თუ მე მაინც „მეცნიერულად" ვალიარე, იმიტომ რომ აღნიშნული გარემოება ხელს არ მიშლიდა ავტორის სხვა ღირსებები დამეფასებია. ავტორმა დაამახინჯა ედ. ცელლერის ტექსტი სწორედ იმ რიგად, რომ მას შემდეგ კრიტიკა გაადვილებოდა. ეს მისი შრომის უეჭველი ნაკლი იყო, მაგრამ ნაკლი არა მეთოდოლოგიური, არამედ ადამიანური, რაც მას შეიძლებოდა პატიებოდა, თუ ის, როგორც ეს მან ჩაიდინა საჯარო კამათის დროს, თავის შეცდომას გულწრფელად აღიარებდა. დღეს, როდესაც ავტორს რაღაც „სახელმძღვანელოებზე" მითითებით—ფაქტიურად კი ედ. ცელლერისათვის ხელის ჩაქნევით იმაზე მეტის თქმა სურს, რის თქმაც მას შეუძლია, მე იძულებული ვარ მას ეს ფაქტი გავახსენო. საქმე ეხება ავტორის წიგნის გვ. 85-ზე ცელლერის ციტატის ნაცვლად ავტორის მიერ დამახინჯებულად გადმოცემულ ადგილს, რაც თითქმის მეცნიერულ ფალსიფიკაციამდე მიდის. თუ „სახელმძღვანელოს" (ედ. ცელლერის ცნობილი მრავალტომიანი „ბერძენთა ფილოსოფია" აბუჩად ასაგდები სახელმძღვანელო ყოფილა—რა ჩქარი ნაბიჯით მივდივართ წინ ეროვნულ კულტურულ „თავისებურობის" „გაფართოების და გაღრმავების" გზაზე!) დამახინჯებით შეიძლება გამოკვლევის წერა, რატომ არ შეიძლება იმავე სახელმძღვანელოს დაუახინჯებლად ასეთი გამოკვლევის კრიტიკის დაწერა?!

ავტორის ყოველი ცდა თავის დებულებების დაცვისა მოითხოვს განმარტებას, რაც ამ მოკლე შენიშვნაში მოუხერხებელია. შევჩერდეთ კიდევ ზოგიერთ მომენტებზე.

ავტორი გულმოდგინეთ მიხსნის, რომ „მილეტელთა მოძღვრების „საწყისი" (ἀρχή) იყო ფიზიკალური კატეგორიის, ხოლო ელეატების მოძღვრების „არსება" იყო მეტაფიზიკური კატეგორიის" (გვ. 178). ვიდრე ამ უადგილო და ზედმეტ განმარტებებს შეუდგებოდა, არ სჯობდა ავტორს ვაეთვალისწინებია, რომ ნაცვლად ამ დაპირისპირებისა მე უფრო ბუნებრივად მივიჩნიე „ფიზიკის" „ფიზიოლოგიით" შეცვლა? რატომ არაფერს ამბობს ის აქ მთავარ ამ-

ბავზე და მის ნაცვლად ელემენტარულ ამბების განმარტებას აფარებს სადაო საკითხს? ჯერ ხომ ის ხანა არაა ფილოსოფიის განვითარებაში, რომელსაც შეეძლოს დიდი ხნის შემდეგ მოგონილ პრტყელ „სიტყვებში“ ჩალაგდეს, როგორც ვითომ-და მათთვის დამზადებულ კალაპოტში. ტ რ ა ფ ა რ ე ტ ე ბ ი თ შესწავლა უძველეს დროის ისტორიულ ძიებაში მეცნიერული მეთოდი არაა.

ძნელი გასაგებია—ვის ეკამათება ავტორი 219 გვერდზე „ვისაც ზნეობის ფილოსოფია არ აქვს, მას ზნეობრივი შეხედულებანი [illegible]—მე არ გამომითქვამს და გასაოცარია, რომ შემდეგ ავტორი ასეთი დებულების ჩემთვის მოწერიდან კიდევ უფრო მოულოდნელ დასკვნას აკეთებს: „რეცენზენტი ვერ არჩევს ზნეობის ფილოსოფიას ზნეობრივი შეხედულებებისაგან ან ზნეობრივ შეგნებისაგან“-ო (ilid). ამ ადგილზე შეჩერება ღირს, როგორც ავტორის მეცნიერულ ეთოდის და სისწორის დახასიათებაზე. რა იყო ჩვენი საკამათო საკითხი: მ ო ა ხ დ ი ნ ა თ უ ა რ ა ქ ს ე ნ ო ფ ა ნ ე ს ზ ნ ე ო ბ რ ი ვ მ ა შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ე ბ მ ა გ ა ვ ლ ე ნ ა მ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ზ ე. ჩვენს შორის არ იყო სადაო—ჰქონდა თუ არა ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი. მე სიტყვა-სიტყვით ვამბობ ჩემს რეცენზიაში: „ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი... ჩვეულებრივ, საყოველდღეო, მაშინდელ საზოგადოებაში გავრცელებულ მორალ სენტენციების იქეთ... არ წასულა („მნათობი 1927. IV, გვ. 179, 80). ნიშნავს ეს იმას, თითქოს მე ვამტკიცებდე—რომ ქსენოფანეს ზნეობის ფილოსოფია არ ჰქონდა და მაშასადამე ზნეობრივი შეხედულებებიც არ ექნებოდაო? რა თქმა უნდა არა, და ავტორი საკუთარ მსჯელობებს ებრძვის, რომლებშიაც მე წილი არ მიდევს. რა არის ეს? ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე თუ გალიუცინაციასთან? როგორ არ იცის ავტორმა, რომ ზნეობრივი პ რ ი ნ ც ი პ ი ს და ზნეობრივი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ი ს გავლენა მსოფლმხედველობაზე და ფილოსოფიაზე სხვადასხვა ამბავია. **პ რ ვ ე ლ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს** ახდენს გავლენას ფილოსოფიის აგებულობაზე, მსოფლმხედველობა უნდა აშენდეს ისე, როგორც ამას ითხოვს ზნეობრივი პრინციპი, მეორე—**შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე მ თ ხ ვ ვ ი თ** ახდენდეს გავლენას. რადგან მეც და ავტორიც სხვებთან ერთად თანახმანი ვართ, რომ ქსენოფანეს მხოლოდ საყოველდღეო, ჩვეულებრივი ზნეობრივი შეხედულებანიც კი არა, არამედ წარმოდგენები გააჩნდა, ამიტომ მას არ შეეძლო გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი გავლენა მოეხდინა და არც მოუხდენია ქსენოფანეს ფილოსოფიაზე.

გასაგებია ავტორის სიცხარე და გულმოდგინეობა ამ საკითხის ირგვლივ დავაში, რადგან მარტო ის გარემოება, რომ ქსენოფანეს ფილოსოფიაზე მის ზნეობრივ შეხედულებებს გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია, სრულიად ანიავებს მის გამოკვლევას, რომლის მიხედვით ქსენოფანეს თავისებურობა ზნეობრივ პრინციპის ბუნებრივ პრინციპისათვის დაპირისპირებაშიაო. რადგან ავტორს კიდევ შესაძლებლად მიაჩნია, როგორც სჩანს, უიმედო საქმის მტკიცება, ამიტომ იძულებული ვარ მისი ყურადღება დამატებით შემდეგ გარემოებას მივაქციო. ავტორმა უეჭველია იცის, რომ ზოგადი დებულებით „პიროვნების არსებას მისი ზნეობრივი შეგნება შეადგენს“-ო იგი მხოლოდ იმ განწირულ მდგომარეობას ამხელს, როდესაც პირდაპირი საბუთის უქონლობის გამო, „ზნეობ-

რივ შეგნების“ ადამიანის არსებად გამოცხადებით მზადდება ანალიტიური მსჯელობა, რომ ადამიანის, როგორც ზნეობრივ არსების ნამოქმედარი—აზროვნებაში თუ საქმიანობაში—ზნეობრივი ნიშნის ქვეშ დგას. ეს ზნეობრივი იდეალიზმი ავტორის ფანტაზიის შედეგია, ისტორიამ იგი არ იცის და ავტორს ერთი უბრალო რამ ავიწყდება: ზნეობრივ შეხედულებებს შ ე უ ძ ლ ი ა ნ მოახდინონ გავლენა ამა თუ იმ მსოფლმხედველობის **არჩევაზე** და არ[illegible] **აგებულ**ებაზე. ავტორს რომ ეს გარემოება გაეხსენებია, მისი წიგნი სრულიად [illegible] ეს-და დაწერილიყო.

ამ ადგილზე შევჩერდით, როგორც ნიმუშზე ავტორის „კვლევის“ და „პასუხის“ მეთოდისა. ყველა სხვა ადგილები ასეთივე ღირსებისაა. ასე მაგ. ჩვენ მიუთითეთ ავტორს, რომ მისი ერთი ძირითადი დებულება, თითქოს ღმერთი საწინააღმდეგოა ქვეყნის, ვინაიდან ის არ გავს ქვეყანას—შეცდომაა, რადგან „არ მგზავსება წინააღმდეგობას არ ნიშნავს“. („მნათ.“ 1927, IV, გვ. 180). ავტორი აღიარებს—„კიდეც რომ ყოფილიყო აქ ჩემ მიერ შეცდომა დაშვებული, ის იქნებოდა არა ძირითადი შეცდომა, არამედ შეცდომა მხოლოდ სიტყვა-ხმარებაში“-ო (გვ. 221). ავტორს ან ვერ გაუგია ჩემი შენიშვნა, ან მას გვერდს უვლის. მან უეჭველია კარგად იცის, რომ კვალიფიკატორული განსხვავება არსებობს როგორც ჭეშმარიტებისა ისე შეცდომისათვის. მას ახსოვს—შორს რომ არ წავიდეთ—ლეიბნიცის კლასიფიკაცია ჭეშმარიტებისა, კანტის მოძღვრება ანალიტიურ და სინთეტიურ მსჯელობაზე და სხვ. იცის ისიც, რომ ლოგიკა ლაპარაკობს ძირითადს და არაძირითად შეცდომაზე. მაგრამ სადმე და როდისმე სმენია ავტორს, რომ ეს განსხვავებები აგებული ყოფილიყოს იმაზე თუ რას „ვუწოდებთ“, როგორც ავტორი ამბობს—ამა თუ იმ სააზროვნო ხერხს? აი მართლაც ნიმუში აზროვნების ისტორიის სუბიექტივისტურ გაგებისა!! მე იძულებული ვარ მოვაგონო ავტორს, რომ ძირითადად იწოდება ის შეცდომა, **რომ**ლისგან დამოკიდებულად კეთდება სხვა შეცდომები და მე რომ მის წიგნში ასეთი ძირითადი შეცდომა აღვნიშნე, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ამის მეტი შეცდომა არაა, არამედ იმას, რომ ყველაფერი მისგან გამოყვანილი—შემცდარია. მე მიუთითე ავტორს, რომ პირველ შეცდომიდან მას გამოყავს მეორე. მე ვსწერდი: „სრულიად არაა სავალდებულო, რომ გზა და შედეგი ლოგიკურად ერთი და იგივე იყოს. არაა სავალდებულო, რომ უარყოფის გზით აუცილებლად უარყოფითი პრედიკატი მიელო. (ib. გვ. 180) ნათქვამის საილუსტრაციოთ მე ავტორს დ ი ა ლ ე ქ ტ ი უ რ ლოგიკაზე მიუთითე, სადაც უარყოფის უარყოფა მიღებულია, როგორც გზა. ყველა ამის გაგების ნაცვლად ავტორი კ რ ი ნ ტ ს ა ც ა რ ძ რ ა ვ ს მისი მთელი დედუქციის მომხსნელ მომენტზე, ჰეგელის შესახებ რაღაცას მიხსნის და წინააღმდეგობასა და მოპირდაპირეობის შესახებ ყოველგვარ ღირებულობას მოკლებულ მსჯელობებს აფარებს სადაო საკითხს.

222 გვ. ავტორს ან ვერ გაუგია ჩემი შენიშვნა ან და აქაც სადაო საკითხს თავს არიდებს. მე ვსწერდი—„წინააღმდეგობაში ყოფნა მხ ო ლ ო დ უკვე ჩამოყალიბებულ ცნებებს შეუძლია“ IV, 180. ავტორი ამ ჩემ დებულებას „ტავ-

ტოლოგიას“ უწოდებს. რასთან გვაქვს საქმე—არ ცოდნასთან თუ გაუგებრობასთან? მე ვფიქრობ, რომ ავტორმა, რომელიც „გამოკვლევებს“ სწერს უნდა იცოდეს, რა არის „ტავტოლოგია“. ჩამოყალიბებული ცნება, ე. ი. ცნება გარკვეულ მოცულობისა და შინაარსის შემცველი (და არა „გაცნობიერებული“, როგორც ეს ავტორს შეცდომით ჰგონია) თავისთავად წინააღმდეგობას არ შეიცავს. მაშასადამე, მისი წინააღმდეგობისათვის გამოყენება, ან წინააღმდეგობაში მისი მოქცევა მოითხოვს ახალ რასმე, ე. ი. შესადარებელს და შედარებას. როგორ არ იცის ავტორმა, რომ ტავტოლოგია ერთი და იმავე ესი გამეორებას ნიშნავს და აქ კი ე. ი. ჩვენს დებულებაში აუცილებლადაა **ორი** ახალი მომენტი, ე. ი. შესადარებელი და შედარება მოცემული? ავტორის ისტორიული მითითება ლეიბნიცზე, კანტზე, ჰეგელზე პირდაპირ ისტორიული მარცხია და მეტი არაფერი. როგორ არ იცის ავტორმა, როდესაც ჩემი გასანათლებლად ხაზგასმით ამბობს—„ყოველგან წინააღმდეგობა იყო ‘ამოძრავებელი ძალა პროგრესისა’-ო (გვ. 223) და ისიც **ჰეგელის** დამოწმებით—რომ წინააღმდეგობა აქ **ორი მომენტის** დაპაკებას ნიშნავდა, რომლის შედეგად **მესამე**, ორივე მოწიინააღმდეგე მომენტის დადებითი პოტენციის შემკრები მომენტი მიიღებოდა. რათ აწუხებს ავტორი ამაოდ **ჰეგელის** აჩრდილს, როდესაც მეხსიერებიდან გაპარვია, რომ **თეზისი და ანტითეზისი ხინთეზისათვის არსებობდენ** ჰეგელის ფილოსოფიაში?! დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რა ფასი აქვს ამასთან დაკავშირებით ავტორის მაგალითს „მთაწმიდა არ არის ოქროს მთა“. როგორ არ იცის ავტორმა, რომ მისი მაგალითი იმას კი არ ნიშნავს, თითქოს შეიძლებოდეს განსხვავებული იყოს „რაობა“ და „არარაობა“, არამედ უაზრობის მსჯელობის საშუალებით მხილებას. ეს ხომ გადმოქართულებული არისტოტელეს დებულებაა კენტავრისა და პრედიკაციის შესახებ. „ოქროს მთა“ თავის თავად, ლოლიკურად არაა „არა-„რაობა“, ე. ი. ნიშანთა არ შემცველი ცნება. ამიტომაა იგი რომ პოზიტიურ ფორმაში გამოითქმის. როგორ ვერ ამჩნევს ავტორი, რომ მისი გაგებით ქსენოფანეს ქვეყანა არ გამოითქმის პოზიტიურ ფორმაში და, მაშასადამე, მისი მაგალითი სულ სხვა რამეა ე. ი. ცნება, რომელიც თვითონ კი არა „არარაობა“, არამედ იქცევა ასეთად მხოლოდ სხვა ლოლიკურ ფორმის, ე. ი. მსჯელობის დახმარებით. ეს ჯერ კიდევ არისტოტელემ იცოდა. ძველი ავტორების გულმოდგინე გადაკითხვაა საჭირო, ვიდრე ახალი აღმოჩენების და გამოკვლევების შექმნას შეუდგებოდეთ.

ამით ვათავებ. მე მხოლოდ სანიმუშო მომენტებზე შევჩერდი. ავტორის მეთოდი „პასუხისა“ და არსება თავდაცვისა, გვაძულებს დავასკვნათ: საჯარო კამათის უკან რვა თვის შენდეგ დასაშვები იყო, რომ ავტორი უფრო დალაგებით ნოიფიკრებდა წამოჭრილ საკითხებს. სამწუხაროდ, საჯარო კამათის დროს მისგანვე აღიარებული ბეზნარიტებად მას დავიწყებია. ახალი კი არაფერი შეუძენია.

კ. ბაქრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჭეშმარიტების პროგლემა და შემეცნების სტრუქტურა

ფილოსოფიაში ახალი გზების ძიება თითქმის ყოველთვის ფილოსოფიის და ფილოსოფოსობის ამოსავალი წერტილის გამონახვით იწყება. სოკრატე, დეკარტე, კანტი და ჰეგელის დიდი ლოგიკის კლასიკური დასაწყისი თვალსაჩინო მაგალითებია ამ აზრის ილიუსტრაციისათვის.

ევროპის თანამედროვე ფილოსოფიაში ხელ-ახლად დაიწყო ახალი გზების ძიება. არისტოტელის „პირველ ფილოსოფიის" ცნება ფილოსოფიურ მისწრაფებათა ცენტრში დგება. ფილოსოფიის ახალი ამოსავალი წერტილი, რომელიც ფილოსოფიურ აზროვნებას გამოიყვანს იმ ჩიხიდან, რომელშიაც შეიყვანა იგი კანტმა და კანტიანურ სკოლებმა,—აი რის გარშემო სწარმოებს მუშაობა მე-XX-ე საუკუნის ფილოსოფიაში.

ჰუსერლის „ფენომენოლოგია", მისი წმინდა ცნობიერებით და არსთა ჰვრეტით, ჰარტმანის „შემეცნების მეტაფიზიკა" და ყოველივე თვალსაზრისის უარჰყოფა ფილოსოფიურ აზროვნების დასაწყისში, ლასკის „ფილოსოფიის ლოგიკა" და წინააღმდეგობათა სფეროს გარეშე მდგომი, დამოუკიდებელი ღირებულება თავის თავად, დრიშის ახალი სისტემა, ახალგაზრდა ჰეგელიანელთა გამოსვლა და საერთოდ ახალი ჰეგელიანური მოძრაობა და ბევრი სხვა მოწმობს ამ ახალ გზების და ამოსავალ წერტილის ინტენსიურ ძიებას.

ამ მხრივ პროფ. ნუკუბიძის „Wahrheit und Erkenntnisstruktur"-ში (გამოცემა: W. Degreyter, Berlin 1926) აღძრული საკითხები თანამედროვე ფილოსოფიურ ძიებათა ცენტრში დგანან. ამ შრომაში განვითარებული და დასაბუთებული „ალეთოლოგიური რეალიზმი" მიმართულია ფილოსოფიის ნამდვილ ამოსავალ წერტილის აღმოჩენისაკენ და მის საშუალებით „პირველ ფილოსოფიის" დამყარებისაკენ.

ამ უკანასკნელ მიზნისათვის ალეთოლოგია წინასწარ გაარკვევს საკითხს ჭეშმარიტებისა და შემეცნების სტრუქტურის შესახებ და ამით მიღებულს წინააღმდეგობათა გარეშე მდგომ სფეროს შესწავლის ობიექტად გახდის.[1]) ამით იგი მაინც შორს დგას ფენომენოლოგიისაგან, ვინაიდან, ავტორის აზრით, შე-

[1]) შესავალი გვ. VI.

მეცნების სტრუქტურის განხილვა სრულიადაც არ არის „არსობრივი“ (ესენციალური); იგი ურეალესს—ჭეშმარიტებას თავის თავად ეყრდნობა[1]. თუ ალეთოლოგია ფენომენოლოგიისაგან გარკვეულად განსხვავდება, არ შეიძლება ითქვას იგივე მის და ლასკის თეორიის შესახებ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, პროფ. შ. ნუცუბიძის და ლასკის აზრები ზოგიერთ საკითხებში ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს (რაც შეიძლება მათი საერთო ფილოსოფიური განვითარების გზით აიხსნას: ნუცუბიძემ განიცადა ბოლცანოს გავლენა, ხოლო ლასკმა ჰუსერლის „ლოგიკურ გამოკვლევათა“ და მაშასადამე ბოლცანოს გავლენაც).

პროფ. შ. ნუცუბიძის შრომა, როგორც მისი სათაური მოწმობს ალეთოლოგიურ რეალიზმის პირველი შესავალია. მისი მთავარი მიზანია: ფილოსოფიური მეთოდი, მისი კვლევა-ძიება გაანთავისუფლოს სპეციფიურ ადამიანურისაგან[1]). ანტროპოლოგიზმის და ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ჩვენ საუკუნის დასაწყისში ჰუსერლმა გამოაცხადა, მხოლოდ დაწყებაა.

პირველი შესავლის პროგრამა შემდეგში მდგომარეობს: წინააღმდეგობათა სფერო უნდა იქნას გადალახული იმით, რომ აღმოჩენილი იქნება მისი საფუძველი სპეციფიურ ადამიანურში. ამასთანავე აღმოჩენილი იქნება ახალი არე, სფერო, რომელიც ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად გამოდგება. რელაციონალური ჭეშმარიტება, რომელსაც საფუძველი ისევ სპეციფიურ ადამიანურში აქვს, დაუთმობს ალაგს ირელაციონალურ ჭეშმარიტებას. ეს უკანასკნელი წინააღმდეგობათა მიღმა მყოფ სფეროს დახასიათება იქნება. საბოლოოდ ორდიმენსიალური ხასიათის შემეცნება დაიკავებს შემეცნების ერთდიმენსიალობის ალაგს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ისევ სპეციფიურ ადამიანურს ეყრდნობა[2]).

მაშასადამე, ამ შრომაში სამ მომენტთან გვექნება საქმე: 1. წინააღმდეგობათა გარეშე მდგომი სფერო, 2. ჭეშმარიტება თავის თავად, 3) შემეცნების სტრუქტურა. გადალახულ უნდა იქნეს: 1 წინააღმდეგობათა სფერო, 2. რელაციონალური ჭეშმარიტება და 3) ერთდიმენსიალური შემეცნება.

რას წარმოადგენს ეს საფუძველი, რომლის გადალახვით ახალი სფერო და მასთან დაკავშირებული ჭეშმარიტების და შემეცნების ახალი სახეობა იქნება აღმოჩენილი და დამკვიდრებული? ეს არის „სპეციფიურ-ადამიანური“. ამ ცნების განხილვით იწყებს პროფ. ნუცუბიძე თავის შრომას. შემეცნება არის პროცესი შემეცნებელ ადამიანსა და შესაცნობ საგნის შორის. ამ პროცესში ადამიანს შეაქვს თავისი, ადამიანური თვისებები. ამ ადამიანურის ცნებაში უნდა ორი მომენტი გავარჩიოთ: 1. სპეციფიურ-ადამიანური და 2. სპეციალურ-ადამიანური. თუ „ადამიანური“ ადამიანურის ცნებიდან გამომდინარეობს, ადამიანურის გვარს ეთანხმება, მაშინ საქმე გვაქვს სპეციფიურ-ადამიანურთან. ამ მხრივ შემეცნებაში არსებული დალაგდება, ჩამოყალიბდება „ადამიანურის“ ფარგლებში, ფორმებში. რაც შეეხება სპეციალურ-ადამიანურს, ის შეცდომების არეს წარმოადგენს; აქ სინამდვილის სურათი არა თუ ადამიანურის ფარგლებშია მოცემული, არამედ შეცდომით არის მოცემული[3]).

[1]) გვ. VII.
[2]) გვ. X.
[3]) გვ. 2—3.

სპეციფიურ-ადამიანური გვაძლევს საშვალებას გავიგოთ სინამდვილე, რამდენადაც იგი ეძლევა სტრუქტურულად შემოსაზღვრულ ადამიანს: სინამდვილის შეცნობა მას სხვანაირად არ შეუძლია. (nicht-anders-Vermögen) [1]. ავტორი ამ მომენტს სპეციფიურ-ადამიანურის მომენტს უწოდებს, ვინაიდან აქ შემეცნების გზა გარკვეულია ადამიანის გვარეობით. რაც ადამიანს, არა ამა თუ იმ ადამიანს, არამედ ადამიანს, როგორც გარკვეულს სახეობას, [illegible] es"-ს მიეკუთვნება, ან რაც მასთან დაკავშირებულია, სპეციფიურ-ადამიანურ[illegible] წარმოადგენს. შემდეგი მაგალითიდან უფრო ნათლად ირკვევა განსხვავება სპეციფიურ—და სპეციალურ ადამიანურის შორის. ერთ შემთხვევაში შემეცნებას მიზნად აქვს რაიმე და ამ მიზანს იგი ვერ აღწევს (სპეციალურ-ადამიანური); მეორე შემთხვევაში მიზანი მიღწეულია, ხოლო იგი დანახულია, შეცნობილია „სპეციფიურ-ადამიანურ" ფორმებში. [2]). მეორე შემთხ ვაში შესაცნობი შემეცნებას უპირისპირდება, და ამ შემეცნების სახეობა და ფორმა ადამიანის გვარით არის განსაზღვრული. ადამიანის გვარით განსაზღვრული შემეცნება სპეციალურ-ადამინურში მატერიალურად განისაზღვრება.

ფილოსოფიის მიზანია ანტროპოლოგიურის, ადამიანურის გამოიცხვა შემეცნებიდან; არა მხოლოდ სპეციალურ-ადამიანურის, ე. ი. შეცდომის—ეს ხომ ყველასათვის ნათელი იყო და არის,—არამედ სპეციფიურ-ადამიანურის გამოიცხვა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ადამიანურისაგან" განთავისუფლებული შემეცნების გზა იყოს ზე-ადამიანური ან გარეშე-ადამიანური: ადამიანურსა და ზე-ადამიანურს შორის არის სწორედ ჭეშმარიტების სფერო [3]).

სპეციფიურ-ადამიანური ახლო დგას ტრანსცენდენტალურის ცნებასთან. შემეცნება ტრანსცენდენტალურ პირობებს ექვემდებარება, და ამდენად ადამიანისათვის არ არსებობს შემეცნება ამ პირობების გარეშე. ამგვარად, მთელი ტრანსცენდენტალი ფილოსოფია სპეციფიურ-ადამიანურის საფუძველზეა აგებული. იგივე მდგომარეობაშია ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიაც თავის „წმინდა ცნობიერებით". „წმინდა ცნობიერება" მაინც ცნობიერებაა. ამას ემატება ტრანსცენდენტალიზმი და ნათელია, რომ ვერც ფენომენოლოგია განთავისუფლდება „სპეციფიურ-ადამიანურისაგან [4]).

ფილოსოფიის ამოსავალი მომენტი სპეციფიურ-ადამიანურისაგან განსხვავებული უნდა იყოს. სპეციფიურ-ადამიანური ლოგიურ სფეროს ეკუთვნის; ხოლო ლოგიური სფერო წინააღმდეგობათა სფეროა [5]). ამიტომ ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი ლოგიურის გარეშე უნდა იმყოფებოდეს. ამით წინალოგიურის (das Unlogische) პრობლემაა დასმული. წინალოგიური ლოგიურის გარეშეა.

[1]) გვ. 5.
[2]) გვ. 7.
[3])გვ. 8.
[4]) გვ 11—13.
[5]) გვ. 26.—30.

ლოგიურ კატეგორიათა გარეშე მყოფს, მას არ ახასიათებენ პოზიცია-ნეგაციის მომენტები. წინალოგიური არ არის ლოგიური სფეროს ლოგიური წინნამძღვარი; იგი პირობაა ლოგიურის განხორციელებისათვის; ხოლო აუცილებლობა, რომლის შინამქონეა ეს პირობა ლოგიური სრულიადაც არ არის, ამასთანავე წინალოგიური არ არის ლოგიურის უარჰყოფით მიღებული [1]).

წინალოგიური „გულგრილია", ინდიფერენტულია ლოგიურისადმი და ამასთან ერთად ლოგიურის საფუძველს შეიცავს [2]). წინალოგიური ლოგიკის მსჯელობის ფორმების გარეშე, ის პოზიცია-ნეგაციით დახასიათებულს წინააღმდეგობათა სფეროს მიღმაა [3]). წინალოგიური არ ნიშნავს მართლაც ლოგიურის „წინ"-ს, მის უწინარესს. ის ლოგიურის მიმართ არც „წინ" არის და არც „შემდეგ". ამ ორ შესაძლებლობიდან წინალოგიური არც ერთს არ მიეკუთვნება. ამ სიტყვაში „წინ" მხოლოდ ფორმალური დახასიათებაა იმ გარემოების, რომ წინალოგიური ლოგიურს წინ უსწრებს. სანამდვილეში ეს სიტყვა არ შეიცავს არაფერს, რაც მის კავშირს ლოგიურთან გამოაშკარავნებდეს [4]).

ლოგიური შინაარსის მქონეა და ამდენად იგი ჭეშმარიტი ან შემცდარია, წინააღმდეგობის შემცველი ან მისგან თავისუფალია, მტკიცების ან უარჰყოფის საგანია. ყველა ეს წყვილეულები შინაარსეულის არეში იჩენენ თავს, და ამიტომ ეს არე წინააღმდეგობათა სფეროს წარმოადგენს. წინალოგიურის მთავარი დამახასიათებელი მომენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამ არეს არ ეკუთვნის, იგი ამ სფეროს გარეშე იმყოფება [5]). წინალოგიური არც მეტალოგიურია არც ტრანსცენდენტალ-ლოგიური [6]).

ფილოსოფია ხშირად იცნობდა ისეთ ფენომენებს, რომელნიც „სწორი და შემცდარის" წინააღმდეგობის გარეშე იდგნენ. ამგვარი ფენომენის ზოგადი დახასიათება ლასკის მიერ არის მოცემული. ფილოსოფიური აზროვნება ეძებს ამგვარ ფენომენს, ამისთანა მომენტს; იგი იქნება ფილოსოფიის და ფილოსოფოსობის ამოსავალი წერტილი [7]). რამდენჯერმე თითქოს იქნა მიღწეული მიზანი (სოკრატე, დეკარტე და სხვ.), ნაგრამ, საბოლოოდ ახლო დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ამოსავალი მომენტი ისევ წინააღმდეგობათა სფეროში ყოფილა მოყოლებული.

ფილოსოფიის ძირითადი მოთხოვნილება არის: უნდა არსებობდეს რაღაც, რაც ჭეშმარიტება-შეცდომის რელაციის გარეშეა [8]). რა ფენომენიც არ უნდა ავიღოთ იგი ყოველთვის ამ რელაციის ფარგლებშია მოთავსებული. სულ სხვა მდგომარეობაა შეცდომის ფაქტში. ეს ფაქტი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი წინააღმდეგობათა სფეროს გარეშე იმყოფება. მთავარი აქ შემდეგ-

[1]) გვ. 23—25.
[2]) გვ. 26.
[3]) გვ. 30.
[4]) გვ. 25.
[5]) გვ. 27.
[6]) გვ. 27—30.
[7]) გვ. 15.
[8]) გვ. 39.

ში მდგომარეობს: თუ მსჯელობა შემცდარია, თვით პროცესი მსჯელობის (Urteilsfällen), როგორც ამგვარობის, გარკვეულობის ფაქტი (Soseinstatsache) ურყევია; ერთხელ მომხდარი, იგი შეუძლებელია მოხსნილ იქმნეს, ე. ი. იგი ურყევია, იმის და მიუხედავათ მსჯელობა შინაარსის მხრივ ჭეშმარიტია თუ შემცდარი. აქ არის ის მომენტი, რასაც ეძებდა ფილოსოფიის ნამდვილი დამაარსებელი—სოკრატე. ნათელია, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტს [illegible] შეიძლება ითქვას: იგი გულგრილია სწორი—შემცდარის წინააღმდეგობისადმი, ვინაიდან იგი, შემეცნების რელაციის გარეშე მდგომი, მხოლოდ და მოხლოდ ფაქტია.

პირველი, რაც აქედან გამომდინარეობს, არის: შემცდარი მსჯელობა, როგორც მსჯელობის ფაქტი ჭეშმარიტია თავის თავად (an sich), შესდეგ: შეცდომის ფაქტის ამგვარად არსებობას არ მიუდგება გამოთქმები: სწორი და შემცდარი, იმ ჭეშმარიტებას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, არავითარი საქმე არა აქვს იმასთან, გამოთქმული მსჯელობა ჭეშმარიტია თუ შემცდარი. ამგვარი ჭეშმარიტების არსებობით აღმოჩენილია ახალი არე, რომელიც ყოველივე წინააღმდეგობათა გარეშე მდებარეობს, ხოლო წინააღმდეგობა, როგორც ლოგიკური ცნება აქ მოხსნილია [1]).

შემცდარი მსჯელობის ამგვარად არსებობის ფაქტი, როგორც ჭეშმარიტება, ნათელია განსხვავდება ჭეშმარიტ მსჯელობისაგან, რომლის შინაარსად სხვა მსჯელობის შეცდომა გამოდის. ამ ჭეშმარიტ მსჯელობას სხვა მსჯელობის შეცდომა აქვს შინაარსად ⇒ ამდენად მას ესმეორე მსჯელობა ეწინააღმდეგება ⇒ პირველი ამ უკანასკნელის მოსხნას წარმოადგენს. იგი წინააღმდეგობის სფეროშია მოქცეული და ამიტომ ლოგიურია. რაც შეეხება „ჭეშმარიტებას თავის თავად", იგი წინააღმდეგობათა სფეროს მიღმაა, არალოგიური ჭეშმარიტებაა და ლოგიურ ჭეშმარიტებასთან ლოგიურისაგან განსხვავებულ მიმართებაში იმყოფება. ამ მიმართების ახსნა წინალოგიურის სფეროში შეჭრას ნიშნავს.

ჭეშმარიტება თავის თავად უნდა ნიშნავდეს: ლოგიურის დამახასიათებელ საწინააღმდეგო მომენტებისაგან დამოუკიდებლობას, ლოგიურის გარეშე არსებობას: ძირითადი დებულება, ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი არ მიიღება ლოგიური გზით. დეკარტემ იცოდა ეს, და ეს გარემოება სჩანს lumen naturale-ს ცნებაში. მაგრამ დეკარტეს თეზა გარკვეული შინაარსის შინამქონეა და ამით მაინც საბოლოოდ წინააღმდეგობათა სფეროში იმყოფება.

ჭეშმარიტებაში თავის თავად არ არის არავითარი შინაარსი; იგი მხოლოდ ფაქტის ამგვარად ყოფნის გამოჩენავნებაა. ყოველი მსჯელობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი შინაარსის მხრივ, შესაძლოა აღებულ იქმნას ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად. ამ შინაარსის არქონებაში, ლოგიური შეფასებისაგან დამოუკიდებლობაში მიცემულია გზა წინალოგიურ ჭეშმარიტებისაკენ თავის თავად.

აქ თავდება პრობლემათა პირველი რკალი და ისმება ახალი პრობლემა — პრობლემა ჭეშმარიტებისა თავის თავად. მსჯელობის მსვლელობა ნათელია: ლოგიური სფერო წინააღმდეგობათა სფეროა. წინააღმდეგობათა სფერო ჩამო-

[1]) გვ. 34.

ყალიბდება წყვილეულებში: „ხო"—„არა", „მტკიცება—უარჰყოფა", „ჭეშმარიტება—შეცდომა", „სუბიექტი—საგანი", „შემმეცნებელი—შესაცნობი" და სხვ. წინააღმდეგობათა სფერო სპეციფიურ-ადამიანურზეა აგებული. სპეციფიურ-ადამიანურის გადალახვით გადალახული იქნება ლოგიური — ამით აღმოჩნდება წინალოგიურის სფერო, გადალახული იქნება წინააღმდეგობათა არე — ამით აღმოჩნდება წინააღმდეგობათა მიღმა, გარეშე მდგომი სფერო. [illegible] მსჯელობის ფაქტის ამგვარად ყოფნის გარკვევა გვაძლევს ჩვენ ჭეშმარიტებას თავის თავად, რომელიც წინალოგიური ჭეშმარიტებაა და წინააღმდეგობათა სფეროს გარეშე იმყოფება. რაც შეეხება შინაარსის საკითხს, რომელიც ახასიათებს ლოგიურს და არ ახასიათებს ჭეშმარიტებას თავის თავად, ამას ქვემოთ კიდევ შევხვდებით.

ჭეშმარიტება თავის თავად გულგრილია მსჯელობის გამოთქმისადმი; იგი „ხო"—„არა", პოზიცია—ნეგაცია, სწორი—შემცდარის გარეშეა[1]). ცნება ჭეშმარიტებისა თავს თავად პირველად ბოლცანომ გამოიმუშავა. მისი აზრით ჭ. თ. თ. არის ის, რაც არის. არა შეთანხმება წარმოდგენისა წარმოსადგენთან არის ჭეშმარიტების არსი, არამედ მსჯელობის აქტისაგან დამოუკიდებელი შინაარსი თავის თავად. ბოლცანოს ჭ. თ. თ. არის მართლაც an sich, ვინაიდან იგი მსჯელობის აქტისაგან დამოუკიდებელია.

გარკვევება ბოლცანოს ჭ. თ. თ. აქ მოცემულთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ ბოლცანოს ჭ. თ. თ. გამოთქვამს არსებულს, როგორც გარკვეულ შინაარს. ამიტომ იგი წინააღმდეგობათა არეს ვერ გასცილებია და ამდენად მისი საფუძველი სპეციფიურ ადამიანურშია. An sich ბოლცანოს ჭ. თ. თ. უარყოფითი ნიშნის მატარებელია: სუბიექტისა და მსჯელობის აქტისაგან დამოუკიდებლობა. სინამდვილეში კი an sich დადებით ნიშანს უნდა წარმოადგენდეს; an sich უნდა ჭეშმარიტების დახასიათება იყოს და არა მისი სუბიექტისადმი მიმართების. ბოლცანოს ჭ. თ. თ. დარჩენილია რელაციის მომენტი, და ამდენად რელაციის გარეშე არსებული ჭეშმარიტება თავის თავად ბოლცანოს თეორიაში მიუღწეველია. An sich ნიშნავს არა დამოუკიდებლობას სუბიექტისაგან, არამედ თავისუფლებას ყოველგვარ მიმართებისაგან, დაპირისპირებისაგან. პროფ. ნუცუბიძის აზრით, მხოლოდ წინალოგიური ჭეშმარიტება, რომელიც ლოგიურთან გარკვეულ, **თავისებურ მიმართებაშია**, თავისუფალია ყოველივე მიმართებისაგან[2]).

წინააღმდეგობათა გარეშე მდგომ სფეროს საკითხი პირველად ემ. ლასკმა წამოაყენა. პროფ. ნუცუბიძის აზრით ლასკის მიზანი—ამგვარ სფეროს აღმოჩენა—ლასკისათვის მიუღწეველი დარჩა. ლასკი მსჯელობის ანალიზიდან გამოდის: მსჯელობა კი წინააღმდეგობათა სფეროს ეკუთვნის. ამიტომ ფიქრობს ლასკი, რომ წინააღმდეგობათა გარეშე მდგომ სფეროს მიღწევა არა მსჯელობის საშვალებით, არამედ კატეგორიათა თეორიით არის შესაძლო. მაგრამ ლასკი ვერც ამას ახერხებს, ვინაიდან მას ლოგიური არეს გარეშე ჭეშმარიტება ვერ წარმოუდგენია; ამიტომ იგი ისევ წინააღმდეგობათა სფეროში რჩება. ამასთანავე აღ-

[1]) გვ. 44 და შემ. [2]) გვ. 51.

სანიშნავია ერთი მთავარი მომენტთაგანი. წინააღმდეგობათა სფეროს გადალახვას ლასკი **საგნის** საშვალებით ფიქრობს. მაგრამ საგნის ცნებაში (Gegenstand-Gegen-stehende) უკვე იგულისხმება მისი სუბიექტისადმი დაპირისპირება. ფორმა და მასალა ლასკის „საგანში" შესაძლებელია ძალიან ახლო იდგნენ ერთმანეთთან, შესაძლებელია ისინი ამ „საგანში" შერიგებულნიც არიან და ამით მათ შორის წინააღმდეგობაც მოხსნილია; მაგრამ თვით ფაქტი, [illegible] სფეროდ „საგანი"-ა აღიარებული, ლასკის დიდ შრომას უნაყოფოდ [illegible] ლასკის თვალსაზრისი სპეციფიურ-ადამიანურის ნიშნების მატარებელია[1]).

ფილოსოფიის ძირითადი მოთხოვნა შესრულებულია: აღმოჩენილია წინალოგიური, წინააღმდეგობათა გარეშე მდგომი, შინაარსისაგან გაცლილი ჭეშმარიტება თავის თავად. ამის შემდეგ პროფ. ნუცუბიძე გვაძლევს ალეთოლოგიურ რეალიზმის ზოგად პრინციპებს. წიგნის მესამე თავი, რომელიც ამას შეეხება, იწყება ძირითადი ფაქტის ანალიზით; დასაბუთების მთელი სიმძიმე და ცენტრი აქ იმყოფება.

ალეთოლოგიური რეალიზმის ამოსავალი წერტილი შემდეგში მდგომარეობს: მსჯელობა შემცდარია, მაგრამ მსჯელობის პროცესის (das urteilen) ამგვარად არსებობის ფაქტი მაინც ჭეშმარიტია[2]). აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ ერთი და იგივე მსჯელობა ერთდროულად შემცდარიც არის და ჭეშმარიტიც[3]). ხომ არ გვაქვს აქ საქმე ლოგიურ წინააღმდეგობასთან? არა, ვინაიდან შეცდომა და ჭეშმარიტება მსჯელობის განსხვავებულ მომენტებს მიეკუთვნებიან. მსჯელობის შეცდომა: მსჯელობა მიმართულია გარკვეულ შინაარსისადმი; აქ შინაარსია მსჯელობის დამახასიათებელი მომენტი. ამ შინაარსის მიმართ იმის თქმა, რაც მსჯელობაშია ნითქვამი არის შეცდომა. მსჯელობის ჭეშმარიტება: იგი მიმართების გარეშეა, ყოველივე შინაარსისაგან გაცლილია. მსჯელობის შინაარსის მიუხედავად იგი ჭეშმარიტია, და ჭეშმარიტება მდგომარეობს მსჯელობის პროცესის ამგვარად არსებობის ფაქტში[4]). პირველი, პოზიცია-ნეგაციის სფეროში მოყოლებული, განხორციელების პროცესშია. მეორე მოკლებულია გენეტიურ მომენტს, განხორციელებულია, და იმის გამომჟღავნებაა, რომ ყოველივე არის ისე, როგორც არის.

ძირითადი ფაქტის ანალიზიდან მივიღებთ შემდეგ დასკვნებს: 1a. მსჯელობა ექვემდებარება ლოგიურ კანონებს, კერძოთ წინააღმდეგობის კანონს; 1 b. ჭეშმარიტება თავის თავად, როგორც წინააღმდეგობათა სფეროს მიღმა მდებარე ფენომენი, ამ კანონების გარეშეა. 2 a. მსჯელობა არის შინაარსის მქონე ფენომენი; არსებული არის მისი შინაარსი; 2 b. ჭეშმარიტებას თავის თავად არ გააჩნია არავითარი შინაარსი, ვინაიდან იგი არაფერს შეიცავს („nichts in sich enthält"). იგი არის ამგვარად არსებობის ფაქტი, და მსჯელობის პროცესსაც, როგორც ამგვარად არსებობის ფაქტს შეიცავს (umfasst). 3a. არსებული უპირისპირდება მსჯელობას; მსჯელობისათვის არსებული არის პირისპირ მდგომი (Gegen-Stand); ამდენად მსჯელობა რელაციის შინამქონეა; 3b.

[1]) გვ. 58. [2]) გვ. 61. [3]) გვ. 62. [4]) გვ. 63.

ჭეშმარიტება თავის თავად არის ირელაციონალური; მას არაფერი უპირისპირდება: იგი ულაგნოა, ვინაიდან უშინაარსოა. 4ა. მსჯელობა არის ის, რაც განხორციელებისაკენ მიისწრაფის. 4ბ. ჭეშმარიტება თავის თავად განხორციელებულია[1]).

გამოთქმა „თავის თავად" – an sich— არც ლოგიურია, არც ფენომენოლოგიური, და არც რელაციონალური. An sich „შინაარსთან გაცლილს" ნიშნავს.

ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი გამონახულია: [illegible] ჭეშმარიტება თავის თავად. შემეცნებას ახასიათებს გარკვეული თავისებურობა: მას არ შეუძლია უწინწამძღვროდ წინსვლა. იგი ყოველთვის გადასვლაა ცნობილიდან უცნობისაკენ; უნდა არსებობდეს წინასწარ რაღაც შემეცნება, რათა მასზე შემდეგი შემეცნება აშენდეს. ეს წინასწარი შემეცნება შეუძლებელია მსჯელობაში იქნეს გამოსახული, ვინაიდან იგი თვით მსჯელობათა საფუძველი უნდა იყოს. ეს წინასწარი ცოდნა შემეცნების ნამდვილი დასაწყისია. მეორეს მხრივ ჭეშმარიტება თავის თავად არის ფილოსოფიური შემეცნების დასაწყისი. აქ ისმევა საკითხი: როგორ ვწვდებით ჩვენ წინალოგიურს, ჭეშმარიტებას თავის თავად, რომელიც შემეცნების შესაძლებლობის უსათუო პირობაა? „თეორიით", „მიმართულების არ მქონე ხედვით" უპასუხებს ამ კითხვას პროფ. ნუცუბიძე. ჭეშმარიტება თავის თავად „თეორიულად" არის მოცემული[2]) „მიმართულების არ მქონე ხედვა" არ არის ინტუიცია, ვინაიდან ინტუიციის განსახორციელებლად საჭიროა სუბიექტი და ინტუიციის საგანი; ამით ინტუიცია წინააღმდეგობის სფეროში იმყოფება და ამიტომ აქ გამოუსადეგარია.

„თეორია" ჭეშმარიტებისა თავის თავად არ წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლიდანაც რაიმე დასკვნების გამოყვანა შეიძლებოდეს. ალეთოლოგიური სფერო მთლიანობას წარმოადგენს. მთლიანობა: არა ნაწილთა მთლიანობაში შეკავშირება, არა ჭეშმარიტებათა კომპლექსი, არამედ კომპლექსური ჭეშმარიტება. ამიტომ გადასვლა ერთიდან მეორეზე ან ერთიდან მეორის გამოყვანა აქ შეუძლებელია. მთლიანობა არის გაუთიშავ ელემენტების ჯამი[3]). ჭეშმარიტება თავის თავად არის არა აზრი არსებულზე, არამედ იგი ამ არსებულთან არის[4]). ამით დასმულია საკითხი არსებულის და ჭეშმარიტების ურთიერთობისათვის. არის ჭეშმარიტება თავის თავად არსებული, სინამდვილე, თუ ამ არსებულის „გვერდით" ან მის „ზემოთ" ან რაიმე სხვა მიმართებაში მასთან? არსებული როგორც ასეთი არ არის ჭეშმარიტება თავის თავად, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებულის ამგვარად არსებობაში მდგომარეობს. საჭიროა ეხლა მხოლოდ ამგვარად არსებულის „თეორიულად" შეცნობა. არსებობს მხოლოდ ერთი არსი (Sein) და მისი მთლიანობა მის ამგვარად, გარკვეულად არსებობაშია. ყოველივე არსებული არის ის, რაც არის. უკანასკნელი დებულება ორ აზრს შეიცავს: 1. არის რაღაც. 2. ეს რაღაც არის ისე, როგორც არის[5]).

პირველში ჩვენ ხაზს უსვამთ არსებულ ფაქტს, მეორეში, რომ ეს არსებული ასე და არა სხვაგვარად არსებობს. თუ არსებული სხვაგვარად არსებობს, მაშინ არ არის სრულიად არსებული; არსებული მხოლოდ გარკვეულად არსებულია.

[1]) გვ. 64. [2]) გვ. 72. [3]) გვ. 74. [4]) გვ. 75. [5]) გვ. 78.

არსებული ან არაფერია ან არის არსებულთან მყოფი გარკვეულობა („an dem Seienden bestehende Bestimmtheit").

აქედან ნათელია, რომ ამგვარად არსებული არსებულზე მეტია. ეს არსებულზე ზედმეტი არსებულის გარეშე კი არ არის; იგი არსებულზე „ზედწაკრულია", იგი არსებულთან (an dem) არის; და ეს „ზედმეტი" არსებულის გარკვეულობაშია. ამგვარად არსებულში ორ მომენტთან გვაქვს საქმე: ამგვარად არსებობა და „არსებულზე ზედმეტი". არსებულზე „წარმატებული" არსებობს არა არსებულის გვერდით, ზევით, არა, იგი სრულიადაც არ არსებობს[1]. არა არსებული, ან მისი დროული ან ვრცეული მონაკვეთი წარმოადგენს ჭეშმარიტებას, არამედ არსებულზე „წარმატებული" არის არსებულის გარკვეულობა და ამიტომ ჭეშმარიტება თავის თავად[2]). ორი მომენტი, რომელიც თავს იყრის არსებულში „Sosein" და „Mehr-als-Sein" (ამგვარად არსებული და არსებულზე ზედმეტი), გამოამჟღავნებენ არსებულის დიალექტიურ ბუნებას.

რაში მდგომარეობს ჭეშმარიტების თავის თავად დიალექტიური ბუნება? იმაში, რომ არსებული არის მხოლოდ ის, რაც არის, მაგრამ ამასთანავე იგი მეტია ვიდრე ის, რაც არის. ლოლიკურად აქ გარდუვალ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე[3]). ეს ზედმეტი საბუთია ლოგიურის და ალეთოლოგიური სფეროების განსხვავებისათვის. წინააღმდეგობა გამომჟღავნების მომენტშიც მოხსნილია და დაძლეულია ჭ. თ. თ. ცნებით. არა წინააღმდეგობა და შინაარსეულობა ახასიათებს ჭეშმარიტებას თავის თავად, არამედ „შინაარსთან გაცლილობა" და წინააღმდეგობათა სფეროს გარეშე დგომა. არსებული კი არ არის თვით ჭეშმარიტება; არსებული ჭეშმარიტების სახით არსებობს[4]). „Sosein"-ი და „Mehr-als-Sein"-ი გადადიან ერთი მეორეში, და ეს გადასვლა ჰქმნის ჭ. თ. თ. შინაარსისაგან თავისუფლებას. არსებულის ჭეშმარიტად არსებობა არის ძირითადი დამახასიათებელი მომენტი ალეთოლოგიურ რეალიზმის.

აქ დასმულია ახალი საკითხი: რა მიმართებაშია ეს „უშინაარსო", წინალოგიური და სხვ. ჭეშმარიტება თავის თავად შინაარსის მქონე ჭეშმარიტებასთან, იმ ჭეშმარიტებასთან, რომელთანაც საქმე აქვს მეცნიერებას. როგორ გამოიყვანება პირველიდან უკანასკნელი? ჭეშმარიტებიდან თ. თ. არაფრის გამოყვანა არ შეიძლება, პირიქით, ყველაფერი მასთან დაიყვანება. „ჭეშმარიტება ჩვენთვის" და ჭეშმარიტება „თავის თავად" სინამდვილის გაორებას არ ნიშნავს. პირველი შინაარსის მქონე, რელაციონალური, წინააღმდეგობათა სფეროში მოქცეული ჭეშმარიტებაა[5]). გზა შინაარსეულის „უშინაარსოდან" გამოყვანის აღკვეთილია; რჩება მეორე გზა: შინაარსეულის „უშინაარსო"-მდე დაყვანა; ამაში მდგომარეობს ახალი მეთოდა: ალეთოლოგიური რედუქცია. „ჭეშმარიტება ჩვენთვის" შინაარსის მოხსნით დაემთხვევა ჭეშმარიტებას თავის თავად, და შემაცნება სწორედ ამ პროცესში მდგომარეობს. ჭეშმარიტების ამ ორ სახეობასთან ერთად არსებობს მესამეც: „ჩვენი ჭეშმარიტება".

„ჭეშმარიტება ჩვენთვის" და „ჩვენი ჭეშმარიტება" წინააღმდეგობათა სფეროს ეკუთვნიან, შინაარსის მქონე არიან. მაგრამ იმ დროს, როდესაც პირველი შესაცნობ საგანს უპირისპირდება და „შინაარსეულობიდან" „უშინაარსოსაკენ"

[1]) გვ. 83. [2]) გვ. 84. [3]) გვ. 87. [4]) გვ. 88. [5]) გვ. 101.

მიისწრაფის, მეორე სხვა „ჭეშმარიტებას“ უპირისპირდება, პოზიცია-ნეგაციის სფეროშია მოყოლებული და არის მხოლოდ აზრი სხვა აზრთა შორის[1]).

„ჩვენი ჭეშმარიტების“ მიზანი „ჩვენთვის ჭეშმარიტებაშია“, ხოლო „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ მიისწრაფის ჭეშმარიტებას თ. თ. დაემთხოს. იბადება კითხვა: „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ უნდა არსებობდეს მანამ იგი არ გათანასწორებულა ჭ. თ. თ.; აქვს თუ რაიმე აზრი „ჭეშმარიტებას ჩვენთვის“ [illegible] დამთხვევის შემდეგ? პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით ჭეშმარიტება [illegible] ჭეშმარიტება ჩვენთვის არასოდეს არ გახდებიან სავსებით იგივეობრივი; „დამთხვევა“ ხდება მხოლოდ ნაწილობრივი.

სამი სახის ჭეშმარიტება შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. ჩვენი ჭეშმარიტება—ჭეშმარიტება, რომელიც განხორციელებისაკენ მიისწრაფის.

2. ჭეშმარიტება ჩვენთვის—განხორციელებული ჭეშმარიტება.

3. ჭეშმარიტება თავის თავად—არსებული ჭეშმარიტება.[2]).

ამით ამოიწურება მოკლეთ პროფ. ნუცუბიძის შრომის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი—შემეცნების სტრუქტურა—განხილულია თითქოს პირველისაგან დამოუკიდებლად; მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება მათი მჭიდრო კავშირი; შემეცნების სტრუქტურასთან ერთად მოცემულია ახალი გაგება აზროვნების პრინციპებისა და გაკვრით დახასიათებულია ფილოსოფიის ახალი მეთოდი: რედუქციის მეთოდი.

შემეცნებას, როგორც ასეთს ახასიათებს სამი მომენტი; შემეცნების მიზანია ობიექტის, საგნის შეცნობა. [3]). შემეცნების ამ მომენტს შემეცნების ამოცანას უწოდებენ, და ეს ამოცანის გადაწყვეტა შემეცნების გნოსეოლოგიას შეადგენს. მაგრამ შესაძლებელია შემეცნება განხილულ იქნეს საგნის გარეშეც: შემეცნება, როგორც საგნისადმი ინტენცია, „მიმართულება“ შესაძლოა თვით შესწავლის ფენომენად გახდეს. ამ მხრივ შეისწავლება შემეცნების არსი (wesen). მეცნიერება, რომელიც შეისწავლის შემეცნების არსს, ფენომენოლოგიაა. არც გნოსეოლოგია და არც ფენომენოლოგია არ აქცევენ ყურადღებას შემეცნების იმ თავისებურ მხარეს, რომელიც მას ორგანზომილებიან ფენომენად აქცევს. შემეცნების ეს მხარე შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: შემეცნება არის ერთსა და იგივე დროს პროგრესიული და რეგრესიული. იგი მიმართულია ყოველთვის საგნისადმი, შეიცნობს საგანს, ე. ი. აღმოაჩენს საგანში ახალსა და ახალ თვისებებს. მაგრამ ეს პროგრესი, წინსვლა მხოლოდ სუბიექტის თვალსაზრისიდან არის გამომდინარე. შემეცნების ფენომენს მეორე მხარეც აქვს: მეორე „მიმართულება“, იმდენად, რამდენადაც საძიებელი „ჭეშმარიტება თავის თავად“ იმთავითვე, როგორც საფუძველი, მოცემულია. თუ შემეცნების მიზანს განიხილავს გნოსეოლოგია, შემეცნების არსს—ფენომენოლოგია ან საგნის თეორია, მაშინ შემეცნების ორდიმენზიალობა ან ზოგადათ შემეცნების სტრუქტურა ალეთოლოგიის საგანია. [3]).

[1]) გვ. 109.

[2]). გვ. 116.

[3]) გვ. 165.

შემეცნებაში ყოველი ნაბიჯი წინ მოასწავებს ნაბიჯს უკან, იმისაკენ, რაც იმთავითვე არის. აქედან ნათელია, რომ ჭეშმარიტება თავისთავად არის ერთსა და იგივე დროს შემეცნების მიზანი და წინნამძღვარი. რაიმეს შეცნობა არ ნიშნავს, რომ შესაცნობი ამ შემეცნებაში პირველად არის შექმნილი, არამედ ნიშნავს იმას, რომ შესაცნობი შემეცნებაზე ადრე არსებობს.[1]

შემეცნება პროგრესიულია, ვინაიდან იგი მიისწრაფის „ჭეშმარიტებისაკენ ჩვენთვის", და ამ მისწრაფებაში უახლოვდება „ჭ. თ. თ."; შემეცნება მიდის წინ და ამ წინსვლაში უკან ბრუნდება. ამაშია „შინაარსეულიდან" „უშინაარსოსაკენ" გადასვლა. უკან დაბრუნება იმის მაჩვენებელია, რომ ჭეშმარიტებიდან თავის თავად არაფრის გამოყვანა არ შეიძლება; შეიძლება მხოლოდ მასზე დაყვანა. რა მნიშვნელოვანი დასკვნები გამომდინარეობენ შემეცნების ორდიმენსიალობის თეორიიდან ცხადია: თუ შემეცნების ყოველი ფენომენი ორი მომენტის მატარებელია, მაშინ მთელი ლოლიკა უნდა გადამუშავებულ იქნას ამის მიხედვით; კერძოთ გადამუშავებას მოითხოვენ აზროვნების ძირითადი კანონები. მეორეს მხრივ წამოიჭრება ახალი პრობლემა, რომელიც ლოლიკამ აქამდე არ იცოდა: არა გამოიყვანის, გამომდინარეობის პრობლემა, არამედ დაყვანის, რედუქციის.[2]

აზროვნების პრინციპების ადგილი ლოლიკაში დღესაც გამოურკვეველია. ლოლიკოსები მათ განიხილავენ ხან თავში ხან შუაში და ლოლიკის ბოლოში. ზოგიერთისათვის ეს პრინციპები მსჯელობის პრინციპებია, ზოგიერთისათვის დასკვნის და სხვ. ზოგიერთი მათ ბუნებრივ კანონებს უწოდებს, ზოგიერთი კი აზროვნების ნორმებს, და სხვ. და სხვ.

ალეთოლოგიის თვალსაზრისით აზროვნების პრინციპების ადგილი არის იქ, სადაც აზრი და ნააზრევი (das Gedachte) ერთმანეთს ხვდება. ისინი არც მხოლოდ აზრის და არც მხოლოდ არსებულის პრინციპებია. აზროვნების პრინციპები წარმოადგენენ ხიდს არსებულიდან აზრისაკენ[3] მათი ორმაგი მნიშვნელობა აიხსნება „ჭეშმარიტების თავის თავად" ორმაგობით. ეს უკანასკნელი ხომ არის შემეცნების მიზანიც და წინნამძღვარიც.

„ყველაფერი არის ისე, როგორც არის" — ეს არის პირველი პრინციპი; იგი არსებულის ამგვარობის პრინციპია[4]. მაგრამ ამ პრინციპში გამოთქმული გარკვეულობა შეუძლებელია განხილულ იქნას ცალმხრივად, როგორც ცალკე მდგომი ფენომენი. არსებულის რომელიმე მონაკვეთის გარკვეულობა არის იმავ დროს სხვა დანარჩენის გარკვეულობაც, არის იმ მონაკვეთების გარკვეულობაც, რომელთანაც პირველს კავშირი აქვს. (in Berührung kommt)[5]. ვინაიდან „აზროვნების კანონები" ეკუთვნიან არც მხოლოდ აზრს და არც მხოლოდ არსებულს, ნათელია, ისინი არც ლოგიურს და არც ონტოლოგიურ კანონებს არ გამოხატავენ; ისინი ალეთოლოგიურ სფეროს ეკუთვნიან და მის პრინციპებად გამოდიან. მაშასადამე აზროვნების პირველი პრინციპი არის ამგვარად ყოფნის პრინციპი.

თუ ზემოთნათქვამს მოვიგონებთ: რამდენადაც არსებულს გარკვეულობა ახასიათებს — გარკვეულობა, როგორც ამგვარად ყოფნის გამოთქმა — იმდენად მასში „სხვის" გარკვეულობაც არის ნაგულისხმევი[6].

---

[1] გვ. 166—7. [2] გვ.173. [3] გვ. 178. [4] გვ. 179. [5] გვ. 180. [6] გვ. 180, 183.

ამით გამოთქმულია აზროვნების მეორე პრინციპიც: „სხვა გვარად ყოფნის შეუძლებლობა“.

ამ შემთხვევაში პროფ. შ. ნუცუბიძეს „სხვა“ ჰეგელისებურად წარმოუდგენია: არა ყოველივე „სხვა“, არამედ „თავისი სხვა“ (Sein Anderes). გამორიცხულ მესამის კანონს პროფ. ნუცუბიძე გარკვეულობის პრინციპად წარმოადგენს.[1]).

უკანასკნელი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს ალეთოლოგიის, არის რედუქციის საკითხი. რედუქციის საკითხი შეეხება ფილოსოფიის ძირითად მეთოდს. ჭეშმარიტება თავის თავად არის — როგორც არსებულის ამგვარად ყოფნის და არსებულზე ზედმეტის დიალექტიური მოხსნა — შემეცნების საფუძველი და მიზანი. იგი წინალოგიურია, ხოლო წინალოგიურიდან არ არსებობს გზა წინ სვლისათვის.[2]) აქ არის სწორედ საჭირო დაყვანის, რედუქციის მეთოდი. შემეცნების სტრუქტურის ორგანზომილებასთან შესაბამათ, მეთოდოლოგიაც ორ ნაწილად დაიყოფა: მეთოდი გამომდინარეობის, ერთიდან მეორეზე გადასვლის, დედუქცია-ინდუქციის მეთოდი, და დაყვანის, რედუქციის მეთოდი.

ალეთოლოგიის რედუქციური მეთოდი განსხვავდება ზიგვარტის ლოგიურად გაგებულ რედუქციისაგან, განსხვავდება ჰუსერლის აიდეტურ და ფენომენოლოგიურ რედუქციებისაგან. რედუქცია არ არის დამტკიცების მეთოდი: არც ის არის მისი მიზანი, რომ გამონახოს დებულებანი, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვენ. მისი მიზანია: ალეთოლოგიური გზით „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ დავიყვანოთ წინააღმდეგობათა მიღმა წინალოგიურ „ჭეშმარიტებამდე თავის თავად.“

რედუქციის მეთოდის მოკლე განხილვით დამთავრებულია ალეთოლოგიის პირველი შესავალი. მკითხველი, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიის განვითარებას თვალყურს ადევნებს, უსათუოდ შეამჩნევს, რომ აქ წამოყენებული პრობლემები ძირითადი და აქტუალური პრობლემებია დღევანდელ ფილოსოფიაში. შესაძლოა მეტის თქმაც: პროფ. შ. ნუცუბიძე უფრო შორს მიდის და უფრო რადიკალურად სვამს და სწყვეტს პრობლემებს ვიდრე ეს თანამედროვე ევროპის ფილოსოფიაში არის მოცემული. ის ფიქრობს, რომ თანამედროვე ფილოსოფია უკვე ბოლცანოდან სწორ გზაზე შედგა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა და პრობლემები საბოლოოდ გადაუწყვეტელი დარჩა.

„პირველი ფილოსოფია“, რომლისაკენაც მიისწრაფის თითქმის ყველა თანამედროვე ფილოსოფოსი, აღსდგა ალეთოლოგიურ რეალიზმში პროფ. ნუცუბიძის აზრით.

საჭიროა მოკლედ მაინც გავარჩიოთ ალეთოლოგიურ რეალიზმის ძირითადი დებულებები, მით უმეტეს, რომ აზრების სიახლის გამო, ბევრი რამ არაჩვეულებრივის შთაბეჭდილებას ახდენს და გაგებისათვის სიძნელეს წარმოადგენს.

მთელი ნააზრევის სქემა შემდეგია: წინააღმდეგობათა სფერო სპეციფიურ ადამიანურთან დაკავშირებული; ამ სფეროს გადალახვა და წინალოგიური „ჭე-

[1]) გვ. 187.
[2]) გვ. 190.

შმარიტების თავის თავად" დამყარება; Sosein"-ი და „Mehr-als-Sein"-ი როგორც ჭეშმარიტების თ. თ. მომენტები, ამ მომენტების დიალექტიური მოხსნა და ამით ჭეშმარიტების დახასიათება, როგორც „შინაარსისაგან" თავისუფალის; შემეცნების ორგანზომილებიანობა, დამ ყარებული ჭეშმარიტების თ. ფ. ორმაგობაზე: ჭ. თ თ. საფუძველია და მიზანი შემეცნების; და უკანასკნელად ფილოსოფიის ახალი მეთოდი: ალეთოლოგიური რედუქცია.

მე-XX-ე საუკუნის ფილოსოფიური მისწრაფება: ფილოსოფიურ აზროვნებაში განთავისუფლება ფსიქოლოგიზმისა და ანტროპოლოგიზმისაგან პროფ. შ. ნუცუბიძეს არ აკმაყოფილებს. მისი აზრით ეს მხოლოდ კერძო ამოცანაა; ზოგადი ამოცანაა სპეციფიურ ადამიანურისაგან განთავისუფლება. სპეციფიურ-ადამიანური აქ არ უნდა ნიშნავდეს ადამიანის ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ ორგანიზაციას; არ უნდა ნიშნავდეს არც ადამიანის გვარის ასეთ თვისებებს. ეს იმითიც მტკიცდება, რომ პროფ. ნუცუბიძის აზრით შემეცნების ტრანსცენდენტალური პირობებიც სპეციფიურ-ადამიანურს წარმოადგენენ; ფენომენოლოგიური მეთოდიც სპეციფიურ-ადამიანურზეა დამყარებული. სპეციფიურ-ადამიანურში ერთი უსათუოდ ნათელია: რომ სპეციფიურ-ადამიანური უსათუოდ ადამიანურია. მაგრამ აქ სრულიად არ არის უარყოფილი ის შესაძლებლობა, რომ სპეციფიურ-ადამიანური სხვა რაიმესაც მიეკუთვნება; ე. ი. აქ არ არის დამტკიცებული, რომ, ის, რასაც პროფ. ნუცუბიძე სპეციფიურ-ადამიანურს უწოდებს, **მხოლოდ** ადამიანურია, მხოლოდ ადამიანს მიეკუთვნება. ადვილი შესაძლებელია,—მანამ საწინააღმდეგო არ არის დამტკიცებული-რომ-ადამიანის შემეცნების კანონები იგივენაირი არიან, როგორც შესაცნობი საგნის, სინამდვილის კანონები. და მაშინ ხომ სრულიად ზედმეტია ამ „სპეციფიურ"—ადამიანურისაგან განთავისუფლება. ნათელია ის წინამძღვარი, რომელიც პროფ. ნუცუბიძეს წინასწარ აქვს მიღებული თავის მსჯელობის დროს: არსებობენ გარკვეული კანონები „თვისებები" ადამიანში როგორც ასეთში, რომელთა გარეშე მას არ შეუძლია სინამდვილის შეცნობა (nicht anders Vermögen). საიდან ვიცით, რომ ეს კანონები, „თვისებები" არ წარმოადგენენ იმ კანონებს და „თვისებებს", რომელთა გარეშე თვით სინამდვილეს, არსებულს არ შეუძლია არსებობა. შეცდომების საკითხი აქ არ დგას, ვინაიდან ეს ხომ სპეციალურ-ადამიანურს მიეკუთვნება.

ამ საბუთს, უნდა ვიფიქროთ, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა, თუ მოვიგონებთ, რომ პროფ. ნუცუბიძე შრომის უკანასკნელ ნაწილში აზროვნების პრინციპებს ერთსა და იგივე დროს აზრის და არსებულის პრინციპებად აღიარებს. თუ აზრის პრინციპები იგივენი არიან, რაც არსებულის, მაშინ რაში მდგომარეობს სპეციფიურ-ადამიანური? შემეცნებაში არსებული, ამბობს პროფ. ნუცუბიძე, დალაგდება, ჩამოყალიბდება „ადამიანურის" ფარგლებში, ფორმებში, მაგრამ „ადამიანურის" ფორმები ხომ შესაძლებელია შესაცნობი სინამდვილის ფორმებიც იყოს, და აზროვნების პრინციპების ინტერპრეტაციაც ამას ნაწილობრივ მაინც აღიარებს.

მეორეს მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპეციფიურ-ადამიანური **ყოველთვის** არ ჩამოაყალიბებს შესაცნობ სინამდვილეს „ადამიანურის" ფორმებში. წარმო-

ვიდგინოთ, რომ ადამიანი, როგორც ასეთი (ადამიანის გვარი) ისე არის განსაზღვრული, რომ მას ათის ფარგლებში შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების წარმოება. მაშინ კითხვაზე რამდენია 7+5 ან 9+2 მისი პასუხი მართლაც იქნება სპეციფიურ-ადამიანური.

მაგრამ ადამიანის ეს სპეციფიური თვისება სრულიადაც არ შეუშლის მას ხელს გამოსთქვას არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ნამდვილ სინამდვილესთან დაკავშირებული ჭეშმარიტება: 3+2=5, მაშასადამე „სპეციფიურ-ადამიანური **ყოველთვის** კი არ გვაძლევს სინამდვილის დამახინჯებულ სურათს. შესაძლოა მოყვანილმა მაგალითმა ეჭვი გამოიწვიოს. შესაძლოა ითქვას: 3+2=5, ეს დებულება ჭეშმარიტია; მაგრამ ჭეშმარიტია იმიტომ, რომ სპეციფიურ-ადამიანურს არ ეყრდნობა. მაგრამ მაშინ უნდა ითქვას, რომ : 1) ყველაფერი ის, რაც სპეციფიურ-ადამიანურს ეყრდნობა, სინამდვილის დამახინჯებულ სურათს გვაძლევს, მაგრამ 2) ცდა ამ სპეციფიურ-ადამიანურის გადალახვის უსაფუძლო საქმეა.

მართლაც, ყოველგვარ ზემოდმოყვანილ მოსაზრებათა გარეშე, თუ დაუკვირდებით გამოთქმას: სპეციფიურ-ადამიანური და მის აზრს, ნათელია, რომ მისგან განთავისუფლება ყოვლად შეუძლებელია. თუ სპეციფიურ-ადამიანური მართლაც ადამიანთა სახეობისათვის სპეციფიურია, თუ იგი მართლაც ადამიანის „Species“ მიეკუთვნება, წარმოუდგენელია მისი გადალახვა და მისგან განთავისუფლება.

ამრიგად: 1) შესძლოა კანონები და „თვისებები“, რომელნიც ადამიანს, როგორც „Species“-ს ეკუთვნიან სინამდვილესაც, არსებულსაც ახასიათებენ და მაშინ „სპეციფიურ“-ადამიანურისაგან განთავისუფლება არ შეიძლება და არც სასურველია; 2) სპეციფიურ-ადამიანური ექსტენსიურად აღებული არ შეუშლის ხელს სინამდვილის ჭეშმარიტ შემეცნებას და არ არის იმიტომ ყოველთვის უარსაყოფელი; 3) სპეციფიურ-ადამიანურისაგან განთავისუფლება შეუძლებელია, თუ იგი მართლაც ადამიანის **სპეციფიური** თვისებაა. მეორე საკითხი, რომლის კრიტიკული განხილვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, არის წინააღმდეგობათა სფერო. ეს საკითხი იგივე სახელწოდებით აქვს თავისებურად გადაწყვეტილი ე. ლასს „Die Lehre vom urteil-ში. პროფ. ნუცუბიძე თავის წიგნში დიდ ადგილს უთმობს ლასკის თვალსაზრისის გარჩევას. ასეც უნდა იყოს: წინააღმდეგობათა სფეროს საკითხი ძირითადი საკითხია როგორც ერთისათვის ისე მეორესათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ **თუ** მოაზროვნე დადგა ან პრობლემის წინაშე, იგი ლასკის გზას უნდა გაჰყვეს და არა პროფ. ნუცუბიძის გზას. ლასკის თვალსაზრისი ნათელია: ლასკი გამოდის კანტის „კოპერნიკანულ“ გადატრიალებიდან და ამ ნიადგზე მსჯელობის პრობლემას წყვეტს. მსჯელობა კი ხასიათდება წინააღმდეგობით: ღირებული მსჯელობა და არაღირებული. ამ წინააღმდეგობას სამი საფეხური აქვს: თუ მსჯელობას განვსაზღვრავთ როგორც მტკიცება—უარ ჰყოფას, მაშინ წინააღმდეგობა აღმოჩნდება იმაში, არის მსჯელობა სწორი თუ მცდარი (Zutreffend—irrig) შემდეგ მსჯელობის სხვა მხარეების გარჩევით ლასკი ამყარებს კიდევ წინააღმდეგობათა ორ წყვილს;

ამათში ლასკს აინტერესებს უკანასკნელი: ჭეშმარიტების შესაბამი და ჭეშმარიტების საწინააღმდეგო (wahrhetsgemäss-wahrheitswidrig). საიდან წარმოიშვება ეს წინააღმდეგობა? ამწინააღმდეგობის საფუძველი ის არის, რომ მსჯელობა ელემენტთა სტრუქტურულ შენობას წარმოადგენს: ეს ელემენტები ფორმას და მასალას წარმოადგენენ. კანონიერია მათი ერთმანეთისადმი მიკუთვნება თუ არა—აი ის საფუძველი, რომელზედაც შენდება წინააღმდეგობათა სფერო. ფორმის და მასალის სახით მსჯელობაში გამოდიან სუბიექტი და პრედიკატი. მიეკუთვნება ამ თუ იმ სუბიექტს ესა თუ ის პრედიკატი,—ამაზეა დამყარებული მტკიცება-უარყოფის, ჭეშმარიტება-შეცდომის შესაძლებლობა.

ლასკი ადარებს მსჯელობის სტრუქტურას საგნის სტრუქტურას: საგანშიაც გვაქვს ფორმა-მასალის სტრუქტურული შენობა; მაგრამ აქ ისინი მთლიანობას წარმოადგენენ. საგანში არ ისმის საკითხი ამა თუ იმ მასალის ამა თუ იმ ფორმასთან შეერთების შესაძლებლობისათვის. აქ შესაძლებლობა მოხსნილია მისი სინამდვილით: ფორმა-მასალა იმთავითვე არიან საგანში უშუალო მთლიანობაში. აქ აღარ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, მიეკუთვნება ერთი მეორეს თუ არა, ამიტომ წინააღმდეგობათა სფეროც გადალახულია. საერთოდ, შეცდომაა, როდესაც ლასკის საგანში წინააღმდეგობათა გადალახვაზე, შერიგებაზეა ლაპარაკი. ლასკის თვალსაზრისით საგანში არავითარი წინააღმდეგობათა შერიგება არ ხდება; საგანი არის, როგორც საგანი თავის მთლიანობაში. პროფ. ნუცუბიძის კითხვაზე, რომელიც მიმართულია ლასკის თვალსაზრისისადმი: „wo ist denn das Gegensätzeiche„zu Hause?“ უპასუხებს ლასკის მთელი გამოკვლევა.

შემეცნების პროცესში საგანი იშლება ორ მომენტად: ფორმად და მასალად. შემეცნებისათვის ეხლაა დასმული საკითხი საწინააღმდეგო ელემენტების შერიგებისათვის. მხოლოდ შემეცნებაშია შესაძლებელი გარკვეულ ფორმის შესაბამი მასალა შეხვდეს ან არ შეხვდეს; მხოლოდ ეხლა წამოიჭრება საკითხი ფორმა-მასალის მიკუთვნების ან არ მიკუთვნებისა. საგანი, როგორც ასეთი მთლიანობას წარმოედგენს და არის ჭეშმარიტება თავის თავად. ამით აიხსნება ლასკის გამოთქმა: დროული და ვრცეული საგნები ჭეშმარიტებას წარმოადგენენ. ჭეშმარიტება ჩვენგან დამოუკიდებელი, ტრანსცენდენტური საგანია. ეს საგანი, ჩვენი შემეცნებით ფორმა-მასალაზე გათიშული, ხელ-ახლად შეერთდება ჭეშმარიტ შემეცნებაში. და ეს აღდგენილი ფორმა-მასალის მთლიანობა მსჯელობაში—თუ ეს მსჯელობა საგანს გამოხატავს—არის უკვე არაჭეშმარიტება თავის თავად, არამედ ჭეშმარიტი მსჯელობა, ან პროფ. ნუცუბიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ჭეშმარიტება ჩვენთვის“.

მივიღებთ ჩვენ ლასკის თეორიას თუ არა, ეს საკითხი აქ სრულიად არ გვაინტერესებს; ვიმეორებთ, აქ, ამ თეორიაში ყველაფერი ნათელია და ლოგიკურად არის აშენებული.

როგორია მდგომარეობა პროფ. ნუცუბიძის წინააღმდეგობათა სფეროს თეორიაში. ჯერ ერთი, რა წინააღმდეგობაზეა აქ ლაპარაკი? წინააღმდეგობანი:
1) პოზიცია—ნეგაცია
2) ჭეშმარიტება—შეცდომა

3) სწორი—შემცდარი

4) შემმეცნებელი—შესაცნობი

ამას ემატება ის გარემოება, რომ წინააღმდეგობაში პროფ. ნუცუბიძეს ესმის ხან წინააღმდეგობა (პოზიცია—ნეგაცია); Gegensatz) ხან კი დაპირისპირება (შემმეცნებელი და შესაცნობი, სუბიექტი—ობიექტი, (Gegenüberstellung). რა ნიადაგზეა რის აღმოცენებული წინააღმდეგობათა სფერო. ამაზედ გარკვეულად არსად სწერია. უნდა ვიფიქროთ, რომ სპეციფიურ-ადამიანური არის ის საფუძველი, რომელიც ამ სფეროს შესაძლებლად ჰქმნის, რომ ადამიანს როგორც ასეთს, შეუძლია ესა თუ ის მსჯელობა მიიღოს ან უარჰყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობათა სფეროს არა აქვს საგნობრივი, ობიექტური საფუძველი, რომელიც ლასკის თეორიის ანალოგიურად ახსნის ამ სფეროს არსებობას. შემმეცნებელი დაშლის საგნის მთლიანობას ორ მომენტად, და შემდეგ წამოიჭრება საკითხი ამ მომენტების ხელ-ახალ შეერთების სისწორის ან მცდარობის შესახებ. აქ კი წინააღმდეგობათა სფეროს არსებობა დასაბუთებულია მხოლოდ იმით, რომ ჩვენ შეგვიძლია „ხო“ და „არას“ თქმა. რომ მართლაც წინააღმდეგობათა სფეროს არა აქვს თავისი არსებობისათვის საგნობრივი საფუძველი. სჩანს ორი შემდეგი წყვილეულის: „სწორი—შემცდარი“ „შემმეცნებელი—შესაცნობი“-ს გათანასწორებიდან.

პროფ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ ლასკმა ვერ გადალახა წინააღმდეგობათა სფერო, ვინაიდან მის „საგანში“ არის კიდევ ფორმა და მასალა და, რაც უმთავრესია, მისი „საგანი“— „Gegenstand“ „Gegen“-ის, დაპირისპირების მატარებელია. ფორმა-მასალის შორის საგანში, რომ წინააღმდეგობა არ არის, უკვე ზემოთ იყო აღნიშნული. რაც შეეხება თვით საგანს, ჯერ-ერთი: პროფ. ნუცუბიძეც ერთ ალაგას (გვ. 42) თვითონ აღიარებს, რომ წინააღმდეგობის ცნება განსხვავდება დაპირისპირების ცნებისაგან; საგანი კი უპირისპირდება და არა ეწინააღმდეგება შემმეცნებელს. მეორე: **საგანი, როგორც ასეთი** სრულიადაც არ არის სუბიექტისადმი დაპირისპირებული; საგანი თავისთვის არის, იგი სინამდვილეა, არსებულია და საკუთარი „გულგრილია“, ინდეფერენტულია სუბიექტის მიმართ. საგანი, არსებული მხოლოდ შემეცნების პროცესში უპირისპირდება შემმეცნებელს, უფრო სწორედ, შემმეცნებელის მოქმედება ხდის საგანს თავის მოპირისპირედ; ლასკი სწორედ ამას ამბობს; წინააღმდეგობის სფერო შემეცნების პროცესში წარმოიშვება. პროფ. ნუცუბიძის არგუმენტი, უნდა ვიფიქროთ, მის საწინააღმდეგოდაც ლაპარაკობს: წინააღმდეგობათა გარეშე მდგომი „ჭეშმარიტება თავის თავად“ საბოლოოდ არის შემეცნების საგანი. ამაზე ქვემოთ გვექნება კიდევ ლაპარაკი; ეხლა აღსანიშნავია მხოლოდ მომენტი: რაც უნდა იყოს, და როგორც უნდა იყოს რაიმე წინააღმდეგობის სფეროდან განთავისუფლებული, იგი მაინც შემმეცნებელისათვის დაპირისპირებულია, იგი მაინც „საგანია“, (das Gegenstehende), თუ კი მასზე ვმსჯელობთ; მით უმეტეს, თუ იგი შემეცნების საბოლოო საგნად გამოდის.

წინააღმდეგობათა სფეროს გადალახვა ძირითადი მიზანია პროფ. ნუცუბიძის გამოკვლევის. როგორ ხდება ეს გადალახვა? ერთი მარტივი ფაქტის აღ-

მოჩენით: შემცდარი მსჯელობა ჭეშმარიტია, როგორც მსჯელობის პროცესის (das Urtilen) ამგვარად ყოფნის, გარკვეულობის ფაქტი. ამ აზრის ასეთ, პირველი შეხედვით, პარადოქსალურ ფორმაში გამოთქმას აქვს თავისი მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ასეთ გამოთქმას ფილოსოფიური მნიშვნელობა ჰქონდეს? მით უმეტეს არ შეიძლება ამგვარ **გამოთქმას** განხილვა შემდეგი სახელწოდებით: „შეცდომის ფილოსოფიური მნიშვნელობა“. ამ „ძირითად ფაქტში“ მოთავსებული აზრი სრულიადაც არ არის დაკავშირებული შეცდომასთან და შემცდარ მსჯელობასთან. იგივე უფლებით შეგვეძლო თქმა: ყოველივე მსჯელობა (ე. ი. ჭეშმარიტი მსჯელობაც) ჭეშმარიტია, როგორც მსჯელობის პროცესის ამგვარად, ყოფნის გარკვეულობის ფაქტი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მეტის თქმაც შეიძლება: ძირითად ფაქტში მოცემული აზრი სრულიადაც არ არის დაკავშირებული შეცდომა-ჭეშმარიტებასთან, საერთოდ მსჯელობასთან; ეს აზრი შემდეგნაირადაც გამოითქმის: ყოველივე არსებული ჭეშმარიტია, როგორც არსებულის ამგვარად ყოფნის, გარკვეულობის ფაქტი. ამ გამოთქმას ალარ ახასიათებს ის პარადოქსალობა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ (შემცდარია, მაგრამ ჭეშმარიტია), მაგრამ აქ უფრო პარადოქსალური აზრი ჩნდება: ჭეშმარიტი არა აზრია, არამედ არსებულის ამგვარად ყოფნა. აქ უნდა ერთი აღინიშნოს: მსჯელობის პროცესის ამგვარად ყოფნა, რაიმე არსებულის ამგვარად ყოფნა, არის არა ჭეშმარიტება, არამედ ან ის „Sosein“-ი, ის „როგორობა“ („Wie“), რომელზედაც ფენომენოლოგები მსჯელობენ, ან ის „საგანი“, რომელსაც ლასკი ახასიათებს. სინამდვილის მონაკვეთი გამოთქმული მსჯელობაში „ვარდი წითელია“: მისი (სინამდვილის) „ამგვარობა“, „Sosein“ გამოიხატება გამოთქმაში: „ვარდის სიწითლე“ და ამ მხრივ ეს იქნება არა ჭეშმარიტება, არამედ ფენომენოლოგების არსი (wesen). თუ კი ჩვენ მსჯელობაში გამოთქმულ სინამდვილეს გვერდს აუხვევთ და მხოლოდ მსჯელობის პროცესს განვიხილავთ, აქაც არა ჭეშმარიტებასთან გვექნება საქმე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობის პროცესთან.

არსებულის ამგვარად არსებობა ან საგნის მთლიანობას წარმოადგენს ან და იგი „რეფლექსიის გამოთქმაა“ ჰეგელის ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ (Reflexionsausdruc) ის, რასაც პროფ. ნუცუბიძე „ამგვარად ყოფნას“ უწოდებს არის ან არსი (wesen) ან „საგანთა მდგომარეობა“ (Sachverhalt) ან და თვით საგანი თავის მთლიანობაში (ლასკის Gegenstand). არც ერთი, არც მეორე და არც მესამე [1]) ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება მსჯელობის პროცესის ამგვარობის ფაქტს, ის მხოლოდ ფაქტია, რომელიც შესაძლოა ჭეშმარიტების შინაარსად გამოვიდეს, ხოლო თვითონ ჭეშმარიტებას ვერასოდეს ვერ შეადგენს.

მსჯელობა შემცდარია, მაგრამ მსჯელობის პროცესის ამგვარად ყოფნის ფაქტი ჭეშმარიტია. პროფ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ აქ ლოგიკურ წინააღმდეგობასთან გვექნებოდა საქმე ლოგიკურის სფეროში რომ ვყოფილიყავით.

[1]) ლასკი უმთავრესად ან საგანს ან და „ღირებულებას“ უწოდებს მას.

მაგრამ აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა, ვინაიდან ჩვენ ალეთოლოგიის ნიადაგზე ვდგევართ (გვ. 62). ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არავითარი განსხვავება არ არის ალეთოლოგიური გზის ლოგიურისაგან, ვინაიდან წინააღმდეგობა არც ერთსა და არც მეორე გზაზე არ იჩენს თავს: აქ არის ლაბარაკი შემცდარ მსჯელობაზე და იმაზე, რომ ეს შემცდარი მსჯელობა გარკვეული ფაქტია. ამ ორ მომენტს შორის არა თუ ალეთოლოგიურად, არამედ ლოგიურადაც წინააღმდეგობა არ არსებობს.

დამახასიათებელი თვისებები „ჭეშმარიტებისა თავის თავად" შემდეგია: იგი მიეკუთვნება წინააღმდეგობათა გარეშე მდგომ სფეროს, იგი წინალოგიურია, არ ექვემდებარება ლოგიურ კანონებს, შინაარსისაგან თავისუფალია, რელაციის გარეშეა და სხვ.

ერთს უნდა მივაქციოთ ეხლავე ყურადღება: ყველა ეს განმარტებანი უარყოფითი ხასიათისა არიან. პირველი ორი: წინააღმდეგობათა გარეშე მდგომი სფერო და წინალოგიური მხოლოდ პირველი შეხედვით უარჰყოფენ ჩვენ აზრს; სინამდვილეში მათი განმარტებაც იმის ჩამოთვლაა, რაც მათ არ ახასიათებთ. ერთი თვისება არის მხოლოდ გამოთქმული დადებითად: ჭეშმარიტება თავის თავად არის ის რაც არის. (რაც შეეხება „Sosein"-ს და „Mehr-als-Sein"-ს ამაზე ქვემოთ). მაგრამ ეს განსაზღვრა იმდენად ფორმალურია და იმდენად ფართეა, რომ ჭეშმარიტების თავისებურობის დასახასიათებლად არ გამოდგება. „საგანიც" არის ის, რაც არის.

ლოგიურად ეს ასეც უნდა იყოს: „ჭეშმარიტება თავის თავად" გაწმენდილია ყოველივე შინაარსისაგან, ნათელია მას აღარ ექნება ის მომენტები, რომელთა ჩამოთვლა ლოგიურ განსაზღვრას მოგვცემს.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ყველა დამახასიათებელი მომენტები „ჭეშმარიტებისა თავის თავად". დგას ის მართლაც წინააღმდეგობათა სფეროს გარეშე? ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ რამდენადაც პროფ. ნუცუბიძე წინააღმდეგობათასფეროს დამახასიათებელ მომენტად დაპირისპირებასაც ასახელებს, იმდენად ჭ. თ. თ. ამ სფეროშია მოქცეული. შემეცნების პროცესში ადამიანს ჭეშმარიტება თავის თავად უპირისპირდება, როგორც შესაცნობი საგნი, ხოლო შემეცნების გარეშე მას არა თუ ჭ. თ. თ. არამედ ბევრი არ უპირისპირდება. აქ შესაძლოა მეტიც ითქვას: დაპირისპირება ხდება არა მხოლოდ შემმეცნებელსა და შესაცნობ საგნის შორის [1]), არამედ დაპირისპირებას ალაგი აქვს თვით „ჭეშმარიტების თ. თ." ფარგლებში. ჭეშმარიტება თავის თავათ არის არსებულის გარკვეულობა. მაგრამ არსებულის რომელიმე მონაკვეთის გარკვეუ-

[1]) მართალია პროფ. ნუცუბიძის აზრით ალეთოლოგიურ რეალიზში სუბიექტ-ობიექტი, შემმეცნებელი—შესაცნობი მოხსნილია, მაგრამ შემეცნების პროცესში, როდესაც შემმეცნებელს „ჩვენთვის ჭეშმარიტებასთან" აქვს საქმე და მასთან არის დაპირისპირებული, იგი თვით „ჭ. თ. თ:" უპირისპირდება, ვინაიდან „ჭეშმარიტება ჩვენთვის" საბოლოოდ თავის გამართლებას ძირითად ჭეშმარიტებაში—„ჭ. თ. თ."— ჰპოვებს.

ლობა არის ამავე დროს რომელიმე მეორის, სხვის („თავისი სხვის") თანაგარკვეულობა. „Die Bestimmtheit jedes Stückes des Seienden ist Zugleich die Mitbestimmtheit jedes anderen, mit dem es in ontodogishe. Berührung kommt". (გვ. 180, იგივენაირი აზრი გ. 183, „თავის სხვაზე" გვ. 184). სხვა მონაკვეთის, ან უფრო სწორედ „თავის სხვის" თანაგარკვეულობა შეჩვენებელია იმის, რომ „ჭეშმარიტება „თავის თავად" ე. ი. რაიმეს გარკვეულობა შემოსაზღვრავს თავის თავს სხვის თანაგარკვეულობასთან დაპირისპირებით, „რამდენადაც არსებულს მიეკუთვნება გარკვეულობა, როგორც მისი ამგვარად ყოფნის ფაქტი, იმდენად უკვე დამყარებულია სხვის თანაგარკვეულობა" — ამბობს პროფ. ნუცუბიძე თავის გამოკვლევის 183 გვ. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტება თავის თავად ისევ წინააღმდეგობათა სფეროში იმყოფება, და გზა წინააღმეგობათა გარეშე მდგომ სფეროსაკენ ალეთოლოგიურ რეალიზმისათვისაც აღკვეთილია. უფრო საინტერესოა მეორე მომენტი, რომელიც ჭ. თ. თ. ახასიათებს: მისი წინალოგიურობა. ჭ. თ. თ. არ ექვემდებარება ლოგიურ კანონებს.

ჭეშმარიტება თავის თავად ხომ არის ის, რაც არის; შეუძლებელია, რომ ჭ.თ. თ. იყოს ერთსა და იგივე დროს (და, თუ გინდათ, ერთსა და იგივე მიმართებაში, როგორც არისტოტელე იტყოდა) ჭეშმარიტებაც და არა-ჭეშმარიტებაც! ნათელია, მაშასადამე, რომ ჭეშმარიტება თავის თავად უსათუოდ ექვემდებარება იგივეობის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონებს, ე. ი. ექვემდებარება ფორმალ-ლოგიურ კანონებს. და შეუძლებელიც იქნებოდა „ჭეშმარიტებისათვის თ. თ." ამ კანონებისათვის არ დამორჩილება, ვინაიდან ჭეშმარიტება თ. თ. ამ კანონების გამოთქმის მეტი არაფერი უნდა იყოს.

დავაკვირდეთ აზროვნების პრინციპებს პროფ. ნუცუბიძის ინტერპრეტაციაში: აზროვნების პირველი პრინციპი არის ამგვარად ყოფნის პრინციპი; მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ „ყველაფერი, რაც არსებობს, არის ისე, როგორც არის". აზროვნების მეორე პრინციპი არის „სხვაგვარად ყოფნის შეუძლებლობის" პრინციპი (გვ. 183). მესამე პრინციპი „გარკვეულობის" პრინციპს წარმოადგენს (გვ. 187). ნათელია, მაშასადამე, რომ წინალოგიური სფერო და წინალოგიური ჭეშმარიტება თავის თავად არა მხოლოდ ექვემდებარება ლოგიურ კანონებს, არამედ ამ ლოგიურ კანონების სფეროს წარმოადგენს. ამდენად ეს წინალოგიური სფერო კი არ არის, არამედ ნამდვილი და ჭეშმარიტი ლოგიურის სფეროა. თუ ეს ასეა, მაშინ ისიც ცხადი იქნება, რომ ჭეშმარიტება თავის თავად არ არის ირელაციონალური.

ჭეშმარიტებას თავის თავად რომ აქვს გარკვეული მიმართება შემეცნებელ სუბიექტისადმი, როგორც შეშეცნების საბოლოო საგანს, უკვე ზემოთ იყო აღნიშნული. რომ მას გარკვეული—იქნებ არა ლოგიური, როგორც ამტკიცებს პროფ. ნუცუბიძე—მიმართება აქვს „ჩვენთვის ჭეშმარიტებასთან" და არის საფუძველი და მიზანი ჩვენი შემეცნებისა, ამას თვით პროფ. ნუცუბიძე აღიარებს.

მაგრამ აქ მეტიც არის, ვიდრე ეს მიმართება: ჭეშმარიტება თავის თავად

თავის სფეროშიაც მიმართების შინამქონეა. არსებულის გარკვეულობა და ამგვარად ყოფნა არის **არსებულის გარკვეულობა**, და ამდენად მას ამ არსებულთან აქვს კავშირი და მიმართება. „ყვითელი ფერის" გარკვეულობა და ამგვარად ყოფნა არის ყოველთვის რომელიმე სივრცის მონაკვეთთან დაკავშირებული და ამ სივრცის მონაკვეთის „სიყვითლეს" წარმოადგენს. რომელიმე „რყევის" გარკვეულობა და ამგვარად ყოფნა უსათუოდ არის იმასთან მიმართებაში, რაც „ირყევა" (ჰაერი, „ეთერი" და სხვა). ზოგადათ: არსებულის გარკვეულობას აქვს ყოველთვის მიმართება იმ არსებულთან, რომლის ამგვარად ყოფნას ეს გარკვეულობა წარმოადგენს. მაგრამ რომელიმე საგნის გარკვეულობას აქვს მიმართება არა მხოლოდ ამ საგანთან, არამედ იმ საგნებთანაც, რომელნიც პირველთან ონტოლოგიურ კავშირში იმყოფებიან: ვინაიდან პირველის გარკვეულობასთან ერთად მიცემულია ამ სხვების („თავისი სხვა") თანაგარკვეულობა. ამის შესახებ ზემოდაც იყო ლაპარაკი, ამიტომ ამ მომენტს აქ აღარ შევეხებით.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი: ამგვარად ყოფნის და არსებულზე „წარმატებულის" ურთიერთმიმართების მომენტი. ან ეს ორი მომენტი სინამდვილეში ერთ მომენტს წარმოადგენს და განსხვავება მათ შორის მხოლოდ სიტყვიერ ფორმაშია, ან და, თუ ეს ორი მომენტი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ჭეშმარიტება თავის თავად ამ ორ მომენტის ურთიერთ **რელაციას** წარმოადგენს.

რას წარმოადგენს არსებულის ამგვარად ყოფნა? არა მხოლოდ იმას, რომ არსებული არის **ის**, რაც არის, არამედ, რომ არსებული **ისე** არის, **როგორც** არის (So-sein). რას წარმოადგენს „არსებულზე ზედმეტი" (Mehr-als-Sein)? იმდენად, რამდენადაც არსებული არა მხოლოდ არის, არამედ **ისე** არის, **როგორც** **არის**, არის იგი „მხოლოდ არსებულზე" მეტი. (გვ. 83).

ცხადია, რომ აქ ერთსა და იგივე მომენტთან გვაქვს საქმე; განსხვავება მხოლოთ სიტყვიერი თუ არის. [1]) თუ ეს ასეა, მაშინ შეუძლებელია ლაპარაკი ამ ორ მომენტის ბრძოლაზე „ჭეშმარიტებაშითავის თავად", შეუძლებელი ხდება მთელი ალეთოლოგიური დიალექტიკა და ამ მომენტების მოხსნა ჭეშმარიტებაში. „მოხსნა" ზედმეტია, ვინაიდან მოსახსნელი მომენტები გვაკლია, დიალექტიკა უადგილოა. რადგან არა თუ დაპირისპირებული, არამედ მომენტები სრულიად არ არსებობენ: არის ერთი—ამგვარად ყოფნის, გარკვეულობის ფაქტი—Soseinstatsächeichkeit.

მიუხედავად ამისა, პროფ. ნუცუბიძე მაინც ფიქრობს, რომ ეს ორი მომენტი განსხვავებულია. მათი შეხვედრა და მოხსნა ჭეშმარიტების თ. თ. არსს შეადგენს. ცხადია ამ შემთხვევაში, რომ ჭეშმარიტება თავის თავად აღარ წარმოადგენს ირელაციონალურ ჭეშმარიტებას. უპირისპირდებიან ეს მომენტები ერთმანეთს თუ არა, ჰქმნიან ისინი დიალექტიკურ თეზისსა და ანტითეზისს სულ ერთია; მთავარია აქ ორი განსხვავებული მომენტის არსებობა და მათი უსათუო კავშირი ჭეშმარიტებაში თავის თავად.

[1]) დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა პირველად პროფ. ნუნაძემ საჯარო დისპუტზე 1926 წ.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტება თ. თ. არ არის შინაარს მოკლებული. ზოგიერთი ფილოსოფოსი ხმარობს გამოთქმას: „შემეცნების შინაარსი“ და ამ გამოთქმაში გულისხმობს შემეცნების საგნის შეცნობილ მხარეს. ამ აზრით, რასაკვირველია, არც ჭეშმარიტებას თ. თ. ექნება შინაარსი. მაგრამ აქ „შინაარსი“ ნახმარია, უნდა ვიფიქროთ, ჩვეულებრივი აზრით. ამდენად ყველა ის მიმართება, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ ჭეშმარიტების თ. თ. ცნებაში, ყველაფერი ეს მის შინაარსს უნდა შეადგენდეს. თუ ჭეშმარიტებას თ. თ. არა აქვს არავითარი შინაარსი, მაშინ ის ცარიელი, ფორმალი ცნებაა, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ ექნება არც ფილოსოფიურსა და არც მეცნიერულ შემეცნებისათვის. მაგრამ ამ ცნებას აქვს დიდი მნიშვნელობა არა თუ საზოგადოთ ფილოსოფიაში, არამედ კერძოთ პროფ. ნუცუბიძის თეორიაშიაც, და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შინაარსის საკუთრებას წარმოადგენს: ჭეშმარიტება თავის თავად არის ცნება და მის შინაარსად გამოდის მთელი სინამდვილის ჭეშმარიტად არსებობა.

საბოლოოდ საჭიროდ მიგვაჩნია რამოდენიმე გაუგებრობის აღნიშვნა, რომელიც, ჩვენის აზრით, დაებადება პროფ. ნუცუბიძის გამოკვლევის მკითხველს „მიმართულების გარეშე მყოფ“ ხედვისა და რედუქციის თეორიების გამო.

საკითხი ეხება „ჭეშმარიტების თავის თავად“ მიწვდომას და „ჩვენთვის ჭეშმარიტების“ მასზე დაყვანას. მიწვდომა ჭეშმარიტებისა თ. თ. არ უნდა გავიგოთ, როგორც მისი ინტუიცია. ჭვრეტა: ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა „ჩვენთვის ჭეშმარიტების“ ძირითად ჭეშმარიტებზე დაყვანა. და საერთოდ მიწვდომა, „ხედვა“ ამ ჭეშმარიტებისა არ უნდა იყოს ნამდვილად მიწვდომა და ხედვა, 1) თუ ჩვენ შეგვიძლია ჭეშმარიტების თავის თავად მიწვდომა „დანახვა“, მაშინ მთელი შემეცნება ამ დანახულ „ჭეშმარიტებით უნდა ამოიწურებოდეს; 2) თუ ჭეშმარიტება დაინახება, ნათელია იგი წინააღმდეგობათა სფეროში უნდა მოჰყვეს. პროფ. ნუცუბიძე ცდილობს გადალახოს წინააღმდეგობათა სფერო იმით, რომ ამ „ხედვას“ მიმართულების გარეშე: აყენებს. მაგრამ საქმე აქ არა მიმართულებაში უნდა იყოს არამედ თვით „ხედვაში“: უნდა **ვინმე** „ხედავდეს“ — თუ გინდათ მიმართულების გარეშეც: აქ უკვე შეტანილია შემმეცნებელისა და შესაცნობის დაპირისპირება, და ამით წინააღმდეგობათა სფეროც აღდგენილია.

რაც შეეხება რედუქციის მეთოდს, უნდა ითქვას შემდეგი: ეს მეთოდი იმდენად მოკლედ არის განხილული პროფ. ნუცუბიძის გამოკვლევაში, რომ მისი გარჩევა ძნელ საქმეს წარმოადგენს. ერთი რამ მაინც გაუგებარი დარჩა ჩვენთვის ამ მეთოდში. რედუქცია არის ახალი მეთოდი, რომლის საშვალებით „ჩვენთვის ჭეშმარიტება“ დაიყვანება „ჭ. თ. თ.“ ეს დაყვანა არის გაურკვეველი შინაარსის მხრივ: როგორ დაიყვანება ამ მეთოდის საშვალებით ერთი ჭეშმარიტება მეორეზე, რა გზით ხდება ეს დაყვანა. პროფ. ნუცუბიძე ამბობს, რომ ეს გზა ალეთოლოგიური და არა ლოგიური გზა არის. მაგრამ როგორია ეს ალეთოლოგიური გზა არ არის ნაჩვენები. იქნება სწორედ აქ არის საჭირო „თეორია“, იქნებ ეს გზა „**მიმართულების** გარეშე“ ხედვაშია. მაშინ აქ წამოყენებული პრობლემა გასაგები ხდება, მაგრამ სხვა მომენტია გაუგებარი: ალეთოლოგიური **გზაც** გზა არის და ამიტომ მასაც გარკვეული **მიმართულება** უნდა ჰქონდეს.

# ბიბლიოგრაფია

**М. В. РОДЗЯНКО.—Крушение Империи. გამომცემლობა „Прибой", 1927. გვ. 280. ფასი 1 მან.**

მემუარები, საზოგადოთ, დიდი ინტერესით იკითხება. კარგათ დაწერილი მემუარი თავისი ინტერესით ხშირათ ჩრდილავს კარგად დაწერილ რომანს. მემუარებში მოქმედობენ ისტორიული, ფიზიკური „გმირები", რომელთა სახელი ბევრჯერ გაგვიგონია. ზოგი მათგანი გვინახავს კიდეც. ამ „გმირებს" შესაფერი როლი უთამაშნიათ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ მოქმედებასა და პირად „კაპრიზებზე" ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ასეთ „გმირების" გამოყვანამ შეუძლებელია, ცხოველი ინტერესი არ გამოიწვიოს მკითხველში. ზოგს—აატირებს, ააცრემლებს მათი მოგონება, ზოგს—გააკინებენ ისინი, ზოგს კი—გააკვირვებენ თავიანთ საქციელით. განა ამას შეედრება რომანი—ფანტაზია?

მაგრამ მემუარებიც არის და მემუარებიც. აქ საინტერესოა: ვინ არის მემუარების ავტორი? ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. ჩვენთვის სრულებით არ არის საინტერესო ვინმე პოლიციელის „მოგონება". ალბათ, ასეთი „მოგონება" პოლიციელების უმრავლესობას ექნებოდა, მაგრამ მემუარები ისეთ ფიგურების, რომლებიც უმაღლეს პოლიტიკის საჭეს სათავეში თუ არა, მის ახლოს მაინც იდგენ, განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს და ძარღვებ დაჭიმვით იკითხება.

მ. როძიანკოს დასახელებული წიგნი სწორედ მემუარების ასეთ მცირე, მაგრამ ზედმიწევნით მნიშვნელოვან რიცხვს ეკუთვნის. აქ ჩვენ ვხედავთ მაღალ სფეროების „კულისების საიდუმლოებათა" საგულისხმო „წვრილმანებს". როძიანკო სახელმწიფო სათათბიროს „დამსახურებულ" თავმჯდომარედ ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში, ზედა ფენებში მას უყურებდენ როგორც რუსეთის „ხალხის წარმომადგენელს", „ჭეშმარიტ რუსს" და ტახტის ერთგულს.

როძიანკო პირმშო შვილი და წარმომადგენელი იყო იმ წოდების, რომელიც ფეოდალურ-თავადაზნაურების წრიდან,—კაპიტალიზმის განვითარებით, აგრარულ-კაპიტალისტურ წრეთ, გადაიქცა. ის იყო აგრარული ბურჟუაზიის, ძსხვილი კაპიტალისტური მიწამფლობელობის მედროშე და მისი პოლიტიკის ზესაჭე.

სახელმწიფო სათათბირო, მისი უმრავლესობის სახით, გამოხატავდა ამ კლასის ინტერესებს, მის ნებისყოფას. როგორც ვიცით ეს კლასი მუცელზე ხოხავდა რომანოვების დინასტიის წინაშე. მისი „რევოლიუციონური ბუნება" მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი „ებრძოდა" აბსოლიუტურ მონარქიას და მოითხოვდა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის კონსტიტუციონალურ სისტემას. ეს იყო და ეს. ასეთი იყო როძიანკოს და, მაშასადამე, სათათბიროს უმრავლესობის პროგრამა. პრაქტიკულად ეს პროგრამა გულისხმობდა პასუხისმგებელ სამინისტროს შეძლებას. ასეთი სამინისტრო იქნებოდა პასუხისმგებელი, როძიანკოს სიტყვებით რომ ვსთქვათ „ტახტისა და ხალხის წინაშე". რასაკვირველია, ეს არ იყო „რევოლიუციონური" მოთხოვნა, ამ სიტყვის თუ გინდ ფრჩხილებში ხმარებით,—მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებელ სამინისტროსი სასტიკი წინააღმდეგი იყო თვით ნიკოლოზ რომანოვი. ეს ამტკიცებს უკანასკნელის სრულ სიჩერჩეტეს და პოლიტიკურ სიბეცეს.

— მოგვეცით პასუხისმგებელი სამი-

ნისტრო,—ეუბნება როძიანკო ნიკოლოზს,—თქვენ მხოლოდ გააფართოვებთ უფლებებს, რომელიც მოგვანიჭეთ კონსტიტუციით. სამაგიეროთ თქვენი ხელისუფლება დარჩება შეურყეველი. მხოლოდ პასუხისმგებლობა იქნება არა თქვენი, არამედ „მთავრობის“ აი რუსეთის „რევოლიუციონური“ ბურჟუაზიის პოლიტიკური „credo“. ეს არის „კრედო“ სასტიკი რეაქციის, მეფის ტახტის განმტკიცების, მეფის „ღვთიური ავტორიტეტის“ ხელშეკრულების... ეს არის ტახტის ერთგული სამსახური და მეტი არაფერი.

როძიანკოს სძულს სიტყვა „რევოლიუცია“, ის არ ღალატობს ტახტს, მას „ფული მიულია“ სათათბიროს თავმჯდომარეს საგარეულზე დასკუპების დროს. სახელმწიფო სათათბიროს „გავლენიან სფეროებში“ გადაწყდა ერობის თავმჯდომარეთა ყრილობის მოწვევა სასურსათო და სამხედრო მომარაგების საკითხების განსახილველად. როძიანკო ამ გადაწყვეტილებას აცნობებს მინისტრ მაკლაკოვს.

— ეს არის სწორედ ის—ამბობს მინისტრი,—რის შესახებ ჩვენ მოგვეპოება აგენტურის ცნობა. თქვენ გსურთ განიხილოთ პოლიტიკური საკითხები და მოითხოვოთ კონსტიტუცია...

— თქვენ ჭკუიდან შეიშალეთ... რა უფლება გაქვთ ასეთი შეურაცყოფა მომაყენოთ მე?...—იუპიტერის მრისხანებით უპასუხებს ბრაზმორეული როძიანკო.

ფრონტზე მდგომარეობის გამწვავების შემდეგ „მაღალ წრეებში“ დაიწყეს ლაპარაკი ნიკოლოზის გადადგომის შესახებ—დინასტიის შენარჩუნების მიზნით. საიდუმლო კრებაც კი იქნა მოწვეული ამ საკითხის გადასაჭრელად. დაესწრო როძიანკოც. მას სისხლით აევსო თვალები, მეფის გადადგომაზე რომ ჩამოაგდეს ლაპარაკი. — „თქვენ არ იცით რა იქნება მეფის გადადგომის შემდეგ... მე არასოდეს არ დავუჭერ მხარს გადატრიალებას. მეფიცი მიმილია,—ყვირის განრისხებული როძიანკო,— გადატრიალება არაა საკანონმდებლო პალატის საქმე, ხოლო ხალხის ამხედრება მეფის წინააღმდეგ, ამისი მე არც ხალისი მაქვს და არც შესაძლებლობა“.

მეორე მხრივ, როძიანკოს ჩვენ ვხედავთ უფრო სამარცხვინო ფოლებშიაც. სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც წარმოიშვა 1905 წლის რევოლიუციის გაელენით, გადაიქცა—როძიანკოს ხელში—უბრალო სალაყბოთ, რომლის მიზანი, როძიანკოს აზრით, იქამდე დაიწურა, რომ ამ ორგანოს საშუალებით უნდა მომხდარიყო „ხალხისა და ტახტის“ შეუღლება—პირველის დასუსტების, მეორეს კი—გაძლიერების თვალსაზრისით. როძიანკო ასრულებდა ისტორიულად სამარცხვინო როლს. იყო შემთხვევები, როდესაც სათათბიროს მემარცხენე ელემენტები რადიკალურ რეზოლიუციებს, რადიკალურ მოთხოვნილებებს აყენებდენ. ასეთ შემთხვევაში როძიანკო ოსტატურად იქცეოდა: „მე განზრახ ვაგვიანებდი სხდომის გახსნას, რათა ფრაქციებში ელაპარაკნათ, იქ გადმოენთხიათ უკმაყოფილება და იქვე გაცივებულიყვნენ—უტიფრათ აცხადებს როძიანკო. აძიტომაც როძიანკო რუსეთის მშრომელ მასსების სამართლიან გულისწყრომაა და რისხვას იმსახურებდა...

კითხულობთ როძიანკოს მემუარს და თვალწინ გეხატებათ როძიანკოს უბადრუკი, საწყალი, დამცირებული ფიგურა. ნიკოლოზმა მას მიანიჭა კამერგერის წოდება. ამით როძიანკოს მიეცა „კარისკაცათ“ ყოფნის საშუალება. ის უკეთებს მოხსენებებს,—სათათბიროს სახელით—იმპერატორს, ამ ტიკინას, რომელსაც საკუთარი არაფერი გააჩნია: არც რწმენა, არც აზრი და არც ნებისყოფა. როგორც ფინია, ზის როძიანკო უკანა ფეხებზე მეფის წინაშე, „თვალს თვალში უყრის“ ამ არარაობას და სპირიტიულ მოჩვენებას, თითოეულ გამომშვიდობებაზე „გული უყუჩდება და თვალები ცრემლებით ევსება“. საინტერესოა: როძიანკოს არასოდეს არ მიულია მეფისგან გარკვეული პასუხი დასმულ კითხვაზე. ნიკო-

ლოზს რასპუტინის აზრი უნდა გაეგო ჯერ...

— მე დიდი სიამოვნებით გავიგე თქვენი არჩევა. მადლობას გწერავთ მშვენიერ სიტყვის გამო. ასე უნდა ფიქრობდეს და გრძნობდეს თითოეული რუსი—ეუბნება ეს „მოჩვენება" თავის ხანდაზმულ alter ego-ს როძიანკოს.

— ხელმწიფეს—ეუბნება როძიანკო მეფეს ერთ-ერთ აუდიენციაზე.—მე არ მაქვს თქვენთან საქმიანი მოხსენება სათათბიროს საქმეებზე: მე მოვედი თქვენთან ალსარების მიზნით, ბოვედი როგორც შვილი—მამასთან, რათა გადმოგცეთ ყოველივე სიმართლე, რაც ვიცი. მიბრძანებთ თუ არა ვილაპარაკო? —ილაპარაკეთ! უპასუხა მას მოჩვენების უფრო მოჩვენებისებრ ხმამ და დაიწყო მეფის ტაკი-მასხარამ—როძიანკომ—ყველაფერზე, რაც კი ეს ჭიროებოდა ძირმოძპალ დინასტიას ჯუსკრულში გადაჩეხვისაგან დასახსნელად! როგორც ვიცით, მეფის მოწყალებას როძიანკო არ დარჩა მოკლებული და „დაჯილდოვებული იქნა წმ. ანნას პირველი ხარისხით"...

დიდის პათოსით, მეფისტოფელის პოზით, აწეულ გრძობებით, ერთი სიტყვით — მამლაყინწობით, — მოგვითხრობს როძიანკო თავის „გმირულ ბრძოლაზე" მეფის მეუღლისა და რასპუტინის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტყვილა სცდილობს როძიანკო რასპუტინისა და მისი ჯულიეტას ურთიერთობაში მარტო რელიგიური ელემენტი ალმოაჩინოს და არა... აქ როძიანკო ღალატობს ყოველგვარ გულახდილობას. მაგრამ ეს ხომ უმნიშვნელოა. ალსანიშნავია მხოლოდ რომ როძიანკო მართლაც აწარმოებდა „ბრძოლას" და ამ ბრძოლაში იგი მთლიანად დამარცხდა. დედოფალი ითითხოვდა სეპარატიულ ზავს გერმანიასთან, როძიანკო—ომს სრულ გამარჯვებამდე. ცხადია, დინასტიის გადარჩენის თვალსაზრისით პირველი მოთხოვნილება მიზანშეწონილი და სწორი იყო, მეორე—არსებითად შემცდარი. აი ამას უწოდებს როძიანკო „გმირობას უპასუხისმგებლო გავლენასთან ბრძოლაში!"

„Крушение империи" ხვა მხრივაც არის საყურადღებო „მაღალ გავლენიან სფეროებში" კულისებს იქით დაფარულ საიდუმლოებათა გამოაშკარავებასთან ერთად ამ ადამიანთა—სინათლეზეა გამოტანილი ძველი—სახელმწიფოებრივ მექანიზმის სრული დაშლა, უვარგისობა, უთავბოლობა,—ყველაფერი, რაც დამპალ სახელმწიფოებრივ სხეულს ახასიათებს. ოსტატურადაა აწერილი ომის დროის „მაღალი კომბინაციები": პუტილოვის და სხვების, რომლებიც „მათ უდიდებულესობათა" შემწეობით და აქტიური დახმარებით ათეულ მილიონებს იყრიდენ ჯიბეში, სძარცვავდენ სახელმწიფოს, ხალხის ქონებას. გადაშლილია მეფეთამეობის საშინელი სურათი. მეფეთამეობა სუფევდა მთლიანი ბით რასპუტინიდან დაწყებული სახელმწიფო საბჭოს წევრებამდე მილიანათ. ამ გარემოებამ როძიანკოსაც კი ათქმევინა: „Все купно, сказало злато". ყველაფერი ეს სხვადასხვა ფერებით მოხეოხებულათაა შეზავებული როძიანკოს „შრომაში".

ამთავრებთ როძიანკოს წიგნს და თან გიკვირთ: ნუ თუ? ნუ თუ ეს პირი მოექცა სათავეში თებერვლის რევოლიუციას, დროებით მთავრობას? გიკვირს ათასჯერ უფრო მეტად: ნუ თუ ამ პირს—შავრაზმელ როძიანკოს შეეუღლენ მენშევიკები და ესერები და იკავდენ მასთან კოალიციას? ნუ თუ... და კიდევ მრავალი ახრი ებადება მკითხველს ამ წიგნის კითხვის დროს.

შულგინის „Дни" მეტად პოპულიარულია ჩვენში. მაგრამ „Крушение империи"-სთან მისი შედარება ძნელია. როძიანკო მკითხველს აძლევს მეტ ფაქტიურ მასალას, საინტერესო ცნობებს. ეს არის მეფის რეჟიმის დაცემის მოკლე ისტორია.

საინტერესო იქნებოდა როძიანკოს მემუარები რევოლიუციის შემდეგ ამბებზე. ალბათ, ავტორი არც ამაზე აიღებდა ხელს, რომ გულის სიგანიერეს—

[illegible]ომელიც შენ მიიღო თურმე მეფის [illegible]ითი ბრაზიანი შემოხედვით,—მისთვის ბოლო არ მოელო. ამ მხრივ მართლაც სამწუხაროა როძიანკოს „ულრო“ სიკვდილი.

**ბ. ბ—ლი.**

---

**ვ. ხურციძე.—ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა.—თბილისი 1927 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ქართული ლიტერატურის ისტორია. ვერ ჩაითვლება ისტორიათ ის, რაც ამ სათაურით არის გამოსული. ამითი არ გვინდა იმის თქმა, რომ ლიტერატურის ისტორია ან უნდა იწერებოდეს მარქსისტულათ, ან სულ ვერ დაიწერება. შეიძლება მარქსიზმი არ მიგაჩნდეს უტყუარ მეცნიერულ მეთოდათ, მაგრამ უნდა გქონდეს მაშინ სხვა რომელიმე მეთოდი, უნდა გქონდეს განსაზღვრული კონცეპცია. თუ ეს ღერძი არ ექნა ისტორიულ გამოკვლევას, ისტორია ვერ გამოვა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გამოვა მასალების დაგროვება, გამოვა მაღაროებიდან ამოღებული და ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი ნედლეულობა. ამ ხრივ ჩვენ მდიდარი ვართ და იმედია, კიდევ უფრო გავმდიდრდებით. მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით.

ჩვენ გვჭირდება არა მარტო დაგროვება ლიტერატურული მოვლენების. ჩვენ გვინდა მიზეზობრივი ხაზის გავლება ამ მოვლენებში; გვინდა მონახვა იმ აუცილებლობის, რომლითაც ერთი მოვლენა გამომდინარეობს მეორისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მიღწევა შესაძლებელია მარქსისტული მეთოდით. ვისაც ეს არ სწამს უნდა გამოდიოდეს სხვა კონცეპციით. მეთოდოლოგიური სხვადასხვაობა ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი ისტორიულ კვლევა-ძიებისათვის. ლიტერატურის დარგში ჩვენ არ გვაქვს თანმიმდევრობით დაცული არც ერთი სხვა მეთოდი, ან გვაქვს პრიმიტიულათ შეთვისებული მარქსიზმი.

პრიმიტიული თქმაა ამ წიგნის წინასიტყვაობაში: „ესა თუ ის სულიერი განწყობილება საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკური ურთიერთობის ანარეკლია... მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებასა“... რა ურთიერთობის „ანარეკლი“ იყვენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი. რა მდგომარეობით განისაზღვრებოდა ის „შეგნება“, რომ უიმედობის გარემოცულობაში არ იკარგებოდა, გაუქრობელი ცეცხლივით ღვივოდა ეროვნული აღორძინების იმედი. ავტორს კარგათ აქვს ნაჩვენები, რომ სასოწარკვეთილების ქილო მაშინდელ პოეზიაში გადადიოდა იმედიანობის ქილოში. მაგრამ რისი „ანარეკლი“ იყო თითონ ეს გადასვლა. ამის ასახსნელად არ ქმარა ის, რაც წინასიტყვაობაშია ნათქვამი.

უთუოდ მიზანშეწონილია და ორიგინალურიც არის თემატიური დაჯგუფება ჩვენი ლიტერატურული მოვლენების. ავტორს აღებული აქვს ეროვნული საკითხი, ბატონყმობა, ბურჟუაზიული ურთიერთობა, წოდებათა დაქსაქსვა და მშრომელ გლეხობის საკითხი, მუშათა მოძრაობა და ზოგადი საკითხები.

ეს არის მთავარია, შენიშნავს, თუმცა ამ ექვსი განყოფილებით არ ამოიწურება ძთელი შინაარსი ჩვენი ლიტერატურისა.

ვფიქრობთ, თემატიური განხილვა შეიძლებოდა სხვანაირათ. ეროვნული საკითხი, მაგალითად, ამოძრაველებდა არა მარტო იმ ჯგუფის კალამს, რომელიც ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს იმავე საკითხს ჩვენ შევხვდებით მუშათა მოძრაობის პოეზიაშიაც. განსხვავება იმაშია, რომ ერთი და იმავე „ფანჯრიდან“ არ უყურებდენ ამ საკითხს წინეთ და შემდეგ. მეორე მხრივ, განა ავტორს შეუძლია გვითხრას, რომ შრომის საკითხი სრულიათ არ იდგა „ეროვნული გოდების“ პოეზიაში? რასაკვირველია ვერ გვეტყვის.

ამიტომ, გვგონია, უკეთესი გამოვი-

დოდა, რომ თითოეულ საკითხზე თვალი გადაევლებოდა მთელ ლიტერატურას. მაშინ ვეღარ შეეკითხებოდით ავტორს. რატომ მაინც და მაინც მუშათა მოძრაობის ჯგუფში არიან მოთავსებული ს. აბაშელი, ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი, მ. ჯავახიშვილი.

სოციალური საკითხები (ბატონყმობა, მურჟუაზიული ურთიერთობა, წოდებათა დაქსაქსვა) აღებულია ეროვნული საკითხის შემდეგ. საინტერესოკი იყო გამორკვევა, რა ადგილი ეჭირა ბატონყმობას იმ „მდგომარეობაში" რომელიც განსაზღვრავდა ეროვნულ შეგნებას ალ. ჭავჭავაძიდან აკ. წერეთლამდე. ვითომ ავტორს ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ეროვნული საკითხი არ შედის სოციალურ საკითხში? არა გვგონია, ის მარქსისტია და მეტი მოეთხოვება. მკითხველის მოთხოვნილება უფრო დაკმაყოფილებული იქნებოდა, რომ ამ წიგნში ენახა, როგორი იყო ეროვნული საკითხის სვლა ბატონყმობიდან მუშათა მოძრაობამდე, როგორ იდგა ეს საკითხი ჯერ ბატონყმობის მერე ბურჟუაზიულ ურთიერთობაში, ბოლოს იმ დროს, როცა მუშათა მოძრაობამ დაიკავა წინა ადგილი საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მუშა-გლეხობის საკითხსაც ქონდა თავისი ევოლიუცია ჩვენ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის დამდეგიდანვე. ეს უნდა ითქვას ბატონყმობის საკითხზედაც. ბატონყმობის საწინააღმდეგო პროტესტი იყო ეროვნული საკითხის პოეზიაშიც:

„ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობასო".

ეს ითქმის ყველა სხვა საკითხებზე და, ვიმეორებთ, შეიძლებოდა თითოეული თემა გაშუქებულიყო მთელი ლიტერატურის ისტორიაში, არა მარტო ამა თუ იმ ჯგუფის ამრწყინველებში. აქ მეტათ საინტერესო იქნებოდა სხვა და სხვა მწერლების ინდივიდუალური სხივი ერთი და იმავე საკითხის გაშუქებაში.

პატარა ადგილი აქვს დათმობილი მუშათა მოძრაობის მწერლებს. ზოგიერთს რამდენიმე სტრიქონით ეხება ავტორი. ეს კი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს.

ვერ დავეთანხმებით ავტორს, როცა ის მარტო „განდეგილში" ხედავს ი. ჭავჭავაძის გზას ეროვნული ფარგლებიდან მსოფლიო კითხვების სიშორისკენ. ასეთივე და უფრო მკაფიო გზაა მისი „აჩრდილი" პარიზის კომუნა და სხვა.

მეორე მხრივ ვერ ვხედავთ იმის დასაბუთებას, რომ ლ. ქიაჩელი, იოსებ გედევანიშვილი, ნ. შიუკაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი შეტანილია „ზოგადი კითხვების" ჯგუფში.

ყოველივე ეს ნაკლი იფარება იმ ლირსებით, რომელიც აქვს შესავალ წერილებს. ამ წერილებში ავტორი საერთოთ ახასიათებს თითოეული 5 ჯგუფის მწერლებს, დახასიათება არის მ. „კლესწორი, გასაგები და შესაფერისი ჩვენი საშუალო სკოლისთვის. აქ ის ამართლებს იმას, რასაც გვპირდება წინასიტყვაობის პირველ სტრიქონებში.

**ს. დ—ნი.**

---

## ტფილისის უნივერსიტეტის მოკამბე VII.—უნივერსიტეტის გამოცემა

### ტფილისი. 1927 წ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეს პეროიოდიული სამეცნიერო კრებული გასულ წელს ჩვეულებრივი სახით გამოვიდა. კრებული სურათია იმ გაცხოველებული სამეცნიერო მუშაობის, რასაც ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტი აწარმოებს.

წინა მდებარე წიგნით ამ კრებულის მეშვიდე ტომი გამოდის და უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის თითქმის ყველა დარგიდან იყო აქ საკითხები დასმული და ბევრჯერ ორიგინალური მიდგომით გადაჭრილი.

კრებულის ასეთი უნივერსალური ხა-

სიათი შემცველია, როგორც მისი დადებითი მხარეების, ისე მისი ნაკლისაც. დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი კრებული მომავალ ისტორიკოსს, თუ დღევანდელ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს ერთი შეხედვით დაინახოს, თუ რა სიმაღლეზე მდგარა ორიგინალურ მეცნიერული კვლევა-ძიება ტფილისის უნივერსიტეტის განვითარების ამა თუ იმ პერიოდში, და ნაკლი ის არის, რომ ასეთს კრებულს სპეციალურ მეცნიერებათა ძალიან სხვა და სხვა და ხშირად საესებით დაშორებული დარგებია წარმოდგენილი, რაც ძნელად საკითხავად და სახშარებლად ხდის.

წინამდებარე ტომი იხსნება **ა. მალაევის** გამოკვლევით: „განვითარების ანომალიები", ნაწილი მესამე. ამ გამოკვლევის I და II ნაწილები მოთავსებული იყო ამავე კრებულის მე V და მე VI ტომში. მე 3 ნაწილი იძლევა თირკმლის ანომალიის ერთს საინტერესო შემთხვევის აღწერას.

მეორე წერილი **ვარ. უზნაძეს** ეკუთვნის: „დამპალახევის მიდამოს წყლის ანალიზის შესახებ". ეს გამოკვლევა თეორიულ ინტერესთან პრაქტიკულ მოხმარებას ათავსებს. დამპალახევის მიდამოში ქ. ტფილისის მეხორცეთა საზოგადოება ინახავს დასაკლავ ჯოგს და საკითხი შეეხება, თუ რამდენად გამოდგება იქაური წყალი საქონლის სასმელად. ავტორი ამ საკითხს საბოლოოდ არ სწყვეტს, მხოლოდ მოითხოვს მისი მეცნიერული შესწავლის აუცილებლობას.

შემდეგ დაბეჭდილია **ბ. ლოლობერიძის** გამოკვლევა: „ქალთა სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელების საკითხისათვის", გამოკვლევა შეეხება ასეთი დაავადების ერთს შემთხვევას. აქ საჭიროა აღინიშნოს ამ კრებულში სამკურნალო დარგიდან მოთავსებული გამოკვლევების შესახებ შემდეგი: ასეთი გამოკვლევების ბოლოში ავტორები ათავსებენ ლიტერატურის ცხრილს. ეს ლიტერატურის ცხრილები ხშირად აჭრელებულია მოძველებული სახელმძღვანელოების სახელწოდებით. ის ადგილს იკავებს და არავისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გახიდევნოს ეს ყოვლად პედანტური ჩვეულება მეცნიერების თვითოეული დარგისაგან. წიგნების დასახელებაზე უფრო ადვილი საქმე ჩვენ არ [illegible] და [illegible] წარმოგვიდგენია თუ [illegible] ის გამოკვლევის მეცნიერულ სიმტკიცეს.

მე 5 თე წერილი ეკუთვნის **მ. ფარცვანიძეს**. ეს ძლიერ საინტერესო ექსპერიმენტალური გამოკვლევა, შეიცავს საკითხს, თუ რამდენი პროცენტი კოლო ანოფელესისა დაავადებულია მალარიით. მკითხველი უსათუოდ გაკვირვებული დარჩება, როცა გაიგებს, რომ სამეგრელოს სოფლებში, სადაც მალარია მძვინვარეობდა კოლოების დასნეულება უდრიდა მხოლოდ 0,1%-ს.

შემდეგ მოთავსებულია **ალ. წერეთლის** წერილი: „ლუკიანე სამოსატელი თავის დროის სარწმუნოებათა შესახებ". წერილი შეიცავს კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს მეორე საუკუნის (ქრისტეს შემდეგ) დროიდან. ავტორის აზრით იმ რელიგიების მშობიარობის ხანაში სამოსატელი რელიგიის საწინააღმდეგოდ განწყობილი ლიტერატორი ყოფილა.

შემდეგი წერილი **ლეონ მელიქსეთ-ბეგის** არის: „ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები". ქობერი ნამონასტრალია ბორჩალოში. ის ძველი ქართულ-სომხური ურთიერთობის ნაშთია. ავტორი იძლევა მე XI—XII საუკუნის ძეგლებზე დარჩენილი წარწერების წაკითხვას და ნიმუშებს.

**ივ. კაჭარავა** თავის წერილში: „მასალები სამეგრელოს გეოლოგიისათვის" იძლევა მარტვილის მიდამოების გეოლოგიური შესწავლისათვის საჭირო მასალას.

კავკასიელ ხალხთა კულტურის ისტორიისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს **გიორგი ახვლედიანის** გამოკვლევა: „1802 წლის ოსური A ხელნაწერი".

აქვეა დაბეჭდილი **აკაკი შანიძის** მოზრდილი ფილოლოგიური გამოკვლევა: „ხანმეტი მრავალთავი". გამოკვლე-

ვა იძლევა განხილვას ერთი უძველესი სასულიერო ქრეს ტომატიისა, რომელიც ენის მხრით ხანმეტურად არის შესრულებული. აკ. შანიძე ხანმეტი ტექსტების ცნობილი სპეციალისტია და ცხადია, რომ მის ამ ახალ ნარკვევს მნიშვნელობა აქვს ჩვენი უძველესი ლიტერატურის შესწავლისათვის. წერილის დასასრულ მოყვანილია თვითონ მრავალთავის ტექსტი და სანიმუშო კლიშეები.

**კორნელი კეკელიძის** კრიტიკული ხასიათის გამოკვლევა: „კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა". პასუხია ერთი ცნობილი ევროპიელი ორიენტალისტის ამავე საკითხზე Acta Sanctorum-ში მოთავსებული გამოკვლევისა. გამოკვლევა საინტერესოა მაჰმადიანთა მოძრაობის და ბრძოლების ისტორიისათვისაც.ის ამასთანავე ამხელს კორ. კეკელიძის უდიდეს ერუდიციას ამ დარგში.

კრებულში მოთავსებულია კიდევ ორი ეტნოგრაფიულ-ფილოლოგიური წერილი (ჩიქობავასი და თოფურიასი). ერთი ფილოსოფიური რეფერატი (ს. დანელიასი). **არ. ხარაძის** ნარკვევი მათემატიკიდან ფრანგულს ენაზე

დასასრულ დაბეჭდილია აგრეთვე ორი ფსიქოლოგიური ხასიათის წერილი დ. უზნაძისა და ანგ. ბოჭორიშვილის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **დ. უზნაძის** გამოკვლევა: „მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის". პრ[illegible] უზნაძე შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებს ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში; დასახელებულ ნაშრომში მას მიზნად დაუსახავს ორი ძველი, სადაო და საინტერესო პრ[illegible] — მ ნ ა ა რ ს ი ს ა და ს ა გ ნ ი ს [illegible] ფსიქოლოგიის მეთოდების საშუალებით გაარკვიოს. შედეგი, რომელსაც ღებულობს ავტორი (ის, რაც ცნობიერებაში საგნის სახით გვევლინება, სუბიექტის მიერ თავის განცდების გადალმა, ტრანსუბიექტიურად არის წარმოდგენილი) რეალისტურ-ფსიქოლოგისტური გნოსეოლოგიის საბუთად გამოდგება.

„მოამბის" მე-VII ტომის უკანასკნელი წერილი ეკუთვნის მ. კოკოჩაშვილს: „მასალები ციკლოპიის საკითხისათვის".

დაბოლოს, უნდა მიუთითოდ ერთს გარემოებაზე. თითქმის არც ერთი წერილი დათარიღებული არ არის. ეს კი დაუშვებელია ასეთი ხასიათის მეცნიერული კრებულისათვის. თვითოეული წერილის ბოლოში კრებულის რედაქცია უნდა ნიშნავდეს თარიღს: „შეძოვიდა ამა და ამ რიცხვისა და სხვ".

კრებული შეიცავსა 337 გვ., დიდი ფორმატისა. ქაღალდი კარგია, ხოლო შეცდომების გასწორება და გაუსწორებლად დარჩენილი კორექტურული შეცდომები არ შეეფერება ასეთი ხასიათის გამოცემას. **მ. ბ.**

**საქართველოს ეკონომისტი—№12. გვ. 128. ფ. 1 მ.**

ორიოდე სიტყვა ჟურნალის შესახებ ხაერთოდ: „საქართველოს ეკონომისტი" სერიოზულ ჟურნალად იქცა. იგი თავის ამოცანას—საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური და სოციალურ კულტურული მშენებლობის გაშუქებას—შესაფერად ასრულებს. ჟურნალის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მისი რამოდენიმედ საუწყებო, ოფიციალური ხასიათი. საჭიროა ჩვენი ეკონომიკის სინამდვილის და მისი პერსპექტივების დანახვა არა „საუწყებო" ასპექტში, არამედ უმთავრესად პარტიისა და ხელისუფლების ეკონომიური კურსის თვალთახედვით. ჟურნალმა უნდა გადალახოს ოფიციალური სიმშრალის საზღვრები და თავის შეფასებასა და დასკვნებში გახდეს საბჭოთა ეკონომიური აზრის უფრო გაბედული გამომხატველი, მისი ლაბორატორია.

თეორეტიული განყოფილება ჟურნალმა აუცილებლათ უნდა გააფართოვოს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სხვა ეკონომიური ორგანო ჩვენ არ მოგვეპოება.

ჟურნალი უნდა დაუახლოვდეს მასას. მკითხველთა ახალ ფენას კი ის შეიძენს გარდა ზევით აღნიშნულ ღონის-

ძიებათა გატარებისა, პოპულიარული [illegible]ომიური დარკვევების მოთავსებიც მასში.

სარეცენზიო ნომრის **მოწინავე** ეხება XV ყრილობის დადგენილებებს; ხუთწლიანი გეგმის შედგენას, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მრეწველობის უკრიზისო განვითარება უმთავრესად დამოკიდებულია გეგმიანობაზე. პარტიის ძე-15 ყრილობამ სწორედ ამიტომ მისცა დირექტივები სამეურნეო ორგანოებს. მოწინავე, მოკლეთ აბუქებს ამ დირექტივების უმთავრეს საყურადღებო მომენტებს.

შემდეგ მიდის განყოფილება—„სასოფლო მეურნეობა".

**ა. ჭუმბურიძის** წერილი „ნედლეულის პრობლემა" საყურადღებოა. როგორც ვიცით, ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა გასულ წელს, რაც აიხსნება მრეწველობის ზრდით, რომელსაც გაზრდილ მოთხოვნილებებს უყენებს აგზარი. ნედლეულის სიმცირე პირდაპირ გავლენას ახდენს ექსპორტის შეკვეცაზე და სამაგიეროთ იწვევს სამრეწველო ნედლეულის იმპორტის გაძლიერებას. იმპორტის გაფართოება ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციულ პერიოდში აუცილებელია—ბანქანების ხარჯზე, რაც ყოვლად შეუძლებელია ექსპორტის თანამედროვე დონის პირობებში. ავტორის აზრით, საქართველოში გან.საკუთრებით მწვავეთ სდგას ეს საკითხი, რაშიაც არ შეიძლება მას არ დავეთანხმოთ. უმუშევრობა და მიწის სიმცირე გვიკარნახებს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას დაჩქარებული ტემპით და ძვირფას კულტურებზე გადასვლას.

ავტორის დასკვნები კი (თუმცა ისინი დიდი მოკრძალებით არის გაკეთებული), არა თუ სწორი, არამედ პირდაპირ მიუღებელია. მისი აზრით სახელმწიფოს დიდძალი შემოსავალი აქვს სასოფლო მეურნეობიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის გაწეული ხარჯები კი მასზე მცირეა (რაც აუცილებლათ სწორია), მაგრამ მისი აზრით „ეს ხდება იმ დროს, როდესაც იგივე ბიუჯეტი სისტემატიურად მეტს ხარჯავს მრეწველობაზე, ვიდრე ის იღებს მრეწველობიდან". ეს ავტორი ის აზრით, „არც სამართლიანია და არც მიზანშეწონილი", ამიტომ იგი მოუწოდებს „სწორუფლებიანობის" დამყარებისაკენ.

საკითხის ასე დაყენებაში აშკარად გამოსჭვივის „სპეციფიკის" [illegible] ნაწილის განწყობილება რომელთაც სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპი მიაჩნიათ ძალიან ჩქარათ და მოითხოვენ მის შეკვეცას, შენელებას. თქმა არ უნდა რომ ეს სრულიად არ შეეფერება კურსს ინდუსტრიალიზაციაზე. ეს აზრი არაა ჩვენი აზრი საჭირო იყო ავტორს სხვა ღონისძიებებზე მიეთითებია სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის.

**ი. ხარსიას** მიმდევნო წერილი ანალიზს უკეთებს ამ. კავკ. და საქართველოს ნედლეულის ბალანსს და ექსპორტს. ბალანსის ანალიზიდან სჩანს ნედლეულის პროდუქციის ზრდა და მისი საქონლის გამოსავალის კიდევ უფრო ინტენსიური ზრდა (თუმცა პარალელურად იზრდება ნატურალური მოხმარებაც). ნედლეულის აბსოლუტურ პროდუქციაში პირველი ადგილი უჭირავს აზერბეიჯანს, შემდეგი საქართველოს და სოხეთს. პროდუქციის ზრდის ტემპის მიხედვით კი პირველ რიგზე სდგას საქართველო. ციფრები გვიჩვენებს ამ.-კავკ საშუალოზე (45,4%) —10%-ით სიჭარბეს (54, 5) ამიერკავკ. საშუალოს რჩება აზერბეიჯანი 3,1%-ით და სომხეთი—16,4% ით. ავტორი არჩევს რა ექსპორტის დინამიკას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქ. ნედლეულის ექსპორტს შემცირების ტენდენცია ეჭნევა და მიუთითებს კონკრეტიულ ღონისძიებებზე, თუმცა მათ აკლია კონკრეტიულობა.

**ნ-ს** წერილი „კოოპერაციის როლი ნედლეულის დამზ დებაში" მიუთითებს კოოპერაციის მიღწევებს ამ დარგში, მაგრამ აღნიშნავს, რომ მან კიდევ ვერ დაიჭირა შესაფერი ადგილი ამ დარგში.

საერთოდ ნედლეულის გეგმიანი დამზადება 1926—7 წ. ნედლეულის საბაზრო ნაწილის მიმართ შეადგენდა 77%. 23% მოდიოდა კერძო დამზადებლებზე. კოოპერაციის როლი აქ დიდია, მაგრამ განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის სუსტი ორგანიზაციულობის გამო კოოპერაცია ვერ სწვდება ყველა დარგის ნედლეულის დამზადებას.

საგულისხმოა ამხ. ვლ. ცაგარელის წერილი (თეზისები) „ჩვენი სასოფლო კოლექტიური მეურნეობა". ავტორის აზრით, კოლექტიურ მეურნეობათა უმთავრესი ნაკლი და მისი მოწყობის საკითხში დაშვებული შეცდომებია შემდეგი: კოლექტიურ მეურნეობათა უგეგმოთ და სტიქიურათ წარმოშობა, მისი ამოცანების გაურკვევლობა თვით კომუნების ინიციატორთა მხრივაც კი, აგრონომიული დახმარების სისუსტე, სუსტი კავშირი კოოპერაციასთან, სესხის სუსტად მიწოდება, მათში მიწად მოწყობის ჩაუტარებლობა, ე. წ. „ცრუ-კოლექტივების" არსებობა (კულაკების და არა მშრომელი ელემენტების მიერ ზოგიერთ კოლექტივების ხელში ჩაგდება), ზოგიერთ კოლექტივებში დაქირავებულ მუშა ხელის დიდი %-ი, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე და სხვა თეზისები იძლევა ამ შეცდომებისა და ნაკლის დაძლევის გზებს. ძთავარ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კოლექტივების უხელმძღვანელოთ მიტოვება.

საყურადღებოა მიქელაძის წერილის დასასრული „საქ. მრეწველობის ფინანსიური მდგომარეობა" და პროფ. კუკელ-კრაევსკის წერილი „ელექტროფიკაციის მდგომარეობისა და პერსპ. შესახებ საბჭოთა კავშირში".

**ს. გოდაბრელიძე** ეხება „შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დინამიკას" და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „თუ აქამდე აღდგენით პერიოდში ადგილი ჰქონდა ხელფასის უფრო ჩქარი ტემპით ზრდას, ეხლა საჭიროა, რომ ნაყოფიერების ზრდა წინ უსწრებდეს ხელფასის ზრდას"-ო.

თეორიულ განყოფილებაში მოთავსებულია მხოლოდ ერთი წერილი **კალაძის** „მარქსისტული მეთოდის გაგებისათვის". ზედმეტია ლაპარაკი მეთოდის მნიშვნელობაზე საერთოდ ყოველგვარ სისტემაში და განსაკუთრებით მარქსისტული მეთოდის მნიშვნელობაზე. ეს მეთოდი, ბოლო-ბოლოს ცვის აზრით, არის არა მარტო მეცნიერული სისტემის დასაბუთების საშუალება, არამედ ბრძოლისა და დაპყრობილ პოზიციების განმტკიცების იარაღიც.

მარქსის მეთოდი დიალექტიური მეთოდია. დიალექტიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარქსიზმის უნივერსალური მეთოდია, რომელსაც ის იყენებს თავის ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში და პოლიტიკურ ეკონომიაში.

მაგრამ მის გამოყენებას, რასაკვირველია, თავისებური სახე აქვს ყველა ამ დარგებში, რამდენათაც მას საქმე აქვს კვლევის სხვადასხვა მასალასთან, ობიექტთან. ავტორა არ აქვს რელიეფურათ გამოკვეთილი ის თავისებურება, რომელიც ახასიათებს დიალექტიურ მეთოდს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში.

სამწუხაროა, რომ ეს სერიოზული ჟურნალი ვერ ასცდა ისეთ ნაკლს რაც არ იყო მისგან და არც ავტორისაგან მოსალოდნელი. ვფიქრობთ, ავტორს შეეძლო არ მიემართა ამ დაუშვებელ საშუალებისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ პლაგიატზე.

აი მაგალითებიც:

**აკ. კალაძე** სწერს: „თავისთავად დიალექტიური მეთოდი უალრესად რთული, კვლევა-ძიების აბსტრაქტიული მეთოდია. სოციალური ორგანიზმის ერთიან კომპლექსში, რომელშიაც წარმოების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობანი მჭიდროთ გადახლართულია მის „ზედნაშენთან", დიალექტიური მეთოდით, ამ რთული ობიექტის კაპიტალისტური სინამდვილის შესწავლა იწყება ყოველგვარ ცვლილებათა და მთელი მოძრაობის ტრანსფორმაციულ ცენტრიდან ანუ ეკონომიკიდან

[illegible]ასაც აბსტრაქციის საშუალებით გა[illegible]ვენ ყ[illegible] დანარჩენ მოვლენები- (გვ. 98).

ე. **პრეობრაჟენსკი** თავის წიგნში „Новая экономика"—სწერს: „В сущности говоря—метод исторического материализма есть в высокой степени абстрактный метод исследования, потому что в единном комплексе социального организма, где непосредственные отнашения в процессе производства теснейшим образом переплетены с тем, что принято в марксистской терминологии называть „надстройкой", марксист начинает анализ с трансформационного центра всех изменений и всего движения т. е. экономики, отделяя ее силой абстракций на определенной стадий исследования от всего прочего" (გვ. 51, მეორე გამოცემა).

**აკ. კალაძე** სწერს: „ხშირად ცნება აბსტრაქცია ზოგს წარმოდგენილი აქვს, როგორც განყენება და ესმით როგორც მოწყვეტილი რამ კონკრეტ სინამდვილიდან. ნამდვილათ კი, პირიქით, აბსტრაქცია არა თუ კონკრეტობიდან დაცილებას მოითხოვს, არამედ არც კი შეიძლება ის წარმოვიდგინოთ ამ კონკრეტობასთან კავშირის გარეშე. აბსტრაქცია არის კონკრეტობის განზოგადოება... კონკრეტობის გარეშე წარმოუდგენელია აბსტრაქცია" (გვ. 104).

ა. **კონი** თავის წიგნში „Теория промышленного капитализма"—სწერს: „Нередко экономические исследователи боятся слова „абстракция", понимая его как отвлеченность и толкуя как оторванность от конкретной жизни. Между тем, абстракция, конечно, не только не требует оторванности от конкретной действительности, но и не может возникнуть вне связи с конкретностью. Абстракция является обобщением действительности, ее упрощением и систематизированным отображением. Без конкретности не мыслима никакая абстракция" (გვ. 8). კომენტარიები ზედმეტია. პლაგიატობა ამაზე შორს ვერ წავა... ნუ თუ შეიძლება რედაქციისა და მკითხველების ასე გაბრიაბრუება?..

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე განყ. „ადგილობრივი ცხოვრება" და ინფორმაცია. დამაკმაყოფილებელია ბიბლიოგრაფიული განყოფილება. ჟურნალი სუფთათაა გამოცემული.

მ. ვ—ა.

რედაქტორი. მ. კახიანი.

# შინაარსი

## მხატვრული ლიტერატურა

### საქართველო


| | | გვერდი |
|---|---|---|
| 1. | **ეული**—ულენინოთ | 1 |
| 2. | **კარლო კალაძე**—ამხანაგი ლენინი | 2 |
| 3. | **ტიციან ტაბიძე**—მონანიება კი არის სადა | 3 |
| 4. | **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—პროვინციალური ლექსები | 4 |
| 5. | **ვარლამ რუხაძე**—მიწავ, დაგვნებდი! | 5 |
| 6. | **ვიქტორ გაბესკირია**—მოხუცი | 10 |
| 7. | **მიხეილ ჯავახიშვილი**—გივი შადური დაბრუნებული | 11 |
| 8. | **სტეფანე კასრაძე**—მეჯინიბე | 33 |
| 9. | **აკაკი პაპავა**—სპირიდონის გასაჭირი | 56 |
| 10. | **ნოე ზომლეთელი** - ძლევის შუქურა (პოემა) | 97 |
| 11. | **თამარ ჩერქეზიშვილი**—მია (რომანიდან მგლის კბილი) | 104 |


### რუსეთი


| | | |
|---|---|---|
| 12. | **პანტელეიმონ რომანოვი**—ვარსკვლავები (თარგ. ვ. ბ—ის) | 113 |


### დასავლეთი


| | | |
|---|---|---|
| 13. | **ეპტონ სინკლერი**—ქადაგის მდივანი (თარგმანი ი—მ.) | 131 |


## კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა


| | | |
|---|---|---|
| 14. | **ვ. პოლონსკი**—ვ. ი. ლენინი ხელოვნებასა და ლიტერატურის შესახებ (თარგმ. ს. ა—ძის) | 150 |
| 15. | **პლატონ ქიქოძე**—ქართული მწერლობის ერთი წელი—1927 | 166 |
| 16. | **გიორგი ლეონიძე**—ივანე მაჩაბელი (გაგრძელება) | 189 |
| 17. | **პროფ. შალვა ნუცუბიძე**—ზოგიერთი განმარტება | 209 |
| 18. | **კ. ბაქრაძე**—ჭეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა | 217 |


## ბიბლიოგრაფია


| | | |
|---|---|---|
| 19. | **გ.—ლი** — М. В. Родзянко. — „Крушение Империи," გამომცემ. „Прибой" | 240 |
| 20. | **ხ.—დ—ნი.**—ვ. ხუროძე: ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა | 243 |
| 21. | **მ. ვ.**—ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე—VII | 244 |
| 22. | **მ. ვ.—ა.**—საქართველოს ეკონომისტი № 12 | 246 |

## ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

# „მნათობი“

მნათობში მონაწილეობენ ქართული მწერლობის და მეცნიერების საუკეთესო ძალები. ჟურნალს საკუთარი თანამშრომლები ჰყავს მოსკოვსა და ლენინგრადში.

**1928 წლის 1 იანვრიდან „მნათობი“ იწყებს თავისი არსებობის მეხუთე წელს.**

## ფასის დაკლება

**იმ მიზნით, რომ „მნათობი“ გახდეს ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი, რედაქციამ და გამომცემლობამ დაადგინეს 25 პროც. გააიაფონ ჟურნალის წლიური ხელისმოწერა, ხოლო ჟურნალის მოცულობა დარჩება უცვლელი.**

## ამიტომ 1928 წლისათვის „მნათობი“ ეღირება

| | | | |
|---|---|---|---|
| **ერთი წლით** . . . . | **12 მანეთი** | **სამი თვით** . . . . | **3 მ. 50 კ.** |
| **ექვსი თვით** . . . . | **6 „** | **ცალკე ნომერი** . . | **1 „ 50 „** |

წლიურ ხელისმომწერთ ფასი შემოაქვთ შემდეგ ვადებში: ხელისმოწერის დროს 3 მანეთი, ხოლო სამ-სამი მანეთი 30 მარტს, 30 ივლისს და 15 ნოემბერს,

## დაიწყო ხელისმოწერა 1928 წლისათვის

ხელისმოწერას ღებულობს სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის ყველა მაღაზია. ცენტრ. სამმართველოში — პერიოდ-სექტორი და აგრეთვე კერძო აგენტები, რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან სათანადო მანდატით.

**გამომცემლობის მისამართი: თბილისი, რუსთვ. გამზ. № 22—სახელგამი.**

დასაბეჭდი მასალები უნდა გამოეგზავნოს რედაქციას—**ვოლოდარსკის ქუჩა № 11** (გაზ. „ახალი სოფლის“ ბინა). პირადი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე 12—3 საათამდე.